Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

16

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

16

1909 წლის სექტემბერი—*1910* წლის დეკემბერი

წინასიტყვაობა

მეთექვსმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1909 წლის სექტემბრიდან 1910 წლის დეკემბრამდე.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ სტატიები და დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ ბრძოლას პარტიისათვის, მისი რევოლუციური პრინციპებისათვის, ბრძოლას ოპორტუნიზმის ორი სახის წინააღმდეგ პარტიაში: ლიკვიდატორების — «პარტიის პირდაპირი მოწინააღმდეგეების» და ოტზოვისტების — «პარტიის ფარული მტრების» წინააღმდეგ, აგრეთვე შემარიგებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს აფარებდნენ როგორც პირველი, ისე მეორე ჯურის ოპორტუნისტებს.

ლიკვიდატორობის — პარტიაში ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურის — წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილია ნაშრომები: «მხილებული ლიკვიდატორები», «ლიკვიდატორების ფანდები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები», ««გოლოს სოციალ-დემოკრატა» და ჩერევანინი», «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ».

სტატიები: «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ», «საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან», «სამარცხვინო ჩავარდნა», ««ვპერიოდელთა» ფრაქციის შესახებ» მიმართულია ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის წინააღმდეგ.

ნაშრომში «პუბლიცისტის შენიშვნები» მოცემულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შეფასება, პლენუმზე ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ბრძოლის დახასიათება.

სტატიები: «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია», «კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე», «ორი სამყარო», «უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში» მიმართულია ევროპის მუშათა მოძრაობაში არსებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, II ინტერნაციონალის ბელადების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

სტატიები «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში», «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» მიძღვნილია 1905 — 1907 წლების რევოლუციის გამოცდილების შესწავლისადმი.

მეთექვსმეტე ტომში შეტანილია რვა დოკუმენტი, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად იბეჭდება: «წერილი კაპრის სკოლის მსმენელებს», რომელიც ააშკარავებს კაპრის სკოლის ანტიპარტიულ საქმიანობას; «იდეური რღვევისა და დაბნეულობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში»; ««ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ»; «განცხადება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის შესახებ»; «ღია წერილი ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელისადმი», რომელშიც გადმოცემულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდგომდროინდელი შინაპარტიული მდგომარეობა; ორი განცხადება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე. ეს დოკუმენტები, ისე როგორც მეთექვსმეტე ტომში მოთავსებულ ნაწარმოებთა უმრავლესობა, მიძღვნილია პარტიისათვის ბრძოლისადმი, ორ ფრონტზე ბრძოლისადმი.

ახლად შეტანილ სტატიებს შორის არის ლენინის დიდი ნაშრომი — «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება», რომელიც დაწერილია 1910 წლის დამლევს. მისი სრული ხელნაწერი დღემდე აღმოჩენილი არ არის. სტატიის დასასრული ხელმოწერით: ვ. ი ლ ი ნ ი, აგრეთვე I თავის დასასრული და II თავის დასაწყისი, რომლებიც 1932 წელს ნაშრომის გამოქვეყნების დროს აღმოჩენილი არ იყო, ამჟამად ნაპოვნია, ამიტომ I, II და VII თავები პირველად იბეჭდება მთლიანად.

ვ. ი. ლენინი

1910

მხილებული ლიკვიდატორები

მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ჩვენს პარტიას მოუხდა საქმე ჰქონოდა ეგრეთწოდებულ ლიკვიდატორულ მიმდინარეობასთან სოციალ-დემოკრატიაში. ლიკვიდატორები — ეს ის ყველაზე უფრო გაბედული ოპორტუნისტები არიან, რომლებმაც დაიწყეს ქადაგება, თანამედროვე რუსეთში არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია საჭირო არ არის, რსდმპ საჭირო არ არისო. მკითხველებმა იციან აგრეთვე, რომ ამ ლიკვიდატორული მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა და ჩაატარა ბოლშევიზმმა, — ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რომ 1908 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე [1] ლიკვიდატორობა უაღრესად გადაჭრით და საბოლოოდ იქნა დაგმობილი მენშევიკების ხმებისა და ბუნდელთა ნაწილის ხმების წინააღმდეგ (ბუნდელთა მეორე ნაწილმა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ გაილაშქრა).

მაგრამ მენშევიკური ფრაქციის ოფიციალური ორგანო «გოლოს სოციალ-დემოკრატა» [2] არათუ ლიკვიდატორულ ორგანოდ არ თვლიდა თავს, არამედ, პირიქით, ყოველთვის უჩვეულოდ «ამაყი და კეთილშობილი» სახით გამოდიოდა და ლიკვიდატორობასთან თავის ყოველგვარ კავშირს უარყოფდა. ფაქტები აშკარა იყო. მაგრამ «გოლოს სოციალ-დემოკრატა» ქედმაღლურად უგულებელყოფდა ფაქტებს. ამ ცოტა ხნის წინათ გამოსული პლეხანოვის «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» [3] მე-9 ნომერი (1909 წ. აგვისტო) ფრიად საგულისხმოა იმით, რომ მენშევიზმის ერთ-ერთი ბელადი აქ საბოლოოდ ამხელს ლიკ-

ვიდატორობას. «დნევნიკის» მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება, მაგრამ საქმის ამ მხარეზე გვიხდება უწინარეს ყოვლისა შეჩერება.

«პროლეტარის» [4] 45-ე ნომერში დაიბეჭდა (ს.-პეტერბურგის) ვიბორგის რაიონის მენშევიკების წერილი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ. «გოლოსის» მე-14 ნომერში (1909 წ. მაისი) ეს წერილი გადაბეჭდეს, და რ ე დ ა ქ ც ი ა შენიშნავს: ««პროლეტარის» რედაქცია თვალთმაქცობს, თითქოს ამხანაგ ვიბორგელთა წერილში დაინახა გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატა»-საგან ჩ ა მ ო ს ა შ ო რ ე ბ ლ ა დ გადადგმული ნაბიჯი...»

გამოდის პლეხანოვის «დნევნიკი». მისი ავტორი ლიკვიდატორული იდეების მ თ ე ლ შ ი ნ ა ა რ ს ს გვიჩვენებს იმ სტატიის მიხედვით, რომელიც რედაქციის ყოველგვარი შენიშვნის დაურთველად (და თანაც სტატიისა, რომელიც სავსებით იმავე შეხედულებებს გამოხატავს, როგორიც რედაქციის შეხედულებებია) მოთავსებულია «გოლოსის» მე-15 ნომერში. ამასთან პლეხანოვს მოჰყავს ამონაწერები ვიბორგელთა წერილიდან და ამბობს: «ეს წერილი გვიჩვენებს, როგორ ახდენენ ხანდახან გავლენას მუშათა ფართო ორგანიზაციებზე ის ადამიანები, რომლებმაც დასტოვეს ჩვენი პარტია «ახალი» მუშაობის საბაბით» («დნევნიკ», გვ. 10). ეს სწორედ ის «საბაბია», რომელსაც ყოველთვის იმიზეზებდა ხოლმე «გოლოსი»! «ასეთი გავლენა, — განაგრძობს პლეხანოვი, — სულაც არ არის სოციალ-დემოკრატიული გავლენა; ეს გავლენა თავისი სულისკვეთებით სავსებით მტრულია სოციალ-დემოკრატიისადმი» (გვ. 11).

ამრიგად, პლეხანოვს ვიბორგელთა წერილიდან ამონაწერები მოჰყავს «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-15 ნომრის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ. ვეკითხებით მკითხველს: მ ა რ თ ლ ა ც დ ა, ვ ი ნ «თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ს»? «პროლეტარი» «თვალთმაქცობდა», როცა «გოლოსს» ლიკვიდატორობას აბრალებდა, თუ «გოლოსი» თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ დ ა, როცა ლიკვიდატორობასთან თავის ყოველგვარ კავშირს უარყოფდა?

«გოლოსის» რედაქცია ამხილეს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო ბ ა შ ი, ამხილა მისმა გუშინდელმა წევრმა პლეხანოვმა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია.

«გოლოსის» მე-15 ნომრის (1909 წ. ივნისი) სტატიაში, რომელსაც ხელს აწერს თ. დ ა ნ ი, ვპოულობთ განცხადებას, რომ უფრაქციობის რეპუტაცია «პრავდას»[5] იცავს «ლიკვიდატორობის უაზრო და განზრახ არაკეთილსინდისიერ ბრალდებათგან» (გვ. 12). უფრო მაგრად გამოთქმა შეუძლებელია. ძნელია კაცმა თავის სახეზე გამოხატოს უფრო დიადი, უფრო კეთილშობილური აღშფოთება «გოლოსისადმი» ლიკვიდატორობის ბრალდების წაყენების გამო.

გამოდის პლეხანოვის «დნევნიკი». ავტორი გვიჩვენებს ლიკვიდატორული იდეების მ თ ე ლ შ ი ნ ა ა რ ს ს «გოლოსის» მე-15 ნომრის ერთ-ერთი სტატიის მიხედვით და აცხადებს მენშევიკების მისამართით, რომლებიც ამ იდეებს იზიარებენ: «რატომ უნდა გეწყინოს საყვედური ლიკვიდატორობის გამო, როცა მართლაც ძალიან დიდად სცოდავ ამ ცოდვით?» (გვ. 5). «ამხანაგ ს.-ს[6]» («გოლოსის» მე-15 ნომერში მოთავსებული იმ სტატიის ავტორს, რომელსაც პლეხანოვი არჩევს) «არათუ შეიძლება, არამედ კიდევაც უნდა დააბრალონ ლიკვიდატორობა, იმიტომ რომ გეგმა, რომელსაც ის თავის წერილში გადმოსცემს და იცავს, ნამდვილად სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი პარტიის ლიკვიდაციის გეგმა» («დნევნიკ», გვ. 6). ხოლო ეს ამხ. ს. თავის სტატიაში პირდაპირ ლაპარაკობს თავის სოლიდარობაზე «კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ე ლ ე გ ა ც ი ი ს ა დ მ ი», ე. ი. «გ ო ლ ო ს ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა დ მ ი, რომელსაც, როგორც ცნობილია, ამ დელეგაციაში სამიდან ორი მანდატი ჰქონდა.

პლეხანოვი განაგრძობს:

«აქ საჭიროა არჩევანი: ა ნ ლიკვიდატორობა, ა ნ მის წინააღმდეგ ბრძოლა. მესამე გზა არ არის. ამას რომ ვამბობ, ცხადია, მე ვგულისხმობ იმ ამხანაგებს, რომლებიც თავიანთი პირადი ინტერესებით კი არა, ჩვენი საერთო საქმის ინტერესებით ხელმძღვანელობენ. იმათთვის, ვინც თავისი პირადი ინტერესებით

ხელმძღვანელობს; იმათთვის, ვინც მხოლოდ თავის რევოლუციურ კარიერაზე ფიქრობს, — ასეთი კარიერაც ხომ არის! — მათთვის, რა თქმა უნდა, არსებობს მესამე გამოსავალი. ამ ყალიბის დიდ და პატარა ადამიანებს შეუძლიათ და უნდა მიმართონ კიდეც ამჟამად გაძრომ-გამოძრომას ლიკვიდატორულ და ანტილიკვიდატორულ მიმდინარეობათა შორის; ახლანდელ პირობებში ისინი მთელი ძალღონით უნდა ცდილობდნენ თავი აარიდონ პირდაპირი პასუხის გაცემას იმ კითხვაზე, საჭიროა თუ არა ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლა; ასეთი პასუხი მათ თავიდან უნდა მოიშორონ «ქარაგმებითა და უშინაარსო ჰიპოთეზებით», იმიტომ რომ ჯერ ხომ ცნობილი არ არის, რომელი მიმდინარეობა გაიმარჯვებს, — ლიკვიდატორული თუ ანტილიკვიდატორული, — ამ ბრძენ დიპლომატებს კი უნდათ, ყოველ შემთხვევაში, დაესწრონ დღესასწაულს: მათ სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გამარჯვებულთა მხარეზე იყვნენ. ვიმეორებ, ამგვარი ადამიანებისათვის მესამე გამოსავალიც არის. მაგრამ ამხ. ს., ალბათ, დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ესენი ნამდვილი ადამიანები კი არა, მხოლოდ «ტიკინები» არიან. მათ შესახებ ლაპარაკი არ ღირს: ისინი დაბადებითვე ოპორტუნისტები არიან; მათი დევიზია: — «რას ინებებთ?»» («დნევნიკ», გვ. 7 — 8).

მართლაც რომ გადაკვრით... მაგრამ გასაგებად არის ნათქვამი. მოქმედება მეხუთე და უკანასკნელი, სცენა პირველი. სცენაზე არიან «გოლოსის» რედაქტორები, უკლებლივ ყველანი. მათგან ერთ-ერთი, ცნობილი, მიმართავს საზოგადოებას განსაკუთრებით კეთილშობილური სახით: «ჩვენს წინააღმდეგ წამოყენებული ლიკვიდატორობის ბრალდებები არათუ უაზრო, არამედ გ ა ნ ზ რ ა ხ ა რ ა კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ი ბრალდებებიც არის».

სცენა მეორე. იგივენი და «ის», «გოლოსის» რედაქტორი, რომელიც ეს-ეს არის მშვიდობით გამოვიდა რედაქციიდან (ისეთ სახეს იღებს, თითქოს რედაქტორთაგან ვერავის ამჩნევდეს, მიმართავს რედაქციისადმი სოლიდარულ თანამშრომელ ს.-ს და ამბობს): «ან ლიკვიდატორობა, ან მის წინააღმდეგ

ბრძოლა. მესამე გამოსავალი აქვთ მხოლოდ რევოლუციურ კარიერისტებს, რომლებიც გაძრომ-გამოძრომას მიმართავენ, პირდაპირ პასუხს თავს არიდებენ და ელოდებიან, ვინ გაიმარჯვებს. ამხ. ს., ალბათ, დამეთანხმება, რომ ესენი ნამდვილი ადამიანები კი არა, ტიკინები არიან. მათ შესახებ ლაპარაკი არ ღირს: ისინი დაბადებითვე ოპორტუნისტები არიან; მათი დევიზია — «რას ინებებთ»».

ვიცოცხლოთ და ვნახოთ, მართლა დაეთანხმება თუ არა პლეხანოვს «ამხ. ს.», კოლექტიურ-მენშევიკური ამხ. ს., თუ ის ამჯობინებს თავის ხელმძღვანელებად შეინარჩუნოს ზოგიერთი ტიკინა და დაბადებითვე ოპორტუნისტი. ერთი რამ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ უკვე ახლა: მენშევიკ-მ უ შ ე ბ შ ი, თუ კი მათ სავსებით გადაუშლიან თავის შეხედულებებს პლეხანოვი, პოტრესოვი («დარწმუნებული ლიკვიდატორი», როგორც მას პლეხანოვი ახასიათებს, «დნევნიკ», გვ. 19) და «ტიკინები», რომელთა დევიზია «რას ინებებთ?», უთუოდ, ასიდან ათი არ აღმოჩნდება ისეთი, რომელიც მ ხ ა რ ს დ ა უ ჭ ე რ დ ე ს პოტრესოვს და «რას ინებებთს» ე რ თ ა დ. ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას. პლეხანოვის გამოსვლა საკმარისია იმისათვის, რომ მენშევიკ-მ უ შ ე ბ ი ჩამოშორდნენ პოტრესოვსაც და «რას ინებებთსაც». ჩვენი საქმეა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მუშა-მენშევიკები, განსაკუთრებით ისინი, რომლებზედაც ბოლშევიკებისაგან გამომდინარე პროპაგანდა ძნელად მოქმედებს, სავსებით გ ა ე ც ნ ო ნ პლეხანოვის «დნევნიკის» მე-9 ნომერს. ჩვენი საქმეა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მუშა-მენშევიკებმა ახლა სერიოზულად მოკიდონ ხელი აზრთა სხვადასხვაობის ი დ ე უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს გამორკვევას, ერთი მხრივ — პლეხანოვსა და მეორე მხრივ — პოტრესოვსა და «რას ინებებთს» შორის.

ამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან, საკითხზე პლეხანოვი «დნევნიკის» მე-9 ნომერში აგრეთვე ფრიად საგულისხმო, მაგრამ ძალიან, ძალიან არასაკმაო მასალას იძლევა. «გაუმარჯოს «გენერალურ გამიჯვნას»!» — გაიძახის პლეხანოვი, რომელიც მიესალმება ბოლშევიკების გამიჯვნას ანარქო-სინდიკალისტე-

ბისაგან (ასე უწოდებს პლეხანოვი ჩვენს ოტზოვისტებს, ულტიმატისტებსა და ღვთისმშენებლებს) და აცხადებს, რომ «ჩვენ, მენშევიკები, უნდა გავემიჯნოთ ლიკვიდატორებსო» («დნევნიკის» მე-18 გვერდი). რა თქმა უნდა, ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებმაც ჩვენს შორის უკვე გავავლეთ გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი მ ი ჯ ნ ა, სულითა და გულით შევუერთდებით მენშევიკური ფრაქციის შიგნით გენერალური გამიჯვნის ამ მოთხოვნას. ჩვენ მოუთმენლად დაველოდებით ამ გენერალურ გამიჯვნას მენშევიკებში. ჩვენ ვნახავთ, ს ა დ გაივლის მათი გენერალური მიჯნა. ჩვენ ვნახავთ, ნამდვილად გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი მიჯნა იქნება თუ არა ეს.

მენშევიკებში ლიკვიდატორობის გამო მომხდარ განხეთქილებას პლეხანოვი ხატავს როგორც ორგანიზაციული საკითხის გამო მომხდარ განხეთქილებას. მაგრამ ამავე დროს ის იძლევა მასალას, რომელიც ცხადყოფს, რომ საქმე სრულიადაც არ განისაზღვრება ორგანიზაციული საკითხით. პლეხანოვს ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ორი მიჯნა გაჰყავს, რომელთაგან ა რ ც ე რ თ ი არ იმსახურებს ჯერ კიდევ გენერალური მიჯნის სახელწოდებას. პირველი მიჯნა გაბედულად გამოჰყოფს პლეხანოვს პოტრესოვისაგან, მეორე მიჯნა მას გაუბედავად გამოჰყოფს «ფრაქციული დიპლომატებისაგან», ტიკინებისა და დაბადებითვე ოპორტუნისტებისაგან. პოტრესოვის შესახებ პლეხანოვი ამბობს, რომ მან ჯერ კიდევ 1907 წლის შემოდგომაზე «აზრი გამოთქვა, როგორც დარწმუნებულმა ლიკვიდატორმაო». მაგრამ ეს ცოტაა. ორგანიზაციულ საკითხზე პოტრესოვის ამ სიტყვიერი განცხადების გარდა, პლეხანოვი იმოწმებს მენშევიკების ცნობილ კოლექტიურ ნაშრომს — «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს» და ამბობს, რომ იგი, პლეხანოვი, ამ კრებულის რედაქციიდან გამოვიდა, რადგან პოტრესოვის სტატია პლეხანოვისთვის მიუღებელი აღმოჩნდა (იმ შესწორებათა შეტანისა და გადამუშავების შემდეგაც კი, რაც პლეხანოვმა მოითხოვა და რაც დანისა და მარტოვის შუამავლობით მოხდა). «მე სავსებით დავრწმუნდი, რომ პოტრესოვის სტატიის გასწორება შეუძლებელი იყო» (გვ. 20). «მე დავინახე, —

წერს ის «დნევნიკში», — რომ პოტრესოვის მიერ მანჰეიმში გამოთქმული ლიკვიდატორული აზრი მტკიცედ დამკვიდრდა მის გონებაში და რომ პოტრესოვმა სავსებით დაჰკარგა იმის უნარი, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის აწმყოსა და წარსულში, რევოლუციონერის თვალით უყურებდეს» (გვ. 19 — 20). «მე პოტრესოვის ამხანაგი არა ვარ... მე და პოტრესოვი ერთი გზით ვერ ვივლით» (გვ. 20).

აქ უკვე ლაპარაკია სრულიადაც არა თანამედროვე ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელთაც პოტრესოვი თავის სტატიაში არ შეხებია და არც შეეძლო შეხებოდა. ლაპარაკია სოციალ-დემოკრატიის იმ ძირითად პროგრამულ და ტაქტიკურ იდეებზე, რომელთა «ლიკვიდაციას ახდენს» კოლექტიური მენშევიკური «ნაშრომი», მარტოვის, მასლოვისა და პოტრესოვის კოლექტიური მენშევიკური რედაქციით რომ გამოდის.

აქ ნამდვილი გენერალური მიჯნის გასავლებად არ კმარა პოტრესოვთან კავშირის გაწყვეტა და «შორი» გადაკვრით თქმა იმ გმირებზე, რომელთა დევიზია «რას ინებებთ?». ამისათვის საჭიროა დაწვრილებით იქნას გამოაშკარავებული, სახელდობრ რა მხრივ, სახელდობრ როდის, სახელდობრ რატომ და როგორ «დაჰკარგა პოტრესოვმა იმის უნარი, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას რევოლუციონერის თვალით უყურებდეს». ლიკვიდატორობას, — ამბობს პლეხანოვი, — «ყველაზე სამარცხვინო ოპორტუნიზმის ჭაობში» მივყავართო (გვ. 12). «ახალი ღვინო მათ (ლიკვიდატორთა) ხელში იქცევა კოწამახად, რომელიც მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ძმრის დასამზადებლად თუ გამოდგება» (გვ. 12). ლიკვიდატორობა «აადვილებს პროლეტარულ წრეში წვრილბურჟუაზიული ტენდენციების შემოჭრას» (გვ. 14). «მე არა ერთხელ ვცადე დამემტკიცებინა გავლენიანი ამხანაგ-მენშევიკებისათვის, რომ ისინი დიდ შეცდომას სჩადიან, როდესაც ხანდახან მზად არიან ხელიხელჩაკიდებულებმა იარონ იმ ვაჟბატონებთან ერთად, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ოპორტუნიზმის სუნი ასდით»

(გვ. 15). «ლიკვიდატორობა პირდაპირი ხაზით მიემართება ოპორტუნიზმის და სოციალ-დემოკრატიისადმი მტრულ წვრილ-ბურჟუაზიულ მისწრაფებათა ამოუვალი ჭაობისაკენ» (გვ. 16). შეადარეთ პლეხანოვის ყველა ეს მოსაზრება პოტრესოვის გამოცხადებას დარწმუნებულ ლიკვიდატორად. სავსებით ცხადია, რომ პლეხანოვმა პოტრესოვი დახატა (უფრო სწორი იქნება ვთქვათ: პლეხანოვმა ახლა იგი აღიარა) წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ დ ე მ ო კ რ ა ტ-ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ა დ. სავსებით ცხადია, რომ, რამდენადაც მენშევიზმი, რომელიც წარმოდგენილია ფრაქციის ყველა უალრესად გავლენიანი ლიტერატორის სახით (გარდა პლეხანოვისა), მ ო ნ ა წ ი ლ ე ობ ა ს ი ღ ებ ს ამ პოტრესოველობაში («საზოგადოებრივ მოძრაობაში»), ი მ დ ე ნ ა დ მენშევიზმი ახლა პლეხანოვის მიერ აღიარებულია წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა დ. რამდენადაც მენშევიზმი, როგორც ფრაქცია, თავზე ხელს უსვამს პოტრესოვს და იფარავს მას, მენშევიზმი ახლა პლეხანოვის მიერ აღიარებულია წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ფ რ ა ქ ც ი ა დ.

დასკვნა ნათელია: თუ პლეხანოვი განმარტოებული დარჩება, თუ ის გარს არ შემოიკრებს მენშევიკების მასას ან თუნდაც მნიშვნელოვან ნაწილს, თუ ის ყველა მენშევიკი-მუშის წინაშე არ გამოააშკარავებს ამ წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის ყველა ფესვსა და გამოვლინებას, მაშინ მენშევიზმის ჩვენი შეფასება დადასტურებული აღმოჩნდება იმ მენშევიკის მიერ, რომელიც თეორიულად ყველაზე უფრო გამოჩენილია და რომელმაც ყველაზე შორს შეატოპვინა მენშევიკებს 1906 — 1907 წლების ტაქტიკაში.

ვიცოცხლოთ და ვნახოთ, შ ე ს ძ ლ ებ ს თ უ ა რ ა პლეხანოვის მიერ გამოცხადებული «რევოლუციური მენშევიზმი» ჩაატაროს ბრძოლა იმ იდეების მთელი რკალის წინააღმდეგ, რომლებმაც პოტრესოვი და ლიკვიდატორობა წარმოშვეს.

ლაპარაკობს რა ბოლშევიკების გენერალურ გამიჯვნაზე, პლეხანოვი ბოლშევიკურ მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატებს,

•დარებს გოგოლის ოსიპს, რომელიც აგროვებდა ყოველგვარ ხარახურას, ყოველნაირ თოკს (ემპირიოკრიტიციზმსა და ღვთისმშენებლობასაც კი). ახლა ბოლშევიკურმა ოსიპმა, — ოხუნჯობს პლეხანოვი, — დაიწყო «თავის გარშემო სივრცის გაფართოება», ანტიმარქსისტების გაძევება, «თოკისა» და სხვა ხარახურის გადაყრაო.

პლეხანოვის ოხუნჯობა ეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის არა სახუმარო, არამედ ძირითად და ყველაზე სერიოზულ საკითხს: მის შიგნით არსებული რ ო მ ე ლ ი მიმართულება იყო უ ფ რ ო მ ე ტ ა დ სასარგებლო ხარახურისთვის, «თოკისთვის», ე. ი. ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გავლენისთვის პროლეტარულ წრეში. ფრაქციული დავის მთელი «მოქნილობა», სხვადასხვა რეზოლუციის, ლოზუნგისა და სხვათა გამო გაჩაღებული ბრძოლის ყველა ხანგრძლივი პერიპეტია — მთელი ეს «ფრაქციულობა» (რასაც ასე ხშირად გმობენ ახლა «ფრაქციულობის» წინააღმდეგ მიმართული ცარიელი ყვირილით, რ ო მ ე ლ ი ც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს უ პ რ ი ნ ც ი პ ო ბ ა ს), — მთელი ეს «ფრაქციულობა» რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამ ძირითადი და ყველაზე სერიოზული საკითხის გარშემო ტრიალებს: მის შიგნით არსებული რომელი მიმართულება უთმობდა ყველაზე უფრო მეტად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გავლენებს (რაც ასე თუ ისე, ამა თუ იმ ხნით, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, გარდუვალია, როგორც გარდუვალია ეს გავლენები ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში). სოციალ-დემოკრატიის ყოველ მიმართულებას გარდუვალად ეტმასნება ხოლმე არა წმინდა პროლეტარული, არამედ ნახევრადპროლეტარული, ნახევრადწვრილბურჟუაზიული ელემენტების ხან მეტი და ხან ნაკლები რაოდენობა: საკითხი ის არის, თუ რ ო მ ე ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა უფრო ნაკლებად ემორჩილება მათ, უფრო ადრე იშორებს მათ თავიდან, უფრო წარმატებით ებრძვის მათ. აი სწორედ ეს არის საკითხი სოციალისტური, პროლეტარული, მარქსისტული «ოსიპისა» ლი-

ბერალური ან ანარქისტული, წვრილბურჟუაზიული, ანტიმარქსისტული «თოკის» მიმართ.

ბოლშევიკური მარქსიზმი, — ამბობს პლეხანოვი, — არის «მეტად თუ ნაკლებად ვიწროდ და ტლანქად გაგებული მარქსიზმი». მენშევიკური მარქსიზმი, ცხადია, «მეტად თუ ნაკლებად ფართო და დახვეწილი» მარქსიზმია. შეხედეთ რევოლუციის შედეგებს, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიის ექვსი (1903 — 1909) წლის შედეგებს, და მერე როგორი ექვსი წლისა! ბოლშევიკურმა «ოსიპებმა» უკვე გაავლეს «გენერალური მიჯნა» და «მიაბრძანეს» ბოლშევიკური წვრილბურჟუაზიული «თოკი», რომელიც ახლა წუწუნებს, რომ ის «გამოაპანღურეს» და «თავიდან მოიშორეს».

მენშევიკური «ოსიპი» აღმოჩნდა განმარტოებული, გამოსული ოფიციალური მენშევიკური რედაქციიდანაც და უმნიშვნელოვანესი მენშევიკური ნაშრომის კოლექტიური რედაქციიდანაც; ის აღმოჩნდა მარტოხელა პროტესტანტი «წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმისა» და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებულია რ ო გ ო რ ც ერთ, ი ს ე მეორე რედაქციაში. მენშევიკური «ოსიპი» აღმოჩნდა მენშევიკურ «თოკში» გ ა ხ ლ ა რ თ უ ლ ი. მას კი არ აუკრეფია ეს «თოკი», არამედ ამ «თოკმა» აკრიფა ის. ის კი არ მორევია ამ «თოკს», არამედ «თოკი» მოერია მას.

გვითხარით, მკითხველო, რას ამჯობინებდით თქვენ: ბოლშევიკური «ოსიპის» მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყავით, თუ მენშევიკური «ოსიპისა»? გვითხარით, განა ის მარქსიზმია მუშათა მოძრაობის ისტორიაში «ვიწრო და ტლანქი», რომელიც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარულ ორგანიზაციებთან და რომელიც უფრო წარმატებით ართმევს თავს წვრილბურჟუაზიულ «თოკს»?

«პროლეტარი» № 47 — 48,
1909 წ. 5 (18) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ლია წერილის გამო[8]

ყბადაღებული «სკოლის» შესახებ მიღებული ამ რეზოლუციის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არავითარ ბრალს არა ვდებთ იმ მუშებს, რომლებმაც სიხარულით ჩასჭიდეს ხელი საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის შესაძლებლობას. ეს მუშები «დაგვიკავშირდნენ» ჩვენც და ცენტრალურ კომიტეტსაც — (ახლახან მიღებულ წერილში მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიაც იუწყება, რომ ერთ-ერთმა მოწაფემ უკვე გაუგზავნა ანგარიში ამ კომისიასაც) — და ჩვენ მათ განვუმარტეთ ეგრეთწოდებული სკოლის მნიშვნელობა. სხვათა შორის, აი რამდენიმე ციტატი ამ სკოლის ჰექტოგრაფირებული «ანგარიშიდან», რომელიც ჩვენ მივიღეთ. «მიღებულია გადაწყვეტილება მეცადინეობა დაიწყოს მსმენელთა (9 ამხანაგი) და ლექტორთა (6 ამხანაგი) არსებული რაოდენობის პირობებში». ამ 6 ლექტორიდან პარტია კარგად იცნობს: მაქსიმოვს, ლუნაჩარსკის, ლიადოვს, ალექსინსკის. ამხ. ალექსინსკიმ «აღნიშნა» (სკოლის გახსნის დროს): «სკოლისთვის არჩეულია გარკვეული ადგილი, რადგან იქ მრავალი ლექტორია». ამხ. ალექსინსკიმ მეტისმეტი მოკრძალებით თქვა: «იქ» არის არა «მრავალი», არამედ ყ ვ ე ლ ა ლექტორი (ზოგიერთი იმასაც კი ამბობს: ყველა ინიციატორი, ორგანიზატორიც, აგიტატორიც და მოღვაწეცო) ა ხ ა ლ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს ა. ბოლოს: «ამხ. ალექსინსკიმ დაიწყო პრაქტიკული მეცადინეობა

ორგანიზაციულ საკითხზე». ვბედავთ იმედი ვიქონიოთ, რომ ამ «პრაქტიკული» მეცადინეობის დროს დაწვრილებით განმარტავენ მაქსიმოვის «ანგარიშის» იმ გადაკვრით ნათქვამი სიტყვების მნიშვნელობას, რომლებიც შეეხება «პ რ ო ლ ე ტ ა - რ ი ს» რედაქციის მისწრაფებას ხელთ იგდოს მთელი ფრაქციის ქონება...

«პროლეტარი» № 47 — 48,
1909 წ. 5. (18) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

პეტერბურგის არჩევნებისათვის[9]

(შენიშვნა)

21 სექტემბრისათვის დანიშნულია ს.-პეტერბურგის არჩევნები. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება მუშათა პარტიას ამ არჩევნების ჩატარება. მაგრამ მათი მნიშვნელობა მეტად დიდია, და ყველა სოციალ-დემოკრატმა მთელი თავისი ძალები უნდა დაძაბოს მომავალ საარჩევნო კამპანიაში, რომელიც ნაწილობრივ უკვე იწყება.

არჩევნები ხდება უაღრესად გაცოფებული რეაქციის ვითარებაში, როდესაც მეფის მმართველი ბრბოს კონტრრევოლუციური მძვინვარება უკიდურეს ფარგლებს აღწევს, — ამიტომაც მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ რეაქციას დაუპირისპირდეს კანდიდატურა, რომელსაც აყენებს სოციალ-დემოკარტიული პარტია, ერთადერთი პარტია, რომელმაც შესძლო შავრაზმული III სათათბიროს ტრიბუნიდანაც აემაღლებინა თავისი ხმა, გამოეცხადებინა თავისი ურყევი სოციალისტური რწმენა, გაემეორებინა სახელოვანი რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგები, გაეშალა რესპუბლიკური დროშა კონტრრევოლუციის ოქტიაბრისტულ-შავრაზმული გმირების და კონტრრევოლუციის ლიბერალური (კადეტური) იდეოლოგებისა და დამცველების წინაშე.

არჩევნები ისეთ პირობებში ხდება, რომლებიც ყოვლად შეუძლებელს ხდიან მუშათა კლასის ფართო მასების მონაწილეობას: მუშები ამომრჩეველთა რიცხვიდან გამორიცხული არიან, ამომრჩეველთა რიგები მოცელილია მოზეიმე თავად-

აზნაურული ბანდის მიერ, რომელმაც 1907 წლის 3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, — ამიტომაც მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ აუდიტორიის წინაშე, რომელსაც საზოგადოდ ყველაზე ნაკლებად შეუძლია თანაუგრძნობდეს სოციალ-დემოკრატიის იდეებს, გამოვიდეს პარტია, რომელიც სოციალიზმისათვის ბრძოლას აერთებს თანამიმდევარი და გადამწყვეტი დემოკრატიული რევოლუციისათვის ბრძოლასთან ბურჟუაზიულ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა მასებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა ამ ბოლო დროს ვიწრო და შეკვეცილი იყო, ეს მუშაობა მაინც განუწყვეტლივ ტარდებოდა და ტარდება. ასობით მუშათა ჯგუფი და წრე იცავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტრადიციებს, განაგრძობს მის საქმეს, ზრდის ახალ პროლეტარულ მებრძოლებს. მუშა სოციალ-დემოკრატები თავიანთი დეპუტატების, თავიანთი აგიტატორების, თავიანთი რწმუნებულების მეშვეობით გამოვლენ ახლა წვრილბურჟუაზიულ ამომრჩეველთა მასის წინაშე და მოაგონებენ მათ ნამდვილი დემოკრატიზმის იმ ამოცანებს, რომლებიც ბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიებსა და წვრილ-წვრილ ჯგუფებს დავიწყებიათ.

არჩევნები ტარდება ისეთ პირობებში, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია და მუშათა კლასის ყველა ორგანიზაცია, როგორიც უნდა იყოს იგი, აბსოლუტურად განდევნილია ლეგალობის ფარგლებიდან, — როცა ყოვლად შეუძლებელია მუშათა კრებების მოწვევა, როცა სავსებით აკრძალულია მუშათა ბეჭდვითი სიტყვა, როცა სავსებით უზრუნველყოფილია (პოლიციის ზომებით) კადეტების პარტიის მონოპოლია «ოპოზიციაზე», პარტიისა, რომელიც მეძავეობას ეწეოდა მთელი რიგი გაუგონრად მლიქვნელური გამოსვლებით შავრაზმულ სათათბიროში და დაეხმარა თვითმპყრობელობას ევროპაში შეეგროვებინა ფული საპყრობილეებისა და სახრჩობელებისათვის, დაეხმარა გაეთამაშებინა ევროპელი კაპიტალისტების წინაშე კონსტიტუციური თვითმპყრობელობის კომედია. — მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს კადეტური მონოპოლია, უთვალავი სახრჩობელებით დაცული და ცარიზმის წი-

ნაშე უსაზღვრო ლიბერალური მლიქვნელობის ფასად «მოპოვებული», დ ა მ ს ხ ვ რ ე უ ლ იქნას, დამსხვრეულ იქნას რადაც უნდა დაჯდეს, დამსხვრეულ იქნას ფართო მასის წინაშე, რომელიც ხედავს არჩევნებს, ისმენს არჩევნების ამბავს, თვალყურს ადევნებს კანდიდატთა ბედსა და არჩევნების შედეგებს. თუ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული პოლიტიკანებისათვის, დაწყებული რუსი კადეტებით და დამთავრებული გერმანიის «თავისუფალი მოაზროვნეებით» ან საფრანგეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის «რადიკალებით», ყველაზე მნიშვნელოვანია უშუალო წარმატება, ყველაზე მნიშვნელოვანია დეპუტატის ადგილის მიღება, — სოციალისტური პარტიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია პროპაგანდა და აგიტაცია მასებში, ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალიზმის იდეათა და სრული დემოკრატიისათვის თანამიმდევრული, თავდადებული ბრძოლის ქადაგება. ეს პროპაგანდა კი სრულიადაც არ განიზომება მარტოოდენ იმ ხმების რიცხვით, რომლებიც სპეციალურად შეუგროვებიათ ბატონ თავადაზნაურთა მიერ გატარებული 3 ივნისის კანონის მიხედვით.

გადახედეთ ჩვენებურ კადეტურ პრესას: რა საოცარი თავხედობით იყენებს ის თავის მონოპოლიას, რომელიც მოპოვებულია მილიუკოვისებური მლიქვნელობით და რომელსაც სტოლიპინი იცავს. «ს.-პეტერბურგის არჩევნების შედეგებში, — წერს «რ ე ჩ ი» [10] 1 აგვისტოს მოწინავე წერილში, — არავის ეჭვი არ ეპარება... თუ კუტლერის, II სათათბიროს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი დეპუტატის, კანდიდატურა წამოყენებულია, მაშინ საარჩევნო გამარჯვება კიდევ უფრო იმპოზანტური იქნება». ოღონდაც! რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო «იმპოზანტური», ვიდრე გამარჯვება «მემარცხენეებზე», რომლებიც «თავიდან მოიშორა» შავრაზმულმა სახელმწიფო გადატრიალებამ? რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო იმპოზანტური, ვიდრე გამარჯვება სოციალიზმზე, რომელიც ქადაგებს თავის ძველ იდეალებს არალეგალურ პრესაში და არალეგალურ მუშათა ორგანიზაციებში, ვიდრე იმ «დემოკრატების» გამარჯვება, რომლებიც თავისუფლად ათავსებენ თავიანთ დემოკრატიზმს

სტოლიპინური კონსტიტუციის ჩარჩოებში? რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო «ავტორიტეტიანი» მეშჩანის თვალში, ობივატელის თვალში, დაშინებული რუსი ადამიანის თვალში, ვიდრე ყოფილი მინისტრი ბ-ნი კუტლერი? «სახალხო თავისუფლების» პარტიისათვის დეპუტატის ავტორიტეტიანობა სათათბიროში განიზომება მისი ავტორიტეტით რომანოვის, სტოლიპინისა და კომპანიის თვალში.

«საფიქრებელია, — მედიდურად განაგრძობს «რეჩი», — რომ ამჯერად დაშვებული არ იქნება ხმების უმიზნო დაქსაქსვაც პროგრესულ კანდიდატებს შორის. სწორედ ამნაირი აზრი გამოთქვა «მემარცხენე ბლოკის» ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვ. ვ. ვოდოვოზოვმა».

როგორც მზე წყლის პაწია წვეთში, ისე ასახავს ეს მცირე ტირადა ჩვენებური კადეტების მთელ ბუნებას. ხმების დაქსაქსვა «უმიზნოაო» (კადეტები აღარ ამბობენ: საშიშია შავრაზმელთა წინაშეო, რადგან სულელური ლიბერალური ზღაპარი შავრაზმული საფრთხის შესახებ მეტად თვალსაჩინოდ უარყვეს რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა და უარყვეს მოვლენებმა), — რატომ არის «უმიზნო», ბატონებო? იმიტომ, რომ ვერ გავაო, ეს არის კადეტების პირველი და უკანასკნელი საბუთი. მაგრამ ეს ხომ ოქტიაბრისტული დასაბუთებაა, დიდად პატივცემულო მეომარნო ოქტიაბრიზმის წინააღმდეგ, ეს არის 3 ივნისის კანონისადმი დამორჩილების დასაბუთება, სწორედ იმ სასიამტკბილო და სასიხარულო დამორჩილებისა, რასაც თქვენ ოქტიაბრისტებს უსაყვედურებთ! თქვენი ბუნების რაობაც სწორედ ის არის, რომ არჩევნების წინ, ამომრჩევლის წინაშე, მასის წინაშე თქვენ ააშკარავებთ, რომ ოქტიაბრისტებს არ შესწევთ უნარი გაატარონ პრინციპული ხაზი, ააშკარავებთ «უმიზნობის» შესახებ წამოსროლილი მათი ფრაზების ოპორტუნიზმს, ხოლო არჩევნების დროს, უფროსების წინაშე, მეფისა და სტოლიპინის წინაშე კი თქვენ იმავე ოქტიაბრისტულ პოლიტიკას ატარებთ. ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმის მიცემა «უმიზნოა» — ხმა მივცეთ ბიუჯეტის სასარგებლოდო. რევოლუციისა და თავისუფლების იდეალე-

ბის დაცვა «უმიზნოა» — ტალახში ამოვსვაროთ ისინი, შევქმნათ «ვეხი»[11], ლაფი გადავასხათ რევოლუციას, დავიქირაოთ რაც შეიძლება მეტი რენეგატი — იზგოევები, გალიჩები, სტრუვეები და სხვები რევოლუციისაგან ჩვენი განდგომის სადემონსტრაციოდო. უცხოეთის კაპიტალის მიერ თვითმპყრობელობისათვის მხარდაჭერის წინააღმდეგ ბრძოლა «უმიზნოა» — დავეხმაროთ თვითმპყრობელობას მიიღოს სესხები, გავგზავნოთ მილიუკოვი მხლებელ ბიჭად ნიკოლოზ პირსისხლიანის ეტლზე.

მაგრამ თუ ფრაზა არჩევნების დროს იდეური ბრძოლის «უმიზნობის» შესახებ გულწრფელად გადმოსცემს კადეტების «იდეურ» ბუნებას, სამაგიეროდ შემდგომი ფრაზა აშკარა საარჩევნო თაღლითობის ნიმუშია. «რ ე ჩ მ ა» გამოიყენა «მისი უდიდებულესობის ოპოზიციის»[12] მონოპოლია და ცილი დასწამა, ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც არასოდეს და არსად აზრი არ გამოუთქვამთ ხმების დაქსაქსვის წინააღმდეგ (და რომლებმაც — ეს მეტად დიდმნიშვნელოვანია — თ ა ნ გ ა ი ყ ო ლ ი ე ს ტრუდოვიკები ცნობილი მემარცხენე ბლოკის დროს, გაიყოლიეს იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ წამოეყენებინათ სოციალ-დემოკრატიული კანდიდატი რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა მ ჯ დ ა რ ი ყ ო), ხოლო მეორე — ტრუდოვიკ ვოდოვოზოვსაც.

მოწინავე წერილს გარდა, 1-ლი აგვისტოს ნომერი ათავსებს აგრეთვე შენიშვნას, რომელიც ვოდოვოზოვს მიაწერს სიტყვებს, თითქოს ამომრჩევლებმა უკვე გამოთქვეს აზრი კადეტების სასარგებლოდ, და ტრუდოვიკებმა ან კადეტებს უნდა მისცენ ხმა, ანდა თავი შეიკავონო. მხოლოდ 6 აგვისტოს ნომერში «სახალხო თავისუფლების» პარტიის ორგანო მივარდნილ ადგილას («საგარაკო ცხოვრების» შემდეგ) ათავსებს ბ-ნ ვოდოვოზოვის წერილს, რომლის ავტორი აცხადებს, სიტყვები, რაც მე მომაწერეს, «ა რ ა ს ო დ ე ს ა რ მ ი თ ქ ვ ა მ ს ო». და «რეჩი» ამით ოდნავადაც არ შემკრთალა, არამედ პოლემიკას იწყებს ეოდოვოზოვის წინააღმდეგ. საქმე გაჩარხულია, მკითხველი მოტყუებულია, ბ-ნ სტოლიპინების მიერ

ნებადართული პრესის მონოპოლია გამოყენებულია, ყოველივე დანარჩენი კი არაფერია. ბოლოს, 9 აგვისტოს ნომერში იბეჭდება ორიოდე სტრიქონი სოციალ-დემოკრატიულ კანდიდატ სოკოლოვისა და იმის შესახებ, რომ მრავალი ტრუდოვიკი აპირებს მისცეს მას თავისი ხმები. 1 აგვისტოს მოწინავე წერილის მთელი ცნობა მემარცხენეთა შესახებ სრული ჭორი გამოდგა...

იმ ამოცანის სიძნელენი, რომლის წინაშეც პეტერბურგის სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ, კი არ დააფრთხობენ მათ, არამედ აიძულებენ ძალღონე გააათკეცონ. არა მარტო ყველა პარტიულ ორგანიზაციას, მუშათა თვითეულ წრეს, სოციალ-დემოკრატთა თანამგრძნობ თვითეულ ჯგუფს საზოგადოების ყოველ ფენაში, — თუნდაც ეს ჯგუფი ორი-სამი პირისაგან შედგებოდეს და ცოცხალ პოლიტიკურ მუშაობას მოწყვეტილი იყოს, როგორც კი შეიძლება პოლიტიკას მოწყვეტილი იყოს რუსი მოქალაქე სტოლიპინის კონსტიტუციის ხანაში, — ყველას და თვითეულს შეუძლია და კიდევაც უნდა მიიღოს მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიულ საარჩევნო კამპანიაში. ერთნი შეადგენენ და გაავრცელებენ სოციალ-დემოკრატების საარჩევნო მოწოდებებს; მეორენი საქმეს დახმარებას გაუწევენ სათათბიროში სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოთქმული სიტყვების გავრცელებით; მესამენი მოაწყობენ ამომრჩეველთა ჩამოვლას სოციალ-დემოკრატიული იდეების ქადაგებისა და სოციალ-დემოკრატიული საარჩევნო კამპანიის ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის; მეოთხენი გამოვლენ ამომრჩეველთა კრებებზე ან კერძო კრებებზე; მეხუთენი კადეტური ლიტერატურიდან და კადეტური სიტყვებიდან ისეთ თაიგულს შეკრავენ, რომელიც კადეტების სასარგებლოდ ხმის მიცემის ხალისს დაუკარგავს ყოველ, რამდენადმე პატიოსან, დემოკრატს; მეექვსენი... მაგრამ ჩვენ როდი გვმართებს საზღვარგარეთის გაზეთში მივუთითოთ აგიტაციის გზები და საშუალებანი, რომელთაც ასკეც უფრო მრავალფეროვანს, ცოცხალსა და ნაირნაირს გამონახავენ ადგილებზე, პეტერბურგში. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრებს, თა-

ვიანთი მდგომარეობის გამო, შეუძლიათ განსაკუთრებით ძვირფასი სამსახური გაუწიონ საარჩევნო კამპანიას ს.-პეტერბურგში; სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს აქ განსაკუთრებით სასარგებლო და გახსაკუთრებით კეთილშობილური როლი ეკისრებათ. ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ვერავითარი აკრძალვა, პოლიციის ვერავითარი ფანდი, სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ვერავითარი კონფისკაცია, სოციალ-დემოკრატი აგიტატორების ვერავითარი დაპატიმრება ვერ შეუშლის ხელს მუშათა პარტიას მოიხადოს თავისი მოვალეობა: სავსებით და ყოველმხრივ გამოიყენოს საარჩევნო კამპანია რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის მოწინავე მებრძოლის — სოციალისტური პროლეტარიატის მთელი, შეუკვეცელი პროგრამის ქადაგებისათვის მასებში.

P. S. * ჩვენი შენიშვნა უკვე დასაბეჭდად იყო გადაცემული, როდესაც «რ ე ჩ ი ს» 13 აგვისტოს ნომერში წავიკითხეთ შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: «11 აგვისტოს შედგა ტრუდოვიკების პირველი კრება, მიძღვნილი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი... ერთხმად გადაწყდა მხარი დაუჭირონ სოციალ-დემოკრატ სოკოლოვის კანდიდატურას, ა მ ა ს თ ა ნ დ ა ა დ გ ი ნ ე ს, რ ო მ ა მ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ა დ ა რ წ ა მ ო ა ყ ე ნ ო ნ ა რ ა ვ ი თ ა რ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა». თქმა არ უნდა, რომ სხვა პირობით სოციალ-დემოკრატიას არც შეეძლო მიეღო ეს მხარდაჭერა.

«პროლეტარი» № 47 — 48,
1909 წ. 5 (18) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ

ამხანაგებმა მაქსიმოვმა და ნიკოლაევმა გამოუშვეს საგანგებო ფურცელი სახელწოდებით — ««პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის გაძევებული წევრების ანგარიში ამხ. ბოლშევიკებს». ძალიან მწარედ შესჩივიან საზოგადოებას ჩვენი გაძევებულნი .იმის შესახებ, თუ რა აწყენინა მათ და როგორ გააძევა ისინი რედაქციამ.

იმისათვის, რომ მუშათა კლასის პარტიას დავანახოთ, თუ რა ჯურისაა ეს მწარედ მოწუწუნე გაძევებული ხალხი, განვიხილოთ უწინარეს ყოვლისა ფურცლის პრინციპული შინაარსი. «პროლეტარის» 46-ე ნომრიდან და ამ ნომრის დამატებიდან მკითხველებმა იციან, რომ «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა აღიარა ამხ. მაქსიმოვი ახალი ფრაქციის ერთ-ერთ ორგანიზატორად ჩვენს პარტიაში, — ფრაქციისა, რომელთანაც ბოლშევიზმს საერთო არაფერი აქვს, და თავიდან მოიხსნა «ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამხ. მაქსიმოვის ყველა პოლიტიკური ნაბიჯისათვის» [13]. თათბირის რეზოლუციიდან ჩანს, რომ ბოლშევიკებისგან გამოთიშულ ახალ ფრაქციასთან (ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ: გამოთიშულ მაქსიმოვსა და მის მეგობრებთან) უთანხმოების საფუძველია, ჯერ-ერთი, ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი; მეორე — ღვთისმშენებლობა. სამ დაწვრილებითს რეზოლუციაში გადმოცემულია ბოლშევიკური ფრაქციის შეხედულება როგორც ერთ, ისე მეორე მიმდინარეობაზე.

რა პასუხს იძლევიან ახლა მწარედ მოწუწუნე გაძევებულნი?

I

დავიწყოთ ოტზოვიზმით. გაძევებულნი აჯამებენ პარლამენტის ანუ სათათბიროს გამოცდილების შედეგებს განვლილი წლების მანძილზე, ამართლებენ ბულიგინისა და ვიტეს სათათბიროს ბოიკოტს, აგრეთვე II სათათბიროში მონაწილეობას და განაგრძობენ:

...«მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება, ყოველივე ეს კვლავ იცვლება. პარტიას მაშინ არ შეუძლია ჩაატაროს ფართო და წარმტაცი საარჩევნო კამპანია, არ შეუძლია მიიღოს თავისი შესაფერი საპარლამენტო წარმომადგენლობა»...

დამოუკიდებელი მსჯელობის პირველივე ფრაზა, რომელიც არაა გადმოწერილი ძველი ბოლშევიკური გამოცემებიდან, — და ჩვენს წინაშეა ოტზოვისტური პოლიტიკური მოუაზრებლობის მთელი ღრმა უფსკრული. აბა, ერთი დაუფიქრდით, დიდად პატივცემულნო, შეუძლია თუ არა პარტიას მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება, «ფართოდ და წარმტაცად» მოაწყოს «საინსტრუქტორო ჯგუფები და სკოლები» რაზმელებისათვის, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ თქვენი ნაწარმოების სწორედ იმავე გვერდზე, იმავე სვეტში? აბა დაუფიქრდით, დიდად პატივცემულნო, შეუძლია თუ არა პარტიას მიიღოს «თავისი შესაფერი წარმომადგენლობა» ასეთ სკოლებში? თქვენ რომ ფიქრი შეგეძლოთ და რამდენადმე უნარი გქონდეთ პოლიტიკურად განსაჯოთ, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, მაშინ შენიშნავდით, რომ უდიდესი უაზრობა გამოგდით. ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკურად *ი ა ზ რ ო ვ ნ ო თ*, თქვენ «*წ ა რ მ ტ ა ც*» აბრას ებღაუჭებით და ამით პარტიული რეგვნების მდგომარეობაში ვარდებით. თქვენ ლაყბობთ «საინსტრუქტორო სკოლებზე» და «პროპაგანდის გაძლიერებაზე (!) ჯარში» (იქვე), იმიტომ რომ თქვენ, ისე როგორც ყველა პოლიტიკური უცოდინარი ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების ბანაკიდან, ამგვარ მოღვაწეობას განსაკუთრებით «წარმტაც» მოღვაწეობად თვლით, მაგრამ მოღვაწეობის ამ ფორმების ნამდვილი (და

არა სიტყვიერი) გამოყენების პირობებზე დაფიქრება არ ძალგიძთ. თქვენ დაგისწავლიათ ბოლშევიკური სიტყვებისა და ლოზუნგების ნაწყვეტები, მაგრამ გაგებით კი მათი სრულიად ვერაფერი გაგიგიათ. «მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება», პარტიისთვის ყოველგვარი მუშაობა ძნელია, მაგრამ რაოდენ დიდიც უნდა იყოს სიძნელენი, შესაფერი საპარლამენტო წარმომადგენლობის მოპოვება მაინც შესაძლებელია. ამას ამტკიცებს, მაგალითად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებაც თუნდაც განსაკუთრებული კანონის[14] შემოღების ხანაში, «მწვავე და გაძლიერებული რეაქციის» დროს. ამ შესაძლებლობის უარყოფით მაქსიმოვი და კომპანია მხოლოდ თავის სრულ პოლიტიკურ უმეცრებას ამჟღავნებენ. ურჩიო «საინსტრუქტორო სკოლები» და «პროპაგანდის გაძლიერება ჯარში» «მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება», — და იმავე დროს პარტიისათვის უარყო შესაძლებლობა იყოლიოს შესაფერი საპარლამენტო წარმომადგენლობა, ეს ნიშნავს ილაპარაკო აშკარა შეუსაბამობანი, რომლებიც ღირსია მოთავსებულ იქნას გიმნაზიის დაბალი კლასების მოწაფეებისათვის განკუთვნილ ლოგიკურ უაზრობათა კრებულში. საინსტრუქტორო სკოლებიც და ჯარში პროპაგანდის გაძლიერებაც გულისხმობს ძველი კანონების აუცილებელ დარღვევას, მათ გადალახვას, — მაშინ როდესაც საპარლამენტო მოღვაწეობა სრულიადაც აუცილებლად არ გულისხმობს და, ყოველ შემთხვევაში, განუზომლად უფრო იშვიათად გულისხმობს ძველი კანონების გადალახვას ახალი საზოგადოებრივი ძალის მიერ. ახლა დაუფიქრდით, პატივცემულნო, როდის არის უფრო ადვილი ძველი კანონების გადალახვა: მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება, თუ მოძრაობის აღმავლობის დროს? დაუფიქრდით, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, და გრცხვენოდეთ იმ სისულელისა, რასაც თქვენ ამბობთ, როცა თქვენთვის ძვირფას ოტზოვისტებს იცავთ.

შემდეგ. როგორი მოღვაწეობა გულისხმობს მასების ენერგიის უფრო მეტ გაქანებას, მასების უფრო მეტ გავლენას უშუალო პოლიტიკურ ცხოვრებაზე, — საპარლამენტო მოღვაწეობა ძველი ხელისუფლების მიერ შექმნილი კანონის მიხედვით, თუ სამხედრო პროპაგანდა, რომელიც ერთბაშად და პირდაპირ ძირს უთხრის ამ ხელისუფლების მატერიალური ძალის იარაღებს? დაუფიქრდით, პატივცემულნო, და თქვენ დაინახავთ, რომ საპარლამენტო მოღვაწეობა აღნიშნული მხრით უკანა რიგში დგას. ხოლო რა გამომდინარეობს აქედან? აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ, რაც უფრო მძლავრია მასების უშუალო მოძრაობა, რაც უფრო მეტია მათი ენერგიის გაქანება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: რაც უფრო მეტად შეიძლება ვილაპარაკოთ ხალხის რევოლუციურ შეტევაზე, რომელიც «მწვავეა და ძლიერდება», და არა «მწვავე რეაქციაზე, რომელიც ძლიერდება», — მ ი თ უ ფ რ ო შესაძლებელი, მით უფრო გარდუვალი, მით უფრო წარმატებითი გახდება ჯარში პროპაგანდაც და საბრძოლო გამოსვლებიც, რაც მართლაც დაკავშირებულია მასობრივ მოძრაობასთან და არ წარმოადგენს თავზეხელაღებულ რაზმელთა ავანტიურიზმს. სწორედ ამიტომ, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, ბოლშევიზმს უნარი ჰქონდა საბრძოლო მოქმედებაც და ჯარში პროპაგანდაც განსაკუთრებული სიძლიერით წამოეყენებინა «მწვავე და გაძლიერებული» რევოლუციური აღმავლობის პერიოდში; — სწორედ ამიტომ ბოლშევიზმს უნარი შესწევდა გაეტარებინა (1907 წლიდან დაწყებული) და საბოლოოდ გაატარა 1909 წლისათვის თავისი ფრაქციის გამოყოფა იმ მებრძოლიზმისაგან, რაც «მწვავე რეაქციის დროს, რომელიც ძლიერდება», გ ა დ ა ი ქ ც ა, გარდუვალად გადაიქცა ავანტიურიზმად.

ჩვენს გმირებს, რომელთაც ბოლშევიკური სიტყვების ნაწყვეტები დაუსწავლიათ, ყველაფერი უკუღმა გამოუდით: ბრძოლის უმაღლეს ფორმებს, რომლებიც ქვეყნიერებაზე არსად და არასოდეს არ გამომდგარა ისე, თუ ადგილი არ ჰქონია მასების უშუალო შეტევას, პირველ რიგში ურჩევენ

როგორც მწვავე რეაქციის ხანაში «შესაძლებელ» ფორმებს, — ხოლო ბრძოლის დაბალ ფორმებს, რომლებიც გულისხმობენ არა იმდენად კანონის უშუალოდ გადალახვას მასების ბრძოლით, რამდენადაც კანონის გამოყენებას პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, რაც მასების შეგნებას ამზადებს ბრძოლისათვის, «შეუძლებელ» ფორმებად აცხადებენ!!

ოტზოვისტებსა და «გაძევებულ» მათ ამყოლ-დამყოლთ გაუგონიათ და დაუსწავლიათ, რომ ბოლშევიზმი მასების უშუალო ბრძოლას, რომელიც ჯარსაც კი (ე. ი. მოსახლეობის ყველაზე დამყაყებულ ნაწილს, ყველაზე ნაკლებად მოძრავს, პროპაგანდისაგან ყველაზე უფრო დაცულს და სხვ.) მოძრაობაში აბამს და საბრძოლო გამოსვლებს აჯანყების ნამდვილ დასაწყისად აქცევს, — თვლის მოძრაობის უმაღლეს ფორმად, ხოლო საპარლამენტო მოღვაწეობას, თუ მას მასების უშუალო მოძრაობა თან არ ახლავს, — მოძრაობის დაბალ ფორმად. ოტზოვისტებსა და მათ ამყოლ-დამყოლთ, როგორიც მაქსიმოვია, ეს გაუგონიათ და დაუსწავლიათ, მაგრამ ვერ გაუგიათ, და ამიტომაც თავი შეირცხვინეს. უმაღლესი — ეს ნიშნავს «წარმტაცს», ფიქრობს ოტზოვისტი და ამხ. მაქსიმოვი, — მაშ, მეც «რაც შეიძლება წარმტაცად» დავიყვირებ: ეს, უთუოდ, ყველაზე უფრო რევოლუციური გამოვა, ხოლო იმის გარჩევა კი, თუ რა და რისთვის, — ეშმაკმა უწყისო!

მოუსმინეთ შემდეგ მაქსიმოვის მსჯელობას (ციტატს განვაგრძობთ იმ ადგილიდან, სადაც შევწყვიტეთ):

...«რეაქციის მექანიკური ძალა სწყვეტს უკვე შექმნილი პარტიული ფრაქციის კავშირს მასებთან და საშინლად აძნელებს მასზე პარტიის გავლენას, ეს კი იმას იწვევს, რომ ასეთ წარმომადგენლობას უნარი აღარა აქვს აწარმოოს საკმაოდ ფართო და ღრმა ორგანიზაციულ-პროპაგანდისტული მუშაობა პარტიის ინტერესების სასარგებლოდ. ხოლო თვით პარტიის შესუსტების დროს გამორიცხული არ არის ფრაქციის გადაგვარების, სოციალ-დემოკრატიის ძირითადი გზიდან მისი გადახვევის საფრთხეც კი»...

უბადლო მშვენიერებაა, ხომ? როდესაც ლაპარაკია ბრძოლის დაბალ, კანონიერ ფორმებზე, მაშინ იწყებენ ჩვენს დაშინებას: «რეაქციის მექანიკური ძალა», «საკმაოდ ფართო მუშაობის წარმოების უნარის უქონლობა», «გადაგვარების საფრთხეო». ხოლო როდესაც ლაპარაკია კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს, ძველი კანონების გადამლახველ ფორმებზე, მაშინ «რეაქციის მექანიკური ძალა» ქრება, ჯარში «საკმაოდ ფართო» მუშაობის წარმოების არავითარ «უუნარობას» ადგილი არა აქვს, საინსტრუქტორო ჯგუფებისა და სკოლებიხ არავითარ «გადაგვარების საფრთხეზე», თურმე ნუ იტყვით, ლაპარაკიც კი არ შეიძლება!

აი «პროლეტარის» რედაქციის საუკეთესო გამართლება, თუ რატომ უნდა გ ა ე ძ ე ვ ე ბ ი ნ ა მას ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც მასებში ა ს ე თ ი იდეები შეაქვთ.

მაშ კარგად დაიხსომეთ, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო: როცა ნამდვილად არსებობს პირობები მწვავე რეაქციისა, რომელიც ძლიერდება, როცა ამ რეაქციის მექანიკური ძალა ნამდვილად სწყვეტს კავშირს მასებთან, აძნელებს საკმაოდ ფართო მუშაობას და ასუსტებს პარტიას, სწორედ მაშინ პარტიის სპეციფიკური ამოცანა ხდება ბრძოლის საპარლამენტო იარაღის დაუფლება; და ეს არა იმიტომ, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, რომ საპარლამენტო ბრძოლა უფრო მაღლა იდგეს, ვიდრე ბრძოლის სხვა ფორმები; არა, ეს საჭიროა სახელდობრ იმიტომ, რომ იგი სხვა ფორმებზე უ ფ რ ო დ ა ბ ა ლ ი ფორმაა, უფრო დაბალია, ვიდრე, მაგალითად, ისეთი ბრძოლა, რომელიც მასობრივ მოძრაობაში ითრევს ჯარსაც კ ი, და რომელიც იწვევს მასობრივ გაფიცვებს, აჯანყებებსა და სხვა. — ხოლო რანაირად შეიძლება ბრძოლის დაბალი ფორმის დაუფლება იქცეს პარტიის სპეციფიკურ (ე. ი. სხვა მომენტებისაგან ახლანდელი მომენტის განმასხვავებელ) ამოცანად? რანაირად და იმნაირად, რომ, რაც უფრო ძლიერია რეაქციის მექანიკური ძალა და რაც უფრო შესუსტებულია მასებთან კავშირი, მით უფრო მეტად დგება რიგში მა-

სების შეგნების მომზადების ამოცანა (და არა პირდაპირი მოქმედების ამოცანა), მით უფრო მეტად დგება რიგში ძველი ხელისუფლების მიერ შექმნილი პროპაგანდისა და აგიტაციის გზების გამოყენება (და არა მასების უშუალო შეტევა თვით ამ ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ).

II

ყოველი მარქსისტისათვის, რომელიც თუნდაც რამდენადმე ჩაფიქრებია მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობას, ყოველი სოციალ-დემოკრატისათვის, რომელიც თუნდაც რამდენადმე იცნობს საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ისტორიას, სრულიადაც არ არის გასაკვირველი ბრძოლის ამ ერთ-ერთი დაბალი ფორმის ეს გადაქცევა განსაკუთრებული ისტორიული მომენტის სპეციფიკურ საბრძოლო იარაღად. ანარქისტებს ამ უბრალო ამბის გაგება აბსოლუტურად და არასოდეს არ შეეძლოთ. ახლა ჩვენი ოტზოვისტები და გაძევებული მათი ამყოლ-დამყოლნი ცდილობენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში გადმოიტანონ ანარქიზმის აზროვნების მეთოდები და გაჰყვირიან (მაქსიმოვისა და კომპანიის მსგავსად), რომ «პროლეტარში» გაბატონებულია თეორია «პარლამენტარიზმისა რადაც უნდა დაჯდეს».

იმის განსამარტავად, თუ რამდენად უგუნური და არასოციალ-დემოკრატიულია მაქსიმოვისა და კომპანიის ეს ღრიანცელი, საჭირო ხდება კვლავ ანაბანით დავიწყოთ. აბა დაუფიქრდით, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, რა შეადგენს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკისა და ტაქტიკის სპეციფიკურ განსხვავებას სხვა ქვეყნების სოციალისტურ მუშათა პარტიებთან შედარებით? პარლამენტარიზმის გამოყენება; ბურჟუაზიულ-იუნკრული (რუსულად, დაახლოებით: ოქტიაბრისტულ-შავრაზმული) პარლამენტარიზმის გადაქცევა მუშათა მასების სოციალისტური აღზრდისა და ორგანიზა-

ციის იარაღად. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პარლამენტარიზმი არის სოციალისტური პროლეტარიატის ბრძოლის უმაღლესი ფორმა? მთელი მსოფლიოს ანარქისტები ფიქრობენ, რომ ნიშნავს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გერმანელი სოციალ-დემოკრატები დგანან თვალსაზრისზე პარლამენტარიზმისა რადაც უნდა დაჯდეს? მთელი მსოფლიოს ანარქისტები ფიქრობენ, რომ ნიშნავს, და ამიტომ მათ არა ჰყავთ იმაზე უფრო საძულველი მტერი, ვიდრე გერმანიის სოციალ-დემოკრატია, მათთვის არ არის იმაზე უფრო ამოჩემებული ნიშანი, ვიდრე გერმანელი სოციალ-დემოკრატები. და რუსეთშიც, როცა ჩვენებური სოციალ-რევოლუციონერები ანარქისტებთან ლაქუცს იწყებენ და თავიანთ «რევოლუციურობას» რეკლამას უკეთებენ, ისინი უსათუოდ ცდილობენ გამოათრიონ გერმანიის სოციალ-დემოკრატების ესა თუ ის ნამდვილი თუ მოჩვენებითი შეცდომა და აქედან გამოიყვანონ დასკვნები სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ.

ახლა გავყვეთ ქვევით. რაში მდგომარეობს ანარქისტების მსჯელობის შეცდომა? იმაში, რომ მათ, საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე ძირფესვიანად მცდარი წარმოდგენის გამო, უნარი არ შესწევთ გაითვალისწინონ სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტული პოლიტიკური (და ეკონომიური) მდგომარეობის თავისებურებანი, რომლებიც დ რ ო ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი ს ა თ ვ ი ს განაპირობებენ ბრძოლის ხან ერთი, ხან მეორე საშუალების სპეციფიკურ მნიშვნელობას. ნამდვილად, გერმანიის სოციალ-დემოკრატია არათუ არა დგას თვალსაზრისზე პარლამენტარიზმისა რადაც უნდა დაჯდეს, არათუ არ უმორჩილებს პარლამენტარიზმს ყველაფერს და ყოველივეს, არამედ, პირიქით: პროლეტარიატის საერთაშორისო არმიაში სწორედ მან ყველაზე უკეთესად და ფართოდ გამოიყენა ბრძოლის ისეთი პარლამენტგარეშე იარაღები, როგორიცაა სოციალისტური ბეჭდვითი სიტყვა, როგორიცაა პროფესიული კავშირები, როგორიცაა სახალხო კრებების სისტემატური გამოყენება,

როგორიცაა ახალგაზრდობის აღზრდა სოციალისტური სულისკვეთებით და სხვა და სხვა.

რაშია აქ დედაარსი? იმაში, რომ მთელი რიგი ისტორიული პირობების ერთობლიობამ პარლამენტარიზმი გადააქცია განსაზღვრული პერიოდის გერმანიისათვის ბრძოლის სპეციფიკურ იარაღად, არა მთავარ, არა უმაღლეს, არა დიდ, სხვებთან შედარებით არა არსებით იარაღად, არამედ სწორედ სპეციფიკურ, სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე უფრო დამახასიათებელ იარაღად. ამიტომ პარლამენტარიზმის გამოყენების უნარი აღმოჩნდა მთელი სოციალისტური საქმის სანიმუშო დაყენების სიმპტომი (არა პირობა, არამედ სიმპტომი) ამ საქმის ყველა იმ განშტოებაში, რომლებიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ.

გადავიდეთ გერმანიიდან რუსეთზე. ის, ვინც განიზრახავდა სავსებით გაეტოლებინა ერთმანეთისათვის ერთი ან მეორე ქვეყნის პირობები, მთელ რიგ უდიდეს შეცდომებს ჩაიდენდა. მაგრამ სცადეთ საკითხის დაყენება ისე, როგორც აუცილებლად უნდა აყენებდეს მას მარქსისტი: რაში მდგომარეობს რუსეთის სოციალ-დემოკრატების ახლანდელი მომენტის პოლიტიკისა და ტაქტიკის სპეციფიკური თავისებურება? ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ არალეგალური პარტია, — ისევე როგორც რევოლუციამდე. ჩვენ განუხრელად უნდა ვამზადოთ მასები ახალი რევოლუციური კრიზისისათვის, — ისევე როგორც 1897 — 1903 წლებში. ჩვენ ყოველნაირად უნდა განვამტკიცებდეთ პარტიის კავშირს მასასთან, ვავითარებდეთ და ვიყენებდეთ სოციალიზმის მიზნებისათვის ყოველგვარ მუშათა ორგანიზაციებს, — როგორც ყოველთვის და ყველგან იქცეოდა ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მომენტის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს სწორედ ძველი თვითმპყრობელობის ის ცდა (და მარცხიანი ცდა), რომ ახალი ისტორიული ამოცანები გადაწყვიტოს ოქტიაბრისტულ-შავრაზმული სათათბიროს საშუალებით. ამიტომაც წარმოადგენს სოციალ-დემოკრატები-

სათვის ტაქტიკის სპეციფიკურ ამოცანას ამ სათათბიროს გამოყენება თ ა ვ ი ა ნ თ ი მიზნებისათვის, რევოლუციის იდეებისა და სოციალიზმის იდეების გავრცელების მიზნებისათვის. უმთავრესი ის კი არ არის, რომ ეს სპეციფიკური ამოცანა განსაკუთრებით მაღალი ამოცანა იყოს, რომ ის ფართო პერსპექტივებს გადაგვიშლიდეს, რომ ის თავისი მნიშვნელობით უტოლდებოდეს ან თუნდაც უახლოვდებოდეს იმ ამოცანებს, რომლებიც პროლეტარიატის წინაშე ისახებოდა, მაგალითად, 1905 — 1906 წლებში. არა. უმთავრესი ისაა, რომ ეს არის დღევანდელი მომენტის ტაქტიკის თავისებურება, მისი განსხვავება განვლილი პერიოდისაგან და მომავალი პერიოდისაგან (რადგან ეს მომავალი პერიოდი, უ ს ა თ უ ო დ, ჩვენს წინაშე წამოაყენებს უფრო რთულ, უფრო მაღალ, უფრო საინტერესო სპეციფიკურ ამოცანებს, ვიდრე III სათათბიროს გამოყენების ამოცანაა). არ შეიძლება დავეუფლოთ თანამედროვე მომენტს, არ შეიძლება გადავწყვიტოთ იმ ამოცანების მთელი ერთობლიობა, რომელთაც ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე აყენებს, თუ არ გადავწყვეტთ მომენტის ამ სპეციფიკურ ამოცანას, თუ შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ სათათბიროს არ გადავაქცევთ სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის ი ა რ ა ღ ა დ.

ოტზოვისტი მოლაქლაქენი თითქოს ბოლშევიკებს ბაძავენ და ყბედობენ, მაგალითად, რევოლუციის გამოცდილების გათვალისწინების შესახებ. მაგრამ მათ არ ესმით ის, რასაც ისინი ამბობენ. მათ არ ესმით, რომ რევოლუციის გამოცდილების გათვალისწინება შ ე ი ც ა ვ.ს რევოლუციის იდეალების და ამოცანებისა და მეთოდების დაცვას ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს შ ი გ ნ ი დ ა ნ. არ შეგეძლოს ამ იდეალების, ამოცანებისა და მეთოდების დ ა ც ვ ა სათათბიროს შიგნიდან, იმ ჩვენი პარტიული მუშების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება გავიდნენ და რომლებიც გავიდნენ ამ სათათბიროში, — იმას ნიშნავს, რომ არ შეგეძლოს პ ი რ ვ ე ლ ი ნაბიჯის გადადგმა რევოლუციის გამოცდილების პოლიტიკური გათვალისწინების საქმეში (რადგან აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია გამოცდილე-

ბის არა თეორიულად გათვალისწინებაზე, წიგნებსა და გამოკვლევებში). ამ პირველი ნაბიჯით ჩვენი ამოცანა არამც და არამც და არავითარ შემთხვევაში არ ამოიწურება. პირველ ნაბიჯზე შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი იქნება მეორე და მესამე ნაბიჯი, ე. ი. მასების მიერ უკვე გათვალისწინებული გამოცდილების გადაქცევა იდეურ ბაგაჟად ახალი ისტორიული მოქმედებისათვის. მაგრამ თუკი თვითონვე ეს ოტზოვისტი მოლაქლაქენი ლაპარაკობენ «რევოლუციათაშორისო» ეპოქის შესახებ, მაშინ ისინი უნდა მიმხვდარიყვნენ (მათ რომ შეეძლოთ ფიქრი, შეეძლოთ მსჯელობა სოციალ-დემოკრატიულად), რომ «რევოლუციათაშორისო» სწორედ იმას ნიშნავს, რაც დღის წესრიგშია ყენებს ელემენტარულ, წინასწარ ამოცანებს. «რევოლუციათაშორისო» არის დახასიათება არამტკიცე, გაურკვეველი მდგომარეობისა, როდესაც ძველი ხელისუფლება, რომელიც დარწმუნდა, რომ მარტოოდენ ძველი იარაღების საშუალებით მართვა შეუძლებელია, ცდილობს გამოიყენოს ახალი იარაღი ძველი წესების საერთო ვითარებაში. ეს არის შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი, შეუძლებელი ცდა, რომლითაც თვითმპყრობელობა კვლავ მიდის, გარდუვალად მიდის კრახისაკენ, მას კვლავ მივყავართ ჩვენ 1905 წლის სახელოვანი ეპოქისა და სახელოვანი ბრძოლების განმეორებისაკენ. მაგრამ ის მიდის არა ისე, როგორც 1897 — 1903 წლებში მიდიოდა, ხალხი რევოლუციისაკენ მიყავს არა ისე, როგორც 1905 წლამდე მიყავდა. აი ეს «არა ისე» უნდა შეგვეძლოს გავიგოთ; უნდა შეგვეძლოს სახე ვუცვალოთ ჩვენს ტაქტიკას და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ყველა ძირითად, საყოველთაო, პირველხარისხოვან და უმნიშვნელოვანეს ამოცანას მივუმატოთ კიდევ ერთი, არცთუ ძალიან დიდი, მაგრამ ახლანდელი მომენტის, ახალი მომენტის სპეციფიკური ამოცანა: შავრაზმული სათათბიროს რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული გამოყენების ამოცანა.

როგორც ყოველი ახალი ამოცანა, ეს ამოცანა სხვებზე უფრო ძნელი ჩანს, რადგან ის ადამიანებისაგან მოითხოვს დასწავლილი ლოზუნგების არა უბრალო განმეორებას (ოტზოვისტებსა და მაქსიმოვს მხოლოდ ეს განმეორება შეუძლიათ, მეტის ჭკუა მათ არა აქვთ), არამედ ერთგვარ ინიციატივას, ჭკუის მოქნილობას, მოსაზრებულობას, ორიგინალურ ისტორიულ ამოცანაზე დამოუკიდებელ მუშაობას. მაგრამ ნამდვილად ეს ამოცანა განსაკუთრებით ძნელ ამოცანად შეიძლება მოეჩვენოთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთაც დამოუკიდებლად აზროვნება და დამოუკიდებლად მუშაობა არ შეუძლიათ: ნამდვილად კი ეს ამოცანა, როგორც მომენტის ყოველი სპეციფიკური ამოცანა, სხვებზე ადვილია, რადგან მისი გადაჭრის შესაძლებლობა მოცემულია სწორედ ახლანდელი მომენტის პირობებში. ისეთ ხანაში, როდესაც «რეაქცია მწვავეა და ძლიერდება», «საინსტრუქტორო სკოლებისა და ჯგუფების» ნამდვილად სერიოზული მოწყობის, ე. ი. ისეთი მოწყობის ამოცანის გადაჭრა, რომლის დროსაც ისინი ნამდვილად დაკავშირებული იქნებოდნენ მასობრივ მოძრაობასთან, ნამდვილად დაემორჩილებოდნენ მას, ყოვლად შეუძლებელია, რადგან ამოცანა დასახულია სულელურად, დასახულია იმ ადამიანების მიერ, ვისაც ამ ამოცანის ფორმულირება გადმოუწერია კარგი ბროშურიდან, რომელიც სხვა მომენტის პირობებს ითვალისწინებს. იმ ამოცანის გადაწყვეტა კი, რომ მასობრივ პარტიას და მასის ინტერესებს დაუმორჩილო სოციალ-დემოკრატთა სიტყვები, გამოსვლები და პოლიტიკა III სათათბიროში, — შეიძლება. ეს ადვილი საქმე არ არის, თუ «ადვილ» საქმედ ჩავთვლით დასწავლილის განმეორებას, მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება. რაც უნდა დავძაბოთ ამჟამად პარტიის მთელი ძალები, ჩვენ არ შეგვიძლია «საინსტრუქტორო სკოლების» სოციალ-დემოკრატიული (და არა ანარქისტული) მოწყობის ამოცანები გადავწყვიტოთ ახლანდელ, «რევოლუციათაშორისო» მომენტში, რადგან ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა სულ სხვა ისტორიული

პირობები. პირიქით, მთელი ძალების დაძაბვით, ჩვენ გადავწყვეტთ III სათათბიროს რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული გამოყენების ამოცანას (და ჩვენ უკვე ვიწყებთ მის გადაწყვეტას), — გადავწყვეტთ მას არა იმისათვის, — ოჰ, გაძევების გამო განაწყენებულნო და ღვთისგან განაწყენებულნო ოტზოვისტებო და ულტიმატისტებო! — რომ პარლამენტარიზმი რაღაც მაღალ კვარცხლბეკზე ავიყვანოთ, მივიღოთ «პარლამენტარიზმი რადაც უნდა დაჯდეს», არამედ იმისათვის, რომ დღევანდელი «რევოლუციათაშორისო» მომენტის შესაბამისი «რევოლუციათაშორისო» ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ გადავიდეთ იმ უფრო მაღალი რევოლუციური ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც ხვალინდელი, უფრო მაღალი, ე. ი. უფრო რევოლუციური მომენტის შესაბამისი იქნებიან.

III

ოტზოვიზმის ნამდვილი ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით უცნაურია მაქსიმოვისა და კომპანიის ეს სულელური ღრიანცელი ბოლშევიკების «პარლამენტარიზმზე რადაც უნდა დაჯდეს». უცნაურია, რომ პარლამენტარიზმის გაზვიადებაზე აყვირდნენ სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული მიმართულება შექმნეს და ქმნიან მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტარიზმისადმი თავიანთი დამოკიდებულების საკითხში! რას უწოდებთ თქვენ თვითონ თქვენს თავს, დიდად პატივცემულო მაქსიმოვ და კომპანიავ? თქვენს თავს თქვენ უწოდებთ «ოტზოვისტებს», «ულტიმატისტებს», «ბოიკოტისტებს». მაქსიმოვი დღემდე ვერ დამტკბარა თავისი თავის, როგორც III სათათბიროს ბოიკოტისტის, ცქერით და თავის იშვიათ პარტიულ გამოსვლებს უსათუოდ თან ურთავს ხელმოწერას: «ბოიკოტისტების მომხსენებელი 1907 წლის ივლისის კონფერენციაზე» [15]. ძველად ერთი მწერალი ასე აწერდა ხელს: «ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი და კავალერი». მაქსიმოვი ხელს აწერს: «ბოიკოტისტების მომხსენებელიო» — ესეც ხომ კავალერია!

იმ პოლიტიკური მდგომარეობის დროს 1907 წლის ივნისში, როცა მაქსიმოვი ბოიკოტს იცავდა, შეცდომა ჯერ კიდევ სულ, სულ მცირეოდენი იყო. მაგრამ როცა 1909 წლის ივლისში მაქსიმოვი თავისებური მანიფესტით გამოდის და კვლავ შესტრფის თავის «ბოიკოტიზმს» III სათათბიროს მიმართ, ეს უკვე მთლად სისულელეა. ბოიკოტიზმიც, ოტზოვიზმიც, ულტიმატიზმიც — უკვე მარტოკა ეს გამოთქმები ნიშნავს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს შექმნას პარლამენტარიზმისადმი დამოკიდებულების საკითხის და მ ხ ო ლ ო დ ამ საკითხის გამო. ამ საკითხის გამო გამოცალკევება კი, ამ საკითხის გამო გამოცალკევების განგრძობა (ორი წლის შემდეგ მას მერე, რაც პარტიამ საქმე პრინციპულად გადაწყვიტა!), — ეს უსაზღვრო გონებაშეზღუდულობის ნიშანია. სწორედ ისინი, ვინც ასე იქცევა, ე. ი. «ბოიკოტისტებიც» (1909 წლისა), ოტზოვისტებიც, ულტიმატისტებიც ა მ ი თ ამტკიცებენ, რომ ისინი აზროვნებენ არა სოციალ-დემოკრატიულად, რომ მათ პარლამენტარიზმი აჰყავთ საგანგებო კვარცხლბეკზე, რომ ანარქისტების სავსებით ანალოგიურად ისინი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს ქმნიან ცალკეული რეცეპტებისაგან: ბოიკოტი გამოეცხადოს ამა და ამ სათათბიროს, გამოწვეულ იქნან ამა და ამ სათათბიროდან, წარედგინოს ულტიმატუმი ამა და ამ ფრაქციას სათათბიროშიო. ამგვარად მოქცევა ნიშნავს სწორედ იმას, რომ კარიკატურული ბოლშევიკი იყო. ბოლშევიკების მიმართულება განისაზღვრება მათი ს ა ე რ თ ო შეხედულებით რუსეთის რევოლუციაზე, და ბოლშევიკებს ათასჯერ აღუნიშნავთ ხაზგასმით (თითქოსდა წინასწარ აფრთხილებდნენ პოლიტიკურ უსწავლელებს), რომ ბოიკოტიზმთან ან მებრძოლიზმთან ბოლშევიზმის გაიგივება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა სულელური დამახინჯება და გაუგვანებაა. ჩვენი შეხედულება, რომ სოციალ-დემოკრატები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ III სათათბიროში, მაგალითად, გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გამომდინარეობს ჩვენი შეხედულებიდან თანამედროვე მომენტზე, თვითმპყრობელობის ცდებზე — გადადგას ნაბიჯი წინ ბურ-

ჟუაზიული მონარქიის შექმნის გზაზე, ჩვენი შეხედულებიდან სათათბიროს იმ მნიშვნელობაზე, რაც მას აქვს როგორც კონტრრევოლუციური კლასების ორგანიზაციას საერთო-ნაციონალური მასშტაბის წარმომადგენლობითს დაწესებულებაში. როგორც ანარქისტები ამჟღავნებენ უკუღმა გადმობრუნებულ პარლამენტურ კრეტინიზმს, როდესაც ისინი პარლამენტის საკითხს გ ა მ ო ყ ო ფ ე ნ საერთოდ ბურჟუაზიული საზოგადოების ერთი მთლიანი საკითხიდან და ცდილობენ შექმნან მიმართულება ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საწინააღმდეგო წამოძახილებისაგან (თუმცა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კრიტიკა პრინციპულად იმგვარივეა, რაც ბურჟუაზიული პრესის, ბურჟუაზიული სინდიკალიზმის და სხვათა კრიტიკა), — ასევე ჩვენი ოტზოვისტ-ულტიმატისტ-ბოიკოტისტები ამჟღავნებენ სრულიად ამგვარსავე უკუღმა გადმობრუნებულ მენშევიზმს, როდესაც ისინი გ ა მ ო ი ყ ო ფ ი ა ნ მიმართულებად სათათბიროსადმი დამოკიდებულების საკითხის გამო, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა საკითხის გამო (და არა იმ ბურჟუაზიულ ლიტერატორთა გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა საკითხის გამო, რომლებიც გზადაგზა შემოირბენენ ხოლმე სოციალ-დემოკრატიაში, და სხვ.).

ეს უკუღმა გადმობრუნებული პარლამენტური კრეტინიზმი უკიდურეს საზღვრამდე მივიდა მოსკოველი ოტზოვისტების იმ ბელადის განთქმულ მსჯელობაში, რომელსაც ხელს აფარებს მაქსიმოვი: ფრაქციის გამოწვევამ ხ ა ზ ი უნდა გ ა უ ს ვ ა ს იმას, რომ რევოლუცია დასამარებული არ არისო! მაქსიმოვს კი არ რცხვენია წარბშეუხრელად განაცხადოს საჯაროდ: «ოტზოვისტებს არასოდეს (ჰო, რასაკვირველია, ა რ ა ს ო დ ე ს!) არ გამოუთქვამთ აზრი საზოგადოდ ანტიპარლამენტარიზმის მნიშვნელობითო».

მაქსიმოვისა და კომპანიის მიერ ოტზოვისტებისთვის ეს ხელის დაფარება ახალი ფრაქციის ფიზიონომიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია, და ჩვენ მიდ უფრო

დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ამ ნიშანზე იმიტომ, რომ საქმეს გაუცნობელი საზოგადოება განსაკუთრებით ხშირად ეგება აქ მწარედ მოწუწუნე გაძევებულთა ანკესზე. ხელის დაფარება, ჯერ-ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმოვი და კომპანია განუწყვეტლივ აცხადებენ მკერდზე მჯიღის ცემით: ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, ჩვენ სულაც არ ვიზიარებთ ოტზოვისტების აზრებსო! მეორე, მაქსიმოვი და კომპანია ბოლშევიკებს ბრალად სდებენ ოტზოვისტების წინააღმდეგ ბრძოლის გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ა ს. ზ უ ს ტ ა დ მეორდება რაბოჩაიამისლელებთან რაბოჩეედელოელთა დამოკიდებულების (1897 — 1901 წლებში) ისტორია. ჩვენ ეკონომისტები არა ვართ, — მკერდზე მჯიღის ცემით გაიძახოდნენ რაბოჩეედელოელები, — ჩვენ არ ვიზიარებთ «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ ი ს» შეხედულებებს, ჩვენ ვედავებით მას (სწორედ ისევე, როგორც მაქსიმოვი «ედავებოდა» ოტზოვისტებს!), ეს მხოლოდ ბოროტმა ისკრელებმა მოგვდეს შარი, ცილი დაგვწამეს, «გააზვიადეს» ეკონომიზმიო და სხვ., და ა. შ., და სხვ.. ამიტომ რაბოჩაიამისლელთა — აშკარა და პატიოსან ეკონომისტთა — შორის იყო მრავალი ადამიანი, რომელნიც გულწრფელად ცდებოდნენ, იცავდნენ რა შეუპოვრად თავიანთ აზრს, და რომელნიც უსათუოდ პატივისცემის ღირსნი იყვნენ; — «რაბოჩეე დელოს» საზღვარგარეთელ კომპანიაში კი სჭარბობდა სპეციფიკური ინტრიგანობა, კვალის დაფარვა, კუკუმალულობას თამაში, საზოგადოების მოტყუება. ზუსტად ასეთივეა თანამიმდევარი და აშკარა ოტზოვისტების (როგორიც არიან პარტიული წრეებისათვის ცნობილი ვსევ.[16] და სტან.[17]) დამოკიდებულება მაქსიმოვის საზღვარგარეთელი კომპანიისადმი.

ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, — გაიძახის ეს კომპანია. მაგრამ აიძულეთ რომელიმე მათგანი ორიოდე სიტყვა თქვას თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ, და თქვენ მთლიანად მოისმენთ ყველა ოტზოვისტურ მსჯელობას, იეზუიტური შენიშვნების, დამატებების, დაფარვის, შერბილებების, დახლართვებისა და სხვა

წყლით ოდნავ შერეულს (როგორც ეს მაქსიმოვთან ვნახეთ). ეს იეზუიტიზმი კი არ განთავისუფლებთ თქვენ, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო, ოტზოვისტური მოუაზრებლობის ბრალდებისაგან, არამედ აათკეცებს თქვენს დანაშაულს, რადგან შენიღბული იდეური დომხალი ასჯერ უფრო მეტად რყვნის პროლეტარიატს, ასჯერ უფრო მეტად ვნებს პარტიას *.

ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, — გაიძახიან მაქსიმოვი და კომპანია. ამავე დროს კი 1908 წლის ივნისიდან, «პროლეტარის» ვიწრო რედაქციიდან გასვლის შემდეგ, მაქსიმოვმა შექმნა ოფიციალური ოპოზიცია კოლეგიის შიგნით, მოითხოვა და მიიღო დისკუსიის თავისუფლება ამ ოპოზიციისათვის, მოითხოვა და მიიღო განსაკუთრებული წარმომადგენლობა ოპოზიციისათვის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს აღმასრულებელ ორგანოებში, რომლებიც დაკავშირებული არიან გაზეთის გავრცელებასთან. თავისთავად ცხადია, რომ, იმავე დროიდან დაწყებული, ე. ი. ერთ წელზე მეტია, ყველა ოტზოვისტი ყოველთვის იმყოფებოდა ამ ოპოზიციის რიგებში, რომელიც ერთობლივად აწყობდა რუსეთის აგენტურას, ერთობლივად აგვარებდა აგენტურის მიზნით საზღვარგარეთის სკოლის (მის შესახებ ქვემოთ) საქმეს და სხვ. და სხვ.

ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, — გაიძახიან მაქსიმოვი და კომპანია. ამავე დროს კი სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე 1908 წლის დეკემბერში, როდესაც უფრო პატიოსანი ოტზოვისტები ამ ოპოზიციის შემადგენლობიდან

* პატარა მაგალითი, რომელიც, სხვათა შორის, ნათელყოფს, რამდენად მართალია მაქსიმოვი, როცა ირწმუნება, თითქოს მ ა რ ტ ო «პროლეტარი» სწამებს ცილს ულტიმატისტებს თავისი ღვარძლიანობის გამო. 1908 წლის შემოდგომაზე პოლონეთის სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე გამოცხადდა ალექსინსკი და იქ წაიყენა ულ ტ ი მ ა ტ ი ს ტ უ რ ი რეზოლუცია. ეს იყო მ ა ნ ა მ დ ე, ს ა ნ ა მ «პროლეტარში» დაიწყებოდა გადამწყვეტი კამპანია ახალი ფრაქციის წინააღმდეგ. და რა მოხდა? პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა სასაცილოდ აიგდეს ალექსინსკი და მისი რეზოლუცია, მათ ალექსინსკის უთხრეს: «თქვენ მხოლოდ მხდალი ოტზოვისტი ხართ და მეტი არაფერიო».

მთელი პარტიის წინაშე გამოიყვნენ ცალკე ჯგუფად, ცალკე იდეურ მიმდინარეობად და როგორც ასეთმა უფლება მიიღეს თავისი ორატორი წამოეყენებინათ (კონფერენციაზე დადგენილ იქნა, რომ მხოლოდ ცალკე იდეურ მიმართულებებს ან ცალკე ორგანიზაციებს შეუძლიათ წამოაყენონ — ვადის სიმცირის გამო — ცალკე ორატორი), — ოტზოვისტური ფრაქციიდან ო რ ა ტ ო რ ი აღმოჩნდა — წმინდა შემთხვევითი მიზეზით! სრულიად შემთხვევითი მიზეზით! — ამ ხ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ი...

პარტიის ამ მოტყუებას ოტზოვიზმისთვის ხელის დაფარების გზით მაქსიმოვის საზღვარგარეთელი ჯგუფი სისტემატურად მიმართავს. 1908 წლის მაისს ოტზოვიზმმა მარცხი განიცადა აშკარა ბრძოლაში: ის 18 ხმით 14-ის წინააღმდეგ ჩააფლავა საერთო-საქალაქო კონფერენციამ მოსკოვში (ამ რაიონში 1907 წლის ივლისს უკლებლივ თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი ბოიკოტისტი იყო, მაგრამ მათ, მაქსიმოვისაგან განსხვავებით, უკვე 1908 წლის ივნისისათვის შესძლეს გაეგოთ, რომ III სათათბიროს «ბოიკოტის» დაკინებით დაცვა მიუტევებელი სისულელე იქნებოდა). ამის შ ე მ დ ე გ ამ ხ. მაქსიმოვი საზღვარგარეთ აწყობს ფორმალურ ოპოზიციას «პროლეტარის» მიმართ და იწყებს მანამდე პრაქტიკაში არასდროს არნახულ დისკუსიას ბოლშევიკური პერიოდული ორგანოს ფურცლებზე. და აი, როდესაც 1908 წლის შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე, სრულიად რუსეთის კონფერენციის დელეგატების არჩევნების დროს, მ თ ე ლ ი პეტერბურგის ორგანიზაცია იყოფა ოტზოვისტებად და ნეზოვისტებად (მუშების გამოთქმაა), როდესაც პეტერბურგის ყ ვ ე ლ ა რაიონსა და ქვერაიონში დისკუსიები წარმოებს არა ბოლშევიკებისა და მენშევიკების, არამედ ოტზოვისტებისა და ნეზოვისტების პლატფორმის მიხედვით, — ო ტ ზ ო ვ ი ს ტ ე ბ ი ს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს უ მ ა ლ ა ვ ე ნ. ამ პლატფორმას «პროლეტარს» არ ატყობინებენ. მას პრესაში არ აქვეყნებენ. 1908 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე მას არ ატყობინებენ

პარტიას. მხოლოდ კონფერენციის შემდეგ, რედაქციის დაჟინებითი მოთხოვნით, ეს პლატფორმა ჩამოგვიტანეს და ჩვენ დავბეჭდეთ «პროლეტარის» 44-ე ნომერში («პეტერბურგელი ოტზოვისტების რეზოლუცია»).

მოსკოვის ოლქში ოტზოვისტების ყველასთვის ცნობილმა ბელადმა «რედაქცია გაუკეთა» «რაბოჩეე ზნამიას»[18] მე-5 ნომერში მოთავსებულ მუშა ოტზოვისტის სტატიას, მაგრამ ბელადის საკუთარი პლატფორმა ჩვენ დღემდე ვერ მივიღეთ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ჯერ კიდევ 1909 წლის გაზაფხულზე, როცა მიმდინარეობდა მზადება ცენტრალური სამრეწველო რაიონის საოლქო კონფერენციისათვის, ოტზოვისტების ბელადის პლატფორმას კითხულობდნენ და ის ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩვენ ბოლშევიკების ცნობებიდან ვიცით, რომ ამ პლატფორმაში არასოციალ-დემოკრატიული მსჯელობის მარგალიტები კიდევ უფრო შეუდარებლად მეტი იყო, ვიდრე პეტერბურგის პლატფორმაში. მაგრამ პლატფორმის ტექსტი ჩვენ მაინც არ მოგვაწოდეს, — ალბათ, ისევ ისეთივე შემთხვევითი, სავსებით შემთხვევითი მიზეზით, რომლითაც ლაპარაკობდა კონფერენციაზე ოტზოვისტების ფრაქციის რწმუნებით აღჭურვილი მაქსიმოვი.

ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების საკითხიც მაქსიმოვმა და კომპანიამ მიაფუჩეჩეს «ლამაზი» ფრაზით იმის შესახებ, რომ ეს «თავისთავად იგულისხმებაო». საინტერესოა ვიცოდეთ, «თავისთავად იგულისხმება თუ არა» ეს ახლა მაქსიმოვის ფრაქციის პრაქტიკული ბელადებისთვისაც — ამ ხ. ლიადოვისა და .სტანისლავისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ სამი თვის წინათ გაატარეს მაშინ მათ ხელში მყოფ ცენტრალურ-სამრეწველო ოლქის ბიუროში (სწორედ იმ შემადგენლობის საოლქო ბიუროში, რომელმაც დაამტკიცა ყბადაღებული «სკოლა»; საოლქო ბიუროს შემადგენლობა ახლა შეიცვალა) რეზოლუცია საფაბრიკო-საქარხნო ექიმების ყრი-

ლობაში[19] სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ეს იყო პირველი ყრილობა, რომელზედაც რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები უმრავლესობას შეადგენდნენ. და ამ ყრილობაში მონაწილეობის წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას ყველა უაღრესად გამოჩენილი ოტზოვისტი და ულტიმატისტი, რომლებიც ყრილობაში მონაწილეობას «პროლეტარიატის საქმისადმი ღალატად» აცხადებდნენ. მაქსიმოვი კი ამას მალავს — «თავისთავად იგულისხმება». «თავისთავად იგულისხმება» ის, რომ უფრო გულახდილი ოტზოვისტები და ულტიმატისტები აშკარად ძირს უთხრიან რუსეთში პრაქტიკულ მუშაობას, მაქსიმოვი და კომპანია კი, რომელთაც კრიჩევსკისა და მარტინოვის დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევთ, საქმის დედაარსს ჩქმალავენ: არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ არის, ლეგალურ საშუალებათა გამოყენების არავითარი მოწინააღმდეგე არ არსებობსო.

საზღვარგარეთული პარტიული ორგანოების, კავშირურთიერთობის მომწყობი საზღვარგარეთული ჯგუფებისა და სხვათა აღდგენა გარდუვალად იწვევს ბოროტად გამოყენების ძველი შემთხვევების განმეორებასაც, რომელთა წინააღმდეგ აუცილებელია უაღრესად ულმობელი ბრძოლა. სავსებით მეორდება ისტორია «ეკონომისტებისა», რომლებიც რუსეთში აგიტაციას ეწეოდნენ პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგ, საზღვარგარეთ კი «რაბოჩეე დელოს» ეფარებოდნენ. სავსებით მეორდება ისტორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული «კრედოსი» (კრედო = რწმენის სიმბოლო), რომლის პროპაგანდასაც ეწეოდნენ რუსეთში პროკოპოვიჩი და კომპანია და რომელიც ავტორთა ნებასურვილის წინააღმდეგ გამოამზეურეს პრესაში რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა. არაფერია პარტიის გამხრწნელი იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ეს კუკუმალულობას თამაში, ვიდრე არალეგალური მუშაობის მძიმე პირობების ეს გამოყენება პარტიული საჯაროობის წინააღმდეგ, ვიდრე ეს იეზუიტიზმი, როცა მაქსიმოვი და კომპანია

სავსებით და ყველაფერში ოტზოვისტებთან ხელიხელჩაკიდებული მოქმედებენ, იმავე დროს კი პრესაში მკერდზე მჯილს იცემენ და ირწმუნებიან, მთელ ამ ოტზოვიზმს «პროლეტარი» განზრახ აზვიადებსო.

ჩვენ შარიანი ხალხი, ფორმალისტები კი არა, რევოლუციური მუშაობის ადამიანები ვართ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის სიტყვიერი განსხვავება, რომელიც შეიძლება ოტზოვიზმსა, ულტიმატიზმსა და «ბოიკოტიზმს» (III სათათბიროს მიმართ) შორის აღვნიშნოთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის ნამდვილი შინაარსი. და თუ, ბოლშევიზმის საფარით, რუსეთის არალეგალურ წრეებში ქადაგებენ ისეთ შეხედულებებს, რომელთაც არც ბოლშევიზმთან და არც საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიზმთან საერთო არაფერი აქვთ, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ამ შეხედულებათა სავსებით გამოაშკარავებას, მათი მცდარობის სავსებით განმარტებას მთელი პარტიის წინაშე, ასეთი ადამიანები მოქმედებენ, როგორც პროლეტარიატის მტრები.

IV

ღვთისმშენებლობის საკითხშიც ამ ხალხმა აგრეთვე გამოააშკარავა თავისი თავი. «პროლეტარის» გაფართოებულმა რედაქციამ ამ საკითხზე მიიღო და გამოაქვეყნა ორი რეზოლუცია: ერთი — საქმის დედაარსის შესახებ, მეორე — სპეციალურად მაქსიმოვის პროტესტის გამო. კითხვა ისმის: რას ამბობს ახლა ეს მაქსიმოვი თავის «ანგარიშში»? იგი «ანგარიშს» წერს იმისათვის, რომ კვალი დაფაროს — სწორედ იმ დიპლომატის ყაიდაზე, რომელიც ამბობდა, ადამიანს ენა იმისათვის აქვს, რომ თავისი აზრები დაფაროსო [26]. ავრცელებენ რაღაც «არასწორ ცნობებს» მაქსიმოვის კომპანიის «თითქოსდა ღვთისმშენებლური» მიმართულების შესახებ, — ეს არის და ესო.

«არასწორი ცნობებიო» — ამბობთ თქვენ? ოჰ, არა, დიდად პატივცემულნო, თქვენ სწორედ იმიტომ დაფარეთ აქ კვალი,

რომ მშვენივრად იცით: ის «ცნობები», რაც «პროლეტარს» ღვთისმშენებლობის შესახებ მოეპოვება, სავსებით სწორია. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ეს «ცნობები», როგორც ეს გადმოცემულია კიდეც გამოქვეყნებულ რეზოლუციაში, შეეხება უწინარეს ყოვლისა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, რომლებიც თ ქ ვ ე ნ ი ლიტერატორთა კომპანიიდან გამოდის. ეს ლიტერატურული ნაწარმოებნი უაღრესი სიზუსტით არის მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ი ჩვენს რეზოლუციაში; ოღონდ მასში დამატებული არ არის, — არ შეიძლებოდა რეზოლუციაში დამატებული ყოფილიყო, — რომ დაახლოებით წელიწადნახევარია, რაც ბოლშევიკების ხელმძღვანელ წრეებში მეტად დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ თქვენი თანამებრძოლების «ღვთისმშენებლობის» გამო და რომ სწორედ ამ ნიადაგზე (გარდა ზემოაღნიშნული ნიადაგისა) კარიკატურულ ბოლშევიკთა ახალი ფრაქცია მუშაობის ყოველგვარ შესაძლებლობას გვიშხამავდა ჩვენ ფანდებით, ვერაგობით, შარის მოდებით, პრეტენზიებით, ხრიკებით. ამ ხრიკთაგან ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ხრიკს განსაკუთრებით კარგად იცნობს მაქსიმოვი, რადგან ეს არის დაწერილი და «პროლეტარის» რედაქციაში ფორმალურად შეტანილი პ რ ო ტ ე ს ტ ი სტატიის — «სხვადასხვა გზით» მოთავსების («პროლეტარი», № 42) წინაალმდეგ. იქნებ, ესეც «არასწორი ცნობებია», ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო? იქნებ, ესეც «თითქოსდა პროტესტი» იყო?

არა, იცით რა, კვალის დაფარვის პოლიტიკა ყოველთვის როდი ხერხდება, ჩვენს პარტიაში კი მას თქვენ ვერასოდეს ვერ მოახერხებთ. სრულიადაც არ არის საჭირო კუკუმალულობას თამაშობდე და მანჭვა-გრეხით ცდილობდე საიდუმლოებად აქციო ის, რაც იცის ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია რუსული ლიტერატურითა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიით. არსებობს ლიტერატორთა კომპანია, რომელიც რამდენიმე ბურჟუაზიული გამომცემლობის დახმარებით ავსებს ჩვენს ლეგალურ ლიტერატურას ღვთისმშენებლობის სისტემატური ქადაგებით. ამ კომპანიას ეკუთვნის მაქსიმოვიც. ამ ქადაგებამ სისტემატური ხასიათი მიიღო სწორედ უკანასკნელი ერთნახევარი

წლის განმავლობაში, როდესაც რუსეთის ბურჟუაზიას მისი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის დ ა ს ჭ ი რ დ ა გამოეცოცხლებინა რელიგია, გაედიდებინა რელიგიის მოთხოვნა, შეეთხზა რელიგია, დაენერგა ან ახლებურად განემტკიცებინა ხალხში რელიგია. ამიტომ ღვთისმშენებლობის ქადაგებამ საზოგადოებრივი, პოლიტიკური ხასიათი მიიღო. როგორც რევოლუციის პერიოდში ჰკოცნიდა და კოცნით გაასავათა ბურჟუაზიულმა პრესამ ყველაზე უფრო თავგამოდებული მენშევიკები მათი კადეტმოყვარეობისათვის, ასევე ჰკოცნის და უზომოდ კოცნის კონტრრევოლუციის პერიოდში ბურჟუაზიული პრესა ღვთისმშენებლებს — ხუმრობა ხომ არაა! — მარქსისტების წრიდან და «ვითომ ბოლშევიკების» წრიდანაც კი. და როდესაც ბოლშევიზმის ოფიციალურმა ორგანომ სარედაქციო სტატიაში განაცხადა, ბოლშევიზმისა და ამგვარი ქადაგების გ ზ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა ო (ეს განცხადება პრესაში გაკეთდა მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა უამრავი ცდა — წერილებისა და პირადი საუბრების გზით აეძულებინათ შეეწყვიტათ სამარცხვინო ქადაგება), — მაშინ ამხ. მაქსიმოვმა ფორმალური წერილობითი პროტესტი შეიტანა «პროლეტარის» რედაქციაში. იგი, მაქსიმოვი, ლონდონის ყრილობის მიერ არის არჩეული, და ამიტომ მისი «შეძენილი უფლება» დაარღვიეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც გაბედეს ოფიციალურად უარეყოთ ღვთისმშენებლობის სამარცხვინო ქადაგებაო. «როგორ, ჩვენი ფრაქცია ღვთისმშენებელ ლიტერატორთა კაბალაშია, თუ რა!» ეს შენიშვნა აღმოხდა რედაქციაში მომხდარი მღელვარე სცენის დროს ა მ ხ. მ ა რ ა ტ ს [21], — დიახ, დიახ, სწორედ იმ ამხ. მარატს, რომელიც იმდენად მოკრძალებული, კეთილმოსურნე, მომრიგებელი და გულკეთილია, რომ დღემდე ხეირიანად ვერ გადაუწყვეტია, ბოლშევიკებს გაჰყვეს თუ ღვთაებრივ ოტზოვისტებს.

ანდა, იქნებ, ყოველივე ეს აგრეთვე «არასწორი ცნობები»», ოჰ, უსამართლოდ გაძევებულო მაქსიმოვ? არ არსებობს ღვთისმშენებელ ლიტერატორთა არავითარი კომპანია, თქვენ

ისინი სულაც არ დაგიცავთ, თქვენ პროტესტი არ გაგიცხადებიათ სტატიის — «სხვადასხვა გზით» წინააღმდეგ? ა?

ღვთისმშენებლური მიმართულების შესახებ «არასწორ ცნობებზე» ამხ. მაქსიმოვი ლაპარაკობს თავის «ანგარიშში» იმ საზღვარგარეთული სკოლის გამო, რომელსაც ახალი ფრაქცია აწყობს. ამხ. მაქსიმოვი ისე გულმოდგინედ უსვამს ხაზს ამ «პირველი (ხაზგასმა მაქსიმოვისაა) პარტიული სკოლის მოწყობას საზღვარგარეთ», ისე გულმოდგინედ უხვევს თვალს საზოგადოებას ამ საკითხში, რომ საჭიროა ყბადაღებული «სკოლის» შესახებ ითქვას უფრო დაწვრილებით.

ამხ. მაქსიმოვი მწარედ სჩივის:

«(«პროლეტარის») რედაქციას არა მარტო ერთხელაც არ უცდია დახმარებოდა სკოლას, არამედ თუნდაც აეღო ხელში მისი კონტროლი; რედაქცია ავრცელებდა კაცმა არ იცის საიდან მიღებულ ყალბ ცნობებს სკოლის შესახებ და არც ერთხელ არ შეჰკითხვია სკოლის ორგანიზატორებს ამ ცნობების შემოწმების მიზნით. ასეთი იყო რედაქციის დამოკიდებულება მთელი ამ საქმისადმი».

აგრე. აგრე. «ერთხელაც არ უცდია თუნდაც აეღო ხელში სკოლის კონტროლიო»... მაქსიმოვის იეზუიტიზმი ამ ფრაზაში იქამდე მივიდა, რომ თავის თავს თვითონვე ააშკარავებს.

გაიხსენეთ, მკითხველო, ეროგინის საერთო საცხოვრებელი პირველი სათათბიროს ხანაში. სამსახურიდან გადამდგარმა ერობის უფროსმა (თუ საზოგადოდ ვიღაც ამგვარმა მოხელე კავალერმა) ეროგინმა პეტერბურგში მოაწყო საერთო საცხოვრებელი ჩამოსული გლეხთა დეპუტატებისათვის, რადგან უნდოდა ხელი შეეწყო «მთავრობის განზრახვებისათვის». დედაქალაქში მოხვედრილ გამოუცდელ სოფლელ გლეხებს ეროგინის აგენტები ხელში იგდებდნენ და გზავნიდნენ ეროგინის საერთო საცხოვრებელში, სადაც, ცხადია, მათ ხვდებოდა სკოლა, რომელშიც აბათილებდნენ «მემარცხენეთა» უკუღმართ მოძღვრებებს, ლაფში სვრიდნენ ტრუდოვიკებს და სხვა, რომელშიც სათათბიროს ახალ წევრებს ასწავლიდნენ დიდ «ჭეშმარიტ-რუსულ» სახელმწიფოებრივ სიბრძნეს. საბედნიეროდ,

იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო სათათბირო პეტერბურგში იმყოფებოდა, ეროგინი აიძულა თავისი საერთო საცხოვრებელი პეტერბურგშივე მოეწყო, ხოლო რადგან პეტერბურგი იდეური და პოლიტიკური ცხოვრების საკმაოდ ფართო და თავისუფალი ცენტრია, ცხადია, ეროგინელმა დეპუტატებმა ძალიან მალე დაიწყეს ეროგინის საერთო საცხოვრებლის მიტოვება და ტრუდოვიკების ბანაკში ან დამოუკიდებელ დეპუტატთა ბანაკში გადაბარგება. ეროგინის წამოწყებიდან მხოლოდ ის გამოვიდა, რომ ეროგინმაც და მთავრობამაც თავი შეირცხვინეს.

ახლა წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ეროგინის ამდაგვარი საერთო საცხოვრებელი მოწყობილია არა საზღვარგარეთის რომელიღაც პეტერბურგში, არამედ საზღვარგარეთის რომელიღაც ცარევოკოკშაისკში. თუ თქვენ ამას წარმოიდგენთ, უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ოტზოვისტ-ღვთისმშენებელმა ეროგინებმა ევროპასთან თავიანთი ნაცნობობა იმისათვის გამოიყენეს, რათა ჭეშმარიტ რუს ეროგინზე უფრო ცბიერად იმოქმედონ. ადამიანებმა, რომლებიც თავს ბოლშევიკებს უწოდებენ, შექმნეს თავიანთი სალარო, — დამოუკიდებელი იმ ერთადერთი, რამდენადაც ვიცით, საერთო-ბოლშევიკური სალაროსაგან, რომლიდანაც იფარება «პროლეტარის» გამოცემისა და გავრცელების ხარჯები, — მოაწყეს თავიანთი აგენტურა, თავი მოუყარეს რამდენიმე «თავიანთ» აგიტატორს ცარევოკოკშაისკში, ჩაიყვანეს იქ რამდენიმე პარტიული სოციალ-დემოკრატი მუშა და ეროგინის ეს (პარტიისაგან ცარევოკოკშაისკში დამალული) საერთო საცხოვრებელი გამოაცხადეს «პ ი რ ვ ე ლ პარტიულ» (პარტიულ — იმიტომ, რომ პარტიისაგან დამალულია) «სკოლად საზღვარგარეთ».

ვიჩქარით შევნიშნოთ — იმის გამო, რომ გაძევებულმა ამხ. მაქსიმოვმა განსაკუთრებული გულმოდგინებით აღძრა საკითხი: კანონიერია თუ უკანონო მისი გაძევება (ამ საკითხზე ქვემოთ) — ვიჩქარით შევნიშნოთ, რომ ოტზოვისტ-ღვთისმშენებელ ეროგინელების მოქმედებაში «უკანონო» სრულიად არაფერია. აბსოლუტურად არაფერი. აქ ყველაფერი სავსებით კანონიერია. კანონიერია ის, რომ თანამოაზრენი პარტიაში ერ-

თად ჯგუფდებიან. კანონიერია ის, რომ თანამოაზრენი ქმნიან სალაროს და საფუძველს უყრიან ერთ საერთო საპროპაგანდო-საააგიტაციო წამოწყებას. კანონიერია ის, რომ მათ უნდათ ამ წამოწყების ფორმად ახლანდელ მომენტში აირჩიონ, ვთქვათ მაგალითად, არა გაზეთი, არამედ «სკოლა». კანონიერია ის, რომ ისინი მას ოფიციალურად თვლიან პარტიულ სკოლად, რაკი მას აწყობენ პარტიის წევრები და რაკი არსებობს პარტიის თუნდაც ერთი რომელიღაც ორგანიზაცია, რომელიც კისრულობს პოლიტიკურ და იდეურ პასუხისმგებლობას წამოწყებისათვის. აქ ყველაფერი სავსებით კანონიერია და ყველაფერი ძალიან კარგად იქნებოდა, რომ... რომ ადგილი არ ჰქონდეს იეზუიტიზმს, ადგილი არ ჰქონდეს თვალთმაქცობას, ადგილი არ ჰქონდეს თავისი საკუთარი პარტიის მოტყუებას.

განა ეს პარტიის მოტყუება არ არის, თუ თქვენ საჯაროდ ხაზს უსვამთ სკოლის პარტიულობას, ე. ი. კმაყოფილდებით მისი ფორმალური კანონიერების საკითხით და ა რ ა ს ა ხ ე ლ ე ბ თ სკოლის ინიციატორთა და მომწყობთა ვ ი ნ ა ო ბ ა ს, ე. ი. საიდუმლოდ ინახავთ სკოლის, როგორც ჩვენს პარტიაში ა ხ ა ლ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს წამოწყების, იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებას? «პროლეტარის» რედაქციაში ამ სკოლის შესახებ ორი «ქაღალდი» იყო (რედაქციასა და მაქსიმოვს შორის უკვე წელიწადზე მეტია ურთიერთობაა მხოლოდ «ქაღალდებისა» და დიპლომატიური ნოტების საშუალებით). პირველი ქაღალდი სრულიად ხელმოუწერელი იყო, მას აბსოლუტურად არავინ ხელს არ აწერდა — იქ იყო მხოლოდ მსჯელობა განათლების სარგებლობისა და იმ დაწესებულებათა საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც სკოლები ეწოდება. მეორე ქაღალდს ხელს აწერდნენ გარეშე პირები. ახლა, როცა საზოგადოების წინაშე პრესის საშუალებით გამოდის და «საზღვარგარეთის პირველ პარტიულ სკოლას» აქებს, ამბ. მაქსიმოვი კვლავ ა რ ა ფ ე რ ს ა მ ბ ო ბ ს სკოლის ფ რ ა ქ ც ი უ ლ ი ხასიათის შესახებ.

იეზუიტიზმის ეს პოლიტიკა პარტიას ზიანს აყენებს. ამ «პოლიტიკას» ჩვენ გამოვააშკარავებთ. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი

სკოლის ინიციატორები და მომწყობნი არიან ამხანაგები «ერ»[22] (ასე ვუწოდოთ პარტიაში ყველასთვის ცნობილ მოსკოველი ოტზოვისტების ბელადს, რეფერატებს რომ კითხულობდა სკოლის შესახებ, მოწაფეთა სკოლა რომ მოაწყო და მუშათა რამდენიმე წრემ რომ ლექტორად აირჩია), მაქსიმოვი, ლუნაჩარსკი, ლიადოვი, ალექსინსკი და ასე შემდეგ. ჩვენ არ ვიცით და არც გვაინტერესებს ვიცოდეთ, რა როლს ასრულებდა, კერძოდ, ესა თუ ის პირი ამ ამხანაგებიდან, როგორ არიან ისინი განაწილებული სკოლის სხვადასხვა ოფიციალურ დაწესებულებაში, მის «საბჭოში», მის «აღმასრულებელ კომისიაში», მის ლექტორთა კოლეგიაში და სხვა. ჩვენ არ ვიცით, რომელ «არაფრაქციულ» ამხანაგებს შეუძლიათ ამა თუ იმ ცალკე შემთხვევაში შეავსონ ეს კომპანია. ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ სკოლის, როგორც ახალი ფრაქციული ცენტრის, ნამდვილი იდეურ-პოლიტიკური მიმართულება განისაზღვრება სწორედ ჩამოთვლილი სახელებით და რომ, როდესაც ამას პარტიას უმალავს, მაქსიმოვი იეზუიტიზმის პოლიტიკას აწარმოებს. ის კი არ არის ცუდი, რომ პარტიაში ახალი ფრაქციული ცენტრი წარმოიშვა, — ჩვენ სულაც არ ვეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებიც უარს არ ამბობენ ფრაქციულობის წინააღმდეგ იაფფასიან-პოპულარული ყვირილით მცირეოდენი პოლიტიკური კაპიტალი მოიხვეჭონ, — პირიქით, ეს კარგია, რომ პარტიაში განსაკუთრებული გამოხატულების შესაძლებლობა მიიღო განსაკუთრებულმა ელფერმა, რაკი ასეთი რამ არსებობს. ცუდია ის, რომ ატყუებენ პარტიას და ატყუებენ მუშებსაც, რომლებიც თანაუგრძნობენ — თავისთავად ცხადია — ყოველგვარ სკოლას, ისე როგორც ყოველგვარ საგანმანათლებლო წამოწყებას.

განა ეს თვალთმაქცობა არ არის, როდესაც ამხ. მაქსიმოვი საზოგადოებას შესჩივის, «პროლეტარის» რედაქციამ «არც კი» («არ ც კ ი»!) ისურვა «ხელში აეღო სკოლის კონტროლიო»? წარმოიდგინეთ მხოლოდ: 1908 წლის ივნისში ამხ. მაქსიმოვი გავიდა «პროლეტარის» ვიწრო რედაქციიდან, მას შემ-

დეგ თითქმის განუწყვეტლივ ათასგვარი ფორმით მიმ-დინარეობს შინაგანი ბრძოლა ბოლშევიკურ ფრაქციაში; ალექ-სინსკი — საზღვარგარეთ, «ერ» და კომპანია — საზღვარ-გარეთ და რუსეთში ათასგვარ ყაიდაზე იმეორებენ მაქ-სიმოვთან ერთად ყოველნაირ ოტზოვისტურ-ღვთისმშენებ-ლურ მონაჩმახს «პროლეტარის» წინააღმდეგ. მაქსიმოვს წერილობითი და ფორმალური პროტესტები შეაქვს სტატიის— «სხვადასხვა გზით» წინააღმდეგ; ბოლშევიკების მომავალ აუ-ცილებელ გათიშვაზე ლაპარაკობენ ყველანი, ისინიც კი, ვინც პარტიულ საქმეებს ყურმოკვრით იცნობს (საკმარისია აღინიშ-ნოს, რომ მენშევიკმა დანმა 1908 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე საქვეყნოდ განაცხადა ოფიციალურ კრებაზე: «ვინ არ იცის, რომ ახლა ბოლშევიკები ლენინს ბრალად სდებენ ბოლშევიზმის გამცემლობასო»!), — ამხ. მაქსიმოვი კი, რომელსაც თავი უმანკო, პირდაპირ სავსე-ბით უმანკო თოთო ბავშვად მოაქვს, დიდად პატივცემულ სა-ზოგადოებას ეკითხება: ეს რატომ არის, რომ «პროლეტარის» რედაქციამ «არც კი» ისურვა ხელში აეღო პარტიული სკოლის კონტროლი ღვთისმშენებლურ ცარევოკოშაისკშიო? სკოლის «კონტროლი»! «პროლეტარის» მომხრენი «ინსპექტო-რებად», რომლებიც მაქსიმოვის, ლუნაჩარსკის, ალექსინს-კისა და კომპანიის ლექციებს ესწრებიან!! აბა რისთვის არის საჭირო ამ უღირსი, სამარცხვინო კომედიის თამაში? რისთვის? რისთვის არის საჭირო საზოგადოების თვალის ახვევა «სკოლის» არაფრისმთქმელი «პროგრამებისა» და «ანგარიშების» დაგზავ-ნით იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ და აშკარად აღიარონ ახალი ფრაქციული ცენტრის იდეური ხელმძღვანელნი და სულისჩამ-დგმელნი!

რისთვის? — ჩვენ ახლავე გავცემთ პასუხს ამ კითხვაზე, ჯერ-ჯერობით კი მოვრჩეთ სკოლის საკითხს: ცარევოკოშაისკი შეიძლება მოთავსდეს პეტერბურგში და გადავიდეს (ყოველ შემთხვევაში თავისი უმეტესი ნაწილით) პეტერბურგში. მაგრამ პეტერბურგი ვერც მოთავსდება ცარევოკოშაისკში და ვერც გადავა ცარევოკოშაისკში. ვინც ახალი პარტიული სკოლის

მოწაფეებიდან უფრო ენერგიული, უფრო დამოუკიდებელია, ის შესძლებს გამონახოს გზა ვიწრო ახალი ფრაქციდან ფართო პარტიისაკენ, ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების «მეცნიერებიდან» — საზოგადოდ სოციალ-დემოკრატიზმისა და კერძოდ ბოლშევიზმის მეცნიერებისაკენ. ხოლო ვისაც უნდა ეროგინისებური განათლებით დაკმაყოფილდეს, მათთან ვერაფერს გახდები. «პროლეტარის» რედაქცია მზად არის ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ დაეხმაროს და დაეხმარება კიდევაც ყ ვ ე ლ ა მუშას, როგორიც უნდა იყოს მათი შეხედულებანი, თუ კი ისინი მოისურვებენ საზღვარგარეთის ცარევოკოკშაისკიდან საზღვარგარეთის პეტერბურგში გადმოსახლდნენ (ან ჩამოვიდნენ) და ბოლშევიზმის შეხედულებებს გაეცნონ. «საზღვარგარეთის პ ი რ ვ ე ლ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი სკოლის» მომწყობთა და ინიციატორთა თვალთმაქცურ პოლიტიკას კი ჩვენ მთელი პარტიის წინაშე გამოვააშკარავებთ.

V

რისთვის არის საჭირო მაქსიმოვის მთელი ეს თვალთმაქცობა? — დავსვით ჩვენ კითხვა და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გადავდევით სკოლაზე საუბრის დამთავრებამდე. მაგრამ, ზუსტად რომ ვთქვათ, აქ გასარკვევია არა კითხვა «რისთვის?», არამედ კითხვა «რატომ?». სწორი არ იქნებოდა იმის ფიქრი, რომ თვალთმაქცურ პოლიტიკას ახალი ფრაქციის ყველა წევრი ეწეოდეს შეგნებულად გარკვეული მიზნით. არა. საქმე იმნაირად არის, რომ თვით ამ ფრაქციის მდგომარეობაში, მისი გამოსვლისა და მისი საქმიანობის პირობებში არის მიზეზები (მრავალ ოტზოვისტსა და ღვთისმშენებელს ისინი ვერ შეუგნია), რომელნიც თვალთმაქცურ პოლიტიკას წარმოშობენ.

დიდი ხანია უკვე ნათქვამია, რომ თვალთმაქცობა ის ხარკია, რომელსაც მანკიერება სათნოებას უხდის. მაგრამ ეს ნათქვამი პირადი მორალის სფეროს ეხება. იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებათა შესახებ უნდა ითქვას, რომ თვალთმაქ-

ცობა ის საფარია, რასაც ებღაუჭებიან შინაგანად არაერთგვაროვანი ჯგუფები, შემდგარნი სხვადასხვა ჯურის, შემთხვევით თავმოყრილი ელემენტებისაგან, რომლებიც აშკარა, პირდაპირი გამოსვლისათვის თავს სუსტად გრძნობენ.

ახალი ფრაქციის შემადგენლობა განსაზღვრავს იმას, რომ ეს ფრაქცია ამ საფარს ჩაებღაუჭა. ღვთაებრივი ოტზოვისტების ფრაქციის შტაბს შეადგენენ ფილოსოფოსები, რომელნიც არ არიან ასეთებად აღიარებულნი, სასაცილოდ აგდებული ღვთისმშენებელნი, ანარქისტულ მოუაზრებლობასა და თავხედურ რევოლუციურ ფრაზაში მხილებული ოტზოვისტები, გზაკვალაბნეული ულტიმატისტები, დასასრულ, ის (საბედნიეროდ, ბოლშევიკურ ფრაქციაში მცირეოდენი) რაზმელები, რომლებმაც თავიანთი ღირსებისათვის შეუფერებლად მიიჩნიეს გადასვლა «რევოლუციათაშორისო» ეპოქის პიროზებისა და ამოცანების შესაბამის ჩუმ, მოკრძალებულ, გარეგნულ ბრწყინვალებასა და «წარმტაცობას» მოკლებულ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობაზე და რომელთაც მაქსიმოვი საესებით აკმაყოფილებს «წარმტაცი» ფრაზით საინსტრუქტორო სკოლებისა და ჯგუფების შესახებ... 1909 წელს. ის ერთადერთი რამ, რაც სხვადასხვა ყალიბის ამ ელემენტებს ამჟამად მჭიდროდ აკავშირებს, არის «პროლეტარისადმი» მწვავე სიძულვილი და მის მიერ საესებით დაშსახურებული სიძულვილი, სიძულვილი იმისათვის, რომ ამ ელემენტების ა რ ც ე რ თ ი ცდა — მიეღოთ «პროლეტარში» თავიანთი გამოხატულება, ან თუნდაც თავიანთი არაპირდაპირი აღიარება, ანდა სულ მცირეოდენი დაცვა და საფარი, — ა რ ა ს ო დ ე ს ა რ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა უ ა ღ რ ე ს ა დ მ ტ კ ი ც ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გ ა უ წ ე ვ ლ ა დ.

«სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმედს» — აი რას ეუბნებოდა ამ ელემენტებს «პროლეტარი» თავისი ყოველი ნომრით, რედაქციის ყოველი კრებით, ყოველი გამოსვლით პარტიული ცხოვრების ამა თუ იმ მორიგ საკითხზე.

და აი, როცა მორიგი საკითხები აღმოჩნდა (ჩვენი რევოლუციისა და ჩვენი კონტრრევოლუციის განვითარების ობიექ-

ტური პირობების გამო აღმოჩნდა) ლიტერატურის დარგში — ღვთისმშენებლობა და მარქსიზმის თეორიული საფუძვლები, ხოლო პოლიტიკური მუშაობის დარგში — სოციალ-დემოკრატიის მიერ III სათათბიროსა და მისი ტრიბუნის გამოყენება, — მაშინ ეს ელემენტები შემჭიდროვდნენ და მოხდა ბუნებრივი და გარდუვალი აფეთქება.

როგორც ყოველი აფეთქება, ესეც ერთბაშად მოხდა, — არა იმ აზრით, რომ ტენდენციები წინათ არ ისახებოდა, რომ ამ ტენდენციების ცალკეულ გამოვლინებებს ადგილი არ ჰქონია, — არამედ იმ აზრით, რომ სხვადასხვა ყალიბის ტენდენციების პოლიტიკური შემჭიდროება, მათ შორის პოლიტიკას მეტად დაცილებული ტენდენციებისაც, თითქმის უეცარი აღმოჩნდა. ამიტომ ფართო საზოგადოებას მიდრეკილება აქვს, როგორც ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა აჰყვეს ახალი გათიშვის ობივატელურ ახსნას, მის ახსნას ამა თუ იმ ხელმძღვანელის რაიმე ცუდი თვისებებით, საზღვარგარეთისა და წრეობანის გავლენით და სხვა და სხვა. ეჭვი არ არის, რომ საზღვარგარეთმა, რომელიც ობიექტური პირობების გამო ყველა ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაციის საოპერაციო ბაზის აუცილებელი ადგილი გახდა, თავისი დაღი დაასვა გათიშვის ფორმას. ეჭვი არ არის, რომ ამ ფორმას დაეტყო ლიტერატორთა იმ წრის თავისებურებანიც, რომელიც თავისი ცალი მხარით შემოდიოდა სოციალ-დემოკრატიაში. ჩვენ ობივატელურ ახსნას ვუწოდებთ არა ამ გარემოებათა გათვალისწინებას, რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ გათიშვის ფორმის, საბაბთა, «გარეგანი ისტორიის» ახსნა, არამედ იმას, რომ არ სურთ ან უნარი არ შესწევთ გაიგონ აზრთა სხვადასხვაობის იდეურ-პოლიტიკური საფუძვლები, მიზეზები და ფესვები.

ახალი ფრაქციის მიერ ამ საფუძვლების გაუგებლობა წარმოადგენს აგრეთვე იმის წყაროს, რომ ეს ფრაქცია ჩაებღაუჭა ძველ საფარს და ცდილობს დაფაროს კვალი, უარყოს განუყრელი კავშირი ოტზოვიზმთან და ასე შემდეგ. ამ საფუძვლების გაუგებლობა იმას იწვევს, რომ ახალი ფრაქცია

სპეკულაციას ეწევა გათიშვის ობივატელური ახსნითა და ობივატელური თანაგრძნობით.

მართლაცდა, განა ეს ობივატელური თანაგრძნობით სპეკულაცია არ არის, როცა მაქსიმოვი და კომპანია ახლა საჯაროდ მოთქვამენ მათი «გამოპანღურების», მათი «გამოძევების» გამო? მოიღეთ თქვენი თანაგრძნობის მცირეოდენი მოწყალება, ღვთის გულისათვის, უდანაშაულოდ გამოპანღურებულთა, უსამართლოდ გამოძევებულთა მიმართ... ეს ხერხი რომ უტყუარი სისწორით არის ნავარაუდევი ობივატელური თანაგრძნობისათვის, ამას ამტკიცებს ის ორიგინალური ფაქტი, რომ ამხ. პლეხანოვმაც კი, ყოველგვარი ღვთისმშენებლობის, ყოველგვარი «ახალი» ფილოსოფიის, ყოველგვარი ოტზოვიზმის, ულტიმატიზმისა და სხვათა მტერმა, ამხ. პლეხანოვმაც კი, ისარგებლა მაქსიმოვის წუწუნით, მცირე რამ მოწყალება გაიღო, ღვთის გულისათვის, და ამ შემთხვევის გამო ბოლშევიკებს კიდევ და კიდევ უწოდა «ულმობელნი» (იხ. პლეხანოვის «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა», 1909 წ. აგვისტო). თუკი მაქსიმოვმა თანაგრძნობის მოწყალება გამოსთხოვა პლეხანოვსაც კი, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მკითხველო, მაქსიმოვისადმი თანაგრძნობის რამდენ ცრემლს დაღვრიან სოციალ-დემოკრატიაში და სოციალ-დემოკრატიის ახლო-მახლო მყოფი ობივატელური ელემენტები კარგი, კეთილგანმზრახველი და მოკრძალებული ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების «გამოპანღურებისა» და «გამოძევების» გამო.

«გამოპანღურებისა» და «გამოძევების» საკითხს ამხ. მაქსიმოვი ამუშავებს ფორმალური მხრითაც და არსებითადაც. ვნახოთ ეს დამუშავება.

ფორმალური მხრით მაქსიმოვის გამოძევება «უკანონოა», — გვეუბნებიან გაძევებულნი, — და «ჩვენ არა ვცნობთ ამ გამოძევებას», რადგან მაქსიმოვი «ბოლშევიკურმა ყრილობამ, ე. ი. პარტიული ყრილობის ბოლშევიკურმა ნაწილმა აირჩიაო». მაქსიმოვისა და ნიკოლაევის ფურცელს რომ კით-

ხულობს, საზოგადოება ხედავს მძიმე ბრალდებას («უკანონო გამოძევება»), თუმცა მას არ აძლევენ არც ბრალდების ზუსტ ფორმულირებას და არც მასალას საქმის განსასჯელად. მაგრამ ხომ სწორედ ასეთია ცნობილი მხარის მუდმივი ხერხი საზღვარგარეთ მომხდარი გათიშვების დროს: მიჩქმალოს პრინციპული უთანხმოება, დაფაროს ის, მიაფუჩეჩოს იდეური დავა, დამალოს თავისი იდეური მეგობრები და რაც შეიძლება მეტი იხმაუროს ორგანიზაციული კონფლიქტების შესახებ, რომლებშიაც ზუსტად გარკვევა საზოგადოებას არ შეუძლია და რომელთა დაწვრილებით განხილვის უფლება მას არა აქვს. ასე იქცეოდნენ რაბოჩეედელოელები 1899 წელს, როცა გაიძახოდნენ, არავითარი «ეკონომიზმი» არ არის, ხოლო პლეხანოვმა კი სტამბა მოიპარაო. ასე იქცეოდნენ მენშევიკები 1903 წელს, როცა გაიძახოდნენ, ჩვენს შორის ადგილი არა აქვს არავითარ მობრუნებას «რაბოჩეე დელოს» მიმართულებისაკენ, ხოლო ლენინმა კი პოტრესოვი, აქსელროდი და ზასულიჩი «გამოაპანღურა» ანუ «გამოაძევაო» და სხვა. ასე იქცევიან ის ადამიანები, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან მცირე სკანდალის, სენსაციის საზღვარგარეთელი მოყვარულებით. არ არის არც ოტზოვიზმი, არც ღვთისმშენებლობა, არამედ არის მაქსიმოვის «უკანონოდ გამოძევება» «რედაქციის უმრავლესობის» მიერ, რომელსაც სურს «მ თ ე ლ ი ფ რ ა ქ ც ი ი ს ქ ო ნ ე ბ ა» «თ ა ვ ი ს ს რ უ ლ გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა შ ი დ ა ი ტ ო ვ ო ს», — მობრძანდით ჩვენს დუქანში, ბატონებო, და ჩვენ გიამბობთ ამის შესახებ ყოვლად პიკანტურ რამეებსო...

ძველი ხერხია, ამხ. მაქსიმოვ და ნიკოლაევ! არ შეიძლება კისერი არ მოიტეხონ იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამ ხერხს მიმართავენ.

ჩვენი «გამოძევებულნი» «უკანონობაზე» ლაპარაკობენ იმიტომ, რომ, მათი აზრით, «პროლეტარის» რედაქციას უფლება არა აქვს გადაწყვიტოს ბოლშევიკური ფრაქციის ბედისა და მისი გათიშვის საკითხი. ძალიან კარგი, ბატონებო. თუ «პროლეტარის» რედაქციას და ლონდონის ყრილობაზე არ-

ჩეულ 15 ბოლშევიკს — ცენტრალური კომიტეტის წევრებს და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს უფლება არა აქვთ ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენლები იყვნენ, თქვენ სრული შესაძლებლობა გაქვთ ეს საქვეყნოდ განაცხადოთ და დაიწყოთ კამპანია ამ უვარგისი წარმომადგენლობის დასამხობად ან გადასარჩევად. დ ა თ ქ ვ ე ნ კ ი დ ე ვ ა ც ა ტ ა რ ე ბ დ ი თ ა მ კ ა მ პ ა ნ ი ა ს, მაგრამ მას შემდეგ კი, რაც რამდენჯერმე განიცადეთ რამდენიმე მარცხი, თქვენ ჩივილი და წუწუნი ამჯობინეთ. თუ თქვენ ბოლშევიკების ყრილობის ან კონფერენციის საკითხი აღძარით, ამხ. მაქსიმოვ და ნიკოლაევ, მაშინ რატომ არ უამბეთ საზოგადოებას, რომ ამხ. «ერს» რ ა მ დ ე ნ ი მ ე თ ვ ი ს წ ი ნ ა თ შეჰქონდა უკვე მოსკოვის კომიტეტში რეზოლუციის პროექტი «პროლეტარისადმი» უნდობლობისა და ბოლშევიკების ახალი იდეური ცენტრის ასარჩევად ბოლშევიკების კონფერენციის მოწვევის შესახებ?

რატომ არაფერი თქვით ამაზე, ოჰ, უსამართლოდ გაძევებულნო?

რატომ არაფერი თქვით იმაზე, რომ «ერის» რეზოლუცია უარყოფილ იქნა ყველა ხმით მისი ერთი ხმის წინააღმდეგ?

რატომ არაფერი თქვით იმაზე, რომ 1908 წლის შემოდგომაზე მთელ პეტერბურგის ორგანიზაციაში, თვით ქვედა ფენებამდე, ბრძოლა იყო ბოლშევიზმში ორი მიმდინარეობის — ოტზოვისტთა და ოტზოვიზმის მოწინააღმდეგეთა — პლატფორმების მიხედვით, ამასთან ოტზოვისტები დამარცხდნენ?

მაქსიმოვსა და ნიკოლაევს უნდათ საზოგადოების წინაშე იწუწუნონ, იმიტომ რომ ისინი არა ერთხელ დამარცხდნენ რუსეთში. «ერსაც» და პეტერბურგელ ოტზოვისტებსაც უფლება ჰქონდათ ისე ეწარმოებინათ ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ თვით ქვედა ფენებამდე, რომ არავითარი კონფერენციისათვის არ დაეცადათ და თავიანთი პლატფორმები მთელი პარტიის წინაშე ა რ გ ა მ ო ე ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ნ ა თ.

მაგრამ «პროლეტარის» რედაქციას, რომელმაც 1908 წლის ივნისიდან ოტზოვიზმს აშკარა ომი გამოუცხადა, უფლება არ ჰქონდა ერთი წლის ბრძოლის, ერთი წლის დისკუსიების, ერთი წლის შეხლა-შემოხლის, კონფლიქტებისა და სხვათა შემდეგ, რუსეთის ოლქებიდან სამი დელეგატისა და გაფართოებული რედაქციის რამდენიმე რუსი წევრის გამოძახების შემდეგ, რომლებსაც საზღვარგარეთ მომხდარ არც ერთ შეტაკებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, — უფლება არ ჰქონდა განეცხადებია ის, რაც არის, განეცხადებია, რომ მაქსიმოვი გამოეთიშა მას, განეცხადებია, რომ ბოლშევიზმს ოტზოვიზმთან, ულტიმატიზმთან და ღვთისმშენებლობასთან საერთო არაფერი აქვს?

შეწყვიტეთ თვალთმაქცობა, ბატონებო! თქვენ იბრძოდით იქ, სადაც თქვენს თავს განსაკუთრებით ძლიერად თვლიდით, და მარცხი განიცადეთ. თქვენ შეგქონდათ ოტზოვიზმი მასებში წინაალმდეგ ბოლშევიკების ოფიციალური ცენტრის გადაწყვეტილებისა და ისე, რომ არავითარ საგანგებო კონფერენციას არ მოუცადეთ. და ახლა თქვენ წუწუნსა და ჩივილს იწყებთ იმიტომ, რომ თქვენ აღმოჩნდით სასაცილოდ უმნიშვნელო უმცირესობა გაფართოებულ რედაქციაში, იმ თათბირზე, რომელშიაც ოლქების დელეგატები მონაწილეობდნენ!

ჩვენს წინაშეა საზღვარგარეთელ მუშაკთა ისევ ის ნამდვილი რაბოჩეედელური ხერხი: ითამაშონ «დემოკრატია», როდესაც არ არსებობს პირობები სრული დემოკრატიისათვის, — სპეკულაცია გასწიონ «საზღვარგარეთის» საშუალებით ყოველგვარი უკმაყოფილების გაღვივებით და იმავე დროს იმავე საზღვარგარეთიდან წარმართონ («სკოლის» მეშვეობით) თავიანთი ოტზოვისტურ-ღვთისმშენებლური პროპაგანდა, — დაიწყონ გათიშვა ბოლშევიკებს შორის და შემდეგ იწუწუნონ გათიშვის შესახებ, — მოაწყონ თავიანთი ფრაქცია («სკოლის» საფარით) და თვალთმაქცურად ღვარონ ცრემლები «პროლეტარის» «გამთიშველი» პოლიტიკის გამო.

არა, კმარა უკვე ეს კინკლაობა! ფრაქცია არის თანამოაზრეთა თავისუფალი კავშირი პარტიის შიგნით, და ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ბრძოლის შემდეგ, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ ბრძოლის შემდეგ, ჩვენ სრული უფლება გვქონდა, ჩვენ ვალდებულნი ვიყავით გადამწყვეტი დასკვნა გამოგვეტანა. და ჩვენ ის გამოვიტანეთ. თქვენ სრული უფლება გაქვთ იბრძოლოთ მის წინააღმდეგ, წამოაყენოთ თქვენი პლატფორმა, უმრავლესობა მოუპოვოთ მას. თუ თქვენ ამას არ აკეთებთ, თუ თქვენ ოტზოვისტებთან აშკარა კავშირისა და საერთო პლატფორმის წამოყენების ნაცვლად განაგრძობთ კუკუმალულობას თამაშს და იაფფასიანი საზღვარგარეთული «დემოკრატიზმით» სპეკულაციას, — პასუხად მხოლოდ თქვენ მიერ დამსახურებულ ზიზღს მიიღებთ.

თქვენ ორპირულ თამაშს ეწევით. ერთი მხრივ, თქვენ აცხადებთ, რომ «პროლეტარი» უკვე მთელი წელიწადია «მთლიანად» არაბოლშევიკურ ხაზს ატარებს (თქვენი მომხრეებიც რუსეთში არა ერთხელ ცდილან გაეტარებინათ ეს შეხედულებანი პეტერბურგის კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის რეზოლუციებში). მეორე მხრივ, თქვენ მოსთქვამთ გათიშვაზე და უარს ამბობთ ცნოთ «გამოძევება». ერთი მხრივ, თქვენ ნამდვილად ყველაფერში ხელიხელჩაკიდებულნი მიდიხართ ოტზოვისტებთან და ღვთისმშენებლებთან ერთად, მეორე მხრივ — თქვენ მათ უარყოფთ და თავი მოგაქვთ შემარიგებლებად, რომელთაც სურთ შეარიგონ ბოლშევიკები ოტზოვისტებსა და ღვთისმშენებლებთან.

«სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმედს»! თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ უმრავლესობა. თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ ყოველგვარი გამარჯვება ბოლშევიკების მოუმწიფებელ ნაწილში. ჩვენ არავითარ შერიგებაზე არ წავალთ. აშენეთ თქვენი ფრაქცია, უფრო სწორად: განაგრძეთ მისი შენება, როგორც თქვენ უკვე დაიწყეთ ეს, მაგრამ ნუ ატყუებთ პარტიას, ნუ ატყუებთ ბოლშევიკებს. ვერავითარი კონფერენცია, ვერავი-

თარი ყრილობა ქვეყნად ვერ შეარიგებს ახლა ბოლშევიკებს ოტზოვისტებთან, ულტიმატისტებთან და ღვთისმშენებლებთან. ჩვენ ვთქვით, და ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: თვითეულმა სოციალ-დემოკრატმა ბოლშევიკმა და თვითეულმა შეგნებულმა მუშამ უნდა მოახდინოს გადამწყვეტი და საბოლოო არჩევანი.

VI

ახალი ფრაქცია, რომელიც თავის იდეურ ნათესავებს მალავს და ეშინია თავისი ნამდვილი პლატფორმა გაშალოს, ცდილობს თავისი იდეური ბაგაჟის სიმცირე შეავსოს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს სესხებით ძველი გათიშვების ბაგაჟიდან. «ახალი პროლეტარი», «ახალი «პროლეტარის» ხაზიო», — გაიძახიან მაქსიმოვი და ნიკოლაევი, რომლებიც ბაძავენ ძველებურ ბრძოლას ახალი «ისკრის» წინააღმდეგ.

ხერხი, რომელსაც შეუძლია მოხიბლოს ზოგიერთი პოლიტიკურად უსუსური ადამიანი.

მაგრამ თქვენ ძველი სიტყვების განმეორებაც კი არ გეხერხებათ, ბატონებო. მთელი აზრი ლოზუნგისა «ახალი «ისკრის» წინააღმდეგ» იმაში მდგომარეობდა, რომ მენშევიკებს, როცა «ისკრა» მიიღეს, თვითონ უ ნ დ ა დაეწყოთ ახალი ხაზი, მაშინ როდესაც ყრილობამ (რსდმპ II ყრილობამ 1903 წელს) დაამტკიცა სწორედ ძველი «ისკრის» ხაზი. მთელი აზრი ის იყო, რომ მენშევიკებს მოუხდათ (ტროცკის პირით 1903 — 1904 წწ.) გამოეცხადებინათ: ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრულიაო. და დღემდე პოტრესოვი და კომპანია ცდილობენ მოიშორონ იმ ეპოქის «ქვალი», როცა ისინი ძველ «ისკრას» მიჰყავდა.

ახლა «პროლეტარის» 47-ე ნომერი გამოდის. სწორედ სამი წლის წინათ, 1906 წლის აგვისტოში, გამოვიდა პირველი ნომერი. «პროლეტარის» ამ პ ი რ ვ ე ლ ნომერში, რომელიც დათარიღებულია 1906 წლის 21 აგვისტოთი, ვპოულობთ ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო სტატიას «ბ ო ი კ ო ტ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» და ამ სტატიაში შავით თეთრზე წერია: «ა ხ ლ ა ს წ ო რ ე დ დ ა დ გ ა

დრო, როდესაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები აღარ უნდა იყვნენ ბოიკოტისტები»*. მას შემდეგ არ გამოსულა «პროლეტარის» არც ერთი ნომერი, სადაც «ბოიკოტიზმის» (1906 წლის შემდეგ), ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის სასარგებლოდ დაბეჭდილიყოს თუნდაც ერთი სტრიქონი ისე, რომ უარყოფილი არ იყოს ბოლშევიზმის ეს კარიკატურა. და ახლა კარიკატურული ბოლშევიკები ორჩოფეხებზე დგებიან და ცდილობენ თავი შეადარონ იმ ადამიანებს, რომლებმაც ჯერ ძველი «ისკრის» სამწლიანი კამპანია ჩაატარეს და მისი ხაზი პარტიის II ყრილობით განამტკიცეს, შემდეგ კი ახალი «ისკრის» შეტრიალება დაგვანახეს!

«პოპულარული მუშათა გაზეთის «ვპერიოდის» ყოფილი რედაქტორი» — ხელს აწერს ახლა ამხ. მაქსიმოვი, რომელსაც სურს მკითხველს მოაგონოს, რომ აქაოდა «რომი ბატებმა გადაარჩინესო». გაზეთ «ვპერიოდის»[23] ხაზისადმი თქვენი დამოკიდებულება — ვუპასუხებთ ჩვენ მაქსიმოვს ამ მოგონებაზე — სავსებით ისეთივეა, როგორიც იყო პოტრესოვის დამოკიდებულება ძველი «ისკრისადმი». პოტრესოვი მისი რედაქტორი იყო, მაგრამ ძველი «ისკრა» მას კი არ მიჰყავდა, არამედ ძველ «ისკრას» მიჰყავდა ის. როგორც კი მან ხაზის შეცვლა მოიხდომა, — ძველისკრელებმა მას ზურგი შეაქციეს. და ახლა თვითონ პოტრესოვიც კი წელებზე ფეხს იდგამს იმისათვის, რომ «ახალგაზრდობის ცოდვისაგან», ძველი «ისკრის» რედაქტორობაში მონაწილეობისაგან განიწმინდოს.

მაქსიმოვს კი არ მიჰყავდა გაზეთი «ვპერიოდ», არამედ გაზეთ «ვპერიოდს» მიჰყავდა მაქსიმოვი. დამამტკიცებელი საბუთი: III სათათბიროს ბოიკოტიზმი, რომლის სასარგებლოდ გაზეთ «ვპერიოდს» არც ერთი სიტყვა არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა. მაქსიმოვი ძალიან გონივრულად და კარგად იქცეოდა, როცა გაზეთ «ვპერიოდს» საშუალებას აძლევდა გაძღოლოდა მას, მაქსიმოვს. მაქსიმოვი ახლა შეუდგა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 157. რედ.

ისეთი ხაზის გამოგონებას (ან, სულ ერთია, დახმარებას ოტზოვისტებისადმი მის გამოგონებაში), რომელსაც გარდუვალად მიჰყავს ის ჭაობში, ისე როგორც პოტრესოვიც.

დაიხსომეთ ეს, ამხ. მაქსიმოვ: შედარების საფუძვლად უნდა ავიღოთ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების მთლიანობა და არა «სიტყვები», არა «ლოზუნგები», რომლებსაც ზოგი ვინმე ისე სწავლობს, რომ მათი აზრი არ ესმის. ბოლშევიზმმა სამი წლის — 1900 — 1903 წლების — მანძილზე წარმართა ძველი «ისკრა» და მენშევიზმთან საბრძოლველად გამოვიდა როგორც მთლიანი მიმართულება. მენშევიკებს დიდხანს საქმე ჰქონდათ მათთვის ახალ კავშირთან, ანტიისკრელებთან, რაბოჩეედელოელებთან, ვიდრე პროკოპოვიჩს ხელში არ ჩაუგდეს პოტრესოვი (და განა მარტო პოტრესოვი?). ბოლშევიზმმა «ბოიკოტიზმისა» და სხვათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის სულისკვეთებით წარმართა ძველი «პროლეტარი» (1906 — 1909 წწ.) და გამოვიდა, როგორც მთლიანი მიმართულება, იმ ადამიანების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ახლა იგონებენ «ოტზოვიზმს», «ულტიმატიზმს», «ღვთისმშენებლობას» და სხვა. მენშევიკებს უნდოდათ ძველი «ისკრა» მარტინოვისა და ეკონომისტების ყაიდაზე გადაეკეთებინათ, — და ამაზე კისერი მოიტეხეს. თქვენ გინდათ ძველი «პროლეტარი» «ერის», ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების ყაიდაზე გადააკეთოთ, — და თქვენც ამაზე კისერს მოიტეხთ.

ხოლო «პლეხანოვისაკენ შეტრიალება», — ზეიმობს მაქსიმოვი. ხოლო «ცენტრის ახალი ფრაქციის» შექმნა? და ჩვენი «ვაითომ ბოლშევიკი» «დიპლომატიად» აცხადებს იმის «უარყოფას», თითქოს «იგულისხმება «ცენტრის» იდეის გაბნორციელება»!

მაქსიმოვის ეს ყვირილი «დიპლომატიის» წინააღმდეგ და «პლეხანოვთან გაერთიანების» წინააღმდეგ იმად ღირს, რომ ის სასაცილოდ იქნას აგდებული. კარიკატურული ბოლშევიკები აქაც თავისი თავის ერთგულნი არიან: მათ მტკიცედ

დ ა უ ს წ ა ვ ლ ი ა თ, რომ პლეხანოვი 1906 — 1907 წლებში არქიოპორტუნისტულ პოლიტიკას ეწეოდა. და ისინი ფიქრობენ, რომ თუ ამას ხშირ-ხშირად გაიმეორებენ ისე, რომ მიმდინარე ცელილებებში არ გაერკვევიან, ეს უდიდესი «რევოლუციურობის» მომასწავებელი იქნება.

ნამდვილად კი «პროლეტარის» «დიპლომატები», ლონდონის ყრილობიდან დაწყებული, ყოველთვის აშკარად ატარებდნენ და გაატარეს პარტიულობის პოლიტიკა ფრაქციულობის კარიკატურულ გაზვიადებათა წინააღმდეგ, მარქსიზმის დაცვის პოლიტიკა მისი კრიტიკის წინააღმდეგ. და მაქსიმოვის ყვირილის ახლანდელი წყაროც ორგვარია: ერთი მხრივ, ლონდონის ყრილობიდან დაწყებული, ყოველთვის იყვნენ ცალკეული ბოლშევიკები (მაგალითი: ალექსინსკი), რომლებიც გაიძახოდნენ ბოლშევიზმის ხაზის შეცვლაზე «შემარიგებლობის» ხაზით, «პოლონურ-ლატვიური» ხაზით და სხვა. ბოლშევიკებს იშვიათად მიუღიათ სერიოზულად ეს ყოვლად ბრიყვული სიტყვები, რომლებიც მხოლოდ აზროვნების დახავსებულობას მოწმობენ. მეორე მხრივ, ის ლიტერატურული კომპანია, რომელსაც მაქსიმოვი ეკუთვნის და რომელიც ყოველთვის მხოლოდ თავისი ცალი მხარით უახლოვდებოდა სოციალ-დემოკრატიას, თავისი ღვთისმშენებლური და სხვა ტენდენციების მთავარ მტერს დიდი ხნის განმავლობაში ხედავდა პლეხანოვის სახით. პლეხანოვზე უფრო საშინელი ამ კომპანიისათვის არაფერია. მ ი ს იმ იმედს, რომ მუშათა პარტიას თავისი იდეები ჩაუნერგოს, არაფერი ისე არ აქარწყლებს, როგორც «პლეხანოვთან გაერთიანება».

და აი, ეს ორგვარი სახის ელემენტები: დახავსებული ფრაქციულობა, რომელსაც არ ესმის ბოლშევიკური ფრაქციის ამოცანები პარტიის შექმნის დარგში, და ღვთისმშენებელთა და ღვთისმშენებლობის დამფარავთა ლიტერატურულ-წრეობრივი ელემენტები, — ახლა შემჭიდროვდნენ «პლატფორმის» გარშემო: «პლეხანოვთან გაერთიანების»

წინააღმდეგ, «პროლეტარის» «შემარიგებლური», «პოლონურ-ლატვიური» ხაზის წინააღმდეგ. და სხვ.

პლეხანოვის «დნევნიკის» ამჟამად გამოსული მე-9 ნომერი გვათავისუფლებს ჩვენ იმის აუცილებლობისაგან, რომ განსაკუთრებით დაწვრილებით განვუმარტოთ მკითხველს კარიკატურულ ბოლშევიკთა ამ «პლატფორმის» მთელი კარიკატურულობა. პლეხანოვმა ამხილა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» ლიკვიდატორობა, მისი რედაქტორების დიპლომატია და განაცხადა, რომ ის «ვერ ივლის ერთი გზით» პოტრესოვთან ერთად, რომელიც რევოლუციონერი აღარ არის. ყოველი სოციალ-დემოკრატისათვის ახლა ცხადია, რომ მუშა მენშევიკები გაჰყვებიან პლეხანოვს პოტრესოვის წინააღმდეგ. ყველასთვის ცხადია, რომ მენშევიკებს შორის გათიშვა ადასტურებს ბოლშევიკების ხაზს. ყველასთვის ცხადია, რომ ლიკვიდატორთა გამთიშველობის წინააღმდეგ პლეხანოვის მიერ პარტიული ხაზის გამოცხადება მოასწავებს ბოლშევიზმის უდიდეს გამარჯვებას, ბოლშევიზმისა, რომელსაც ახლა პარტიაში ხელმძღვანელი ადგილი უჭირავს.

ეს უდიდესი გამარჯვება ბოლშევიზმმა იმიტომ მოიპოვა, რომ ის თავის პარტიულ პოლიტიკას ატარებდა წინააღმდეგ «მემარცხენე» გონებამოუმწიფებელთა და ღვთისმშენებელ ლიტერატორთა ღრიანცელისა. მხოლოდ ამ ადამიანებს შეუძლიათ ეშინოდეთ დაახლოება იმ პლეხანოვთან, რომელიც ააშკარავებს და მუშათა პარტიიდან აძევებს პოტრესოვებს. ღვთისმშენებლური წრის ან გაზეპირებული ფრაზების გმირთა მხოლოდ აშმორებულ ჭაობში შეიძლება ექნეს წარმატება «პლატფორმას»: «პლეხანოვთან გაერთიანების წინააღმდეგ», ესე იგი ლიკვიდატორობასთან საბრძოლველად პარტიელ მენშევიკებთან დაახლოების წინააღმდეგ, ორთოდოქსულ მარქსისტებთან დაახლოების (ლიტერატორთა ეროგინული კომპანიისათვის ეს ხელსაყრელი არ არის) წინააღმდეგ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პოლი-

ტიკისა და ტაქტიკისათვის პარტიის შემდგომი დაპყრობის წინააღმდეგ.

ჩვენ, ბოლშევიკებს, შეგვიძლია დავასახელოთ უდიდესი წარმატებანი ასეთი დაპყრობის საქმეში. როზა ლუქსემბურგი და კარლ კაუცკი — სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ხშირად წერენ ხოლმე რუსებისათვის და ამდენად შემოდიან ჩვენს პარტიაში, — ჩვენ იდეურად დავიპყარით, მიუხედავად იმისა, რომ გათიშვის დასაწყისს (1903 წ.) მთელი მათი სიმპათიები მენშევიკების მხარეზე იყო. ისინი დაპყრობილ იქნენ იმით, რომ ბოლშევიკები შეურიგებელნი იყვნენ მარქსიზმის «კრიტიკის» მიმართ, იმით, რომ ბოლშევიკები იცავდნენ თ ა ვ ი ს, უსათუოდ თ ა ვ ი ს, ფრაქციულ თეორიას არა ბრმად, არამედ იცავდნენ რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის საერთო სულისკვეთებასა და აზრს. ჩვენ მომავალშიც ამავე გზით წავალთ, კიდევ უფრო ულმობელ ომს გავაჩაღებთ ასოკირკიტული მოუაზრებლობისა და გაზეპირებული ფრაზებით თავაშვებული თამაშის წინააღმდეგ, ლიტერატორთა ღვთისმშენებლური წრის თეორიული რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატთა შორის ამჟამად საკმაოდ ნათლად გამოისახა ორი ლიკვიდატორული მიმდინარეობა: პოტრესოვისა და მაქსიმოვისა. პოტრესოვი იძულებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეშინოდეს, რადგან ამიერიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში პ ო ტ რ ე ს ო ვ ი ს ხაზის გატარება უიმედო საქმეა. მაქსიმოვი იძულებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეშინოდეს, რადგან ამიერიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მ ა ქ ს ი მ ო ვ ი ს ხაზის გატარება უიმედო საქმეა. ერთიც და მეორეც არავითარ საშუალებას არ მოერიდებიან, რათა მხარი დაუჭირონ და ხელი დააფარონ ლიტერატორთა განსაკუთრებული წრეების ოინებს და მათს თავისებური სახის რევიზიონიზმს მარქსიზმში. ერთიც და მეორეც ჩაებღაუჭება, როგორც იმედის უკანასკნელ აჩრდილს, წრეობანობის სულისკვეთების

შენარჩუნებას პარტიულობის წინააღმდეგ, რადგან პოტრეს-ოვს ჯერ კიდევ შეუძლია ხანდახან გაიმარჯვოს დახავსებულ მენშევიკთა რჩეულ კომპანიაში, მაქსიმოვი ჯერ კიდევ შეიძ-ლება ხანდახან გვირგვინებით შეამკონ ბოლშევიკების რჩე-ულმა დახავსებულმა წრეებმა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერასოდეს მტკიცე ადგილს ვერ დაიჭერს ვერც მარქსისტთა შორის და ვერც ნამდვილ სოციალ-დემოკრა-ტიულ მუშათა პარტიაში. ერთიც და მეორეც წარმოადგენენ ორ მოპირდაპირე, მაგრამ ერთიმეორის ურთიერთ შემვსებ, ერთნაირად შეზღუდულ, წვრილბურჟუაზიულ ტენდენციას სოციალ-დემოკრატიაში.

VII

ჩვენ ცხადვყავით, როგორია ახალი ფრაქციის შტაბი. ვის-გან შეიძლება შეგროვდეს მისი ჯარმია? ბურჟუაზიულ-დე-მოკრატიული ელემენტებისაგან, რომლებიც მუშათა პარტიას მიემხრნენ რევოლუციის დროს. პროლეტარიატი ყველგან და ყოველთვის ივსება წვრილი ბურჟუაზიისაგან, ყველგან და ყოველთვის დაკავშირებულია ხოლმე მასთან ათასობით გარ-დამავალი საფეხურით, მიჯნითა და ელფერით. როცა მუშა-თა პარტია განსაკუთრებით სწრაფად იზრდება (როგორც ეს იყო ჩვენში 1905 — 1906 წლებში), მასში წვრილბურჟუაზი-ული სულისკვეთებით გაჟღენთილ ელემენტთა მასის შეჭრა გარდუვალია. და ამაში ცუდი არაფერია. პროლეტარიატის ისტორიული ამოცანაა გადახარშოს, ხელახლა გაწვრთნას, ხელახლა აღზარდოს ძველი საზოგადოების ყველა ელემენ-ტი, რომელთაც ეს საზოგადოება მემკვიდრეობად უტოვებს პროლეტარიატს წვრილი ბურჟუაზიიდან გამოსულთა სახით. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატი აწარმოებ-დეს ამ გამოსულთა ხელახლა აღზრდას, რომ ის გავლენას ახდენდეს მათზე და არა ისინი — პროლეტარიატზე. ძალიან ბევრმა «თავისუფლების დღეთა სოციალ-დემოკრატმა», რომ-ლებიც პირველად გახდნენ სოციალ-დემოკრატები გატაცე-

ბის, დღესასწაულის დღეებში, წარმტაცი ლოზუნგების დღეებში, პროლეტარიატის იმ გამარჯვებათა დღეებში, რამაც თავბრუ დაასხა წმინდა ბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც კი, დაიწყო სერიოზულად სწავლა, მარქსიზმის სწავლა, მტკიცე პროლეტარული მუშაობის სწავლა, — ისინი მუდამ დარჩებიან სოციალ-დემოკრატებად და მარქსისტებად. სხვებმა ვერ მოასწრეს ან არ შეეძლოთ პროლეტარული პარტიისაგან გადაეღოთ სხვა რამ, გარდა რამდენიმე დასწავლილი სიტყვისა, დაზეპირებული «წარმტაცი» ლოზუნგისა, ორიოდე ფრაზისა «ბოიკოტიზმის», «მებრძოლიზმისა» და სხვათა შესახებ. როცა ასეთმა ელემენტებმა განიზრახეს მუშათა პარტიისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი «თეორიები», თავიანთი მსოფლმხედველობა, ე. ი. თავიანთი შეზღუდულობა, მათთან გათიშვა გარდუვალი გახდა.

III სათათბიროს ბოიკოტისტების ბედი მშვენივრად გვიჩვენებს თვალსაჩინო მაგალითით როგორც ერთი, ისე მეორე ელემენტის განსხვავებას.

ბოლშევიკების უმრავლესობა, 3 ივნისის გმირებთან უშუალო და დაუყოვნებლივი ბრძოლის სურვილით გულწრფელად გატაცებული, III სათათბიროს ბოიკოტისაკენ იხრებოდა, მაგრამ ძალიან სწრაფად შესძლო თავი გაერთმია ახალი ვითარებისათვის. ისინი დასწავლილ სიტყვებს კი არ იმეორებდნენ, არამედ გულდასმით აკვირდებოდნენ ახალ ისტორიულ პირობებს, უფიქრდებოდნენ იმას, თუ რატომ წავიდა ცხოვრება ასე და არა სხვანაირად, მუშაობდნენ თავით და არა მხოლოდ ენით, ისინი ეწეოდნენ სერიოზულ და მტკიცე პროლეტარულ მუშაობას და მათ სწრაფად შეიგნეს «ოტზოვიზმის» მთელი უაზრობა და მთელი უბადრუკობა. სხვებმა ხელი ჩასჭიდეს სიტყვას, დაიწყეს მოუნელებელი სიტყვებისაგან «თავისი ხაზის» შეთხზვა, ასტეხეს ყვირილი «ბოიკოტიზმის, ოტზოვიზმის, ულტიმატიზმის» შესახებ, დაიწყეს ახლანდელი ისტორიული პირობების შესაბამისი პროლეტარულ-რევოლუციური მუშაობის შეცვლა ამ ყვირი-

ლით, შეუდგნენ ახალი ფრაქციის შეკოწიწებას ბოლშევიზმის ყველა და ყოველგვარი მოუმწიფებელი ელემენტებისაგან. გზა დაგვილოცნია, პატივცემულნო! ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო, რათა გვესწავლებინა თქვენთვის მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატიული მუშაობა. ჩვენ ახლა ყველაზე გადამწყვეტ და შეურიგებელ ომს ვუცხადებთ ლიკვიდატორებს მარჯვნიდანაც და ლიკვიდატორებს მარცხნიდანაც, რომლებიც მუშათა პარტიას რყვნიან თეორიული რევიზიონიზმით და პოლიტიკისა და ტაქტიკის მეშჩანური მეთოდებით.

გაზეთ «პროლეტარის»
№ 47 — 48-ის დამატება,
1909 წ. 11 (24) სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
დამატების ტექსტის მიხედვით

კიდევ პარტიულობისა და უპარტიობის შესახებ

პარტიულ და უპარტიო, საჭირო და «არასაჭირო» კანდიდატურათა საკითხი, უეჭველია, თუ უმნიშვნელოვანესი არა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე სათათბიროს თანამედროვე არჩევნების დროს. უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა ამომრჩევლებმა და ფართო მასამ, რომელიც არჩევნებს თვალყურს ადევნებს, ნათლად უნდა გაითვალისწინონ, თუ რისთვის არის საჭირო არჩევნები, რა ამოცანა დგას სათათბიროს დეპუტატის წინაშე, როგორი უნდა იყოს პეტერბურგის დეპუტატის ტაქტიკა III სათათბიროში. ხოლო ყოველივე ამის მართლაც სრულად და ზუსტად გათვალისწინება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი საარჩევნო კამპანია პარტიული კამპანია იქნება.

იმათთვის, ვისაც უნდა არჩევნების დროს დაიცვას მოსახლეობის ნამდვილად ფართო და უაღრესად ფართო მასების ინტერესები, პირველ რიგში დგება მასების პოლიტიკური შეგნების განვითარების ამოცანა. ამ შეგნების განვითარებასთან განუყრელ კავშირში უფრო ნათლად ირკვევა მასების დაჯგუფება, რომელიც მოსახლეობის ამა თუ იმ კლასის ნამდვილ ინტერესებს შეესაბამება. ყოველგვარი უპარტიობა ყოველთვის, განსაკუთრებით მარჯვე შემთხვევებშიც კი, ნიშნავს როგორც კანდიდატისა და მისი მხარდამჭერი ჯგუფის თუ მისი მხარდამჭერი პარტიების, ისე მისი არჩევნების მო-

ნაწილე მასების პოლიტიკური შეგნების ბუნდოვანებასა და განუვითარებლობას.

ყველა უწესო პარტიისათვის, რომლებიც არჩევნების დროს ამოცანად ისახავენ შეძლებული მოსახლეობის ამა თუ იმ მცირე ჯგუფის ინტერესთა დაკმაყოფილებას, მასების შეგნების განვითარება ყოველთვის მეორე რიგში გადადის, ხოლო მასების მკაფიო კლასობრივი დაჯგუფება თითქმის ყოველთვის არასასურველი და საშიშია. იმათთვის, ვისაც არ უნდა ბურჟუაზიული პარტიების დასაცავად გამოვიდეს, პოლიტიკური შეგნების სიცხადე და კლასობრივი დაჯგუფების სიცხადე ყველაფერზე მაღლა დგას. ეს არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, გარკვეულ, განსაკუთრებულ პირობებში, სხვადასხვაგვარი პარტიების დროებით ერთობლივ მოქმედებას, მაგრამ ეს უსათუოდ გამორიცხავს ყოველგვარ უპარტიობას და პარტიულობის ყოველგვარ შესუსტებას ან მიჩქმალვას.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ პარტიულობას ვიცავთ პრინციპულად, ფართო მასების ინტერესების გულისათვის, ყოველგვარი ბურჟუაზიული გავლენისაგან მათი განთავისუფლების ინტერესების გულისათვის, კლასობრივ დაჯგუფებათა სრული და უსრულესი სიცხადის ინტერესების გულისათვის, სწორედ ამიტომ ჩვენ მთელი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ იმას და უაღრესად გულმოდგინედ ვადევნებდეთ თვალყურს იმას, რომ პარტიულობა იყოს არა მარტო ს ი ტ ყ ვ ი თ, „რ ა მ ე დ ს ა ქ მ ი თ.

უპარტიო კანდიდატი კუზმინ-კარავაევი, რომელსაც უკვე «არასაჭირო» კანდიდატის ზედმეტი სახელი შეარქვეს, აცხადებს, ზუსტი მნიშვნელობით პარტიული კანდიდატები პეტერბურგის არჩევნებში არ არიანო. ეს იმდენად არასწორი „ზრია, რომ მის უარყოფაზე შეჩერება არც კი ღირს. კუტლერისა და ნ. დ. სოკოლოვის კანდიდატურათა პარტიულობაში დაეჭვება შეუძლებელია. კუზმინ-კარავაევს ნაწილობრივ თავგზა აუბნია იმ გარემოებამ, რომ არც ერთში იმ ორი პარტიიდან, რომლებმაც ერთი და მეორე კანდიდატურა წამო-

ყენეს, არ არის სავსებით აშკარა პარტიული ცხოვრება. მაგრამ ეს გარემოება აძნელებს არჩევნების პარტიულად წარმართავს, არ სპობს მის აუცილებლობას. ა ს ე თ ი სიძნელეებისადმი დამორჩილება, მათ წინაშე უკანდახევა — ეს სავსებით იგივეა, რომ დაემორჩილო ბ-ნ სტოლიპინს, რომელსაც სურს «ოპოზიციის» (თითქოსდა ოპოზიციის) პირით მოისმინოს მისი «კონსტიტუციურობის» დადასტურება.

პეტერბურგის არჩევნების მონაწილე მასისათვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეამოწმოს, რ ო მ ე ლ მ ა პარტიებმა დ ა ი ხ ი ე ს უ კ ა ნ ამ სიძნელეთა წინაშე და რომელმა პარტიებმა შეინარჩუნეს მთელი სისრულით თავიანთი პროგრამაც და თავიანთი ლოზუნგებიც; რომელი პარტიები ცდილობდნენ «შეგუებოდნენ» რეაქციულ რეჟიმს იმ აზრით, რომ ამ რეჟიმის ჩარჩოებამდე დაეყვანათ, შეეკვეცათ თავიანთი მოღვაწეობა სათათბიროს ხაზით, თავიანთი პრესა, თავიანთი ორგანიზაცია, და რომელი პარტიები შეეგუენ ამ რეჟიმის ჩარჩოებს მოღვაწეობის ზოგიერთი ფორმის შეცვლის აზრით, და სრულიადაც არა სათათბიროში თავიანთი ლოზუნგების შეკვეცის აზრით, სრულიადაც არა თავიანთი პრესის, ორგანიზაციისა და სხვათა შეკვეცის აზრით. ასეთი შემოწმება, ყოველმხრივი შემოწმება, რომელიც ემყარება პარტიების ისტორიას, ემყარება სათათბიროში და სათათბიროს გარეთ მათი მოღვაწეობის ფაქტებს, საარჩევნო კამპანიის მთავარ შინაარსს შეადგენს. მასები ახალ, დემოკრატიისათვის უფრო ძნელ, ვითარებაში ერთხელ კიდევ უნდა გაეცნონ პ ა რ ტ ი ე ბ ს, რომლებიც დემოკრატიული პარტიების სახელწოდების პრეტენზიას აცხადებენ. მასები კიდევ და კიდევ უნდა გაეცნონ ბურჟუაზიული დემოკრატიის განსხვავებას იმ დემოკრატიისაგან, რომელმაც ამჯერად წამოაყენა ნ. დ. სოკოლოვი, მათი მსოფლმხედველობის, მათი საბოლოო მიზნის განსხვავებას, დიადი საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანისადმი მათი დამოკიდებულების, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეა-

ლებისა და გზების დაცვის მათი უნარის განსხვავებას. ამ საარჩევნო კამპანიიდან მასები უნდა გამოვიდნენ უფრო პარტიულნი, იქცნენ ისეთ მასებად, რომელთაც უფრო ნათლად ექნებათ შეგნებული სხვადასხვა კლასის ინტერესები, ამოცანები, ლოზუნგები, თვალსაზრისები და მოქმედების მეთოდები, — აი ის მტკიცე შედეგი, რასაც პოლიტიკური მიმართულება, რომლის წარმომადგენელია ნ. დ. სოკოლოვი, ყველაზე მეტად აფასებს და რასაც ის შესძლებს მიაღწიოს უაღრესად შეუპოვარი, მედგარი, მტკიცე და ყოველმხრივი მუშაობით.

«ნოვი დენ» № 9,
1909 წ. 14 (27) სექტემბერი
ხელმოწერა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ნოვი დენის» ტექსტის მიხედვით

საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან

როცა «პროლეტარის» ეს ნომერი რუსეთში მოხვდება, სანკტ-პეტერბურგის საარჩევნო კამპანია უკვე დამთავრებული იქნება. ამიტომ ახლა სავსებით მართებულია პეტერბურგელ ბოლშევიკებს — და აგრეთვე რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატს — მოვესაუბროთ იმ ბრძოლაზე ულტიმატისტებთან, რომლის გაჩაღებას კინაღამ მოჰყვა სრული გათიშვა სანკტ-პეტერბურგში არჩევნების დროს და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისათვის რუსეთში.

უწინარეს ყოვლისა ნათლად უნდა იქნას დადგენილი ამ ბრძოლის ოთხი ეტაპი, შემდეგ კი ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით ბრძოლის მნიშვნელობაზე და ზოგიერთ უთანხმოებაზე ჩვენსა და პეტერბურგელ ბოლშევიკთა ერთ ნაწილს შორის. ეს ოთხი ეტაპი შემდეგია: 1) «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის საზღვარგარეთ გამართულ თათბირზე საბოლოოდ იქნა განსაზღვრული ბოლშევიკების დამოკიდებულება ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმისადმი, აგრეთვე დადასტურებულ იქნა ამხ. მაქსიმოვის ჩამოცილება («პროლეტარის» № 46 და მისი დამატება *). — 2) საგანგებო ფურცელში, რომელიც აგრეთვე საზღვარგარეთ დაიბეჭდა და გავრცელდა სახელწოდებით: ««პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის გაძევებული წევრების ანგარიში ამხანაგ ბოლშევიკებს», ამხ. მაქსიმოვი და ნიკოლაევი (რომლებსაც პირო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 523 — 534; 542 — 564. რ ე დ.

ბითად და ნაწილობრივ მხარს უჭერენ ამხ. მარატი და დომოვი) გადმოსცემენ თავიანთ შეხედულებებს «პროლეტარის» ხაზის შესახებ, როგორც «მენშევიკური» ხაზის შესახებ და სხვა, და იცავენ თავიანთ ულტიმატიზმს. ეს ფურცელი გარჩეულია «პროლეტარის» 47—48-ე ნომრის საგანგებო დამატებაში *. — 3) სანკტ-პეტერბურგის საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ მიიღო ულტიმატისტური რეზოლუცია არჩევნების გამო. ამ რეზოლუციის ტექსტი მოყვანილია ქვემოთ. — 4) ამ რეზოლუციის მიღებამ ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია პეტერბურგელ ბოლშევიკთა პარტიულ წრეებში. ქარიშხალი ატყდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზევიდანაც და ქვევიდანაც. «ზევიდან» — ეს არის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებისა და «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის წევრების გულისწყრომა და პროტესტები. «ქვევიდან» — ეს არის სოციალ-დემოკრატი მუშებისა და მუშაკების კერძო რაიონთაშორისო თათბირის მოწვევა პეტერბურგში. თათბირმა მიიღო «პროლეტარის» რედაქციისადმი სოლიდარობის რეზოლუცია (ტექსტი — ქვემოთ), მაგრამ სასტიკად დაგმო როგორც ამ რედაქციის, ისე ოტზოვისტ-ულტიმატისტების «გამთიშველი ნაბიჯები». შემდეგ მოიწვიეს სანკტ-პეტერბურგის კომიტეტისა და აღმასრულებელი კომისიის ხელახალი კრება, და ულტიმატისტური რეზოლუცია გაუქმებულ იქნა. მიღებულ იქნა ახალი რეზოლუცია «პროლეტარის» ხაზის სულისკვეთებით. ამ რეზოლუციის ტექსტი მთლიანად მოყვანილია ამ ნომრის ქრონიკაში.

ასეთია მოვლენების ძირითადი ქარგა. მნიშვნელობა ყბადაღებული «ულტიმატიზმისა» ჩვენს პარტიაში ახლა პრაქტიკულად გაშუქებულია უაღრესად სრული სიცხადით, და რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატი გულდასმით უნდა ჩაუფიქრდეს სადავო საკითხებს. შემდეგ, ჩვენი «გამთიშველი»

* იხ. ეს ტომი, გვ. 20—64. რედ.

ხაზის დაგმობა ჩვენი პეტერბურგელი თანამოაზრეების ერთი ნაწილის მიერ სასურველ საბაბს გვაძლევს იმისათვის, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხზეც საბოლოოდ მ ი ვ ც ე თ ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ ს. ახლავე ბოლომდე «ახხნა-განმარტება» უმჯობესია, ვიდრე ახალი შეხლა-შემოხლისა და «გაუგებრობათა» გამოწვევა პრაქტიკული მუშაობის ყოველ ნაბიჯზე.

უწინარეს ყოვლისა ზ უ ს ტ ა დ გავიხსენოთ, როგორი პოზიცია დავიკავეთ ჩვენ გათიშვის საკითხში მაშინვე «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირის შემდეგ. ამ თათბირის შესახებ გამოქვეყნებული «ცნობის» («პროლეტარის» 46-ე ნომრის დამატება *) დასაწყისშივე ნათქვამია, რომ ულტიმატიზმი, როგორც მიმართულება, რომელიც წინადადებას იძლევა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას წავუყენოთ ულტიმატუმი, ოტზოვიზმსა და ბოლშევიზმს შორის მერყეობს. ჩვენი ერთ-ერთი საზღვარგარეთელი ულტიმატისტი, — ნათქვამია ცნობაში, — «აღიარებს, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობა ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად უმჯობესდება და რომ ის არ აპირებს ახლავე, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას ულტიმატუმი».

«ა ს ე თ ულტიმატისტებთან — სიტყვასიტყვით განაგრძობს «ცნობა», — ერთი ფრაქციის შიგნით თანაცხოვრება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია... ა ს ე თ ი ულტიმატისტ-ბოლშევიკების მიმართ გათიშვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება». ამაზე ლაპარაკიც კი სასაცილო იქნებოდა.

შემდეგ, «ცნობის» მეორე გვერდზე ვკითხულობთ:

«დიდ შეცდომას ჩაიდენდნენ ის ადგილობრივი მუშაკები, რომლებიც თათბირის რეზოლუციას ისე გაიგებდნენ, როგორც მოწოდებას—განდევნონ ორგანიზაციებიდან ოტზოვისტურად განწყობილი მუშები ან, მით უფრო, დაუყოვნებლივ გათიშონ ორგანიზაციები იქ, სადაც ოტზოვისტური ელემენტები მოიპოვებიან. ჩვენ მტკიცედ და გადაჭრით ვაფრთხილებთ ადგილობრივ მუშაკებს ამგვარი ნაბიჯებისაგან».

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 523 — 534. რ ე დ.

თითქოსდა, უფრო ნათლად თქმა არ შეიძლება. ჩამოცილება ამხ. მაქსიმოვისა, რომელიც უარს ამბობს დაემორჩილოს თათბირის რეზოლუციებს, გარდუვალია. მერყევ, გამოურკვეველ ოტზოვისტურ-ულტიმატისტურ ელემენტებთან გათიშვა ჩვენ არათუ არ გამოგვიცხადებია, არამედ გადაჭრით ვაფრთხილებდით მისგან.

ახლა გადახედეთ ბრძოლის მეორე ეტაპს. ამხ. მაქსიმოვი და კომპანია საზღვარგარეთ უშვებენ ფურცელს, რომელშიც, ერთი მხრივ, ჩვენ ბრალად გვდებენ გათიშვას, მეორე მხრივ კი, ახალი «პროლეტარის» (რომელმაც თითქოს უღალატა ძველ «პროლეტარს», ძველ ბოლშევიზმს) ხაზს, აცხადებენ მენშევიკურ, «სათათბიროისტულ» ხაზად და სხვა. განა სასაცილო არ არის ჩივილი ფრაქციის, ე. ი. პარტიის შიგნით თანამოაზრეთა კავშირის, გათიშვაზე, თუ კი თქვენ თვითონ აღიარებთ, რომ აზრთა სრული თანხმობა არ არსებობსო? ამხ. მაქსიმოვი და კომპანია, იცავდნენ რა თავის ულტიმატიზმს, თავის ფურცელში წერდნენ, რომ «პარტიას მაშინ (ე. ი. მწვავე და გაძლიერებული რეაქციის პირობებში, რითაც ხასიათდება თანამედროვე მომენტი) არ შეუძლია ჩაატაროს ფართო და ბრწყინვალე საარჩევნო კამპანია, არ შეუძლია მიიღოს თავის ღირსი საპარლამენტო წარმომადგენლობა», — რომ «ფსევდოპარლამენტურ დაწესებულებაში მონაწილეობის თვით სარგებლიანობის საკითხი მაშინ საეჭვო და სადავო ხდება», — რომ «პროლეტარი» «არსებითად» «გადადის მენშევიკურ თვალსაზრისზე პარლამენტარიზმისა რადაც უნდა დაჯდეს». ამ ფრაზებს თან ახლავს ოტზოვიზმის ორჭოფული დაცვა («ოტზოვისტებს არასოდეს (!!!) არ გამოუთქვამთ აზრი საზოგადოდ ანტიპარლამენტარიზმის მნიშვნელობითო») და მისი ორჭოფული უარყოფა (ჩვენ ოტზოვისტები არა ვართო; პარტიამ არ უნდა მოახდინოს ახლა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიკვიდაცია; «პარტიამ უნდა» «გადაწყვიტოს, ხომ არ იყო ხაბოლოო ანგარიშით მთელი ეს წამოწყება — III სათათ-

ბიროში მონაწილეობა — მისთვის არახელსაყრელია», თითქოსდა პარტიას უკვე არ გადაეწყვიტოს ეს საკითხი!).

მაქსიმოვისა და კომპანიის ეს ორჭოფობა ბევრს ატყუებდა და ატყუებს; ამბობენ: აბა რა ზიანი შეიძლება მიაყენონ პარტიას ან თუნდაც ფრაქციას იმ ადამიანებმა, რომლებიც სრულიადაც არ ამბობენ უარს შეასრულონ პარტიული გადაწყვეტილებანი და მხოლოდ ფრთხილად იცავენ ტაქტიკის თავიანთ რამდენადმე სხვაგვარ შეფასებასო?

ასეთი შეხედულება მაქსიმოვისა და კომპანიის ქადაგებაზე ძალიან გავრცელებულია იმ საზოგადოებაში, რომელიც არ აზროვნებს, რომელსაც სიტყვები სჯერა, რომელიც არ ითვალისწინებს ორჭოფული, ფრთხილი, დიპლომატიური ფრაზების კონკრეტულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ახლანდელი პარტიული მდგომარეობის ვითარებაში. ამ საზოგადოებამ ახლა ჩინებული გაკვეთილი მიიღო.

მაქსიმოვისა და კომპანიის ფურცელი დათარიღებულია 1909 წლის 3/16 ივლისით. აგვისტოში სანკტ-პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ სამი ულტიმატისტური ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლუცია პეტერბურგის მომავალი (ახლა უკვე დამთავრებული) საარჩევნო კამპანიის გამო:

«აღმასრულებელმა კომისიამ არჩევნების საკითხზე დაადგინა: არ ვაძლევთ რა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სახელმწიფო სათათბიროს და ჩვენს ფრაქციას ამ სათათბიროში, მაგრამ ვხელმძღვანელობთ რა საერთო-პარტიული დადგენილებით, საჭიროდ ვთვლით ჩატარდეს არჩევნები, ოღონდ ისე, რომ ამას არ მოხმარდეს მთელი არსებული ძალები, წამოყენებულ იქნან მხოლოდ საკუთარი კანდიდატები სოციალ-დემოკრატიული ხმების შემოსაკრებად და მოეწყოს საარჩევნო კომისია, რომელიც დაემორჩილოს მისი წარმომადგენლის მეშვეობით პეტერბურგის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიას».

დაე შეადარონ მკითხველებმა ეს რეზოლუცია მაქსიმოვის საზღვარგარეთულ ფურცელს. ამ ორი დოკუმენტის შედარება საუკეთესო და ყველაზე საიმედო საშუალებაა იმისა-

თვის, რომ საზოგადოებამ ნათლად დაინახოს მაქსიმოვის საზღვარგარეთული ჯგუფის ნამდვილი მნიშვნელობა. ეს რეზოლუცია სავსებით ისევე, როგორც მაქსიმოვის ფურცელი, გამოხატავს პარტიისადმი დამორჩილებას, — და სავსებით ისევე, როგორც მაქსიმოვი, პრინციპულად იცავს ულტიმატიზმს. ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, რომ პეტერბურგელი ულტიმატისტები პირდაპირ ხელმძღვანელობდნენ მაქსიმოვის ფურცლით, — ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. და ამას არცა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოლიტიკური პოზიციის იდეური იგივეობა აქ უეჭველია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ მაგალითით განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა «ფრთხილი», «დიპლომატიური», ტაქტიანი, ორჭოფული — უწოდეთ რაც გნებავთ — ულტიმატიზმის გამოყენება საქმით, გამოყენება, რაც პარტიულ მუშაობასთან ახლომდგომი ყოველი ადამიანისათვის ცნობილია ასობით ანალოგიური შემთხვევიდან, ნაკლებად «ბრწყინვალე», ოფიციალური დოკუმენტებით დაუდასტურებელი შემთხვევებიდან, რომლებიც შეეხება იმას, რაზედაც სოციალ-დემოკრატს არ შეუძლია მოუთხროს საზოგადოებას კონსპირაციული მიზეზების გამო, და სხვა. რა თქმა უნდა, პეტერბურგის რეზოლუცია ლიტერატურულ-ტექნიკური მხრივ ნაკლებად ოსტატურია, ვიდრე მაქსიმოვის ფურცელი. მაგრამ პრაქტიკულად ხომ მაქსიმოვის შეხედულებებს ადგილობრივ ორგანიზაციებში ყოველთვის (ანდა 1 000 შემთხვევიდან 999 შემთხვევაში) გამოიყენებს არა თვითონ მაქსიმოვი, არამედ გამოიყენებენ მისი ნაკლებად «გაოსტატებული» მომხრენი. პარტიისათვის საინტერესოა არა ის, თუ ვინ «უფრო ოსტატურად» ფარავს ქვალს, არამედ ის, თუ როგორია პარტიული მუშაობის ნამდვილი შინაარსი, როგორია ნამდვილი მიმართულება, რომლითაც წარმართავს მუშაობას ესა თუ ის ბელადი.

და ჩვენ ვეკითხებით ყოველ პირუთვნელ ადამიანს: შეიძლება თუ არა ერთ ფრაქციაში, ე. ი. პარტიულ თანამოაზ-

რეთა ერთ კავშირში იმუშაონ «პროლეტარის» მომხრეებმა და ამგვარი რეზოლუციების ავტორებმა? შეიძლება თუ არა სერიოზულად ვილაპარაკოთ სათათბიროს და სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების შესახებ მიღებული პარტიული გადაწყვეტილების განხორციელებაზე ადგილობრივი კომიტეტების უმაღლესი ორგანოების ამგვარი რეზოლუციების დროს?

აღმასრულებელი კომისიის რეზოლუცია რომ ნამდვილად ხელს უშლის დაწყებულ საარჩევნო კამპანიას, ეს რეზოლუცია რომ ნამდვილად ჰფუშავს საარჩევნო კამპანიას, — ეს ერთბაშად გაიგო ყველამ (გარდა რეზოლუციის ავტორებისა და გარდა ულტიმატისტებისა, რომლებიც აღტაცებული არიან მაქსიმოვის «ოსტატობით» კვალის დაფარვის საქმეში). იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურნენ ამ რეზოლუციას ბოლშევიკები სანკტ-პეტერბურგში, ჩვენ უკვე ვთქვით და კიდევ ვიტყვით ქვემოთ. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ დაუყოვნებლივ დავწერეთ სტატია «ოტზოვისტურ-ულტიმატისტური შტრეიკბრეხერები»[24], — შტრეიკბრეხერები იმიტომ, რომ ულტიმატისტები თავიანთი პოზიციით აშკარად ღალატობდნენ სოციალ-დემოკრატიულ საარჩევნო კამპანიას კადეტების სასარგებლოდ, — ამ სტატიაში დავასურათეთ ამგვარი რეზოლუციის მთელი სამარცხვინო ხასიათი სოციალ-დემოკრატებისათვის და ამ რეზოლუციის მიმღებ აღმასრულებელ კომისიას მოვუწოდეთ დაუყოვნებლივ მოეხსნა «პროლეტარისგან» სათაური: «სპბ კომიტეტის ორგანო», თუ კი ამ აღმასრულებელ კომისიას პრეტენზია აქვს გამოხატოს პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატების შეხედულებანი: ჩვენ თვალთმაქცობა არ გვინდა, — ნათქვამი იყო ამ სტატიაში, — ჩვენ ამგვარი... ვითომ ბოლშევიკების ორგანო არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით.

სტატია უკვე აწყობილი და შეკრულიც კი იყო, როცა პეტერბურგიდან მივიღეთ წერილი ყბადაღებული რეზოლუ-

ციის გაუქმების შესახებ. საჭირო შეიქნა ნომრის გამოშვების გადადება (ამის გამო № 47 — 48 რამდენიმე დღით გვიან გამოვიდა, ვიდრე უნდა გამოსულიყო). ულტიმატისტების რეზოლუციაზე ახლა, საბედნიეროდ, ლაპარაკი გვიხდება არა მიმდინარე საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, არამედ იმის ნარკვევში, რაც მოხდა... და რაც კარგი იქნებოდა სავსებით «დავიწყებას მისცემოდა».

აი ტექსტი რეზოლუციისა, რომელიც მიიღეს პეტერბურგელმა ბოლშევიკებმა ყბადაღებული რეზოლუციის მიღების შემდეგ მოწვეულ კერძო ხასიათის კრებაზე:

«სოციალ-დემოკრატი მუშებისა და მუშაკების კერძო რაიონთაშორისო თათბირი, რომელმაც განიხილა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის რეზოლუციები, სრულ სოლიდარობას გამოთქვამს იმ პოლიტიკური ხაზისადმი, რაც გამოხატულია რეზოლუციებით: «ბოლშევიკების ამოცანების შესახებ პარტიაში», «სათათბიროს მოღვაწეობისადმი დამოკიდებულების შესახებ და სხვა» და «ულტიმატიზმისა და ოტზოვიზმის შესახებ».

ამავე დროს თათბირი სრულიად არ იზიარებს ამხანაგ ულტიმატისტების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, რომლებსაც რედაქცია იმავე რეზოლუციებში იცავს, რადგან ასეთი მეთოდები მას მიაჩნია «პროლეტარის» რედაქციის მიერ დასახული ძირითადი ამოცანების — პარტიის ხელახლა შექმნის — გადაწყვეტის დაბრკოლებად.

ამდენადვე თათბირი პროტესტს აცხადებს ამხანაგ ულტიმატისტებისა და ოტზოვისტების გამთიშველი ნაბიჯების წინააღმდეგ».

ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ მოწვეულ იქნა პეტერბურგის კომიტეტის ახალი კრება, რომელმაც ულტიმატისტური რეზოლუცია გააუქმა და ახალი მიიღო (იხ. ქრონიკა). ეს ახალი რეზოლუცია თავდება ასე: «პეტერბურგის კომიტეტი ფრიად მნიშვნელოვნად და აუცილებლად თვლის მომავალი წინასაარჩევნო კამპანიის გამოყენებას და ადგენს ქმედითი მონაწილეობა მიიღოს მასში».

ვიდრე გადავიდოდეთ იმ ამხანაგებისათვის პასუხის გაცემაზე, რომლებიც არ ეთანხმებიან ჩვენს ვითომდა გამთიშველ პოლიტიკას, რამდენიმე ამონაწერს მოვიყვანთ ერთ-ერთი ამ ამხანაგის წერილიდან:

...«მაგრამ თუ თათბირის (კერძო რაიონთაშორისო თათბირის) მონაწილეთა შორის, რომლის 2/3 მუშებისაგან შედგებოდა, აზრთა სრული თანხმობა იყო მომენტის შეფასებისა და მისგან გამომდინარე ჩვენი ტაქტიკური ნაბიჯების საკითხში, არა ნაკლებ ერთსულოვნად გაილაშქრა მან ჩვენს ტაქტიკურ მოწინააღმდეგე-ულტიმატისტებთან ბრძოლის იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც «პროლეტარის» რედაქცია გვთავაზობს. თათბირი არ დაეთანხმა «პროლეტარის» რეზოლუციებში გამოთქმულ აზრს, რომ აუცილებელია ფრაქციულად გავემიჯნოთ ამ ამხანაგებს, რადგან ასეთ გამიჯვნას თვლის საშიშ ნაბიჯად თვით პარტიის არსებობისათვის... დარწმუნებული ვარ, რომ მე სწორად გამოვხატავ თათბირის აზრსა და განწყობილებას, თუ ვიტყვი: ჩ ვ ე ნ ა რ დ ა ვ უ შ ვ ე ბ თ გ ა თ ი შ ვ ა ს. ამხანაგებო! თქვენ იქ, საზღვარგარეთ, თქვენთვის დახატეთ საშინელი ულტიმატისტური ეშმაკი, რომელიც ნამდვილად ჩვენში არ არსებობს. პეტერბურგის კომიტეტისა და აღმასრულებელი კომისიის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ მ ა შემადგენლობამ მოგვცა ულტიმატისტების უმრავლესობა, და ამის შედეგად მიღებულ იქნა უაზრო, უმეცრული რეზოლუცია, რამაც ამ ულტიმატისტებს ისეთი მორალური ლახვარი ჩასცა, რომლის შემდეგაც არა გვგონია ისინი წელში გაიმართონ... პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე, რომელმაც ეს რეზოლუცია მიიღო, სამი რაიონის წარმომადგენლები არ ყოფილან, ხოლო, როგორც ახლა გამოირკვა, მეოთხე რაიონის წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმა არ ჰქონია. ამრიგად, არ ყოფილან, მაშასადამე, ოთხი რაიონის წარმომადგენლები, და ერთი ხმა, რომელმაც ულტიმატისტებს უმრავლესობა მისცა, აღმოჩნდა «განმარტებული». გამოდის, რომ პეტერბურგის კომიტეტის ამ არასრულმა სხდომამაც კი ულტიმატისტებს უმრავლესობა არ არგუნა... არჩევნების შესახებ პეტერბურგის კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის მიმართ თათბირმა დაადგინა ეცადოს მიაღწიოს რეზოლუციის გადასინჯვას, და უეჭველია პეტერბურგის კომიტეტის პირველსავე სხდომაზე, სადაც, როგორც ახლა გამოირკვა, უმრავლესობა ჩვენი იქნება, მიღებული იქნება სხვანაირი რეზოლუცია. თვითონ ულტიმატისტებიც, რომელთაც თავიანთი რეზოლუციის რცხვენიათ, მისი გადასინჯვის თანახმა არიან. ყველანი, მათ შორის, მგონი, მისი ავტორიც, იმის თანახმა არიან, რომ ის ყოველმხრივ უაზროა, მაგრამ — და მე ამას ხაზს ვუსვამ — ის დანაშაულებრივი არ არის. ამხანაგმა ულტიმატისტებმა, რომლებმაც ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, განაცხადეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან რეზოლუციის ავტორს, ვინც მართლაც იმ ანდაზას მიჰყვება, რომელიც ურჩევს: ისე მოიქეცი, რომ «უმანკოებაც შეინარჩუნო და კაპიტალიც შეიძინოო»»...

ამრიგად, ჩვენი თანამოაზრე ბრალად გვდებს, რომ ჩვენ საზღვარგარეთ დავხატეთ საშინელი ულტიმატისტური ეშმაკი, რომ ულტიმატისტების წინააღმდეგ ჩვენი გამთიშველი ბრძოლით ჩვენ ვაძნელებთ (ან ვღუპავთ) პარტიის ხელახლა შექმნის საქმეს.

ამ «ბრალდებათა» საუკეთესო პასუხია იმის ისტორია, რაც პეტერბურგში მოხდა. სწორედ ამიტომ გადმოვეცით კიდეც ჩვენ ეს ისტორია ასე დაწვრილებით. ფაქტები თავისთავად მეტყველებენ.

ჩვენ ფრაქციისაგან გამოთიშულად ვაღიარეთ ამხ. მაქსიმოვი, რომელმაც უარი თქვა დამორჩილებოდა გაფართოებული რედაქციის რეზოლუციებს და ყბადაღებული «სკოლის» სახით მოაწყო ახალი ორგანიზაციის იდეურ-ორგანიზაციული ცენტრი საზღვარგარეთ. ამისათვის ჩვენ ბრალს გვდებს ჩვენი ზოგიერთი თანამოაზრე, რომლებიც იძულებული გახდნენ პეტერბურგში უაღრესად სასწრაფო ზომების (გავლენიან მუშათა საგანგებო კერძო თათბირი და უკვე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა!) საშუალებით მიეღწიათ იმ «ყოველმხრივ უაზრო» რეზოლუციის გაუქმებისათვის, რომელშიც განმეორებული იყო მაქსიმოვის შეხედულებანი!!

არა, ამხანაგებო, იმით, რომ ჩვენ ბრალად დაგვდეთ გათიშვა და «ეშმაკის ხატვა», თქვენ მხოლოდ კიდევ და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეთ, რომ აუცილებლად საჭირო იყო გამოგვეცხადებინა მაქსიმოვი ფრაქციისაგან გამოთიშულად, თქვენ დაამტკიცეთ მხოლოდ ის, რომ ჩვენ საბოლოოდ სახელს გავუტეხდით ბოლშევიზმს და გამოუსწორებელ ლახვარს ჩავცემდით პარტიულ საქმეს, პეტერბურგის არჩევნების წინ მაქსიმოვს რომ არ გავმიჯნოდით. თქვენი საქმეები — ამხანაგებო, რომლებიც ჩვენ ბრალად გვდებთ გათიშვას, — აბათილებენ თქვენს სიტყვებს.

თქვენ «არ იზიარებთ მხოლოდ» ულტიმატისტების წინააღმდეგ ბრძოლის ჩვენს მეთოდებს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ულტიმატისტების წინააღმდეგ ბრძოლის თქვენს მეთოდებს,

ჩვენ სავსებით და უსათუოდ მივესალმებით ბრძოლის თქვენს მეთოდებსაც და თქვენს გამარჯვებასაც, — მაგრამ ჩვენ ამასთან ერთად უღრმესად გვწამს, რომ სწორედ თ ქ ვ ე ნ ი მეთოდები სხვა არაფერია, თუ არა «ჩვენი» მეთოდების ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა განსაზღვრული პარტიული წრის მიმართ.

რაში მდგომარეობს ჩვენი «ცუდი» მეთოდები? იმაში, რომ ჩვენ მოვუწოდებდით მაქსიმოვისა და კომპანიისაგან გამიჯვნისაკენ. რაში მდგომარეობს თქვენი, კარგი, მეთოდები? იმაში, რომ რეზოლუცია, რომელიც სავსებით მაქსიმოვის შეხედულებათა გამტარებელია, თქვენ «ყოველმხრივ უაზრო» რეზოლუციად აღიარეთ, საგანგებო თათბირი მოიწვიეთ, ამ რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრეთ, მიაღწიეთ იმას, რომ თვით ავტორებს შერცხვათ მისი, მიაღწიეთ მის გაუქმებას და შეცვლას ა რ ა ულტიმატისტური, ა რ ა მ ე დ ბოლშევიკური რეზოლუციით.

თქვენი «ლაშქრობა», ამხანაგებო, ჩვენი ლაშქრობის გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ა და არა მისი უარყოფა.

მაგრამ ჩვენ არავინ არ გამოგვიცხადებია გამოთიშულადო, იტყვით თქვენ. კეთილი. იმისათვის, რომ ჩვენი, ცუდი, მეთოდი «უარყოთ», სცადეთ საზღვარგარეთ გააკეთოთ ის, რაც პეტერბურგში გააკეთეთ. სცადეთ მიაღწიოთ იმას, რომ მაქსიმოვმა და მისმა მომხრეებმა (თუნდაც იმ ადგილას, სადაც ეროგინის ცნობილი «სკოლა» იმყოფება) მაქსიმოვის ფურცელი («ანგარიში ამხანაგ ბოლშევიკებს») აღიარონ იდეური შინაარსით სავსებით «ყოველმხრივ უაზრო» ფურცლად, სცადეთ მიაღწიოთ იმას, რომ მაქსიმოვსა და მის კომპანიას «შერცხვეთ» ამ ფურცლისა, რომ ყბადაღებულმა სკოლამ შექმნას პ ი რ დ ა პ ი რ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო იდეური შინაარსის ფურცელი*.

* აი, სხვათა შორის, მაქსიმოვისა და ყბადაღებული «სკოლის» მიერ კვალის დაფარვის ილუსტრაცია. სკოლამ გამოუშვა 1909 წლის 26 აგვისტოთი დათარიღებული ნაბეჭდი ფურცელი, რომელიც შეიცავს სკოლის პროგრამას, კაუცკის წერილს (კაუცკი ძალიან რბილად ურჩევს «არ წამოაყენონ პირველ პლანზე» ფილოსოფიური უთანხმოებანი და აცხადებს,

თქვენ თუ ამას მიაღწევთ, მაშინ ნამდვილად გაამბათილებთ ბრძოლის ჩვენს მეთოდებს, და ჩვენ სიამოვნებით ვაღიარებთ «თქვენს» მეთოდებს უკეთეს მეთოდებად.

პეტერბურგში არის ცოცხალი, გადაუდებელი, საერთო პარტიული საქმე: არჩევნები. პეტერბურგში სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა მყისვე მოუწოდა წესრიგისაკენ ულტიმატისტებს და ისე მოუწოდა, რომ ისინი მყისვე დამორჩილდნენ: პარტიულობის გრძნობამ სძლია, პროლეტარული მასის სიახლოვემ კეთილმყოფელი გავლენა იქონია; ერთბაშად ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ულტიმატისტური რეზოლუციით საქმის გაძღოლა არ შეიძლება. ულტიმატისტებს მყისვე წაუყენეს ულტიმატუმი, და პეტერბურგელმა ულტიმატისტებმა (მათდა სასახელოდ უნდა ითქვას) ბოლშევიკების ულტიმატუმს უპასუხეს პარტიისადმი დამორჩილებით, ბოლშევიკებისადმი დამორჩილებით და არა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლით (ყოველ შემ-

---

რომ ის «მართებულად არ თვლის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მწვავე კრიტიკას» — რომ აღარაფერი ვთქვათ «ულტიმატიზმის» შესახებ!), ლენინის წერილს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 574 — 575. რედ.) და სკოლის საბჭოს რეზოლუციას. ეს სასაცილო საბჭო აცხადებს, რომ «ფრაქციულ ჩხუბს აბსოლუტურად არა აქვს დამოკიდებულება მის (სკოლის) მტკიცე საერთო-პარტიულ მიზნებთან და ამოცანებთან». ვკითხულობთ ფურცლის ხელმოწერას. ლექტორები: მაქსიმოვი, გორკი, ლიადოვი, ლუნაჩარსკი, მიხეილი, ალექსინსკი. წარმოიდგინეთ მხოლოდ: სკოლას, რომლის ლექტორთა შემადგენლობა ასეთია, «აბსოლუტურად არა აქვს დამოკიდებულება» «ფრაქციულ ჩხუბთან»! ისმინეთ, ძვირფასო ამხანაგებო: ...შეთხზეთ ხოლმე, მაგრამ ზომა იცოდეთ! — გვეტყვიან: სკოლა სხვა ლექტორებსაც «იწვევდაო». ჯერ-ერთი, იწვევდა, რაკი იცოდა, რომ სხვები თითქმის ვერასოდეს ვერ შესძლებდნენ ჩასვლას. მეორე, სკოლა იწვევდა, მაგრამ... «მაგრამ სკოლას არ შეეძლო მიეცა მათთვის — (სხვა ლექტორებისათვის) — მატერიალური სახსრები მათ გასამგზავრებლად და ლექციების დროს შესანახავად» (1909 წლის 26 აგვისტოს ფურცელი). კარგია, ხომ? ჩვენ აბსოლუტურად არაფრაქციონერები ვართ, მაგრამ სამგზავროდ სახსრებს ვერავის «ვერ მივცემთ», გარდა «ჩვენებისაო»...

თხვევაში, არჩევნების დროს: შეწყვეტენ თუ არა ისინი ბრძოლას არჩევნების შემდეგაც, ეს ჩვენ ჯერ არ ვიცით).

მაქსიმოვი და კომპანია ულტიმატისტები არიან არა მარტო სულიერი განწყობილებით. ისინი ცდილობენ ულტიმატიზმისაგან შექმნან მთელი მიმართულება. ისინი ქმნიან ულტიმატისტური პოლიტიკის მთელ სისტემას (რომ აღარაფერი ვთქვათ ღვთისმშენებლებთან მათი მეგობრობის შესახებ, რაშიაც, უთუოდ, პიტერელ ულტიმატისტებს ბრალი არ მიუძღვით), ისინი ამაზე ქმნიან ახალ მიმართულებას, მათ დაიწყეს სისტემატური ომი ბოლშევიზმის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ოტზოვისტების ეს სულისჩამდგმელნიც დამარცხდებიან (და უკვე მარცხდებიან), მაგრამ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოვაცილოთ ჩვენს ფრაქციასა და პარტიას ოტზოვისტურ-ულტიმატისტური სენი, აქ საჭირო იყო უფრო გადამჭრელი ზომები, და მით უფრო ჩქარა მოვაცილებთ პარტიას ამ სენს, რაც უფრო მტკიცედ წარვმართავთ ჩვენს ბრძოლას აშკარა და ფარული ოტზოვისტების წინააღმდეგ.

ულტიმატისტების «შემთხვევითი უმრავლესობაო», — ამბობენ პეტერბურგელები. დიდად ცდებით, ამხანაგებო· თქვენ ახლა მანდ ს ა ე რ თ ო· მოვლენის პაწია ნაწილაკს ხედავთ და «შემთხვევითობად» აცხადებთ იმას, რის კავშირიც მთელთან თქვენთვის ცხადი არ არის. გაიხსენეთ ფაქტები. 1908 წლის გაზაფხულზე ოტზოვიზმი გვევლინება ცენტრალურ ოლქში და ის 14 ხმას (32-დან) აგროვებს მოსკოვის საერთოსაქალაქო კონფერენციაზე. 1908 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მოსკოვში მიმდინარეობს ოტზოვისტური კამპანია: «რაბოჩეე ზნამია» დისკუსიას იწყებს და უკუაგდებს ოტზოვიზმს. 1908 წლის აგვისტოდან დისკუსია იწყება «პროლეტარშიც». 1908 წლის შემოდგომა: ოტზოვისტების გამოყოფა «მიმდინარეობად» სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე. 1909 წლის გაზაფხული: ოტზოვისტების კამპანია მოსკოვში (იხ. «პროლეტარი» № 47 — 48, «მოსკოვის საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია»). 1909 წლის ზაფხული: პეტერბურგის

კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ულტიმატისტური რეზოლუცია.

ამ ფაქტების შემდეგ ულტიმატისტური უმრავლესობის «შემთხვევითობაზე» ლაპარაკი პირდაპირ გულუბრყვილობაა. ცალკეულ ადგილებზე ორგანიზაციების შემადგენლობაში მეტად მკვეთრი მერყეობა გარდუვალია, — ვიდრე რეაქცია ისე ძლიერია, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირადი შემადგენლობა ისე სუსტია, როგორც ახლა. დღეს ბოლშევიკები ულტიმატისტურ უმრავლესობას «შემთხვევითობად» აცხადებენ N.N-ში, ხვალ ულტიმატისტები აცხადებენ ბოლშევიკურ უმრავლესობას «შემთხვევითობად» M. M.-ში. ამის გამო ურთიერთ საყვედურების მოსურნე უამრავია, — ჩვენ მათ რიცხვს არ ვეკუთვნით. უნდა გავიგოთ, რომ ეს საყვედურები და კინკლაობა ღრმა იდეური უთანხმოების ნ ა ყ ო ფ ი ა. მხოლოდ მაშინ, თუ ამას გავიგებთ, ჩვენ დავეხმარებით სოციალ-დემოკრატებს უნაყოფო და დამამცირებელი საყვედურები («შემთხვევითი» უმრავლესობის გამო, ამა თუ იმ ორგანიზაციული კონფლიქტის გამო, ფულის გამო, კავშირურთიერთობის გამო და სხვ.) შეცვალონ უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ი ს ი დ ე უ რ ი მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე ვ ი თ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მრავალ ქალაქში ბოლშევიკების წინააღმდეგ ულტიმატისტების ბრძოლა შეეხო მუშაობის სულ სხვადასხვა დარგს, უთანხმოება, არევ-დარევა შეიტანა საქმიანობაშიც ლეგალურ კავშირებში, საზოგადოებებში, ყრილობებსა და კრებებზე. ჩვენ გვაქვს წერილები «ბრძოლის ველიდან» ამ უთანხმოებისა და არევ-დარევის შესახებ — სამწუხაროდ, კონსპირაციის მოთხოვნები საშუალებას გვაძლევენ გამოვაქვეყნოთ ა მ ს ფ ე რ ო შ ი იმის მხოლოდ ერთი მეათედი, თუ ერთი მეასედი არა, რასაც ვღებულობთ. ჩვენ უაღრესი კატეგორიულობით ვამტკიცებთ, რომ ულტიმატისტების წინააღმდეგ ბრძოლა სანკტ-პეტერბურგში არჩევნების დროს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ა კი არა, საერთო სენის ერთ-ერთი გამოვლენაა უამრავ გამოვლენათა შორის.

და ამიტომ ჩვენ კიდევ და კიდევ ერთხელ განმეორებით ვეუბნებით ყველა ამხანაგ ბოლშევიკს, ყველა მუშას, ვინც კი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საქმეს აფასებს: არაფერია იმაზე უფრო მცდარი და საზიანო, ვიდრე ამ სენის დაფარვის ცდები. საჭიროა მთელი სიცხადით გამოვააშკარაოთ ოტზოვიზმის, ულტიმატიზმის, ღვთისმშენებლობის მომხრეებთან ჩვენი უთანხმოების მიზეზები, ხასიათი და მნიშვნელობა. საჭიროა ნათლად გამოვყოთ, გავმიჯნოთ ბოლშევიკების ფრაქცია, — ე. ი. იმ თანამოაზრე ბოლშევიკების კავშირი, რომელთაც სურთ წ ა ი ყ ვ ა ნ ო ნ პარტია «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» ყველასთვის ცნობილი მიმართულებით, — ახალი ფრაქციისაგან, რომელსაც თავისი მომხრეები გარდუვალად მიჰყავს დღეს «შემთხვევითს» ანარქისტულ ფრაზებამდე მოსკოვისა და პეტერბურგის ოტზოვისტურ პლატფორმებში, ხვალ — «შემთხვევითს» კარიკატურულ ბოლშევიზმამდე მაქსიმოვის ფურცელში, ზეგ — პეტერბურგის «შემთხვევითს» «უაზრო» რეზოლუციამდე. საჭიროა გავიგოთ ეს სენი და შეთანხმებულად შევუდგეთ მის მკურნალობას. იქ, სადაც მკურნალობა შესაძლებელია პეტერბურგელთა მეთოდებით, ე. ი. მოწინავე მუშათა სოციალ-დემოკრატიული შეგნებისადმი დაუყოვნებლივი და წარმატებითი მიმართვით, იქ ასეთი მკურნალობა ყველაზე უკეთესია, იქ ა რ ა ვ ი ნ დ ა ა რ ა ს დ რ ო ს ა რ ქადაგებდა გამოთიშვასა და გამიჯვნას რადაც უნდა დაჯდეს. ხოლო იქ, სადაც, სხვადასხვა პირობების გამო, ყალიბდება რამდენადმე მტკიცე ცენტრები, წრეები, რომლებიც ახალი ფრაქციის იდეების პროპაგანდას ეწევიან, გამიჯვნა აუცილებელია. იქ ახალი ფ რ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ გამიჯვნა არის პ ა რ ტ ი ი ს რიგებში მუშაობის დროს პრაქტიკული ერთიანობის ს ა წ ი ნ დ ა რ ი, რადგან ულტიმატიზმის დროშით ასეთი მუშაობის შეუძლებლობა ეს-ეს არის თვითონ პეტერბურგელმა პრაქტიკოსებმა აღიარეს.

«პროლეტარი» № 49,
1909 წ. 3 (16) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნა სტატიისადმი «პეტერბურგის არჩევნები»[25]

ამ ბოლშევიკური იდეის გადამლაშების წინააღმდეგ მხოლოდ ბოლშევიკებმა გაილაშქრეს. როცა გაზეთში «ნოვი დენ»[26] არასწორად გააშუქეს ტრუდოვიკებისა და სახალხო სოციალისტებისაგან არასაკმაო პრინციპული გამიჯვნა, სამმა ლიტერატორმა-ბოლშევიკმა სცადა გამოესწორებინა პროგრამულ უთანხმოებათა ეს წაშლა და წარემართა აგიტაცია გაზეთში და საარჩევნო კრებებზე უფრო მტკიცე კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი, ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გზით. ამ ცდამ ნაყოფი არ გამოიღო, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ა რ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს მ ი ზ ე ზ ი თ. ასევე ნაყოფი არ გამოიღო ერთი ბოლშევიკის ცდამ, რომელსაც უნდოდა აზრი გამოეთქვა იორდანსკის მსჯელობის წინააღმდეგ «ნოვი დენში» კანონიერებასა და წესრიგზე სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა გამო. იორდანსკიმ, ისე როგორც მრავალმა ოპორტუნისტმა, გააუგვანა ენგელსის ცნობილი განცხადება «წითელი ლოყების» შესახებ, რომლებიც სოციალ-დემოკრატიას უჩნდება «კანონიერების» ნიადაგზე. თვითონ ენგელსი გადაჭრით პროტესტს აცხადებდა მისი ამ შეხედულების განვრცობითი განმარტების წინააღმდეგ (იხ. მისი წერილები «Neue Zeit»-ში *), შეხედულებისა, რომელიც შეეხებოდა გერმანიის განვითარების გარკვეულ მომენტს (საყოველთაო საარჩევნო უფლების დროს და ასე შემდეგ)[27]. იორდანსკიმ დროულად ჩათვალა ამაზე ალაპარაკებულიყო 3 ივნისის «კანონიერების» დროს.

«პროლეტარი» № 49,
1909 წ. 3 (16) ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

პროექტი რეზოლუციისა პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შესახებ[28]

ცენტრალური ორგანოს[29] რედაქცია აღიარებს, რომ ჩვენი პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცება ამჟამად შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულ მუშათა მოძრაობაში გარკვეული ძლიერი და გავლენიანი ფრაქციების უკვე დაწყებული დაახლოების გზით და არა მათი მოსპობის თემაზე ჭკუისდამრიგებლური წუწუნის გზით, ამასთან ეს დაახლოება უნდა ხდებოდეს და ვითარდებოდეს იმ რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკისა და ორგანიზაციული პოლიტიკის გაზაზე, რომელიც მიმართულია გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ლიკვიდატორობასთან «მარცხნიდანაც» და «მარჯვნიდანაც», განსაკუთრებით მარჯვნიდან, რადგან უკვე განადგურებული «მემარცხენე» ლიკვიდატორობა ნაკლებ საშიშია.

დაწერილია 1909 წ.
21 ოქტომბერს (3 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
8-ე—3 გამოცემებში, ტ. XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ჰოლანდიის ს.-დ. მუშათა პარტიის გათიშვის საკითხის შესახებ[30]

სსბ «ბიულეტენის» ანგარიშის მიხედვით

ადლერის წინადადება გათიშვას თითქოს თვლის რაღაც გარდუვალ მოვლენად, ახალ პარტიას განიხილავს როგორც ჰოლანდიის სექციის ფრაქციას და აღიარებს, რომ მას საერთაშორისო კონგრესზე წარმომადგენლობის უფლება აქვს. რაც შეეხება იმ ხმების რიცხვს, რომლებითაც ის წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო კონგრესზე, ეს საკითხი უნდა განიხილოს ჰოლანდიის ნაციონალურმა სექციამ, და, თუ შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება, ახალ პარტიას უფლება აქვს მიმართოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. თუმცაღა, ამხ. როლანდ-ჰოლსტმა წერილით მიმართა ბიუროს და შუამდგომლობს ახალი პარტიის მიღების შესახებ.

წარმოთქმულია 1909 წ.
25 ოქტომბერს (7 ნოემბერს)

დაიბეჭდა «Bulletin Périodique du Bureau Socialiste International»-ში № 2, Bruxelles («საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდული ბიულეტენი» № 2, ბრიუსელი)

იბეჭდება «ბიულეტენის» ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

მეფე ფინელი ხალხის წინააღმდეგ

ზამთრის სასახლის შავრაზმელმა ბანდიტებმა და III საათათბიროს ოქტიაბრისტულმა შულერებმა დაიწყეს ახალი ლაშქრობა ფინეთის წინააღმდეგ. იმ კონსტიტუციის მოსპობა, რომლითაც ფინელთა უფლებები დაცულია რუს თვითმპყრობელთა თვითნებობისაგან, ფინეთის გათანასწორება დანარჩენ რუსეთთან იმ უუფლებობის მხრივ, რომელსაც ქმნის საგანგებო წესები — აი მიზანი ამ ლაშქრობისა, რომელიც დაიწყო მეფის ბრძანებულებით სამხედრო ვალდებულების საკითხის გადაწყვეტის შესახებ სეიმის გვერდის ავლით და ახალი სენატორების დანიშვნით რუს მოხელეთა წრიდან. ამაო იქნებოდა შევჩერებულიყავით იმ მოსაზრებათა განხილვაზე, რომლებითაც ცდილობენ ავაზაკები და შულერები დაამტკიცონ კანონიერება და სამართლიანობა მოთხოვნებისა, რაც ფინეთს წაუყენეს მილიონი ხიშტის მუქარით. საქმის დედაარსია არა ეს მოსაზრებანი, არამედ ის მიზანი, რომლის მიღწევა სურთ. დემოკრატიული და თავისუფალი ფინეთის სახით მეფის მთავრობას და მის თანამოსაგრეთ უნდათ მოსპონ 1905 წლის ს ა ხ ა ლ ხ ო მონაპოვართა უკანასკნელი კვალი. და ამიტომაც — მთელი რუსი ხალხის საქმეზეა ლაპარაკი ამ დღეებში, როცა კაზაკთა პოლკები და საარტილერიო ბატარიები სასწრაფოდ იკავებენ ფინეთის საქალაქო ცენტრებს.

რუსეთის რევოლუციამ, რასაც ფინელებმა მხარი დაუჭირეს, მეფე აიძულა გაეშალა თითები, რომლებიც მას რამდენიმე წლის განმავლობაში წაჭერილი ჰქონდა ფინელი ხალხის ყელზე. მეფეს, რომელსაც სურდა თავისი თვითმპყრობელობა გაევრცელებინა ფინეთზე, რომლის კონსტიტუციას შეჰფიცეს

მისმა წინაპრებმა და თვითონ მან, უნდა მოეთმინა არა მარტო ბობრიკოველი[31] ჯალათების განდევნა ფინეთის მიწა-წყლიდან და თავისი ყველა უკანონო ბრძანებულების გაუქმება, არამედ ფინეთში საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების შემოღებაც. ჩაახშო რა რუსეთის რევოლუცია, მეფე ხელს კიდებს ძველ საქმეებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა ის გრძნობს, რომ მას მხარს უჭერენ არა მარტო ძველი გვარდია, მისი დაქირავებული ჯაშუშები და ხაზინის ქურდები, არამედ შეძლებულთა ის ხროვაც, რომელიც, კრუპენსკებისა და გუჩკოვების მეთაურობით, ერთობლივად გამოდის III სათათბიროში რუსი ხალხის სახელით.

ყველაფერი ხელს უწყობს ავაზაკურ წამოწყებას. რევოლუციური მოძრაობა რუსეთში საშინლად დასუსტებულია, და ამ მოძრაობის შიში გვირგვინოსან მტარვალს ვერ ააღებინებს ხელს ამოჩემებულ მსხვერპლზე. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია, რომელიც მეფეს ოდესღაც მიმართვებს უგზავნიდა და თხოვდა ფინეთისთვის თავი დაენებებინა, თითს არ გაანძრევს ბანდიტების შესაჩერებლად. მას ხომ ეს-ეს არის მეფის ზრახვების პატიოსნებისა და «კონსტიტუციურობის» თ ა ვ დ ე ბ ა დ დ ა უ დ გ ნ ე ნ ის ადამიანები, რომლებიც იმ ხანებში მოუწოდებდნენ ევროპას დაეგმო მეფის პოლიტიკა ფინეთში. კადეტების ბელადებმა, რომლებიც თავიანთ თავს «რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებს» და «რუსი ხალხის წარმომადგენლებს» უწოდებენ, საზეიმოდ დაარწმუნეს ევროპის ბურჟუაზია, რომ ისინი, — და მათთან ერთად რუსი ხალხიც, — მ ე ფ ი ს ს ო ლ ი დ ა რ უ ლ ი ა რ ი ა ნ. რუსმა ლიბერალებმა ყველა ზომა მიიღეს იმისათვის, რომ ევროპა ისევე გულგრილად შეხვდეს ორთავიანი მტაცებლის ახალ თავდასხმებს ფინეთზე, როგორც შეხვდა მის ექსკურსიებს თავისუფალი სპარსეთის წინააღმდეგ.

თავისუფალმა სპარსეთმა საკუთარი ძალებით უკუაგდო ცარიზმი. ფინელი ხალხი — და მის სათავეში მდგომი ფინეთის პროლეტარიატი — ემზადება, რათა მტკიცედ უკუაგდოს ბობრიკოვის მემკვიდრენი.

ფინეთის პროლეტარიატს შეგნებული აქვს, რომ მას ბრძოლა მოუხდება მეტად მძიმე პირობებში. მან იცის, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია, რომელიც თვითმპყრობელობას ეკეკლუცება, საქმეში არ ჩაერევა; რომ რუსეთის შეძლებული საზოგადოება, ნაწილობრივ სტოლიპინის პოლიტიკით მოსყიდული, ნაწილობრივ კი კადეტური სიცრუით გახრწნილი, არ აღმოუჩენს ფინეთს იმ ზნეობრივ დახმარებას, რომელსაც მას 1905 წლამდე უწევდნენ; რომ რუსეთის მთავრობის თავზედობა უჩვეულოდ გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან მოახერხა ლახვარი ჩაეცა რევოლუციური არმიისათვის თვით რუსეთში.

მაგრამ ფინეთის პროლეტარიატმა ისიც იცის, რომ პოლიტიკური ბრძოლის ბედი ერთი შეტაკებით არ წყდება, რომ ის ხანდახან მრავალი წლის შეუპოვარ ღონისძიებებს მოითხოვს და რომ, ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს ის, ვის მხარეზედაც არის ისტორიული განვითარების ძალა. ფინეთის თავისუფლება გაიმარჯვებს, იმიტომ რომ უამისოდ წარმოუდგენელია რუსეთის თავისუფლება, ხოლო რუსეთში თავისუფლების საქმის გაუმარჯვებლად წარმოუდგენელია მისი ეკონომიური განვითარება.

ფინეთის პროლეტარიატმა აგრეთვე იცის, სახელოვანი გამოცდილებით, როგორ აწარმოოს ხანგრძლივი, შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა, რომლის მიზანია მოჰქანცოს, არივ-დარიოს, სახელი გაუტეხოს საზიზღარ მტერს, ვიდრე ვითარება შესაძლებელს გახდიდეს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს მას.

ამასთან ერთად, ფინეთის პროლეტარიატმა იცის, რომ თავისი ახალი ბრძოლის პირველი ნაბიჯებიდანვე მას თავის მხარეზე ეყოლება მთელი რუსეთის სოციალისტური პროლეტარიატი, რომელიც მზად არის, როგორიც უნდა იყოს თანამედროვე მომენტის მძიმე პირობები, შეასრულოს თავისი მოვალეობა, *მთელი თავისი მოვალეობა*.

სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დეპუტაცია გაუგზავნა III სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქ-

ციას, რომ ერთად განიხილონ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა. სათათბიროს მაღალი ტრიბუნიდან ჩვენი დეპუტატები აიმაღლებენ ხმას, როგორც უკვე გასულ წელს აიმაღლეს, რომ სამარცხვინო ბოძზე გააკრან მეფის მთავრობა და ნიღაბი ჩამოგლიჯონ მის თვალთმაქც მოკავშირეებს სათათბიროში. დაე ყველა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ და ყველა მუშამ ყოველივე იღონოს, რათა ჩვენი დეპუტატების ხმა თავრიდის სასახლეში განმარტოებით არ გაისმოდეს, რათა რუსეთისა და ფინეთის თავისუფლების მტრები ხედავდნენ, რომ მთელი რუსეთის პროლეტარიატი ფინელი ხალხის სოლიდარულია. ადგილობრივი ამხანაგების მოვალეობაა ყველა არსებული შესაძლებლობა გამოიყენონ იმისათვის, რომ საქვეყნოდ ცხადყონ რუსეთის პროლეტარიატის დამოკიდებულება ფინეთის საკითხისადმი. დაწყებული რუსეთისა და ფინეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციებისადმი მიმართვებით და შემდეგ პროტესტის უფრო აქტიური ფორმების გამოყენებით, პარტია საკმაო საშუალებებს გამონახავს იმ სამარცხვინო დუმილის დასარღვევად, რომლის პირობებშიც რუსეთის კონტრრევოლუცია ჯიჯგნის ფინელი ხალხის სხეულს.

ფინეთში ბრძოლაა მთელი რუსეთის თავისუფლების საქმისათვის. რა მწარე წუთებიც უნდა მოჰქონდეს ახალ ბრძოლას ესოდენ მამაცი ფინელი პროლეტარიატისათვის, ეს ბრძოლა სოლიდარობის ახალი ძაფებით დააკავშირებს ფინეთისა და რუსეთის მუშათა კლასს, მოამზადებს მას იმ მომენტისათვის, როცა იგი შესძლებს დაამთავროს ის, რაც მან 1905 წლის ოქტომბრის დღეებში დაიწყო და რის განგრძობასაც კრონშტადტისა და სვეაბორგის სახელოვან დღეებში ცდილობდა.

«სოციალ-დემოკრატ» № 9,
1909 წ. 31 ოქტომბერი
(13 ნოემბერი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

წერილი კაპრის სკოლის მსმენელებს[32]

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი ორივე წერილი «სკოლის» დაწყებული განხეთქილების შესახებ. თანამოაზრეთა ამ პირველმა ამხანაგურმა წერილებმა, რომლებიც კაპრიდან მოგვივიდა, ჩვენ ყველანი უზომოდ გაგვახარა. მთელი სულითა და გულით მივესალმებით მკაფიო გამიჯვნას სკოლაში.

სკოლის, როგორც ახალი ფრაქციის ახალი ცენტრის, ჭეშმარიტი ხასიათის გამომჟღავნებისათვის, რა თქმა უნდა, საჭირო იყო დრო. ჩვენ ერთი წუთითაც არ დავეჭვებულვართ, რომ ყველაზე უფრო შეგნებული მუშა სოციალ-დემოკრატები ადრე თუ გვიან გაერკვევიან საქმის ვითარებაში და სწორ გზაზე გამოვლენ. მოსკოვიდან გვწერენ, რომ იქ მიიღეს სკოლის იმ თავგამოდებულ მოწაფე «ბოგდანოველთა» წერილები, რომლებიც აშკარად ეწევიან აგიტაციას კაპრის ცენტრის სასარგებლოდ და მეტისმეტად ეხმარებიან ყველა სოციალ-დემოკრატ მუშას გაიგონ კაპრის სკოლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ახლა უფრო ახლოს შევეხოთ საქმეს. თქვენ, ამხანაგებო, კარგად უნდა ჩაუფიქრდეთ შექმნილ ახალ მდგომარეობას იმისათვის, რომ ჩვენ თქვენთან ერთად შეგვეძლოს განვიხილოთ ის და სწორი ნაბიჯები გადავდგათ, სწორად შევარჩიოთ

დრო ამ ნაბიჯებისათვის. თქვენ გესმით, რა თქმა უნდა, რომ სკოლის გათიშვა ახლა გარდუვალია: თქვენ თვითონ იწერებით, რომ ასეთ სკოლაში არ გაგეძლებათ. თავგამოდებულ «ბოგდანოველებთან» ერთად საერთო მოქმედების იმედი, რა თქმა უნდა, თქვენ თვითონვე არა გაქვთ. ხოლო რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ სკოლის გათიშვა გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა, საჭიროა ნათლად გავიგოთ ამ გათიშვის მნიშვნელობა, ნათლად წარმოვიდგინოთ, რანაირი ბრძოლა გამომდინარეობს გათიშვიდან, როგორ შეეცდებიან ბოგდანოველები «უ ვ ნ ე ბ ე ლ ნ ი» გ ა გ ხ ა დ ო ნ თქვენ ყველანი (ე. ი. წაგართვან თქვენი გავლენის გატარებისა და სკოლის შესახებ სიმართლის თქმის საშუალება), ს ა ხ ე ლ ი გ ა გ ი ტ ე ხ ო ნ თქვენ ყველას («ბოლშევიკური ცენტრის აგენტის» მეტსახელი, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, ალექსინსკის გაუვრცელებია, მხოლოდ დასაწყისია; ეს კიდევ ცოტაა, თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი წ ი ნ ა რ ი ს) და სხვ. და სხვ.

თქვენ ყოველივე ეს კარგად უნდა მოიფიქროთ და მტკიცედ, გადაჭრით, მოსაზრებულად იმოქმედოთ, როგორც ბრძოლის დროს: თქვენ თვითონ იწერებით, რომ სკოლაში «ბრძოლებია» პლატფორმისთვისო. ეს არის დასაწყისი თქვენს წინააღმდეგ ბ რ ძ ო ლ ე ბ ი ს ა ყ ვ ე ლ გ ა ნ დ ა ყ ო ვ ე ლ ა დ გ ი ლ ა ს, სადაც კი ბოგდანოველები ფეხს შედგამენ.

უნდა დაიწყოთ იმით, რომ ზუსტად განსაზღვროთ თქვენი რაოდენობა. რამდენია «ბოგდანოვის» პლატფორმის მ ტ კ ი ც ე მოწინააღმდეგე? შეიძლება თუ არა ამ რიცხვის გადიდება? თუ შეიძლება, როგორ და როდის. თუ არ შეიძლება, როგორ იქცევიან «ნეიტრალურნი»? საჭიროა მოიფიქროთ, როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ სკოლის გარდუვალი გათიშვის დროს იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად შ ი ე მ ხ რ ო თ ეს ნეიტრალური პირები ანდა, უარეს შემთხვევაში, არ ჩაუგდოთ ისინი სავსებით ხელში ბოგდანოველებს.

შემდეგ. როგორ ფიქრობთ მოაწყოთ თქვენი გამოსვლა სკოლიდან? როგორც ჩვეულებრივი წასვლა, თუ როგორც

გამოსვლა პლატფორმების გამო ბრძოლისათვის? რასაკვირველია, თუ თქვენი ბრძოლა ისევე სწრაფად ვითარდებოდა, როგორც ეს შეიძლებოდა გვეფიქრნა თქვენი პირველი ორი წერილის მიხედვით, მაშინ გათიშვა, შესაძლოა, უკვე მომხდარი იყოს, ე. ი. თქვენ, შესაძლოა, უკვე გამოგაძევეს ბოგდანოველებმა, სულ უბრალოდ გამოგაძევეს, — მაშინ ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება რაიმეზე. თუ ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა, — კარგად მოიფიქრეთ, როგორ მოაწყოთ თქვენი წასვლა. თქვენ პასუხი უნდა გასცეთ რუსეთის ყველა ორგანიზაციას. თქვენ ზუსტად და მკაფიოდ, ფაქტებით ხელში, უნდა უკუაგდოთ ყველა ის თავდასხმა, რასაც ახლა თქვენს წინააღმდეგ ათასობით დაიწყებენ «ბოგდანოველები». თქვენ უნდა მოემზადოთ იმისათვის, რომ დაიცვათ თქვენი შეხედულებანი როგორც სკოლაზე, ისე ბოგდანოველთა «პლატფორმაზე».

თქვენი გამგზავრების საკითხი თუ წამოიჭრება, უნდა მიაღწიოთ იმას, რომ თქვენ ყველას მოგცენ სახსრები რუსეთში ჩასასვლელად. ეს სკოლის მოვალეობაა, სწორედ ისევე, როგორც ბოლშევიკების გათიშვამდე ბოლშევიკური ცენტრის მოვალეობა იყო მიეცა ფული რუსეთში გასამგზავრებლად (1908 წ. დეკემბრის პარტიული კონფერენციის შემდეგ) ლიადოვისთვისაც, ვსევოლოდისთვისაც და სტანისლავისთვისაც. მათ მაშინ მოგვთხოვეს სახსრები და მიიღეს კიდეც.

რასაკვირველია, ჩვენ დაგეხმარებით პასპორტების მხრივაც და ჩვენი შეხვედრის მხრივაც (პარიზში ან სადმე პატარა ქალაქში, რათა შეხვედრა უფრო კონსპირაციული იყოს, თქვენ ნაკლები დროის დაკარგვა მოგიხდეთ და იაფი დაჯდეს). ჩვენი შეხვედრის ადგილის საკითხს კიდევ განვიხილავთ საგანგებოდ და შევარჩევთ შემდეგში. ჩვენი ფინანსები ბრწყინვალე არ არის, და მხოლოდ მცირეოდენი დახმარების გაწევა შეგვიძლია.

ყოველივე ამას გწერთ საქმის გასარკვევად და აზრთა ურთიერთ გასაზიარებლად. როცა თქვენგან უფრო ზუსტ პასუხს მივიღებთ, როცა ჩვენი მიწერ-მოწერით ყველა საკითხს

გავარკვევთ, ჩვენ მოვიწვევთ «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის აღმასრულებელ კომისიას, და მაშინ გადაწყდება დახმარების ოდენობა, ჩვენი შეხვედრის დრო და ადგილი და სხვა.

გვიპასუხეთ უფრო დაწვრილებით. ხომ არ შეგიძლიათ მოგვცეთ თქვენი პ ი რ დ ა პ ი რ ი მისამართი?

სალამი. «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» მ დ ი ვ ა ნ ი

დაწერილია 1909 წ. ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1933 წ. ლენინის კრებულში, XXV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სამარცხვინო ჩავარდნა

მკითხველს ახსოვს NN-ის «პარტიული» სკოლის მოკლე, მაგრამ ჭკუის სასწავლი ისტორია. აი ეს ისტორია. ბოლშევიკური ფრაქცია ერთი წლის შინაგანი ბრძოლის შემდეგ გადაჭრით ემიჯნება «ახალ» მიმდინარეობებს — ოტზოვიზმს, ულტიმატიზმსა და ღვთისმშენებლობას. ბოლშევიკური თათბირი საგანგებო რეზოლუციით აცხადებს NN-ის სკოლას ამ მიმდინარეობათა მომხრეების ახალი ფრაქციის ცენტრად*. ამ სამ ვეშაპზე დაფუძნებული ახალი ფრაქციის საზღვარგარეთელი ბელადები ორგანიზაციულად ეთიშებიან ბოლშევიკებს. ახალი ფრაქციის გმირები, რომლებიც განირჩევიან უჩვეულო პოლიტიკური სიმამაცით და თავიანთი პოზიციისადმი ურყევი რწმენით, ვერ ბედავენ ნიღაბახდილი გამოვიდნენ საკუთარ ორგანოში და სხვა. ამის ნაცვლად ისინი ირჩევენ პარტიისა და ფრაქციის პირდაპირი მოტყუების გზას: ისინი ქმნიან საზღვარგარეთულ სკოლას, რომელსაც «პარტიულ» სკოლას უწოდებენ და რომლის ნამდვილ იდეურ სახეს გულმოდგინედ მალავენ. მთელ რიგ ღონისძიებათა შემდეგ ისინი ახერხებენ ამ ვითომდა პარტიულ სკოლაში ცამეტიოდე მუშის შეკრებას; ამ მუშების «სწავლებას» იწყებს ჯგუფი, რომელშიაც შედიან მაქსიმოვი, ალექსინსკი, ლიადოვი და ლუნაჩარსკი. ეს კომპანია არა მარტო მუდამ მალავს იმ ფაქტს, რომ «სკოლა» ახალი ფრაქციის ცენტრია, არამედ მთელი ძალით ხაზს უსვამს, რომ «სკოლა»

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 552 — 553.
რედ.

არავითარ ფრაქციასთან დაკავშირებული არ არის და საერთო-პარტიული წამოწყებაა. მაქსიმოვი, ალექსინსკი, ლიადოვი და კომპანია «არაფრაქციული» ამხანაგების როლში!.. *

და, ბოლოს, ახლა — უკანასკნელი სტადია. ვითომდა პარტიულ სკოლაში ჩასული მუშებიდან დაახლოებით ნახევარი იწყებს ამბოხებას «ცუდ მოძღვართა» წინააღმდეგ. ქვემოთ ვბეჭდავთ უბადალებული «სკოლის» მოწაფეთა ორ წერილს და მოსკოვიდან მიღებულ რამდენიმე ცნობას, რომლებიც საბოლოოდ ააშკარავებენ მაქსიმოვ-ალექსინსკ-ლიადოვისა და კომპანიის ავანტიურას. ყველაფერი, რაც ამ ცნობებშია აწერილი, თავისთავად მეტყველებს. იქ ყველაფერი კარგია: «ნამდვილი ბრძოლაც», «ყოვლად საშინელი პოლემიკაც ყოველდღე», მასწავლებელ ალექსინსკის მიერ მუშა მსმენელებისათვის ენის გამოყოფაც და სხვა. სკოლის მრავალაღმთქმელ ანგარიშებში ყოველივე ეს, ალბათ, გადაიქცევა «პრაქტიკულ მეცადინეობად» აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებზე, «საზოგადოებრივ მსოფლმხედველობათა» კურსად და ასე შემდეგ. მაგრამ, ვაი რომ ახლა ამ უბადრუკ, სამარცხვინო კომედიას აღარავინ დაიჯერებს!

ახალი ფრაქციის ბელადები ორი თვე ყურში ჩასჩურჩულებდნენ მუშებს ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის უპირატესობაზე რევოლუციური მარქსიზმის წინაშე. შემდეგ კი ვეღარ მოითმინეს და აშკარად ჩააცივდნენ მათ ოტზოვისტურ-ულტიმატისტური «პლატფორმით». და ყველაზე უფრო მოწინავე და დამოუკიდებელმა მუშებმა, რა თქმა უნდა, პროტესტი განაცხადეს. ჩვენ არ გვინდა ოტზოვისტებისა და ღვთისმშენებლების ახალი იდეური ცენტრის საფარი

* სხვათა შორის, დაე ტროცკიმ ახლა, ქვემოთ მოთავსებულ მუშათა წერილებს რომ გაეცნობა, გადაწყვიტოს — განა დრო არ არის მან შეასრულოს თავისი დაპირება NN-ის «სკოლაში» მასწავლებლად წასვლის შესახებ (თუ ამ დაპირებას სწორად გადმოსცემს «სკოლის» ერთ-ერთი ანგარიში). შეიძლება ითქვას, ახლა კი ნამდვილად დროა «ბრძოლის ველზე» გამოხვიდე სამშვიდობო ბზის ტოტით და «არაფრაქციული» ბარძიმით ხელში.

ვიყოთ; სკოლას არც «ქვევიდან» და არც «ზევიდან» კონტროლს არ უწევენო, — ამბობენ ამხანაგი მუშები თავიანთ წერილებში. და ეს იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ კუკუმალულობას თამაშისა და დემაგოგიური «დემოკრატიზმის» პოლიტიკა პ ა რ ტ ი უ ლ მუშებში აუცილებლად გაკოტრდება. — ადგილობრივი ორგანიზაციები თვითონ იქნებიან NN-ის სკოლის გამგებელნიო, — ეუბნებოდნენ მუშებს მაქსიმოვი და კომპანია. ახლა ეს თამაში გამო

თანამედროვე იდეური დაბნეულობის ზოგიერთი წყაროს შესახებ

«პროლეტარის» ამ ნომერში დაბეჭდილია ერთი წერილი იმ მრავალრიცხოვანი წერილებიდან, რომლებიც მოწმობენ უდიდეს იდეურ დაბნეულობას სოციალ-დემოკრატთა შორის. განსაკუთრებით საყურადღებოა მსჯელობა «გერმანული რელსების» შესახებ (ე. ი. 1848 წლის შემდეგ გერმანიის განვითარების გზის განმეორების შესახებ ჩვენში). იმისათვის, რომ გავარჩიოთ მცდარ შეხედულებათა წყაროები ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში, რომლის გაურკვევლად შეუძლებელია მუშათა პარტიის სწორი ტაქტიკა, ავიღოთ მენშევიკები და «გოლოს სოციალ-დემოკრატა», ერთი მხრით, და ტროცკის პოლონური სტატია, მეორე მხრით.

I

ბოლშევიკების ტაქტიკის საფუძველი 1905 — 1907 წლების რევოლუციაში იყო ის დებულება, რომ ამ რევოლუციის სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. როგორია ამ თვალსაზრისის ეკონომიური დასაბუთება? დაწყებული «ორი ტაქტიკით» (1905 წ.) * და განგრძობილი 1906 და 1907 წლების გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სტატიებით, ჩვენ ყოველთვის ვიძლეოდით შემდეგ დასაბუთებას: რუსეთის ბურჟუაზიული განვითარება

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 9, გვ. 1 — 162. რედ.

უკვე სავსებით წინასწარ გადაწყვეტილი და გარდუვალია, მაგრამ ეს შესაძლებელია ორი ფორმით — ეგრეთწოდებული «პრუსიული» ფორმით (მონარქიისა და მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება, წელმაგარი, ე. ი. ბურჟუაზიული გლეხობის შექმნა ახლანდელ ისტორიულ ნიადაგზე და სხვა) და ეგრეთწოდებული «ამერიკული» ფორმით (ბურჟუაზიული რესპუბლიკა, მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა, ფერმერობის, ე. ი. თავისუფალი ბურჟუაზიული გლეხობის შექმნა ახლანდელი ისტორიული ვითარების მკვეთრი გარდატეხის გზით). პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს მეორე გზისათვის, რადგან ის უზრუნველყოფს კაპიტალისტური რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარების უდიდეს თავისუფლებასა და სისწრაფეს, ასეთ ბრძოლაში გამარჯვება კი შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის დროს.

სწორედ ეს თვალსაზრისია გატარებული ლონდონის ყრილობის რეზოლუციაში ნაროდნიკული ანუ შრომითი პარტიებისა და მათდაძი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების შესახებ. მენშევიკები, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო მტრულად უყურებენ ამ რეზოლუციას სწორედ იმ სპეციალური საკითხის გამო, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ. მაგრამ თუ რამდენად მერყეევია მათი პოზიციის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი დასაბუთება, ჩანს რუსეთში აგრარული საკითხის დარგში უაღრესად გავლენიანი მენშევიკური მწერლის ამხ. მასლოვის შემდეგი სიტყვებიდან. «აგრარული საკითხის» მეორე ტომში, რომელიც 1908 წელს გამოვიდა (წინასიტყვაობა დათარიღებულია 1907 წლის 15 დეკემბრით), მასლოვი წერდა: «ვ ე დ რ ე (ხაზგასმა მასლოვისაა) სოფლად არ ჩამოყალიბებულა წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ვ ი დ რ ე სასურსათო იჯარას» (მასლოვი ტყუილად ხმარობს ამ უხეირო ტერმინს ნაცვლად ტერმინისა: კაბალურ-ბატონყმური იჯარა) «ადგილი აქვს, არ გაქრება აგრარული საკითხის დემოკრატიისათვის ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტის შესაძლებლობაც. მსოფლიო ისტორიის წარსული იძლევა

კაპიტალისტური წყობილების შექმნის ორ ტიპს: დასავლეთ ევროპაში (გარდა შვეიცარიისა, ევროპის სხვა სახელმწიფოების ზოგიერთი კუთხისა) გაბატონებული ტიპი, რომელიც თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის კომპრომისის შედეგია, და საადგილმამულო ურთიერთობათა ტიპი, რომელიც შექმნილია შვეიცარიაში, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში, ინგლისისა და სხვა კოლონიებში. ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემები რუსეთში მიწის საკითხის მდგომარეობის შესახებ არ გვაძლევენ საკმაო საფუძველს გადაჭრით ვამტკიცოთ, თუ საადგილმამულო ურთიერთობის რომელი ტიპი დამკვიდრდება ჩვენში, «მეცნიერული სინდისი» კი ნებას არ გვაძლევს სუბიექტური და თვითნებური დასკვნები გავაკეთოთ»... (გვ. 457).

ეს მართალია. და ეს ბოლშევიკური ტაქტიკის ეკონომიური დასაბუთების სრული აღიარებაა. საქმე «რევოლუციურ აღტყინებაში» კი არ არის (როგორც ვეხელები და ჩერევანინები ფიქრობენ), არამედ იმ ო ბ ი ე ქ ტ უ რ, ეკონომიურ პირობებში, რომლებიც რუსეთში კაპიტალიზმის «ამერიკული» გზის შესაძლებლობას ი ძ ლ ე ვ ი ა ნ. თავის 1905 — 1907 წლების გლეხთა მოძრაობის ისტორიაში მასლოვი იძულებული იყო ელიარებინა ჩვენი ძირითადი წანამძღვრები. აგრარული «პროგრამა კადეტებისა, — წერს იგი იქვე, — ყველაზე უფრო უტოპიურია, რადგან არ არის ისეთი ფართო საზოგადოებრივი კლასი, რომელიც დაინტერესებული იყოს საკითხის მათთვის სასურველი გადაწყვეტით. გაიმარჯვებს ან მიწათმფლობელთა ინტერესები მომავალი პოლიტიკური დათმობებით» (მასლოვს უნდა თქვას: თანაც გარდუვალია დათმობები მიწათმფლობელი ბურჟუაზიისადმი), «ანდა დემოკრატიის ინტერესები» (გვ. 456).

ესეც მართალია. აქედან გამოდის, რომ რევოლუციაში «უტოპიური» იყო პროლეტარიატის მიერ კადეტებისათვის მხარდაჭერის ტაქტიკა. აქედან გამოდის, რომ «დემოკრატიის», ე. ი. დემოკრატიული რევოლუციის ძ ა ლ ე ბ ი პროლეტარიატისა და გლეხობის ძალებია. აქედან გამოდის, რომ

არსებობს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი განვითარების ო რ ი გზა: ერთი გზით მიჰყავთ ქვეყანა «მიწათმფლობელებს, რომლებიც უთმობენ ბურჟუაზიას», მეორე გზით ის უნდათ წაიყვანონ და შეუძლიათ წაიყვანონ მუშებსა და გლეხებს (შდრ. მასლოვი, გვ. 446: «მემამულეთა მთელი მიწები უფასოდ რომ გადასულიყო გლეხობის სარგებლობაში, მაშინაც კი... ადგილი ექნებოდა გლეხური მეურნეობის კაპიტალიზაციის პროცესს, მაგრამ უფრო უმტკივნეულოს»...).

ჩვენ ვხედავთ, რომ როცა მასლოვი მსჯელობს როგორც მარქსისტი, იგი ბოლშევიკურად მსჯელობს. ხოლო აი მაგალითი, როცა ის ბოლშევიკებს ლანძღავს და ლიბერალივით მსჯელობს. ეს მაგალითი არის, თავისთავად ცხადია, ლიკვიდატორულ წიგნში: «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს», რომელიც მარტოვის, მასლოვისა და პოტრესოვის რედაქციით გამოდის; განყოფილებაში «შედეგები» (ტ. I) ვნახულობთ მასლოვის სტატიას: «სახალხო მეურნეობის განვითარება და მისი გავლენა კლასთა ბრძოლაზე XIX საუკუნეში». ამ სტატიაში, 661 გვერდზე, ვკითხულობთ:

...«ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ბურჟუაზიას განიხილავდა როგორც საბოლოოდ რეაქციულ კლასს და უმნიშვნელო ძალას. ბურჟუაზიის ძალასა და მნიშვნელობას არათუ სათანადოდ არ აფასებდნენ, არამედ ამ კლასის ისტორიულ როლსაც განიხილავდნენ ისტორიული პერსპექტივის გარეშე: უგულებელყოფდნენ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში და მისდამი მსხვილი ბურჟუაზიის თანაგრძნობას მოძრაობის პირველ პერიოდში, მომავლისთვისაც წინასწარ წყვეტდნენ ბურჟუაზიის რეაქციულ როლს და ასე შემდეგ» (სწორედ ასე წერია: «და ასე შემდეგ»!). «აქედან გამოყავდათ დასკვნა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის გარდუვალობის შესახებ, დიქტატურისა, რომელიც სამეურნეო განვითარების მთელი მსვლელობის საწინააღმდეგო რამ იქნებოდა».

მთელი ეს ტირადა სულ მთლად ვეხურია. მთელი ეს «მარქსიზმი» ბრენტანული, ზომბარტული ან სტრუვისტული მარქსიზმია[33]. ამ ტირადის ავტორის პოზიცია არის სწორედ ლიბერალის პოზიცია ბურჟუაზიული დემოკრატისაგან განსხ-

ვავებით. ვინაიდან ლიბერალი სწორედ იმიტომ არის ლიბერალი, რომ იგი ვერ ხედავს სხვა გზას, აზრადაც არ მოსდის ბურჟუაზიული განვითარების სხვა გზა, გარდა არსებული გზისა, ე. ი. იმ გზისა, რომელსაც ხელმძღვანელობენ მიწათმფლობელნი, ბურჟუაზიას რომ «უთმობენ» ხოლმე. დემოკრატი სწორედ იმიტომ არის დემოკრატი, რომ იგი ხედავს სხვა გზას, იბრძვის მისთვის, სახელდობრ იმ გზისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობს «ხალხი», ე. ი. წვრილი ბურჟუაზია, გლეხობა და პროლეტარიატი, მაგრამ ვერ ხედავს იმას, რომ ეს გზაც ბურჟუაზიული გზაა. ლიკვიდატორული წიგნის «შედეგებში» მასლოვმა დაივიწყა ყველაფერი ბურჟუაზიული განვითარების ო რ ი გზის შესახებ, ამერიკული ბურჟუაზიის ძ ა ლ ი ს შესახებ (რუსეთის პირობების მიხედვით: იმ ბურჟუაზიის ძალის შესახებ, რომელიც წარმოიშობა გ ლ ე ხ ო ბ ი დ ა ნ, მემამულური მიწათმფლობელობისაგან რევოლუციური გზით გაწმენდილ ნ ი ა დ ა გ ზ ე), პრუსიული («მიწათმფლობელების» მიერ დამონებული) ბურჟუაზიის ს ი ს უ ს ტ ი ს შესახებ, იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები არასოდეს არ ლაპარაკობდნენ «დიქტატურის» «გარდუვალობაზე», არამედ ლაპარაკობდნენ მის საჭიროებაზე ამერიკული გზის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, დაივიწყა, რომ ბოლშევიკებს «დიქტატურა» გამოყავდათ არა ბურჟუაზიის სისუსტიდან, არამედ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი, ეკონომიური პირობებიდან, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ბურჟუაზიის ორგვარ განვითარებას. თეორიული თვალსაზრისით მოყვანილი ტირადა სრული დომხალია (რომელიც თვითონ მასლოვმა უარყო «აგრარული საკითხის» II ტომში); პრაქტიკულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ტირადა ლიბერალიზმია, უკიდურესი ლიკვიდატორობის იდეური დაცვაა.

ახლა ნახეთ, რანაირად იწვევს ძირითად ე კ ო ნ ო მ ი უ რ საკითხში პოზიციის მერყეობა პოლიტიკური დასკვნების მერყეობას. აი ციტატი მარტოვის სტატიიდან «საით წავიდეთ?» («ბოლოს სოციალ-დემოკრატა», № 13): «თანამედროვე რუსეთში არავის არ შეუძლია ახლანდელ მომენტში განსაზღვ-

როს, შეიქმნება თუ არა ახალი პოლიტიკური კრიზისის დროს ხელსაყრელი ობიექტური პირობები ძირფესვიანი დემოკრატიული რევოლუციისათვის; ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დავსახოთ ის კონკრეტული პირობები, რომელთა არსებობის დროს ასეთი რევოლუცია გარდუვალი გახდება. ვიდრე ისტორიას ეს საკითხი არ გადაუწყვეტია ისე, როგორც ის გერმანიისათვის 1871 წელს გადაწყვიტა, მანამდე სოციალ-დემოკრატიამ ხელი არ უნდა აიღოს იმ ამოცანაზე, რომ მიდიოდეს გარდუვალი პოლიტიკური კრიზისისაკენ პოლიტიკური, აგრარული და ნაციონალური პრობლემის საკუთარი რევოლუციური გადაწყვეტით (დემოკრატიული რესპუბლიკა, მემამულური მიწათმფლობელობის კონფისკაცია და თვითგამორკვევის სრული თავისუფლება). მაგრამ ის სწორედ რომ უნდა მ ი დ ი ო დ ე ს იმ კრიზისისაკენ, რომელიც რევოლუციის «გერმანული» თუ «ფრანგული» დამთავრების საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს, და არა ე რ თ ა დ გ ი ლ ზ ე ი დ გ ე ს კრიზისის დაწყების მოლოდინში».

მართალია. ჩინებული სიტყვებია, რომლებიც გადმოსცემენ სწორედ 1908 წლის დეკემბრის პარტიული კონფერენციის რეზოლუციას. საკითხის ასეთი დაყენება სავსებით შეესაბამება მასლოვის სიტყვებს «ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს» მ ე ო რ ე ტ ო მ შ ი და ბოლშევიკების ტაქტიკას. ასეთი დაყენება გადაჭრით განსხვავდება იმ პოზიციისაგან, რომელიც გამოხატულია განთქმული წამოძახილით: «ბოლშევიკებმა 1908 წლის დეკემბრის კონფერენციაზე დაადგინეს იქით მიაწვენ, სადაც ისინი ერთხელ დამარცხდნენო»[34]. «აგრარული საკითხის საკუთარი რევოლუციური გადაწყვეტით სვლა» შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ფენებთან, ე. ი. მხოლოდ გლეხობასთან ერთად, და არა ლიბერალებთან ერთად, რომლებიც «მიწათმფლობელთა დათმობებით» კმაყოფილდებიან. კონფისკაციისაკენ სვლა გლეხობასთან ერთად — ეს ფორმულირება მხოლოდ სიტყვიერად განსხვავდება დებულებისაგან: პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისაკენ სვლა. მაგრამ მარ-

ტოვი, რომელიც «გოლოსის» მე-13 ნომერში უშუალოდ დაუ-ახლოვდა ჩვენი პარტიის პოზიციას, თანამიმდევარი სიმტკიცით ვერ რჩება ამ პოზიციაზე და განუწყვეტლივ იხრება პოტრესოვ-ჩერევანინისაკენ როგორც ლიკვიდატორულ წიგნში — «საზოგადოებრივი მოძრაობა», ისე იმავე მე-13 ნომერში. მაგალითად, იმავე სტატიაში იგი მომენტის ამოცანას განსაზღვრავს როგორც «ბრძოლას ა შ კ ა რ ა მუშათა მოძრაობისათვის, მათ შორის საკუთარი (სოციალ-დემოკრატიული პარტიის) აშკარა არსებობის მოპოვებისთვისაც». ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ ლიკვიდატორებს დაუთმო: ჩვენ გვინდა განვამტკიცოთ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ყველა ლეგალურ შესაძლებლობასა და აშკარა გამოსვლის ყველა შემთხვევას იყენებს; ლიკვიდატორებს უნდათ პარტია ლეგალური და აშკარა (სტოლიპინის დროს) არსებობის ჩარჩოებში მოაქციონ. ჩვენ ვიბრძვით სტოლიპინური თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობისათვის, ა ს ე თ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს ვიყენებთ ყოველგვარ აშკარა გამოსვლას, ვაფართოებთ ასეთი მიზნისაკენ მოძრაობის პროლეტარულ ბაზას. ლიკვიდატორები იბრძვიან მუშათა მოძრაობის ლეგალური არსებობისათვის... სტოლიპინის დროს. მარტოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ მოვალენი ვართ ვიბრძოლოთ რესპუბლიკის მოსაპოვებლად და მიწის კონფისკაციისათვის, ისეა ფორმულირებული, რომ ლიკვიდატორობას გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ე ნ; მისი სიტყვები პარტიის ლეგალური არსებობისათვის ბრძოლის შესახებ კი ისეა ფორმულირებული, რომ ლიკვიდატორობას ა რ გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ე ნ. პოლიტიკის დარგში აქ იგივე მერყეობაა, რაც მასლოვს ახასიათებს ეკონომიკის დარგში *.

მარტინოვის სტატიაში აგრარულ საკითხზე (№ 10 — 11) ეს მერყეობა უკიდურეს საზღვრებს აღწევს. მარტინოვი ცდი-

* ჩვენ მაგალითისათვის ავიღეთ მარტოვის პოლიტიკური მერყეობის მხოლოდ ე რ თ-ე რ თ ი გამოვლინება, მარტოვისა, რომელიც მე-13 ნომრის იმავე სტატიაში მომავალ კრიზისზე ლაპარაკობს, როგორც «კონსტიტუციურ» კრიზისზე, და ა. შ.

ლობს მკვახე პოლემიკა გამართოს «პროლეტართან», მაგრამ, რაკი საკითხის დ ა ყ ე ნ ებ ი ს უნარი არ შესწევს, უმწეო და უშნო ფართხალი გამოუდის. «პროლეტარს», თურმე, ტკაჩევისებურად გამოუდის: «ახლა ან კიდევ ცოტა ხანში, ანდა არასოდეს!» [35]. ეს «გამოუდის» მასლოვსაც და მარტოვსაც, ძვირფასო ამხ. მარტინოვ; ეს უნდა გამოუვიდეს ყოველ მარქსისტს, რადგან ლაპარაკია არა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ რევოლუციაზე (როგორც ტკაჩევს აქვს), არამედ ერთ-ერთ მეთოდზე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუციის დამთავრების ორი მეთოდიდან. აბა დაუფიქრდით, ამხ. მარტინოვ: შეუძლიათ თუ არა მარქსისტებს საზოგადოდ იკისრონ მხარი დაუჭირონ მსხვილი მიწათმფლობელობის კონფისკაციას, თუ ისინი მოვალენი არიან ასე იქცეოდნენ მხოლოდ «მანამდე» («ახლა ან კიდევ ცოტა ხანში» — თუ კიდევ საკმაოდ დიდხანს, ეს არც თქვენ და არც ჩვენ არ ვიცით), სანამ ბურჟუაზიული წყობილება საბოლოოდ არ «დამკვიდრდება»? კიდევ მაგალითი. 1906 წლის 9 ნოემბრის კანონმა [36] «სოფლად გამოიწვია დიდი შფოთი, ნამდვილი შინაომი, რაც ხანდახან ხოცვა-ყლეტამდე მიდისო», — მართებულად ამბობს მარტინოვი. მისი დასკვნა: «ამ შინაომის გამო ყოვლად წარმოუდგენელია იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში მოხდება გლეხობის ასე თუ ისე ერთსულოვანი და მნიშვნელოვანი რევოლუციური გამოსვლა, გლეხთა აჯანყებაო». «შინაომისადმი» აჯანყების, ე. ი. სამოქალაქო ომის დაპირისპირება სასაცილოა, პატივცემულო ამხ. მარტინოვ, ხოლო უახლოესი მომავლის საკითხი აქ არაფერ შუაშია, რადგან ლაპარაკია არა პრაქტიკულ დირექტივებზე, არამედ მთელი აგრარული განვითარების ხ ა ზ ზ ე. კიდევ მაგალითი. «თემიდან გამოყოფა დაჩქარებით მიმდინარეობსო». სწორია. თქვენი დასკვნა?.. «ცხადია, რომ მემამულური ნგრევა წარმატებით განვითარდება და რომ რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსეთის სწორედ იმ ვრცელ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აგრარული მოძრაობა ყველაზე მკვეთრ ფორმებს იღებდა, თემი დაირღვევა, მასთან ერთად კი ტრუდოვიკული იდეოლო-

გიის მთავარი კერაც გაქრება. ამრიგად, «პროლეტარის» ორი პერსპექტივიდან ერთ-ერთი, სახელდობრ, «სანუგეშო» პერსპექტივა, — ისპობა».

საქმე თემი როდია, პატივცემულო ამხ. მარტინოვ, რადგან გლეხთა კავშირი 1905 წელს და ტრუდოვიკები 1906 — 1907 წლებში მოითხოვდნენ მიწების გადაცემას არა თემებისათვის, არამედ ცალკე პირთათვის, ანდა თავისუფალ ამხანაგობათათვის. თემს არღვევს ძველი მიწათმფლობელობის როგორც სტოლიპინური მემამულური ნგრევა, ისე გლეხური ნგრევა, ე. ი. კონფისკაცია ახალი საადგილმამულო წესების შესაქმნელად. «პროლეტარის» «სანუგეშო» პერსპექტივა დაკავშირებულია არა თემთან და არა ტრუდოვიკობასთან, როგორც ასეთთან, არამედ «ამერიკული» განვითარების, თავისუფალი ფერმერობის შექმნის შესაძლებლობასთან. ამიტომ, როცა ამბობს, სანუგეშო პერსპექტივა ისპობაო, და იმავე დროს აცხადებს, «მსხვილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაციის ლოზუნგი არ მოკვდებაო», — ამხ. მარტინოვი უღვთოდ ურევს. «პრუსიული» ტიპი თუ დამკვიდრდება, ეს ლოზუნგი მოკვდება, და მარქსისტები იტყვიან: ჩვენ ყოველივე შესაძლებელი გავაკეთეთ კაპიტალიზმის უფრო უმტკივნეულო განვითარებისათვის, ახლა დაგვრჩენია ბრძოლა თვით კაპიტალიზმის მოსასპობადო. ხოლო თუ ეს ლოზუნგი არ მოკვდება, მაშასადამე, იარსებებს ობიექტური პირობები «მატარებლის» გადასაყვანად ამერიკულ «ლიანდაგზე». და მაშინ მარქსისტები შეძლებენ, თუ კი არ მოისურვებენ სტრუვისტებად იქცნენ, წვრილი ბურჟუების იმ რეაქციულ-«სოციალისტური» ფრაზეოლოგიის იქით, რომელიც მათ სუბიექტურ შეხედულებებს გამოხატავს, დაინახონ მასების ობიექტურ-რეალური ბრძოლა კაპიტალისტური განვითარების უკეთესი პირობებისათვის.

დავასკვნით. ტაქტიკაზე დავა ფუჭია, თუ ეს დავა ეკონომიურ შესაძლებლობათა მკაფიო ანალიზს არ ემყარება. რუსეთის აგრარული ევოლუციის პრუსიული და ამერიკული

ტიპის საკითხი წამოაყენა 1905 — 1907 წლების ბრძოლამ, რომელმაც ცხადყო მისი რეალობა. სტოლიპინი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ პრუსიულ გზაზე, — მწარე სიმართლის წინაშე სასაცილო შიში იქნებოდა, ეს რომ არ დაგვენახა. ჩვენ უნდა დავძლიოთ თავისებური ისტორიული ეტაპი ამ ახალი ნაბიჯის ნიადაგზე. მაგრამ არა მარტო სასაცილო, არამედ დანაშაულიც იქნებოდა არ დაგვენახა ის, რომ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ სტოლიპინმა მხოლოდ ძველი მდგომარეობა აწეწა და გაამწვავა, ახალი მდგომარეობა კი ვერ შექმნა. სტოლიპინს «ძლიერთა იმედი აქვს» და იგი ითხოვს «20 წლის მშვიდობას და სიწყნარეს» მემამულეთა მიერ რუსეთის «გარდასაქმნელად» (წაიკითხე: გასაძარცვავად). პროლეტარიატს დემოკრატიის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მის ძალებს კი არ უნდა აზვიადებდეს, მხოლოდ მისი «იმედით» კი არ უნდა კმაყოფილდებოდეს, არამედ განუხრელად ავითარებდეს პროპაგანდისტულ, სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას, რომელიც რაზმავს დემოკრატიის მთელ ძალებს, — გლეხთა მასებს პირველ რიგში და ყველაზე მეტად, — მოუწოდებს მათ მოწინავე კლასთან კავშირისაკენ, «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისაკენ» სრული დემოკრატიული გამარჯვებისა და კაპიტალიზმის რაც შეიძლება სწრაფი და თავისუფალი განვითარების საუკეთესო პირობების უზრუნველყოფის მიზნით. პროლეტარიატის მიერ თავისი დემოკრატიული მოვალეობის ამ შესრულებაზე უარისთქმა გარდუვალად იწვევს მერყეობას, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ხელს უწყობს მხოლოდ კონტრრევოლუციურ ლიბერალებს მუშათა მოძრაობის გარეთ და ლიკვიდატორებს მის შიგნით.

«პროლეტარი» № 50,
1909 წ. 28 ნოემბერი (11 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორების ფანდები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები

კრიზისი, რასაც ჩვენი პარტია ამჟამად განიცდის, აიხსნება, როგორც უკვე არაერთხელ გვითქვამს, იმ წვრილბურჟუაზიული ელემენტების მერყეობით, რომელნიც მიემხრნენ მუშათა კლასის მოძრაობას რევოლუციაში და რომელთაც ახლა გამოიწვიეს მენშევიკების ლიკვიდატორობა ერთ ფლანგზე, ხოლო ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი — მეორეზე. ამიტომ ორ ფლანგზე ბრძოლა აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს სწორი რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის დასაცავად და პარტიის მშენებლობისათვის. სწორედ ამ ბრძოლას ეწევა განუხრელად ბოლშევიკური ფრაქცია, რომელიც ამით სჭედს და რაზმავს ყველა ნამდვილად პარტიულ, ნამდვილად მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ელემენტებს.

იმისათვის, რომ წარმატებით წარვმართოთ ეს ბრძოლა პარტიისათვის, — რადგან პ ა რ ტ ი ა მ გადაჭრით დაგმო ლიკვიდატორობა 1908 წ. დეკემბრის კონფერენციაზე და ასევე გადაჭრით გაემიჯნა ოტზოვიზმ-ულტიმატიზმს იმავე კონფერენციაზე, — საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ ის ვითარება, რომელშიაც გვიხდება ამ ბრძოლის წარმოება სოციალ-დემოკრატიის შიგნით. «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მე-16 — 17 ნომერი და ოტზოვისტ-ულტიმატისტების ახალი თითქმის-გაზეთი (ამხ. მაქსიმოვის და ლუნაჩარსკის 8-გვერდიანი ფურცელი: «ყველა ამხანაგისადმი») ყურადღებას იმსახურებენ ყველაზე მეტად სწორედ იმიტომ, რომ

თვალსაჩინოდ გვისურათებენ ამ ვითარებას. «გოლოსიც», მაქსიმოვიც და კომპანიაც ლიკვიდატორებს მალავენ. მემარჯვენე ლიკვიდატორებისა და მემარცხენე ლიკვიდატორების ფანდების ერთიანობა აშკარაა და ორივე მათგანის პოზიციის ერთნაირ მერყეობას ადასტურებს.

ლიკვიდატორობა «ძალიან ბუნდოვანი, განზრახ გაურკვეველი სიტყვაა», — ირწმუნება «გოლოსის» მოწინავე სტატია. მაქსიმოვი ირწმუნება, «პროლეტარი» ულტიმატისტებთან პრაქტიკულ უთანხმოებას აზვიადებს და პრინციპულ უთანხმოებად სახავსო. საბრალო «გოლოსი»! დღემდე მას შეეძლო მთელი «ბოროტი მონაჭორი» დაებრალებინა ბოლშევიკებისთვის, ე. ი. «ფრაქციულ მოწინააღმდეგეთათვის». ახლა ის იძულებულია ბოროტ მონაჭორში ბრალი დასდოს პლეხანოვსა და ბუნდს (იხ. «ოტკლიკი ბუნდას» № 3 ლიკვიდატორობის შესახებ ბუნდში). პლეხანოვი და ბუნდელები მელაკუდობენ «ბოროტად» თუ «გოლოსი», რა უფრო მართალია?

ჩვენ ლიკვიდატორები არა ვართ, ირწმუნება «გოლოსი», ჩვენ მხოლოდ სხვანაირად განვმარტავთ პარტიის წევრობის საკითხს; ჩვენ ს ტ ო კ ჰ ო ლ მ შ ი წესდების 1-ლი პარაგრაფი მივიღეთ ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი, მაგრამ ეს უბედურება როდია; სწორედ ახლა, მას შემდეგ რაც პლეხანოვმა ბრალად დაგვდო ლიკვიდატორობა, ჩვენ ამოვიღებთ 1-ლ პარაგრაფს და მთელ ჩვენს ყბადაღებულ ლიკვიდატორობას იმნაირად განვმარტავთ, რომ ჩვენ გვინდა მხოლოდ გავაფართოოთ პარტიის ცნება. პარტია, უნდა მოგახსენოთ, არის არა მარტო პარტიული ორგანიზაციების ჯამი (როგორც ჩვენ თვითონ დავუთმეთ ბოლშევიკებს ს ტ ო კ ჰ ო ლ მ შ ი), არამედ ყველა ისიც, ვინც მუშაობს პარტიის ორგანიზაციის გ ა რ ე თ, პარტიის კონტროლითა და ხელმძღვანელობით!

რა ჩინებული ფანდია, რა გენიალური გამონაგონია: არავითარი ლიკვიდატორობა — მხოლოდ ძველი დავა 1-ლი პარაგრაფის შესახებ! უბედურებაა მხოლოდ, რომ ამით თქვენ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ თ პლეხანოვის მიერ წამოყენებულ ბრალდებას, ძვირფასო გოლოსელებო, რადგან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ,

როგორც ამას ყოველი პარტიული სოციალ-დემოკრატი და ყოველი მუშა სოციალ-დემოკრატი ერთბაშად მიხვდება, თქვენ ძველი ხარახურა 1-ლი პარაგრაფის შესახებ გამოათრიეთ სწორედ ლიკვიდატორობის დასაცავად (= პარტიული ორგანიზაციის შესაცვლელად «უფორმო» ლეგალური ორგანიზაციით: იხ. 1908 წ. დეკემბრის კონფერენციის რეზოლუცია). საქმით თქვენ სწორედ ამით უღებთ კარს ლიკვიდატორებს, რამდენსაც უნდა ირწმუნებოდეთ სიტყვით, რომ «გინდათ» კარი გააღოთ სოციალ-დემოკრატი მუშებისათვის.

ზუსტად ისე, როგორც მაქსიმოვი, რომელიც ირწმუნება, რომ იგი არ არის ოტზოვიზმის დამცველი, რომ იგი მხოლოდ (მხოლოდ!) «მეტისმეტად სადავოდ» თვლის სათათბიროში მონაწილეობის საკითხს. 1-ლი პარაგრაფი სადავოა, სათათბიროში მონაწილეობა სადავოა, — რა შუაშია აქ «ბოროტი» მონაჭორი ოტზოვიზმისა და ლიკვიდატორობის შესახებ?

ჩვენ ლიკვიდატორები არა ვართ, ირწმუნება «გოლოსი», ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ პლეხანოვმა «მშვიდობიანად აუარა გვერდი საკითხს იმის შესახებ, როგორ მოვიქცეთ, თუ კი უჯრედის აგებულება ხელს უშლის არა სხვა რამეს, არამედ სწორედ მის გარდაქმნას». ნამდვილად პლეხანოვმა გვერდი კი არ აუარა, არამედ აშკარად და პირდაპირ გადაწყვიტა ეს საკითხი: პარტიულობისაკენ მოწოდებით, გათიშვისა და ლიკვიდატორობის დაგმობით უპასუხა მან ბოლშევიკების მიერ ოტზოვისტ-ულტიმატისტების ჩამოშორებას. უჯრედი არის ტიპი არალეგალური პარტიული ორგანიზაციისა, რომელშიც საერთო წესისამებრ ბოლშევიკები ბატონობენ და რომლის გარდაქმნას (სათათბიროში მონაწილეობისათვის, ლეგალურ საზოგადოებებში მონაწილეობისათვის და სხვ.) ხელს უშლიდნენ ოტზოვისტები. პარტიულ მენშევიკებს არ შეეძლოთ სხვანაირად გაეცათ პასუხი ბოლშევიკების მიერ ოტზოვისტების ჩამოშორებაზე, ვიდრე პლეხანოვმა გასცა. «გოლოსი» კი მელაკუდობს და საქმით მხარს უჭერს ლიკვიდატორებს, როცა საზღვარგარეთულ არალეგალურ გამოცემაში

იმეორებს ლიბერალების ჭორს ბოლშევიკების ორგანიზაციის შეთქმულებითი ხასიათის თემაზე, იმაზე, რომ ბოლშევიკებს არ სურთ აშენონ მუშათა ფართო ორგანიზაციები, მონაწილეობა მიიღონ ყრილობებში და სხვა (რადგან, ახალ «შესაძლებლობებში» მონაწილეობას რომ იღებდნენ, ამით კიდევაც ხდებოდა უჯრედების გარდაქმნა მონაწილეობის მისაღებად, ამით ნამდვილად სწავლობდნენ გარდაქმნას). იმის თქმა, რომ უჯრედის «აგებულება» ხელს უშლის მის გარდაქმნასო, ნამდვილად ნიშნავს იქადაგო გათიშვა, გაამართლო ლიკვიდატორთა გამთიშველი ნაბიჯები პარტიის წინააღმდეგ, რომელიც შედგება სწორედ ახლანდელი სახით აგებული უჯრედების ჯამისაგან.

ჩვენ ლიკვიდატორები არა ვართ, ლეგალისტები არა ვართ, ჩვენ მხოლოდ გარწმუნებთ «პარტიულ» (აბრის მიხედვით!), «არალეგალურ» (მაგრამ ქ-ნ კუსკოვას მიერ მოწონებულ!) გამოცემაში, რომ უჯრედის (და უჯრედების ჯამის, პარტიის) აგებულება ხელს უშლის პარტიის გარდაქმნას. ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობის დამრღვევნი არა ვართ, ჩვენ მხოლოდ გარწმუნებთ (1909 წელს), რომ სათათბიროში მონაწილეობის საკითხი «ძალიან სადავოა» და რომ «სათათბიროიზმი» ჩრდილავს ყველაფერს ჩვენი პარტიისათვის. ამ ორგვარი ტიპის ლიკვიდატორებიდან რომელი ლიკვიდატორები უფრო მეტ ზიანს აყენებენ პარტიას?

პლეხანოვი გამოვიდა «საზოგადოებრივი მოძრაობიდან», განაცხადა რა, პოტრესოვი რევოლუციონერი აღარ არისო. პოტრესოვი წერილს უგზავნის მარტოვს: რატომ მაწყენინეს? არ ვიციო. მარტოვი უპასუხებს: არც მე ვიციო. ორივე რედაქტორი «იძიებს» («გოლოსის» გამოთქმაა!) პლეხანოვის უკმაყოფილების მიზეზებს. ორივე რედაქტორი სწერს მესამე რედაქტორს, მასლოვს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მასლოვსაც არ ცოდნია, რატომ მიდის პლეხანოვი. ისინი წლების მანძილზე მუშაობდნენ პლეხანოვთან ერთად, მათ სცადეს პლეხანოვის მითითებისამებრ შეესწორებინათ პოტ-

რესოვის სტატია და, როცა მათ პრესაში და აშკარად ბრალ-დება წაუყენეს, უცბად აღმოჩნდა, რომ მათ, თურმე, არ ეს-მით, რა ბრალდებას უყენებს პლეხანოვი პოტრესოვს და ისინი ამას «იძიებენ»! ამ საუბედურო შემთხვევამდე ისინი ყველანი ესოდენ მარჯვე, ესოდენ გამოცდილი ლიტერატორე-ბი იყვნენ, — ახლა ისინი იქცნენ ბავშვებად, რომლებმაც «არ იციან», რევოლუციისაგან განდგომის რანაირი სულის-კვეთების სიო ქრის ჩერევანინის სტატიებიდან, პოტრესოვიდან, მთელი «საზოგადოებრივი მოძრაობიდან». როლანდ-ჰოლსტმა შენიშნა ჩერევანინის ეს სულისკვეთება, — ცხადია, ესეც მო-ნაჭორია! მაგრამ ჩერევანინმა, რომელიც პ ო ტ რ ე ს ო ვ-თ ა ნ ე რ თ ა დ განაგრძობს ი მ ა ვ ე სულისკვეთებით წერას, აი ამა და ამ ადგილას მოათავსა მ ც ი რ ე გ ა ნ მ ა რ-ტ ე ბ ა... მაშ რა შუაშია აქ ლიკვიდატორობა? კადეტები ნიშ-ნავს ვეხელებს მცირე განმარტებით. ჩერევანინი, პოტრესოვი და «საზოგადოებრივი მოძრაობა» ნიშნავს რევოლუციისაგან განდგომას მცირე განმარტებით. დიახ, დიახ, რა ძალიან ბუნ-დოვანი, განზრახ გაურკვეველი სიტყვაა ეს «ლიკვიდატო-რობა»!

მაგრამ ასევე ძალიან ბუნდოვანი, განზრახ გაურკვეველია სიტყვა «ღვთისმშენებლობა», გაიძახიან მაქსიმოვი და ლუნაჩარსკი, ჩერევანინი შეიძლება დავფაროთ, თუ დავწერთ მ ც ი რ ე გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს; რით არის ლუნაჩარსკი ჩერევა-ნინსა და პოტრესოვზე უარესი? და ლუნაჩარსკიც მაქსი-მოვთან ერთად თხზავს მ ც ი რ ე გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს. «რა-ტომ ვამბობ უარს ამ ტერმინოლოგიაზე?» — ასეა დასა-თაურებული ლუნაჩარსკის სტატიის მთავარი პარაგრაფი. შევცვალოთ უხერხული ტერმინები, ნუ ვილაპარაკებთ ნურც რელიგიაზე, ნურც ღვთისმშენებლობაზე... შეიძლე-ბა უფრო მეტი ვილაპარაკოთ «კულტურაზე»... მერე წადი და არკვიე, რას შემოგთავაზებთ ახალი, ჭეშმარიტად ახალი და ჭეშმარიტად სოციალისტური «კულტურის» სახით. პარტიამ ისეთი ჩაციება იცის, იმდენად შეუწყნარებელია (პარაგრაფი ლუნაჩარსკის სტატიაში: «შეუწყნარებლობის»

შესახებ), — ჰოდა, შევცვალოთ «ტერმინოლოგია», ისინი ხომ იდეების წინააღმდეგ არ იბრძვიან, არამედ «ტერმინოლოგიის» წინააღმდეგ...

ხოლო, პატივცემულო გოლოსელებო, ხომ არ აპირებთ მე-18 — 19 ნომერში განაცხადოთ, რომ ხელს იღებთ ტერმინოლოგიაზე... მაგალითად, ლიკვიდატორობის შესახებ? ხოლო, «საზოგადოებრივი მოძრაობის» რედაქტორებო, ხომ არ აპირებთ III — X ტომებში განმარტოთ, რომ «თქვენ ვერ გაგიგეს», რომ არავითარ «ჰეგემონიის იდეას» არ ედავებოდით, რომ ლიკვიდატორობის არავითარ ნატამალს... სრულიადაც არა!.. თქვენ არ იწონებთ?

პეტერბურგელმა ოტზოვისტ-ულტიმატისტებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია პეტერბურგის კომიტეტის მთელ მუშაობას აფუჭებენ, სათათბიროს არჩევნების წინ (1909 წ. სექტემბერში) გაიყვანეს რეზოლუცია, რაც ნამდვილად ფუშავდა არჩევნებს. მუშებმა დაიწყეს ამბოხება პარტიის გულისათვის და მემარცხენე ლიკვიდატორები აიძულეს გაეუქმებინათ უაზრო რეზოლუცია. მაქსიმოვი ახლა მლიქვნელობს: რეზოლუცია «მეტად მცდარია», მაგრამ ამხანაგებმა «ის თვითონვე უარყვესო». «ცხადია», — წერს მაქსიმოვი, — «ულტიმატიზმს თავისთავად ამ შეცდომაში ბრალი არ მიუძღვის». ცხადია არა ეს, ამხანაგო მაქსიმოვ, არამედ ცხადი ის არის, რომ თქვენ ხელს აფარებთ პარტიისათვის დამღუპველ მემარცხენე ლიკვიდატორობას. — სანკტ-პეტერბურგის ვიბორგის რაიონის მენშევიკებმა გაილაშქრეს ლიკვიდატორობის წინააღმდეგ (უთუოდ, ისევ ისე მარტო მათი გაბოროტების გამო?). «გოლოსმა» თავდაპირველად მოიწონა მათი მოქმედება («პროლეტარის» შემდეგ). ახლა ლიკვიდატორი მენშევიკი გ — გი[37] გამოდის «გოლოსის» მე-16 — 17 ნომერში და საშინლად ლანძღავს ვიბორგელებს, ლანძღავს ყოვლად ცუდი სიტყვებით — შეგიძლიათ წარმოიდგინოთ? მენშევიკურ ორგანოში ლანძღავს მენშევიკებს და მათ ბოლშევიკებს უწოდებს! «გოლოსის» რედაქცია მეტად მოკრძალებულ და უწყინარ

სახეს იღებს და მაქსიმოვივით ხელს იბანს: «პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთ» (მე-16 — 17 ნომრის დამატება, გვ. 2, სვეტი 2), «ეს — ფაქტის საკითხიაო»...

...მაგრამ, ეს რომელმა ბოროტმა ცილისმწამებლებმა შეთხზეს «ლეგენდა» (მარტოვის გამოთქმაა «Vorwärts»-ში [38]), «გოლოსი» თითქოს ხელს აფარებდეს ლიკვიდატორობას, დახმარებას უწევდეს ლიკვიდატორობას! განა ეს ცილისწამება არ არის, ლიკვიდატორებს თითქოს ეხმარებოდეს ის, ვინც არალეგალურ ორგანოში დასცინის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას სათათბიროს ხაზით და ჭორს იგონებს, რომ ეს მუშაობა განვითარდა «მას შემდეგ, რაც ც. კ-ის წევრთა უმრავლესობამ საზღვარგარეთ ცხოვრება დაიწყო» (იქვე), — კიდევ კარგი, რომ ამ ჭორების უარყოფა, ე. ი. სათათბიროს ხაზით არალეგალური ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სიმართლის თ ხ რ ო ბ ა, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა...

მაქსიმოვი ირწმუნება, რომ სათათბიროს ფრაქციისადმი პ ა რ ტ ი უ ლ ი ხელმძღვანელობის შესაძლებლობის საკითხი მეტისმეტად სადავოა (ორი წლის გამოცდილების შემდეგ). «გოლოსი» ირწმუნება, რომ ეს ხელმძღვანელობა პ ა რ ტ ი ი ს მხრივ — ლიტონი სიტყვებია («მას შემდეგ, რაც ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ საზღვარგარეთ ცხოვრება დაიწყო»). მაქსიმოვიც და გოლოსელებიც მკერდში მჯიღს იცემენ და ირწმუნებიან, მხოლოდ ცილისმწამებელნი ავრცელებენ ხმებს მემარჯვენე და მემარცხენე ლიკვიდატორთა ა ნ ტ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი მუშაობის შესახებო.

მაქსიმოვიც და გოლოსელებიც ლიკვიდატორობის წინააღმდეგ წარმოებულ მთელ ბრძოლას ხსნიან ცალკე პირთა და ჯგუფთა მიდრეკილებით «გამოპანღურებისადმი». მაქსიმოვი სწორედ ამ სიტყვას ხმარობს. «გოლოსი» აღშფოთებით ახასიათებს პლეხანოვის მოწოდებას გენერალური გამიჯვნისაკენ, როგორც «ქირურგიას», როგორც «გაკრეჭის, გაპარსვისა და სისხლის გამოშვების» მეთოდს, «სობაკევიჩ — ლენინის» ფანდებს, «მამაც» პ.-ს [39] ფანდებს (პ.=მენშევიკ-პლე-

ხანოველი, რომელიც არ შეუშინდა აშკარად ეთქვა სიმართლე ჩერევანინების, ლარინების, პოტრესოვების ლიკვიდატორობის შესახებ). «პროლეტარი» დიპლომატობს, პლეხანოვს ელაქუცება (მაქსიმოვი), «პროლეტარი» პლეხანოვის გულის მოგებას ცდილობსო («გოლოსი»: პლეხანოვის «მაამებელი» «ფელეტონისტი» «პროლეტარისაო»). თქვენ ხედავთ, რომ მაქსიმოველები და გოლოსელები სავსებით ერთნაირად ხსნიან ახალ გათიშვებსა და ახალ დაჯგუფებებს.

ამგვარი ახსნა-განმარტება ტიკინებს დავუთმოთ და საქმეზე გადავიდეთ.

ლიკვიდატორობა ღრმა სოციალური მოვლენაა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ სულიერ განწყობილებასთან, დაშლასა და რღვევასთან დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიაში. ლიბერალები და წვრილბურჟუაზიული დემოკრატები ათასგვარი ფანდებით ცდილობენ გახრწნან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია, ძირი გამოუთხარონ მას, წააქციონ იგი, გაწმინდონ ნიადაგი ისეთი ლეგალური მუშათა საზოგადოებებისათვის, რომლებშიც მათ შეეძლებოდათ წარმატების მოპოვება. და ასეთ დროს ლიკვიდატორები იდეურად და ორგანიზაციულად ებრძვიან გუშინდელი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს ნარჩენს, ხვალინდელი რევოლუციის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს. გოლოსელები (რომელთაც პარტია მეტს არაფერს თხოვს, გარდა პატიოსანი, პირდაპირი, უყოყმანო ომისა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ) თავიანთი ფარისევლობით ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ს ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ა ნ. კონტრრევოლუციის ისტორიამ მენშევიზმი ჩიხში მოაქცია: ან ეომე ლიკვიდატორობას, ან გახდი მისი ხელშემწყობი. უკულმა გადმობრუნებული მენშევიზმი, ე. ი. ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი, იწვევს საქმით აგრეთვე ლიკვიდატორობის გაძლიერებას: თუ განაგრძობენ «დავას» სათათბიროს ხაზით მუშაობისა და ლეგალური მუშაობის შესახებ, თუ შეეცდებიან შეინარჩუნონ ძველი ორგანიზაცია და მას არ შეუგუებენ

ახალ ისტორიულ მომენტს, შეცვლილ პირობებს, ეს ფაქ-ტიურად ნიშნავს რევოლუციური უსაქმობის და არალეგა-ლური ორგანიზაციის დანგრევის პოლიტიკას.

ბოლშევიკების წინაშე ისახება ორ ფლანგზე ბრძოლის ამოცანა — «ცენტრალური» ამოცანა (მისი დედაარსი ვერ გაიგო მაქსიმოვმა, რომელიც აქ არაგულწრფელობასა და დიპლომატიას ხედავს). არ შეიძლება არალეგალური სო-ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შენარჩუნება და განმ-ტკიცება, თუ მას სისტემატურად, განუხრელად, თანა-მიმდევრობით არ გარდავქმნით თანამედროვე მძიმე მომენ-ტის დაუფლებისათვის, ყველა და ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობის «დასაყრდენი პუნქტების» მეშვეობით ხანგრძლივი მუშაობისათვის.

ეს ამოცანა პარტიას ობიექტურმა პირობებმა უკარნახა. ვინ გადაწყვეტს მას? იმავე ობიექტურმა პირობებმა გვიკარ-ნახა პარტიის ყველა ფრაქციისა და ნაწილის პარტიელ-თა დაახლოება, უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკების დაახლოება პარტიელ მენშევიკებთან, სანკტ-პეტერბურგის ვიბორგელთა, საზღვარგარეთელ პლეხანოველთა ტიპის მენშევიკებთან. ბოლშევიკებმა თავის მხრივ აშკარად გამოაცხადეს ამ დაახლოების აუცილებლობა, და ჩვენც აქეთკენ მოვუწოდებთ ყველა მენშევიკს, რომელსაც კი უნარი შესწევს აშკარად ეომოს ლიკვიდატორობას, აშკა-რად დაუჭიროს მხარი პლეხანოვს, და, რა თქმა უნდა, მოვუწოდებთ მენშევიკ მუშებს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად. დაახლოება სწრაფად და ფართოდ წარი-მართება, თუ შესაძლებელია შეთანხმება პლეხანოვე-ლებთან: შეთანხმება პარტიისათვის და პარტიულობისათვის ბრძოლის საფუძველზე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, ყოველგვარი იდეური კომპრომისის გარეშე, ტაქტიკურ და სხვა უთანხმოებათა ყოველგვარი მიჩქმალვის გარეშე პარ-ტიული ხაზის ფარგლებში. დაე ყველა ბოლშევიკმა და განსაკუთრებით მუშა ბოლშევიკებმა ადგილებზე ყველა-ფერი გააკეთონ ასეთ შეთანხმებათა განსახორციელებლად.

თუ პლეხანოველები მეტად სუსტნი ან არაორგანიზებულნი აღმოჩნდებიან, ანდა შეთანხმებას არ მოისურვებენ, — მაშინ ჩვენ იმავე მიზნისაკენ წავალთ უფრო გრძელი გზით, მაგრამ ჩვენ მისკენ წავალთ და ამ მიზანს მივაღწევთ ყოველ შემთხვევაში. მაშინ ბოლშევიკების ფრაქცია მარტო რჩება პარტიის მშენებლად, მყისვე და დაუყოვნებლივ, პრაქტიკული მუშაობის დარგში (რადგან პლეხანოვი მას მხოლოდ ლიტერატურულად ეხმარება). დავძაბოთ მთელი ძალები, რათა დავძრათ ეს მშენებლობა, ულმობელნი ვიყოთ გოლოსელთა და მაქსიმოველთა საზიზღარი ფანდებისა და ფარისევლობის მიმართ, პრაქტიკული პარტიული მუშაობის ყოველ ნაბიჯზე ვამხილოთ და დავგმოთ პროლეტარიატის წინაშე როგორც პირველთა, ისე მეორეთა ანტიპარტიულობა.

მუშათა კლასმა მთელ ბურჟუაზიულ რევოლუციას რუსეთში თავისი, პროლეტარული, რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის დაღი დაასვა. ლიბერალთა, ლიკვიდატორთა და ლიკვიდატორობის ხელშემწყობთა ვერავითარი ლონისძიება ამ ფაქტს ვერ წაშლის. და მოწინავე მუშები შეეცდებიან აშენონ და ააშენებენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას იმათთან ერთად, ვისაც სურს დაეხმაროს მათ ამაში, იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს ან არ შეუძლია დაეხმაროს ამაში.

«პროლეტარი» № 50,
1909 წ. 28 ნოემბერი (11 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

«გოლოს სოციალ-დემოკრატა» და ჩერევანინი [40]

ამხანაგი ჩერევანინი იდეური ლიკვიდატორის ტიპი დინიმუშია მენშევიკთა შორის. ეს მან სავსებით გამოხატა თავის ცნობილ წიგნში: «პროლეტარიატი და ა. შ.». ლიკვიდატორობა ამ წიგნში იმდენად ძლიერია, რომ ცნობილ ჰოლანდიელ მწერალ ქალს, მარქსისტ როლანდ-ჰოლსტს, გერმანული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორს, არ შეეძლო არ გამოეთქვა თავისი პროტესტი მარქსიზმის დამახინჯებისა და რევიზიონიზმით მისი შეცვლის წინააღმდეგ. მაშინ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციამ «Vorwärts»-ში * დაგმო ჩერევანინი და განაცხადა, გამოჩენილი მენშევიკები მას არ ეთანხმებიანო. «პროლეტარმა» აღნიშნა იეზუიტიზმი ამგვარი დაგმობისა, რაც არ გადაუბეჭდიათ «გოლოსში» და არც ჩერევანინის «შეცდომების» სისტემატური განმარტება მიუციათ რუსულ პრესაში **. განა სწორედ ასე არ იქცევიან ბურჟუაზიული მინისტრები, სტოლიპინით დაწყებული და ბრიანით გათავებული; შენიშვნა, შესწორება, უკიდურესობაში გადავარდნილი თანამოაზრის, მეტისმეტად გულმოდგინე მომხრის დაგმობა და ამ საფარით — ძველი ხაზის განგრძობა?

---

* — «წინ». რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 554 — 564. რედ.

მე-16 — 17 ნომერში «გოლოსი» აქვეყნებს ჩერევანინის წერილს რედაქციისადმი და თავის მინაწერს. «პროლეტარს» ბრალად სდებენ «ცილისწამებას», რადგან ჩვენ თითქოს «დავუმალეთ» საზოგადოებას, რომ ჩერევანინმა თვითონ «გამოასწორა შეცდომა» თავის წიგნში: «თანამედროვე მდგომარეობა და შესაძლო მომავალი» (მ. 1908).

მაშ, ერთხელ კიდევ და კიდევ დავანახოთ მკითხველებს, როგორია გოლოსელთა ფანდები და რას ნიშნავს, როცა ისინი ბრალად სდებენ «პროლეტარს» «ცილისწამებას» მათი ლიკვიდატორობის შესახებ.

დავკმაყოფილდებით რამდენიმე ციტატით ჩერევანინის დასახელებული ახალი წიგნიდან. გვ. 173: «საერთოდ მე ოდნავადაც არ ვამბობ უარს იმ ანალიზზე, რომელიც წარმოვადგინე ჩემს წიგნში: «პროლეტარიატი რევოლუციაში». პროლეტარიატმა და სოციალ-დემოკრატიამ, უეჭველად, ჩაიდინეს მთელი რიგი შეცდომები, რომელთაც არ შეეძლოთ არ გაეძნელებინათ რევოლუციის გამარჯვება, თუნდაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო ეს გამარჯვება (ხაზგასმა ჩერევანინისაა). მაგრამ ახლა უკვე საჭიროა დაისვას კითხვა: ნამდვილად შესაძლებელი იყო თუ არა ეს გამარჯვება და მარტო პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიის შეცდომები იყო თუ არა რევოლუციის დამარცხების მიზეზი. უკვე ამ კითხვის დასმა უნებლიეთ გვიკარნახებს მის პასუხსაც. რევოლუციის დამარცხება იმდენად დიდია და გამეფებული რეაქციის მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში უახლოესი რამდენიმე წლისათვის, იმდენად მტკიცეა, რომ ამის მიზეზად პროლეტარიატის რაიმე შეცდომის გამოცხადება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ცხადია, აქ საქმე შეცდომები კი არ არის, არამედ რაღაც უფრო ღრმა მიზეზები».

აი ინებეთ ჩერევანინის «შეცდომის გასწორება», როგორც ამას «გოლოსი» აცხადებს! ჩერევანინი უარს კი არ ამბობს თავის «ანალიზზე», არამედ აღრმავებს მას და მთელ რიგ ახალ მარგალიტებამდე მიდის (როგორიც არის «რევოლუციის ძალთა» სტატისტიკური განსაზღვრა მთელი მოსახლეობის

ერთი მეოთხედით, 21,5 % — 28%; ამ მარგალიტის შესახებ — სხვა დროს!). ჩერევანინი თეზისს — რევოლუციური პროლეტარიატი ცდებოდაო — დასძენს: რევოლუციას არ გააჩნდა მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტი «შესაძლებელი» ძალაო (გვ. 197, ხაზგასმა ჩერევანინისაა), — გოლოსელები კი ამას «გასწორებას» უწოდებენ და «პროლეტარის» ცილისმწამებლობაზე გაჰყვირიან.

გვ. 176: «წარმოვიდგინოთ, რომ მენშევიკები ყოველთვის თანამიმდევრულად მდგარიყვნენ მენშევიკურ პოზიციებზე და რევოლუციური აღტყინების გავლენით არ დაეწყოთ ბოლშევიკობა, როცა მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის ნოემბრის გაფიცვაში, ძალადობის გზით 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებაში, პირველი სათათბიროს ბოიკოტში». (დასკვნა: პროლეტარიატის ტაქტიკა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ დამარცხება მაინც მოხდებოდაო).

გვ. 138: «შეიძლება თავიანთ პერსპექტივებში აგრარული და პოლიტიკური ურთიერთობის რადიკალური მსხვრევის მხრივ რევოლუციურმა და ოპოზიციურმა (უსმინეთ!) პარტიებმა მღელვარე 1905 წელს ძალიან შორს შესტოპეს».

მგონია, კმარა? განმეორებულ და გაღრმავებულ ლიკვიდატორობას და რენეგატობას «გოლოს სოციალ-დემოკრატა» გასწორებას უწოდებს. ხვალ გამოვა «თანამედროვე მდგომარეობის» გერმანული თარგმანი — გოლოსელები ხელახლა დაგმობენ მას გერმანელებისათვის — ჩერევანინი გამოაქვეყნებს ახალ «შენიშვნას» — ლიკვიდატორული ქადაგება კვლავ გაძლიერდება — «გოლოსი» კვლავ კეთილშობილურად აღშფოთდება მისთვის ლიკვიდატორობის ცილისმწამებლური ბრალდების წაყენების გამო. ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ამბავია.

მასლოვს, მარტოვსა და პოტრესოვს ვერაფრით ვერ გაუგიათ, პირდაპირ ვერ მიმხვდარან, პოტრესოვის ნაწერებიდ რანაირმა «სულისკვეთებამ» აღაშფოთა — როგორც იქნა! —

მარქსისტი პლეხანოვიც კი, რომელმაც კადეტების შორიახლო მანევრირებაში ძალიან შორს შესტოპა. მაინც ვერ მიხვდით, პატივცემულო ბოლოსელებო? ჩერევანინის «გასწორებული» წიგნიდან მოყვანილი ციტატების შემდეგ მაინც ვერ მიხვდით? რა კარგია ხოლმე ხანდახან მიუხვედრელობა!

«პროლეტარი» № 50,
1909 წ. 28 ნოემბერი (11 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიული პრესის ზლაპარი გორკის გარიცხვის შესახებ

აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ბურჟუაზიული გაზეთები საფრანგეთში («L'Eclair», «Le Radical»), გერმანიასა («Berliner Tageblatt») * და რუსეთში («უტრო როსსიი», «რეჩ», «რუსსკოე სლოვო», «ნოვოე ვრემია») ტკბებიან ყოვლად სენსაციური ახალი ამბით: გორკის გარიცხვით სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. «Vorwärts»-მა ** უკვე გამოაქვეყნა ამ მონაჩმახის უარყოფა. «პროლეტარის» რედაქციამაც გაგზავნა რამდენიმე გაზეთში უარყოფა, მაგრამ ბურჟუაზიული პრესა მას უგულებელყოფს და ჭორის გაზვიადებას განაგრძობს.

ამ ჭორის წყარო ცხადია: ვიღაც მჯღაბნელმა ყური მოკრა ოტზოვიზმსა და ღვთისმშენებლობასთან დაკავშირებით წამოჭრილ უთანხმოებათა ამბავს (— საკითხი, რომლის განხილვა თითქმის უკვე წელიწადია აშკარად მიმდინარეობს პარტიაში საერთოდ და «პროლეტარში», კერძოდ —), საშინლად დაამახინჯა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები და «დიდებულად მოითბო ხელი» შეთხზული «ინტერვიუებით» და სხვ.

ჭორიკანული კამპანიის მიზანი არა ნაკლებ ცხადია: ბურჟუაზიულ პარტიებს უ ნ დ ა თ, რომ გორკი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდეს. ბურჟუაზიული გაზეთები თავს არ იზოგავენ იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტი-

---

* — «ელვა», «რადიკალი»... «ბერლინის ყოველდღიური გაზეთი». რ ე დ.

** — «წინ». რ ე დ.

აში უთანხმოებანი გააღვივონ და ისინი დამახინჯებულად წარმოადგინონ.

ამაოდ ჯახირობენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამხანაგმა გორკიმ თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით იმდენად მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას, რომ იგი ამ გაზეთებს მხოლოდ ზიზღით უპასუხებს.

«პროლეტარი» № 50,
1909 წ. 28 ნოემბერი (11 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

იდეური რღვევისა და დაბნეულობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში[41]

ოტზოვიზმისა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლამ, რამაც ბუნებრივად დაიკავა პირველი ადგილი ჩვენი პარტიის ნამდვილად მარქსისტული და სოციალ-დემოკრატიული ელემენტების ამოცანებს შორის, მაინც არ უნდა დაგვავიწყებინოს უფრო დიდი ბოროტება, რომელმაც წარმოშვა არსებითად ოტზოვიზმიც და ლიკვიდატორობაც და, როგორც ყველაფრიდან ჩანს, კვლავ წარმოშობს მრავალ რაიმე ახალ ტაქტიკურ სისულელეს. ეს ბოროტებაა იდეური რღვევა და დაბნეულობა, რაც სავსებით მოედო ლიბერალიზმს და ყოველი მხრიდან იკაფავს გზას ჩვენი პარტიისაკენ.

აი ამ დაბნეულობის ერთი მრავალრიცხოვან ილუსტრაციათაგანი. ერთი ამხანაგი, რომელიც დიდი ხანია პარტიაში მუშაობს, ძველი ისკრელი და ძველი ბოლშევიკი, ციხემ და გადასახლებამ ძალიან დიდი ხნით, თითქმის 1906 წლის დამდეგიდან, ჩამოაშორა მოძრაობაში მონაწილეობას. ამ ცოტა ხნის წინათ იგი მუშაობას დაუბრუნდა, გაეცნო ოტზოვიზმ-ულტიმატიზმს, გულისწყრომითა და აღშფოთებით უარყო ის, როგორც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის უმსგავსი დამახინჯება. ოდესასა და პეტერბურგში მუშაობის შდგომარეობას რომ გაეცნო, ეს ამხანაგი, სხვათა შორის, მივიდა შემდეგ დასკვნამდე ანუ თავის დაკვირვებათა «გაუფორმებელ შედეგამდე»:... «მე მგონია, რომ ყველაზე მძიმე დრომ განვლო და რომ დაგვრჩა ამოცანა — მოვახდინოთ დაშლისა და რღვევის ხანის ნაშთების ლიკვიდაციაო». მაგრამ სწორედ ეს ნაშთები მცირეოდენი როდია.

«პიტერის მთელ მუშაობაში — ვკითხულობთ იმავე წერილში — იგრძნობა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის უყოლობა, უდისციპლინობა, უწესრიგობა, ცალკეულ ნაწილებს შორის კავშირურთიერთობის უქონლობა, მუშაობის ერთიანობისა და გეგმაშეწონილობის უქონლობა. ყველა თავისი პასუხისმგებლობითა და რისკით მუშაობს. არალეგალურ ორგანიზაციაში ძლიერია ოტზოვისტური ტენდენციები, ისინი ანტიოტზოვისტებსაც კი ედება»... (ცხადია, აქ იგულისხმებიან ის ბოლშევიკები, რომლებიც, წინააღმდეგ «პროლეტარის» განმეორებითი და გადაჭრითი მოთხოვნისა, ოტზოვისტებთან კავშირს კი არ წყვეტენ და მათთან ულმობელ ბრძოლას კი არ ეწევიან, არამედ ცდილობენ შემრიგებლობას, რითაც უიმედოდ აჭიანურებენ გარდუვალ დასასრულს და სინამდვილეში ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ იმ მხრივ, რომ ოტზოვისტ-ულტიმატისტებმა უარყონ თავიანთი უაზრო ტაქტიკა). ...«ამ ნიადაგზე ვითარდება ერთი დამახასიათებელი მოვლენა, რამაც სრულიად დამოუკიდებლად იჩინა თავი ოდესაშიც: რევოლუციური უსაქმობა. ყველგან, სადაც კი ოტზოვიზმის სულისკვეთება ბატონობს, აშკარად თვალში გეცემათ ის, რომ არალეგალური ორგანიზაციები არაფერს არ აკეთებენ. ერთი-ორი პროპაგანდისტული წრე, ლეგალურ შესაძლებლობათა წინააღმდეგ ბრძოლა — აი მთელი მუშაობა. ეს მუშაობა უმთავრესად დეზორგანიზატორულ ხასიათს ატარებს, რაც შეგიძლიათ დაინახოთ იმ ვრცელი მასალებიდან, რომლებიც ოდესიდან გამოგიგზავნეთ»... (გამოყენებულია სტატიაში:... *). ...«რაც შეეხება ლეგალურ შესაძლებლობებს, მათ გამოყენებაში არ არის მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ხაზი. რეაქციის წყვდიადში სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებმა თავი წამოყვეს და «ბედავენ» სოციალ-დემოკრატიის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ გალაშქრებას, რაკი იციან, რომ ახლა ეს საშიში არ არის. აქ შეხვდებით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის, მისი პროგრამის, ტაქტიკის ისეთ ფართო რევიზიას, რომ მასთან შედა-

* ხელნაწერში აქ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სტატიის სახელწოდებისათვის. რ ე დ.

რებით ბერნშტეინის მიერ გაწეული რევიზია ბავშვური, ბალ-ლური გართობა გეგონებათ. რსდმ პარტიას ვერ გაუგია მარქსი, ამ პარტიამ რუსეთის ეკონომიური განვითარების ტენ-დენციების მცდარი ანალიზი მოახდინა, რუსეთში არასოდეს არ ყოფილა ბატონყმური წყობილება, არამედ ბატონყმურ-ვაჭ-რული წყობილება იყო, ბურჟუაზიისა და მემამულე თავადაზ-ნაურობის ინტერესებს შორის წინააღმდეგობა არ ყოფილა და არც არის, მათ შორის არც კავშირია, რადგან ეს ორი კლასი, გამოგონილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ, ერთ ბურ-ჟუაზიულ კლასს წარმოადგენს (ეს რუსეთის თავისებური ნი-შანია), თვითმპყრობელობა ამ კლასის ორგანიზაციაა. რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტე, რასაც ემყარებოდა (?? — კითხვის ნიშ-ნები წერილის ავტორს ეკუთვნის) «პროლეტარიატისა და გლე-ხობის დიქტატურის» ლოზუნგი, გამოგონილია, ეს ლოზუნგი კი უტოპიური იყო და ასეთად რჩება. ის თავიდან უნდა მოვი-შოროთ დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად, რადგან რუ-სეთის მატარებელი გერმანიის ლიანდაგზე შედგაო» [12]...

ცხადია, ჩვენს წინაშეა იდეური დაბნეულობის იმ ფართო ნიაღვრის ერთ-ერთი შენაკადის წამიერი ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც წარმოშობს ოტზოვიზმსა და ლიკვიდატო-რობას და ხანდახან უცნაურად ურევს ერთიმეორეში და ერთ-შანეთთან აახლოებს კიდეც უკიდურესი მემარჯვენე და უკი-დურესი «მემარცხენე» სისულელიზმის წანამძღვრებს. ამ წა-ნამძღვრების პირველი ნახევარი (ბურჟუაზიასა და ბატონყმურ მიწათმფლობელობას შორის წინააღმდეგობის არარსებობა და სხვ.) იმდენად შეუსაბამო და უაზროა, რომ მისი სერიოზულად მიჩნევა ძნელიც კია. არ ღირს კრი... *

დაწერილია 1909 წ. ნოემბრის
დამლევს (დეკემბრის დამდეგს)

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში, XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

განმარტებითი ბარათი 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის ძთავარი საფუძვლების პროექტისათვის

II *

განმარტებითი ბარათის ამ, მეორე, ნაწილში ჩვენ განზრახული გვაქვს შევჩერდეთ III სათათბიროსათვის 8-საათიანი სამუშაო დღის სოციალ-დემოკრატიული კანონპროექტის ტიპისა და იმ მოტივების საკითხზე, რომლებიც ამ კანონპროექტის ძირითად ნიშნებს განმარტავენ.

თავდაპირველი პროექტი, რომელიც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ჰქონდათ და ჩვენს ქვეკომისიას მოაწოდეს, შეიძლებოდა საფუძვლად ყოფილიყო აღებული, მაგრამ მთელ რიგ გადაკეთებებს მოითხოვდა.

იმ კანონპროექტების ძირითადი მიზანი, რომლებიც სოციალ-დემოკრატებს III სათათბიროში შეაქვთ, უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული პროგრამისა და ტაქტიკის პროპაგანდა და აგიტაცია. III სათათბიროს «რეფორმა-

* განმარტებითი ბარათის პირველი ნაწილი ანუ პირველი თავი უნდა შეიცავდეს საზოგადოდ 8-საათიანი სამუშაო დღის სასარგებლოდ წამოყენებულ მოსაზრებათა პოპულარულ და შეძლებისდაგვარად ყველაზე უფრო აგიტაციურად დაწერილ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისით, პროლეტარიატის სანიტარული, კულტურული ინტერესების, საერთოდ მისი განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

ტორობის» ყოველგვარი იმედი არა მარტო სასაცილო იქნებოდა, არამედ შექმნიდა სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური ტაქტიკის ხასიათის სრული დამახინჯების, ოპორტუნისტული, ლიბერალური სოციალ-რეფორმატორობის ტაქტიკად მისი გადაქცევის საფრთხესაც. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს ტაქტიკის ამგვარი დამახინჯება პირდაპირ და გადაჭრით მიმართული იქნებოდა ჩვენი პარტიის საერთო-სავალდებულო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, სახელდობრ: რსდმპ ლონდონის ყრილობის რეზოლუციათა და ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ 1907 წლის ნოემბრისა და 1908 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციების რეზოლუციათა წინააღმდეგ.

იმისათვის, რომ კანონპროექტები, რომლებიც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შეაქვს, აკმაყოფილებდნენ თავის ამოცანას, აუცილებელია შემდეგი პირობები:

(1) კანონპროექტები ყველაზე უფრო ნათელი და მკაფიო ფორმით უნდა გადმოსცემდნენ სოციალ-დემოკრატიის ცალკეულ მოთხოვნებს, რომლებიც შესულია ჩვენს პარტიულ პროგრამა-minimum-ში. ანდა აუცილებლობით გამომდინარეობდნენ ამ პროგრამიდან;

(2) კანონპროექტები არავითარ შემთხვევაში გადატვირთული არ უნდა იყოს უამრავი იურიდიული დეტალებით; ისინი უნდა იძლეოდნენ ნავარაუდევი კანონების მ თ ა ვ ა რ ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ს და არა კანონების დაწვრილებით დამუშავებულ ტექსტს, რომელშიც მოცემულია ყველა დეტალი;

(3) კანონპროექტებმა მეტისმეტად არ უნდა გამიჯნონ სოციალური რეფორმისა და დემოკრატიული გარდაქმნების სხვადასხვა დარგი, როგორც ეს შეიძლებოდა საჭიროდ მიეჩნიათ ვიწრო იურიდიული, ადმინისტრაციული ან «წმინდა პარლამენტური» თვალსაზრისით; პირიქით, რაკი კანონპროექტების მიზანია სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა და აგიტაცია, ისინი მუშათა კლასს უნდა აძლევდნენ რაც შეიძლება უფრო გარკვეულ წარმოდგენას საფაბრიკო (და საერთოდ სოციალური)

რეფორმების აუცილებელ კავშირზე იმ დემოკრატიულ პოლიტიკურ გარდაქმნებთან, რომელთა განუხორციელებლად სტოლიპინური თვითმპყრობელობის ყველა და ყოველგვარი «რეფორმა» გარდუვალად განწირულია იმისათვის, რომ «ზუბატოვურად» დამახინჯდეს და სავსებით განუხორციელებელი დარჩეს. თავისთავად ცხადია, ეკონომიური რეფორმებისა და პოლიტიკის ეს კავშირი უნდა აღინიშნოს არა იმით, რომ ყველა კანონპროექტში შევიტანოთ თანამიმდევარი დემოკრატიის მოთხოვნები მთლიანად, არამედ იმით, რომ მოვითხოვოთ ხოლმე თვითეული ცალკე რეფორმის შესაბამისი დემოკრატიული და სპეციალურად პროლეტარულ-დემოკრატიული დაწესებულებანი, რომელთა განუხორციელებლობა რადიკალურ პოლიტიკურ გარდაქმნათა მოუხდენლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კანონპროექტის განმარტებითს ბარათში;

(4) რადგან ახლანდელ პირობებში მეტად გაძნელებულია მასებში ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა და აგიტაცია, კანონპროექტების შექმნა უნდა ხდებოდეს ისე, რომ ცალკე აღებული კანონპროექტიც და ცალკე აღებული მისი განმარტებითი ბარათიც თავის მიზანს აღწევდნენ, როცა მასებში მოხვდებიან (არასოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში გადაბეჭდვის გზით, კანონპროექტის ტექსტის ცალკე ფურცლების გავრცელებისა თუ სხვა გზით), ე. ი. შეიძლებოდეს უბრალო მუშებმა, განუვითარებელმა მუშებმა წაიკითხონ და ამით მათი კლასობრივი თვითშეგნების განვითარების საქმეს სარგებლობა მოუტანონ; ამ მიზნით კანონპროექტების მთელი აგებულება გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარული უნდობლობის სულისკვეთებით მეწარმეების მიმართ და სახელმწიფოს, როგორც ისეთი ორგანოს მიმართ, რომელიც მეწარმეებს ემსახურება: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონპროექტის მთელი აგებულება გამსჭვალული უნდა იყოს კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით, უნდა გამომდინარეობდეს ცალკეულ დადგენილებათა ჯამიდან;

ბოლოს, (5) რუსეთის ახლანდელ პირობებში, ე. ი. მაშინ, როცა არ არსებობს სოციალ-დემოკრატიული პრესა და ვერ

ვიწვევთ სოციალ-დემოკრატიულ კრებებს, კანონპროექტები საკმაოდ კონკრეტულ წარმოდგენას უნდა იძლეოდნენ იმ გარდაქმნაზე, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, და არ უნდა კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ პრინციპის გამოცხადებით; უბრალო მუშა, განუვითარებელი მუშა დაინტერესებული უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული კანონპროექტით, ის უნდა გაიტაცოს გარდაქმნის კონკრეტულმა სურათმა იმ ანგარიშით, რომ შემდეგ ამ ცალკეული სურათიდან გადავიდეს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის მთელ მსოფლმხედველობაზე.

ამ ძირითადი წანამძღვრებიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ 8-საათიანი სამუშაო დღის თავდაპირველი კანონპროექტის ავტორის მიერ არჩეული კანონპროექტის ტიპი უფრო შეესაბამება რუსეთის პირობებს, ვიდრე, მაგალითად, სამუშაო დღის შემცირების ის კანონპროექტები, რომლებიც ფრანგ და გერმანელ სოციალისტებს თავიანთ პარლამენტებში შეჰქონდათ. მაგალითად, 8-საათიანი სამუშაო დღის კანონპროექტი, რომელიც ჟიულ გედმა 1894 წლის 22 მაისს შეიტანა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, ორ მუხლს შეიცავს: პირველი კრძალავს დღეღამეში 8 საათსა და კვირაში 6 დღეზე მეტ მუშაობას; მეორე იძლევა რამდენიმე ცვლად მუშაობის ნებას იმ ანგარიშით, რომ სამუშაო საათების რიცხვი კვირაში 48-ს არ აღემატებოდეს *. გერმანიის 1890 წლის სოციალ-დემოკრატიული კანონპროექტი 14 სტრიქონს შეიცავდა და წინადადებას იძლეოდა შემოღებული ყოფილიყო 10-საათიანი სამუშაო დღე — დაუყოვნებლივ, 9-საათიანი — 1894 წლის 1 იანვრიდან და 8-საათიანი — 1898 წლის 1 იანვრიდან. 1900 — 1902 წლების სესიის დროს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს კიდევ უფრო მოკლე წინადადება იმის შესახებ, რომ სამუშაო დღე დაუყოვნებლივ შეზღუდულიყო

* **Jules Gucsde. «Le Problème et la solution; les huit heures à la chambre». Lille. S. d.** (ჟიულ გედი. «პრობლემა და მისი გადაწყვეტა; რვასაათიანი სამუშაო დღე დეპუტატთა პალატაში». ლილი. რ ე დ.).

10 საათით დღეღამეში, შემდეგ კი იმ ვადაში, რომელიც ცალკე უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, — 8 საათით დღეღამეში *.

რა თქმა უნდა, ამგვარი კანონპროექტები ყოველ შემთხვევაში ათმაგად უფრო რაციონალურია სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, ვიდრე იმასთან «შეგუების» ცდები, რისი განხორციელებაც შესაძლებელია რეაქციული ან ბურჟუაზიული მთავრობებისათვის. მაგრამ თუ საფრანგეთსა და გერმანიაში, პრესისა და კრებების თავისუფლების დროს, საკმარისია კანონპროექტი მარტო პრინციპის გამოცხადებად იქცეს, ჩვენში, რუსეთში, ამჟამად, საჭიროა თვით კანონპროექტში შეტანილ იქნას კონკრეტულ-საგიტაციო მასალაც.

ამიტომ თავდაპირველი პროექტის ავტორის მიერ მიღებულ ტიპს ჩვენ უფრო მიზანშეწონილად ვთვლით, მაგრამ საჭიროა ამ პროექტში მთელ რიგ შესწორებათა შეტანა, რადგან ავტორი რამდენიმე შემთხვევაში სჩადის, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან და მეტად საშიშ შეცდომას, სახელდობრ: ყოველგვარი საჭიროების გარეშე ამცირებს ჩვენი პროგრამა-**minimum**-ის მოთხოვნებს (მაგალითად, როცა აწესებს ყოველ-კვირეულ დასვენებას 36 და არა 42 საათის რაოდენობით, ანდა როცა არაფერს ამბობს იმაზე, რომ ღამის მუშაობის დასაშვებად აუცილებელია მუშათა ორგანიზაციების თანხმობა). ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი თითქოს ცდილობს შეეგუოს თავისი კანონპროექტის «განხორციელების შესაძლებლობას», რისთვისაც, მაგალითად, მინისტრს ანდობს გადაწყვიტოს შუამდგომლობანი გამონაკლისთა შესახებ (საქმის შეტანით საკანონმდებლო დაწესებულებებში) და ერთხელაც არ იხსენიებს მუშათა პროფესიული ორგანიზაციების როლს 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის განხორციელების საქმეში.

---

* **M. Schippel. «S.-d. Reichstagshandbuch». Brl., 1902, SS. 882 und 886** (მ. შიპელი. «სოციალ-დემოკრატიული ცნობარი რეიხსტაგის საკითხებზე». ბერლინი, 1902, გვ. 882 და 886. რედ.).

ჩვენი ქვეკომისიის მიერ წამოყენებულ კანონპროექტს თავდაპირველ პროექტში მთელი რიგი შესწორებები შეაქვს აღნიშნული მიმართულებით. კერძოდ, შევჩერდებით თავდაპირველი პროექტის შემდეგი ცვლილებების დასაბუთებაზე.

იმ საკითხზე, თუ რომელი საწარმოების მიმართ გამოიყენება კანონპროექტი, მისი გამოყენების ფარგლები უნდა გაფართოვდეს იმგვარად, რომ შეტანილ იქნას მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის ყველა დარგი, ყოველგვარი დაწესებულებანი (მათ შორის სახაზინოც: ფოსტა და სხვ.) და შინ მუშაობაც. სათათბიროში შესატან განმარტებითს ბარათში სოციალ-დემოკრატებმა განსაკუთრებით უნდა გაუსვან ხაზი ამგვარი გაფართოებისა და ფაბრიკის, ვაჭრობის დარგის, მომსახურე, ტრანსპორტის და სხვა პროლეტარიატს შორის ყოველგვარი საზღვრების და დაყოფის მოსპობის (ამ საკითხში) აუცილებლობას.

შეიძლება წამოიჭრას სოფლის მეურნეობის საკითხი, იმის გამო, რომ ჩვენი პროგრამა-minimum-ი 8-საათიან სამუშაო დღეს მოითხოვს «ყველა დაქირავებული მუშისათვის». მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატების გამოსვლა ინიციატივით სოფლის მეურნეობაში 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ ა მ ჟ ა მ ა დ არა გვგონია დროული იყოს. უმჯობესია განმარტებითს ბარათში დავთქვათ, რომ პარტია თავს უფლებას აძლევს შეიტანოს შემდგომი კანონპროექტი სოფლის მეურნეობის შესახებაც, შინამოსამსახურეთა შესახებაც და სხვ.

შემდეგ. ყველა იმ შემთხვევაში, როცა კანონპროექტში ლაპარაკია იმაზე, რომ კანონის გამონაკლისები დასაშვებია, ჩვენ შევიტანეთ ყოველ გამონაკლისზე მუშათა პროფესიული კავშირის თანხმობის მოთხოვნა. ეს აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მუშებს ნათლად დავანახოთ სამუშაო დღის ნამდვილად შემცირების განუხორციელებლობა ისე, თუ არ არსებობს მუშათა ორგანიზაციების თვითმოქმედება.

შემდეგ უნდა შევჩერდეთ 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღების საკითხზე. თავდაპირველი პროექტის ავტორი ამაზე არც ერთ სიტყვას არ ამბობს და 8-საათიანი სამუშაო დღის უბრალო მოთხოვნით კმაყოფილდება, როგორც ე. გედის პროექტი. პირიქით, ჩვენი პროექტი უახლოვდება პარვუსის * და გერმანიის რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პროექტის ნიმუშს და აწესებს 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღებას (დაუყოვნებლივ, ე. ი. კანონის ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის შემდეგ, 10-საათიანი დღე და თითო საათით შემცირება წელიწადში). რა თქმა უნდა, პირველ და მეორე პროექტს შორის განსხვავება უკვე არც ისე არსებითია. მაგრამ რუსეთის მრეწველობის მაქსიმალური ტექნიკური ჩამორჩენილობის, რუსეთის პროლეტარიატის მეტად სუსტი დარაზმულობის პირობებში, როცა მუშა მოსახლეობის უდიდეს მასას (შინამრეწველები და სხვ.) ჯერ კიდევ მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დიდ კამპანიაში სამუშაო დღის შემცირების სასარგებლოდ, — ყველა ამ პირობებში უფრო მიზანშეწონილი იქნება ა ქ ვ ე, თ ვ ი თ კანონპროექტში გავცეთ პასუხი იმ აუცილებელ საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომ მკვეთრი გადასვლა შეუძლებელია, რომ ასეთი გადასვლის დროს მუშათა ხელფასი შემცირდებაო და ასე შემდეგ **. 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღების დაწესება (გერმანელები ამ შემოღებას აჭიანურებდნენ 8 წლით; Parvus-ი — 4 წლით; ჩვენ ვაყენებთ

---

* P a r v u s. «Die Handelskrisis und die Gewerkschaften. Nebst Anhang: Gesetzentwurf über den achtstundigen Normalarbeitstag». München, 1901 (პ ა რ ვ უ ს ი. «სავაჭრო კრიზისი და პროფესიული კავშირები. დანართი: ნორმალური რვასაათიანი სამუშაო დღის კანონპროექტი». მიუნხენი, 1901. რ ე დ.).

** 8-საათიანი სამუშაო დღის თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ შემოღების საკითხზე პარვუსი, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად ამბობს, რომ მის კანონპროექტში ამ თანდათანობას იწვევს «არა მეწარმეებისადმი შეგუების სურვილი, არამედ მუშებისადმი შეგუების სურვილი. ჩვენ უნდა დავადგეთ პროფესიული კავშირების ტაქტიკას: ისინი სამუშაო დღის შემ-

2 წელიწადს) ერთბაშად იძლევა პასუხს ამ საწინააღმდეგო მოსაზრებაზე: დღეღამეში 10 საათზე მეტი მუშაობა ეკონომიურად უსათუოდ არარაციონალურია და ჰიგიენურ და კულტურულ მოსაზრებათა გამო დაუშვებელია. ერთი წლის ვადა კი სამუშაო დღის ერთი საათით შესამცირებლად სავსებით საკმარისია, რათა ტექნიკურად ჩამორჩენილი საწარმოები განმტკიცდნენ და გარდაიქმნან, რათა მუშები ახალ წესებზე გადავიდნენ ისე, რომ შრომის ნაყოფიერებაში შესამჩნევი განსხვავება არ იყოს.

8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღება უნდა დაწესდეს არა იმისათვის, რომ პროექტი კაპიტალისტების ან მთავრობის საზომს «შეუფარდდეს» (ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, და ამნაირი აზრი რომ ვისმეს თავში მოსვლოდა, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვამჯობინებდით სრულებით არ გვეხსენებინა თანდათანობა), არამედ იმისათვის, რომ ყველას და თვითეულს თვალსაჩინოდ დავანახოთ სოციალ-დემოკრატიის პროგრამის ტექნიკური, კულტურული და ეკონომიური განხორციელების შესაძლებლობა ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაშიც კი.

8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღების საწინააღმდეგო სერიოზული მოსაზრება რ უ ს უ ლ სოციალ-დემოკრატიულ კანონპროექტში ის იქნებოდა, რომ ამნაირად თითქოს არ ვეთანხმებით, თუნდაც არაპირდაპირ, 1905 წლის მუშათა დეპუტატების რევოლუციურ საბჭოებს, რომლებიც ატარებდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ განხორციელებას. ჩვენ ეს სერიოზულ საწინააღმდეგო მოსაზრებად მიგვაჩნია, რადგან მუშათა დეპუტატების საბჭოებთან სულ მცირეოდენი უთანხმოება ა მ მ ხ რ ი ვ იქნებოდა პირდაპირი რენეგატობა ან, ყოველ შემთხვევაში, მხარდაჭერა

ცირებას ატარებენ მეტად თანდათანობით, რადგან მათ კარგად იციან, რომ ამნაირად ყველაზე უფრო ადვილია წინააღმდეგობა გაუწიონ ხ ე ლ ფ ა ს ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს» (ხაზგასმა პარვუსისაა, ციტირ. ბროშურა, გვ. 62 — 63).

რენეგატებისა და კონტრრევოლუციური ლიბერალებისათვის, რომლებმაც სახელი გაითქვეს ასეთი უთანხმოებით.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, მიუხედავად იმისა, შეტანილი იქნება თუ არა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კანონპროექტში თანდათანობა, — ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, აუცილებლად საჭიროა, რომ სათათბიროში წარდგენილ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ს ბ ა რ ა თ შ ი ც და სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული წარმომადგენლის ს ი ტ ყ ვ ა შ ი ც სრულიად გარკვევით იყოს გამოხატული აზრი, რომელიც უსათუოდ გამორიცხავს სულ მცირეოდენ უთანხმოებას და უსათუოდ შ ე ი ც ა ვ ს მუშათა დეპუტატების საბჭოების მოქმედების აღიარებას ჩვენ მიერ პრინციპულად სწორ, სავსებით კანონიერ და აუცილებლად საჭირო მოქმედებად.

«სოციალ-დემოკრატია, — ამას უნდა ამბობდეს, დაახლოებით, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა განცხადება ან მათი განმარტებითი ბარათი, — არავითარ შემთხვევაში არ ამბობს უარს 8-საათიანი სამუშაო დღის დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შემოღებაზე; პირიქით, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ისტორიულ პირობებში, როცა ბრძოლა მწვავდება, როცა მასობრივი მოძრაობის ენერგია და ინიციატივა მაღალია, როცა ძველი საზოგადოებისა და ახლის შეჯახება მწვავე ფორმებს იღებს, როცა, მაგალითად, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის წარმატებისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ს ა ჭ ი რ ო ა არაფრის წინაშე არ შევჩერდეთ, — ერთი სიტყვით, იმის მსგავს პირობებში, როგორიც 1905 წლის ნოემბერში იყო, სოციალ-დემოკრატიას 8-საათიანი სამუშაო დღის დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შემოღება არათუ კანონიერად, არამედ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ა ც მიაჩნია. თავის კანონპროექტში ამჟამად 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღება რომ შეაქვს, ამით სოციალ-დემოკრატიას სურს მხოლოდ ცხადყოს, რომ რსდმპ პროგრამული მოთხოვნების განხორციელება სავსებით შესაძლებელია უცუდეს ისტორიულ პირობებშიც კი, ეკონომიური, სოციალური და

კულტურული განვითარების ყველაზე ნაკლებად სწრაფი ტემპის დროსაც კი».

ვიმეორებთ: სოციალ-დემოკრატების ამგვარ განცხადებას სათათბიროში და 8-საათიანი სამუშაო დღის კანონპროექტისადმი მათს განმარტებითს ბარათში ჩვენ ვთვლით აუცილებლად და, ყოველ შემთხვევაში, საჭიროდ, იმ საკითხს კი, შეტანილ იქნას თუ არა თვით კანონპროექტში 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით დაწესება, — ვთვლით შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხად. —

დანარჩენი ცვლილებანი, რაც ჩვენ თავდაპირველ კანონპროექტში შევიტანეთ, კერძო დეტალებს შეეხებიან და განსაკუთრებულ კომენტარს არ მოითხოვენ.

დაწერილია 1909 წ. შემოდგომაზე

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 4 (27)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

16. XII 1909 წ.

ძვირფასო კოლეგა! თქვენი პასუხი მომივიდა და ვიღებ კალამს, რომ საუბარი განვაგრძო.

თქვენ გინდათ საკითხი უფრო მეტად თეორიულ (და არა პრაქტიკულ) ნიადაგზე გადაიტანოთ. თანახმა ვარ. მხოლოდ მოგაგონებთ, რომ თ ქ ვ ე ნ ი ამოსავალი პუნქტი ტაქტიკური იყო: თქვენ ხომ უარყოფდით ძირითადი ტაქტიკური დებულების «კლასიკურ დაყენებას». ამ ტაქტიკურ გადაწყვეტას თქვენ სახავდით (ისე, რომ მისგან გამომდინარე ტაქტიკურ დ ა ს კ ვ ნ ე ბ ს ბოლომდე არ გამოთქვამდით) «ამერიკული შესაძლებლობის» უარყოფასთან დაკავშირებით. ამიტომ მე მართებულად არ მიმაჩნია ჩვენი უთანხმოებების ის გადმოცემა, რომელსაც თქვენ იძლევით სიტყვებით: «თქვენ (ე. ი. მე) ხაზს უსვამთ გ ლ ე ხ ო ბ ი ს მოძრაობის ფაქტს. მე ვაღიარებ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ზ ა ც ი ი ს გ ზ ა ზ ე მ ყ ო ფ ი გლეხობის მოძრაობის ფაქტს». უთანხმოება ამაში როდია. მე ხომ მართლაც არ უარვყოფ, რომ გლეხობა პროლეტარიზაციას განიცდის. უთანხმოება იმაშია, დამკვიდრდა თუ არა რუსეთში ბურჟუაზიული აგრარული წყობილება იმდენად, რომ ობიექტურად შეუძლებელი გახადოს მკვეთრი გადასვლა აგრარული კაპიტალიზმის «პრუსიული» განვითარებიდან აგრარული კაპიტალიზმის «ამერიკულ» განვითარებაზე? თუ კი დამკვიდრდა, მაშინ ტაქტიკის ძირითადი საკითხის «კლასიკური» დაყენება ძალას კარგავს. თუ არ დამკვიდრებულა, ის ძალაში რჩება.

და აი, მე იმის მომხრე ვარ, რომ ის ძალაში უნდა დარჩეს. მე არ უარვყოფ «პრუსიული» გზის შესაძლებლობას; ჩემი აზრით, მარქსისტმა არ უნდა იკისროს არც «თავდებობა» ერთერთი ამ გზისთვის და არც უნდა დაუკავშიროს თავისი თავი მარტო ერთ მათგანს; ჩემი აზრით, სტოლიპინის პოლიტიკა კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს წინ «პრუსიული» გზით და რომ ამ გზაზე განსაზღვრულ საფეხურზე შეიძლება დაიწყოს დიალექტიკური გარდატეხა, რომელიც «ამერიკული» გზის მთელ იმედსა და ყველა ვარაუდს გაიქარწყლებს. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ამჟამად ეს გარდატეხა, უეჭველად, ჯერ კიდევ არ დაწყებულა და რომ ამიტომ მარქსისტისათვის აბსოლუტურად შეუწყნარებელია, თეორიულად აბსოლუტურად მცდარია საკითხის «კლასიკურ» დაყენებაზე ხელის აღება. აი რაშია ჩვენი უთანხმოებანი.

თეორიულად ისინი, თუ არ ვცდები, ორი მთავარი მუხლით ამოიწურება: 1) მე უნდა გავანადგურო თქვენი «მოკავშირე» ვ. ილინი იმისათვის, რომ გავამართლო ჩემი პოზიცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პოზიცია ეწინააღმდეგება რუსეთის რევოლუციის წინადროინდელი ეკონომიკის მარქსისტული ანალიზის შედეგებს. 2) «კლასიკური» დაყენება შეიძლება და უნდა შევადაროთ კიდეც რევიზიონისტების (დავიდისა და კომპანიის) აგრარულ ოპორტუნიზმს, რადგან «ბლეხისადმი» მუშის დამოკიდებულების საკითხის დაყენებას შორის რუსეთსა და გერმანიაში არავითარი არსებითი, პრინციპული და ძირფესვიანი განსხვავება არ არის.

ორივე ამ დებულებას უაღრესად -მცდარ დებულებად ვთვლი.

Ad * 1) (იმისათვის, რომ «ტაქტიკას» არ შევეხო, გვერდს ავუვლი მარტინოვის გალაშქრებას ილინის წინააღმდეგ[43] და გადავალ მხოლოდ თეორიული საკითხის დაყენებაზე თქვენ მიერ.)

---

* — 1)-სათვის. რედ.

რას ამტკიცებდა და რა დაამტკიცა ილინმა? რომ აგრარული ურთიერთობის განვითარება რუსეთში კაპიტალისტურად მიმდინარეობს მ ე მ ა მ უ ლ უ რ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი ც, გ ლ ე ხ უ რ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი ც, «თემის» გ ა რ ე თ ა ც და მის შ ი გ ნ ი თ ა ც. ეს ერთი. რომ ამ განვითარებამ უკვე ს ა ბ ო ლ ო ო დ განსაზღვრა განვითარების ა რ ა სხვა გზა, არამედ კაპიტალისტური, კლასების ა რ ა სხვა დაჯგუფება, არამედ კაპიტალისტური. ეს ორი.

ამისათვის წარმოებდა დავა ნაროდნიკებთან. ეს უნდა დამტკიცებულიყო. ეს დამტკიცდა. ეს დამტკიცებული რჩება. ახლა ისმის (და 1905 — 1907 წლების მოძრაობამ დ ა ს ვ ა) ს ხ ვ ა, შემდგომი საკითხი, რომელიც გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს ილინის (და, რა თქმა უნდა, არა მარტო მის) მიერ გადაწყვეტილი საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ გულისხმობს ა რ ა მ ა რ ტ ო ამას, არამედ რაღაც უფრო მეტს, უფრო რთულს, რაღაც ახალს. გ ა რ დ ა იმ საკითხისა, რომელიც საბოლოოდ გადაწყდა და სწორად გადაწყდა 1883 — 1885, 1895 — 1899 წლებში, XX საუკუნის ისტორიამ რუსეთში ჩვენს წინაშე დააყენა შ ე მ დ გ ო მ ი საკითხი, — და არაფერია თეორიულად იმაზე უფრო მცდარი, როგორც მისგან უკან დახევა, მისი თავიდან მოშორება წინათ გადაწყვეტილზე მითითებით. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ, ასე ვთქვათ, მეორე, ე. ი. უმაღლესი კლასის საკითხები დაგვეყვანა უმდაბლესი, პირველი კლასის საკითხებამდე. არ შეიძლება კაპიტალიზმის საკითხის ზ ო გ ა დ ი გადაწყვეტის საფუძველზე დავრჩეთ მაშინ, როცა ა ხ ა ლ მ ა მოვლენებმა (და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებმა, როგორიცაა 1905 — 1907 წლები) წამოაყენეს უფრო კონკრეტული, უფრო დეტალური საკითხი, **კაპიტალისტური** აგრარული განვითარების ო რ ი გზის ანუ მეთოდის ბრძოლის საკითხი. როცა ჩვენ ნაროდნიკებს ვებრძოდით იმის დასამტკიცებლად, რომ ეს გზა გარდუვალად და საბოლოოდ კაპიტალისტური გზაა, ჩვენ სავსებით მართალნი ვიყავით და არ შეგვეძლო მთელი ძალები, მთელი ყურადღება არ მიგვეპყრო საკითხისათვის: კაპიტალიზმი თ უ «სახალ-

ხო წარმოება». ეს ბუნებრივიც იყო, გარდაუვალიც და კანონიერიც. მაგრამ ახლა ეს საკითხი გადაწყვეტილია თეორიის მიერაც და ცხოვრების მიერაც (ვინაიდან რუსეთის უახლესმა ისტორიამ დაადასტურა წვრილბურჟუაზიულობა ტრუდოვიკისა **en masse***), რიგში კი დასმულია სხვა, უმაღლესი საკითხი: α ტიპის კაპიტალიზმი თუ β ტიპის კაპიტალიზმი? და, ჩემი ღრმა რწმენით, ილინი მართალი იყო, როცა წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ მისგან გამომდინარეობს კაპიტალისტური აგრარული განვითარების ორი სახის შესაძლებლობა და რომ ამ სახეების ისტორიული ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა **.

მარქსიზმში რუსული ოპორტუნიზმის, ე. ი. ჩვენს ხანაში მენშევიზმის თავისებურება ის არის, რომ იგი დაკავშირებულია მარქსიზმის ასოს დოქტრინიორულ გამარტივებასა, გაუგვანებასა და დამახინჯებასთან, მისი სულისკვეთების მიმართ ღალატთან (ასე დაემართა რაბოჩეედელოელების მიმართულებასაც და სტრუვიზმსაც). ეომებოდნენ რა ნაროდნიკობას, როგორც სოციალიზმის არასწორ დოქტრინას, მენშევიკებს დოქტრინიორულად გამორჩათ, გამოეპარათ ისტორიულად რეალური და პროგრესული ისტორიული შინაარსი ნაროდნიკობისა, როგორც ლიბერალურ-მემამულური კაპიტალიზმის წინააღმდეგ დემოკრატიული კაპიტალიზმის, «პრუსიული» კაპიტალიზმის წინააღმდეგ «ამერიკული» კაპიტალიზმის მასობრივი წვრილბურჟუაზიული ბრძოლის თეორიისა. აქედან გამომდინარეობს მათი ის საზარელი, იდიოტური, რენეგატული იდეა (რომლითაც სავსებით გამსჭვალულია «საზოგადოებრივი მოძრაობაც»), რომ გლეხთა მოძრაობა რეაქციულია, რომ კადეტი ტრუდოვიკზე უფრო პროგრესულია, რომ «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა» (=კლასიკური დაყენება) ეწინააღმდეგება «სამეურნეო განვითარების მთელ მსვლელო-

* — მასობრივად. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 3, გვ. 13—18. რედ.

ბ ა ს» (მენშევიკური «საზოგადოებრივი მოძრაობა», გვ. 661). «ეწინააღმდეგება სამეურნეო განვითარების მ თ ე ლ მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა ს ო», — განა ეს რეაქციულობა არ არის?

მე იმ აზრს ვადგივარ, რომ მარქსიზმის ამ საშინელი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლა «კლასიკური დაყენების» საფუძველი და ს წ ო რ ი საფუძველიც იყო, თუმცა, სამწუხაროდ, ეპოქის ბუნებრივი პირობების გამო ეს ბრძოლა ტაქტიკურად მეტად გულმოდგინედ და თეორიულად არასაკმაოდ გულმოდგინედ წარმოებდა. თუმცაღა, სიტყვა სამწუხარო აქ უმართებულო სიტყვაა, რომელიც ამოგდებულ უნდა იქნას!

აი სწორედ ე ს აგრარული საკითხი არის ა მ ჟ ა მ ა დ რუსეთში ბურჟუაზიული განვითარების ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი საკითხი. აი სწორედ იმისათვის, რომ შეცდომით (მექანიკურად) არ გადმოვიტანოთ ჩვენში გერმანიის ბევრი მხრივ სწორი და ყოველმხრივ მეტად ძვირფასი ნიმუში, საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ გერმანიის ს ა ვ ს ე ბ ი თ დამკვიდრებული ბურჟუაზიული განვითარების ნაციონალური საკითხი იყო გაერთიანება და სხვა, მაგრამ არა აგრარული საკითხი, რუსეთში ბურჟუაზიული განვითარების საბოლოო დამკვიდრების ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ საკითხს კი წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს სწორედ აგრარული (უფრო ვიწროდაც: გლეხთა) საკითხი.

აი წმინდა თეორიული საფუძველი, რითაც გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა მარქსიზმის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა **1848 — 1868** წლების (დაახლოებით) გერმანიის მიმართ და 1905 — 19?? წლების რუსეთის მიმართ.

რით შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩვენში ბურჟუაზიული განვითარებისათვის ნაციონალური მნიშვნელობა მ ი ი ღ ო ა გ რ ა რ უ ლ მ ა საკითხმა და არა რომელიმე სხვა საკითხმა? ისიც კი არ ვიცი, საჭიროა თუ არა ამის დამტკიცება. ვფიქრობ, ეს უდავოა. მაგრამ სწორედ აქ არის თ ე ო რ ი უ ლ ი საფუძველი, და ყველა კერძო საკითხს სწორედ ა ქ უნდა მ ო ვ ე უ ყ ა რ ო თ თავი. თუ დავა იქნება, მოკლედ (ჯერჯერობით მოკლედ) აღვნიშნავ, რომ სწორედ მოვლენათა განვი-

თარებამ, ფაქტებმა, 1905 — 1907 წლების **ისტორიამ დაადასტურეს** ჩემ მიერ მითითებული მნიშვნელობა აგრარული (გლეხური და, რა თქმა უნდა, წვრილბურჟუაზიულ-გლეხური და არა თემურ-გლეხური) საკითხისა რუსეთში. ამასვე ადასტურებს ახლა 1907 წ. 3. VI კანონიც, III სათათბიროს შემადგენლობაც და მოღვაწეობაც და — წვრილმანი — 1909 წ. 20. XI [44] — და მთავრობის აგრარული პოლიტიკაც (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია).

თუ ჩვენ შევთანხმდებით იმაში, რომ რუსეთის უახლესმა ისტორიამ, 1905 — 1909 წლების ისტორიამ დაადასტურა აგრარული საკითხის ძირითადი, პირველხარისხოვანი, ნაციონალური (ამ აზრით) მნიშვნელობა რუსეთში ბურჟუაზიული ევოლუციის განსაზღვრული ტიპის დამკვიდრებაში, ჩვენ შევძლებთ წინ წავიდეთ. თუ არა, მაშინ ვერ შევძლებთ.

რუსეთის ბურჟუაზიული განვითარება 1905 წლისათვის უკვე სავსებით მომწიფებული იყო საიმისოდ, რომ მოგვეთხოვა მოძველებული ზედნაშენის — მოძველებული, შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივი მსხვრევა (თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, თუ რატომ ვიღებ მე აქ მთელი ზედნაშენიდან მარტო მიწათმფლობელობას). ჩვენ ვცხოვრობთ ამ მსხვრევის ხანაში, მსხვრევისა, რომლის ბოლომდე მიყვანას და დამთავრებას ბურჟუაზიული რუსეთის სხვადასხვა კლასი თავისებურად ცდილობს: გლეხები (+მუშები) — ნაციონალიზაციის გზით (ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით მუნიციპალიზაციის სრული უაზრობის შესახებ; ციტატები **Theorien über Mehrwerth**-დან * ნაციონალიზაციის სასარგებლოდ მე უკვე მოვიყვანე ერთ ჩემს ნაშრომში, რომლის მცირე ნაწილი პოლონურად დაიბეჭდა) **, — მემამულეები (+ძველი ბურჟუაზია, ჟირონდისტული ბურჟუაზია) — 1906 წ.

* — ზედმეტი ღირებულების თეორიები. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 177—208. *რედ.*

9. XI გზით და სხვა. მიწის ნაციონალიზაცია = გლეხთა მიერ ძველი მიწათმფლობელობის დამსხვრევა არის ამერიკული გზის ეკონომიური საფუძველი. 1906 წ. 9. XI კანონი = მემამულეთა მიერ ძველი მიწათმფლობელობის დამსხვრევა არის პრუსიული გზის ეკონომიური საფუძველი. ჩვენი ეპოქა, 1905 — ?? წლები, არის **ამ** გზების რევოლუციური და კონტრრევოლუციური ბრძოლის ეპოქა, — მ ს გ ა ვ ს ა დ იმისა, როგორც **1848 — 1871** წლები გერმანიაში იყო გაერთიანების (=გერმანიის ბურჟუაზიული განვითარების ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი პრობლემის გადაწყვეტის) ორი გზის რევოლუციური და კონტრრევოლუციური ბრძოლის ეპოქა, გზისა გერმანიის დიდი რესპუბლიკის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ და გზისა პრუსიის მონარქიის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ. **მხოლოდ 1871** წლისათვის გ ა ი მ ა რ ჯ ვ ა **საბოლოოდ** (აი რას შეეხება ჩემი «სავსებით») მეორე გზამ. და მაშინ ლიბკნეხტმა უარი თქვა პარლამენტის ბოიკოტზე. და მაშინ მ ო კ ვ დ ა ლასალიანელთა დავა ეიზენახელებთან. და მაშინ მ ო კ ვ დ ა გერმანიაში საერთო-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი რევოლუციის საკითხი, — ნაუმანმა, დავიდმა და კომპანიამ კი 90-იან წლებში (ოცი წლის შ ე მ დ ე გ!) დაიწყეს მკვდრის გაცოცხლება.

ჩვენში ჯ ე რ კ ი დ ე ვ ბრძოლაა. ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია ერთ-ერთ გზას ორი აგრარული გზიდან. ჩვენში ჩ ვ ე ნ ი ეპოქის (1905 — 1909 — ?? წწ.) ყოველი კრიზისის დროს თ ა ვ ს ი ჩ ე ნ ს, უსათუოდ თავს იჩენს «გლეხის» **«საერთო-**დემოკრატიული» მოძრაობა, და ამის უგულებელყოფა იქნებოდა ძირითადი შეცდომა, რომელსაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მოყვებოდა მენშევიზმი, თუნდაც თ ე ო რ ი ა ში დავა სხვა სიბრტყეზე დაეყენებინათ. მე კი არ «მიმყავს» დავა «მენშევიზმამდე», არამედ ჩვენი ეპოქის ი ს ტ ო რ ი ა ს მ ი ყ ა ვ ს პროლეტარიატის მიერ რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ნაციონალური ამოცანის უგულებელყოფა მენშევიზმამდე, რადგან მენშევიზმის **დედაარსი** სწორედ ამაში მდგომარეობს.

Nebenbei *. წაიკითხეთ თუ არა **ჩერევანინის** «თანამედროვე მდგომარეობაში» ბოლშევიკების საკითხის «კლასიკური დაყენების» ოპორტუნიზმის შესახებ? წაიკითხეთ!

Ad 2) არსებითად, მე უკვე ვთქვი თითქმის ყველაფერი **Ad 2.** გერმანიაში მუშამ რომ მხარი დაუჭიროს «გლეხის» სურვილს — მიიღოს თავისთვის (ე. ი. გლეხისთვის) მსხვილი მემამულის, იუნკრის მიწა, — ეს რეაქციულია. ხომ ასეა? ხომ მართალია? რუსეთში რეაქციულია 1905 — 1909 — ?? წლებში ამ მხარდაჭერაზე უარისთქმა. **Hic Rhodus, hic salta!** ** აქ ან ხელი უნდა ავიღოთ მთელ აგრარულ პროგრამაზე და გადავბარგდეთ... თითქმის კადეტიზმისკენ, — ანდა უნდა ვაღიარ ოთ **პრინციპული** განსხვავება გერმანიასა და რუსეთში საკითხის დაყენებას შორის, პრინციპული არა იმ მნიშვნელობით, რომ ჩვენში არაკაპიტალისტური ეპოქა იყოს, არამედ იმ მნიშვნელობით, რომ კაპიტალიზმის ეპოქები: ეპოქა კაპიტალიზმის ნაციონალური გზის საბოლოოდ **დამკვიდრებამდე** და ეპოქა ასეთი დამკვიდრების **შემდეგ** — სულ სხვადასხვანაირია, პრინციპულად სხვადასხვანაირია.

ჯერჯერობით ვამთავრებ. შევეცდები გამოგიგზავნოთ ამონაჭრები ჩვენი საუბრების თემაზე. მოიწერეთ, როცა თავისუფალი დრო იშოვნოთ. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი მოხუცი

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5 (28)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — სხვათა შორის. რედ.

** — აქ არის როდოსი, აქ გადახტი! რედ.

«ვეხის» შესახებ[45]

ცნობილი კრებული «ვეხი», უაღრესად გავლენიანი კადეტი პუბლიცისტების მიერ შედგენილი, მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ გამოცემული, რომელსაც მთელი რეაქციული პრესა აღტაცებით შეხვდა, ჩვენი დროის ნამდვილ ტიპიურ მოვლენას წარმოადგენს. რამდენიც უნდა «ასწორონ» კადეტურმა გაზეთებმა «ვეხის» მეტისმეტად აშკარა ცალკეული ადგილები, რამდენიც უნდა უარყონ ისინი ცალკეულმა კადეტებმა, რომელნიც სრულიად უმწეონი არიან გავლენა მოახდინონ მთელი კადეტური პარტიის პოლიტიკაზე ან მიზნად ისახავენ ყალბად დაუხატონ მასებს ამ პოლიტიკის ნამდვილი მნიშვნელობა, — უეჭველი რჩება ის ფაქტი, რომ «ვ ე ხ მ ა» გ ა მ ო ხ ა ტ ა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კ ა დ ე ტ ი ზ მ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი დ ე დ ა ა რ ს ი. კადეტების პარტია «ვეხის» პარტიაა.

მუშათა დემოკრატია, რომელიც ყველაზე მეტად აფასებს მასების პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების განვითარებას, უნდა მიესალმოს «ვეხს», როგორც კადეტების იდეური ბელადების მიერ მათი პოლიტიკური მიმართულების დედაარსის ჩინებულ გამოაშკარავებას. «ვეხი» დაუწერიათ ბატონებს: ბერდიაევს, ბულგაკოვს, გერშენზონს, კისტიაკოვსკის, სტრუვეს, ფრანკსა და იზგოევს. ცნობილი დეპუტატების, ცნობილი რენეგატების, ცნობილი კადეტების უკვე მარტოკა ეს სახელები თავისთავად საკმაოდ ბევრს მეტყველებენ. «ვეხის» ავტორები გამოდიან როგორც მთელი საზოგადოებრივი მიმართულების ნამდვილი იდეური ბელადები და მოკლე მონახაზში

იძლევიან მთელ ენციკლოპედიას ფილოსოფიის, რელიგიის, პოლიტიკის, პუბლიცისტიკის, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რუსეთის დემოკრატიის მთელი ისტორიის შეფასების საკითხებზე. როცა «ვეხს» უწოდეს «სტატიების კრებული რუსეთის ინტელიგენციის შესახებ», ამ ქვესათაურით ავტორებმა ვიწრო ჩარჩოში მოაქციეს თავიანთი გამოსვლის ნამდვილი თემა, რადგან ნამდვილად მათ კრებულში ინტელიგენცია გამოდის რუსეთის მთელი დემოკრატიისა და რუსეთის მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის სულიერ ბელადად, შთამაგონებლად და გამომხატველად. «ვეხი» უდიდესი ნიშანსვეტია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მის ყველა ძირითად ამოცანასთან, მის ყველა უმთავრეს ტრადიციასთან რუსული კადეტიზმისა და საერთოდ რუსული ლიბერალიზმის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კ ა ვ შ ი რ ი ს რ უ ლ ი გ ა წ ყ ვ ე ტ ი ს გზაზე.

I

ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა სამ ძირითად თემას მოიცავს: 1) ბრძოლა რუსეთის (და საერთაშორისო) დემოკრატიის მთელი მსოფლმხედველობის იდეური საფუძვლების წინააღმდეგ; 2) განდგომა ახლახან გასული წლების განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან და მისი ტალახში ამოსვრა; 3) აშკარა გამოცხადება საკუთარი ლაქიური გრძნობებისა (და შესაბამისი ლაქიური პოლიტიკისა) ოქტიაბრისტული ბურჟუაზიის მიმართ, ძველი ხელისუფლების მიმართ, საერთოდ მთელი ძველი რუსეთის მიმართ.

«ვეხის» ავტორები იწყებენ «ინტელიგენტური» მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლებით. მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს გადამწყვეტი ბრძოლა მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამოცხადებულია დოგმატიზმად, მეტაფიზიკად, «ფილოსოფოსობის ყველაზე ელემენტარულ და დაბალ ფორმად» (გვ. 4 — გვერდები ნაჩვენებია «ვეხის» 1-ლი გამოცემის მიხედვით). პოზიტივიზმი დაგმობილია იმიტომ, რომ ის «ჩვენთვის» (ე. ი. «ვეხის» მიერ განადგურებული

რუსული «ინტელიგენციისათვის») იყო «იგივე, რაც მატერიალისტური მეტაფიზიკა», ანდა მას განმარტავდნენ «მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტურად» (15), მაშინ როდესაც «არც ერთ მისტიკოსს, არც ერთ მორწმუნეს არ შეუძლია უარყოს მეცნიერული პოზიტივიზმი და მეცნიერება» (11). ნუ ხუმრობთ! «იდეალისტური და რელიგიურ-მისტიკური ტენდენციებისადმი მტრობა» (6) — აი რატომ ესხმის თავს «ვეხი» «ინტელიგენციას». «იურკევიჩი, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი ფილოსოფოსი იყო ჩერნიშევსკისთან შედარებით» (4).

სავსებით ბუნებრივია, რომ, ამ თვალსაზრისზე მდგომი, «ვეხი» დაუცხრომლად ანადგურებს «ინტელიგენციის» ათეიზმს და ცდილობს მთელი სიმტკიცითა და მთელი სისრულით აღადგინოს რელიგიური მსოფლმხედველობა. სავსებით ბუნებრივია, რომ რაკი მოსპო ჩერნიშევსკი, როგორც ფილოსოფოსი, «ვეხი» სპობს ბელინსკის, როგორც პუბლიცისტს. ბელინსკი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი — «ინტელიგენტების» ბელადები არიან (134, 56, 32, 17 და სხვ.). ჩაადაევი, ვლადიმერ სოლოვიოვი, დოსტოევსკი — «სრულიადაც არ არიან ინტელიგენტები». პირველნი იმ მიმართულების ბელადები არიან, რომელსაც «ვეხი» სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეომება. შეორენი «დაუცხრომლად ამტკიცებდნენ» სახელდობრ იმას, რასაც «ვეხიც» ამტკიცებს, მაგრამ «მათ ყურს არ უგდებდნენ, ინტელიგენცია მათ გვერდს უვლიდაო», — იუწყება «ვეხის» წინასიტყვაობა.

მკითხველს უკვე შეუძლია აქედან დაინახოს, რომ «ვეხი» თავს ესხმის არა «ინტელიგენციას», ეს მხოლოდ ხელოვნური გამოთქმის ხერხია, რომელიც საქმეს ხლართავს. თავდასხმა წარმოებს მთელი ხაზით დემოკრატიის წინააღმდეგ, დემოკრატიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ხოლო რადგან იმ პარტიის იდეური ბელადებისათვის, რომელიც რეკლამას უკეთებს თავის თავს, როგორც «კონსტიტუციურ-დემოკრატიულ» პარტიას, უხერხულია საგნებს მათი ნამდვილი სახელი უწოდონ, მათ ტერმინოლოგია ისესხეს «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს ა გ ან» [16], ისინი ხელს იღებენ არა დემოკრატია-

ზე, — (რა არასაკადრისი ცილისწამებაა!), — არამედ მხოლოდ «ინტელიგენტშჩინაზე».

ბელინსკის წერილი გოგოლისადმი, ავტორიტეტულად ბრძანებს «ვეხი», «ინტელიგენტური სულიერი განწყობილების მგზნებარე და კლასიკური გამოხატულებაა» (56). «ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია, ბელინსკის შემდეგ მოკიდებული, ცხოვრების შეგნების აზრით, სრული კოშმარია» (82).

მაშ ასე. ყმა გლეხების სულიერი განწყობილება ბატონყმობის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, «ინტელიგენტური» სულიერი განწყობილება ყოფილა. ისტორია მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების პროტესტისა და ბრძოლისა 1861 წლიდან 1905 წლამდე რუსეთის ცხოვრების მთელ წყობილებაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, «სრული კოშმარი» ყოფილა. ან, იქნებ, ჩვენი ჭკვიანი და განათლებული ავტორების აზრით, ბელინსკის სულიერი განწყობილება წერილში გოგოლისადმი დამოკიდებული არ იყო ყმა გლეხთა სულიერ განწყობილებაზე? ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია დამოკიდებული არ იყო ბატონყმური ჩაგვრის ნაშთებით ხალხის მასების აღშფოთებაზე?

«მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» მუდამ ამტკიცებდა, რუსეთის დემოკრატია, თუნდაც ბელინსკით დაწყებული, სრულიადაც არ გამოხატავს მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების ინტერესებს ხალხის იმ სრულიად ელემენტარული უფლებებისათვის ბრძოლაში, რომლებსაც ბატონყმური დაწესებულებანი არღვევენ, არამედ მხოლოდ «ინტელიგენტურ სულიერ განწყობილებას» გამოხატავსო.

«ვეხისა» და «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამა ერთნაირია ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც. მაგრამ ლიბერალურმა რენეგატებმა გაბედეს ფილოსოფიაში ეთქვათ სრული სიმართლე, გადაეშალათ მ თ ე ლ ი თავიანთი პროგრამა (ომი მატერიალიზმისა და მატერიალისტურად განმარტებული პოზიტივიზმის წინააღმდეგ; მისტიკისა და მისტიკური მსოფლმხედველობის აღდგენა), პუბლიცისტიკაში კი ისინი ფარისევლობენ, იკლაკნებიან, იეზუიტობენ. მათ კავშირი გაწყვიტეს

დემოკრატიის ყველაზე ძირითად იდეებთან, ყველაზე ელემენტარულ დემოკრატიულ ტენდენციებთან, მაგრამ თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს კავშირს წყვეტენ მხოლოდ «ინტელიგენტშჩინასთან». ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გადაჭრით იბრუნა პირი ხალხის უფლებების დაცვისაგან ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დაწესებულებათა დაცვისაკენ. მაგრამ ლიბერალურ პოლიტიკანებს სურთ «დემოკრატების» სახელწოდება შეინარჩუნონ.

სწორედ იმავე ოინს, რომელიც გამოიყენეს გოგოლისადმი ბელინსკის წერილისა და რუსული პუბლიცისტიკის ისტორიის მიმართ, იყენებენ ამასწინანდელი მოძრაობის ისტორიის მიმართაც.

II

ნამდვილად «ვეხში» თავს ესხმიან მხოლოდ ისეთ ინტელიგენციას, რომელიც დემოკრატიული მოძრაობის გამომხატველი იყო, და მხოლოდ იმისათვის, რაშიაც მან თავი გამოიჩინა როგორც ამ მოძრაობის ნამდვილმა მონაწილემ. «ვეხი» გააფთრებული ესხმის თავს ინტელიგენციას სწორედ იმიტომ, რომ ეს «მცირე არალეგალური სექტა ქვეყანას მოევლინა, მრავალი მიმდევარი შეიძინა და ერთ ხანს იდეურად გავლენიანი და რეალურად ძლიერიც კი გახდა» (176). ლიბერალები თანაუგრძნობდნენ «ინტელიგენციას» და ფარულად ზოგჯერ მხარს უჭერდნენ მას, ვ ი დ რ ე იგი რჩებოდა მ ხ ო ლ ო დ მცირე არალეგალურ სექტად, ვიდრე მან არ შეიძინა მრავალი მიმდევარი, ვიდრე იგი რეალურად ძლიერი არ ხდებოდა; ეს ნიშნავს: ლიბერალი თანაუგრძნობდა დემოკრატიას, ვიდრე დემოკრატიას მოძრაობაში არ მოჰყავდა ნამდვილი მასები, რადგან მასების ჩაუბმელად იგი მხოლოდ ლიბერალიზმის ანგარებიან მიზნებს ემსახურებოდა, იგი მხოლოდ ეხმარებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ზედა ფენებს ახლოს მისულიყვნენ ხელისუფლების სადავეებთან. ლიბერალმა ზურგი შეაქცია დემოკრატიას, როცა ამ უკანასკნელმა ჩაითრია მასები, რომლებმაც დაიწყეს თ ა ვ ი ა ნ თ ი ამოცანების განხორციელე-

ბა, თ ა ვ ი ა ნ თ ი ინტერესების დაცვა. დემოკრატიული «ინ-ტელიგენციის» წინაალმდეგ ყვირილის საფარით კ ა დ ე ტ ე-ბ ი ს ო მ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წ ა რ მ ო ე ბ ს მ ა ს ე ბ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიმუში უამრავი თვალსა-ჩინო ნიმუშებიდან «ვეხში» ის არის, რომ ისინი XVIII საუ-კუნის დამლევის საფრანგეთის დიდ საზოგადოებრივ მოძრაო-ბას აცხადებენ «მაგალითად საკმაოდ გახანგრძლივებული ინ-ტელიგენტური რევოლუციისა, რომელმაც მთელი თავისი სუ-ლიერი პოტენცია გამოამეღავნა» (57).

კარგი რამ არის, ხომ? XVIII საუკუნის დასასრულის საფ-რანგეთის მოძრაობა, თურმე ნუ იტყვით, მასების უაღრესად ღრმა და ფართო დემოკრატიული მოძრაობის ნიმუში კი არა, «ინტელიგენტური» რევოლუციის ნიმუშია! რადგან მსოფ-ლიოში არსად და არასდროს დემოკრატიული ამოცანები არ განხორციელებულა ე რ თ ნ ა ი რ ი ტიპის მოძრაობის გაუჩა-ღებლად, სავსებით ცხადია, რომ ლიბერალიზმის იდეური ბე-ლადები კავშირს წყვეტენ სწორედ დემოკრატიასთან.

რუსულ ინტელიგენციაში «ვეხი» აგინებს სწორედ იმას, რაც ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დემოკრატიული მოძრაობის ა უ ც ი-ლ ე ბ ე ლ თანამგზავრსა და გამოხატულებას წარმოადგენს. «ინტელიგენტური იდეების პოლიტიკური რადიკალიზმის შე-ერთება ხალხის ინსტინქტების * სოციალურ რადიკალიზმთან, გამარეტიანებელი სისწრაფით მოხდა» (141) — და ეს იყო «არა მხოლოდ პოლიტიკური შეცდომა, არა მხოლოდ ტაქტიკის შე-ცოდება. აქ იყო მორალური შეცდომა». იქ, სადაც გატანჯული ხალხის მასები არ არიან, არც დემოკრატიული მოძრაობა შეიძ-ლება იყოს. დემოკრატიული მოძრაობა კი უბრალო «ამბოხე-ბისაგან» სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის გარკვეული რა-დიკალური პოლიტიკური იდეების დროშით მიმდინარეობს. დემოკრატიული მოძრაობა და დემოკრატიული იდეები არათუ

* «გატანჯული ხალხის მასებისო» — ნათქვამია იმავე გვერდზე, ორიო-ოდე სტრიქონს ქვემოთ.

პოლიტიკურად მცდარი, არათუ ტაქტიკურად შეუფერებელი, არამედ მორალურადაც ცოდვით სავსეაო, — აი რაში მდგომარეობს «ვეხის» ჭეშმარიტი აზრი, რომელიც სრულიად არაფრით არ განსხვავდება პობედონოსცევის ჭეშმარიტი აზრებისაგან. პობედონოსცევი მხოლოდ უფრო პატიოსნად და უფრო პირდაპირ ამბობდა იმას, რასაც ამბობენ სტრუვეები, იზგოევები, ფრანკები და კომპანია.

როცა «ვეხი» იწყებს საძულველი «ინტელიგენტური» იდეების შინაარსის უფრო ზუსტად განსაზღვრას, ის, ბუნებრივია, ლაპარაკობს «მემარცხენე» იდეებზე საერთოდ, ნაროდნიკულ და მარქსისტულ იდეებზე — კერძოდ. ნაროდნიკებს ბრალად ედება «ყალბი სიყვარული გლეხობისადმი», მარქსისტებს — «პროლეტარიატისადმი» (9). ერთნიც და მეორენიც სავსებით გაცამტვერებულნი არიან «ხალხის თაყვანისმცემლობისათვის» (59, 59 — 60). საძულველი «ინტელიგენტის» «ღმერთი არის ხალხი, მისი ერთადერთი მიზანია უმრავლესობის ბედნიერება» (159). «ათეისტური მემარცხენე ბლოკის მქუხარე სიტყვები» (29), — აი რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად II სათათბიროში კადეტ ბულგაკოვს, აი რამ აღაშფოთა ის განსაკუთრებით. და ოდნავი ეჭვიც არ არის, რომ ბულგაკოვმა აქ სხვებზე რამდენადმე უფრო მკაფიოდ გამოხატა საერთო-კადეტური ფსიქოლოგია, გამოხატა მთელი კადეტური პარტიის იდუმალი ფიქრები.

ლიბერალისათვის ნაროდნიკობასა და მარქსიზმს შორის განსხვავება რომ ქრება, — ეს შემთხვევითი კი არა, გარდუვალია, ეს ლიტერატორის (რომელმაც მშვენივრად იცის ეს განსხვავება) «ფანდი» კი არა, ლიბერალიზმის თანამედროვე არსის კანონზომიერი გამოხატულებაა. რადგან ა ხ ლ ა ნ დ ე ლ დროში ლიბერალური ბურჟუაზიისათვის რუსეთში საზარელი და საძულველია არა იმდენად რუსეთის მუშათა კლასის სოციალისტური მოძრაობა, რამდენადაც როგორც მუშათა, ისე გლეხთა დემოკრატიული მოძრაობა, ე. ი. საზარელი და საძულველია ის, რაც ნაროდნიკობასა და მარქსიზმს საერთო აქვთ, — ეს არის მათ მიერ დემოკრატიის დაცვა მასებისადმი

მიმართვის გზით. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია ის, რომ ლიბერალიზმი რუსეთში გადაჭრით შეტრიალდა დემოკრატიის წინააღმდეგ; სავსებით ბუნებრივია, რომ მას არ აინტერესებს არც განსხვავებანი დემოკრატიის შიგნით, არც შემდგომი მიზნები, ვარაუდები და პერსპექტივები, რომლებიც განხორციელებული დემოკრატიის ნიადაგზე ისახება.

«ვეხი» სავსეა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა «ხალხის თაყვანისმცემლობა». ეს საკვირველი არ არის, რადგან ხალხით დამფრთხალ ლიბერალურ ბურჟუაზიას ისღა დარჩენია, რომ გაჰყვიროდეს დემოკრატების მიერ «ხალხის თაყვანისმცემლობაზე». არ შეიძლება უკანდახევა არ დაფარო განსაკუთრებით ხმამაღალი დაფის ცემით. მართლაცდა, არ შეიძლება აშკარად უარყო, რომ ორივე პირველი სათათბირო სწორედ მუშათა და გლეხთა დეპუტატების სახით გამოხატავდა მუშათა და გლეხთა მასების ნამდვილ ინტერესებს, მოთხოვნებსა და შეხედულებებს. ამავე დროს კი სწორედ ამ «ინტელიგენტმა» დეპუტატებმა* შთააგონეს კიდეც კადეტებს «მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ე ბ ი ს ა დ მ ი» უსაზღვრო ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი იმისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ააშკარავებდნენ კადეტების გაუთავებელ გადახვევებს დემოკრატიზმისაგან. მართლაცდა, არ შეიძლება აშკარად უარყო თუნდაც «ოთხფორმულიანი»[47] საარჩევნო სისტემა; ამავე დროს კი არც ერთი რამდენადმე პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწე არ დაეჭვებულა იმაში, რომ «ოთხფორმულიანი» საარჩევნო სისტემის მიხედვით ჩატარებული არჩევნები, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები თანამედროვე რუსეთში უდიდეს უმრავლესობას მისცემდა ტრუდოვიკ დეპუტატებს მუშათა პარტიის დეპუტატებთან ერთად.

---

* «ვეხის» მიერ სიტყვა «ინტელიგენტის» ჩვეულებრივი მნიშვნელობის დამახინჯება პირდაპირ სასაცილოა. საკმარისია გადაფურცლოთ ორივე პირველი სათათბიროს დეპუტატთა სიები და მაშინვე დაინახავთ, რომ ტრუდოვიკების უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხები, სოციალ-დემოკრატთა შორის ჭარბობდნენ მუშები და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მასა თავმოყრილი იყო კადეტებთან.

განდგომილ ლიბერალურ ბურჟუაზიას ისღა დარჩენია, რომ დემოკრატიასთან თავისი კავშირის გაწყვეტა დაფაროს «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს ა» და «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს»[48] ლექსიკონიდან ნასესხები სიტყვებით; ამ სიტყვებით პირდაპირ აჭრელებულია «ვეხის» მთელი კრებული.

«ვეხი» მთელი ნიაღვარია რეაქციული სიბინძურისა, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს. გასაგებია, რომ «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» პუბლიცისტებმა, როზანოვმა, მენშიკოვმა და ა. სტოლიპინმა საამბოროდ მიაშურეს «ვეხს». გასაგებია, რომ ანტონ ვოლინსკი აღტაცებული დარჩა ლიბერალიზმის ბელადების ამ ნაწარმოებით.

«როცა ინტელიგენტი, — წერს «ვეხი», — ფიქრობდა თავის მოვალეობაზე ხალხის წინაშე, მას არასდროს აზრად არ მოსვლია ის, რომ მოვალეობის საწყისში გამოხატული პირადი პასუხისმგებლობის იდეა მიმართული უნდა იყოს არა მარტო მისადმი, ინტელიგენტისადმი, არამედ ხალხისადმიც» (139). დემოკრატი ფიქრობდა ხალხის უფლებებისა და თავისუფლების გაფართოებაზე და ამ აზრს გამოხატავდა სიტყვებით მაღალი კლასების «მოვალეობაზე» ხალხის წინაშე. დემოკრატს არასდროს არ შეეძლო აზრად მოსვლოდა და არასდროს აზრად არ მოუვა ის, რომ რეფორმამდელ ქვეყანაში ან ისეთ ქვეყანაში, სადაც 3 ივნისის «კონსტიტუცია» არსებობს, შეიძლება ლაპარაკი ხალხის «პასუხისმგებლობაზე» მმართველი კლასების წინაშე. იმისათვის, რომ ეს «აზრი დაებადოს», დემოკრატი, ანუ თითქოს დემოკრატი, საბოლოოდ უნდა იქცეს კონტრრევოლუციონერ ლიბერალად.

«ეგოიზმი, თვითგანმტკიცება — დიდი ძალაა, — ვკითხულობთ «ვეხში», — სწორედ ის აქცევს დასავლეთის ბურჟუაზიას ამქვეყნიური საღვთო საქმის მძლავრ შეუგნებელ იარაღად» (95). ეს სხვა არაფერია, თუ არა ხატის ზეთით შეზავებული განმეორება ცნობილი ფრაზისა: «Enrichissez-vous! — გამდიდრდით!» ან ჩვენებური რუსული გამოთქმისა: «ჩვენ ძლიერთა იმედი გვაქვსო»[49]. როცა ბურჟუაზია ეხმარებოდა ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იგი ამ ბრძოლას საღ-

ვთო საქმედ აცხადებდა. როცა მას ხალხის შეეშინდა და პირი იბრუნა ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი წესების მხარდაჭერისაკენ ხალხის საწინააღმდეგოდ, — მან საღვთო საქმედ გამოაცხადა «ეგოიზმი», გამდიდრება, შოვინისტური საგარეო პოლიტიკა და სხვა. ეს იყო ევროპაში ყველგან. ეს მეორდება რუსეთშიც.

«17 ოქტომბრის აქტით რევოლუცია არსებითად და ფორმალურად უნდა დამთავრებულიყო» (136). აი სწორედ ეს არის ოქტიაბრიზმის, ე. ი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პროგრამის თავი და ბოლო. ოქტიაბრისტები ყოველთვის ამას გაიძახოდნენ და ამის შესაბამისად აშკარად მოქმედებდნენ. კადეტები ასევე მოქმედებდნენ ფ ა რ უ ლ ა დ (17 ოქტომბრიდან დაწყებული), მაგრამ ამასთანავე სურდათ თავი დემოკრატებად მოეჩვენებინათ. დემოკრატიის საქმის წარმატებისათვის დემოკრატებსა და რენეგატებს შორის სრული, მკაფიო, აშკარა გამიჯვნა ყველაზე სასარგებლო, ყველაზე აუცილებელი რამ არის. «ვეხი» უნდა გამოვიყენოთ ამ საჭირო საქმისათვის. «ბოლოს და ბოლოს, საჭიროა გამბედაობა ვიქონიოთ და ვაღიაროთ, — წერს რენეგატი იზგოევი, — რომ ჩვენს სახელმწიფო სათათბიროებში დეპუტატთა უდიდესმა უმრავლესობამ, გარდა სამი-ოთხი ათეული კადეტისა და ოქტიაბრისტისა, ვერ გამოიჩინა ის ცოდნა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის მართვა-გამგეობისა და გარდაქმნის დაწყება» (208). ჰო, რასაკვირველია, აბა სად შეუძლიათ გლეხთა დეპუტატ ტრუდოვიკებს ან ვიღაც მუშებს ხელი მოჰკიდონ ასეთ საქმეს. ამისათვის საჭიროა კადეტებისა და ოქტიაბრისტების უმრავლესობა, ასეთი უმრავლესობისათვის კი საჭიროა III სათათბირო...

ხოლო იმისათვის, რომ ხალხსა და ხალხის თაყვანისმცემელთ შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი «პასუხისმგებლობა» საქმეების გამგებელთა წინაშე III სათათბიროში და ამ მესამე სათათბიროს რუსეთში, ამისათვის საჭიროა ხალხს ვუქადაგოთ — ანტონ ვოლინსკისთან ერთად — «მონანიება» («ვეხი», 26), «მორჩილება» (49), «ინტელიგენტის ქედმაღლობასთან»

ბრძოლა (52), «დამჯერობა» (55), «მოსეს ძველი ათი მცნების უბრალო, უხეში საზრდო» (51), «რუსეთის გიგანტურ სხეულში შეჭრილ ეშმაკთა ლეგიონის» წინააღმდეგ ბრძოლა (68). თუ გლეხები ირჩევენ ტრუდოვიკებს, მუშები კი — სოციალ-დემოკრატებს, ეს, რასაკვირველია, სწორედ ამგვარი ეშმაკისეული ცთუნებაა, რადგან, კაცმა რომ თქვას, თავისი ბუნებით, როგორც უკვე დიდი ხანია აღმოაჩინეს კატკოვმა და პობედონოსცევმა, ხალხი გრძნობს «სიძულვილს ინტელიგენციისადმი» (87; წაიკითხე: დემოკრატიისადმი).

ამიტომ რუსეთის მოქალაქეები, — გვასწავლის «ვეხი», — უნდა «ლოცავდნენ ამ ხელისუფლებას, ერთადერთ ძალას, რომელიც თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით ჯერ კიდევ გვიცავს ჩვენ («ინტელიგენტებს») ხალხის გააფთრებისაგან» (88).

ეს ტირადა კარგია იმით, რომ გულახდილია, — სასარგებლოა იმით, რომ ააშკარავებს სიმართლეს მთელი კადეტური პარტიის პოლიტიკის ნამდვილი არსის შესახებ 1905 — 1909 წლების მთელი ხნის განმავლობაში. ეს ტირადა კარგია იმით, რომ მოკლედ და ნათლად ააშკარავებს «ვეხის» მთელ სულისკვეთებას. «ვეხი» კი კარგია იმით, რომ ააშკარავებს რუსი ლიბერალებისა და მათ შორის რუსი კადეტების ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოლიტიკის მთელ სულისკვეთებას. აი ამიტომ კადეტური პოლემიკა «ვეხთან», კადეტური განდგომა «ვეხისაგან» — სულ ერთიანად თვალთმაქცობაა, მხოლოდ დაუსრულებელი ფუჭსიტყვაობაა. რადგან საქმით კადეტები, როგორც კოლექტივი, როგორც პარტია. როგორც საზოგადოებრივი ძალა, ს წ ო რ ე დ «ვეხის» პოლიტიკას ეწეოდნენ და ეწევიან. ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ მოწოდება 1905 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, დემოკრატიის საქმისადმი ღალატი იმავე წლის დამლევს, ხალხისა და სახალხო მოძრაობის სისტემატური შიში და მუშათა და გლეხთა დეპუტატების წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა ორივე პირველ სათათბიროში, ბიუჯეტისთვის ხმის მიცემა, კარაულოვის სიტყვები რელიგიაზე და ბერეზოვსკისა აგრარულ საკითხზე III სათათბიროში,

ლონდონს გამგზავრება, — ყოველივე ეს სწორედ იმ, სწორედ ი ს ე თ ი პოლიტიკის უამრავი ნ ი შ ა ნ ს ვ ე ტ ი ა, რომელიც იდეურად გამოცხადებულია «ვეხში».

რუსეთის დემოკრატიას არ შეუძლია არც ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ, ვიდრე ის ამ პოლიტიკის დედაარსს არ შეიგნებს, მის კლასობრივ ფესვებს არ გაიგებს.

«ნოვი დენ» № 15,
1909 წ. 13 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ნოვი დენის»
ტექსტის მიხედვით

რუსული ლიბერალიზმის უკანასკნელი სიტყვა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ რევოლუციის გაკვეთილების ძირითადი შედეგები შეაჯამა ლონდონის რეზოლუციაში არაპროლეტარული პარტიების შესახებ [50]. სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა ამ რეზოლუციაში ზუსტად და ნათლად გამოხატა რევოლუციაში კლასთა ურთიერთდამოკიდებულების შეფასება, განსაზღვრა ყველა მთავარი პარტიის სოციალური საფუძველი და მუშათა მოძრაობის საერთო ამოცანები დემოკრატიისათვის ბრძოლაში. 1908 წლის დეკემბრის პარტიული კონფერენციის რეზოლუციამ შემდგომ განავითარა სოციალ-დემოკრატიის ეს ძირითადი შეხედულებანი.

ახლა, ამ კონფერენციის ერთი წლის შემდეგ, ლონდონის ყრილობის 2½ წლის შემდეგ, მეტად საგულისხმოა ვნახოთ, თანამედროვე მდგომარეობასა და დემოკრატიის ამოცანებზე რა შეხედულებებამდე მიდიან რუსული ლიბერალიზმის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენლები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კადეტური პარტიის მოღვაწეთა იმას წინათ ჩატარებული «თათბირი». «თათბირმა» მოიწონა მოხსენება პარტიის ბელადის ბ-ნ მილიუკოვისა, რომელმაც ის ახლა «რ ე ჩ შ ი» დაბეჭდა სათაურით: «პოლიტიკური პარტიები ჩვენს ქვეყანაში და სათათბიროში». ეს მოხსენება მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. მისი სახით ამიერიდან ჩვენ გვაქვს კადეტური პარტიის ოფიციალური პლატფორმა. ხოლო ამას გარდა ჩვენ აქ გვაქვს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დიდი ხანია

დააყენა და გადაწყვიტა, — პასუხი, რომელსაც იძლევა ლიბერალიზმის ერთ-ერთი უაღრესად დახელოვნებული დიპლომატი და პოლიტიკანი, ხოლო იმავე დროს ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე ისტორიკოსიც, რომელსაც ზოგი რამ უსწავლია ისტორიული მატერიალიზმისაგან, რომლის აშკარა გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა ეს ისტორიკოსი... როცა იგი ისტორიკოსი იყო.

ისტორიკოსი მილიუკოვი ცდილობს საკითხი სავსებით შეცნიერულად, ე. ი. მატერიალისტურად დააყენოს. პარტიული ტაქტიკის «მტკიცე საყრდენი წერტილების» მისაღებად აუცილებლად საჭიროა «იმის ერთნაირი გაგება, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება». ხოლო ამის გასაგებად აუცილებელია ვნახოთ, თუ როგორ ცდილობენ მთავარი პოლიტიკური პარტიები ან «პოლიტიკური მიმდინარეობანი» «თავიანთი დასაყრდენი ჰპოვონ» «მოსახლეობის ფართო წრეებში».

ჩინებული მეთოდია. მისი გამოყენება ერთბაშად გვიჩვენებს მცოდნე ისტორიკოსის გადაქცევას ჩვეულებრივ ლიბერალურ სიკოფანტად: კადეტები და ყოველივე ის, რაც მათზე უფრო მარჯვნივ არის, ეს, თურმე, «სამი მთავარი პოლიტიკური მიმდინარეობაა», ხოლო ყოველივე ის, რაც კადეტებზე «მარცხნივ» არის, ეს — «პოლიტიკური შფოთიანობაა». გმადლობთ გულახდილობისათვის, ბ-ნო ლიბერალო! მაგრამ მაინც ვნახოთ, რას გვეტყვით, როგორც ისტორიკოსი. სამი მთავარი მიმდინარეობაა: პირველი — «დემაგოგიური მონარქიზმი». მისი «დანიშნულებაა» «ყოფაცხოვრების ძველი სოციალური საფუძვლების დაცვა», «შეუზღუდველი თვითმპყრობელობის შეერთება»... (ლიბერალი, კონსტიტუციური დემოკრატი, თავისდა შეუმჩნევლად გადადის შეზღუდული თვითმპყრობელობის დამცველი ოქტიაბრისტის თვალსაზრისზე)... «გლეხობასთან იმ პატრიარქალური ურთიერთობის ნიადაგზე, რომლის დროსაც თავადაზნაურობა ბუნებრივი შუამავალია ერთსა და მეორეს შორის»... ლიბერალური ენიდან ჩვენებურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ეს ნიშნავს მებატონე («პატრიარქალობა») მემამულეებისა და შავრაზმული ცარიზმის ბატონობას. ბ-ნი მი-

ლიუკოვი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს ცარიზმი «დემაგოგიური» ხდება, რომ ის «ხელს იღებს ძველ ხელოვნურ უპარტიობაზე ანუ ზეპარტიულობაზე და აქტიურად ერევა ჩვენს ქვეყანაში პარტიების ორგანიზაციის პროცესში». სწორედ ამაში მდგომარეობს, სხვათა შორის, თვითმპყრობელობის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე გადადგმული ის ნაბიჯი, რომელზედაც ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატების 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუცია. სწორედ ამაში მდგომარეობს ის ახალი, რაც შეადგენს თანამედროვე მომენტის სპეციფიკურ თავისებურებას და რაც გაითვალისწინა ჩვენმა პარტიამ თავისი ტაქტიკური ამოცანების თანამედროვე დაყენების დროს. აღნიშნავს რა მართებულად პროცესის ზოგიერთ ნიშანს, ბ-ნ მილიუკოვს, ჯერ-ერთი, ბოლომდე ვერ გაუაზრებია მისი ეკონომიური საფუძვლები, ხოლო, მეორეც, ეშინია გამოიყვანოს გარდუვალი დასკვნა მებატონე-მემამულეთა ძალის მიზეზების შესახებ. ეს ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპულ რუსეთში, 1905 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 10 მილიონ უღარიბეს გლეხს აქვს 75 მილიონი დესეტინა მიწა, ხოლო 30 000 უდიდეს მემამულეს (მათ შორის საუფლისწულო მამულებს, ე. ი. ნიკოლოზ რომანოვის ოჯახს) აქვს 70 მილიონი დესეტინა მიწა. შეიძლება თუ არა რუსეთი განთავისუფლდეს «პატრიარქალური» ურთიერთობისაგან ზედა ფენის ოცდაათი ათასი წარმომადგენლის ამ ბატონყმური ლატიფუნდიების სრული მოსპობის გარეშე, როგორ ფიქრობთ, ბ-ნო ისტორიკოსო?

მეორე მიმდინარეობაა «ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმი». ასე უწოდებს ბ-ნი მილიუკოვი ოქტიაბრისტებს. «მსხვილი ბურჟუაზიისათვის, — წერს იგი, — ეს მიმდინარეობა, იქნებ, მეტად კონსერვატიული იყოს თავისი მჭიდრო კავშირის გამო ბიუროკრატიასა და თავადაზნაურობასთან». მათ აერთიანებს «უარყოფითი ამოცანა: საერთო თავდაცვა უფრო რადიკალურ სოციალურ ან პოლიტიკურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ». «3 ივნისისა და 9 ნოემბრის ბურჟუაზიული კონს-

ტიტუციონალისტები», თავის დასაყრდენს რომ ეძებენ, ცდილობენ «თავისი მსგავსი გახადონ გლეხთა მასის ზედა ფენა მაინც» (ბ-ნ სტოლიპინის «ღონიერი და წელმაგარი» გლეხები). «მაგრამ ამგვარი სოციალური ბაზისი ჯერ კიდევ სავსებით მომავლის საქმეა». «აი რატომ არის, რომ სოციალური ბაზისის ძიებაში ეს მიმდინარეობა, შესაძლოა, ყველაზე სუსტად იყოს უზრუნველყოფილი»!!..

ჩვენში უყვართ — სამწუხაროდ, იმ ადამიანთა შორისაც კი, რომელთაც სურთ სოციალ-დემოკრატები იყვნენ, — «რევოლუციური ილუზიების» გინება. მაგრამ განა შეიძლება იყოს იმ ლიბერალურ ილუზიაზე უფრო გულუბრყვილო რამ, თითქოს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა («საერთო თავდაცვა») და მემამულეების სოციალური ბაზისი «სუსტია», თითქოს მათი დამარცხება შეიძლებოდეს სხვა გზით, თუ არა მასების უაღრესად გადამწყვეტი და ულმობელი რევოლუციური შეტევით, მასების აჯანყებით? სერიოზული ისტორიკოსი კვლავ ადგილს უთმობს ჩვეულებრივ ლიბერალს.

მესამე მიმდინარეობაა კადეტები. ბ-ნი მილიუკოვი მას «დემოკრატიულ კონსტიტუციონალიზმს» უწოდებს და განმარტავს, რომ «ამ პოზიციის დედაარსია რადიკალური პოლიტიკური და რადიკალური სოციალური პროგრამის შეერთება». ისტორიკოსი სავსებით გაქრა დიპლომატ-პოლიტიკანის წინაშე. საქმით — კადეტების მთელი პოლიტიკა მიმართულია მასების რადიკალიზმის წინააღმდეგ. სიტყვით — განსაკუთრებით «თათბირზე», სადაც არიან პროვინციელი კადეტები, რომლებიც რამდენადმე უფრო ახლოს გრძნობენ მასების სულიერ განწყობილებას, — ჩვენ რადიკალურნი ვართ, ჩვენ ვზრუნავთ დემოკრატიზმისა და მასებისათვის.

ბ-ნი მილიუკოვი (განსაკუთრებით «თათბირის» შთაბეჭდილებით, როგორც ჩანს) არ ცდება მასების შესახებ. მას უდავოდ მიაჩნია, რომ «შეგნებულობის ზრდა უკანასკნელ წლებში უდიდესია», რომ «მასობრივი უკმაყოფილების მიზეზები არ გამქრალა; შესაძლოა, მათი რიცხვი კიდევაც გადიდდა და მათი მოქმედება გაძლიერდა იმდენადვე, რამდენადაც გაიზარდა შეგ-

ნებულობა». მაგრამ თუ ისტორიკოსი იძულებულია ეს აღიაროს, ლიბერალი მაინც იმარჯვებს: «მასებში, საუბედუროდ, შესაძლებელი აღმოჩნდა» (რევოლუციის დროს) «მხოლოდ უფრო გაბედული ფარული დემაგოგია, რომელიც ეგუებოდა მასის ტრადიციულ შეხედულებებსა და ჩვეულ მოლოდინს. ეს დემაგოგია მასის გასაგებ და კანონიერ ლოზუნგს — «მიწა» — წმინდა ხელოვნური გზით აკავშირებდა გაუგებარ და არასწორად განმარტებულ ლოზუნგთან — «თავისუფლება». ასეთ პირობებში ხალხის შეგნების მიერ ორი ლოზუნგის ბუნებრივი კავშირის შეთვისებაც კი მხოლოდ ახალ გაუგებრობათა წყაროს წარმოადგენდა და ამრავლებდა იმავე ილუზიებს» და სხვ. და სხვ. თვით «პრინციპამდე»: არც რევოლუცია და არც რეაქცია, არამედ «ლეგალური კონსტიტუციური ბრძოლა». კითხვაზე «1905 წლის ძველი ტაქტიკისაკენ» დაბრუნების შესახებ «საჭიროა კატეგორიულად და მკვეთრად გავცეთ უარყოფითი პასუხი».

მკითხველი ხედავს, რომ ისტორიკოს მილიუკოვის მთელი კეთილი განზრახვა — პარტიების ტაქტიკისათვის დასაყრდენი ეძიოს მოსახლეობის ფართო ფენებში, გაქარწყლდა, როგორც კი საქმე მიდგა გლეხობასა და პროლეტარიატზე. უკანასკნელის შესახებ ბ-ნი მილიუკოვი ხელის ჩაქნევით აღიარებს, რომ «ქალაქის დემოკრატიაში კადეტებს უფრო ფართო, უფრო ორგანიზებული და შეგნებული სოციალური ბაზისი მოეპოვებათ, ვიდრე შეიძლება მას წარმოადგენდეს რომელიმე პოლიტიკური პარტია, გარდა სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მუშათა კლასს ეყრდნობა». გლეხების მიმართ კი ბ-ნი მილიუკოვი იმედს არ კარგავს. «მიუხედავად ისეთი დაბრკოლებების არსებობისა», როგორიცაა «დემაგოგია» და სხვა, — წერს იგი, — «გამორიცხული არ არის შესაძლებლობა დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის პარალელური» (ხაზგასმა მილიუკოვისაა) «მოღვაწეობისა ხალხის მასების სურვილების უშუალო გამოხატულებებით».

პარალელური მოღვაწეობა! — აი ახალი სიტყვა ძველი ლიბერალური ტაქტიკისათვის. პარალელური ხაზები არასოდეს ერთმანეთს არ ხვდება. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ლიბერალიზმი მიხვდა, რომ ის ვერასოდეს ვერ შეხვდება მასებს, ე. ი. ვერ გახდება მათი გამომხატველი და ბელადი რუსეთში, — «ვერასოდეს», 1905 წლის შემდეგ გაზრდილი შეგნებულობის გამო. მაგრამ კადეტების ტიპის ლიბერალებს კვლავ იმედი აქვთ მასებისა, როგორც თავიანთი წარმატებების, თავიანთი ბატონობის კვარცხლბეკისა. «პარალელურად სიარული», უბრალოდ და ნათლად თუ ვიტყვით, იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ ექსპლოატაციას უწევდე მასებს, დემოკრატიზმის შესახებ წარმოთქმული სიტყვებით მათ იზიდავდე, საქმით კი მათ ღალატობდე. «სისტემატურად მხარი დავუჭიროთ მათ (ოქტიაბრისტებს) კონსტიტუციურ საკითხებში» — ბ-ნ მილიუკოვის მოხსენების ეს სიტყვები გამოხატავენ კადეტების პოლიტიკის დედაარსს. საქმით კადეტები ოქტიაბრიზმის ხელშემწყობნი არიან, ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ფრთას წარმოადგენენ. სტრუვე და სხვა ვეხელები ამას აშკარად, უხეშად და პირდაპირ აღიარებენ და მოითხოვენ, რომ კადეტებმა თავი დაანებონ «თვალების ღრეცას მარცხნივ და პირფერობას მათი მოძულე რევოლუციონერების წინაშე» (ცნობილ რენეგატ ბ-ნ იზგოევის სიტყვები «მოსკოვსკი ეჟენედელნიკში» [51], 1909, № 46, გვ. 10). მილიუკოვი და კომპანია უკმაყოფილოა ვეხელების მხოლოდ სიტლანქითა და პირდაპირობით, მხოლოდ იმით, რომ ვეხელები აფუჭებენ მათ დიპლომატიას, ხელს უშლიან მათ მასის ჩამორჩენილი ელემენტების მოტყუებაში. მილიუკოვი პრაქტიკული პოლიტიკოსია, სტრუვე ლიბერალიზმის დოქტრინიორია, მაგრამ ერთ პარტიაში მათი მშვიდობიანი თანაცხოვრება შემთხვევითობა კი არა, აუცილებელი მოვლენაა, რადგან ბურჟუაზიული ინტელიგენტი არსებითად მერყეობს მასებისადმი (რომლებიც ნარის გლეჯაში დაგვეხმარებიანო) იმედსა და ოქტიაბრისტული ბურჟუაზიისადმი იმედს შორის.

«სწორედ ის გარემოება, რომ თანამედროვე ხელისუფლებისათვის შეუძლებელია დაუშვას თავისუფალი ურთიერთობა დემოკრატიის პოლიტიკურად შეგნებულ ელემენტებსა და დემოკრატიულ მასას შორის, განუხორციელებელს ხდის 17 ოქტომბრის მანიფესტის მთავარ დაპირებებს», — წერს ბ-ნი მილიუკოვი. უცაბედად მან აქ უფრო დიდი სიმართლე თქვა, ვიდრე უნდოდა. რადგან, ჯერ-ერთი, თუ მართალია ის, რომ თანამედროვე ხელისუფლებისათვის შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა დაუშვას მასების ურთიერთობა დემოკრატებთან (ეს კი უეჭველი სიმართლეა), აქედან გამომდინარეობს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ტაქტიკის და არა «კონსტიტუციური» ბრძოლის აუცილებლობა, იმის აუცილებლობა, რომ ხალხი მიგვყავდეს ამ ხელისუფლების დ ა ს ა მ ხ ო ბ ა დ და არა რეფორმების გზით მის გარდასაქმნელად. ხოლო, მეორეც, 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერმაც, I სათათბირომაც და II სათათბირომაც ც ხ ა დ ყ ო, რომ არა მარტო «თანამედროვე ხელისუფლებისათვის», არამედ რ უ ს უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს თ ვ ი ს ა ც, რ უ ს ი კ ა დ ე ტ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ც «შეუძლებელია დაუშვან თავისუფალი ურთიერთობა» «დემოკრატიულ მასასა» და სოციალ-დემოკრატებს, და თუნდაც ყველა ელფერის ნაროდნიკებს შორისაც კი. კადეტებს არ შეეძლოთ ხელმძღვანელობა გაეწიათ არათუ მუშათა, არამედ გლეხთა დემოკრატიისთვისაც 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თავისუფლებათა დროს, და იმ სათათბიროების დროსაც კი, რომლებსაც გორემიკინები და სტოლიპინები იცავდნენ, დემოკრატია არ ურიგდებოდა კადეტების მეთაურობას.

1909 წლის დამლევის კადეტური «თათბირისა» და ბ-ნ მილიუკოვის მოხსენების პოლიტიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალიზმის განათლებულმა წარმომადგენლებმა, რომლებიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უბოროტესი მტრები არიან, ჩინებულად დაადასტურეს სოციალ-დემოკრატიის მიერ მომენტის გათვალისწინებისა და მისი ტაქტიკის სისწორე. ყველაფერი, რაც მოხსენებაში საგულისხმო და მართებულია, ეს არის მხოლოდ ბრტყელ-ბრტყე-

ლი ლაპარაკი და გადაღეჭვა ჩვენი ძირითადი თეზისისა ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე თვითმპყრობელობის ნაბიჯის, როგორც ახლანდელი მომენტის მთავარი განმასხვავებელი ნიშნის, შესახებ. სწორედ ამაშია მისი განსხვავება გუშინდელისა და ხვალინდელისაგან. ამაშია სოციალ-დემოკრატიის თავისებური ტაქტიკის საფუძველი, ტაქტიკისა, რომელმ ც რევოლუციური მარქსიზმის პრინციპები უნდა გ ა მ ო ი ყ ე ნ ო ს შეცვლილი სიტუაციის მიმართ და არა მხოლოდ უბრალოდ გ ა ი მ ე ო რ ო ს ესა თუ ის ლოზუნგები.

ლიბერალებმა აღიარეს მსხვილი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობა, აღიარეს მასების შეგნებულობისა და უკმაყოფილების ზრდა. მაშ რატომ გადაჭრით არ გადადიან ისინი მსხვილი ბურჟუაზიის სამსახურში, თუ კი ისინი გმობენ რევოლუციას, 1905 წელს, «მიწისა და თავისუფლების» «დემაგოგიას», თუ კი ისინი აღიარებენ, რომ ოქტიაბრიზმი მეტისმეტად კონსერვატიულია მსხვილი ბურჟუაზიისათვის? იმიტომ, რომ პროვინციელთა «თათბირმა» მათ განსაკუთრებით ნათლად დაანახა თვითმპყრობელობის ახალი, სტოლიპინური, ბურჟუაზიული პოლიტიკის წ ა რ უ მ ა ტ ე ბ ლ ო ბ ა. ახალი სოციალური ბაზისი მონარქიისათვის «ჯ ე რ კ ი დ ე ვ ს ა ვ ს ე ბ ი თ მ ო მ ა ვ ლ ი ს ს ა ქ მ ე ა», — აი ლიბერალიზმის ყველაზე უფრო საგულისხმო აღიარება. მოწესრიგებული ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმი, მონარქიის მეთაურობით, ჩინებული რამ არის, მაგრამ ი ს ა რ გ ა მ ო დ ი ს, ი ს ა რ გ ა მ ო ვ ა, თ უ ა რ ი ქ ნ ა მ ა ს ე ბ ი ს ა ხ ა ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა, — აი კადეტების «თათბირის» შ ე დ ე გ ი. ჩვენ გვძულს მასების მოძრაობა, გვძულს «მიწისა და თავისუფლების» «დემაგოგია», გვძულს «პოლიტიკური შფოთიანობა», მაგრამ ჩვენ რეალური პოლიტიკოსები ვართ, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ფაქტებს, უნდა წარვმართოთ ჩვენი პოლიტიკა ისე, რომ ვიაროთ მასების მოძრაობის პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ, რაკი ის გარდუვალია. გლეხებისა და ქალაქის (გარდა მუშათა) მასებისადმი ხელმძღვანელობისათვის წარმატებითი ბრძოლის «შესაძლებლობა გამორიცხული არ არის»: შევეცადოთ ჩვენი

«რადიკალიზმის» შესახებ წარმოთქმული სიტყვებით უზრუნველვყოთ ჩვენთვის მცირე ადგილი სახალხო მოძრაობაში, როგორც მისი უდიდებულესობის ოპოზიციის შესახებ წარმოთქმული სიტყვებით უზრუნველვყავით ჩვენთვის მცირე ადგილი ლონდონშიო.

კადეტების თათბირმა ისე, რომ თვითონაც ვერ შეატყო, ჩინებულად დაადასტურა ჩვენი პარტიის ტაქტიკა. ჩვენ უნდა გადავიტანოთ ახალი ისტორიული მომენტი, როცა თვითმპყრობელობა ა ხ ლ ე ბ უ რ ა დ ცდილობს თავი გადაირჩინოს და როცა ის აშკარად კ ვ ლ ა ვ მიდის კრახისაკენ ამ ახალი გზით. ჩვენ უნდა გადავიტანოთ ეს მომენტი, რისთვისაც სისტემატურად, შეუპოვრად და მოთმინებით უნდა ვიმუშაოთ სოციალისტური პროლეტარიატისა და დემოკრატიული გლეხობის უფრო შეგნებული მასების უფრო ფართოდ და მტკიცედ შეკავშირებისათვის. ჩვენ პარტიული მოღვაწეობის ყველა პირობა და შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ ისეთ ხანაში, როცა შავი სათათბიროც და მონარქიაც იძულებული არიან პარტიულობის გზას დაადგნენ. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს ხანა, როგორც ჩვენი ძველი მოთხოვნების განსახორციელებლად უფრო გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისათვის ახალი მასების, ახალ ნიადაგზე, ახალ პირობებში მომზადების ეპოქა. რევოლუციამ და კონტრრევოლუციამ საქმით ცხადყვეს, რომ ყოვლად შეუძლებელია მონარქიის შეთავსება დემოკრატიასთან, ხალხის ბატონობასთან, ხალხის თავისუფლებასთან, — ჩვენ უნდა ვეწეოდეთ მასებში მონარქიის მოსპობის პროპაგანდას, რესპუბლიკანიზმის, როგორც ხალხის გამარჯვების პ ი რ ო ბ ი ს, პროპაგანდას, — ჩვენ უნდა ვაქციოთ ლოზუნგი: «ძირს მონარქია» ისეთსავე პოპულარულ «ხალხურ თქმულებად», როგორადაც იქცა ხანგრძლივი შეუპოვარი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის შემდეგ 1895 — 1904 წლებში ლოზუნგი: «ძირს თვითმპყრობელობა». რევოლუციამ და კონტრრევოლუციამ საქმით ცხადყვეს მემამულეთა კლასის მთელი ძალა და მთელი მნიშვნელობა, — ჩვენ უნდა ვეწეოდეთ გლეხობის მასებში ამ კლასის სრული მოსპობის, მემამულური

მიწათმფლობელობის სრული დანგრევის პროპაგანდას. რევოლუციამ და კონტრრევოლუციამ საქმით ცხადყვეს ლიბერალებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბუნება, — ჩვენ უნდა შეგვქონდეს გლეხობის მასებში იმის ნათელი გაგება, რომ ლიბერალების ხელმძღვანელობა გლეხთა საქმის დაღუპვაა, რომ მასების დამოუკიდებელი რევოლუციური ბრძოლის გაუჩაღებლად ისინი გარდუვალად დარჩებიან, ყოველგვარი კადეტური «რეფორმების» დროს დარჩებიან მემამულის მონობაში. რევოლუციამ და კონტრრევოლუციამ ცხადყვეს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის კავშირი, რუსეთისა და საერთაშორისო ბურჟუაზიის კავშირი, — ჩვენ უნდა აღვზარდოთ, შევამჭიდროოთ და დავრაზმოთ 1905 წელთან შედარებით სამჯერ მეტი მასა პროლეტარიატისა, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით და მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატთან ხელიხელჩაკიდებით მიმავალს, შეუძლია მოიპოვოს რუსეთისათვის თავისუფლება.

«სოციალ-დემოკრატ» № 10,
1909 წ. 24 დეკემბერი
(1910 წ. 6 იანვარი)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია

7 ნოემბერს ახალი სტილით ბრიუსელში შედგა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სხდომა. ბიუროს სხდომას, უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ, წინ უსწრებდა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტ ჟურნალისტთა კონფერენცია. კონფერენციაზე განხილულ იქნა ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი, რომლებიც შეეხებოდა უფრო რეგულარული ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა ქვეყნის ყოველდღიურ სოციალისტურ გაზეთებს შორის.

რაც შეეხება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომას, წვრილმან მიმდინარე საქმეებს გარდა, დღის წესრიგში იდგა ორი დიდი საკითხი: პირველი, კოპენჰაგენის 1910 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ და, მეორე, ჰოლანდიის პარტიაში მომხდარი გათიშვის შესახებ.

პირველი საკითხის გამო უწინარეს ყოვლისა დანიშნულ იქნა კონგრესის ვადა, სახელდობრ: 28 აგვისტო — 3 სექტემბერი ახალი სტილით. ყრილობის ადგილის გამო აღიძრა საკითხი, შეუძლიათ თუ არა რუსეთის სოციალისტებს თავისუფლად ჩავიდნენ კოპენჰაგენშიო. დანიის სოციალისტების წარმომადგენელმა კნუდსენმა უპასუხა, ჩვენი ცნობებით და ყველა იმ მონაცემით, რომლებიც დანიის მთავრობის განზრახვების შესახებ მოგვეპოვება, რუსეთის დელეგატებს ყრილობაზე პოლიცია არ შეაწუხებსო. თუ კი თვით ყრილობის წინ საწინააღმდეგო რამ გამოირკვეოდა, საერთაშორისო სოციალის-

ტური ბიურო, უეჭველია, იზრუნებდა კონგრესის ადგილის შესაცვლელად.

დასახულია კოპენჰაგენის ყრილობის ასეთი დღის წესრიგი: 1) კოოპერაციული მოძრაობა; 2) დიდი გაფიცვებისადმი დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია; 3) უმუშევრობა; 4) განიარაღება და საერთაშორისო კონფლიქტების სამედიატორო გარჩევა; 5) სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კანონმდებლობის შედეგები და მისი საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხი, განსაკუთრებით, რვასაათიანი სამუშაო დღის საკითხი; 6) საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან ნაციონალური პარტიების კავშირურთიერთობის გაუმჯობესება; 7) სიკვდილით დასჯის გაუქმება.

თავდაპირველად განზრახული იყო დღის წესრიგში დასმულიყო აგრარული საკითხი. ვალიანმა და მოლკენბურმა საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს და აღნიშნეს, საერთაშორისო ყრილობაზე ასეთი საკითხის განხილვა ნაციონალური პარტიების ყრილობებზე წინასწარ უფრო დაწვრილებით მის მოუმზადებლად საძნელოდ მიგვაჩნიაო. სურვილი გამოითქვა, რომ ნაციონალური პარტიების ყრილობებმა სპეციალურად განიხილონ ეს საკითხი, იმგვარად, რომ ის მომზადდეს 1913 წლის საერთაშორისო ყრილობისათვის.

მას შემდეგ, რაც მიიღო თანაგრძნობის რეზოლუციები შვეიცის მუშებისადმი, რომლებმაც უკანასკნელი დროის ერთ-ერთი უდიდესი საყოველთაო გაფიცვა მოაწყეს, და ესპანეთის მუშებისადმი, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ მათი მთავრობის სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ, აგრეთვე საპროტესტო რეზოლუციები რუსეთში ცარიზმის, ესპანეთის, რუმინეთისა და მექსიკის მთავრობების მხეცობათა და მკვლელობათა წინააღმდეგ, საერთაშორისო სოციალისტური ბიურო გადავიდა თავისი შემდგომი დღის წესრიგის მთავარ საკითხზე — ჰოლანდიაში მომხდარი გათიშვის საკითხზე.

ჰოლანდიაში უკვე დიდი ხანია წარმოებს სოციალისტური პარტიის ოპორტუნისტებისა და მარქსისტების ბრძოლა. აგრარულ საკითხში ოპორტუნისტები ემხრობოდნენ პროგრამის ი

მუხლს, რომელიც მოითხოვს მიწის მიცემას სოფლის მუშებისათვის. მარქსისტები ენერგიულად იბრძოდნენ ამ მუხლის წინააღმდეგ (რომელსაც იცავდა ოპორტუნისტების მეთაური ტრულსტრა) და მიაღწიეს მის გაუქმებას 1905 წელს. შემდეგ, ოპორტუნისტები, რომლებიც ჰოლანდიის მუშათა რელიგიურად განწყობილ ნაწილს შეეგუენ, იქამდე მივიდნენ, რომ იცავდნენ სახელმწიფო სახსრების გაცემას სკოლებში რელიგიის სწავლების სუბსიდიისათვის. მარქსისტები მედგრად იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. ოპორტუნისტები, ტრულსტრას მეთაურობით, პარტიას პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას უპირისპირებდნენ და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ოპორტუნისტები ეწეოდნენ ლიბერალებთან დაახლოებისა და მათთვის სოციალისტების მხარდაჭერის პოლიტიკას (რასაკვირველია, ამას «ამართლებდნენ» იმ სოციალური რეფორმების მიღწევის მიზნით, რომლებიც ლიბერალებმა აღუთქვეს და... არ ატარებდნენ). ოპორტუნისტებმა გადასინჯეს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი, მარქსისტული, პროგრამა და წამოაყენეს, სხვათა შორის, ამ გადასინჯვის ისეთი თეზისები, როგორიც არის «კატასტროფის თეორიის» უარყოფა (ბერნშტეინის ცნობილი იდეაა), ანდა იმის სურვილი, რომ პროგრამის აღიარება პარტიის წევრებს მოვალეობას აკისრებდეს ცნონ პოლიტიკურ-ეკონომიური, «მ ა გ რ ა მ ა რ ა ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი შ ე ხ ე დ ულ ებ ა ნ ი მ ა რ ქ ს ი ს ა». მარქსისტების ბრძოლა ასეთი ხაზის წინააღმდეგ სულ უფრო მწვავდებოდა. პარტიის ცენტრალურ ორგანოდან განდევნილმა მარქსისტებმა (მათ შორის ცნობილმა მწერალმა ქალმა როლანდ-ჰოლსტმა, შემდეგ ჰორტერმა, პანეკუკმა და სხვ.) დააარსეს თავიანთი გაზეთი «ტრიბუნა». ტრულსტრა, განურჩევლად საშუალებებისა, სდევნიდა ამ გაზეთს, ბრალად სდებდა მარქსისტებს, თითქოს მათ უნდოდათ პირადად მისი «გამოპანღურება», ჰოლანდიის მუშათა მეშჩანურად განწყობილ ნაწილს ამხედრებდა «მოჩხუბართა», პოლემიკის მოყვარულთა, მშვიდობის დამრღვევთა — მარქსისტთა წინააღმდეგ. საქმე

ამით გათავდა, რომ პარტიის საგანგებო ყრილობამ დეევენტში (1909 წ. 13 — 14 თებერვალი), რომელზედაც უმრავლესობას ტრულსტრას მომხრენი შეადგენდნენ, დაადგინა «ტ რ ი ბ უ ნ ა» დ ა ე ხ უ რ ა თ და მის ნაცვლად პარტიის ოპორტუნისტულ ცენტრალურ ორგანოსთან დაეარსებინათ «დამატება»! გასაგებია, რომ «ტრიბუნის» რედაქტორები ამას არ დაეთანხმნენ (გარდა როლანდ-ჰოლსტისა, რომელმაც, სამწუხაროდ, უიმედო შემარიგებლური პოზიცია დაიკავა) და პ ა რ ტ ი ი დ ა ნ გ ა რ ი ც ხ უ ლ ი ქ ნ ე ნ.

მოხდა გათიშვა. ძველმა, ოპორტუნისტულმა პარტიამ, ტრულსტრასა და ვან-კოლის (რომელმაც «სახელი გაითქვა» თავისი ოპორტუნისტული გამოსვლების დროიდან კოლონიურ საკითხზე შტუტგარტში) მეთაურობით, შეინარჩუნა «ს.-დ. მუშ. პარტიის» (S. D. A. P.) სახელწოდება. ახალმა მარქსისტულმა პარტიამ — გაცილებით უფრო მცირერიცხოვანმა — მიიღო «ს.-დ. პარტიის» (S. D. P.) სახელწოდება.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი შეეცადა ეკისრა შუამავლობა ჰოლანდიაში ერთიანობის აღსადგენად, მაგრამ ეს მეტად უხეიროდ გააკეთა: ფორმალური პოზიცია დაიკავა და, ოპორტუნისტებისადმი აშკარად თანაგრძნობით განწყობილმა, გათიშვაში ბრალი დასდო მარქსისტებს. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა უარყო მათი თხოვნა — შეეყვანათ ახალი პარტია ინტერნაციონალში.

თვით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე 1909 წ. 7 ნოემბერს იდგა ინტერნაციონალში ჰოლანდიელ მარქსისტთა დაშვების საკითხი. ყველას უნდოდა საკითხის დედაარსის გამო კამათისათვის გვერდი აევლო და პროცედურის მითითებით დაკმაყოფილებულიყო, ე. ი. წარემართა საქმე ამა თუ იმ წესით, მიეთითებინა კონფლიქტის გადაჭრის საშუალება, თუმცა, რასაკვირველია, საქმის დ ე დ ა ა რ ს ი, ჰოლანდიაში ორი მიმართულების ბრძოლის დ ე დ ა ა რ ს ი არ შეიძლებოდა ბიუროს წევრთა უმრავლესობისათვის ნათელი არ ყოფილიყო.

ბოლოს და ბოლოს, ორმა მიმართულებამ წამოაყენა ორი რეზოლუცია: ზინგერმა — მარქსისტების სასარგებლოდ, ადლერმა — მათ საწინააღმდეგოდ. ზინგერის რეზოლუციის ტექსტში ნათქვამი იყო:

«საერთაშორისო სოციალისტური ბიურო ადგენს: პარტია, რომელიც ჰოლანდიაში დაარსდა ახალი ს.-დ. პარტიის სახელწოდებით (სახელწოდებაში შეცდომაა: უნდა იყოს: «ს.-დ. პარტიის»), დაშვებულ უნდა იქნას საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე, რადგან ის აკმაყოფილებს ინტერნაციონალის წესდებით დადგენილ პირობებს. რაც შეეხება მისი დელეგატის მონაწილეობას ბიუროში და მისი ხმების რიცხვს კონგრესზე, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს კოპენჰაგენის კონგრესმა, თუ ჰოლანდიელი ამხანაგები თვითონ ვერ მოაგვარებენ ამ დავას».

ამ ტექსტიდან ჩანს, რომ ზინგერი არ ცილდებოდა ფორმალურ პოზიციას, როცა ის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას ანდობდა საერთაშორისო კონგრესის ჰოლანდიურ სექციას, მაგრამ იმავე დროს ნათლად უსვამდა ხაზს ინტერნაციონალის მიერ ჰოლანდიის პარტიის აღიარებას მარქსისტულ პარტიად. ადლერმა ვერ გაბედა ამის საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა, ვერ გაბედა განეცხადებინა, რომ იგი არა ცნობს მარქსისტ-ჰოლანდიელებს ინტერნაციონალის წევრებად, რომ იგი იზიარებს აღმასრულებელი კომიტეტის პოზიციას, რომელმაც პირდაპირ უარი უთხრა მარქსისტებს. ადლერმა წამოაყენა რეზოლუცია: «სდპ თხოვნა გადაეცეს ჰოლანდიის სექციას. თუ ამ სექციის შიგნით შეთანხმება არ მოხდება, მაშინ შეიძლება მიმართვა ბიუროსადმი». ფორმალური პოზიცია იგივეა, რაც ზინგერის რეზოლუციაში, მაგრამ ტექსტიდან ნათელია, რომ ამ რეზოლუციის სიმპათიები ოპორტუნისტების მხარეზეა, რადგან ინტერნაციონალის წევრებად მარქსისტების ცნობაზე არაფერია ნათქვამი. რეზოლუციების კენჭისყრამაც მყისვე ცხადყო, რომ ბიუროს წევრები სავსებით ჩასწვდნენ როგორც ერთი, ისე მეორე რეზოლუციის ა ზ რ ს. ზინგერმა მიიღო 11 ხმა: 2 — საფრანგეთის ხმა, 2 — გერმანიისა, 1 — ინგლი-

სისა (ს.-დ.), 2 — არგენტინისა, 1 — ბულგარეთისა, 1 — რუსეთისა (ს.-დ.), 1 — პოლონეთისა (ს.-დ.), 1 — ამერიკისა (სოციალისტური მუშათა პარტია). ადლერმა მიიღო 16 ხმა: 1 — ინგლისისა («დამოუკიდებელი» მუშათა პარტია), 2 — დანიისა, 2 — ბელგიისა, 2 — ავსტრიისა, 2 — უნგრეთისა, 1 — პოლონეთისა (PSP), 1 — რუსეთისა (ს.-რ.), 1 — ამერიკისა (სოციალისტური პარტია), 2 — ჰოლანდიისა (ვან-კოლი და ტრულსტრა!), 1 — შვეციისა.

გერმანელი რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ორგანომ, «ლეიფციგის სახალხო გაზეთმა» (№ 259), მართებულად უწოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ამ გადაწყვეტილებას სამწუხარო გადაწყვეტილება. «კოპენჰაგენში პროლეტარულმა ინტერნაციონალმა უნდა გადასინჯოს ეს გადაწყვეტილებაო», — დაასკვნა მან სავსებით საფუძვლიანად. «ამხ. ადლერი, — წერდა იმავე მიმართულების მეორე გაზეთი, «ბრემენის სამოქალაქო გაზეთი», «**Bremer Bürgerzeitung**» 1909 წ. 11 ნოემბერს, — გამოდის, როგორც ადვოკატი საერთაშორისო ოპორტუნიზმისა, რომელიც მთელი თავისი ავლადიდებით წარმოგვიდგა». მისი რეზოლუცია გავიდა «იმის მეოხებით, რომ მას მხარი დაუჭირა ოპორტუნისტულმა დომხალმა» (**Sammelsurium**).

ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებს, შეგვიძლია ამ სამართლიან სიტყვებს ისღა დავსძინოთ, რომ ჩვენებური ესერები, რასაკვირველია, აჩქარდნენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან ერთად დაეკავებინათ ადგილი ოპორტუნისტულ კომპანიაში.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სესიის დამთავრების შემდეგ, 1909 წ. 8 ნოემბერს, ბრიუსელში შედგა პარლამენტთაშორისო სოციალისტური კომისიის, ე. ი. სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების სოციალისტური ფრაქციების წევრთა მე-4 სხდომა. ფრაქციები საზოგადოდ სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი (რუსეთის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სრულიად არ იყო წარმოდგენილი). დელეგა-

ტებმა ერთმანეთს გაუზიარეს ცნობები მოხუცებულობის შემთხვევაში მუშათა დაზღვევის საკითხზე, კანონმდებლობის მდგომარეობაზე სხვადასხვა ქვეყანაში, მუშათა დეპუტატების პროექტებზე. საუკეთესო ცნობა წარმოადგინა მოლკენბურმა ამ სტატიის საფუძველზე, რომელიც მას მოთავსებული ჰქონდა «Neue Zeit»-ში. *

«სოციალ-დემოკრატ» № 10,
1909 წ. 24 დეკემბერი
(1910 წ. 6 იანვარი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

«ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ [52]

კონსპექტი

«ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის ამხანაგებისათვის მთელი რიგი ლექციების წაკითხვისა და პარტიული ამოცანების და პარტიაში «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის მდგომარეობის შესახებ მათთან დასკვნითი საუბრის შემდეგ, საჭიროდ ვთვლი სადავო საკითხებისადმი ჩემი დამოკიდებულება, გაუგებრობისა და მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად, გადმოვცე წერილობითი ფორმით.

ვფიქრობ, რომ «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის პლატფორმა სავსებით გამსჭვალულია ისეთი შეხედულებებით, რომლებიც შეუთავსებელია პარტიულ გადაწყვეტილებებთან (1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციები) და ეწინააღმდეგებიან ამ გადაწყვეტილებებს.

«ვ პ ე რ ი ო დ ი ს» პლატფორმის შეხედულება თანამედროვე მომენტზე მცდარია, რადგან ეს შეხედულება არ ითვალისწინებს რუსეთში მომხდარ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც გამოიხატება თვითმპყრობელობის ახალი ნაბიჯით ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. ამიტომ «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» პლატფორმის შეხედულებიდან ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამომდინარეობს ოტზოვისტური ტაქტიკური დასკვნები.

ამიტომ «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» მთელი პლატფორმა გამსჭვალულია ისეთი შეხედულებებით, რომლებიც უარყოფენ III სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობის უდავო აუცილებლობას და ახალი ტიპის არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შენების უდავო აუცილებლობას,

ორგანიზაციისა, რომელიც გარშემორტყმული იქნება ლეგალური ორგანიზაციების ქსელით და უსათუოდ გამოიყენებს ყოველგვარ ლეგალურ შესაძლებლობას.

აყენებს რა თავის პლატფორმაში ეგრეთწოდებული «პროლეტარული ფილოსოფიის», «პროლეტარული კულტურისა» და სხვათა დამუშავების ამოცანას, «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფი საქმით იმ ლიტერატორთა ჯგუფის დამცველი ხდება, რომელნიც აღნიშნულ დარგში ანტიმარქსისტულ შეხედულებებს ატარებენ.

აცხადებს რა ოტზოვიზმს «კანონიერ ელფერად», ამით «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის პლატფორმა ჰფარავს და იცავს ოტზოვიზმს, რომელიც პარტიას დიდ ზიანს აყენებს.

ყოველივე ამის გამო «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის ამხანაგთა უმრავლესობის პირადი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ისინი გულწრფელ კორესპონდენციებს მოათავსებენ ცენტრალურ ორგანოში, იდეურად და ამხანაგურად იბრძოლებენ ოტზოვისტების წინააღმდეგ, გულწრფელად შეუწყობენ ხელს ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, იბრძოლებენ ლეგალური მუშათა ორგანიზაციებისა და წამოწყებების აფეთქების ყველა ცდის წინააღმდეგ, — ეს განცხადებანი უნდობლობას იწვევენ და გვაიძულებენ ვშიშობდეთ, რომ «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფი ადგილობრივ მუშაობასა და კონფერენციის მოსამზადებელ მუშაობაში ბრძოლას გამართავს პარტიული ხაზის წინააღმდეგ.

ჩემთვის «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის ადგილობრივი მუშაკებისადმი დამოკიდებულება იმით იქნება განსაზღვრული, თუ როგორი იქნება ამ მუშაკების საქმიანობა რუსეთში და როგორ შეასრულებენ ისინი თავიანთ განცხადებებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1909 წ. დეკემბრის დამლევს
(1910 წ. იანვრის პირველ ნახევარში)

პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში, XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ერთიანობისაკენ

სწორედ ერთი წლის წინათ, 1909 წლის თებერვალში, «სოციალ-დემოკრატის» მე-2 ნომერში ჩვენ რსდმპ პარტიული კონფერენციის მუშაობა დავახასიათეთ, როგორც ისეთი მუშაობა, რომელსაც პარტია გამოყავს «გზაზე» «რღვევის ერთი წლის, იდეურ-პოლიტიკური დაბნეულობის ერთი წლის, პარტიული უგზოობის ერთი წლის» შემდეგ (სტატია: «გზაზე») *. ჩვენ იქ აღვნიშნავდით, რომ მძიმე კრიზისი, რომელსაც ჩვენი პარტია განიცდის, უეჭველია, არა მარტო ორგანიზაციული, არამედ იდეურ-პოლიტიკური კრიზისიც არის. ჩვენ კონტრრევოლუციური პერიოდის გამხრწნელ გავლენათა წინააღმდეგ პარტიული ორგანიზმის წარმატებითი ბრძოლის საწინდრად უწინარეს ყოვლისა ვთვლიდით იმას, რომ კონფერენციის ტაქტიკურმა გადაწყვეტილებებმა სწორად გადაჭრეს ძირითადი ამოცანა: მუშათა პარტიამ საკუთარი დაადასტურა თავისი რევოლუციური მიზნები, რომლებიც მან გამოიტანა ამასწინანდელი ქარიშხლისა და შეტევის ხანიდან, თავისი რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა, რაც დადასტურებულია მასების უშუალო ბრძოლის გამოცდილებით, და ამავე დროს გაითვალისწინა ის უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც ჩვენ თვალწინ ხდება, თვითმპყრობელობის ცდები — შეეგუოს ეპოქის ბურჟუაზიულ პირობებს, ჩამოყალიბდეს ბურჟუაზიულ მონარქიად, უზრუნველყოს ცარიზმისა და შავრაზმელ მემამულეთა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 418 — 431. რედ.

ინტერესები სოფლის ბურჟუაზიულ ზედა ფენებთან და საკაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის ავან-ჩავანებთან აშკარა, ფართო და სისტემატურად გატარებული კავშირის გზით. ჩვენ აღვნიშნავდით პარტიის ორგანიზაციულ ამოცანას, რომელიც დაკავშირებულია ახალ ისტორიულ მომენტთან, — მასებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დასაყრდენი პუნქტების შესაქმნელად არალეგალური პარტიის მიერ ყოველგვარ ლეგალურ დაწესებულებათა, მათ შორის სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, გამოყენების ამოცანას. როდესაც აღვნიშნავდით ამ ორგანიზაციული ამოცანის მსგავსებას იმ ამოცანასთან, რომელიც ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა განსაკუთრებული კანონის ეპოქაში გადაწყვიტეს, ჩვენ ვლაპარაკობდით ისეთ «სამწუხარო გადახვევაზე მტკიცე პროლეტარული მუშაობიდან», როგორიცაა სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობის უარყოფა ან სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ხ ა ზ ი ს პირდაპირსა და აშკარა კრიტიკაზე უარისთქმა, როგორიცაა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფა ან დამცირება, უსახო არალეგალური ორგანიზაციით მისი შეცვლის, ჩვენი რევოლუციური ლოზუნგების შეკვეცის ცდები და სხვ.

თუ ამნაირად გადავავლებთ თვალს წარსულს, ჩვენ შეგვიძლია უფრო სწორად შევაფასოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ შემდგარი პლენუმის მნიშვნელობა[53]. ამ ნომრის სხვა ადგილას მკითხველები ნახავენ პლენუმის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი რეზოლუციების ტექსტს. ამ რეზოლუციების მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი წარმოადგენენ დიდ ნაბიჯს პარტიის ფაქტიური ერთიანობისაკენ, მთელი პარტიული ძალების შემჭიდროებისაკენ, პარტიის ტაქტიკისა და მისი ორგანიზაციის შესახებ ჩამოყალიბებულ იმ ძირითად დებულებათა ე რ თ ხ მ ა დ აღიარებისაკენ, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალ-დემოკრატიის გ ზ ა ს ჩვენს მძიმე ხანაში. ეს გზა ამ ერთი წლის წინათ ს წ ო რ ა დ იქნა მითითებული, და ახლა მას ადგება მ თ ე ლ ი პარტია,

მის სისწორეში დარწმუნდა პარტიის ყ ვ ე ლ ა ფრაქცია. განვლილი წელი იყო ახალი ფრაქციული დაქუცმაცების, ახალი ფრაქციული ბრძოლის წელი, პარტიის რ ღ ვ ე ვ ი ს საფრთხის გამწვავების წელი. მაგრამ მუშაობის პირობები ადგილებზე, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მძიმე მდგომარეობა, პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გადაუდებელი ამოცანები, — ყოველივე ეს ყველა ფრაქციას უბიძგებდა სოციალ-დემოკრატიულ ძალთა შემჭიდროებისაკენ. რაც უფრო მტკიცე, თავგასული და მძვინვარე ხდებოდა კონტრრევოლუცია, რაც უფრო ფართოდ ვრცელდებოდა ლიბერალურ და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფენებში საზიზღარი რენეგატობა და რევოლუციისგან განდგომა, მით უფრო ძლიერი იყო ყველა სოციალ-დემოკრატის მისწრაფება პ ა რ ტ ი ი ს ა კ ე ნ. მეტად დამახასიათებელია, რომ პირობების მთელი ამ ერთობლიობის გავლენით 1909 წლის მეორე ნახევარში პარტიულობის სასარგებლოდ აზრს გამოთქვამდნენ ჩვენი პარტიის ერთმანეთისაგან იმდენად დიდად დაშორებული წევრები, როგორიც არის მენშევიკი ამხანაგი პლეხანოვი, ერთი მხრივ, და «ვპერიოდის» ჯგუფი (ორთოდოქსალურ ბოლშევიზმს ჩამოშორებულ ბოლშევიკთა ჯგუფი), — მეორე მხრივ. პირველმა 1909 წლის აგვისტოში გადაჭრით გაილაშქრა პარტიის გათიშვის წინააღმდეგ და გათიშვის ხაზის წინააღმდეგ ლოზუნგით: «ბრძოლა გავლენისათვის პარტიაში». მეორემ გამოუშვა პლატფორმა, რომელშიც, მართალია, დასაწყისში ლაპარაკია «ბოლშევიზმის ერთიანობის აღდგენისათვის ბრძოლაზე», მაგრამ დასასრულს გადაჭრით დაგმობილია ფრაქციულობა, «პარტიები პარტიაში», «ფრაქციების განკერძოებულობა და კარჩაკეტილობა», მტკიცედ არის მოთხოვნილი მათი «გათქვეფა» პარტიაში, მათი «შეერთება», ფრაქციული ცენტრების გადაქცევა «ნამდვილად მხოლოდ იდეურ და ლიტერატურულ» ცენტრებად (ბროშურა: «თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანები», გვ. 18 და 19).

პარტიის უმრავლესობის მიერ ნათლად დასახული გზა ახლა ყველა ფრაქციამ ერთხმად ცნო, — რასაკვირველია, არა დეტალებში, არამედ ძ ი რ ი თ ა დ ა დ. ერთი წლის გამწვავებულმა ფრაქციულმა ბრძოლამ გამოიწვია გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ყ ვ ე ლ ა ფრაქციისა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ფრაქციულობის მოსპობის სასარგებლოდ, პარტიის ერთიანობის სასარგებლოდ. გადაწყვეტილია მთელი ძალების დარაზმვა პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად; გამოცხადებულია ბოლშევიკების ფრაქციული ორგანოს დახურვა; ერთხმად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ აუცილებელია დაიხუროს «გოლოს სოციალ-დემოკრატა», ე. ი. მენშევიკების ფრაქციული ორგანო. ერთხმად არის მიღებული მთელი რიგი რეზოლუციები, რომელთაგან ჩვენ აქ, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, საგანგებოდ უნდა გამოვყოთ რეზოლუცია პარტიაში საქმეთა მდგომარეობისა და უახლოესი პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ. ამ ორი რეზოლუციიდან პირველი, რომელიც, ასე ვთქვათ, ფრაქციების გაერთიანების პლატფორმას წარმოადგენს, განსაკუთრებით დაწვრილებითი განხილვის ღირსია.

ის იწყება სიტყვებით: «1908 წლის პარტიული კონფერენციის რეზოლუციების ძირითად დებულებათა განსავითარებლად»... ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის სამი მთავარი რეზოლუციის ეს ძირითადი დებულებანი: მომენტის შეფასებისა და პროლეტარიატის პოლიტიკური ამოცანების შესახებ, პარტიის ორგანიზაციული პოლიტიკის შესახებ და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ პარტიაში არ არის ერთსულოვნება ამ რეზოლუციების თვითეული დეტალის, თვითეული მუხლის შესახებ, რომ მათი კრიტიკისათვის, მათი გადამუშავებისათვის, შესაბამისად გამოცდილების მითითებებისა და გართულებული ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გაკვეთილებისა, ფართოდ უნდა გაიღოს პარტიული პრესის კა-

რები, რომ ეს მუშაობა კრიტიკის, გამოყენებათა, გაუმჯობესებათა დარგში ამიერიდან ყ ვ ე ლ ა ფრაქციამ, უფრო სწორად რომ ვთქვათ — პარტიის ყველა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა მ უნდა განიხილოს, როგორც თავისი საკუთარი თვითგამორკვევის საქმე, როგორც თავისი საკუთარი ხაზის გარკვევის საქმე. მაგრამ პარტიული ხაზის კრიტიკისა და გამოსწორებისათვის მუშაობამ ხელი არ უნდა შეუშალოს პარტიული მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ერთიანობას, მოქმედებისა, რომელიც ერთი წუთითაც არ უნდა შეჩერდეს, რომელიც არ უნდა იყოს მერყევი, რომელიც ყ ვ ე ლ ა ფ ე რ შ ი უნდა წარიმართებოდეს აღნიშნულ რეზოლუციების ძირითად დებულებათა შესაბამისად.

ავითარებს რა ამ დებულებებს, ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პირველი მუხლი მოგვაგონებს სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის «პრინციპულ საფუძვლებს», ტაქტიკისა, რომელიც, მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მეთოდის თანახმად, არ შეიძლება ნავარაუდევი იყოს — განსაკუთრებით ისეთ ეპოქაში, როგორსაც ჩვენ განვიცდით — «უახლოესი მომენტის მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარებისათვის», არამედ უნდა ვარაუდობდეს სხვადასხვა გზას, ყველა შესაძლებელ სიტუაციას: «სწრაფი მსხვრევის» შემთხვევასაც და «ვითარების შედარებითი უძრაობის» შემთხვევასაც. პროლეტარიატს პირველად ექმნება შესაძლებლობა გეგმაშეწონილად და თანამიმდევრობით გამოიყენოს ეს ტაქტიკური მეთოდი. ჩვენი პარტიის ტაქტიკა ერთსა და იმავე დროს, პროლეტარიატის ერთი და იმავე მოქმედებით, ორგანიზაციული უჯრედების ერთსა და იმავე ქსელში, უნდა «ამზადებდეს პროლეტარიატს ახალი აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის» (უამისოდ ჩვენ უფლებას დავკარგავდით ჩვენი თავი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის მიგვეკუთვნებინა, ვერ შევასრულებდით ჩვენს ძირითად საქმეს, რომელიც 1905 წლის ეპოქამ გვიანდერძა და რომელსაც თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების ყოველი სულ მცირე ნიშანი გვიკარნახებს), — და «შესაძლებლობას აძლევდეს პროლეტარიატს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს გამოიყენოს

კონტრრევოლუციის მერყევი რეჟიმის ყველა წინააღმდეგობა» (უამისოდ ჩვენი რევოლუციურობა გადაიქცეოდა ფრაზად, რევოლუციური სიტყვების განმეორებად, ნაცვლად იმისა, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური გამოცდილების, ცოდნისა და გაკვეთილების მთელი ჯამი მოგვემარჯვებინა თვითეული პრაქტიკული მოქმედებისათვის, ცარიზმის, მისი მოკავშირეებისა და ყველა ბურჟუაზიული პარტიის თვითეული წინააღმდეგობისა და მერყეობის გამოყენებისათვის).

რეზოლუციის მეორე მუხლი იძლევა იმ გარდატეხის დახასიათებას, რომელსაც განიცდის მუშათა მოძრაობა რუსეთში. დავირაზმოთ და გავემართოთ სოციალ-დემოკრატ მუშათა ახალი თაობის დასახმარებლად იმისათვის, რომ მას შეეძლოს გადაწყვიტოს თავისი ისტორიული ამოცანა, განაახლოს პარტიული ორგანიზაცია, გამოიმუშაოს ბრძოლის ახალი ფორმები და არათუ ოდნავაც არ აიღოს ხელი «რევოლუციის ამოცანებსა და მის მეთოდებზე», არამედ, პირიქით, დაიცვას ისინი, მოამზადოს უფრო ფართო და უფრო მტკიცე ბაზა ამ მეთოდების უფრო ძლევამოსილად გამოყენებისათვის მომავალ ახალ რევოლუციაში.

რეზოლუციის მესამე მუხლი გვისურათებს იმ პირობებს, რომლებმაც ყველგან გამოიწვიეს შეგნებულ მუშათა «მისწრაფება პარტიულ სოციალ-დემოკრატიულ ძალთა კონცენტრაციისადმი, პარტიული ერთიანობის განმტკიცებისადმი». ამ პირობებიდან უმთავრესია ფართო კონტრრევოლუციური მიმდინარეობა. მტერი ირაზმება და შეტევაზე გადმოდის. ძველ მტრებს — ცარიზმს, მოხელეთა თვითნებობასა და ძალადობას, მემამულე-მებატონეთა მხრივ ჩაგვრასა და უსირცხვილო აბუჩად აგდებას უერთდება ახალი მტერი: ბურჟუაზია, რომელიც სულ უფრო და უფრო ერთიანდება პროლეტარიატისადმი შეგნებული, საკუთარი გამოცდილებით განმტკიცებული მტრობის ნიადაგზე. რევოლუციონერებს ანადგურებენ, აწამებენ და ტანჯავენ, როგორც არასოდეს. ცდილობენ რევოლუცია ტალახში ამოსვარონ, სახელი გაუტეხონ, ხალხის მეხ-

სიერებიდან აღმოფხვრან. მაგრამ მუშათა კლასს არც ერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არასოდეს არ დაუნებებია მტრებისთვის წაერთმიათ მთავარი მონაპოვარი არც ერთი რევოლუციისა, რომელიც კი ამ სახელწოდების რამდენადმე ღირსი ყოფილა, სახელდობრ: მასობრივი ბრძოლის გამოცდილება, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მილიონების რწმენა ამ ბრძოლის აუცილებლობისა მათი მდგომარეობის ყოველგვარი სერიოზული გაუმჯობესებისათვის. და რუსეთის მუშათა კლასიც ყველა განსაცდელში გამოატარებს რევოლუციური ბრძოლისათვის იმ მზადყოფნას, მასის იმ გმირობას, რომლითაც ის 1905 წელს იმარჯვებდა და შეძლებს კიდევ არა ერთხელ გაიმარჯვოს.

ჩვენ გვრაზმავს არა მარტო კონტრრევოლუციის მხრივ ჩაგვრა და კონტრრევოლუციურ სულისკვეთებათა გამძვინვარება. ჩვენ გვრაზმავს უბრალო, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის თვითეული ნაბიჯიც. სათათბიროს ხაზით სოციალ-დემოკრატიის მუშაობა განუხრელად წინ მიდის, თავისუფლდება თავდაპირველად გარდუვალი შეცდომებისაგან, ძლევს სკეპტიციზმსა და გულგრილობას, სჭედს რევოლუციური პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზებული კლასობრივი ბრძოლის იარაღს, რომელსაც ყველა სოციალ-დემოკრატი აფასებს. და ყოველგვარი ლეგალური ყრილობა, რომელშიც მუშები მონაწილეობენ, ყოველგვარი ლეგალური დაწესებულება, სადაც პროლეტარიატი ფეხს იკიდებს და თავისი კლასობრივი შეგნებულობა შეაქვს, სადაც ის შრომის ინტერესებსა და დემოკრატიის მოთხოვნებს აშკარად იცავს, — ძალთა შემჭიდროებასა და მთლიანად მოძრაობის განვითარებას იწვევს. მთავრობის მხრივ არავითარ დევნას, მის შავრაზმელ და ბურჟუაზიულ მოკავშირეთა არავითარ ხრიკს არ ძალუძს მოსპოს პროლეტარული ბრძოლის გამოვლინებანი სულ სხვადასხვა და ხანდახან მოულოდნელი ფორმებით, რადგან თვითონ კაპიტალიზმი თავისი განვითარების ყოველი ნაბიჯით წვრთნის და რაზმავს თავის მესაფლავეებს, ამრავლებს მათ რიგებს, აძლიერებს მათ აღშფოთებას.

იმავე მიმართულებით (პარტიულობისადმი მისწრაფება) მოქმედებს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების დაქსაქსულობა და მუშაობაში «კუსტარობა», რაც ესოდენ ზიანს აყენებს ჩვენს მოძრაობას უკანასკნელი ერთნახევარი-ორი წლის განმავლობაში. პრაქტიკული მუშაობის აწყობა შეუძლებელი ხდება ისე, თუ არ მოხდა ძალთა კონცენტრაცია, თუ არ შეიქმნა ხელმძღვანელი ცენტრი. ცენტრალურ კომიტეტს მიღებული აქვს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ამ ცენტრის მოწყობისა და მოქმედების შესახებ, მისი შემადგენლობის პრაქტიკული ძალებით გაფართოების შესახებ, ადგილობრივ მუშაობასთან მისი მუშაობის უფრო მჭიდროდ დაკავშირების შესახებ და სხვა. თეორიული ინტერესები, რომლებიც უძრაობის დროს გარდუვალად წინა რიგში დგებიან, ასევე მოითხოვენ შემჭიდროებას იმისათვის, რომ დავიცვათ საერთოდ სოციალიზმი და, განსაკუთრებით, მარქსიზმი, როგორც ერთადერთი მეცნიერული სოციალიზმი, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის წინაშე, რომელიც მთელ ძალებს რაზმავს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასასრულ, რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის იდეურ-პოლიტიკურ ამოცანებზე. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შიგნით 1908 — 1909 წლებში მიმდინარე მწვავე პროცესმა გამოიწვია ის, რომ დღემდე ეს ამოცანებიც მეტად მწვავედ ისმებოდა და წყდებოდა ფრაქციების უაღრესად გაფთრებული ბრძოლით. ეს შემთხვევითობა კი არა, აუცილებელი მოვლენა იყო პარტიული ორგანიზაციების კრიზისისა და რღვევის ვითარებაში. მაგრამ ეს სწორედ რომ აუცილებლობა იყო, და განსახილველი რეზოლუციის ერთხმად მიღებამ ნათლად დაგვანახა საერთო მისწრაფება — წავიდეთ წინ, ძირითადი სადავო დებულებებისათვის ბრძოლიდან გადავიდეთ მათ აღიარებაზე უდავო დებულებებად და შევუდგეთ შეთანხმებულ გაძლიერებულ მუშაობას ამ აღიარების ნიადაგზე.

რეზოლუცია აღიარებს, რომ სწორი გზიდან ორგვარ გადახვევას გარდუვალად წარმოშობს თანამედროვე ისტორიული ვითარება და ბურჟუაზიული გავლენა პროლეტარიატზე. ერთი ამ გადახვევათაგანი, არსებითად, შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: «არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფა, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირება, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდები და სხვა». გასაგებია სოციალ-დემოკრატიის შიგნით ჩადენილი ამ შეცდომების კავშირი კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ ნიღვართან მის გარეთ. ბურჟუაზიისა და ცარიზმისათვის არაფერია იმაზე უფრო საძულველი, როგორც არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც თავისი მუშაობით ამტკიცებს თავის ერთგულებას რევოლუციის მიზნებისადმი, თავის ურყევ მზადყოფნას ულმობელი ბრძოლისათვის სტოლიპინური «ლეგალობის» საფუძვლების წინააღმდეგ. ბურჟუაზიისა და ცარიზმის მსახურთათვის არაფერია იმაზე უფრო საძულველი, როგორც სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ამოცანები და ლოზუნგები. როგორც ერთის, ისე მეორის დაცვა ჩვენი უდავო ამოცანაა, და სწორედ არალეგალური და ლეგალური მუშაობის შეხამება განსაკუთრებით მოითხოვს ჩვენგან არალეგალური პარტიის «როლისა და მნიშვნელობის» ყოველგვარი «დამცირების» წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ იმის აუცილებლობა, რომ უფრო წვრილმან საკითხებში, უფრო მცირე მასშტაბებით, კერძო საბაბთა გამო, ლეგალურ ჩარჩოებში დავიცვათ პარტიული პოზიცია, განსაკუთრებით მოითხოვს თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ამ ამოცანებსა და ლოზუნგებს არ ჰ კ ვ ე ც ა ვ დ ნ ე ნ, რომ ბრძოლის ფორმის შეცვლა არ იწვევდეს მისი შინაარსის ლიკვიდაციას, არ ასუსტებდეს მის შეურიგებლობას, არ ამახინჯებდეს პროლეტარიატის ისტორიულ პერსპექტივასა და ისტორიულ მიზანს: მიჰყავდეს ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული, მიჰყავდეს ხალხის მთელი მასები მთელ რიგ ბურჟუაზიულ რე-

ვოლუციათა გზით, რომელნიც დემოკრატიულ რესპუბლიკას ამყარებენ, პროლეტარული რევოლუციისაკენ, რომელიც დაამხობს თვით კაპიტალიზმს.

მაგრამ, მეორე მხრივ, — და აქ ჩვენ გადავდივართ მეორე გადახვევის დახასიათებაზე, — არ შეიძლება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობა პრაქტიკულად, ყოველ-დღიურად ვაწარმოოთ ისე, თუ არ ვისწავლით მისი ფორმების სახის შეცვლას და მათ შეხამებას ყოველი ახალი ისტორიული მომენტის თავისებურებასთან. «სათათბიროს ხაზით სოციალ-დემოკრატიული მუშაობისა და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფა, როგორც ერთის, ისე მეორის მნიშვნელობის გაუგებლობა» წარმოადგენს სწორედ ისეთ გადახვევას, რომლის დროსაც კლასობრივი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ნამდვილად წარმოება შეუძლებელი ხდება. რუსეთის ისტორიული განვითარების ახალი ეტაპი ახალ ამოცანებს გვისახავს: ეს იმას კი არ ნიშნავს, ძველი ამოცანები თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყოს, თითქოს შეიძლებოდეს მათზე ხელის აღება, — არა; მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ეს ახალი ამოცანები, გამოვნახოთ ბრძოლის ახალი ფორმები, შევიმუშაოთ მათი შესაბამისი ტაქტიკა და ორგანიზაცია.

რაკი პარტიაში დაიწყო დამყარება თანხმობისა ამ ძირითად საკითხებზე, თანხმობისა იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა «დ ა ვ ძ ლ ი ო თ», უმთავრესად, სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების გზით, ორივე აღნიშნული გადახვევა, — მთავარი მიზანი («სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის იდეურ-პოლიტიკური ამოცანების» სწორად განსაზღვრისათვის) მიღწეულია. ახლა საჭიროა სისტემატურად განვახორციელოთ ის, რაც მიღწეულია, შევძლოთ, რომ ეს ამოცანები სავსებით ნათლად შეიგნოს პარტიის ყველა წრემ, ყველა ადგილობრივმა მუშაკმა, ბოლომდე მივიყვანოთ მუშაობის ყ ვ ე ლ ა დარგში ორივე გადახვევის საფრთხის განმარტება, ისე დავაყენოთ მუშაობა, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი გ ა ხ დ ე ს მერყეობა ამა თუ იმ მიმართულებით. მიღე-

ბულ გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯები, თვით ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებანი შემდეგ თავისთავად დაგვანახვებენ, რა რჩება აქ გასაკეთებელი და როგორ გაკეთდეს ის.

ამ საჭიროებათა შორის არის ერთი საჭიროება, რომელიც პარტიული ცხოვრების ჩვეულებრივ მსვლელობაში შედის (როდესაც არის ეს «ჩვეულებრივი მსვლელობა»). ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიული კონფერენციის შესახებ, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების იმ წარმომადგენლებს რუსეთის ყველა კუთხიდან, რ ო მ ლ ე ბ ი ც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ე წ ე ვ ი ა ნ ა დ გ ი ლ ებ ზ ე მ უ შ ა ო ბ ა ს. თუმცა ეს ძნელი ამოცანა არ არის, მაგრამ თანამედროვე რღვევამ ის საშინლად გააძნელა. ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია ითვალისწინებს ახალ სიძნელეებს (ოლქების დელეგატების არჩევა ცალკეული ადგილობრივი უჯრედებისა და არა საოლქო კონფერენციების მიერ, რაკი ასეთი კონფერენციების მოწვევა შეუძლებელია) და ახალ ამოცანებს (ლეგალური მოძრაობის პარტიულ მოღვაწეთა მოწვევა სათათბირო ხმით).

ობიექტური პირობები მოითხოვენ, რომ პარტიის ორგანიზაციის საფუძველი იყოს მასშტაბისა და მუშაობის ახლანდელი ფორმების მიხედვით მცირე არალეგალური მუშათა უჯრედები. მაგრამ იმისათვის, რომ ისწავლონ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის წარმოება სისტემატურად, განუხრელად, გეგმაშეწონილად თანამედროვე მძიმე ვითარების დროს, — მათ გაცილებით მეტი ინიციატივა და თვითმოქმედება მოეთხოვებათ, ვიდრე წინათ, მით უმეტეს, რომ გამოცდილი, ძველი ამხანაგების დახმარებას ისინი უმრავლეს შემთხვევაში ვერ მიიღებენ. და ამ უჯრედებს არ შეუძლიათ მასებზე მუდმივი ზეგავლენისა და მასებთან ურთიერთმოქმედების ამოცანები გადაწყვიტონ ისე, თუ არ შეიქმნა, ჯერ-ერთი, მტკიცე ურთიერთ კავშირი, ხოლო, მეორეც, თუ არ შეიქმნა დასაყრდენი პუნქტები ყოველგვარ და ყოველნაირ ლეგალურ დაწესებულებათა სახით. აქედან გა-

მომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მოწვეულ იქნას ამ არალეგალური უჯრედების დელეგატთა კონფერენცია — მოწვეულ იქნას პირველ რიგში, უწინარეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ და რადაც უნდა დაჯდეს. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მოვიზიდოთ პ ა რ ტ ი ე ლ ი სოციალ-დემოკრატები ლეგალური მოძრაობიდან, მოვიზიდოთ წარმომადგენლები «ლეგალური მოძრაობის იმ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა, რომლებიც მზად არიან მ ტ კ ი ც ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი კავშირი დაამყარონ ადგილობრივ პარტიულ ცენტრებთან». თუ ვინ არის ნამდვილად, საქმით, და არა მარტო სიტყვით, პარტიელი ჩვენი ლეგალური სოციალ-დემოკრატებიდან, რომელმა მათგანმა გაიგო ნამდვილად ზემოაღნიშნული მუშაობის ახალი პირობები და მათთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძველი ამოცანების შეხამება, ვინ არის მზად გულწრფელად იმუშაოს ამ ამოცანების შესასრულებლად, რომელი ჯგუფები არიან ნამდვილად მზად მტკიცე ორგანიზაციული კავშირი დაამყარონ პარტიასთან, — ეს შეიძლება განსაზღვრულ იქნას მხოლოდ ადგილებზე, თვით ყოველდღიური არალეგალური მუშაობის მსვლელობაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მუშაობის ნიადაგზე შემჭიდროვდებიან ახლა მთელი სოციალ-დემოკრატიული ძალები, რომ კონფერენციისათვის მზადებას მთელი ენერგიით მოკიდებენ ხელს პარტიული მუშაკები ცენტრში და ადგილებზე, რომ ეს კონფერენცია დაგვეხმარება საბოლოოდ განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული ერთიანობა და შეთანხმებულად დავძრათ წინ მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის უფრო ფართო, უფრო მტკიცე, უფრო მოქნილი პროლეტარული ბაზის შექმნის საქმე.

«სოციალ-დემოკრატ» № 11,
1910 წ. 13 (26) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

ბულ გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკული ნაბიჯები, თვით ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებანი შემდეგ თავისთავად დაგვანახვებენ, რა რჩება აქ გასაკეთებელი და როგორ გაკეთდეს ის.

ამ საჭიროებათა შორის არის ერთი საჭიროება, რომელიც პარტიული ცხოვრების ჩვეულებრივ მსვლელობაში შედის (როდესაც არის ეს «ჩვეულებრივი მსვლელობა»). ჩვენ ვლაპარაკობთ პარტიული კონფერენციის შესახებ, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების იმ წარმომადგენლებს რუსეთის ყველა კუთხიდან, რომლებიც ნამდვილად ეწევიან ადგილებზე მუშაობას. თუმცა ეს ძნელი ამოცანა არ არის, მაგრამ თანამედროვე რღვევამ ის საშინლად გააძნელა. ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია ითვალისწინებს ახალ სიძნელეებს (ოლქების დელეგატების არჩევა ცალკეული ადგილობრივი უჯრედებისა და არა საოლქო კონფერენციების მიერ, რაკი ასეთი კონფერენციების მოწვევა შეუძლებელია) და ახალ ამოცანებს (ლეგალური მოძრაობის პარტიულ მოღვაწეთა მოწვევა სათათბირო ხმით).

ობიექტური პირობები მოითხოვენ, რომ პარტიის ორგანიზაციის საფუძველი იყოს მასშტაბისა და მუშაობის ახლანდელი ფორმების მიხედვით მცირე არალეგალური მუშათა უჯრედები. მაგრამ იმისათვის, რომ ისწავლონ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის წარმოება სისტემატურად, განუხრელად, გეგმაშეწონილად თანამედროვე მძიმე ვითარების დროს, — მათ გაცილებით მეტი ინიციატივა და თვითმოქმედება მოეთხოვებათ, ვიდრე წინათ, მით უმეტეს, რომ გამოცდილი, ძველი ამხანაგების დახმარებას ისინი უმრავლეს შემთხვევაში ვერ მიიღებენ. და ამ უჯრედებს არ შეუძლიათ მასებზე მუდმივი ზეგავლენისა და მასებთან ურთიერთმოქმედების ამოცანები გადაწყვიტონ ისე, თუ არ შეიქმნა, ჯერ-ერთი, მტკიცე ურთიერთ კავშირი, ხოლო, მეორეც, თუ არ შეიქმნა დასაყრდენი პუნქტები ყოველგვარ და ყოველნაირ ლეგალურ დაწესებულებათა სახით. აქედან გა-

მომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მოწვეულ იქნას ამ არალეგალური უჯრედების დელეგატთა კონფერენცია — მოწვეულ იქნას პირველ რიგში, უწინარეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ და რადაც უნდა დაჯდეს. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ მოვიზიდოთ პარტიელი სოციალ-დემოკრატები ლეგალური მოძრაობიდან, მოვიზიდოთ წარმომადგენლები «ლეგალური მოძრაობის იმ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებისა, რომლებიც მზად არიან მტკიცე ორგანიზაციული კავშირი დაამყარონ ადგილობრივ პარტიულ ცენტრებთან». თუ ვინ არის ნამდვილად, საქმით, და არა მარტო სიტყვით, პარტიელი ჩვენი ლეგალური სოციალ-დემოკრატებიდან, რომელმა მათგანმა გაიგო ნამდვილად ზემოაღნიშნული მუშაობის ახალი პირობები და მათთან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ძველი ამოცანების შეხამება, ვინ არის მზად გულწრფელად იმუშაოს ამ ამოცანების შესასრულებლად, რომელი ჯგუფები არიან ნამდვილად მზად მტკიცე ორგანიზაციული კავშირი დაამყარონ პარტიასთან, — ეს შეიძლება განსაზღვრულ იქნას მხოლოდ ადგილებზე, თვით ყოველდღიური არალეგალური მუშაობის მსვლელობაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მუშაობის ნიადაგზე შემჭიდროვდებიან ახლა მთელი სოციალ-დემოკრატიული ძალები, რომ კონფერენციისათვის მზადებას მთელი ენერგიით მოკიდებენ ხელს პარტიული მუშაკები ცენტრში და ადგილებზე, რომ ეს კონფერენცია დაგვეხმარება საბოლოოდ განვამტკიცოთ ჩვენი პარტიული ერთიანობა და შეთანხმებულად დავძრათ წინ მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის უფრო ფართო, უფრო მტკიცე, უფრო მოქნილი პროლეტარული ბაზის შექმნის საქმე.

«სოციალ-დემოკრატ» № 11,
1910 წ. 13 (26) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ[54]

(პასუხად «გოლოს სოციალ-დემოკრატას»)

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 19 — 20 და ამხ. აქსელროდის, დანის, მარტოვისა და მარტინოვის მანიფესტი, ცალკე გამოცემული, სახელწოდებით «წერილი ამხანაგებისადმი», წარმოადგენს ისეთ ყუმბარას, გამიზნულს პარტიის ასაფეთქებლად მყისვე გამაერთიანებელი პლენუმის შემდეგ, რომ ჩვენ იძულებული ვართ გამოვიდეთ დაუყოვნებლივი, თუნდაც მოკლე, თუნდაც არასრული გაფრთხილებით, მივმართოთ გაფრთხილებით ყველა სოციალ-დემოკრატს.

დავიწყოთ იმით, რომ «გოლოს სოციალ-დემოკრატამ» სროლა ატეხა ჩვენს წინააღმდეგ, ცენტრალური ორგანოს რედაქციის წინააღმდეგ. ის ჩვენ ბრალად გვდებს, ამხ. მარტოვის პირით, ამ უკანასკნელის სტატიის გადაგზავნას «დისკუსიონნი ლისტოკში»[55]. «ჩემი სტატია სრულიადაც არ მ ა რ თ ა ვ ს დ ი ს კ უ ს ი ა ს პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ», — წერს და ხაზს უსვამს ამხ. მარტოვი; ეს სიტყვასიტყვით განმეორებულია «წერილში ამხანაგებისადმი».

ყველა, ვინც კი მოისურვებს წაიკითხოს ამხ. მარტოვის სტატია, რომლის სათაურია «სწორი გზით», დაინახავს, რომ ის პ ი რ დ ა პ ი რ დ ი ს კ უ ს ი ა ს მ ა რ თ ა ვ ს პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, პირდაპირ ილაშქრებს ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, დაწვრილებით ასაბუთებს მიმდინარეობათა თანასწორუფლებიანობის, მიმდინარეობათა «ნ ე ი ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს» თეორიას. აღმაშფოთებელი

ტყუილი, რომელსაც ამბობს ამხ. მარტოვი და «გოლოსის» მთელი რედაქცია, სადავო სტატია თითქოს «დისკუსიას არ მართავს» პლენუმის გადაწყვეტილებათა გამოო, პარტიული გადაწყვეტილების პირდაპირ აბუჩად აგდებას ჰგავს.

თუ ვისმესთვის ნათელი არ არის განსხვავება პლენუმის გადაწყვეტილებათა გამო დისკუსიის გამართვასა და თვით ცენტრალურ ორგანოში პლენუმის ხაზის კეთილსინდისიერად გატარებას შორის, ჩვენ ასეთ ადამიანებს, და განსაკუთრებით მენშევიკებს, მოვუწოდებთ ჩაუფიქრდნენ ამხ. პლეხანოვის საგულისხმო სტატიას ცენტრალური ორგანოს ამ ნომერში და იმავე ავტორის «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» არა ნაკლებ საგულისხმო მე-11 ნომერს. ვერც ერთი მენშევიკი, რომელიც არ მოისურვებს აბუჩად აიგდოს პარტიული გადაწყვეტილება და პარტიული გაერთიანება, ვერ შესძლებს უარყოს, რომ «დნევნიკში» ამხ. პლეხანოვი დისკუსიას მართავს პლენუმის გადაწყვეტილებათა გამო, ხოლო სტატიაში — «არალეგალობის დასაცავად» იგი პარტიულ ხაზს იცავს. განა შეიძლება კაცმა არ გაიგოს ეს განსხვავება, თუ მას პლენუმის გადაწყვეტილებათა ჩაფუშვის ბოროტი მიზანი არ დაუსახავს?

მაგრამ ის კიდევ ცოტაა, რომ ამხ. მარტოვი და «გოლოსის» მთელი რედაქცია აღმაშფოთებელ ტყუილს ამბობენ, თითქოს სტატიაში «სწორი გზით» არ იყოს დისკუსია პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. სტატიაში არის გაცილებით უფრო უარესი რამ. მთელი სტატია აგებულია, ერთი მხრივ, არალეგალური პარტიის, ე. ი. რსდმპ, და, მეორე მხრივ, პარტიისგან მოწყვეტილი იმ ლეგალისტების თანასწორუფლებიანობის თეორიაზე, რომელთაც სურთ სოციალ-დემოკრატებად იწოდებოდნენ. მთელი სტატია აგებულია მუშათა ავანგარდის ამ «ორი ნაწილის», «სოციალ-დემოკრატიის ორი ნაწილის» გათიშვის თეორიაზე, ნაწილებისა, რომელნიც უნდა შეერთდნენ «თანასწორუფლებიანობისა და ნეიტრალიზაცი-

ის» იმავე საწყისებზე, რომლებზედაც ყოველთვის ერთდეგბიან ხოლმე მთელის ყოველგვარი გათიშული ნაწილები!

ადგილის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს უფრო ბლომად მოვიყვანოთ ციტატები მარტოვის შეხედულებათა ასეთი დახასიათების დასადასტურებლად. ამას გავაკეთებთ მთელ რიგ სხვა სტატიებში, თუ ეს საზოგადოდ საჭირო იქნა, რადგან არა გვგონია ვინმემ გაბედოს იმის უარყოფა, რომ მარტოვი «თანასწორუფლებიანობის თეორიას» იცავს.

ეს ახალი თეორია კი პირდაპირი გალაშქრებაა პლენუმის დადგენილებათა წინააღმდეგ, მეტიც: მათი პ ი რ დ ა პ ი რ ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ა ა. პლენუმის გადაწყვეტილებათა ყველა კეთილსინდისიერად შემსრულებლისათვის ნათელი აზრი ამ გადაწყვეტილებებისა ის არის, რომ უნდა აღმოიფხვრას პარტიულ მენშევიკთა და პარტიულ ბოლშევიკთა გათიშვა, ამ ძველი ფ რ ა ქ ც ი ე ბ ი ს გათიშვა, და სრულიადაც არა «გათიშვა» საერთოდ ყ ვ ე ლ ა ლეგალისტთა და ჩვენს არალეგალურ რსდმ პარტიას შორის. პარტიისაგან ჩამოცილებული ლეგალისტები სულაც არ განიხილებიან, როგორც პარტიის მსგავსი ან პარტიის თანასწორუფლებიანი «ნაწილი სოციალ-დემოკრატიისა». პირიქით, მათ ხ ე ლ ა ხ ლ ა მოუხმობენ პ ა რ ტ ი ა შ ი იმ გარკვევით გამოხატული პ ი რ ო ბ ი თ, რომ კავშირი გაწყვიტონ ლიკვიდატორობასთან (ე. ი. ლეგალიზმთან რადაც უნდა დაჯდეს) და გადმოვიდნენ პარტიულ თვალსაზრისზე, დაიწყონ «პარტიის შესაფერი ცხოვრება». ცენტრალური კომიტეტის წერილი კონფერენციის შესახებ, ეს ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი და პარტიისათვის უთუოდ სავალდებულო კომენტარი პლენუმის რეზოლუციებისა, სრული სიცხადით ამბობს, რომ იმაზე, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი პ ა რ ტ ი უ ლ ნ ი არიან თუ არა ლეგალისტები, უ ნ დ ა ი მ ს ჯ ე ლ ო ნ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ მ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ მ ა*,

* იხ. ცენტრალური ორგანოს № 11, გვ. 11 — 12: «მხოლოდ ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ უზრუნველყონ ის, რომ ეს დამატებითი წარმომადგენლობა მხოლოდ ნ ა მ დ ვ ი ლ (ხაზგასმა «წერილისაა») პარტიელებზე გავრცელდეს; ჩვენი ადგილობრივი მუშაკები იმსჯელებენ

ვ. ი. ეს წერილი სპეციალურად უარყოფს «თანასწორუფლებიანობის თეორიას»!

ცენტრალური კომიტეტის ეს წერილი პლენუმის სპეციალური დადგენილებით შეადგინა საგანგებო კომისიამ ამხ. გრიგოლის[56], ინოკენტისა[57] და მარტოვის მონაწილეობით. წერილი მთელმა ამ კომისიამ ერთხმად დაამტკიცა. ახლა ამხ. მარტოვი — თითქოს რაღაც ბოროტი სულის გავლენით — ფრონტს იცვლის, წერს სტატიას, რომელიც სავსებით გაჟღენთილია პირდაპირ საწინააღმდეგო თეორიით, და სჩივის კიდეც, თითქოს პარტიას დასცინისო, როცა ამ სტატიას სადისკუსიოდ აცხადებენ!

თავისთავად ცხადია, რომ თანასწორუფლებიანობის ეს თეორია, რომელიც «გოლოსის» ყველა დანარჩენ სტატიაში კიდევ უფრო გაცილებით მკვეთრად და უხეშად არის გამოხატული, ვიდრე მარტოვის სტატიაში, სინამდვილეში იწვევს პარტიის დამორჩილებას ლიკვიდატორებისადმი, რადგან სწორედ ისეთი ლეგალისტი, რომელიც თავის თავს უპირდაპირებს არალეგალურ პარტიას და მასთან თანასწორუფლებიანად თვლის თავს, ლიკვიდატორია და სხვა არაფერი. პოლიციისაგან დევნილი არალეგალური სოციალდემოკრატისა და თავისი ლეგალობითა და პარტიისაგან თავისი მოწყვეტილობით უზრუნველყოფილი ლეგალისტის «თანასწორუფლებიანობა» ნამდვილად მუშისა და კაპიტალისტის «თანასწორუფლებიანობაა».

ყოველივე ეს იმდენად ცხადია, «გოლოსის» მიერ პლენუმის გადაწყვეტილებისა და ცენტრალური კომიტეტის წერილში მისი განმარტების აბუჩად აგდება იმდენად აშკარაა,

---

ლეგალური მოძრაობის ამ მოღვაწეთა არა მარტო სიტყვების, არამედ მათი საქმეების მიხედვითაც, და ყოველივე ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მოზიდულ იქნან მხოლოდ ისინი, ვინც არსებითად ახლაც შეადგენს ჩვენი პარტიის ნაწილს, ვისაც სურს მოვიდეს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, რათა ნამდვილად იმუშაოს მისთვის, განამტკიცოს ის, დაემორჩილოს და ემსახუროს მას» და ა. შ.

რომ მარტოვის სტატიას არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა ისეთი სტატია, რომელიც მიუთითებს «ს წ ო რ გ ზ ა ს»... პარტიაზე ლიკვიდატორების გამარჯვებისაკენ.

პარტიელმა მენშევიკებმა ეს საფრთხე უკვე დაინახეს. ამის დამადასტურებელია «ნოვაია სოციალ-დემოკრატას» № 11 ნომერი: ამ ნომერში მენშევიკი პლეხანოვი, რომელმაც მხოლოდ წაიკითხა პლენუმის რეზოლუცია, მაგრამ ჯერ კიდევ არ უნახავს ცენტრალური კომიტეტის «წერილი», ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ მიუთითებს იმაზე, რომ თუ «უგულისყურო მოვეკიდებით» რეზოლუციის სიტყვებს ლეგალისტების შესახებ, რომლებიც «მზად არიან მტკიცე ორგანიზაციული კავშირი დაამყარონ ადგილობრივ პარტიულ ცენტრებთან»,— ««ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ს» ა ქ შ ე უ ძ ლ ი ა თ მ ა რ ჯ ვ ე ს ა ძ რ ო მ ი გ ა ი კ ე თ ო ნ» (გვ. 20).

ნუთუ ცხადი არ არის, რომ პლეხანოვს მშვენივრად შეუსწავლია თავისი გოლოსელები? მან მიუთითა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ თ ა სწორედ იმ ს ა ძ რ ო მ ზ ე, რომელსაც მთელი ძალღონით, თითქმის ყველა სტატიაში, პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე «ამუშავებს» «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 19—20. ნუთუ ჩვენ უფლება არა გვაქვს მას ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ თ ა «გოლოსი» ვუწოდოთ?

თუ სადამდე მიდის გოლოსელთა მიერ ლიკვიდატორობის დაცვა, ამას ცხადყოფს შემდეგი ადგილი «წერილისა ამხანაგებისადმი»:

...«ცენტრალურმა ორგანომ... ნდობა უნდა მოიპოვოს, როგორც ძველი არალეგალური ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიან ელემენტებში...» (არალეგალური პარტიული ორგანიზაციები სრული ნდობით ეკიდებიან ცენტრალურ კომიტეტსაც და ცენტრალურ ორგანოსაც; აქ «მოპოვებაზე» ლაპარაკიც კი სასაცილოა)... «ისე ახალ ლეგალურ ორგანიზაციებში, რომლებიც ახლა სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მთავარ კერას (ოჰო!) წარმოადგენენ». მაშ ასე: პარტიისაგან მოწყვეტილი ლეგალისტები — მ თ ა ვ ა რ ი კ ე რ ა ა. მათ კი არ უნდა მოიპოვონ პარტიის ნდობა, გახდნენ ნამდ-

ვილი პარტიელები, შემოვიდნენ პარტიაში, დაუბრუნდნენ პარტიულობას, არამედ პარტიამ ცენტრალური ორგანოს სახით უნდა «მოიპოვოს მათი ნდობა» — ცხადია, ლიკვიდატორობის იმ ფარული დაცვით, ლიკვიდატორობისათვის საძრომების იმ მომზადებით, რასაც «გოლოსში» ვხედავთ!!

ამხ. თ. დანის მთელი სტატია — «ლეგალობისათვის ბრძოლა» სავსებით გამსჭვალულია ლიკვიდატორული სულისკვეთებით, რაც აშკარა რეფორმიზმამდე მიდის. როცა ამბობს, «ლეგალობისათვის ბრძოლა» «ერთ-ერთი ძირითადი რევოლუციური ამოცანა», «დროშა» არისო და სხვა, ამხ. დანი იცავს არა სოციალ-დემოკრატიულ, არამედ კადეტურ თვალსაზრისს. «არალეგალური შემჭიდროება, როგორც ლეგალობისათვის ბრძოლის აუცილებელი იარაღიო» — აცხადებს ამხ. დანი. ეს კადეტისებურია. კადეტების პარტია არალეგალურია, მაგრამ მათი არალეგალობა არის სწორედ მხოლოდ «ლეგალობისათვის ბრძოლის აუცილებელი იარაღი». სოციალ-დემოკრატიისათვის ლ ე გ ა ლ უ რ ი შემჭიდროება ამჟამად ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ერთ-ერთ აუცილებელ იარაღს წარმოადგენს.

...«მხოლოდ მისი» (ლეგალობისათვის ბრძოლის) «თვალსაზრისით, მისი გულისათვის არის კიდეც შესაძლებელი ამჟამად პროლეტარიატის ისეთი ბრძოლა, რომელიც თავის... მიზნად... ისახავს თვითმპყრობელობის დამხობას»...

ეს მსჯელობა საჭიროა კვლავ უკუღმა შევაბრუნოთ იმისათვის, რომ ის ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მსჯელობა გახდეს. მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, მხოლოდ ამ ბრძოლის გულისათვის არის შესაძლებელი ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ლეგალურ ორგანიზაციებში. მხოლოდ პროლეტარიატის შეუკვეცელი რევოლუციური მოთხოვნების განხორციელებისათვის ბრძოლის გულისათვის, მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის პროგრამისა და ტაქტიკის თვალსაზრისით შეიძლება სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა და ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობის ნამდვილად წარმატებით

გამოყენება, შეიძლება და აუცილებელია მათი უაღრესად მტკიცე დაცვა და ჩვენი პარტიული მუშაობის დასაყრდენ პუნქტებად გადაქცევა.

მაგრამ ესეც ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. გოლოსელები პირდაპირ და აშკარად ებრძვიან პლენუმის გადაწყვეტილებებს, როცა თავიანთ წერილშიც და თავიანთ გაზეთშიც გამოდიან აგიტაციით «გ ო ლ ო ს ი ს» გამოცემის გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი ს სასარგებლოდ, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებისა. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ სასაცილო და უსუსური სოფისტიკის გარჩევას, რომლითაც უნდათ გაამართლონ პარტიული გადაწყვეტილების ჩაფუშვა. ჩვენ ვამჯობინებთ დავკმაყოფილდეთ — ყოველ შემთხვევაში, ამ მოკლე სტატიაში — მითითებით პ ა რ ტ ი უ ლ ი მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი ს ხ მ ა ზ ე, «დნევნიკის» მე-11 ნომერზე. ამხანაგმა პლეხანოვმა ლიკვიდატორთა ეს საძრომიც განჭვრიტა, როცა პირდაპირ, უბრალოდ და ნათლად თქვა ის, რაშიაც არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს არც ერთ ლოიალურ სოციალ-დემოკრატს: «აგიტაცია «გოლოსის» დახურვის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ», — წერს ის მე-18 გვერდზე, — არის «აგიტაცია ფრაქციის მოსპობის წინააღმდეგ, ე. ი. იმის სასარგებლოდ, რომ ა რ ა რ ა ო ბ ა მ დ ე ი ქ ნ ა ს დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ყ ვ ე ლ ა ზ ე მთავარი შედეგი ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომის შესაძლო შედეგებიდან». რა არის «გოლოს სოციალ-დემოკრატა» განსაზღვრული მიმართულების მენშევიკებისათვის? ეს არის მათი ფაქტიური ფრაქციული — ამასთან უპასუხისმგებლო — ცენტრი.

სწორედ ასეა. გაერთიანების დ ა ყ ვ ა ნ ა ა რ ა რ ა ო ბ ა მ დ ე — აი რა არის პლენუმის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ მიმართული «გოლოსის» მე-19 — 20 ნომრისა და «გოლოსის» ოთხი რედაქტორის მანიფესტის დანიშნულება. გამაერთიანებელი პლენუმის შემდეგ ისინი გამოვიდნენ ლიკვიდატორობის ბევრად უფრო გულახდილი, ბევრად უფრო თავხედური დაცვით, ვიდრე პლენუმამდე. როცა მათი მანიფესტი მენშევიკებს აუწყებს, რომ ცენტრალური კომიტეტის

საზღვარგარეთის ბიუროს წერილი ჯგუფებისადმი[53], წერილი, რომელიც ნამდვილად ერთიანობის შექმნისაკენ მოუწოდებს, მიღებულია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მენშევიკ და ბუნდელ წევრთა ხმების წინააღმდეგო, ყველას ესმის, რომ ჩვენს წინაშეა ცუდად დაფარული მოწოდებაარ დაემორჩილონ ამ წერილს, ჩაფუშონ საზღვარგარეთული ერთობა. დაე პარტიელი მენშევიკები, რომლებიც გოლოსელებს გმობენ, დაგმობიდან საქმეზე გადავიდნენ, თუ მათ სურთ რადაც უნდა დაჯდეს დაიცვან პარტიული გაერთიანება. ახლა ეს გაერთიანება დამოკიდებულია პარტიელ მენშევიკებზე, მათ მზადყოფნასა და უნარზე ჩაატარონ პირდაპირი ბრძოლა გოლოსელ-ლიკვიდატორთა როგორც საზღვარგარეთის, ისე რუსეთის «ფაქტიური ცენტრის» წინააღმდეგ.

ეს რუსეთის ცენტრი, რუსეთის მც (მენშევიკური ცენტრი) პირდაპირ გამოდის «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში, გამოდის «ღია წერილით», რომელშიც პლეხანოვი გამოცხადებულია «მენშევიზმის იდეების ლიკვიდატორად». პარტიიდან მენშევიკების წასვლას რუსეთის ეს მენშევიკური ცენტრი განმარტავს, — ხოლო უფრო სწორი იქნება ვთქვათ: ამართლებს, — «პარტიული უჯრედების მოდუნებულობის საყოველთაოდ ცნობილი მოვლენით»!! იმათ, ვინც მიდის — გვეუბნება მენშევიკური ცენტრის მანიფესტი — «ტყუილად არქმევენ ლიკვიდატორთა სახელსო» («გოლოს», გვ. 24).

ვეკითხებით რამდენადმე მიუკერძებელ სოციალ-დემოკრატებს, ვეკითხებით განსაკუთრებით მუშა სოციალ-დემოკრატებს, განურჩევლად მიმდინარეობისა, ნიშნავს თუ არა პლენუმის მეორე დღეს მენშევიკური ცენტრის ასეთი მანიფესტის გამოსვლა გაერთიანების საქმის არარაობამდე დაყვანას?

ჩვენს მოვალეობად ვთვლით მთელ პარტიას შევატყობინოთ ამ სახელგანთქმული — დარწმუნებული ვართ, რომ ის ჰეროსტრატესებურად სახელგანთქმული გახდება — დო-

კუმენტის ხელისმომწერთა ვინაობა: 1) ავგუსტოვსკი, 2) ანტონი, 3) ვადიმი, 4) ვ. პეტროვა, 5) გიორგი, 6) გეორგ, 7) ევგ. გა — აზი, 8) კრამოლნიკოვი, 9) დ. კოლცოვი, 10) ნატ. მიხაილოვა, 11) რ ო მ ა ნ ი, 12) რომული, 13) სოლომონოვი, 14) ჩერევანინი (მაშ არა და!), 15) ი უ რ ი, 16) ი. პ — ი ი[59].

«ეს ხელმოწერები, — წერს «გოლოსის» რედაქცია, — ეკუთვნის ძველ პარტიულ მუშაკებს, რომელთაც რედაქცია კარგად იცნობს; ზოგ მათგანს პარტიაში საპასუხისმგებლო პოსტი ეჭირა».

ამ სახელებს, ვუპასუხებთ ჩვენ, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ყველა შეგნებული სოციალ-დემოკრატი მუშა, როცა ისინი წაიკითხავენ «გოლოს ს.-დ.» მე-19 — 20 ნომერს, როცა ისინი გაეცნობიან პლენუმის გადაწყვეტილებებს, როცა ისინი შეიტყობენ შემდეგ ფაქტს:

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ ამ დღეებში ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის აღმასრულებელ ორგანოს) გამოუგზავნა ოფიციალური წერილი. ამ წერილში სიტყვასიტყვით ნათქვამია:

...«ჩვენ მივმართეთ ამხანაგებს მიხეილს[60], რომანს და იურის» (ჩვენ ამ სახელებს ხაზი გავუსვით ზემოთ) «წინადადებით დაეწყოთ მუშაობა, მაგრამ მათგან მივიღეთ პასუხი, რომელიც იუწყება, რომ ისინი არა მარტო პლენუმის გადაწყვეტილებებს თვლიან საზიანოდ, არამედ საზიანოდ მიიჩნიათ თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობა. ამ საფუძვლით ისინი იმაზედაც კი უარს ამბობენ, რომ გამოცხადდნენ ერთ სხდომაზე კოოპტაციისთვის» *...

---

* დამატებით მოგვყავს ყ ვ ე ლ ა ადგილი (ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსა და ც.-კ-ის რუსეთში მოქმედი ერთ-ერთი წევრის[61]) წერილებიდან, რომლებიც შეეხება ცენტრალური კომიტეტის მოწვევას რუსეთში:

...ვთხოვთ ამხანაგებს მარტოვსა და მენშევიკ-ცეკისტებს დაუყოვნებლივ შეგვატყობინონ იმ ამხანაგების სახელები და მისამართები, რომელთა კოოპტაციის წინადადებასაც ისინი იძლევიან (პეტერბურგის მენშე-

(განვმარტავთ ჩვენი მხრივ: მენშევიკური ცენტრის მეთაურები არა მარტო თვითონ ამბობენ უარს მხარი დაუჭირონ ცენტრალურ კომიტეტს, არამედ უარს ამბობენ გამოცხადდნენ სხვა მენშევიკთა კოოპტაციისათვის, მენშევიკ მუშათა კოოპტაციისათვის, რადგან მშვენივრად იციან, რომ კოოპტაციისათვის გამოცხადებაზე უარისთქმა აფერხებს ცეიტრალური კომიტეტის მუშაობას, აფერხებს მის შედგენას, აიძულებს, შესაძლოა თვეობით, გადაიდოს თვით ცენტრალური კომიტეტის, როგორც ცენტრალური კომიტეტის, მუშაობის დაწყება.)

ამრიგად, თვითონ ის ადამიანები, რომლებიც აქსელროდის, დანის, მარტოვისა და მარტინოვის ხელშეწყობით პრესაში აცხადებენ, რომ პლეხანოვი მათ «ტყუილად არქმევს «ლიკვიდატორთა» სახელს», — პირდაპირ ჰფუშავენ თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობას, საზიანოდ აცხადებენ მის არსებობას.

თვითონ ის ადამიანები, რომლებიც არალეგალურ პრესაში («გოლოსის» მეშვეობით) და ლეგალურ პრესაში (ლიბერალების მეშვეობით) გაჰყვირიან «პარტიული უჯრედების

ვიკებმა ამაზე უარი თქვეს)»... «რუსეთის კოლეგიის შეკრება ჯერჯერობით არ შეიძლება: თითქმის არავინ თანახმა არ არის კოოპტირებულ იქნას, ჯერჯერობით დათანხმდა მხოლოდ ერთი ბოლშევიკი და ისიც პირობითად. მენშევიკებმა (მიხეილმა, რომანმა და იურიმ) კატეგორიული უარი თქვეს, რადგან ც. კ-ის მუშაობას საზიანოდ თვლიან. პლენუმის რეზოლუციები, მიხეილისა და სხვების აზრით, აგრეთვე საზიანოა. ც. კ-ის ჩარევა ლეგალური ორგანიზაციების ს.-დ. ძალთა დაჯგუფების იმ სტიქიურ პროცესში, რომელიც ახლა მიმდინარეობს, მათი სიტყვებით თუ. ვიტყვით, იმას ჰგავს, რომ დედის საშოდან ნაყოფი ფეხმძიმობის მეორე თვეზე ამოვგლიჯოთ. გთხოვთ დაუყოვნებლივ დაგვისახელოთ სხვა ამხანაგები, რომლებსაც შეიძლება მათი კოოპტირების წინადადებით მივმართოთ. აგრეთვე სასურველია გამოქვეყნდეს ამხანაგების დამოკიდებულება მიხეილისა და სხვათა ამგვარი საქციელისადმი».

მოდუნებულობის საყოველთაოდ ცნობილ მოვლენაზე», თვითონვე ჰფუშავენ ამ უჯრედების და თვით ისეთი უჯრედის მოგვარების, აღდგენისა და ამოქმედების ცდებს, როგორიც ცენტრალური კომიტეტია.

დაე იცოდეს ახლა ყველა სოციალ-დემოკრატმა, თუ ვის გულისხმობს ამხ. აქსელროდის, დანის, მარტოვისა და მარტინოვის მანიფესტი, როცა ის ლაპარაკობს «ლეგალური მოძრაობის მოღვაწეებზე, რომლებმაც ახლა მებრძოლი პროლეტარიატის მთავარი ავანპოსტები დაიკავეს». დაე იცოდეს ახლა ყველა სოციალ-დემოკრატმა, თუ ვის მიმართავს «გოლოსის» რედაქცია, როცა ის წერს: «ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ამხანაგებს» (მიხეილებს, რომანებს, იურებს) «შეეფასებინათ იმ შენანგრევის მნიშვნელობა, რაც ახლა გაკეთდა ოფიციალურ დოგმაში, რომელსაც ნამდვილად მოაქვს პარტიული ორგანიზაციისათვის გარდუვალი სიკვდილი, და ცდილიყვნენ დაეკავებინათ ის პოზიციები, რომელთაც მათს» (მიხეილების, რომანების, იურების) «წინაშე შლის ეს შენანგრევი».

ჩვენ მივმართავთ ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციას, ყველა ჯგუფს და ვეკითხებით მათ, აპირებენ თუ არა ისინი მოითმინონ სოციალ-დემოკრატიის ეს აბუჩად აგდება? შესაწყნარებელია თუ არა ახლა დავრჩეთ იმის პასიურ მაყურებლად, რაც ხდება, თუ უსათუოდ უნდა გავმართოთ გადამწყვეტი ბრძოლა იმ მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის თვით პარტიის არსებობას?

ჩვენ ვეკითხებით რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატს, შეუძლიათ თუ არა მათ კვლავ დაეჭვებული იყვნენ ახლა, თუ რაში მდგომარეობს მიმდინარეობათა «თანასწორუფლებიანობის თეორიის», ლეგალისტებისა და არალეგალური პარტიის თანასწორუფლებიანობის, «ლეგალობისათვის ბრძოლის» თეორიისა და სხვათა და სხვათა პრაქტიკული, რეალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა?

ეს თეორიები, ეს მსჯელობანი, ეს საძრომები ს ი ტ ყ ვ ი ერ ი ფ ა რ ი ა, რომლის უკან იმალებიან ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ისეთი მ ტ რ ე ბ ი, როგორიც არიან მიხეილები, რომანები, იურები, მათი ისეთი პოლიტიკური ხელშემწყობნი, როგორიცაა თექვსმეტი მენშევიკი ჰეროსტრატე, მათი ისეთი იდეური ბელადები, როგორიც არიან ის ლიტერატორები, რომლებიც «ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ თ ა გ ო ლ ო ს ს» ხელმძღვანელობენ.

მაშ ასე: «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 19 — 20 და «გოლოსის» ოთხი რედაქტორის გამთიშველი მანიფესტი «ამხანაგებისადმი» არის პირდაპირი აგიტაცია:

ფრაქციული ორგანოსათვის ერთიანობის წინააღმდეგ,
გაერთიანების წინააღმდეგ საზღვარგარეთ,
აშკარა ლიკვიდატორობის დასაცავად,
თვით ცენტრალური კომიტეტის არსებობის პირდაპირ მოწინააღმდეგეთა დასაცავად,

პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

პარტიის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება გამომჟღავნებულია. ყველანი, ვისთვისაც კი ძვირფასია რსდმ პარტიის არსებობა, აღსდექით პარტიის დასაცავად!

«სოციალ-დემოკრატ» № 12,
1910 წ. 23 მარტი (5 აპრილი)

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შეჯერებულია
ცალკე ამონაბეჭდის ტექსტთან

რისთვის ვიბრძოლოთ?

სათათბიროში გაბატონებული ოქტიაბრისტთა პარტიის ამასწინანდელ გამოსვლებს, მემარჯვენე კადეტების მიერ სათათბიროში და სათათბიროს გარეთ წარმოთქმულ სიტყვებთან დაკავშირებით, უეჭველია, დიდი სიმპტომატური მნიშვნელობა აქვთ. «ჩვენ იზოლირებულნი ვართ ჩვენს ქვეყანაში და სათათბიროშიო», — წუწუნებდა კონტრრევოლუციონერ კაპიტალისტთა პარტიის მეთაური, ბ-ნი გუჩკოვი. ხოლო ვეხელი, ბ-ნი ბულგაკოვი, თითქოს კვერს უკრავს მას «მოსკოვსკი ეჟენედელნიკში»:... «რეაქციაც და რევოლუციაც უარყოფენ «პიროვნების ხელუხლებლობას»; პირიქით, სულით და ხორცით აშკარად აღიარებენ მის «ხელყოფას», — აღიარებენ სავსებით ერთნაირად როგორც მარკოვი მე-2, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა დევნას და დარბევის მორალს ქადაგებს, ისე სოციალ-დემოკრატი გეგეჭკორი, რომელიც პიროვნების ხელუხლებლობის გულისათვის «რუსეთის მეორე დიდ რევოლუციას» მიმართავს» (№ 8, 1910 წ. 20 თებერვალი, გვ. 25).

«ჩვენ ველოდებით», მიმართავდა ბ-ნი გუჩკოვი სათათბიროში მეფის მთავრობას, და ამით ადასტურებდა, რომ ბურჟუაზიას, რომელიც სულითა და ხორცით მიენდო კონტრრევოლუციას, დღემდე არ შეუძლია უზრუნველყოფილად სცნოს თავისი ინტერესები, არ შეუძლია დაინახოს ყბადაღებული «განახლებული» წყობილების შექმნის თვალსაზრისით რაიმე ნამდვილად მტკიცე და მყარი.

ვეხელი ბულგაკოვი კი კვერს უკრავს:... «მე შეუნელებელი ტკივილით მიპყრობს ძველი, მწარე და მტანჯველი ფიქრი: ეს ხომ ერთი და იგივეა (ე. ი. რეაქციაც და რევოლუციაც ერთი და იგივეაო, სწორედ)... იგივე ძალადობით განხორციელებული მაქსიმალიზმია... ბოლო დროს ხომ ზ ო გ ი ე რ თ ე ბ ი უ კ ვ ე კ ვ ლ ა ვ ი წ ყ ე ბ ე ნ ო ხ ვ რ ა ს ა ხ ა ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ზ ე, თითქოს ახლა, მიღებული გამოცდილების შემდეგ, შეიძლებოდეს მისგან მოველოდეთ რაიმეს, გარდა რუსეთის საბოლოო დანგრევისა» (გვ. 32).

ყველაზე დიდი ბურჟუაზიული პარტიის ბელადიც სათათბიროში და ლიბერალურ «საზოგადოებაში» პოპულარული მემარჯვენე-კადეტური პუბლიცისტიც («ვეხი» მ ე ხ უ თ ე დ გამოდის) — ორივე წუწუნებს, ორივე კვნესის, ორივე ადასტურებს, რომ ი ს ი ნ ი ი ზ ო ლ ი რ ე ბ უ ლ ნ ი არიან. იდეურად იზოლირებულნი არიან რეაქციის მაქსიმალისტთა და რევოლუციის «მაქსიმალისტთა» შორის, შავი რაზმის გმირთა და იმათ (ლიბერალთა?) შორის, ვინც «ახალ რევოლუციაზე ოხრავს», — «იზოლირებულნი არიან სათათბიროში და ჩვენს ქვეყანაში».

ეს იზოლირება «ცენტრისა», იზოლირება ბურჟუაზიისა, რომელსაც ძველი რეჟიმის შეცვლა სურს, მაგრამ მასთან ბრძოლა არა სურს, ცარიზმის «განახლება» სურს, მაგრამ მისი დამხობის ეშინია, — რუსეთის რევოლუციის ისტორიაში ახალი მოვლენა არ არის. 1905 წელს, როცა მასობრივი რევოლუციური მოძრაობა განუხრელად იზრდებოდა და ცარიზმს ზედიზედ ლახვარს სცემდა, «იზოლირებულად» გრძნობდნენ თავს კადეტებიც და ოქტიაბრისტებიც. კადეტებმა (მაშინდელმა «ოსვობოჟდენლებმა») გაჯიუტება დაიწყეს უკვე 1905 წლის 6 აგვისტოს შემდეგ და ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ოქტიაბრისტები საბოლოოდ «გაჯიუტდნენ» 17 ოქტომბრის შემდეგ. 1906 — 1907 წლებში კადეტები ორივე სათათბიროში «იზოლირებულნი» იყვნენ, უძლურნი იყვნენ გამოეყენებინათ თავიანთი უმრავლესობა, უმწეოდ მერყეობდნენ ცარიზმსა და რევოლუციას

შორის, შავრაზმელ მემამულეებსა და პროლეტარულ-გლეხურ იერიშს შორის. მიუხედავად უმრავლესობისა ორივე სათათბიროში, კადეტები ყოველთვის იზოლირებულნი იყვნენ, ჩაჭედილი იყვნენ ტრეპოვსა და ნამდვილ რევოლუციურ მოძრაობას შუა და სამარცხვინოდ ჩამოვიდნენ სცენიდან ისე, რომ ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებიათ. 1908 — 1909 წლებში ოქტიაბრისტები უმრავლესობას შეადგენდნენ III სათათბიროში, ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდნენ მთავრობასთან ერთად, მხარს უჭერდნენ მას არა შიშის გამო, არამედ სინდისის კარნახით, — და ისინიც ახლა იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ნამდვილად მბრძანებლობდნენ არა ისინი, არამედ შავრაზმელები, რომ ოქტიაბრისტული ბურჟუაზია ი ზ ო ლ ი რ ე ბ უ ლ ი ა.

ასეთია შედეგები რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში ბურჟუაზიის ისტორიული როლის მხრივ. იმ ხუთი წლის (1905 — 1909 წლები) გამოცდილებამ, რომელიც მოვლენებით ყველაზე მდიდარია და რომელმაც ყველაზე უფრო აშკარად გააჩაღა მასების ბრძოლა, კლასთა ბრძოლა რუსეთში, ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაამტკიცა, რომ ჩვენი ბურჟუაზიის ორივე ფრთა, კადეტურიც და ოქტიაბრისტულიც, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე-ში აღმოჩნდა ნეიტრალიზებული რევოლუციისა და კონტრ-რევოლუციის ბრძოლით, აღმოჩნდა უძლური, უმწეო, უბადრუკი და აქეთ-იქით აწყდებოდა მტრულ ბანაკთა შორის.

რევოლუციისადმი თავისი განუწყვეტელი ღალატით ბურჟუაზიამ სავსებით დაიმსახურა ის უხეში პანღური, ის აბუჩად აგდება, ის თავსლაფის დასხმა, რომელსაც იგი ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში იღებს შავრაზმული ცარიზმისაგან, სამეფო-მემამულური შავი რაზმისაგან. და, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის მხრივ ღალატი და ეს ისტორიული მისაგებელი, რაც მან მიიღო, გამოიწვია არა რაიმე განსაკუთრებულმა მორალურმა თვისებებმა, არამედ კაპიტალისტური კლასის წინააღმდეგობრივმა ეკონომიურმა მდგომარეობამ ჩვენს რევოლუციაში. ამ კლასს რევოლუციის უფრო ეშინოდა, ვიდრე რეაქციისა, ხალხის გამარჯვებისა — უფრო, ვიდრე ცარიზმის

შენარჩუნებისა, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა — უფრო, ვიდრე მეგატონეთა ძალაუფლების შენარჩუნებისა. ბურჟუაზია არ ეკუთვნოდა იმ ელემენტებს, რომელთაც დიდ რევოლუციურ ბრძოლაში დასაკარგავი არა ჰქონდათ რა. ჩვენს ბურჟუაზიულ რევოლუციაში ასეთი ელემენტი იყო მხოლოდ პროლეტარიატი, მის შემდეგ კი — გაპარტახებული გლეხობის მილიონები.

რუსეთის რევოლუციამ დაადასტურა ის დასკვნა, რომელიც ენგელსმა დასავლეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიიდან გამოიტანა, სახელდობრ: თუნდაც მარტო იმის მისაღწევად, რაც ბურჟუაზიისათვის უშუალოდ აუცილებელია, რევოლუცია უნდა გასცილებოდა ბურჟუაზიის მოთხოვნებს[62]. და რუსეთის პროლეტარიატს მიჰყავდა, მიჰყავს და წინ წაიყვანს ჩვენს რევოლუციას, წასწევს რა მოვლენებს იმაზე უფრო შორს, სადაც მათი შეჩერება სწადდათ კაპიტალისტებსა და ლიბერალებს.

1904 წლის საბანკეტო კამპანიაში ლიბერალები ყოველნაირად აკავებდნენ სოციალ-დემოკრატებს, რადგან მათი მძაფრი ჩარევის ეშინოდათ. მუშებმა დამფრთხალი ლიბერალის აჩრდილით თავი არ დააშინებინეს და მოძრაობა წინ წაიყვანეს — 9 იანვრისაკენ, მთელ რუსეთში განუწყვეტელი გაფიცვების აზვირთებისაკენ.

ლიბერალური ბურჟუაზია, იმ ხანებში «არალეგალური» «ოსვობოჟდენლებიც» კი, პროლეტარიატს ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ მოუხმობდა. პროლეტარიატმა დამფრთხალი ლიბერალის აჩრდილით თავი არ დააშინებინა და მოძრაობა წინ წაიყვანა — ოქტომბრის დიდი გაფიცვისაკენ, პირველი სახალხო გამარჯვებისაკენ.

17 ოქტომბრის შემდეგ ბურჟუაზია გაითიშა. ოქტიაბრისტები მტკიცედ დადგნენ კონტრრევოლუციის მხარეზე. კადეტები ხალხს ჩამოშორდნენ და ვიტეს მისაღებ ოთახს მიაშურეს. პროლეტარიატმა წინ გასწია. ის ხალხს სათავეში ჩაუდგა და დამოუკიდებელი ისტორიული მოქმედებისათვის დარაზმა მილიონობით ისეთი მასები, რომ ნამდვილი თავის-

უფლების რამდენიმე კვირამ ერთხელ და სამუდამოდ გაავლო წარუშლელი ზღვარი ძველსა და ახალ რუსეთს შორის. პროლეტარიატმა მოძრაობა აიყვანა ბრძოლის უმაღლეს შესაძლებელ ფორმამდე, — შეიარაღებულ აჯანყებამდე 1905 წ. დეკემბერში. ამ ბრძოლაში მან მარცხი განიცადა, მაგრამ ის საბოლოოდ არ ყოფილა დაძლეული. მისი აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ მან მიაღწია იმას, რომ ბრძოლაში შეამჭიდროვა ხალხის მთელი რევოლუციური ძალები, ნება არ მისცა მოეხდინათ მისი დემორალიზაცია უკანდახევით, დაანახა მასებს, — რუსეთის უახლეს ისტორიაში პირველად დაანახა მასებს, — ბოლომდე ბრძოლის შესაძლებლობა და აუცილებლობა. პროლეტარიატი უკუაგდეს, მაგრამ მას რევოლუციის დიადი დროშა ხელიდან არ გაუშვია, და მაშინ, როდესაც I და II სათათბიროს კადეტური უმრავლესობა რევოლუციაზე ხელს იღებდა, მის ჩაქრობას ლამობდა, ტრეპოვსა და სტოლიპინებს არწმუნებდა, რომ ის მზად არის და შეუძლია რევოლუცია ჩააქროს, — პროლეტარიატი აშკარად სწევდა მაღლა ამ დროშას, კვლავ ბრძოლისაკენ მოუხმობდა, განაგრძობდა საბრძოლველად ძალების აღზრდას, შემჭიდროებას, დარაზმვას.

მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში, მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, რომელნიც კაპიტალს გამოჰგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი «რესპუბლიკები» რუსეთის რამდენიმე ქალაქში, — ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო, პროლეტარიატისა, რომელიც რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას ეყრდნობოდა.

1905 წ. დეკემბრის მოძრაობა დიადია იმიტომ, რომ მან «ბეჩავი ერი, მონების ერი» (როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკი 60-იანი წლების დამდეგს ამბობდა[63]) პირველად აქცია ისეთ ერად, რომელსაც უნარი შესწევს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ბოლომდე მიიყვანოს საზიზღარი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლაში მოი-

ზიდოს მასები. ეს მოძრაობა დიადია იმიტომ, რომ პროლეტარიატმა აქ გამოცდილებით დაგვანახა დემოკრატიული მასების მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობა, რუსეთში რესპუბლიკის შესაძლებლობა, დაგვანახა, «როგორ კეთდება ეს», დაგვანახა, როგორ იწყებენ მასები პრაქტიკულად ამ ამოცანის კონკრეტულად შესრულებას. დეკემბრის ბრძოლით პროლეტარიატმა ხალხს დაუტოვა ერთი იმ მემკვიდრეობათაგანი, რომელთაც შეუძლიათ იდეურ-პოლიტიკურად შუქურა იყვნენ რამდენიმე თაობის მუშაობისათვის.

და რაც უფრო შავად სქელდება ახლა გაცოფებული რეაქციის ღრუბლები, რაც უფრო მეტია მეფის კონტრრევოლუციური შავი რაზმის მხეცობა, რაც უფრო ხშირად ვხედავთ ხოლმე, როგორ აქნევენ თავს ოქტიაბრისტებიც კი, როცა ამბობენ, «ჩვენ ველოდებით» რეფორმებს და ვერ ვეღირსეთო, რაც უფრო ხშირად «ოხრავენ ახალ რევოლუციაზე» ლიბერალები და დემოკრატები, რაც უფრო საძაგელია ვეხელების სიტყვები («საჭიროა შეგნებულად არ გვინდოდეს რევოლუციაო»: ბულგაკოვი, იქვე, გვ. 32), — მით უფრო ენერგიულად უნდა მოაგონებდეს მუშათა პარტია ხალხს, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

ჩვენ უკვე არა ერთხელ გვითქვამს, რომ ბრძოლა იმ მიზნებისათვის, რომლებიც 1905 წელმა დაგვისახა, იმ ამოცანებისათვის, რომელთა განხორციელებას მაშინდელი მოძრაობა უშუალოდ მიადგა, უნდა ვაწარმოოთ ახლა სხვა ფორმებით, შეცვლილი პირობების გამო, ახლანდელი ისტორიული მომენტის სხვაგვარი ვითარების გამო. თვითმპყრობელობის იმ ცდებმა, რომ გარდაიქმნას ბურჟუაზიული მონარქიის ტიპის მიხედვით, მისმა ხანგრძლივმა მორიგებამ მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან III სათათბიროში, ახალმა ბურჟუაზიულმა აგრარულმა პოლიტიკამ და სხვა, — ყოველივე ამან რუსეთი შეიყვანა თავისებური განვითარების ხანაში, მუშათა კლასის წინაშე დააყენა ახალი პროლეტარული არმიის — და ახალი რევოლუციური არმიის — მომზადების მორიგი ხანგრძლივი

ამოცანები, ძალთა აღზრდისა და ორგანიზების ამოცანები, სათათბიროს ტრიბუნისა და ნახევრად აშკარა ლეგალური მოღვაწეობის ყველა შესაძლებლობის გამოყენების ამოცანები.

უნდა შეგვეძლოს ჩ ვ ე ნ ი ტაქტიკური ხაზის გატარება, უნდა შეგვეძლოს ჩვენი ორგანიზაციის იმგვარად აგება, რომ, შეცვლილი ვითარების გათვალისწინებასთან ერთად, ა რ ვ ა კ ნ ი ნ ებ დ ე თ ბრძოლის ამოცანებს, არ ვკვეცდეთ მათ, არ ვამცირებდეთ თუნდაც ყველაზე მცირე, უბრალო, ერთი შეხედვით წვრილმანი სამუშაოს იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს. ამოცანების სწორედ ამგვარი დაკნინება და ბრძოლის იდეურ-პოლიტიკური შინაარსის გამოფიტვა იქნებოდა, ჩვენ რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინაშე დაგვესახა, მაგალითად, ლეგალური მუშათა მოძრაობისათვის ბრძოლის ლოზუნგი.

როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ეს სოციალ-დემოკრატიული კი არა, კადეტური ლოზუნგია, რადგან მხოლოდ ლიბერალები ოცნებობენ ლეგალური მუშათა მოძრაობის შესაძლებლობაზე ახალი რევოლუციის მოუხდენლად (და, ოცნებობენ რა ამაზე, ხალხს ყალბ მოძღვრებებს უქადაგებენ). მხოლოდ ლიბერალები ზღუდავენ თავიანთ ამოცანებს მეორეხარისხოვანი მიზნით, რადგან იმედი აქვთ — როგორც დასავლეთ ევროპის ლიბერალებსაც — შეარიგონ პროლეტარიატი «რეფორმირებულ», შელამაზებულ, «გაუმჯობესებულ» ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

სოციალ-დემოკრატიულ პროლეტარიატს არათუ არ ეშინია ასეთი შედეგის, არამედ, პირიქით, ის დარწმუნებულია, რომ ამ სახელწოდების ღირსი ყოველი რეფორმა, პროლეტარიატის მოღვაწეობის ჩარჩოების, მისი ორგანიზაციის ბაზის, მისი მოძრაობის თავისუფლების ყოველგვარი გაფართოება გააათკეცებს მის ძალებს და გააძლიერებს მისი ბრძოლის რევოლუციურ მასობრივ ხასიათს. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ჩვენი მოძრაობის ჩარჩოების ნამდვილ გაფართოებას მივაღწიოთ, იმისათვის, რომ ნაწილობრივ გაუმჯობესებას

მივაღწიოთ, სწორედ ამისათვის საჭიროა პროლეტარული მასების წინაშე ვსახავდეთ არა შემცირებულ, არა შეკვეცილ საბრძოლო ლოზუნგებს. ნაწილობრივი გაუმჯობესებანი შეიძლება იყოს (და ისტორიაში ყოველთვის ყოფილა) რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის მხოლოდ არაპირდაპირი შედეგი. მხოლოდ იმ პირობით, თუ მუშათა მასების წინაშე მთელი მათი სიგრძე-სიგანით, მთელი მათი სიდიადით დავაყენებთ იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს თაობას 1905 წელმა უანდერძა, ჩვენ შევძლებთ ნამდვილად გავაფართოოთ მოძრაობის საფუძველი, ჩავაბათ მასში დიდი მასები, შთავბეროთ მათ თავდადებული რევოლუციური ბრძოლის ის სულიერი განწყობილება, რომელსაც ყოველთვის მიჰყავდა ჩაგრული კლასები მათ მტრებზე გამარჯვებამდე.

არ უგულებელვყოთ არც ერთი, სულ მცირეოდენი შესაძლებლობა აშკარა მოქმედებისა, აშკარა გამოსვლისა, მოძრაობის ბაზის გაფართოებისა, მასში პროლეტარიატის ახალ-ახალი ფენების ჩაბმისა, კაპიტალისტთა პოზიციის ყოველგვარი სუსტი ადგილის გამოყენებისა ამ პოზიციაზე თავდასასხმელად და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების მოსაპოვებლად, — და ამავე დროს მთელი ამ საქმიანობის რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალვა, მოძრაობის თ ვ ი თ ე უ ლ ნ ა ბ ი ჯ ზ ე და მის ყოველ მოსაბრუნზე იმ ამოცანების მ თ ე ლ ი ს ი ს რ უ ლ ი ს განმარტება, რომელთაც ჩვენ 1905 წელს მივადექით და რომლებიც მაშინ ვერ გადავწყვიტეთ, — აი როგორი უნდა იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პოლიტიკა და ტაქტიკა.

«სოციალ-დემოკრატ» № 12, 1910 წ. 23 მარტი (5 აპრილი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ

1910 წ. 17 მარტს სტოლიპინმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა პროექტი «ფინეთის შესახები საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონებისა და დადგენილებების გამოცემის წესზე». ამ კაზიონურ-ბიუროკრატიული სათაურის ქვეშ იმალება თვითმპყრობელობის თავხედური გალაშქრება ფინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

სტოლიპინის კანონპროექტში ლაპარაკია იმაზე, რომ სახელმწიფო სათათბიროს, სახელმწიფო საბჭოს და ნიკოლოზ II გადასაწყვეტად გადაეცეთ ფინეთის მთელი ის საქმეები, რომლებიც «განეკუთვნება ამ მხარის არა მარტო შინაგან საქმეებს». ფინეთის სეიმს რჩება მხოლოდ «დასკვნების» მიცემა ამ საქმეებზე, ამასთან ეს დასკვნები არავისთვის სავალდებულო არ არის: ფინეთის სეიმი იმპერიისადმი მისი დამოკიდებულების მხრივ ბულიგინის სათათბიროს მდგომარეობაში ვარდება.

ამასთან რა იგულისხმება იმ «კანონებად და დადგენილებებად, რომლებიც განეკუთვნება» ფინეთის «არა მარტო შინაგან საქმეებს»? ჩვენ არ მოგვყავს მთელი სია, რომელსაც სტოლიპინის პროექტში 17 მუხლი უჭირავს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ აქ შედის ფინეთისა და იმპერიის სხვა ადგილების ურთიერთობაც საბაჟო ხაზით, ფინეთის სისხლის სამართლის კანონების გამონაკლისებიც, სარკინიგზო საქმეც, ფინეთის ფულადი სისტემაც, საჯარო კრებების წესებიც, კანონებიც პრესის შესახებ ფინეთში და სხვ.

ყველა ამგვარი საკითხის გადაცემა შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბიროს გადასაწყვეტად! ფ ი ნ ე თ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი გ ა ქ ა რ წ ყ ლ ე ბ ა — აი რას სჩადის თვითმპყრობელობა, რომელიც ვარაუდობს დაეყრდნოს სამი ივნისის კონსტიტუციით გაერთიანებული მემამულეებისა და ვაჭართა ზედა ფენების წარმომადგენლებს.

ვარაუდი, რა თქმა უნდა, შეუმცდარია, რამდენადაც ლაპარაკია მხოლოდ იმათზე, ვინც ლეგალიზებულია ამ «კონსტიტუციით»: ორმოცდაათი უკიდურესი მემარჯვენე, ასი ნაციონალისტი და «მემარჯვენე ოქტიაბრისტი», ასოცდახუთი ოქტიაბრისტი — აი ის შავი ლაშქარი, რომელიც უკვე შეკრებილია სათათბიროში და მთავრობის პრესის ხანგრძლივი წასისიანებით მომზადებულია ფინეთის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყოველგვარი ღონისძიების გასატარებლად.

ძველი ნაციონალიზმი თვითმპყრობელობისა, რომელიც ყველა «სხვა ერს» ჩაგრავს, ახლა განმტკიცებულია, ჯერ-ერთი, ყველა კონტრრევოლუციური ელემენტების სიძულვილით ხალხისადმი, რომელმაც შესძლო რუსეთის პროლეტარიატის ოქტომბრის ხანმოკლე გამარჯვება გამოეყენებინა იმისათვის, რომ შავრაზმელი მეფის მეზობლად შეექმნა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, შეექმნა თავისუფალი პირობები ფინეთის მუშათა მასების ორგანიზაციისათვის, რომელნიც მტკიცედ მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატიას. ფინეთმა რუსეთის რევოლუცია გამოიყენა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისთვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი განვითარების რამდენიმე წელი. კონტრრევოლუცია რუსეთში ჩქარობს ისარგებლოს სრული დროებითი სიწყნარით «თავის სახლში», რათა რაც შეიძლება მეტი წაგლიჯოს ფინეთის მონაპოვართაგან.

ისტორია ფინეთის მაგალითით თითქოს ნათელყოფს, რომ ყბადაღებული «მშვიდობიანი» პროგრესი, რასაც ყველა ფილისტერი თავის ღვთაებად სახავს, სწორედ ისეთი ხანმოკლე, არამტკიცე, ეფემერული გამონაკლისია, რომელიც სავსებით ადასტურებს წესს. ეს წესი კი იმაში მდგომარეობს,

რომ მხოლოდ მასებისა და მათ სათავეში მდგომი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, მხოლოდ ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია მტკიცე ცვლილებები მოახდინოს ხალხთა ცხოვრებაში, შეუძლია სერიოზულად გამოუთხაროს ძირი შუასაუკუნეობრიობის ბატონობას და კაპიტალიზმის ნახევრადაზიურ ფორმებს.

ფინეთმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა რუსეთის მუშათა კლასი უზარმაზარ მასად აღსდგა და რუსეთის თვითმპყრობელობა შეანჯღრია. და მხოლოდ რუსეთში მასების რევოლუციურ ბრძოლასთან შეერთებით შეუძლია ახლა ფინელ მუშას ეძიოს შავრაზმელ ბაშიბუზუკთა შემოსევისაგან განთავისუფლების გზა.

ფინეთის ბურჟუაზიამ თავისი კონტრრევოლუციური თვისებები გამოამჟღავნა ამ მშვიდობიან ქვეყანაშიც კი, რომელმაც რევოლუცია ჩაატარა რუსეთის ოქტომბრის დღეების ხარჯზე, რომელმაც თავისუფლება დაიცვა რუსეთში დეკემბრის ბრძოლისა და ორი ოპოზიციური სათათბიროს ზურგს უკან ამოფარებულმა. ფინეთის ბურჟუაზია დევნიდა ფინელ მუშათა წითელ გვარდიას და მათ ბრალად სდებდა რევოლუციონიზმს; ის ყველაფერს აკეთებდა, რის გაკეთებაც კი შეეძლო, რათა შეეფერხებინა სოციალისტური ორგანიზაციების სრული თავისუფლება ფინეთში; ის ფიქრობდა ცარიზმისათვის სამსახურის გაწევით (მაგალითად, პოლიტიკურთა გაცემა 1907 წელს) გადაერჩინა თავი მისი ძალადობისაგან; ის თავისი ქვეყნის სოციალისტებს ბრალად სდებდა იმას, რომ ისინი გარყვნეს რუსეთის სოციალისტებმა, რომლებმაც მათ თავიანთი რევოლუციურობა გადასდეს.

ახლა ფინეთის ბურჟუაზიასაც შეუძლია დაინახოს, თუ რას იწვევს დათმობების, მაამებლობის, «გულის მოგების» პოლიტიკა, სოციალიზმისადმი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ღალატის პოლიტიკა. სოციალისტურად გაწვრთნილი და სოციალისტთა მიერ შეკავშირებული მასების ბრძოლის გარეშე ფინელი ხალხი თავისი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ

ჰპოვებს; პროლეტარული რევოლუციის გარეშე არ არსებობს საშუალება ნიკოლოზ მეორის უკუგდებისათვის.

ძველი ნაციონალიზმის, როგორც ჩვენებური თვითმპყრობელობის პოლიტიკის, მეორე განმამტკიცებელი იყო ჩვენი, რუსეთის ბურჟუაზიის კლასობრივი შეგნებისა და შეგნებული კონტრრევოლუციურობის ზრდა. ამ ბურჟუაზიაში შოვინიზმი აღმოცენდა პროლეტარიატის, როგორც საერთაშორისო ძალის, მიმართ სიძულვილის ზრდასთან ერთად. მასში შოვინიზმი ძლიერდებოდა საერთაშორისო კაპიტალის კონკურენციის ზრდისა და გამწვავების პარალელურად. შოვინიზმი წარმოიშვა, როგორც რევანში იაპონელებთან ომში დამარცხებისათვის, პრივილეგირებულ მემამულეთა წინააღმდეგ უძლურებისათვის. შოვინიზმმა მხარდაჭერა ჰპოვა იმ ჭეშმარიტი რუსი მრეწველისა და ვაჭრის მადაში, რომელიც მოხარულია «დაიპყროს» ფინეთი, თუ კი არ მოხერხდა მსუქანი ნაჭრის წაგლეჯა ბალკანეთში. ამიტომ მემამულეებისა და უმსხვილესი ბურჟუაზიის წარმომადგენლობის დარაზმვა ცარიზმს სძენს ერთგულ მოკავშირეებს თავისუფალ ფინეთთან ა ნ გ ა რ ი შ ი ს გ ა ს ა ს წ ო რ ე ბ ლ ა დ.

მაგრამ თუ გაფართოვდა კონტრრევოლუციური «ოპერაციების» ბაზა თავისუფალი განაპირა მხარის მიმართ, გაფართოვდა ამ ოპერაციებისადმი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გ ა წ ე ვ ი ს ბაზაც. თუ მარტოოდენ ბიუროკრატიისა და ერთი მუჭა ბობოლების ნაცვლად ჩვენ ფინეთის მტრების მხარეზე ვხედავთ მესამე სათათბიროს წარმომადგენლობის სახით შეკავშირებულ მემამულე თავადაზნაურობასა და უმდიდრეს ვაჭრებს, სამაგიეროდ მისი მეგობრების მხარეზე ჩვენ გვყავს მთელი ის მილიონობით მასები, რომლებმაც შექმნეს 1905 წ. მოძრაობა, რომლებმაც წამოაყენეს როგორც I, ისე II სათათბიროს რევოლუციური ფრთა. და რაოდენ დიდიც უნდა იყოს ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მომენტში პოლიტიკური სიწყნარე, ეს მასები მაინც ცოცხლობენ და იზრდებიან, მიუხედავად ყოველივესი. იზრდება ახალი შ უ რ ი ს მ ა ძ ი ე ბ ე ლ ი ც რუსეთის რევოლუციის ახალი დამარცხებისათვის, რადგან ფინე-

თის თავისუფლების დამარცხება რუსეთის რევოლუციის დამარცხებაა.

ჩვენებური, რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის სილაჩრე და გაუბედაობა ახლა — კვლავ და კვლავ — აგრეთვე მზის სინათლეზე გამოდის. კადეტები, რა თქმა უნდა, ფინეთზე გალაშქრების წინააღმდეგნი არიან. ისინი, რა თქმა უნდა, ხმას მისცემენ არა ოქტიაბრისტებთან ერთად. მაგრამ განა კადეტებმა არ გააკეთეს ყველაზე მეტი იმ უშუალო რევოლუციური ბრძოლისადმი, ოქტომბერ-დეკემბრის იმ «ტაქტიკისადმი» თანაგრძნობის ძირგამოსათხრელად «საზოგადოებაში», რომელმაც სწორედ ერთადერთმა გახადა შესაძლებელი ფინეთის თავისუფლების წარმოშობა? — შესაძლებლობა მისცა მას გაეძლო აი უკვე 4 წელზე მეტია? განა კადეტებმა არ გააერთიანეს რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენცია ასეთ ბრძოლასა და ასეთ ტაქტიკაზე ხელის ასაღებად? განა კადეტები წელებზე ფეხს არ იდგამდნენ იმისათვის, რომ აემაღლებინათ ნაციონალისტური გრძნობები და სულიერი განწყობილება რუსეთის მთელ განათლებულ «საზოგადოებაში»?

რარიგ გამართლდა სოციალ-დემოკრატიული რეზოლუციის (1908 წ. დეკემბერი) ის სიტყვები, რომ თავიანთი ნაციონალისტური აგიტაციით კადეტები საქმით სამსახურს უწევენ სწორედ ცარიზმს და სხვას არავისო![64] ის «ოპოზიცია», რომლის შექმნაც კადეტებს თვითმპყრობელობის მიმართ უნდოდათ ბალკანეთში რუსეთის დიპლომატიურ დამარცხებათა გამო, — აღმოჩნდა, — როგორც მოსალოდნელიც იყო, — უბადრუკი, უპრინციპო, მონური ოპოზიცია, რომელიც შავრაზმელებს ეფარისევლებოდა, შავრაზმელთა მადას აძლიერებდა, შავრაზმელ მეფეს ტუქსავდა იმისათვის, რომ იგი, შავრაზმელი მეფე, არასაკმაოდ ძლიერია.

ჰოდა, აი, მოიმკეთ ახლა, ბატონო «ჰუმანურო» კადეტებო, ის, რაც დათესეთ. თქვენ დაუმტკიცეთ ცარიზმს, რომ ის სუსტია «ნაციონალური» ამოცანების დაცვაში: ცარიზმი გიჩვე-

ნებთ ახლა თქვენ თავის ძალას სხვა ერების ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ დევნაში. თქვენს ნაციონალიზმში, ნეოსლავიზმში და სხვა — იყო ანგარებითი, ვიწრო-კლასობრივი ბურჟუაზიული დედაარსი და წკრიალა ლიბერალური ფრაზა. ფრაზა ფრაზადვე დარჩა, დედაარსმა კი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა მ ო უ ტ ა ნ ა თვითმპყრობელობის კაცთმოძულე პოლიტიკას.

ლიბერალური ფრაზების შედეგი მუდამ ასეთი იყო და მუდამ ასეთივე იქნება. ისინი მხოლოდ ა ფ ე რ ა დ ე ბ ე ნ ბურჟუაზიის ვიწრო ანგარებასა და უხეშ ძალადობას; ისინი მხოლოდ ხელოვნური ყვავილებით ამკობენ ხალხის ბორკილებს; ისინი მხოლოდ აბრუებენ ხალხის შეგნებას და ხ ე ლ ს უ შ ლ ი ა ნ ხალხს მისი ნამდვილი მტრის გამოცნობაში.

მაგრამ მეფის პოლიტიკის თვითეული ნაბიჯი, მესამე სათათბიროს არსებობის ყოველი თვე სულ უფრო და უფრო ულმობლად აქარწყლებს ლიბერალურ ილუზიებს, სულ უფრო და უფრო ააშკარავებს ლიბერალიზმის უძლურებასა და სიდამპლეს, სულ უფრო და უფრო ფართოდ და უხვად აბნევს პროლეტარიატის ახალი რევოლუციის თესლს.

მოვა დრო — ფინეთის თავისუფლებისათვის, რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკისათვის აღსდგება რუსეთის პროლეტარიატი.

«სოციალ-დემოკრატ» № 13,
1910 წ. 26 აპრილი (9 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

არმიისათვის შიშობენ

სათათბიროში გამართული კამათი მეფის მთავრობის მიერ ძირითად კანონთა 96-ე მუხლის დარღვევის შესახებ სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების შეკითხვის გამო, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ მან უკვე იმდენად დაასურათა საქმის მდგომარეობა, გაზეთებმა უკვე იმდენი იხმაურეს სტოლიპინის ყბადაღებულ «31 მარტის დეკლარაციაზე», რომ სავსებით მართებული იქნება შევჩერდეთ სამი ივნისის რეჟიმის ისტორიის ამ საგულისხმო ეპიზოდზე.

სათათბიროს ჩვენი ფრაქცია სავსებით მართალი იყო, როცა მთავრობას წაუყენა შეკითხვა მის მიერ ძირითად კანონთა 96-ე მუხლის დარღვევის შესახებ და ა მ დ ე ნ ა დ თითქოს გამოვიდა კანონიერების «დასაცავად», «სამართლის დასაცავად», «სამი ივნისის ლეგალობის დასაცავად» და სხვა და სხვა. ვამბობთ: «ამდენად» მეთქი, რადგან სოციალ-დემოკრატები აქ, უეჭველია, ხელს ჰკიდებდნენ რთულ ამოცანას, რომლის ხელის მოკიდებაც უ ნ დ ა შ ე გ ვ ე ძ ლ ო ს;—იყენებდნენ, უეჭველია, ორლესულ იარაღს, რომელსაც შეეძლო, — თუ მხმარებელნი სულ მცირეოდენ შეცდომას ჩაიდენდნენ, ანდა მას თუნდაც მარჯვედ ვერ გამოიყენებდნენ, — თვით იარაღის მატარებელი დაეჭრა, — უმეტაფორებოდ რომ ვთქვათ: შეეძლო სოციალ-დემოკრატია შეუმჩნევლად ჩამოეშორებინა კლასობრივი ბრძოლის პოზიციიდან და გადაეყვანა ლიბერალიზმის პოზიციაზე.

სოციალ-დემოკრატები ასეთ შეცდომას ჩაიდენდნენ, მათ მიერ ძირითადი კანონების «დაცვაზე» რომ უბრალოდ ელა-

პარაკნათ, ამ «დაცვის» განსაკუთრებული ხასიათის განუმარტავად. სოციალ-დემოკრატები კიდევ უფრო დიდ შეცდომას ჩაიდენდნენ, მათ რომ ძირითადი კანონების ან საზოგადოდ კანონიერების დაცვიდან გამოეყვანათ «ლეგალობისათვის ბრძოლის» მსგავსი თავისებური ლოზუნგი, — ეს კადეტური ამბავი იქნებოდა.

საბედნიეროდ, ჩვენს სათათბიროელ ამხანაგებს არც ერთი და არც მეორე შეცდომა არ მოსვლიათ. შეკითხვის გამო გამოსულმა პირველმა ორატორმა, გეგეჭკორმა, სპეციალურად დაიწყო იმით, რომ გაარკვია ძირითადი კანონების სასარგებლოდ სოციალ-დემოკრატიული გამოსვლის განსაკუთრებული ხასიათი. გეგეჭკორმა მეტად მარჯვედ დაიწყო დამაბეზღებელი სიტყვით, რომელიც გრაფმა ბობრინსკიმ წარმოთქვა გაერთიანებული თავადაზნაურობის ყრილობაზე, სადაც იგი მეტად აშკარა გადაკრული სიტყვით ლაპარაკობდა სოციალ-დემოკრატებზე და გოდებდა, აუცილებელია «ეს შფოთიანი ხალხი სახელმწიფო სათათბიროს წიაღს მოვაშოროთო». «მე ვაცხადებ, — უპასუხა გეგეჭკორმა, — რომ მიუხედავად დაბეზღებისა, მიუხედავად ძალადობისა და მუქარისა, ფრაქცია, რომელიც ამ შენობაში გამართული სხდომების მონაწილეა, ერთი ბეწოთიც კი არ დაიხევს უკან მუშათა კლასის ინტერესების დაცვის იმ ამოცანებიდან და მიზნებიდან, რაც მას წინასწარ დასახული აქვს».

ბობრინსკი მთავრობას მოუწოდებდა სათათბიროდან გაეძევოს ისინი, ვინც სისტემატურ აგიტაციას ეწევა სამი ივნისის კანონიერების წინააღმდეგ. გეგეჭკორმა დაიწყო იმის განცხადებით, რომ ვერც ძალადობა და ვერც მუქარა სოციალ-დემოკრატიას ვერ აიძულებს თავის საქმიანობას გადაუხვიოს.

გეგეჭკორმა სპეციალურად გაუსვა ხაზი: «ჩვენ, რა თქმა უნდა უფრო ნაკლებად, ვიდრე სხვა ვინმე, ვზრუნავთ მესამე სახელმწიფო სათათბიროს ავტორიტეტის შენარჩუნებისათვის, თუ კი ასეთი ავტორიტეტი არსებობს»... «სწორედ ჩვენ, არსებული პოლიტიკური წყობილების პრინციპული მოწინააღ-

მდეგენი, პროტესტს ვაცხადებდით ყოველთვის, როცა რეაქცია ცდილობდა თავის სასარგებლოდ შეეკვეცა სახალხო წარმომადგენლობის უფლებები»... «როცა ძირითად კანონებს აშკარად ხელყოფენ, ჩვენ, ძირითადი კანონების პრინციპული მოწინააღმდეგენი, იძულებული ვართ დავიცვათ ეს კანონები». და თავისი სიტყვის დასასრულს გეგეჭკორმა, გაემიჯნა რა ლეგალობის ფეტიშისტებს, თქვა:... «თუ ჩვენ ეს შეკითხვა შემოგვაქვს, თუ ჩვენ მივმართავთ ექსკურსებს ან იურიდიულ განმარტებათა სფეროს, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ გამოვააშკარაოთ მთავრობის თვალთმაქცობა» (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 1988)...

გეგეჭკორმა თანამიმდევრობით გამოხატა სოციალისტების დემოკრატიული, რესპუბლიკური შეხედულებანი, როცა თქვა: «ჩვენი კანონები მხოლოდ მაშინ იქნება მოსახლეობის მასების ინტერესთა და მოთხოვნილებათა შესაბამისი, როცა ისინი ნაკარნახევი იქნება ხალხის უშუალო ნებასურვილითო», და «ხმაურობამ მარჯვნივ», რასაც სტენოგრაფიული ანგარიში ამ ადგილას აღნიშნავს, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ისარი მიზანს მოხვდა.

ხოლო მეორე სოციალ-დემოკრატმა ორატორმა, ამხ. პოკროვსკიმ, კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით თქვა თავის სიტყვაში, როცა შეკითხვის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა: «დაე მათ (ოქტიაბრისტებმა) ეს პირდაპირ და აშკარად გააკეთონ, დაე გულახდილად მიიღონ მემარჯვენეთა ლოზუნგი: «ძირს სახალხო წარმომადგენლობის უფლებები, გაუმარჯოს მინისტრის მისაღებ ოთახსო». ეჭვი არ არის, უმრავლესობა იმისათვის მუშაობს, რომ რუსეთში შექმნას ისეთი მომენტი, როცა კონსტიტუციური ილუზიები სავსებით გაქრება და დარჩება შავბნელი სინამდვილე, რომლიდანაც რუსი ხალხი სათანადო დასკვნებს გამოიტანს» (მომყავს 1 აპრილის «რეჩის» ანგარიშის მიხედვით).

მთელი საკითხის აი ეს დაყენება მთავრობისა და ოქტიაბრისტების თვალთმაქცობის გამოაშკარავების ნიადაგზე, კონსტიტუციური ილუზიების გაქარწყლების ნიადაგზე, არის ერ-

თადერთი სწორი სოციალ-დემოკრატიული დაყენება შეკითხვისა ძირითად კანონთა 96-ე მუხლის დარღვევის შესახებ, შეკითხვისა, რომელიც შეტანილია III სათათბიროში. ჩვენს პარტიულ აგიტაციაში, მუშათა კრებებზე, წრეებსა და ჯგუფებში, ბოლოს, კერძო საუბრებშიც სრულიად შეუკავშირებელ მუშებთან სათათბიროს ამბების გამო, აუცილებლად საჭიროა პირველ რიგში ვაყენებდეთ საქმის სწორედ ამ მხარეს, აუცილებლად საჭიროა განვმარტავდეთ მუშათა პარტიის როლს, პარტიისა, რომელიც ააშკარავებს ბურჟუაზიულ-შავრაზმულ თვალთმაქცობას ყველაზე უფრო ბურჟუაზიულ-შავრაზმულ სათათბიროში. რამდენადაც ამგვარ სათათბიროში არ შეიძლებოდა მომხდარიყო საკითხის სრული სიცხადით დაყენება და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისის მთელი სისრულით გადმოცემა, ამდენად ჩვენი ამოცანაა შევავსოთ თავრიდის სასახლის ტრიბუნაზე ჩვენი ამხანაგების ნათქვამი და მასებში პოპულარიზაცია გავუწიოთ, მასებისათვის გასაგები და ახლობელი გავხადოთ მათი გამოსვლები.

რაში მდგომარეობს 96-ე მუხლის დარღვევის ისტორიის დედაარსი? ეს მუხლი არის «კანონთა» მე-9 თავში და განსაზღვრავს საერთო წესის გამონაკლის შემთხვევებს, შემთხვევებს, როცა სამხედრო და სამხედრო-საზღვაო უწყებათა დებულებანი და განაწესები მეფეს წარედგინება უშუალოდ და არა სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით. ახალი ხარჯები მოითხოვს ასიგნებებს (ნებართვას) სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებით — აი რაში მდგომარეობს ეს მუხლი.

ამ ერთი წლის წინათ სახელმწიფო სათათბიროში საზღვაო გენერალური შტაბის შტატებს იხილავდნენ. ცხარე დავა გაიმართა იმაზე, შედის თუ არა ამ შტატების დაწესება სათათბიროს გამგებლობაში. მემარჯვენეები (შავი რაზმი) ამტკიცებდნენ, რომ არ შედის, რომ სათათბიროს უფლება არა აქვს ჩაერიოს ამაში, რომ ის ვერ გაბედავს ხელყოს არმიის «მბრძანებელი ბელადის», ე. ი. მეფის უფლებები, რომელსაც

მხოლოდ ერთადერთს, ყოველგვარი სათათბიროს გარეშე, აქვს უფლება დაამტკიცოს სამხედრო და საზღვაო შტატებიო.

ოქტიაბრისტები, კადეტები და მემარცხენეები ამტკიცებდნენ, რომ ეს სათათბიროს უფლებაა. მაშასადამე, საკითხი შეეხებოდა იმას, რომ შავ რაზმს, ნიკოლოზ მეორის მეთაურობით, უნდოდა შეზღუდულად განემარტა სათათბიროს უფლებები, უნდოდა შეეკვეცა სათათბიროს უკვე ისედაც წარმოუდგენლად შეკვეცილი უფლებები. შავრაზმელმა მემამულეებმა და მათ სათავეში მდგომმა ყველაზე მდიდარმა და ყველაზე შავრაზმელმა მემამულემ, ნიკოლოზ რომანოვმა, კერძო, წვრილმანი საკითხი აქციეს პრინციპის საკითხად, მეფის უფლებების საკითხად, თვითმპყრობელობის უფლებების საკითხად, მათ ბრალად დასდეს ბურჟუაზიას (და ოქტიაბრისტულ ბურჟუაზიასაც კი) მეფის უფლებების შეკვეცის, მისი ძალაუფლების შეზღუდვის, «არმიის ბელადის არმიისაგან ჩამოცილების» განზრახვა და სხვ.

განემარტათ მეფის ძალაუფლება სრულიად შეუზღუდველი თვითმპყრობელობის მნიშვნელობით, სავსებით ძველებურად, თუ მეფის ძალაუფლების თუნდაც ყველაზე მცირეოდენი შეზღუდვის აზრით, — აი სადამდე მივიდა დავა. და ეს დავა ამ ერთი წლის წინათ გამწვავდა და თითქმის «პოლიტიკურ კრიზისად» იქცა, ე. ი. გამოიწვია მუქარა გაეძევებინათ სტოლიპინი, რომელსაც შავრაზმელები ბრალად სდებდნენ «კონსტიტუციონალიზმს», მუქარა გაერეკათ ოქტიაბრისტთა სათათბირო, რომელთაც შავი რაზმი «ახალგაზრდა თურქებს»[65] უწოდებდა.

სახელმწიფო სათათბირომაც და სახელმწიფო საბჭომაც დაამტკიცეს საზღვაო გენერალური შტაბის შტატები, ე. ი. ეს საკითხი თავიანთი დაქვემდებარების საკითხად სცნეს. ყველანი ელოდებოდნენ, დაამტკიცებდა თუ არა ნიკოლოზ II სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას. 1909 წ. 27 აპრილს ნიკოლოზ მეორემ გასცა რესკრიპტი სტოლიპინისადმი, უარი უთხრა შტატების დამტკიცებაზე და

მინისტრებს დაავალა შეემუშავებინათ 96-ე მუხლის გამოყენების «წესები».

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე ერთხელ კიდევ და კიდევ აშკარად და გადაჭრით დადგა შავი რაზმის მხარეზე და გაილაშქრა თავისი ძალაუფლების შეზღუდვის სულ მცირეოდენი ცდების წინააღმდეგაც კი. მინისტრებისათვის ახალი წესების შედგენის მინდობა იყო თავხედური ბრძანება დ ა ე რ ღ ვ ი ა თ კ ა ნ ო ნ ი, განემარტათ იგი ისე, რომ ის გაქარწყლებული ყოფილიყო, «განემარტათ» ის რუსეთის სენატის ყბადაღებულ «განმარტებათა» აზრით. ამასთან, რა თქმა უნდა, ნათქვამი იყო, რომ წესები უნდა დარჩეს «ძირითადი კანონების ფარგლებში», მაგრამ ეს სიტყვები ყოვლად აღმაშფოთებელი თვალთმაქცობა იყო. მინისტრებმა ისეთი «წესები» შეიმუშავეს, — და მეფე ნიკოლოზ მეორემ ისინი დაამტკიცა (მათ ეწოდება 1909 წ. 24 აგვისტოს წესები, მათი დამტკიცების დროის მიხედვით), — რომ კანონი გვერდავლილი აღმოჩნდა! იმ «წესების» განმარტების თანახმად, რომლებიც ყოველგვარი სათათბიროს გარეშე დაამტკიცეს, ძირითად კანონთა 96-ე მუხლი გაქარწყლებული აღმოჩნდა! ამ «წესების» თანახმად, სამხედრო და საზღვაო შტატები სათათბიროს გამგებლობიდან ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი აღმოჩნდა.

გამოვიდა ჩინებული სურათი რუსეთის «კონსტიტუციის»: მთელი მოჩვენებითობისა, შავი რაზმის მთელი თავხედობისა, შავ რაზმთან მეფის სრული სიახლოვისა, თვითმპყრობელობის მიერ ძირითადი კანონების სრული აბუჩად აგდებისა. რა თქმა უნდა, 1907 წლის 3 ივნისის გადატრიალებამ უკვე მოგვცა ასმაგად უფრო ნათელი, უფრო დასრულებული, ხალხის ფართო მასებისათვის უფრო მისაწვდომი და აშკარა სურათი ამ თემაზე. რა თქმა უნდა, თუ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში ვერ შეძლეს შეეტანათ შეკითხვა 3 ივნისის აქტით ძირითადი კანონების დარღვევის შესახებ, — ვერ შეძლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა და ტრუდოვიკებმა, მათ შორის, არ მისცეს ხელისმოწერათა საკმაო რიცხვი, რათა შეეგროვებინათ შეკითხვისათვის საჭი-

რო ოცდაათი სახელი, — ეს მოწმობს სპეციალურად სათათბირო ფორმით წარმოებული პროპაგანდისა და აგიტაციის ფარგლების მთელ სივიწროვეს. მაგრამ 3 ივნისის აქტის შესახებ შეკითხვის შეტანის შეუძლებლობამ სოციალ-დემოკრატებს ხელი ვერ შეუშალა ყოველთვის დაეხასიათებინათ თავიანთ სიტყვებში ეს აქტი, როგორც სახელმწიფო გადატრიალება. და, რასაკვირველია, იმის გამოაშკარავებაზე უარის თქმა, თუ როგორ აბუჩად იგდებს თვითმპყრობელობა ძირითად კანონებსა და სახალხო წარმომადგენლების უფლებებს, სოციალ-დემოკრატებს არ შეეძლოთ და არც უნდა მოქცეულიყვნენ ასე შედარებით კერძო საბაბის გამოც კი.

სამაგიეროდ ისეთმა შედარებით უმნიშვნელო, წვრილმანმა საკითხმა, როგორც საზღვაო გენერალური შტაბის შტატების საკითხია, განსაკუთრებული სიმწვავით გაუსვა ხაზი ჩვენებური კონტრრევოლუციის მთელ მგრძნობიარობას, — ხაზი გაუსვა მის შ ი შ ს ა რ მ ი ი ს ა თ ვ ი ს. ოქტიაბრისტმა მომხსენებელმა სათათბიროში, ბ-ნმა შუბინსკიმ, თავის მეორე სიტყვაში 26 მარტს სრულიად გარკვეულად იბრუნა პირი შავრაზმელებისაკენ, გამოამჟღავნა, რომ სწორედ ა რ მ ი ი ს ა თ ვ ი ს შ ი შ მ ა გამოიწვია კონტრრევოლუციის ეს უკიდურესი მგრძნობიარობა იმ საკითხისადმი, დასაშვებია თუ არა წარმომადგენლობითი დაწესებულებების სულ მცირეოდენი ჩარევა სამხედრო და საზღვაო შტატების დამტკიცებაში... «რუსეთის არმიის მპყრობელი ბელადის სახელი ნამდვილად დიდი სახელია»... — წამოიძახა ნიკოლოზ სისხლიანის ბურჟუაზიულმა ლაქიამ. ...«რაც არ უნდა ამტკიცოთ აქ თქვენ (სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა), რანაირი სიტყვებიც არ უნდა თქვათ იმაზე, რომ უნდათ ვიღაცას რაღაც უფლებები წაართვანო, არმიას მაინც ვერ წაართმევთ მის მპყრობელ ბელადს».

და სტოლიპინიც თავის 31 მარტის «დეკლარაციაში», თუმცა შეეცადა თავისი პასუხი დაეხლართა ყოვლად ლიტონი, ბრაფრისმთქმელი და აშკარად ცრუ სიტყვებით «დამშვიდების» და რეპრესიების თითქოსდა შესუსტების შესახებ, —

მაინც სავსებით გარკვეულად დადგა შავრაზმელთა მხარეზე. სათათბიროს უფლებების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. თუ ოქტიაბრისტები სტოლიპინის თანახმა აღმოჩნდნენ, ეს ახალი ამბავი როდია. მაგრამ თუ ბბ. მილიუკოვისა და კომპანიის «რეჩმა» სტოლიპინის პასუხს «სახელმწიფო სათათბიროს უფლებების მიმართ უფრო შემარიგებლური» უწოდა (1 აპრილის № 89 — სარედაქციო სტატია, რომელიც მოწინავეს მისდევს), — ჩვენს წინაშე იმის ზედმეტი ნიმუშია, თუ რამდენად დაეცა კადეტური პარტია. «უკანასკნელი წლების ისტორია გვიჩვენებს, — ამბობდა სტოლიპინი, — რომ რევოლუციის ჟანგმა ვერ შეძლო ჩვენი არმიის შერყევა»... ვერ შეძლო შერყევაო — ეს ფაქტიურად სწორი არ არის, რადგან 1905 — 1906 წლების ჯარისკაცთა და მატროსთა აჯანყებების საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები, მაშინდელი რეაქციული პრესის საყოველთაოდ ცნობილი გამოხმაურებანი მოწმობენ, რომ რევოლუცია ა რ ყ ე ვ დ ა არმიას და, მაშასადამე, შ ე ე ძ ლ ო შ ე ე რ ყ ი ა ის. ბოლომდე ვერ შეარყია — ეს ასეა. მაგრამ თუ 1910 წლის კონტრრევოლუციის გამძაფრების დროს, ჯარის უკანასკნელი «მღელვარების» რამდენიმე წლის შემდეგ, სტოლიპინი ამბობს (იმავე დეკლარაციაში), რომ ის «რ ა მ დ ე ნ ი მ ე წ ი ნ ა ო რ ა ტ ო რ ი ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მ ო ს მ ე ნ ი ს ა ს შ ე მ ა შ ფ ო თ ე ბ ე ლ მ ა ა ზ რ მ ა შ ე ი პ ყ რ ო», რომ ეს «შემაშფოთებელი აზრი» მდგომარეობს «ჩვენი შეიარაღებული ძალების მიმართ სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფაქტორის რაღაც უთანხმოების ცუდ შთაბეჭდილებაშიო», ეს სავსებით ააშკარავებს სტოლიპინს და ნიკოლოზ მეორის სასახლის მთელ შავრაზმულ ბრბოს მასთან ერთად! ეს მოწმობს, რომ მეფის ბრბო არათუ კვლავ შიშობს, არამედ კვლავ პირდაპირ ძ რ წ ი ს ა რ მ ი ი ს ა თ ვ ი ს. ეს მოწმობს, რომ კონტრრევოლუცია დღემდე მტკიცედ განაგრძობს სამოქალაქო ომის თვალსაზრისზე დგომას, ხალხის აღშფოთების სამხედრო ძალით ჩასახშობად სახსრების უშუალო და საარსებო საჭიროების თვალსაზრისზე დგომას. ჩაუკვირდით სტოლიპინის შემდეგ ფრაზას:

«ისტორია... გვასწავლის, რომ არმია ირღვევა მაშინ, როცა ის ერთიანი აღარ არის ერთი წმინდათაწმინდა ნებისადმი მორჩილებაში. შეიტანეთ ამ პრინციპში დაეჭვების შხამი, ჩააგონეთ არმიას თუნდაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად ის აზრი, რომ მისი მოწყობა დამოკიდებულია კოლექტიურ ნებაზე, და მისი ძლიერება აღარ იქნება დაყრდნობილი უცვლელ ძალაზე — უზენაეს ხელისუფლებაზე». და მეორე ადგილას: «მე ვიცი, ბევრს უნდოდა... გამოეწვია ჩვენი არმიისათვის დამღუპველი დავა უფლებების შესახებ» (სახელდობრ: სახელმწიფო სათათბიროს უფლებების, «კოლექტიური ნების» უფლებების შესახებ).

როგორც კაცისმკვლელთ ეზმანებათ თავის მსხვერპლთა აჩრდილები, ისევე კონტრრევოლუციის გმირებს აგონდებათ «კოლექტიური ნების» «დამღუპველი» გავლენა არმიაზე. სტოლიპინს, როგორც შავი რაზმის ერთგულ მსახურს, ოქტიაბრისტთა სახით ელანდება «ახალგაზრდა თურქები», რომლებიც იწვევენ «არმიის რღვევას» კოლექტიური ნებისადმი მისი დამორჩილების გზით, ასეთი დამორჩილების შესახებ «ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრის» დაშვების გზით!

სამი ივნისის მონარქიის ჯალათები და კაცისმკვლელები ცხადლივ ბოდავენ, ისინი პირდაპირ გაცოფებამდე მისულან, თუ კი მათ ოქტიაბრისტთა სახით ახალგაზრდა თურქები ელანდებათ. მაგრამ ეს ბოდვითი იდეები, ეს გაცოფება პოლიტიკური ავადმყოფობაა, რომელიც წარმოშობილია საკუთარი მერყევი მდგომარეობის გრძნობით, არმიისათვის მწვავე შიშის გრძნობით. ამ ვაჟბატონ სტოლიპინებს, რომანოვებსა და კომპანიას ასე თუ ისე უნარი რომ ჰქონოდათ თუნდაც ოდნავი გულგრილობით მოჰკიდებოდნენ არმიისადმი «კოლექტიური ნების» დამოკიდებულების საკითხს, ისინი მაშინვე დაინახავდნენ, რომ საზღვაო შტატების შესახებ სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებათა უხმო დამტკიცება მეფის მიერ, არმიისათვის ათჯერ უფრო ნაკლებ შესამჩნევად ჩაივლიდა, ვიდრე სათათბიროს კამათი სა-

თათბიროს უფლებების საკითხზე, «არმიის» შესაძლებელი «რღვევის» საკითხზე. მაგრამ ჩვენებური კონტრრევოლუციის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი თვითონ ამჟღავნებს თავის თავს თავისი შიშით, რომ მას ისევე არ შეუძლია მშვიდად მოეკიდოს არმიის რღვევის საკითხს, როგორც კაცისმკვლელს არ შეუძლია მშვიდად მოისმინოს ლაპარაკი მკვლელობის მონაწილეთა და ვითარების შესახებ.

საზღვაო შტატების შედარებით წვრილმანი და უმნიშვნელო საკითხი პრინციპულად დააყენეს სწორედ შავრაზმელებმა, დააყენა ნიკოლოზ მეორემ, დააყენა ბ-ნმა სტოლიპინმა, და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ კმაყოფილება გამოვთქვათ მათი შიშით გამოწვეული მათი მოუხერხებლობის გამო. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ამხ. პოკროვსკის ჩინებული სიტყვები «კონსტიტუციური ილუზიების» დაღუპვის შესახებ, იმის შესახებ, რომ ხალხისთვის აუცილებლად საჭიროა თვითონვე გააკეთოს დასკვნები უეჭველი «შავი სინამდვილიდან», შევადაროთ «მოსკოვსკიე ვედომოსტის» თავისი გულახდილობით ჩინებულ მსჯელობას «31 მარტის დეკლარაციის» შესახებ.

3 აპრილის მოწინავე სტატიაში ეს გაზეთი წერს:

...«თვითონ ეს საქმე, როგორც ჩვენ ჯერ კიდევ შარშან გამოვარკვიეთ, ძალიან მარტივია. ხელმწიფე იმპერატორმა არ დაამტკიცა საკანონმდებლო წესით გატარებული შტატების საქმე, და ისინი დაადგინა უზენაესი მმართველობის წესით, რაზედაც არსებული კანონიც კი (რომ არც შევეხოთ უზენაესი ხელისუფლების ბუნებრივი უფლებების საკითხს) აშკარა რწმუნებებს იძლევა»...

აი. აი. რუსეთის მონარქიის «ბუნებრივი უფლებაა» დაარღვიოს ძირითადი კანონები. ეს არის თავი და თავი.

...«მაგრამ სათათბიროს ოპოზიციას თავხედობა შესწევდა ამის გამო შეეტანა შეკითხვა, რომელიც უზენაესი ხელისუფლების მოქმედებას შეეხებოდა»...

დიახ! «მოსკოვსკიე ვედომოსტი» მართებულად ამბობს ბოლომდე იმას, რის საესებით თქმა არ შეეძლოთ სათათბი-

როში სოციალ-დემოკრატებს. შეკითხვა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მეფის (და მინისტრ სტოლიპინის, რომელიც მას დაემორჩილა) მოქმედება აღიარებული ყოფილიყო ძირითადი კანონების დარღვევად.

შემდეგ, «მოსკოვსკიე ვედომოსტი» თავს ესხმის «რევოლუციურ ოპოზიციას» და «რევოლუციურ პრესას» ხალხის უფლებების რევოლუციის გზით მ ო პ ო ვ ე ბ ი ს თეორიისათვის და უარყოფს, თითქოს «31 მარტის დეკლარაციაში» შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე «დაპირება».

...«თვით მითქმა-მოთქმა «დაპირებათა» შესახებ სასაცილოა და გამოხატავს იმას, თუ რამდენად რევოლუციურად დაბნელებიათ გონება ისეთ პირთაც კი, რომლებიც ოფიციალურად რევოლუციურ ბანაკს არ ეკუთვნიან. სახელდობრ რა «დაპირებების» გაცემა შეუძლია კაბინეტს?.. კაბინეტი, უზენაესი ხელისუფლების ხელმძღვანელობის ერთგული, თავის კანონიერ მოვალეობას შეასრულებს... და შეიძლება მხოლოდ ვისურვოთ, რომ სათათბირომ უ ფ რ ო ღ რ მ ა დ გაიგოს ამ დეკლარაციის მთელი აზრი და ამით დეკლარაციამ დახმარება გაუწიოს ბბ. დეპუტატთა განკურნებას რევოლუციური «დირექტივების» ძველისძველი გადამდები სენისაგან».

სწორედ რომ ასეა: მთავრობის დეკლარაციის და (პოზიციის) უ ფ რ ო ღ რ მ ა დ გაგება და მისი საშუალებით კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ილ უ ზ ი ე ბ ი ს ა გ ა ნ «განკურნება» — სწორედ ამაში მდგომარეობს კიდეც 96-ე მუხლის დარღვევის შესახებ სოციალ-დემოკრატების შეკითხვის პოლიტიკური გაკვეთილი.

«სოციალ-დემოკრატ» № 13, 1910 წ. 26 აპრილი (9 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

პარტიული გაერთიანება საზღვარგარეთ

საზღვარგარეთის ბაზა საჭირო და აუცილებელია იმ პარტიისათვის, რომელიც ისეთ პირობებში მოქმედებს, როგორშიც ჩვენი პარტია. ამას საჭიროდ მიიჩნევს ყველა, ვინც პარტიის მდგომარეობას ჩაუფიქრდება. რაოდენ პესიმისტურადაც უნდა უყურებდნენ რუსეთში მყოფი ამხანაგები «საზღვარგარეთს», მაინც იმის ცოდნა, რაც აქ ხდება, განსაკუთრებით ამას წინათ შემდგარი პლენუმის შემდეგ, მათთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

მიღწეულია თუ არა გაერთიანება საზღვარგარეთ? არა. და მეტად უბრალო მიზეზის გამო: ერთ-ერთი მხარე — გოლოსელები — არავითარ სურვილს არ იჩენს ხელი შეუწყოს ცენტრალური კომიტეტის ერთსულოვან მოწოდებას საზღვარგარეთ გათიშვის აღმოფხვრის შესახებ. ფრაქციული «გოლოსი», მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებისა, არ დახურულა, თუმცა პლენუმზე მისმა ერთ-ერთმა რედაქტორმა, ამხ. მარტოვმა, ოფიციალურად განაცხადა (იხ. პლენუმის ოქმები), რომ ყოველ შემთხვევაში იგი შეეცდებოდა მისი გამოცემის დროებით შეჩერებას *. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის

* აი ეს განცხადება ტექსტუალურად:

«ამხ. მარტოვი აცხადებს, რომ თუმცა მას ფორმალურად «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის სახელით არ შეუძლია ილაპარაკოს, მაგრამ თავისი სახელით პირადად აცხადებს, რომ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციაში არ იქნება დაბრკოლება, რათა «გოლოსის» უახლოესი ნომრის გამოშვების შემდეგ დროებით (ორი თვით ან

ბიურომ ვერც კი მოასწრო რაიმე ნაბიჯი გადაედგა გაერთიანებისაკენ, რომ «გოლოსის» ოთხმა რედაქტორმა (ორი მათგანი ცენტრალური ორგანოს რედაქციაშიც შედის!!) გამოუშვა მანიფესტი, რომელიც შეიცავს ცუდად დაფარულ მოწოდებას ხელი არ შეუწყონ გაერთიანებას. ასევე მოიქცა საზღვარგარეთ არსებული «სჯცბ» («საზღვარგარეთის ჯგუფების ცენტრალური ბიურო», რომელიც 1½ წლის წინათ აირჩიეს ბაზელში მენშევიკების ფ რ ა ქ ც ი უ ლ ყრილობაზე). ეს «სჯცბ» ახლა არათუ ყველა მენშევიკს, არამედ მხოლოდ მათს გოლოსურ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ «გოლოსის» მხრივ მხარდაჭერით ის საკმაოდ ძლიერი გამოდის იმისათვის, რომ გაერთიანება ჩაფუშოს. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს დარჩენია მიმართოს თვით ჯგუფებს, პარტიულ ელემენტებს და, პირველ რიგში, მუშებს. მაგრამ — იმ მიზეზების გამო, რომლებზედაც ქვემოთ ვლაპარაკობთ — ეს არ კეთდება, ანდა მეტად არადამაკმაყოფილებლად კეთდება. კვლავინდებურად ცენტრალურ კომიტეტს საზღვარგარეთ შეუძლია ჯერჯერობით მხოლოდ ბოლშევიკური ჯგუფებისაგან მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. მაგრამ მათ ბოლო დროს ემატებიან მენშევიკ-პარტიელები, ლიკვიდატორობის მტრები (მეტწილად ესენი ამხ. პლეხანოვის «დნევნიკის» მომხრენი არიან).

მენშევიკთა შორის საზღვარგარეთ პრინციპულ დაყოფას ფენებად, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სიმპტომს, როგორც იმის გამოხატულებას, რაც ხდება — შესაძლოა, ნაკლები სიცხადით — რუსეთშიც. მენშევიკ-პარტიელებმა ამის გამო უკვე მთელი რიგი რეზოლუციები გამოიტანეს. აი მათი რამდენიმე ამონაწერი. პარიზელი მენშევიკი-ანტიგოლოსელები (ისინი 20 კაცამდეა) წერენ: «...ამ ორგანოს («გოლოსის») მე-19 — 20 ნომერში უდავოდ ისახება

მეტი ხნით) შ ე ჩ ე რ დ ე ს «გოლოსის» გამოცემა ცდის სახით, რათა დაველოდოთ ცენტრალური ორგანოს ახალი რედაქციის მუშაობის შედეგებს».

ახალი კურსი, სხვათა შორის, ამხ. დანის სტატიაში «ლეგალობისათვის ბრძოლა», რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ლოზუნგებს ცვლის სპეციფიკური, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორაზროვანი ლოზუნგით, რაც, როგორც ორი წვეთი წყალი, მოგვაგონებს «ეკონომიური» პერიოდის ლოზუნგს: ბ რ ძ ო ლ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს»... «ლიკვიდატორობამ, რასაც «გოლოსის» რედაქცია დღემდე უარყოფდა, აშკარა გამოხატულება ჰპოვა ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში». ჟენეველი მენშევიკ-პარტიელნი (14 კაცი) ფიქრობენ, «რომ ფრაქციული «გოლოს სოციალ-დემოკრატას» გამოცემის შეწყვეტა პარტიული ერთიანობის განმტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს».

ნიცელ მენშევიკ-პარტიელთა ჯგუფი (ერთხმად) თვლის, რომ «ამ ორგანოს («გოლოსის») მე-19 — 20 ნომერში ლიკვიდატორობამ უკვე აშკარა გამოხატულება ჰპოვა მთელ რიგ სტატიებში. «გოლოს სოციალ-დემოკრატას» ასეთი პოზიცია ჯგუფს საზიანოდ მიაჩნია და ყოველგვარ მხარდაჭერაზე უარს ეუბნება მას. ჯგუფი აღშფოთებულია მიხეილის, რომანისა და იურის საქციელით, რომლებმაც უკანასკნელი პარტიული ყრილობის ნდობა არ გაამართლეს და ლიკვიდატორული ტენდენციები მათი პრაქტიკული გამოვლინების მხრივ საშინელ დასასრულამდე მიიყვანეს». სან-რემოს მენშევიკ-პარტიელთა ჯგუფი «ერთხმად უარს ამბობს აღნიშნული გამოცემისადმი («გოლოსისადმი») ყოველგვარ მხარდაჭერაზე, რადგან არ იზიარებს მის ლიკვიდატორულ ტენდენციებს. ჯგუფს არ შეუძლია შეაკავოს ის აღშფოთება, რაც მიხეილის, რომანისა და იურის საქციელმა გამოიწვია». ლიეჟელი მენშევიკ-პარტიელნი თავიანთ რეზოლუციაში წერენ: «სტივა ნოვიჩის წერილი და თ. დანის სტატია «ლეგალობისათვის ბრძოლა» («გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში) სავსებით განსაზღვრავენ ორგანოს ანტიპარტიულ მიმართულებას... «გოლოს სოციალ-დემოკრატა» წარმოადგენს ცენტრს, რომლის ირგვლივ ჯგუფდებიან ლიკვიდატორული მიმდინარეობანი». ასეთსავე თვალსაზრისზე დგას მენშევიკური ჯგუფის მნიშვ-

ნელოვანი ნაწილი ციურიხში და ჯგუფის უმრავლესობა ბერნში. მენშევიკ-პარტიელთა მომხრენი სხვა ქალაქებშიც არიან.

მხოლოდ პ ა რ ტ ი უ ლ ი მენშევიკების ამ ელემენტების შემჭიდროებით ბოლშევიკებთან და ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე არაფრაქციულ პ ა რ ტ ი ე ლ ე ბ თ ა ნ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურო შესძლებდა შედეგებისათვის მიეღწია, შესძლებდა რუსეთში მუშაობას დახმარებოდა. სწორედ აქეთკენ მოუწოდებენ კიდეც საზღვარგარეთელი ბოლშევიკები ყველა ამხანაგს (იხ. პარიზის მეორე ჯგუფის რეზოლუცია)[66]. ბრძოლა გოლოსელებთან, რომლებიც გაერთიანებას ჰფუშავენ, და ოტზოვისტ-ულტიმატისტებთან, რომლებიც «დისკუსიონნი ლისტოკის» რედაქციიდან და სკოლის საერთო-პარტიული კომიტეტიდან გავიდნენ და პარტიულ ერთიანობას აგრეთვე ძირს უთხრიან, გარდუვალია, ყველა ნამდვილი პარტიელის შემჭიდროების ინტერესებისათვის. ეს საქმე ჯერჯერობით პარტიელთა კერძო ინიციატივაზეა მინდობილი, რადგან ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ უნარი არ აღმოაჩნდა საკანონო პოზიცია დაეკავებინა. ახალი წესდების მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს 5 წევრიდან სამს «ნაციონალები» ნიშნავენ; ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს უმრავლესობის პირად შემადგენლობას პარტიის ცენტრალური კომიტეტი რ ო დ ი განსაზღვრავს, და ამ ნიადაგზე მოულოდნელი სიურპრიზები ხდება. ასე, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს ამას წინათ შემდგარ სესიაზე შეიქმნა უმრავლესობა ცენტრალური კომიტეტის ხაზის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ახალმა უმრავლესობამ ერთი გოლოსელისა და ორი, თითქოსდა, «არაფრაქციული» ნაციონალის შემადგენლობით, უარი თქვა დაედასტურებინა უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ შემუშავებული ჯგუფების გაერთიანების «მოდუსი» (შედგენილი პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით, ე. ი. იმ მოთხოვნით, რომ მთელი სახსრები

გადაცემოდა ცენტრალურ კომიტეტს და არა ფრაქციულ ორგანოებს). ამ უმრავლესობამ უარყო (ბოლშევიკისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატის) წინადადება, რომ ჯგუფებისადმი წერილში წამოეყენებინათ ლოზუნგი: მთელი სახსრები საერთო-პარტიულ დაწესებულებებს და არა ფრაქციულ გაზეთებს (ე. ი. არა «გოლოს სოციალ-დემოკრატას»). ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს 2 წევრის (ბოლშევიკისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატის) მტკიცე პროტესტი, რომლებმაც ეს თავიანთი პროტესტი ცენტრალურ კომიტეტში გადაიტანეს.

«სოციალ-დემოკრატ» № 13, 1910 წ. 26 აპრილი (9 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

ერთ-ერთი დაბრკოლება პარტიული ერთიანობისათვის

მაშინ როდესაც პ ა რ ტ ი უ ლ ი მენშევიკები მთელ რიგ საზღვარგარეთულ ჯგუფებში მჭიდროდ ირაზმებიან და სულ უფრო და უფრო მტკიცედ გამოდიან «გოლოს სოციალ-დემოკრატას» აშკარა ლიკვიდატორული მიმართულების წინააღმდეგ, ვენის «პრავდას» ჯერ კიდევ მაინც ორჭოფულად უჭირავს თავი. მე-12 ნომერში ვპოულობთ სტატიას: «ერთიანობისაკენ — ყველა დაბრკოლების გადალახვით». არ შეიძლება არ მოიწონოთ ის, რომ ამ სტატიაში ვხედავთ ლიკვიდატორობის საშიშროების ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს შესახებ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის შესრულების პირველ, თუმცა მეტად გაუბედავ, მეტად არასრულ, დასაწყისს. მაგრამ სამაგიეროდ სტატიის მთელი პირველი ნაწილი იმის ნიმუშია, თუ რამდენად უფრო შორს არის პარტიულობის დაცვისაგან ზოგიერთი, ვითომდა, არაფრაქციული სოციალ-დემოკრატი, ვიდრე პ ა რ ტ ი უ ლ ი მენშევიკები.

აქ «პრავდა» აშკარა ტყუილს ამბობს, თითქოს ცენტრალური ორგანოს რედაქციამ სტატიაში «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ» * «მთელი შეთანხმება ჩაშლილად» გამოაცხადა. ყველა, ვინც კი ცენტრალური ორგანოს მე-12 ნომერი წაიკითხა, ხედავს, რომ ჩვენ არაფერი ამის მსგავსი არ გამოგვიცხადებია. მენშევიკებთან შეთანხმება იყო იმ პ ი რ ო ბ ი თ, რომ ისინი ცნობდნენ პარტიულობას და გულწრფელად, თანამიმდევრობით დაგმობდნენ ლიკვიდატორობას. «გოლოს

* იხ. ეს ტომი, გვ. 188 — 199. რ ე დ.

სოციალ-დემოკრატამ» და მის თანამოაზრეთა ჯგუფმა რუსეთ-ში ჩაფუშეს ეს შეთანხმება: ზოგმა, როგორც მიხეილმა, რომანმა, იურიმ და სხვებმა რუსეთში, იმით, რომ თვით შეთანხმება აშკარად გამოაცხადეს საზიანოდ («საზიანოა ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციები»; საზიანოა თვით არსებობა ცენტრალური კომიტეტისა; პარტიის ლიკვიდაცია რაღა საჭიროა, როცა ის უკვე ლიკვიდირებულიაო); სხვებმა, როგორც «გოლოსმა», იმით, რომ პირველთა გამოსვლებს იცავენ. მენშევიკ-პარტიელნი, პლეხანოვის მეთაურობით, აუჯანყდნენ გოლოსელებს მათ მიერ შეთანხმების ამ დარღვევის გამო. თუ «პრავდას» მაინც უნდა, «საერთოდ» მენშევიკებზე რომ ლაპარაკობს, წინანდებურად მარტო გოლოსელებს ჰგულისხმობდეს, პლეხანოველებსა და პარტიულ მენშევიკებზე კი სდუმდეს, ამგვარ მოქმედებას ჩვენ ყოველთვის და ყველგან გამოვააშკარავებთ.

«პრავდა» აცხადებს, რომ «არ შეუძლია და არ სურს» კონფლიქტების «განხილვას შეუდგეს» პლენუმის შემდეგ, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ «არ მოეპოვება საჭირო ფაქტიური მასალა მართებული მსჯელობისათვის».

ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: თუ საზღვარგარეთულმა «პრავდამ» დღემდე საკმაოდ ვერ დაინახა «მასალა» გოლოსელ-ლიკვიდატორთა მოქმედებაში, მაშინ ის მას ვერასოდეს ვერ დაინახავს. სიმართლის დასანახად საჭიროა არ გვეშინოდეს თვალი გავუსწოროთ სიმართლეს.

...«მეორეც, — და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, — იმიტომ, რომ ორგანიზაციული კონფლიქტები ორგანიზაციულსავე ჩარევას მოითხოვენ და არა ლიტერატურულ ჩარევას».

ეს პრინციპი სწორია. მაგრამ სწორედ პარტიული მენშევიკები «ჩაერივნენ», ასედაც უნდა მოქცეულიყო პარტიის ყოველი წევრი, პრინციპული და არა ორგანიზაციული კონფლიქტის შეფასებაში. «პრავდა» პირიქით იქცევა. პრინციპს რომ აყენებს, იგი მას საქმით არ მისდევს. ნამდვილად თავისი სტატიის მთელი პირველი აბზაცი «პრავდამ» სწორედ ორგანიზაციულ კონფლიქტში «ჩარევას» მიუძღვნა. ეს კიდევ ცო-

ტაა. გადმოსცემს რა ორგანიზაციულ კონფლიქტს, «პრავდა» წყალს ასხამს ლიკვიდატორთა წისქვილზე, როცა ჩვენს სტატიას «უაღრესად მწვავეს» უწოდებს, მაგრამ ამასთანავე კი შეფასებას არ აძლევს გოლოსელთა ანტიპარტიულ საქციელს; — ტყუილს ამბობს, როცა პარტიული ცენტრალური ორგანოს ბრძოლას მენშევიკების ანტიპარტიული ნაწილის (სახელდობრ გოლოსელთა) წინააღმდეგ ფრაქციულ შეჯახებას უწოდებს; — ნახევარ სიმართლეს ამბობს, როცა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» 4 რედაქტორის გამთიშველ მანიფესტს აფუჩეჩებს, და სხვ.

მუშათა გაზეთი ან არ უნდა შეხებოდა «ორგანიზაციულ» კონფლიქტს, ანდა სრულად და სიმართლით უნდა გადმოეცა ის ბოლომდე.

პარტიული ერთიანობისათვის ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლებაა «გოლოსის» ანტიპარტიულობის მიფუჩეჩების ცდები. მის ლიკვიდატორობაზე დუმილი ან მისდამი ზერელე დამოკიდებულება მხოლოდ მის საფრთხეს აღრმავებს.

«სოციალ-დემოკრატ» № 13, 1910 წ. 26 აპრილი (9 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენს მოვალეობად ვთვლით გაცნობოთ, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, ჩვენი ღრმა და მტკიცე რწმენით, ყოვლად აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა და რომ ცენტრალური ორგანოს რედაქციის შემადგენლობის შეუცვლელად პარტიული ხაზის გატარება აბსოლუტურად შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ მიგვაჩნია.

ცენტრალური ორგანოს რედაქციის მხოლოდ პირველი ორი სხდომა პლენუმის შემდეგ გვაძლევდა იმედს, რომ შესაძლებელი იქნებოდა ერთობლივი მუშაობა ამხ. მარტოვთან და დანთან ერთად. ამხ. მარტოვი რომ დაეთანხმა ცენტრალური კომიტეტის წერილს კონფერენციის შესახებ (იხ. ცენტრალური ორგანოს № 11. მარტოვმა ხ ე ლ ი მ ო ა წ ე რ ა ამ წერილს), ეს უთუოდ მოწმობდა მის მისწრაფებას ლ ო ი ა ლ უ რ ა დ შეესრულებინა პლენუმის გადაწყვეტილებანი. სხვანაირი ტონი ყველაზე ადრე აიღო ამხ. დანმა, რომელმაც ცენტრალური ორგანოს მე-11 ნომრის მოწინავე * ს ა ზ ი ა ნ ო წერილად გამოაცხადა და ჩვენი თანდასწრებით ბრალად დასდო მარტოვს ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. ჩვენთვის აქედან უკვე ნათელი შეიქნა, რომ თავგამოდებული გოლოსელები მარტოვს «ოპორტუნისტად» თვლიან პარტიის გადაწყვეტილებებისადმი მისი დამყოლობის აზრით და რომ მთელი საკითხი ის არის, დანებდება თუ არა მარტოვი მათ იერიშს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 176 — 187. რ ე დ.

მარტოვის სტატია «სწორი გზით» ცხადყოფდა, რომ დანებდება. ის გარემოება, რომ მას არ უნდოდა ამ სტატიის «დისკუსიონნი ლისტოკში» გადაცემა (თუმცა სტატია აშკარად მართავს დისკუსიას ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ), ომის დაწყებას მოწმობდა. ლეგალური ორგანიზაციებისა და მოღვაწეებისადმი არალეგალური ორგანიზაციებისა და მოღვაწეების დამოკიდებულების საკითხში მარტოვმა ამ სტატიაში აშკარად იბრუნა პირი ცენტრალური კომიტეტისაგან (მარტოვის ხელმოწერილი წერილი კონფერენციის შესახებ) დანისაკენ. არალეგალებისა და ლეგალისტების «თანასწორუფლებიანობის თეორია» მოასწავებდა სწორედ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან უკანდახევას, მოასწავებდა მარტოვის შეტრიალებას, რადგან ცენტრალური კომიტეტის წერილის მიმართ ამ «თეორიის» წინააღმდეგობას ხედავს ყველა, ვისაც არ სურს თვალები დახუჭოს.

როდესაც მარტოვმა, მისი სტატიის უარყოფის შემდეგ (შენიშვნაზე მან უარი თქვა, «დისკუსიონნი ლისტოკზეც» აგრეთვე), ცენტრალური ორგანოს რედაქციაში განაცხადა, საომარ მოქმედებას ვიწყებო, — მისი და დანის პოზიცია ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდა.

პარტიისათვის ეს პოზიცია საბოლოოდ ნათელი გახადეს: 1) მიხეილის, რომანისა და იურის საქციელმა; 2) 16 რუსი მენშევიკის მანიფესტმა; 3) «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერმა და 4) «გოლოსის» 4 რედაქტორის გამთიშველმა მანიფესტმა. ახლა ამას კიდევ მიემატა 5) პოტრესოვის აშკარა ლიკვიდატორული გამოსვლა «ნაშა ზარიას»[67] მე-2 ნომერში, სადაც ის მარტოვისა და სხვების გვერდით წერს, და 6) «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის გამოსვლა პლეხანოვის წინააღმდეგ («აუცილებელი დამატება «დნევნიკისადმი»»[68]), სადაც იმავე პოტრესოვთან ერთად მარტინოვი, მარტოვი და აქსელროდი აბუჩად იგდებენ პარ-

ტიის ცენტრალურ ორგანოსა და პარტიულ მენშევიზმს en canaille (როგორც არამზადებს).

ჩვენს ფურცელში «ლიკვიდატორთა ხმა პარტიის წინააღმდეგ» და ცენტრალური ორგანოს მე-12 ნომერში ჩვენ შეფასება მივეცით პირველ 4 გამოსვლას *. პლეხანოვი ცენტრალური ორგანოს მე-13 ნომერში, რომელიც ერთი კვირის შემდეგ გამოვა, იძლევა «ნაშა ზარიაში» მოთავსებულ პოტრესოვის სტატიის შეფასებას.

«გოლოს სოციალ-დემოკრატას» წინააღმდეგ, რომელმაც საბოლოოდ იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაკენ, გაერთიანებას და გამოსვლას იწყებენ პარტიული მენშევიკები, როგორც ამას უკვე ადასტურებს 4 რეზოლუცია მენშევიკური ჯგუფებისა და მენშევიკურ ჯგუფთა ნაწილების საზღვარგარეთ (პარიზი, ნიცა, სან-რემო, ჟენევა). პარტიული მენშევიკები აშკარად გამოდიან «გოლოსისა» და რუსი ლიკვიდატორების წინააღმდეგ, აშკარად აღიარებენ «გოლოსის» შეტრიალებას ლიკვიდატორობისაკენ პლენუმის შემდეგ.

იქმნება ისეთი პარტიული მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც პლენუმის დროს იყო, და რომელიც ამიტომ აუცილებლად მოითხოვს ცვლილებებს ცენტრალური ორგანოს შემადგენლობაში. პლენუმს უნდოდა პარტიაში დაბრუნებისა და პარტიაში ლოიალური მუშაობის შესაძლებლობა მიეცა ყველა გოლოსელისათვის, ყველა სოციალ-დემოკრატისათვის, მუშაობა მოძრაობის ყველა ლეგალური მოღვაწისათვის, ვისაც კი პარტიულობის პოზიციაზე გადმოსვლა სურდა. პლენუმი ვარაუდობდა, რომ მენშევიკებში მენშევიზმის ორი ნაწილის გათიშვა კი არ მოხდებოდა, არამედ ორივე ნაწილის საერთო გადმოსვლა პარტიულობის პოზიციაზე.

ლეგალისტების რუსეთის ცენტრისა (პოტრესოვი, მიხეილი და კომპანია) და «გოლოს სოციალ-დე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 188 — 199. რედ.

მოკრატას» მიზეზით კი სხვა რამ გამოვიდა. პარტიული მენშევიკებისაგან მათი გათიშვა ფაქტი გახდა. ჩვენ ცენტრალური ორგანოსა და «დისკუსიონნი ლისტოკის» გარშემო გავაერთიანეთ მთელი რიგი პარტიული მენშევიკები (პლეხანოვი, რაპოპორტი, ავდეევი), რომლებთანაც სავსებით ვაგვარებთ ყოველგვარი ფრაქციულობისაგან დაშორებულ პარტიულ მუშაობას, მიუხედავად ყველა ჩვენი უთანხმოებისა. საზღვარგარეთ გაერთიანებისაკენ ნაბიჯებს დგამენ ბოლშევიკების ჯგუფები და პარტიელი-მენშევიკები. პირიქით, გოლოსელთა ჯგუფებმა გადაჭრით აიღეს კურსი გაერთიანების წინააღმდეგ.

ამიტომ არა შემთხვევითი და არა პირადი მიზეზებით ცენტრალური ორგანოს რედაქციის შიგნით სრულიად აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. თუ ახლა ჩვენს რედაქციაში გაუთავებელი და გამოუვალი კინკლაობა მეფობს, თუ ჩვენ სამივეს პირდაპირ არ ძალგვიძს გადავლახოთ ორი რედაქტორის მტრული პოზიცია, თუ ცენტრალურ ორგანოში მთელი შუშაობა ფერხდება, — ეს ყალბი მდგომარეობის გარდუვალი შედეგია. პლენუმის გადაწყვეტილებათა აზრის მიხედვით აუცილებლად საჭიროა პარტიელ მენშევიკებთან დაახლოება, ჩვენთან, ცენტრალურ ორგანოში კი ანტიპარტიული მენშევიკები ულმობლად ებრძვიან ცენტრალური ორგანოს გარეთ მყოფ და მის დამხმარე პარტიელ მენშევიკებს!

ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, ამხანაგებს ცენტრალურ კომიტეტში თვითონვე ესმით, რომ ასეთი მდგომარეობა აბსოლუტურად აუტანელია და არ მოგვთხოვენ მის დასურათებას რედაქციაში მომხდარი უამრავი შეტაკებებისა და სკანდალების ისტორიით. ეს შეტაკებები, ბრალდებები, შეხლა-შემოხლა, მუშაობის სრული ჩაფუშვა უბრალო შედეგია შეცვლილი პოლიტიკური მდგომარეობისა, რომელმაც გარდუვალად უნდა გამოიწვიოს ცენტრალური ორგანოს დაშლა, თუ არ გადავდგამთ ნაბიჯს, რასაც გვიკარნახებს პლენუმის გადაწყვეტილებათა მთელი სულისკვეთება, სახელ-

დობრ: თუ ანტიპარტიულ, ლიკვიდატორულ, გოლოსურ მენშევიკებს არ შევცვლით პარტიული მენშევიკებით, რომელთაც ჩვენ ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ სავსებით შემოვიდნენ პარტიაში და მის ხელმძღვანელ დაწესებულებებში.

პარტიულმა მენშევიკებმა უკვე განაცხადეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში, რომ მათ სურთ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში (და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროშიც) ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები, ე. ი. პარტიული მენშევიზმის მომხრენი.

ჩვენის მხრით, ჩვენ ვაცხადებთ, რომ სრულებით არ შეგვიძლია პარტიის ცენტრალურ ორგანოს გავუძღვეთ გოლოსელებთან თანამშრომლობით, რადგან შეუძლებელია მუშაობის წარმოება იმ ადამიანთა მხოლოდ და მხოლოდ მექანიკური მაიორიზების მეშვეობით, რომლებთანაც საერთო პარტიული ნიადაგი არ გაგვაჩნია.

იმედი გვაქვს, რომ ცენტრალური კომიტეტი აუცილებელ ორგანიზაციულ ნაბიჯებს გადადგამს ცენტრალური ორგანოს რედაქციის შემადგენლობის შესაცვლელად და მუშაობისუნარიანი პარტიული კოლეგიის შესაქმნელად.

დაწერილია 1910 წ. აპრილის
მეორე ნახევარში (მაისის დამდეგს)
პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში, XXV

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ხელმოწერა: ცო რედაქციის წევრები
ლენინი და სხვ.

პუბლიცისტის შენიშვნები

დაიბეჭდა 1910 წ. 6 (19) მარტს
და 25 მაისს (7 ივნისს)
«დისკუსიონნი ლისტოკში», №№ 1 და 2
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
«დისკუსიონნი ლისტოკის»
ტექსტის მიხედვით

I

ოტზოვიზმის მომხრეთა და დამცველთა «პლატფორმის» შესახებ

ამას წინათ პარიზში, «ვპერიოდის» ჯგუფის გამოცემით, გამოვიდა ბროშურა: «თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანები. ბოლშევიკების ჯგუფის მიერ შემუშავებული პლატფორმა». ეს არის ბოლშევიკების სწორედ ის ჯგუფი, რომლის მიერ ახალი ფრაქციის შექმნას აცხადებდა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქცია გასული წლის გაზაფხულზე. ახლა ეს ჯგუფი «პარტიის 15 წევრის — 7 მუშისა და 8 ინტელიგენტის — შემადგენლობით» (როგორც ის გვაუწყებს) გამოდის და ცდილობს მთლიანი, სისტემატური, დადებითი სახით გადმოგვცეს თავისი განსაკუთრებული «პლატფორმა». ამ პლატფორმის ტექსტს ამჩნევია აშკარა კვალი ფრთხილი და გულმოდგინე კოლექტიური დამუშავებისა, რაც მიმართულია ყველა შეუსაბამობის შელამაზებისაკენ, მწვავე მომენტების მიჩქმალვისაკენ, იმისაკენ, რომ ხაზი გაესვას არა იმდენად იმას, რაშიაც ჯგუფი პარტიას შორდება, რამდენადაც იმას, რითაც ის მას უახლოვდება. მით უფრო საგულისხმოა ჩვენთვის ახალი პლატფორმა, როგორც გარკვეული მიმდინარეობის შეხედულებათა ოფიციალური გადმოცემა.

ბოლშევიკების ჯგუფი თავდაპირველად გადმოგვცემს, თუ მას როგორ «ესმის ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიული მდგომარეობა» (§ I, გვ. 3 — 13), შემდეგ კი — მას როგორ

«ესმის ბოლშევიზმი» (§ II, გვ. 13 — 17). ერთიც და მეორეც მას ცუდად ესმის.

ავიღოთ პირველი საკითხი. ბოლშევიკების შეხედულება (და პარტიის შეხედულება) გადმოცემულია 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციაში თანამედროვე მომენტის შესახებ. იზიარებენ თუ არა ახალი პლატფორმის ავტორები ამ რეზოლუციაში გამოთქმულ შეხედულებებს? თუ იზიარებენ, რატომ პირდაპირ არ უნდათ თქვან მათ ეს? თუ იზიარებენ, რაღა საჭირო იყო განსაკუთრებული პლატფორმის შედგენა, მომენტის საკუთარი განსაკუთრებული «გაგების» გადმოცემისათვის ხელის მოკიდება? თუ არ იზიარებენ, მაინც კიდევ რატომ არ უნდათ თქვან ნათლად, სახელდობრ რის გამო უდგება ახალი ჯგუფი ოპოზიციაში პარტიის შეხედულებებს?

საქმეც სწორედ ის არის, რომ ახალ ჯგუფს თვითონ ნათლად არ ესმის ამ რეზოლუციის მნიშვნელობა. ახალი ჯგუფი შეუგნებლად (ან ნახევრად შეუგნებლად) იხრება ოტზოვისტების შეხედულებებისაკენ, რომლებიც ამ რეზოლუციის მიმართ შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ნ ი ა რ ი ა ნ. ახალი ჯგუფი თავის ბროშურაში იძლევა ამ რეზოლუციის არა ყველა დებულების, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის პოპულარულ განმარტებას და ვერ გაუგია მეორე ნაწილი (შესაძლოა, ვერც კი ამჩნევს მის მნიშვნელობას). ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც 1905 წლის რევოლუცია გამოიწვიეს, მოქმედებას განაგრძობენ, — ამბობს რეზოლუცია. ახალი რევოლუციური კრიზისი ახლოვდება (მუხლი ვ). ბრძოლის მიზნად რჩება ცარიზმის დამხობა და რესპუბლიკის დამყარება; პროლეტარიატი ბრძოლაში «ხელმძღვანელ» როლს უნდა ასრულებდეს და «პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობას» ესწრაფვოდეს (მუხლები ე და 1). მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო პოლიტიკის პირობები «საერთაშორისო ვითარებას სულ უფრო და უფრო რევოლუციურს» ხდის (მუხლი ზ). აი ამ დებულებებს ახალი პლატფორმა პოპულარულად განმარტავს და ა მ დ ე ნ ა დ ის სავსებით ხელიხელჩაკიდებული მიდის ბოლ-

შევიკებთან და პარტიასთან ერთად, ამდენად ის სწორ შეხედულებებს გადმოსცემს და სასარგებლო მუშაობას ასრულებს.

მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ საჭირო ხდება ხაზი გავუსვათ ამ სიტყვას — ამდენად. უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ამ რეზოლუციის სხვა დებულებები ახალ ჯგუფს არ ესმის, არ ესმის მათი კავშირი დანარჩენ დებულებებთან, განსაკუთრებით არ ესმის მათი კავშირი ოტზოვიზმისადმი იმ შეურიგებელ დამოკიდებულებასთან, რომელიც ბოლშევიკების დამახასიათებელია და რომელიც ამ ჯგუფს არ ახასიათებს.

რევოლუცია კვლავ გარდუვალია. რევოლუცია კვლავ უნდა ცდილობდეს დაამხოს და მან უნდა დაამხოს თვითმპყრობელობა, — ამბობენ ახალი პლატფორმის ავტორები. სწორია. მაგრამ ეს როდია ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს და ახსოვდეს თანამედროვე რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატს. მას უნდა შეეძლოს გაიგოს, რომ ეს რევოლუცია ჩვენკენ ახლებურად მოდის, რომ ჩვენ მისკენ ახლებურად უნდა მივდიოდეთ (სხვანაირად, ვიდრე წინათ; არა მარტო ისე, როგორც წინათ; ბრძოლის არა მარტო იმ იარაღებითა და საშუალებებით, როგორც წინათ), რომ თვითონ თვითმპყრობელობა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. აი სწორედ ეს არ სურთ დაინახონ ოტზოვიზმის დამცველებს! მათ ჯიუტად სურთ ცალმხრივნი დარჩნენ, და ამით, წინააღმდეგ თავიანთი ნებისა, დამოუკიდებლად თავიანთი შეგნებისა, ისინი სამსახურს უწევენ ოპორტუნისტებსა და ლიკვიდატორებს, ისინი ერთი მიმართულების ცალმხრივობით მხარს უჭერენ მეორე მიმართულების ცალმხრივობას.

თვითმპყრობელობა ახალ ისტორიულ ხანაში შევიდა. ის ნაბიჯს დგამს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე. III სათათბირო არის კავშირი გარკვეულ კლასებთან. III სათათბირო არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებლად საჭირო დაწესებულება ამ ახალი მონარქიის სისტემაში. თვითმპყრობელობის ახალი აგრარული პოლიტიკაც შემთხვევითობა

კი არ არის, არამედ ახალი ცარიზმის პოლიტიკის აუცილებელი, ბურჟუაზიულად-აუცილებელი და თავისი ბურჟუაზიულობით აუცილებელი შემადგენელი რგოლია. ჩვენს წინაშეა თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ისტორიული ხანა ახალი რევოლუციის წარმოშობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი პირობებით. არ შეიძლება ამ თავისებურებას დავეუფლოთ, არ შეიძლება ამ ახალი რევოლუციისათვის მოვემზადოთ, თუ მხოლოდ ძველებურად ვიმოქმედებთ, თუ უნარი არ გვექნება გამოვიყენოთ თვით სათათბიროს ტრიბუნა და სხვ.

აი ამ უკანასკნელი მდგომარეობის გაგება არ შეუძლიათ ოტზოვისტებს. ხოლო ოტზოვიზმის დამცველებს, რომლებიც მას «კანონიერ ელფერად» აცხადებენ (განსახილველი ბროშურა, გვ. 28), დღემდე არ შეუძლიათ გაიგონ ამ მდგომარეობის კ ა ვ შ ი რ ი ი დ ე ე ბ ი ს მ თ ე ლ რ კ ა ლ თ ა ნ, თანამედროვე მომენტის თავისებურების აღიარებასთან, საკუთარ ტაქტიკაში ამ თავისებურების გ ა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი ს ა კ ე ნ მისწრაფებასთან! ისინი იმეორებენ, რომ ჩვენ განვიცდით «რევოლუციათაშორისო პერიოდს» (გვ. 29), რომ თანამედროვე მდგომარეობა არის «გარდამავალი მდგომარეობა დემოკრატიული რევოლუციის ორ ტალღას შორის» (გვ. 32), მაგრამ რა შეადგენს ამ «გ ა დ ა ს ვ ლ ი ს» თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ს, მათ არ ძალუძთ გაიგონ. ხოლო თუ ამ გ ა დ ა ს ვ ლ ა ს ვერ გაიგებ, ისე არ შეიძლება განვლო ის რევოლუციისათვის სასარგებლოდ, არ შეიძლება მოვემზადო ახალი რევოლუციისათვის, არ შეიძლება გ ა დ ა ხ ვ ი დ ე მეორე ტალღაზე! რადგან ახალი რევოლუციისათვის მზადება არ შეიძლება შემოიფარგლოს იმის განმეორებით, რომ იგი გარდუვალია: მზადება უნდა შეიცავდეს პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის იმგვარად დაყენებას, რომელიც გაითვალისწინებდა ა მ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ს.

აი ინებეთ იმის მაგალითი, თუ როგორ ლაპარაკობენ ადამიანები გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ მდგომარეობაზე, ხოლო რაში მდგომარეობს ეს გ ა დ ა ს ვ ლ ა, — არ ესმით. «რუსეთში რომ

არავითარი ნამდვილი კონსტიტუცია არ არის, სათათბირო კი მხოლოდ მისი აჩრდილია, რომელსაც ძალაუფლება და მნიშვნელობა არა აქვს, ეს არა მარტო გამოცდილებით იციან კარგად მოსახლეობის მასებმა, არამედ ახლა ეს ნათელი ხდება მთელი მსოფლიოსათვის» (გვ. 11). დაუპირისპირეთ ამას III სათათბიროს შეფასება დეკემბრის რეზოლუციის მიერ: «3 ივნისის სახელმწიფო გადატრიალებით და III სათათბიროს შექმნით აშკარად არის აღიარებული და განმტკიცებული ცარიზმის კავშირი შავრაზმელ მემამულეებთან და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ზედა ფენებთან».

ნუთუ «მთელი მსოფლიოსათვის ნათელი» არ არის, რომ პლატფორმის ავტორებმა მაინც ვერა და ვერ გაიგეს რეზოლუცია, თუმცა მას ერთი წლის განმავლობაში ათასნაირად ღეჭავდნენ და განმარტავდნენ პარტიულ პრესაში? და ვერ გაიგეს, რა თქმა უნდა, არა თავიანთი გაუგებლობის გამო, არამედ იმის გამო, რომ მათ ამძიმებთ ოტზოვიზმი და იდეების ოტზოვისტური რკალი.

ჩვენი III სათათბირო შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბიროა. ოქტიაბრისტებსა და შავრაზმელებს რუსეთში «ძალაუფლება და მნიშვნელობა» არა აქვთო (როგორც ეს პლატფორმის ავტორებს გამოუვიდათ), — ეს სისულელეა. «ნამდვილი კონსტიტუციის» უქონლობა, თვითმპყრობელობისათვის სრული ხელისუფლების შენარჩუნება სრულიადაც არ გამორიცხავს იმ თავისებურ ისტორიულ მდგომარეობას, როდესაც ეს ხელისუფლება იძულებულია აწყობდეს განსაზღვრული კლასების კონტრრევოლუციურ კავშირს საერთონაციონალური მასშტაბით, აშკარად მოქმედ დაწესებულებებში, რომელთაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, და როდესაც განსაზღვრული კლასები თვითონ ირაზმებიან, ქვევიდან, კონტრრევოლუციურ ბლოკებად, რომლებიც ხელს უწვდიან ცარიზმს. თუ ცარიზმის «კავშირი» ამ კლასებთან (კავშირი, რომელიც ესწრაფვის ძალაუფლება და შემოსავალი შეუნარჩუნოს მებატონე-მემამულეებს) არის თავისებური ფორმა კლასთა ბატონობისა და მეფის ბატონო-

ბისა მის ბრბოსთან ერთად ახლანდელ, გარდამავალ პერიოდში, ფორმა, რომელსაც წარმოშობს ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული ევოლუცია «რევოლუციის პირველი ტალღის» დამარცხების პირობებში, — მაშინ გარდამავალი ხანის გამოყენებაზე სათათბიროს ტრიბუნის გამოუყენებლად ლაპარაკიც არ შეიძლება. მაშინ რევოლუციის მომზადებიხ მიზნით იმ ტრიბუნის გამოყენების თავისებური ტაქტიკა, საიდანაც კონტრრევოლუციონერები ლაპარაკობენ, მთელი ისტორიული ვითარების თავისებურებიდან გამომდინარე საავალდებულო ტაქტიკას წარმოადგენს. ხოლო თუ სათათბირო მხოლოდ კონსტიტუციის «აჩრდილია», რომელსაც «ძალაუფლება და მნიშვნელობა არა აქვს», მაშინ ჩვენს წინაშე ბურჟუაზიული რუსეთის, ბურჟუაზიული მონარქიის განვითარების, უმაღლესი კლასების და სხვ. ბატონობის ფორმის განვითარების არავითარი ახალი ეტაპი არ არის, და მაშინ ოტზოვისტები, რა თქმა უნდა, პრინციპულად მართალნი ყოფილან.

და არც იფიქროთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი პლატფორმის ფრაზა შემთხვევითი წამონაცდენი იყოს. სპეციალურ თავში «სახელმწიფო სათათბიროს შესახებ» (გვ. 25 — 28) დასაწყისიდანვე ვკითხულობთ: «ყველა სახელმწიფო სათათბირო დღემდე ისეთ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ, რომელთაც რეალური ძალა და ძლიერი გავლენა არ გააჩნდათ, ჩვენი ქვეყნის ძალთა ნამდვილ თანაფარდობას არ გამოხატავდნენ. მთავრობა მათ იწვევდა სახალხო მოძრაობის შეტევის გამო იმისათვის, რომ, ერთი მხრით, მასობრივი მღელვარება უშუალო ბრძოლის გზიდან გადაეყვანა მშვიდობიან-საარჩევნო გზაზე, მეორე მხრით, იმისათვის, რომ ამ სათათბიროებში შეთანხმებოდა იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელთაც შეეძლოთ მხარი დაეჭირათ მთავრობისათვის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში»... ეს აბნეულ-დაბნეული აზრების ან აზრთა ნაწყვეტების მთელი ხლართია. თუ მთავრობა სათათბიროებს იმისათვის იწვევდა, რომ კონტრრევოლუციურ კლასებს შეთანხმებოდა, აქედან სწორედ ის გამომდინარეობს,

რომ პირველ და მეორე სათათბიროს «ძალა და ძლიერი გავლენა» არ ჰქონდათ (რათა რევოლუციას დახმარებოდნენ), III სათათბიროს კი ჰქონდა დაეკვს (რათა კონტრრევოლუციას დაეხმაროს). რევოლუციონერებს შეეძლოთ (გარკვეულ პირობებში კი მოვალენიც იყვნენ) მონაწილეობა არ მიეღოთ დაწესებულებაში, რომელსაც ძალა არ შესწევდა რევოლუციას დახმარებოდა. ეს უდავოა. როდესაც ერთად აერთიანებენ რევოლუციური პერიოდის ასეთ დაწესებულებებს და «რევოლუციათაშორისო პერიოდის» სათათბიროს, რომელსაც აქვს ძალა კონტრრევოლუციას დაეხმაროს, პლატფორმის ავტორები საშინელ შეცდომას სჩადიან. ისინი მართებულ ბოლშევიკურ მსჯელობას ავრცელებენ სწორედ ისეთ შემთხვევებზე, რომლებზედაც ის ნამდვილად არ ვრცელდება! აი სწორედ ეს ნიშნავს ბოლშევიზმის გადაქცევას კარიკატურად.

ბოლშევიზმის თავიანთი «გაგების» შეჯამებისას პლატფორმის ავტორებმა განსაკუთრებული d მუხლიც კი წამოაყენეს (გვ. 16), რომელშიაც ამ «კარიკატურულმა» რევოლუციურობამ თავისი, შეიძლება ითქვას, კლასიკური გამოხატულება ჰპოვა. აი ეს მუხლი მთლიანად:

«d) ამიერიდან ვიდრე რევოლუციის დამთავრებამდე მუშათა კლასის ბრძოლის არც ერთ ნახევრადლეგალურ და ლეგალურ ხერხსა და გზას, მათ შორის აგრეთვე არც სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობას, არ შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს, არამედ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ პირდაპირი რევოლუციური, აშკარა მასობრივი ბრძოლისათვის ძალთა შეკრებისა და მომზადების საშუალებას».

გამოდის, რომ «რევოლუციის დამთავრების» შემდეგ ბრძოლის ლეგალურ საშუალებებს, «მათ შორის» პარლამენტარიზმსაც, შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს!

არ არის მართალი. მაშინაც არ შეიძლება ექნეს. «ვპერიოდელთა» პლატფორმაში უაზრობა წერია.

შემდეგ. გამოდის, რომ «რევოლუციის დამთავრებამდე» ბრძოლის ყველა საშუალებას, გარდა ლეგალური და ნახევრადლეგალური საშუალებებისა, ე. ი. ბრძოლის ყველა

ბისა მის ბრბოსთან ერთად ახლანდელ, გარდამავალ პერიოდში, ფორმა, რომელსაც წარმოშობს ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული ევოლუცია «რევოლუციის პირველი ტალღის» დამარცხების პირობებში, — მაშინ გარდამავალი ხანის გამოყენებაზე სათათბიროს ტრიბუნის გამოუყენებლად ლაპარაკიც არ შეიძლება. მაშინ რევოლუციის მომზადებიხ მიზნით იმ ტრიბუნის გამოყენების თავისებური ტაქტიკა, საიდანაც კონტრრევოლუციონერები ლაპარაკობენ, მთელი ისტორიული ვითარების თავისებურებიდან გამომდინარე საავალდებულო ტაქტიკას წარმოადგენს. ხოლო თუ სათათბირო მხოლოდ კონსტიტუციის «აჩრდილია», რომელსაც «ძალაუფლება და მნიშვნელობა არა აქვს», მაშინ ჩვენს წინაშე ბურჟუაზიული რუსეთის, ბურჟუაზიული მონარქიის განვითარების, უმაღლესი კლასების და სხვ. ბატონობის ფორმის განვითარების არავითარი ახალი ეტაპი არ არის, და მაშინ ოტზოვისტები, რა თქმა უნდა, პრინციპულად მართალნი ყოფილან.

და არც იფიქროთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი პლატფორმის ფრაზა შემთხვევითი წამონაცდენი იყოს. სპეციალურ თავში «სახელმწიფო სათათბიროს შესახებ» (გვ. 25 — 28) დასაწყისიდანვე ვკითხულობთ: «ყველა სახელმწიფო სათათბირო დღემდე ისეთ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ, რომელთაც რეალური ძალა და ძლიერი გავლენა არ გააჩნდათ, ჩვენი ქვეყნის ძალთა ნამდვილ თანაფარდობას არ გამოხატავდნენ. მთავრობა მათ იწვევდა სახალხო მოძრაობის შეტევის გამო იმისათვის, რომ, ერთი მხრით, მასობრივი მღელვარება უშუალო ბრძოლის გზიდან გადაეყვანა მშვიდობიან-საარჩევნო გზაზე, მეორე მხრით, იმისათვის, რომ ამ სათათბიროებში შეთანხმებოდა იმ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომელთაც შეეძლოთ მხარი დაეჭირათ მთავრობისათვის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში»... ეს აბნეულ-დაბნეული აზრების ან აზრთა ნაწყვეტების მთელი ხლართია. თუ მთავრობა სათათბიროებს იმისათვის იწვევდა, რომ კონტრრევოლუციურ კლასებს შეთანხმებოდა, აქედან სწორედ ის გამომდინარეობს,

რომ პირველ და მეორე სათათბიროს «ძალა და ძლიერი გავლენა» არ ჰქონდათ (რათა რევოლუციას დახმარებოდნენ), III სათათბიროს კი ჰქონდა დაექვს (რათა კონტრრევოლუციას დაეხმაროს). რევოლუციონერებს შეეძლოთ (გარკვეულ პირობებში კი მოვალენიც იყვნენ) მონაწილეობა არ მიეღოთ დაწესებულებაში, რომელსაც ძალა არ შესწევდა რევოლუციას დახმარებოდა. ეს უდავოა. როდესაც ერთად აერთიანებენ რევოლუციური პერიოდის ასეთ დაწესებულებებს და «რევოლუციათაშორისო პერიოდის» სათათბიროს, რომელსაც აქვს ძალა კონტრრევოლუციას დაეხმაროს, პლატფორმის ავტორები საშინელ შეცდომას სჩადიან. ისინი მართებულ ბოლშევიკურ მსჯელობას ავრცელებენ სწორედ ისეთ შემთხვევებზე, რომლებზედაც ის ნამდვილად არ ვრცელდება! აი სწორედ ეს ნიშნავს ბოლშევიზმის გადაქცევას კარიკატურად.

ბოლშევიზმის თავიანთი «გაგების» შეჯამებისას პლატფორმის ავტორებმა განსაკუთრებული d მუხლიც კი წამოაყენეს (გვ. 16), რომელშიაც ამ «კარიკატურულმა» რევოლუციურობამ თავისი, შეიძლება ითქვას, კლასიკური გამოხატულება ჰპოვა. აი ეს მუხლი მთლიანად:

«d) ამიერიდან ვიდრე რევოლუციის დამთავრებამდე მუშათა კლასის ბრძოლის არც ერთ ნახევრადლეგალურ და ლეგალურ ხერხსა და გზას, მათ შორის აგრეთვე არც სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობას, არ შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს, არამედ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ პირდაპირი რევოლუციური, აშკარა მასობრივი ბრძოლისათვის ძალთა შეკრებისა და მომზადების საშუალებას».

გამოდის, რომ «რევოლუციის დამთავრების» შემდეგ ბრძოლის ლეგალურ საშუალებებს, «მათ შორის» პარლამენტარიზმსაც, შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს!

არ არის მართალი. მაშინაც არ შეიძლება ექნეს. «ვპერიოდელთა» პლატფორმაში უაზრობა წერია.

შემდეგ. გამოდის, რომ «რევოლუციის დამთავრებამდე» ბრძოლის ყველა საშუალებას, გარდა ლეგალური და ნახევრადლეგალური საშუალებებისა, ე. ი. ბრძოლის ყველა

არალეგალურ საშუალებას შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეს!

არ არის მართალი. არსებობს ბრძოლის ისეთი არალეგალური საშუალებანი, რომელთაც არც «რევოლუციის დამთავრების» შემდეგ (მაგალითად, პროპაგანდის არალეგალური წრეები) და არც «რევოლუციის დამთავრებამდე» (მაგალითად, ფულადი სახსრების წართმევა მტრისთვის ან დაპატიმრებულთა განთავისუფლება ძალადობით, ანდა ჯაშუშების მოკვლა და სხვ.) «არ შეიძლება დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეთ, არამედ ისინი წარმოადგენენ მხოლოდ» და ასე შემდეგ, როგორც «პლატფორმის» ტექსტშია.

შემდეგ. «რევოლუციის» რა «დამთავრებაზეა» აქ ლაპარაკი? ცხადია, არა სოციალისტური რევოლუციის დამთავრებაზე, რადგან მაშინ არ იქნება მუშათა კლასის ბრძოლა, რაკი არ იქნება საერთოდ კლასები. მაშასადამე, ლაპარაკია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრებაზე. ახლა ვნახოთ, რა «ესმოდათ» პლატფორმის ავტორებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრებად?

საზოგადოდ რომ ვთქვათ, ამ ტერმინით შეიძლება იგულისხმებოდეს ორი რამ. თუ მას ხმარობენ ფართო მნიშვნელობით, მაშინ მით გულისხმობენ ბურჟუაზიული რევოლუციის ობიექტური ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას, მის «დამთავრებას», ე. ი. თვით იმ ნიადაგის მოსპობას, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ბურჟუაზიული რევოლუცია, ბურჟუაზიული რევოლუციების მთელი ციკლის დამთავრებას. ამ მნიშვნელობით, მაგალითად, საფრანგეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაამთავრა მხოლოდ 1871 წელმა (ხოლო დაიწყო 1789 წელს). ხოლო თუ სიტყვას ხმარობენ ვიწრო მნიშვნელობით, მაშინ გულისხმობენ ცალკეულ რევოლუციას, ერთ-ერთ ბურჟუაზიულ რევოლუციას, თუ გნებავთ, ერთ-ერთ «ტალღას», რომელიც ძველ რეჟიმს ურტყამს, მაგრამ მას საბოლოოდ ვერ ანადგურებს, შემ-

დგომი ბურჟუაზიული რევოლუციების ნიადაგს ვერ სპობს. ამ მნიშვნელობით 1848 წლის რევოლუცია გერმანიაში «დამთავრდა» 1850 წელს ან 50-იან წლებში, მაგრამ ამით მან სრულიადაც ვერ მოსპო ნიადაგი 60-იანი წლების რევოლუციური აღმავლობისათვის. 1789 წლის რევოლუცია საფრანგეთში «დამთავრდა», ვთქვათ, 1794 წელს, მაგრამ ამით მან სრულიადაც ვერ მოსპო ნიადაგი 1830, 1848 წლების რევოლუციებისათვის.

ფართო მნიშვნელობით განმარტავთ პლატფორმის სიტყვებს: «ამიერიდან ვიდრე რევოლუციის დამთავრებამდეო», თუ ვიწრო მნიშვნელობით, — ყოველ შემთხვევაში მათში აზრს ვერ იპოვნით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ცდა — განისაზღვროს ახლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა ამიერიდან ვ ი დ რ ე რუსეთის შესაძლებელი ბურჟუაზიული რევოლუციების მთელი პერიოდის დამთავრებამდე, — სრული უაზრობა იქნებოდა. ხოლო 1905 — 1907 წლების რევოლუციური «ტალღის», ე. ი. რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ კი, პლატფორმა იძულებულია თვითონ აღიაროს, რომ «რევოლუციის პირველი ტალღა მან (თვითმპყრობელობამ) დაამარცხა» (გვ. 12), რომ ჩვენ განვიცდით «რევოლუციათაშორისო» პერიოდს, პერიოდს «დემოკრატიული რევოლუციის ორ ტალღას შორის».

რა არის «პლატფორმის» ამ დაუსრულებელი და გამოუვალი დომხალის წყარო? სწორედ ის, რომ პლატფორმა დიპლომატიურად ემიჯნება ოტზოვიზმს ისე, რომ სრულიად არ სცილდება ოტზოვიზმის იდეების რკალს, არ ასწორებს და ვერც კი ამჩნევს მის ძირითად შეცდომას. სწორედ ის, რომ «ვპერიოდელებისათვის» ოტზოვიზმი «კანონიერი ელფერია», ე. ი. მათთვის კ ა ნ ო ნ ს, ნიმუშს, უბადლო ნიმუშს წარმოადგენს კარიკატურული ბოლშევიზმის ოტზოვისტური ელფერი. ვინც ამ მოლიპულ გზას დაადგა, ის შეუკავებლად მიექანება და მომავალშიც დაექანება გამოუვალი დომხალის ჭაობისაკენ; ის ი მ ე ო რ ე ბ ს სიტყვებსა და ლოზუნგებს,

მაგრამ არ შეუძლია კარგად მოიფიქროს მათი გამოყენების პირობები და მნიშვნელობის ფარგლები.

მაგალითად, რატომ ასე ხშირად უპირისპირებდნენ ბოლშევიკები 1906 — 1907 წლებში ოპორტუნისტებს ლოზუნგს: რევოლუცია არ დამთავრებულაო? იმიტომ, რომ ობიექტური პირობები ისეთი იყო, რომ რევოლუციის დამთავრებაზე სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. აიღეთ თუნდაც II სათათბიროს პერიოდი. მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პარლამენტი და თითქმის ყველაზე რეაქციული თვითმპყრობელური მთავრობა. აქედან არ იყო უშუალო გამოსავალი გარდა გადატრიალებისა ზემოდან ან აჯანყებისა ქვემოდან, და როგორადაც უნდა აქნევდნენ ახლა თავს ფრიად ბრძენი პედანტები, გადატრიალებამდე მაინც არავის შეეძლო დანამდვილებით ეთქვა, რომ მთავრობა გადატრიალებას მოახერხებდა, რომ ის უდავიდარაბოდ ჩაივლიდა, რომ ნიკოლოზ მეორე ამაზე კისერს არ მოიტეხდა. ლოზუნგს — «რევოლუცია არ დამთავრებულაო» ყველაზე ცხოველმყოფელი, უშუალოდ დიდი და პრაქტიკულად შესაგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მ ხ ო ლ ო დ ის გამოხატავდა სწორად, რა მდგომარეობა არის, საითკენ მიდის საქმე მოვლენათა ობიექტური ლოგიკის ძალით. ახლა კი, როცა ოტზოვისტები თვითონ აღიარებენ დღევანდელ მდგომარეობას «რევოლუციათაშორისო» მდგომარეობად, იმის ცდა, რომ ეს ოტზოვიზმი დასახონ «რევოლუციური ფრთის კანონიერ ელფერად» — «ვიდრე რევოლუციის დამთავრებამდე» — განა ეს უმწეო დომხალი არ არის?

წინააღმდეგობათა ამ გამოუვალი ჩიხიდან თავის დასაღწევად საჭიროა არა ოტზოვიზმთან დიპლომატობა, არამედ მისი იდეური საფუძვლების ძირშივე მოკვეთა; საჭიროა დეკემბრის რეზოლუციის თვალსაზრისზე დადგომა და მისი ბოლომდე კარგად მოფიქრება. ახლანდელი რევოლუციათაშორისო პერიოდი შემთხვევითობით როდი აიხსნება. ახლა უკვე ეჭვი არ არის, რომ ჩვენს წინაშეა თვითმპყრობელობის განვითარების, ბურჟუაზიული მონარქიის, ბურჟუაზიულ-შავრაზმული

პარლამენტარიზმის, სოფლად ცარიზმის ბურჟუაზიული პოლიტიკის განვითარების, ყოველივე ამისადმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხარდაჭერის განსაკუთრებული ეტაპი. ეს პერიოდი, უეჭველია, არის გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პერიოდი «რევოლუციის 2 ტალღას შორის», მაგრამ, მეორე რევოლუციისათვის მოსამზადებლად, საჭიროა სწორედ დავეუფლოთ ამ გადასვლის თავისებურებას, საჭიროა შეგვეძლოს ჩვენი ტაქტიკა და ორგანიზაცია შევუგუოთ ამ ძნელ, მძიმე, ბნელ, მაგრამ «კამპანიის» მსვლელობით ჩვენთვის თავს მოხვეულ გადასვლას. სათათბიროს ტრიბუნის, ისე როგორც ყოველგვარი სხვა ლეგალური შესაძლებლობის, გამოყენება მიეკუთვნება ბრძოლის იმ მეტად დაბალ საშუალებათა რიცხვს, რომლებიც არაფერ «წარმტაცს» არ შეიცავენ. მაგრამ გარდამავალი პერიოდი სწორედ იმიტომ არის გარდამავალი, რომ მისი სპეციფიკური ამოცანაა ძალთა მომზადება და შეკრება და არა მათი უშუალო, არა მათი გადამწყვეტი გამოსვლა. შეგვეძლოს გარეგან ბრწყინვალებას მოკლებული ამ საქმიანობის აწყობა, შეგვეძლოს მისთვის ყველა იმ ნახევრადლეგალური დაწესებულების გამოყენება, რომლებიც შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბიროს ეპოქის დამახასიათებელია, შეგვეძლოს ა მ ნ ი ა დ ა გ ზ ე დ ა ც დავიცვათ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ყველა ტრადიცია, მისი გმირული ახლო წარსულის ყველა ლოზუნგი, მისი მუშაობის მთელი არსი, ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის მიმართ მთელი მისი შეურიგებლობა, — ა ი პ ა რ ტ ი ი ს ა მ ო ც ა ნ ა, ა ი მომენტის ამოცანა.

ჩვენ გავარჩიეთ ახალი პლატფორმის პირველი ოკანდახევა იმ ტაქტიკიდან, რომელიც გადმოცემულია 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის რეზოლუციაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს არის ოკანდახევა ოტზოვისტური იდეებისაკენ, იმ იდეებისაკენ, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ არც ახლანდელი მომენტის მარქსისტულ ანალიზთან, არც რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა ტაქტიკის ძირითად წანამძღვრებთან სა-

ზოგადოდ. ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ახალი პლატფორმის მეორე ორიგინალური ნიშანი.

ეს არის ახალი ჯგუფის მიერ გამოცხადებული ამოცანა «შევქმნათ» და «მასებში გავავრცელოთ ახალი, პროლეტარული» კულტურა: «განვავითაროთ პროლეტარული მეცნიერება, განვამტკიცოთ ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობა პროლეტარულ წრეში, შევიმუშაოთ პროლეტარული ფილოსოფია, წარვმართოთ ხელოვნება პროლეტარული მისწრაფებებისა და გამოცდილების მიმართულებით» (გვ. 17).

აი იმ გულუბრყვილო დიპლომატიის ნიმუში, რომელიც ახალ პლატფორმაში საქმის დედაარსის მიჩქმალვას ემსახურება! აბა, განა ეს გულუბრყვილობა არ არის, როცა «მეცნიერებასა» და «ფილოსოფიას» შ ო რ ი ს ურთავენ «ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის განმტკიცებას»? ახალ ჯგუფს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა შ ი შეაქვს თავისი მოსალოდნელი წ ყ ე ნ ა, თავისი ბრალდება სხვა ჯგუფების (სახელდობრ: პირველ რიგში ორთოდოქსალური ბოლშევიკების) მიმართ მ ა თ მ ი ე რ «ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის» დარღვევის შესახებ. სწორედ ასეთია ამ სასაცილო მუხლის რ ე ა ლ უ რ ი შინაარსი.

«პროლეტარული მეცნიერება» აქ აგრეთვე «მოწყენილად და უალაგო ალაგას» გამოიყურება. ჯერ-ერთი, ჩვენ ახლა ვიცნობთ მხოლოდ ერთ პროლეტარულ მეცნიერებას — მარქსიზმს. პლატფორმის ავტორები რატომღაც სისტემატურად გაურბიან ამ ერთადერთ ზუსტ ტერმინს და ყველგან ხმარობენ სიტყვებს: «მეცნიერული სოციალიზმი» (გვ. 13, 15, 16, 20, 21). ცნობილია, რომ ჩვენში, რუსეთში ამ უკანასკნელ ტერმინზე პრეტენზიას აცხადებენ მარქსიზმის პირდაპირი მოწინააღმდეგენიც. მეორეც, თუ პლატფორმაში დასახულ იქნება «პროლეტარული მეცნიერების» განვითარების ამოცანა, მაშინ ნათლად უნდა ითქვას, ჩვენი დროის სახელდობრ რა იდეურ, თეორიულ ბრძოლას გულისხმობენ აქ და სახელდობრ ვის მხარეზე დგებიან პლატფორმის ავტორები. ამაზე დუმილი გულუბრყვილო ეშმაკობაა, რადგან ს ა ქ მ ი ს

დ ე დ ა ა რ ს ი ნათელია ყველასთვის, ვინც კი სოციალ-დემოკრატიის 1908 — 1909 წლების ლიტერატურას იცნობს. ჩ ვ ე ნ ს დროში მეცნიერების, ფილოსოფიის, ხელოვნების დარგში წინ წარმოსდგა მარქსისტების ბრძოლა მახისტების წინააღმდეგ. ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე თვალის დახუჭვა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სასაცილოა. «პლატფორმები» უნდა იწერებოდეს არა უთანხმოებათა მისაჩქმალავად, არამედ მათი ახსნა-განმარტებისათვის.

ჩვენი ავტორები ვერ ახერხებენ, რომ არ გამოააშკარაონ თავიანთი თავი პლატფორმის ციტირებული ადგილით. ყველამ იცის, რომ «პროლეტარულ ფილოსოფიად» ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გულისხმობენ სწორედ მ ა ხ ი ზ მ ს, — და ყოველი გონიერი სოციალ-დემოკრატი ერთბაშად ამოხსნის «ახალ» ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ს. ამ ფსევდონიმის გამოგონება საჭიროც არ იყო. მის უკან ამოფარება საჭირო არ არის. ნამდვილად ახალი ჯგუფის ყველაზე გავლენიანი ლიტერატურული ბირთვი მახისტური ბირთვია, რომელიც არა-მახისტურ ფილოსოფიას არა-«პროლეტარულ» ფილოსოფიად თვლის.

ასეც უნდა გეთქვათ, თუ კი გინდოდათ ამაზე გელაპარაკნათ პლატფორმაში: ახალი ჯგუფი აერთიანებს იმ ადამიანებს, რომლებიც იბრძოლებენ არა-«პროლეტარული», ე. ი. არა-მახისტური თეორიების წინააღმდეგ ფილოსოფიასა და ხელოვნებაშიო. ეს იქნებოდა ყველასთვის ცნობილი ი დ ე უ რ ი მიმდინარეობის პირდაპირი, მართალი, აშკარა გამოსვლა, გამოსვლა სხვა მიმდინარეობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. როდესაც იდეურ ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტიისათვის, მაშინ კი არ იმალებიან, არამედ ომს სწორედ აშკარად აცხადებენ კიდეც.

და ჩვენ კვლავაც მოვუწოდებთ ყველას გარკვეული, ნათელი პასუხი გასცეს მარქსიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიური ბრძოლის ფარულად წამოწყებას პლატფორმაში. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სწორედ მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა ს ფარავს ყველა ფრაზა «პროლეტარული კულტურის» შესახებ. ახალი ჯგუფის «ორიგინალობა» ის არის, რომ მან

პარტიულ პლატფორმაში შეიტანა ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ისე, რომ პირდაპირ არა თქვა, ფილოსოფიის ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რომელ მიმდინარეობას იცავს ის.

თუმცალა, არ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის რეალური შინაარსი, რომელსაც პლატფორმის ციტირებული სიტყვები შეიცავს, მთლიანად უარყოფითი იყოს. მათ უკან იმალება ერთგვარი დადებითი შინაარსიც. ეს დადებითი შინაარსი შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით: მ. გორკი.

მართლაც, საჭირო არ არის იმ ფაქტის დამალვა, რომელზედაც უკვე გაპყვიროდა (დამახინჯებით და უკულმართად) ბურჟუაზიული პრესა, სახელდობრ ის, რომ მ. გორკი ახალი ჯგუფის მომხრეებს მიეკუთვნება. ხოლო გორკი უდავოდ არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც მისთვის ბევრი რამ გააკეთა და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველ ფრაქციას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ გორკი მასთან არის, მაგრამ ამ საფუძვლით პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა შ ი «პროლეტარული ხელოვნების» შეტანა იმას ნიშნავს, რომ ამ პლატფორმას სიღარიბის მოწმობა მისცე, იმას ნიშნავს, რომ შენი ჯგუფი დაიყვანო ლიტერატორულ წ რ ე მ დ ე, რომელიც თავის «ა ვ ტ ო რ ი ტ ა რ ო ბ ა ს» სწორედ რომ თვითონვე ამხელს... პლატფორმის ავტორები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ავტორიტეტების აღიარების წინააღმდეგ, მაგრამ ნათლად არ განმარტავენ, რაშია საქმე. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკების მიერ ფილოსოფიაში მატერიალიზმის დაცვა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათ ჰგონიათ იმ ცალკეული «ავტორიტეტების» (მეტად აშკარა ქარაგმაა!) წამოწყება, რომლებსაც მახიზმის მტრები «ბრმად ენდობიანო». ამგვარი საქციელი, რა თქმა უნდა, საკვლევით ბავშვური ამბავია. მაგრამ ავტორიტეტებს ცუდად სწორედ «ვპერიოდელები» ეპყრობიან. გორკი პროლეტარული ხელოვნების საქმეში ავტორიტეტია, ეს უდავოა. მახიზმისა და ოტზოვიზმის განსამტკიცებლად ა მ ავტორიტეტის «გამოყენების» (რა თქმა უნდა, იდეური მნიშვნელობით) ცდა ნიშნავს

ეჩვენო იმის ნიმუში, თუ როგორ არ უნდა მოვეპყრათ ავტორიტეტებს.

პროლეტარული ხელოვნების საქმეში მ. გორკი უდიდესი პლუსია, მიუხედავად მახიზმისა და ოტზოვიზმისადმი მისი თანაგრძნობისა. სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული მოძრაობის განვითარების საქმეში პლატფორმა, რომელიც პარტიაში ოტზოვისტების ჯგუფს და მახისტებს განაცალკევებს და სპეციალურ ჯგუფურ ამოცანად თითქოსდა «პროლეტარული» ხელოვნების განვითარებას სახავს, არის მინუსი, რადგან ამ პლატფორმას სურს დიდი ავტორიტეტის მოღვაწეობაში განამტკიცოს და გამოიყენოს სწორედ ის, რაც მის სუსტ მხარეს შეადგენს, რაც უარყოფით სიდიდედ შედის იმ უდიდესი სარგებლობის ჯამში, რომელიც მას პროლეტარიატისათვის მოაქვს.

II

«გამაერთიანებელი კრიზისი» ჩვენს პარტიაში

ამ სათაურს რომ წაიკითხავს, ზოგიერთი მკითხველი, ალბათ, ერთბაშად როდი დაუჯერებს თავის თვალს. «ესღა გვაკლდა! რანაირი კრიზისები არ ყოფილა ჩვენს პარტიაში — და უცბად კიდევ ახალი კრიზისი, გამაერთიანებელი ი?».

გამოთქმა, რომელიც ასე უცნაურად გაისმის, ლიბკნეხტისგან გადმოვიღე. ეს გამოთქმა მან იხმარა 1875 წელს (21 აპრილის) წერილში ენგელსისადმი, როცა ლასალელთა და ეიზენახელთა გაერთიანების ამბავს გადმოსცემდა. მარქსი და ენგელსი მაშინ ფიქრობდნენ, რომ ამ გაერთიანებიდან კარგი არაფერი გამოვიდოდა[69]. ლიბკნეხტი უარყოფდა მათ შიშს და არწმუნებდა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ყოველგვარი კრიზისები წარმატებით გადაიტანა, «გამაერთიანებელ კრიზისსაც» გადაიტანსო (იხ. **Gustav Mayer. «Johann Baptist von Schweitzer und die Sozialdemokratie». Jena, 1909, S. 424** *).

* — გუსტავ მაიერი. «იოჰან ბაპტისტ ფონ შვეიცერი და სოციალ-დემოკრატია». იენა, 1909, გვ. 424. რედ.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტიაც, რსდმპ, წარმატებით გადაიტანს თ ა ვ ი ს გამაერთიანებელ კრიზისს. ხოლო ის რომ ამჟამად ასეთ კრიზისს განიცდის, ამას ხედავს ყველა, ვინც კი იცნობს ცენტრალური კომიტეტის პლენარული კრების გადაწყვეტილებებს და პლენუმის შემდეგ მომხდარ აღბებს. პლენუმის რეზოლუციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — გაერთიანება შეიძლება უაღრესად სრული და სავსებით დამთავრებული გვეჩვენოს. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც არის ახლა, 1910 წლის მაისის დამდეგს, ცენტრალური ორგანოს გადამწყვეტი ბრძოლის მიხედვით ლიკვიდატორების გამოცემის—«გოლოს სოციალ-დემოკრატას» წინააღმდეგ, «გოლოსელებთან» პლეხანოვისა და პარტიული მენშევიკების გაცხარებული პოლემიკის მიხედვით, «ვპერიოდის ჯგუფის» გამოსვლის მიხედვით, რომელიც აღსავსეა გინებით ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ (იხ. მისი ახლახან გამოსული ფურცელი: «ამხანაგ ბოლშევიკებს»), — გარეშე ადამიანმა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი გაერთიანება შეიძლება ადვილად ჩათვალოს მოჩვენებად.

ზეიმობენ პარტიის აშკარა მტრები. გააფთრებით ილანძღებიან ოტზოვიზმის მომხრე და მფარველი «ვპერიოდელები». კიდევ უფრო გაბოროტებით იგინებიან ლიკვიდატორების ბელადები — აქსელროდი, მარტინოვი, მარტოვი, პოტრესოვი და სხვები — თავიანთ «აუცილებელ დამატებაში პლეხანოვის «დნევნიკისადმი»». ხელებს შლიან, სამდურავს გამოთქვამენ და უსუსურ ფრაზებს ამბობენ «შემარიგებლები» (იხ. რეზოლუცია, მიღებული 1910 წლის 17 აპრილს «ვენის პარტიული სოციალ-დემოკრატიული კლუბის მიერ», რომელიც ტროცკის თვალსაზრისზე დგას).

მაგრამ იმ ყველაზე მნიშვნელოვან და ძირითად საკითხზე, თუ რა მ ი ზ ე ზ ე ბ ი თ მიმდინარეობს ჩვენი პარტიული გაერთიანება ასე და არა სხვანაირად, რატომ შეიცვალა პლენუმზე მომხდარი (მოჩვენებითი) სრული გაერთიანება ახლა (მოჩვენებითი) სრული გათიშვით, აგრეთვე იმ საკითხზე, თუ როგორი უ ნ დ ა იყოს, ჩვენი პარტიის შიგნით და მის გარეთ

«ძალთა თანაფარდობის» გამო, მისი შემდგომი განვითარების მიმართულება, — ამ ძირითად საკითხებზე არც ლიკვიდატორები (გოლოსელები), არც ოტზოვისტები (ვპერიოდელები), არც შემარიგებლები (ტროცკი და «ვენელები») არავითარ პასუხს არ იძლევიან.

გინება და ფრაზა პასუხი არ არის.

1. ორი შეხედულება გაერთიანებაზე

ლიკვიდატორები და ოტზოვისტები გულის ამაჩუყებელი ერთსულოვნებით თათხავენ ბოლშევიკებს (პირველნი აგრეთვე — პლეხანოვსაც). დამნაშავენი არიან ბოლშევიკები, დამნაშავეა ბოლშევიკური ცენტრი, დამნაშავეა ლენინისა და პლეხანოვის «ინდივიდუალისტური» საქციელი («აუცილებელი დამატება», გვ. 15), დამნაშავეა «ბოლშევიკური ცენტრის ყოფილ წევრთა» «უპასუხისმგებლო ჯგუფიო» (იხ. «ვპერიოდის» ჯგუფის ფურცელი). ლიკვიდატორები და ოტზოვისტები ამ მხრივ სავსებით სოლიდარულნი არიან; მათი ბ ლ ო კ ი ორთოდოქსალური ბოლშევიზმის წინააღმდეგ (ბლოკი, რომელიც ა რ ა ე რ თ ხ ე ლ დამახასიათებელი იყო პლენუმზე ბრძოლისაც, რაზედაც ცალკე იქნება ლაპარაკი ქვემოთ) უდავო ფაქტია; წარმომადგენლები ორი უკიდურესი მიმდინარეობისა, რომლებიც ერთნაირად გამოხატავენ ბურჟუაზიული იდეებისადმი დამორჩილებას და ერთნაირად ანტიპარტიულნი არიან, სავსებით უახლოვდებიან ერთმანეთს თავიანთ შინაპარტიულ პოლიტიკაში, ბოლშევიკებთან ბრძოლაში და ცენტრალური ორგანოს «ბოლშევიკურ ორგანოდ» გამოცხადებაში. მაგრამ აქსელროდისა და ალექსინსკის ყველაზე მაგარი ლანძღვა-გინება იმ გარემოებას ჰფარავს მხოლოდ, რომ მათ სრულიად არ ესმით პარტიული გაერთიანების აზრი და მნიშვნელობა. ტროცკის (— ვენელების) რეზოლუცია მხოლოდ გარეგნულად განსხვავდება აქსელროდისა და ალექსინსკის გამოაშკარავებულ «გულისნადებისაგან». ეს რეზოლუცია მეტად «ფრთხილად» არის შედგენილი და «ზეფრაქ-

ციულ» სამართლიანობას იჩემებს. მაგრამ რა არის მისი აზრი? ყველაფერში დამნაშავენი არიან «ბოლშევიკური ბელადები», — ეს იგივე «ისტორიის ფილოსოფიაა», რასაც აქსელროდი და ალექსინსკი იძლევიან.

ვენის რეზოლუციის პირველსავე აბზაცში ნათქვამია: ...«ყველა ფრაქციისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები... თავიანთი გადაწყვეტილებით» (პლენუმზე) «შეგნებულად და მოფიქრებულად კისრულობდნენ პასუხისმგებლობას მიღებული რეზოლუციების გატარებისათვის *გარკვეულ პირობებში, გარკველ პირებთან, ჯგუფებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობით*». ლაპარაკია «კონფლიქტებზე ცენტრალურ ორგანოში». ვინ არის პლენუმის «რეზოლუციების გატარებისათვის პასუხისმგებელი» ცენტრალურ ორგანოში? ცხადია, ცენტრალური ორგანოს უმრავლესობა, ე. ი. ბოლშევიკები პოლონელებთან ერთად; ისინი არიან კიდევაც პასუხისმგებელნი პლენუმის რეზოლუციების გატარებისათვის — «გარკვეულ პირებთან თანამშრომლობით», ე. ი. გოლოსელებთან და ვპერიოდელებთან თანამშრომლობით.

რაზე ლაპარაკობს პლენუმის მთავარი რეზოლუცია, თავის იმ ნაწილში, რაც მიძღვნილია ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო «მტკივნეული» საკითხებისადმი, იმ საკითხებისადმი, რომლებიც პლენუმზე ყველაზე მეტად სადავო იყო და რომლებიც პლენუმის შემდეგ ყველაზე ნაკლებად სადავო უნდა გამხდარიყო?

იმაზე, რომ *პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინებას* წარმოადგენს, ერთი მხრით, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფა, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირება და სხვა, მეორე მხრით — სათათბიროს ხაზით სოციალ-დემოკრატიის მუშაობისა და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფა, როგორც ერთის, ისე მეორის დიდი მნიშვნელობის გაუგებლობა და სხვ.

ახლა კითხვა ისმის, როგორიღა არის ამ რეზოლუციის აზრი:

ი ს, რომ გოლოსელებს გულწრფელად და სამუდამოდ ჯვარი უნდა დაესვათ არალეგალური პარტიის უარყოფისათვის, მისი დამცირებისათვის და სხვა, უნდა ეღიარებინათ ეს გადახვევად, თავიდან უნდა მოეშორებინათ ის, ეწარმოებინათ დადებითი მუშაობა ამ გადახვევისადმი მტრული სულისკვეთებით; — რომ ვპერიოდელებს გულწრფელად და სამუდამოდ ჯვარი უნდა დაესვათ სათათბიროს ხაზით მუშაობის და ლეგალურ შესაძლებლობათა უარყოფისათვის და სხვა; — რომ ცენტრალური ორგანოს უმრავლესობას ყოველნაირად უნდა მიეზიდა «თანამშრომლობისათვის» გოლოსელები და ვპერიოდელები ი მ პ ი რ ო ბ ი თ, რომ ისინი გულწრფელად, თანამიმდევრობით და სამუდამოდ უარყოფდნენ პლენუმის რეზოლუციაში დაწვრილებით აღწერილ «გადახვევებს»?

თ უ რეზოლუციის აზრი ის არის, რომ ცენტრალური ორგანოს უმრავლესობა პასუხისმგებელია (ლიკვიდატორული და ოტზოვისტური გადახვევების შესახებ მიღებული) რეზოლუციების გატარებისათვის «გ ა რ კ ვ ე უ ლ» გოლოსელებთან «თანამშრომლობით», რომლებიც კვლავინდებურად და უფრო უკმეხადაც კი გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ე ნ ლიკვიდატორობის დაცვას, გარკვეულ ვპერიოდელებთან «თანამშრომლობით», რომლებიც კვლავინდებურად და უფრო უკმეხადაც კი განაგრძობენ ოტზოვიზმის, ულტიმატიზმის კანონიერების დაცვას და სხვა?

საკმარისია ეს კითხვა დავსვათ, რათა დავინახოთ, რა უშინაარსოა წკრიალა ფრაზები ტროცკის რეზოლუციაში, — როგორ ემსახურებიან ისინი ს ა ქ მ ი თ იმავე პოზიციის დაცვას, რომელზედაც დგანან აქსელროდი და კომპანია, ალექსინსკი და კომპანია.

ტროცკიმ თავისი რეზოლუციის პირველსავე სიტყვებში გამოხატა მთელი არსი ყველაზე ცუდი შემარიგებლობისა, «შემარიგებლობისა» ბრჭყალებში, წრეობანური, ობივატელური შემარიგებლობისა, რომელიც გულისხმობს «გარ-

კვეულ პირებს» და არა გარკვეულ ხაზს, არა გარკვეულ სულისკვეთებას, არა პარტიული მუშაობის გარკვეულ იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს.

აკი ეს არის მთელი განმასხვავებელი უფსკრული ტროცკისა და კომპანიის «შემარიგებლობას» შორის, რომელიც საქმით მეტად ერთგულ სამსახურს უწევს ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს და ამიტომ მით უფრო საშიშ ბოროტებას წარმოადგენს პარტიაში, რაც უფრო ცბიერად, უფრო მარჯვედ, უფრო ყბედურად ეფარება ის ვითომდა-პარტიულ და ვითომდა-ანტიფრაქციულ დეკლამაციებს, — და ნამდვილ პარტიულობას შორის, რომელიც მდგომარეობს პარტიის გაწმენდაში ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან.

რა გვაქვს მოცემული ჩვენ ნამდვილად, როგორც პარტიის ამოცანა?

«მოცემული» გვაქვს თუ არა «გარკვეული პირები, ჯგუფები და დაწესებულებანი», რომლებიც უნდა «შევარიგოთ» მიუხედავად მათი ხაზისა, მიუხედავად მათი მუშაობის შინაარსისა, მიუხედავად მათი დამოკიდებულებისა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისადმი?

თუ ჩვენ მოცემული გვაქვს პარტიული ხაზი, მოცემული გვაქვს მთელი ჩვენი მუშაობის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება და შინაარსი, მოცემული გვაქვს ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან ამ მუშაობის გაწმენდის ამოცანა, — ამოცანა, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს მიუხედავად «პირებისა, ჯგუფებისა და დაწესებულებებისა», მიუხედავად იმ «პირთა, დაწესებულებათა და ჯგუფთა» წინააღმდეგობისა, რომელნიც ამ ხაზს არ ეთანხმებიან ან მას არ ატარებენ?

ყოველგვარი პარტიული გაერთიანების მნიშვნელობაზე და განხორციელების პირობებზე შესაძლებელია არსებობდეს ორი შეხედულება. ამ შეხედულებათა განსხვავების გაგებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ ჩვენი «გამაერთიანებელი კრიზისის» განვითარების მიმდინარეობის დროს ერთმანეთში ხლართავენ და ურევენ, და ერთი შეხედულების

მეორე შეხედულებისაგან გაუმიჯნავად ამ კრიზისში გარკვევა შეუძლებელია.

ერთ შეხედულებას გაერთიანებაზე შეუძლია პირველ რიგში დააყენოს «გარკვეულ პირთა, ჯგუფთა და დაწესებულებათა» «შერიგება». პარტიულ მუშაობაზე, ამ მუშაობის ხაზზე მათი შეხედულებების ერთიანობა მეორეხარისხოვანი საქმეა. უნდა ვცდილობდეთ უთანხმოებათა მიფუჩეჩებას და არა მათი ფესვების, მათი მნიშვნელობის, მათი ობიექტური პირობების გამორკვევას. პიროვნებებისა და ჯგუფების «შერიგება» — ეს არის მთავარი. თუ ისინი ერთმანეთს ვერ უთანხმდებიან საერთო ხაზის გატარებაზე, — საჭიროა ეს ხაზი ისე განვმარტოთ, რომ იგი ყველასთვის მისაღები იყოს. შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრე. ეს ობივატელური «შემარიგებლობაა», რომელიც გარდუვალად იწვევს წრეობანურ დიპლომატიას. «თავი დაუცოს» უთანხმოებათა წყაროებს, მიაფუჩეჩოს ისინი, რადაც უნდა დაჯდეს «მოაგვაროს» «კონფლიქტები», გაანეიტრალოს მტრული მიმართულებანი — აი საითკენ არის მიპყრობილი ამგვარი «შემარიგებლობის» მთავარი ყურადღება. გასაგებია, რომ არალეგალური პარტიის ოპერაციების საზღვარგარეთული ბაზის პირობებში ეს წრეობანური დიპლომატია სავსებით კარს უღებს «პირებს, ჯგუფებსა და დაწესებულებებს», რომლებიც «პატიოსანი მაკლერების» როლს ასრულებენ «შერიგებისა» და «ნეიტრალიზაციის» ყოველგვარი ცდების დროს.

აი როგორ მოგვითხრობს პლენუმზე მომხდარი ერთი ასეთი ცდის შესახებ მარტოვი «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში:

«მენშევიკები «პრავდისტები» და ბუნდელები აყენებდნენ ცენტრალური ორგანოს ისეთ შემადგენლობას, რომელიც უზრუნველყოფდა პარტიული აზრის ორი მოპირდაპირე მიმდინარეობის «ნ ე ი ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ა ს», გარკვეულ უმრავლესობას არ მისცემდა არც ერთ მათგანს და ამით პარტიულ ორგანოს ა ი ძ უ ლ ებ დ ა თვითეულ არსებით საკითხში შეემუშავებინა ის შ უ ა თ ა ნ ა ხ ა ზ ი, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა».

მენშევიკების წინადადება, როგორც ცნობილია, არ გავიდა. ტროცკიმ, რომელმაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა ცენტრალურ ორგანოში როგორც ნეიტრალიზაციის გამტარებელმა, მარცხი განიცადა. ბუნდელის კანდიდატურისათვის იმავე თანამდებობაზე — ამ კანდიდატურას თავიანთ სიტყვებში აყენებდნენ მენშევიკები — კენჭიც არ უყრიათ.

აი ასეთია ფაქტიური როლი იმ «შემარიგებლებისა» ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, რომლებმაც ვენის რეზოლუცია დაწერეს და რომელთა შეხედულებანი გამოხატულია «ოტკლიკი ბუნდას» მე-4 ნომერში მოთავსებულ იონოვის სტატიაში, რაც მე ეს-ეს არის მივიღე. მენშევიკები ვერ ბედავდნენ მოეთხოვათ ისეთი ცენტრალური ორგანო, რომლის უმრავლესობა მათი მიმართულების წარმომადგენელი იქნებოდა, — და იმავე დროს აღიარებდნენ, როგორც ჩემ მიერ მოყვანილ მარტოვის მსჯელობიდან ჩანს, ორმოწინააღმდეგე მიმდინარეობას პარტიაში. მენშევიკებს აზრადაც არ მოსვლიათ მოეთხოვათ ისეთი ცენტრალური ორგანო, რომლის უმრავლესობა მათი მიმართულების იქნებოდა. ისინი არც კი ცდილობდნენ ისეთი ცენტრალური ორგანოს შექმნას, რომელსაც გარკვეული მიმართულება ექნებოდა (იმდენად ნათელი იყო პლენუმზე ის გარემოება, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ მიმართულება და მათგან ჯერ კიდევ მხოლოდ მოითხოვდნენ, ჯერ კიდევ მხოლოდ მოელოდნენ ლიკვიდატორობის გულწრფელ და თანამიმდევრულ უარყოფას). მენშევიკებს უნდოდათ ცენტრალურ ორგანოში «ნეიტრალიზაციისათვის» მიეღწიათ და ნეიტრალიზაციის გამტარებლად ასახელებდნენ ბუნდელს ან ტროცკის. ბუნდელსა და ტროცკის უნდა შეესრულებინათ იმ მაჭანკლის როლი, რომელიც იკისრებდა «გარკვეულ პირთა, ჯგუფთა და დაწესებულებათა» «შეუღლებას» იმისგან დამოუკიდებლად, უარყოფდა თუ არა ერთი მხარე ლიკვიდატორობას.

ეს მაჭანკლის თვალსაზრისი შეადგენს კიდევაც ტროცკისა და იონოვის შემარიგებლობის «იდეურ საფუძველს». რო-

ცა ისინი სამდურავს ამბობენ და მოთქვამენ იმის გამო, რომ გაერთიანება არ გამოვიდა, ეს გაგებულ უნდა იქნას **cum grano salis** *. ეს უნდა გავიგოთ ისე, რომ მაჭანკლობამ არ გასჭრა. გაერთიანების იმ იმედის «მარცხი», რაც ტროცკისა და იონოვს ჰქონდათ, «მარცხი» «გარკვეულ პირებთან, ჯგუფებთან და დაწესებულებებთან» გაერთიანების იმედებისა ლიკვიდატორობისადმი მათი დამოკიდებულების მიუხედავად, მხოლოდ მაჭანკლების მარცხს ნიშნავს, მაჭანკლის თვალსაზრისის მცდარობას, უიმედობასა და უბადრუკობას ნიშნავს, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიადაც არ მოასწავებს პარტიული გაერთიანების მარცხს.

არსებობს მეორე შეხედულება ამ გაერთიანებაზე. ეს მეორე შეხედულება იმაში მდგომარეობს, რომ «გარკვეულ (პლენუმის დროისათვის და პლენუმზე) პირთა, ჯგუფთა და დაწესებულებათა» ამა თუ იმ შემადგენლობისაგან დამოუკიდებელმა მთელმა რიგმა ღრმა, ობიექტურმა პირობებმა უკვე დიდი ხანია დაიწყო გამოწვევა და კვლავ განუხრელად იწვევს სოციალ-დემოკრატიის ორ ძველ, ორ მთავარ რუსულ ფრაქციაში ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ქმნიან — ხანდახან ზოგ-ზოგი «გარკვეული პირის, ჯგუფისა და დაწესებულების» ნებისა და თვით შეგნების საწინააღმდეგოდაც კი — გაერთიანების იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. ამ ობიექტური პირობების ფესვები გადგმულია რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების იმ ეპოქის თავისებურებებში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ეპოქის, ბურჟუაზიული მონარქიის ტიპის მიხედვით თვითმპყრობელობის რეორგანიზაციის ცდების ეპოქის თავისებურებებში. ეს ობიექტური პირობები ერთსა და იმავე დროს და ერთიმეორესთან განუყრელ კავშირში იწვევენ ცვლილებებს მუშათა მოძრაობის ხასიათში, მუშათა სოციალ-დემოკრატიული ავანგარდის შემადგენლობასა, ტიპსა და სახეში, ცვლილებებს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის

* — დიდი შენიშვნით. რ ე დ.

იდეურ-პოლიტიკურ ამოცანებში. ამიტომ არა შემთხვევითობას, არა რაიმე ინდივიდუალურ ბოროტგანზრახულობას, სისულელეს ან შეცდომას, არამედ ამ ობიექტური მიზეზების მოქმედების გარდუვალ შედეგს — და თანამედროვე რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობის «ბაზისისაგან» განუყოფელ ზედნაშენს — წარმოადგენს ის ბურჟუაზიული გავლენა პროლეტარიატზე, რომელიც ჰქმნის ლიკვიდატორობას (=ნახევრადლიბერალიზმს, რომელსაც სურს თავისი თავი სოციალ-დემოკრატიას მიაკუთვნოს) და ოტზოვიზმს (= ნახევრად-ანარქიზმს, რომელსაც სურს თავისი თავი სოციალ-დემოკრატიას მიაკუთვნოს). ორივე გადახრის საფრთხის, არასოციალ-დემოკრატიულობის, მუშათა მოძრაობისათვის მათი მავნებლობის შეგნება იწვევს სხვადასხვა ფრაქციის ელემენტების დაახლოებას და გზას უკაფავს პარტიულ გაერთიანებას «ყველა დაბრკოლების გადალახვით».

ამ თვალსაზრისით გაერთიანება შეიძლება ნელა, ძნელად, ყოყმანით, მერყეობით, რეციდივებით მიმდინარეობდეს, მაგრამ ის არ შეიძლება არ მიმდინარეობდეს. ამ თვალსაზრისით გაერთიანება მიმდინარეობს სრულიადაც არა უსათუოდ «გარკვეულ პირებსა, ჯგუფებსა და დაწესებულებებს» შორის, არამედ გარკვეულ პირთაგან დამოუკიდებლად, იმორჩილებს რა მათ, უკუაგდებს რა «გარკვეულთაგან» იმათ, ვისაც ვერ შეუგნია ან არ უნდა შეიგნოს ობიექტური განვითარების მოთხოვნები, აყენებს და იზიდავს რა ახალ პირთ, რომლებიც «გარკვეულთა» შემადგენლობას არ ეკუთვნიან, ახდენს რა ცვლილებებს, გადაადგილებას, გადაჯგუფებას ძველ ფრაქციათა, მიმდინარეობათა, დაყოფათა შიგნით. ამ თვალსაზრისით გაერთიანება განუყოფელია მისი იდეური საფუძვლისაგან, ის მხოლოდ იდეური დაახლოების საფუძველზე წარმოიშობა კიდეც, ის დაკავშირებულია ისეთი გადახვევების წარმოშობასა, განვითარებასა და ზრდასთან, როგორიც არის ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი, დაკავშირებულია ამა თუ იმ პოლემიკური გამოსვლის, ამა თუ იმ ლიტერატურული ბრძოლის არა

შემთხვევითი კავშირით, არამედ შინაგანი, განუყრელი კავშირით, როგორც დაკავშირებულია ერთმანეთთან მიზეზი და შედეგი.

2. «ორ ფრონტზე ბრძოლა» და გადახვევების დაძლევა

ასეთია ორი პრინციპულად განსხვავებული, ერთმანეთისაგან ძირფესვიანად დაშორებული, შეხედულება ჩვენი პარტიული გაერთიანების დედაარსსა და მნიშვნელობაზე.

ახლა კითხვა ისმის: ამ შეხედულებათაგან რომელი უდევს საფუძვლად პლენუმის რეზოლუციას? ვინც მოისურვებს ღრმად ჩაუკვირდეს ამ რეზოლუციას, დაინახავს, რომ მას საფუძვლად უდევს მეორე შეხედულება, მაგრამ ზოგ ადგილას რეზოლუციას აშკარად ამჩნევია პირველი შეხედულების სულისკვეთებით შეტანილ კერძო «შესწორებათა» კვალი, ამასთან ეს «შესწორებები» თუმცა რეზოლუციას აუარესებენ, მაგრამ სრულიადაც ვერ აქარწყლებენ მისს საფუძველს, მის მთავარ შინაარსს, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია მეორე შეხედულებით.

იმის ცხადყოფისათვის, რომ ეს ასეა, რომ წრეობანური დიპლომატიის სულისკვეთებით შეტანილი «შესწორებანი» ნამდვილად კერძო შესწორებათა ხასიათისაა, რომ ისინი არ ცვლიან საქმის დედაარსს და რეზოლუციის პრინციპულ საფუძველს, შევჩერდები პარტიის მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის ამ ცალკეულ მუხლებსა და ცალკეულ ადგილებზე, რომელთაც პარტიული პრესა უკვე შეეხო. დაჭიწყებ ბოლოდან.

იონოვი «ძველი ფრაქციების ხელმძღვანელებს» ბრალად სდებს იმას, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ხელი შეუშალონ ერთიანობის დამყარებას, რომ ისინი პლენუმზეც ისევე იქცეოდნენ, რომ «საჭირო ხდებოდა მათთვის თვითეული ნაბიჯის ბრძოლით გადადგმევინება» და წერს:

«ამხ. ლენინს არ უნდოდა «საშიში გადახვევების გადალახვა» «სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების» გზით.

იგი საკმაოდ ენერგიულად ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ ყველა პარტიული წამოწყების ცენტრში დასმულიყო «ორ ფრონტზე ბრძოლის» თეორია. მას აზრადაც კი არ მოსდიოდა პარტიაში «გაძლიერებული დაცვის მდგომარეობის» მოსპობა» (გვ. 22, სვ. 1).

ლაპარაკია პარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის მე-4 პარაგრაფზე, მუხლი ბ. ამ რეზოლუციის პროექტი ცენტრალურ კომიტეტში მე შევიტანე, და ეს მუხლი უკვე კომისიის მუშაობის შემდეგ შეცვალა თვით პლენუმმა, შეცვალა ტროცკის წინადადებით, რომლის წინააღმდეგაც მე წარუმატებლად ვიბრძოდი. მე ამ მუხლში ჩაწერილი მქონდა თუ სიტყვა-სიტყვით «ორ ფრონტზე ბრძოლა» არა, ყოველ შემთხვევაში—ამ აზრის გამომხატველი სიტყვები მაინც. «გაფართოებისა და გაღრმავების გზით გადალახვა» ჩამატებულია ტროცკის წინადადებით. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ამხ. იონოვი თავისი მოთხრობით ამ წინადადების წინააღმდეგ ჩემი ბრძოლის შესახებ, მარჯვე სიბაბს მაძლევს აზრი გამოვთქვა «შესწორების» მნიშვნელობაზე.

არაფერს არ გამოუწვევია პლენუმზე ისეთი სასტიკი — ხშირად კომიკური — აღშფოთება, როგორიც «ორ ფრონტზე ბრძოლის» აზრმა გამოიწვია. ამის ხსენებაც კი ვპერიოდელებსაც და მენშევიკებსაც მოთმინებას უკარგავდა. ეს აღშფოთება ისტორიულად სავსებით გასაგებია, რადგან ბოლშევიკებმა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ჩაატარეს, 1908 წლის აგვისტოდან 1910 წლის იანვრამდე, ორ ფრონტზე ბრძოლა, ე. ი. ბრძოლა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ. კომიკური კი ეს აღშფოთება იმიტომ იყო, რომ ბოლშევიკებზე გაჯავრებულნი ამით მხოლოდ თავიანთ დამნაშავეობას ადასტურებდნენ, ადასტურებდნენ, რომ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის ყოველგვარი დაგმობა მათ კვლავ აღელვებთ. ქურდს ქუდი ეწვის.

ტროცკის იმ წინადადებას, რომ ორ ფრონტზე ბრძოლის ნაცვლად შეტანილი ყოფილიყო «გაფართოებისა და გაღრმავების გზით გადალახვა», მხურვალედ დაუჭირეს მხარი მენშევიკებმა და ვპერიოდელებმა.

და ახლა ამ «გამარჯვების» გამო ზეიმობენ იონოვიც, «პრავდაც», ვენის რეზოლუციაც და «გოლოს სოციალ-დემოკრატაც». მაგრამ კითხვა ისმის: ამ მუხლიდან ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ შეტანილი სიტყვების ამოგდებით განდევნეს თუ არა რეზოლუციიდან ამ ბრძოლის აუცილებლობის აღიარება? სრულიადაც არა, რადგან რაკი აღიარებულია «გადახვევები», აღიარებულია მათი «საფრთხე», აღიარებულია ამ საფრთხის «ახსნა-განმარტების» აუცილებელი საჭიროება, აღიარებულია, რომ გადახვევები არის «პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება», ამით, არსებითად, აღიარებულია სწორედ ორ ფრონტზე ბრძოლა! ერთ ადგილას შეცვალეს «არასასიამოვნო» (ამა თუ იმ ნათლიმამისათვის) ტერმინი, მაგრამ დატოვეს ძირითადი აზრი! გამოვიდა მხოლოდ ერთი მუხლის ერთი ნაწილის დახლართვა, წყლის შერევა, ფრაზით გაუარესება.

მართლაცდა, ეს სწორედ რომ ფრაზა და უმწეო თავდაძვრენაა, თუკი ამ პარაგრაფში ლაპარაკია გადალახვაზე მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების გზით. აქ არავითარი ნათელი აზრი არ არის. მუშაობის გაფართოება და გაღრმავება ყოველთვის და უსათუოდ საჭიროა; ამაზე რეზოლუციის მთელი მესამე პარაგრაფი დაწვრილებით ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ვიდრე გადავიდოდეს სპეციფიკურ, — არა ყოველთვის და არა უსათუოდ სავალდებულო, არამედ განსაკუთრებული პერიოდის პირობებით წარმოშობილ, — «იდეურ-პოლიტიკურ ამოცანებზე». მხოლოდ ამ განსაკუთრებული ამოცანებისადმია მიძღვნილი მე-4 პარაგრაფი, და სამივე ამ მუხლის შესავალში პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს იდეურ-პოლიტიკური ამოცანები «თავის რიგად წამოიჭრა».

რა გამოვიდა? გამოვიდა უაზრობა, თითქოს მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების ამოცანაც აგრეთვე თავის რიგად წამოიჭრა! თითქოსდა შეიძლება იყოს ისეთი ისტორიული «რიგი», როცა ეს ამოცანა არ იდგეს, როგორც ყოველთვის!

და რანაირად შეიძლება გადახვევათა დაძლევა სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების **გზით**? ყოველგვარი გაფართოებისა და ყოველგვარი გაღრმავების დროს გარდუვალად წამოიჭრება საკითხი, როგორ გავაფართოოთ და როგორ გავაღრმაოთ; თუ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი შემთხვევითობა კი არა, არამედ სოციალური პირობებით წარმოშობილი მიმდინარეობანია, ისინი მუშაობის ყოველგვარ გაფართოებასა და ყოველგვარ გაღრმავებაში შეიძლება შეიჭრან. შეიძლება მუშაობის გაფართოება და გაღრმავება ლიკვიდატორობის სულისკვეთებით, — ასე იქცევიან, მაგალითად, «ნაშა ზარია» და «ვოზროჟდენიე»[70]; შეიძლება ეს გაკეთდეს ოტზოვიზმის სულისკვეთებითაც. მეორე მხრით, გადახვევათა დაძლევას, სიტყვა «დაძლევის» ნამდვილი მნიშვნელობით, გარდუვალად მიაქვს გარკვეული ძალები, დრო, ენერგია სწორი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის უშუალო გაფართოებისა და გაღრმავების საზიანოდ. მაგალითად, იგივე იონოვი თავისი სტატიის იმავე გვერდზე წერს:

«პლენუმი დამთავრდა. მისი მონაწილეები წავიდ-წამოვიდნენ. ცენტრალურ კომიტეტს მუშაობის მოგვარებისას უხდება უზომო სიძნელეების გადალახვა; ამ სიძნელეთა შორის უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ეგრეთწოდებული» (მხოლოდ ეგრეთწოდებული, ამხ. იონოვ, და არა ნამდვილი, არა ჭეშმარიტი?) «ლიკვიდატორების საქციელს, რომელთა არსებობას ამხ. მარტოვი ასე დაჟინებით უარყოფდა».

აი ინებეთ მასალა — მცირე, მაგრამ დამახასიათებელი მასალა—იმის გასარკვევად, თუ რამდენად ლიტონი ფრაზებია ტროცკისა და იონოვის ფრაზები. მიხეილის, იურისა და კომპანიის ლიკვიდატორული ნაბიჯების გადალახვა ცენტრალურ კომიტეტს ართმევდა ძალებსა და დროს ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის უშუალო გაფართოებისა და გაღრმავების საზიანოდ. მიხეილის, იურისა და კომპანიის საქციელი რომ არა, ლიკვიდატორობა რომ არა იმათ შორის, ვისაც შეცდომით კვლავ ჩვენს ამხანაგებად ვთვლით, სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოება და გაღრმავება უფრო

წარმატებით წარიმართებოდა, რადგან შინაგანი ბრძოლა არ მოაცდენდა პარტიის ძალებს. მაშასადამე, თუ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის გაფართოებად და გაღრმავებად გავიგებთ აგიტაციის, პროპაგანდის, ეკონომიური ბრძოლისა და სხვათა უშუალო განვითარებას ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით, მაშინ სოციალ-დემოკრატიზმისაგან სოციალ-დემოკრატების გადახვევათა დაძლევა ამ მუშაობისათვის არის მინუსი, ასე ვთქვათ, გამოკლება «დადებითი მოღვაწეობიდან», და, მაშასადამე, ფრაზას გადახვევათა დაძლევის შესახებ გაფართოებისა და სხვა გ ზ ი თ, აზრი არა აქვს.

ეს ფრაზა ნამდვილად გამოხატავს იმ ბუნდოვან სურვილს, კეთილ, უწყინარ სურვილს, რომ შინაგანი ბრძოლა სოციალ-დემოკრატთა შორის რაც შეიძლება ნაკლები იყოს! არაფერი, გარდა ამ უწყინარი სურვილისა, ამ ფრაზაში არ ასახულა; ეს არის ეგრეთწოდებულ შემარიგებელთა ა მ ო ო ხ ვ რ ა: ოხ, ნეტავი ნაკლები იყოს ბრძოლა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგო!

ამგვარი «ამოოხვრის» პოლიტიკური მნიშვნელობა ნულს უდრის, ის ნულზე უარესია. თუ პარტიაში არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ხელსაყრელია «დაჟინებით უარყონ» ლიკვიდატორების (და ოტზოვისტების) არსებობა, ისინი «შემარიგებელთა» «ამოოხვრას» გამოიყენებენ ბოროტების დასაფარავად. ასე იქცევა კიდევაც «გოლოს სოციალ-დემოკრატა». და ამიტომ რეზოლუციაში ამგვარი კეთილგანმზრახ-ლიტონი ფრაზების დამცველები მხოლოდ ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი «შემარიგებლები» არიან. საქმით ისინი ხელს უწყობენ ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს, საქმით ისინი სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას კი არ აღრმავებენ, არამედ სწორედ მისგან გადახვევებს განამტკიცებენ, განამტკიცებენ სწორედ ბოროტებას, რაკი მას დროებით მალავენ და მისგან განკურნებას აძნელებენ.

იმისათვის, რომ ამხ. იონოვს ნათლად დავანახო ამ ბოროტების მნიშვნელობა, მე მას მოვაგონებ ერთ ადგილს ამხ. იონოვის სტატიიდან «დისკუსიონნი ლისტოკის» 1-ლ ნომერ-

ში. ამხ. იონოვმა ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი მარჯვედ შეადარა კეთილთვისებიან მუწუკს, რომელიც «დაჩირქების პროცესში მთელი ორგანიზმიდან იზიდავს ყოველგვარ მავნე ელემენტებს და ამრიგად ხელს უწყობს მის გაჯანსაღებას».

აი, სწორედ. დაჩირქების პროცესი, რომელსაც ორგანიზმიდან «მავნე ელემენტები» გამოაქვს, გაჯანსაღებას იწვევს. იმას კი, რაც ასეთი ელემენტებისაგან ორგანიზმის გაწმენდას აძნელებს, — მისთვის ზიანი მოაქვს. დაე ამხ. იონოვი ჩაუფიქრდეს ამხ. იონოვის ამ სასარგებლო აზრს!

3. გაერთიანების პირობები და წრეობანური დიპლომატია

შემდეგ. «გოლოსის» სარედაქციო სტატია პლენუმის შედეგების შესახებ გვაიძულებს შევეხოთ რეზოლუციიდან სიტყვების: ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი-ს ამოღების საკითხს. ამ სარედაქციო სტატიაში (№ 19 — 20, გვ. 18) უჩვეულო, არსად არნახული (გარდა ჩვენი გოლოსელებისა)... გამბედაობით აცხადებენ, რომ ტერმინი «ლიკვიდატორი» ბუნდოვანი ტერმინია, რომ ის «იწვევდა ყოველგვარი გაუგებრობის წარმოშობას» (sic!! *) და სხვა, რისთვისაც «ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამოეღო რეზოლუციიდან ეს ტერმინი».

რა ვუწოდოთ ტერმინის ამოღების შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ასეთ გადმოცემას, როდესაც «გოლოსის» რედაქტორებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ეს გადმოცემა ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება? რის იმედი ჰქონდათ ამ რედაქტორებს, როცა ორი მათგანი პლენუმზე იყო და ტერმინის ამოღების «ისტორია» იციან? ნუთუ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მათ არ გამოამჟღავნებდნენ?

რეზოლუციის შემმუშავებელ კომისიაში უმრავლესობამ დაამტკიცა ტერმინის დატოვება. ორი მენშევიკისაგან, რომლე-

* — ასე!! რედ.

ბიც კომისიაში იყვნენ, ერთმა (მარტოვმა) ხმა მისცა მისი ამოღების სასარგებლოდ, მ ე ო რ ე მ (რომელიც არა ერთხელ იხრებოდა პლეხანოვის პოზიციისაკენ) — წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. პლენუმზე ყველა ნაციონალმა (2 პოლონელი + 2 ბუნდელი + 1 ლატვიელი) და ტროცკიმ შემოიტანეს შემდეგი განცხადება:

«რადგან ვთვლით, რომ არსებითად სასურველი იქნებოდა რეზოლუციაში აღნიშნული მიმდინარეობისათვის გვეწოდებინა «ლიკვიდატორობა», რომლის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში ამხ. მენშევიკების განცხადებას, რ ო მ ი ს ი ნ ი ც ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა დ თ ვ ლ ი ა ნ ა მ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა ს, მაგრამ რეზოლუციაში ასეთი ტერმინის ხმარებას ფრაქციული, მათი, მენშევიკების, წინააღმდეგ მიმართული ხასიათი აქვს, — ჩვენ, პარტიის გაერთიანებისათვის ყოველგვარი ზედმეტი დაბრკოლების აღმოფხვრის ინტერესების გულისათვის, წინადადება შემოგვაქვს ამოღებულ იქნას ეს ტერმინი რეზოლუციიდან».

ამრიგად, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, და თანაც სახელდობრ ყველა არაფრაქციული ელემენტი, წერილობით აცხადებს, რომ სიტყვა ლიკვიდატორობა არსებითად მართებულია და რომ ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად საჭიროა, «გოლოსის» რედაქცია კი ტერმინის ამოღებას იმით ხსნის, რომ ის არსებითად უვარგისი იყოო!!

ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, და თანაც სახელდობრ ყველა არაფრაქციული ელემენტი, წერილობით აცხადებს, რომ ტერმინის ამოღებას ეთანხმება, უთმობს რა მენშევიკების დაჟინებით მოთხოვნას (უფრო სწორად რომ ვთქვათ, უთმობს ულტიმატუმს, რადგან მენშევიკებმა განაცხადეს, თუ ასე არ მოხდა, რეზოლუცია ერთხმად არ იქნება მიღებულიო), რადგან მათ პირობა დასდეს «ე ბ რ ძ ო ლ ო ნ ა მ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს», «გოლოსის» რედაქცია კი წერს: რეზოლუციამ ««ლიკვიდატორობის წინააღმდეგ» ეგრეთწოდებული «ბრძოლის» საკითხს არაორაზროვანი პასუხი» გასცაო (გვ. 18, იქვე)!!

პლენუმზე ისინი პირობას იძლევიან გამოსწორდნენ, ითხოვენ: ნუ იხმართ «ჩ ვ ე ნ ს წინააღმდეგ მიმართულ ტერმინს», რადგან ჩვენ ამიერიდან თვითონ ვიბრძოლებთ ამ მიმდინარეობის წინააღმდეგო, — ხოლო «გოლოსის» პირველ ნომერში პლენუმის შემდეგ ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლას ეგრეთწოდებულ ბრძოლად აცხადებენ.

ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს გოლოსელთა სრულსა და გადამწყვეტ შეტრიალებასთან ლიკვიდატორობისაკენ, შეტრიალებასთან, რომელიც გასაგები გახდება, თუ იმას, რაც პლენუმის შემდეგ მოხდა, — განსაკუთრებით «ნაშა ზარიას», «ვოზროჟდენიეს» და მიხეილის, იურის, რომანისა და კომპანიის მსგავს ვაუბატონთა გამოსვლებს, — შეეხედავთ როგორც რაღაც მთლიანს, ურთიერთ-დაკავშირებულს, მიზეზობრივად განპირობებულს. ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, და იქ ჩვენ მოგვიხდება ცხადვყოთ ტროცკის თვალსაზრისის მთელი ზვრელობა, ტროცკისა, რომელსაც უნდა ყველაფერი დააბრალოს «ზნეობრივ-პოლიტიკურ ვალდებულებათა დარღვევას» (ვენის რეზოლუცია), მაშინ როდესაც ჩვენს წინაშე არის, ცხადია, «ვალდებულებათა» არა პირადი ან ჯგუფური «დარღვევა», არა მორალური, არა იურიდიული, არამედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი აქტი, სახელდობრ: ანტიპარტიული ლეგალისტების შემჭიდროება რუსეთში.

ახლა კი საჭიროა შევჩერდეთ მეორე საკითხზე, სახელდობრ, პლენუმის ისეთი ნაბიჯის მიზეზებისა და მნიშვნელობის საკითხზე, როგორიცაა სიტყვა ლიკვიდატორობის ამოღება რეზოლუციიდან. ამის ახსნა ისეთი შემარიგებლების მხოლოდ უგუნური გულმოდგინებით, როგორიც არიან ტროცკი, იონოვი და კომპანია, უმართებულო იქნებოდა. აქ სხვა მომენტიც არის. საქმე ისაა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი გატარდა არა უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების ჩვეულებრივი პრინციპის მიხედვით, არამედ ორი ფრაქციის, ბოლშევიკებისა და მენშევიკების, შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს პრინციპის მიხედვით, ნაციონალების შუამავლობის პირობებში. როგორც ჩანს,

ამ გარემოებაზე ლაპარაკობს გადაკრული სიტყვებით «ოტკლიკი ბუნდაში» ამხ. იონოვი, როცა იგი წერს: «ამხანაგებმა, რომლებიც ახლა ფორმალისტიკას ებღაუჭებიან, მშვენივრად იციან, რით გათავდებოდა უკანასკნელი პლენუმი, იგი რომ ფორმალურ თვალსაზრისს დადგომოდა».

ამხ. იონოვი ამ ფრაზაში გადაკრული სიტყვებით ლაპარაკობს. ტროცკის მსგავსად, იგი თავისი აზრების გადმოცემის ასეთ ხერხს განსაკუთრებით «ტაქტიკურ», არაფრაქციულ და სპეციფიკურ-პარტიულ ხერხად თვლის. ნამდვილად ეს სწორედ წრეობანური დიპლომატების ყოფაქცევაა, რომელსაც პარტიისა და პარტიულობისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. გადაკვრით ნათქვამი ზოგიერთზე გავლენას არ ახდენს, მეორეს — წრეობრივ ცნობისმოყვარეობას აღუგზნებს, მესამეს — საჭორიკანოდ და მითქმა-მოთქმისათვის აქეზებს. ამიტომ საჭიროა იონოვის გადაკრული სიტყვები ამოხსნილ იქნას. თუ იგი აქ ლაპარაკობს არა იმაზე, რომ პლენუმი მთელ რიგ საკითხებში ესწრაფვოდა შეთანხმებას (და არა უბრალო გადაწყვეტას უმრავლესობით), ვთხოვთ მას აზრი უფრო ნათლად გამოთქვას და საზღვარგარეთელი ჭორიკანები არ აცთუნოს.

ხოლო თუ იონოვი აქ ლაპარაკობს პლენუმზე ფრაქციების შეთანხმების შესახებ, მაშინ მისი სიტყვები იმ «ამხანაგების» წინააღმდეგ, «რომლებიც ახლა ფორმალისტიკას ებღაუჭებიან», ნათლად გვიჩვენებს იმ თითქოსდა შემარიგებლების კიდევ ერთ თვისებას, რომლებიც საქმით ფარულად ეხმარებიან ლიკვიდატორებს.

მთელი რიგი ერთხმივი გადაწყვეტილებანი პლენუმზე მიღებულ იქნა ფრაქციების შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ. რატომ იყო ეს აუცილებელი? იმიტომ რომ ფაქტიურად ფრაქციული ურთიერთობა გათიშვას უდრიდა, ხოლო ყოველი გათიშვის დროს მთელი კოლექტივის (ამ შემთხვევაში: პარტიის) დისციპლინა მუდამ და გარდუვალად მსხვერპლად ეწირება კოლექტივის ნაწილის (ამ შემთხვევაში: ფრაქციის) დისციპლინას.

რუსეთში შექმნილი პარტიული ურთიერთობის პირობებში ერთიანობისაკენ სვლა სხვანაირად არ შეიძლებოდა, თუ არა ფრაქციების შეთანხმებით (ყველა ფრაქციისა თუ მთავარი ფრაქციების, ფრაქციათა ნაწილებისა თუ მთლიანად მთელი ფრაქციების შეთანხმებით, — ეს სხვა საკითხია). აქედან გამომდინარეობდა კომპრომისის, ე. ი. ზოგიერთ მუხლში ისეთ დათმობათა აუცილებლობა, რომლებსაც უმრავლესობა არ სცნობდა, მაგრამ უმცირესობა მოითხოვდა. ერთ-ერთი ასეთი კომპრომისული დათმობა იყო რეზოლუციიდან სიტყვა ლიკვიდატორობის ამოღება. პლენუმის გადაწყვეტილებათა ამ კომპრომისული ხასიათის განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებაა ბოლშევიკების მიერ მათი ფ რ ა ქ ც ი უ ლ ი ქონების პ ი რ ო ბ ი თ ა დ გადაცემა მ ე ს ა მ ე პირთათვის. პარტიის ნაწილი პირობით გადასცემს თავის ქონებას მესამე პირთ (საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიიდან), რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ, ეს ფული ცენტრალურ კომიტეტს მიეცეს თუ ფრაქციას დაუბრუნდეს. ნორმალურ, გაუთიშავ პარტიაში სრულიად უჩვეულო და შეუძლებელი ხასიათი ამ ხელშეკრულებისა ნათლად გვიჩვენებს, რა პ ი რ ო ბ ე ბ ი თ ი ღებდნენ ბოლშევიკები შეთანხმებას. ბოლშევიკების დეკლარაცია, ცენტრალური ორგანოს მე-11 ნომერში დაბეჭდილი, ნათლად ლაპარაკობს, რომ ძირითად იდეურ-პოლიტიკურ პირობას წარმოადგენს იმ რეზოლუციის გატარება, რომელიც «გმობს ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმს და ამ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლას აღიარებს პარტიის პოლიტიკური ხაზის განუყოფელ ელემენტად», რომ ამ ხაზის განხორციელების ერთ-ერთი უზრუნველმყოფელი პირობაა ცენტრალური ორგანოს შემადგენლობა, რომ მენშევიკების მიერ ფრაქციული ორგანოს გამოცემისა და ფრაქციული პოლიტიკის გატარების განგრძობა ბოლშევიკებს უფლებას აძლევს «მოსთხოვონ მქონებელს ფულის დაბრუნება». ცენტრალურმა კომიტეტმა ეს პირობები მ ი ი ღ ო, როცა რეზოლუციაში ფრაქციული ცენტრების შესახებ პირდაპირ მიუთითა ბოლშევიკების ამ დეკლარაციაზე.

კითხვა ისმის: უნდა შესრულდეს თუ არა ეს პირობები? ფორმალურია თუ არა ეს პირობები? ამხ. იონოვმა, რომელიც აგდებით ლაპარაკობს «ფორმალისტიკაზე», ვერ გაიგო ყველაზე ელემენტარული განსხვავება შეთანხმებასა, როგორც ხელშეკრულების (=ბოლშევიკების მიერ ფულის გადაცემის პირობის, პირობისა, რომელიც დამტკიცებულია ცენტრალური კომიტეტის ერთხმივი რეზოლუციით ფრაქციული ცენტრების შესახებ) საფუძველსა, და ხელშეკრულების ფორმალური პირობების დაცვას, როგორც ერთიანობის შენარჩუნების საფუძველს, შორის.

თუ ამხ. იონოვი ახლა, ფრაქციული ცენტრების შესახებ ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუციის შემდეგ, ზიზღით იქნევს ხელს «ფორმალისტიკაზე», ის ამით ხელს იქნევს ცენტრალური კომიტეტის მ თ ე ლ გადაწყვეტილებაზე ფრაქციული ცენტრების შესახებ. ამხ. იონოვის სოფიზმი მდგომარეობს აი რაში: ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა ჯამი მიღწეულია არა მარტო რეზოლუციების გატარებით ხმების უმრავლესობის საფუძველზე, არამედ მტრულ მიმდინარეობათა შეთანხმებითაც ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში; — მაშასადამე, ფორმალურად ეს გადაწყვეტილებანი კ ვ ლ ა ვ ა ც სავალდებულო არ არის, უმცირესობას კი უფლება აქვს შეთანხმება მოითხოვოს! რ ა დ გ ა ნ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში არის შეთანხმების ელემენტი, ეს გადაწყვეტილებანი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შეიძლება დავჭიოთ, ვინაიდან შეთანხმება ნებაყოფლობითი საქმეა!

განა ამგვარი სოფისტიკა ლიკვიდატორების ცუდად დაფარული დაცვა არ არის?

მაგრამ თუ იონოვის სოფიზმები მხოლოდ სასაცილოა, ცენტრალური კომიტეტის (პლენუმის) მისწრაფებაში — გაეტარებინა შესაძლო დათმობათა მაქსიმუმი, ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად სწორი, მართებული მომენტი იყო. მენშევიკები და ოტზოვისტები შეთანხმებულად ესხმოდნენ თავს გააფთრებით ბ ც (ბოლშევიკურ ცენტრს), რომლის წინააღ-

მდეგაც ყოვლად საშინელ ბრალდებებს აყენებდნენ. არა პრინციპული უთანხმოებანი, არამედ ბ ც «ბოროტეულობა» — აი რა გვაშორებს ჩვენ ყველაზე მეტად და პირველ ყოვლისა პარტიისაგანო, ამბობდნენ მენშევიკებიც და ოტზოვისტებიც *.

ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომლის გაურკვევლად შეუძლებელია გავიგოთ, თუ რატომ სწორედ ასეთია და არა სხვანაირი ჩვენი გამაერთიანებელი კრიზისის მიმდინარეობა. ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის პრინციპული დამცველები ა რ ყ ო ფ ი ლ ა ნ: ვერც მენშევიკები, ვერც ვპერიოდელები ამგვარი პოზიციის დაკავებას ვ ე რ ბ ე დ ა ვ დ ნ ე ნ. აქ თავი იჩინა მარქსიზმის თანამედროვე «კრიტიკოსთა» და ნამდვილად მარქსისტული ტაქტიკის კრიტიკოსთა ნიშანმა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია აღნიშნულია (და ოპორტუნისტების წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ლიტერატურაში არა ერთხელ აღუნიშნავთ): გაუბედაობამ, უპრინციპობამ, «ახალი» ხაზის დამალვამ, ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის თანამიმდევრობითი წარმომადგენლებისათვის ხელის დაფარებამ. ჩვენ ლიკვიდატორები არა ვართ, ეს ფრაქციული ტერმინიაო, — გაიძახოდნენ მენშევიკები. ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, ეს ფრაქციული გაზვიადებაოა, — კვერს უკრავდნენ მათ ვპერიოდელები. და ყველა და ყოველგვარი საქმის გამო, თვით ეგრეთწოდებული «სისხლის სამართლის» (წაიკითხე: ექსპროპრიაციის) საქმეთა გამოც კი, ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ ათასობით ბრალდებას აყენებდნენ იმ მ ი ზ ნ ი თ, რომ პრინციპულ-პოლიტიკური უთანხმოებანი მიეჩქმალათ და მეორე რიგში მოექციათ.

ბოლშევიკებმა ამაზე უპასუხეს: კარგი, ბატონებო, დაე ცენტრალურმა კომიტეტმა გაარჩიოს თქვენი ყ ვ ე ლ ა ბრალ-

* შდრ. იონოვის აზრი: «არანაკლებ დაეინებით ჩასჩიჩინებდა პლენუმს ამბ. მარტოვი, რომ «საშიში გადახვევები» მარჯვნივ — ბოროტი ბოლშევიკების გამოგონებაა, რომ პარტიას ერთი მტერი ჰყავს, ესაა — ბოლშევიკური ცენტრი მისი ფრაქციული პარპაშითო» (ციტირ. სტატია, გვ. 22).

დება და «განჩინება» გამოიტანოს. პლენუმში შედის ხუთი ნაციონალი სოციალ-დემოკრატი, — მათზეა დამოკიდებული საზოგადოდ გადაწყვეტა, მით უმეტეს ერთხმივი გადაწყვეტა. დაე ისინი იყვნენ კიდეც «მოსამართლენი» თქვენი (ე. ი. მენშევიკური და ვპერიოდული) ბრალდებების გარჩევისა და ბოლშევიკური ცენტრისადმი თქვენი პრეტენზიების დაკმაყოფილების დროს. ბოლშევიკები უფრო შორს წავიდნენ. ისინი დათანხმდნენ მენშევიკებისა და ვპერიოდელების მიერ მოთხოვნილი კომპრომისების მაქსიმუმს რეზოლუციებში.

და აი, რეზოლუციებში პარტიის საქმეთა მდგომარეობისა და კონფერენციის შესახებ დათმობათა მაქსიმუმი გაკეთდა, ყველა «ბრალდება» განხილულია და ბოლშევიკური ცენტრის მიმართ წამოყენებული ყველა პრეტენზია დაკმაყოფილებულია. ყველა ხუთი ნაციონალი სოციალ-დემოკრატის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა პარტიული ხაზის, ე. ი. ანტილიკვიდატორული ხაზის, მოწინააღმდეგეებისათვის წაერთმიათ დათქმების ყოველგვარი შესაძლებლობა, საკითხის პრინციპული დაყენებიდან თავდაძვრენის ყოველგვარი შესაძლებლობა. და ეს შესაძლებლობა მათ წაართვეს.

თუ ახლა აქსელროდი, მარტოვი და კომპანია «აუცილებელ დამატებაში», ალექსინსკი და კომპანია ვპერიოდელთა ფურცელში ცდილობენ კვლავ გამოათრიონ მზის სინათლეზე ბრალდებები ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ, ჭორები, ცილისწამება, სიცრუე და ინსინუაციები, — ამ ვაჟბატონებს თვითონ გამოაქვთ განაჩენი თავისი თავისთვის. იმის უარყოფა, რომ პლენუმმა მათი ყველა ბრალდება ერთხმად განიხილა, ყველა ბრალდება თავისი რეზოლუციით უკუგდო და უკუგდებულად სცნო, — ამის უარყოფა არ შეიძლება, ამის უარყოფა არც ერთი და არც მეორე ჯგუფის მოკინკლავე გმირებს არ შეუძლიათ. ხოლო თუ ეს ასეა,

მაშინ ყველასთვის და თვითეულისათვის ნათელია ახლა, რომ ისინი, ვინც კვლავ იწყებს კინკლაობას (აქსელროდი, მარტოვი, ალექსინსკი და კომპანია), მხოლოდ პოლიტიკური შანტაჟისტები არიან, რომელთაც სურთ პრინციპული საკითხები ჭორით მიაფუჩეჩონ. და ჩვენ მათ სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა პოლიტიკურ შანტაჟისტებს. სხვა საკითხებს, გარდა პარტიის მიერ ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური ხაზის გატარების საკითხისა, ჩვენ ხელს არ მოვკიდებთ, აქსელროდისა, მარტოვისა, ალექსინსკისათვის კი მიგვინდვია რამდენიც ნებავთ იჭყუმპალაონ წუმპეში.

ბოლშევიკების კომპრომისები და დათმობანი, მათი თანხმობა ბევრი მხრივ არასაკმაოდ გაბედული რეზოლუციებისადმი, აუცილებელი იყო პრინციპული გამიჯვნის სიწმინდისათვის. მენშევიკებისა და ოტზოვისტების ყველა იმ პრეტენზიის დაკმაყოფილებით, რომლებიც კი ნაციონალთა უმრავლესობამ მართებულად ჩათვალა *, ბოლშევიკებმა იმას მიაღწიეს, რომ სოციალ-დემოკრატებისათვის განურჩევლად მიმართულებისა, ყველასთვის, გარდა პროფესიული შანტაჟისტებისა, დაისვა მხოლოდ და მხოლოდ პარტიული ხაზის, ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური ხაზის გატარების საკითხი. არავისთვის, არც ერთი კაცისთვის პარტიაში, არ გადაუღობავთ პარტიული მუშაობის გზა, ამ ხაზის გატარებაში მონაწილეობის გზა; მისი გატარების არავითარი დაბრკოლება, არავითარი გარეშე ხელშემშლელი გარემოება არ დარჩენილა გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც დამოკიდებული იყო ნაციონალი სოციალ-დემოკრატებისაგან. და თუ ლიკვიდატორებმა ახლა კვლავ და კიდევ უფრო აშკარად გამოავლინეს თავიანთი თავი, ამით დამტკიცებულია, რომ გარეშე დაბრკოლებანი მხოლოდ გამონაგონი,

* მოგაგონებთ, რომ პლენუმზე გადამწყვეტი ხმა ჰქონდა 4 მენშევიკს, 4 ბოლშევიკს, 1 ეპერიოდელს, 1 ლატვიელს, 2 ბუნდელს და 2 პოლონელს, ე. ი. მენშევიკებისა და ეპერიოდელების წინააღმდეგ ბოლშევიკებს უმრავლესობა არ ჰყავდათ ერთადაც რომ ყოფილიყვნენ პოლონელებთან და ლატვიელებთან; საქმის გადამწყვეტნი იყვნენ ბუნდელები.

თვალის ახვევა, ჭორიკნული ფანდი, წრეობანური ინტრიგანებ-ების ხერხი იყო.

ამიტომ ნამდვილი გამიჯვნა და დაშლა მხოლოდ პლენუ-მის შემდეგ დაიწყო; ეს დაშლა მიმდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხის — ჩვენი პარტიის ლიკვიდირების საკითხის გამო. იმ «შემარიგებლებ-მა», რომლებიც თავზარდაცემული, გულნატკენი, გაკვირვე-ბული არიან იმით, რომ გამიჯვნა პლენუმის შემდეგ დაიწყო, თავიანთი გაკვირვებით მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ ისინი წრეობანურ დიპლომატიას დაუტყვევებია. წრეობანურ დიპ-ლომატს შეეძლო ეფიქრა, რომ პირობითი შეთანხმება მარ-ტოვსა და მარტინოვთან, მაქსიმოვსა და მეორე ვპერი-ოდელთან [71] ყოველგვარი გამიჯვნის დასასრულია, რადგან პრინციპული უთანხმოებანი ასეთი დიპლომატისათვის მე-ორეხარისხოვანი საქმეა. პირიქით, ვისთვისაც პრინციპული საკითხი ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის შესახებ პირ-ველ ადგილზე დგას, — მისთვის საკვირველი არაფერია იმაში, რომ სწორედ მარტოვის, მაქსიმოვისა და სხვათა ყ ვ ე ლ ა პრეტენზიის დაკმაყოფილების შ ე მ დ ე გ, სწორედ მათდამი მაქსიმალურ დათმობათა შ ე მ დ ე გ ორგანიზაციულ საკით-ხებში და სხვა, უნდა დაწყებულიყო წმინდა პრინციპული გამიჯვნა.

ის, რაც პარტიაში პლენუმის შემდეგ ხდება, პარტიული გაერთიანების კრახი კი არ არის, არამედ იმათი გაერთიანე-ბის დასაწყისია, ვისაც ნამდვილად შეუძლია და სურს პარ-ტიაში და პარტიულად იმუშაოს, დასაწყისია ბოლშევიკების, პარტიელ-მენშევიკების, ნაციონალების, არაფრაქციული სოციალ-დემოკრატების ნამდვილად პარტიული ბლოკის გაწ-მენდისა პარტიისადმი მტრულად განწყობილი რენეგატები-საგან, ნახევრადლიბერალებისა და ნახევრადანარქისტები-საგან *.

---

* სხვათა შორის. ბოლშევიკების წინააღმდეგ გოლოსელთა და ვპე-რიოდელთა ბლოკის (ბლოკისა, რომელიც სავსებით ჰგავს გედისტების წინააღმდეგ ეორესისტებისა და ერვეისტების ბლოკს) დასახასიათებლად

4. პარტიაში საქმეთა მდგომარეობის თაობაზე მიღებული რეზოლუციის 1-ლი პარაგრაფის შესახებ

განვაგრძობ რა პლენუმის რეზოლუციების ნაკლოვანებათა განხილვას, ახლა უნდა შევჩერდე პარტიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის პირველ მუხლზე. მართალია, ეს მუხლი არ ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პარტიული გაერთიანების ამა თუ იმ გაგებასთან, მაგრამ მე მომიხდება გადახვევა, რადგან ამ პირველი მუხლის განმარტებამ უკვე ბევრი დავა გამოიწვია პარტიაში.

რეზოლუციის ჩემს პროექტში ეს მუხლი სრულიად არ ყოფილა, და მე — ისე როგორც «პროლეტარის» მთელი რედაქცია — ყველაზე გადაჭრით ვიბრძოდი მის წინააღმდეგ. მუხლი გაატარეს მენშევიკებმა და პოლონელებმა, რომლებსაც ბოლშევიკების ნაწილი უაღრესად დაჟინებით აფრთხილებდა, რომ ამ გაურკვეველი, ბუნდოვანი მუხლის განმარტება აუცილებლად გამოიწვევს გაუგებრობას ან — რაც უფრო უარესია — სამსახურს გაუწევს ლიკვიდატორებს.

თქმა არ უნდა, რომ ამ მუხლის მთელი რიგი დებულებანი მე პლენუმზე გავაკრიტიკე მათი უშინაარსობის, უაზრობის, ტავტოლოგიურობის გამო. ილაპარაკო, რომ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა თავისი პრინციპული საფუძვლით მუდამ

შეიძლება გამოდგეს შემდეგი ფაქტი. «აუცილებელ დამატებაში» მარტოვი აბუჩად იგდებს პლეხანოვს იმისათვის, რომ იგი მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო კომისიის შემადგენლობას. მარტოვი თაღლითობს. პლენუმზე იგივე მარტოვი ყველა მენშევიკთან ერთად, მაქსიმოვთან ერთად და ტროცკის დახმარებით *იბრძოდა რეზოლუციისათვის* NN-ის ოტზოვისტური სკოლის პარტიულ სკოლად ცნობის შესახებ, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი უნდა *შეუთანხმდეს*! ჩვენ ძლივს მოვახერხეთ ამ ანტიპარტიული ბლოკის ჩაფუშვა.

რა თქმა უნდა, რაკი გოლოსელებიც და ვპერიოდელებიც პარტიაში არიან, მათ სრული *უფლება აქვთ* ბლოკებში შედიოდნენ. საქმე უფლება კი არ არის, არამედ ბლოკის პრინციპულობა. ეს არის *უპრინციპოთა ბლოკი* პარტიულობისა და პრინციპულობის წინააღმდეგ.

ერთიანია, — და არ განსაზღვრო, რაში მდგომარეობს ეს პრინციპული საფუძვლები, რატომ და სახელდობრ რომელ საფუძვლებზეა (მარქსიზმი საზოგადოდ თუ მარქსიზმის ესა თუ ის დებულება) აქ ლაპარაკი; — ილაპარაკო, რომ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა ყოველთვის ითვალისწინებს შედეგების მაქსიმუმს, — და არ განსაზღვრო ამა თუ იმ მომენტში ბრძოლის არც უახლოესი მიზნები (უახლოესი შესაძლებელი შედეგები), არც ამ მომენტის ბრძოლის სპეციფიკური ხერხები; — ილაპარაკო, რომ ტაქტიკა გათვალისწინებულია სხვადასხვა გზისთვის, რომლებითაც შეიძლება წარიმართოს განვითარება, — და კონკრეტულად არ განსაზღვრო ეს გზები; — ილაპარაკო ტრუიზმები იმის შესახებ, რომ ტაქტიკა ხელს უნდა უწყობდეს ძალთა დაგროვებას, ამზადებდეს პროლეტარიატს აშკარა ბრძოლისთვისაც და მერყეევი რეჟიმის წინააღმდეგობათა გამოყენებისთვისაც, — ყოველივე ეს აშკარა ნაკლოვანებანია, რომლებიც კაცს თვალში ხვდება და მთელ მუხლს უმაქნის და უვარგის ბალასტად აქცევს.

მაგრამ არის კიდევ რაღაც უარესი ამ მუხლში. მასში არის საძრომი ლიკვიდატორებისათვის, რომელზედაც მიუთითა პლენუმის დროს მისმა სხვადასხვა წევრმა, არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ ერთ-ერთმა ბუნდელმაც და ტროცკიმაც კი. ეს არის ფრაზა იმის შესახებ, რომ შეგნებული პროლეტარიატისათვის «პ ი რ ვ ე ლ ა დ იქმნება შესაძლებლობა, მასობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად შეკავშირებით, შეგნებულად, გეგმაშეწონილად და თანამიმდევრობით გამოიყენოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ეს ტაქტიკური მეთოდი». (რომელი ე ს მეთოდი? წინათ ლაპარაკი იყო ტაქტიკის პრინციპულ საფუძვლებზე და არა მის მეთოდზე, მით უფრო ნაკლებად — რომელიმე გარკვეულ მეთოდზე).

რატომ პ ი რ ვ ე ლ ა დ ო, — კითხვას აყენებდნენ ამ მუხლის კრიტიკოსები პლენუმზე. თუ იმიტომ, რომ ქვეყნის განვითარების ყოველი ნაბიჯი რაღაც ახალს, უფრო მაღალს იძლევა ტექნიკის დონეშიც და კლასობრივი ბრძოლის გამოკვეთაშიც და სხვა, მაშინ ჩვენს წინაშე კვლავ უბრალო, გაცვე-

თილი აზრია. მაშინ ყოველი მომენტი ყოველთვის და უსათუოდ იძლევა ისეთ რამეს, რაც წარსულ მომენტთან შედარებით პირველად ჩნდება. მაგრამ ჩვენ განვიცდით გარკვეულ მომენტს, კონტრრევოლუციური დაქვეითების მომენტს, რევოლუციური აღმავლობის შემდეგ მასების ენერგიის შემცირებისა და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის უდიდესი დაქვეითების მომენტს. და თუ ასეთი მომენტი ხასიათდება როგორც მომენტი, რომელიც პროლეტარიატს პირველად აძლევს შესაძლებლობას შეგნებულად და ა. შ. გამოიყენოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მეთოდი, ამ სიტყვებს აუცილებლად მოყვება ლიკვიდატორული განმარტება, მესამე სათათბიროს პერიოდის, თითქოს მშვიდობიანი და თითქოს კანონიერი პერიოდის, წმინდა ლიბერალური განდიდება ქარიშხლისა და იერიშის პერიოდთან შედარებით, რევოლუციის პერიოდთან შედარებით, როცა პროლეტარიატის ბრძოლა უშუალო რევოლუციური ფორმებით მიმდინარეობდა და ლიბერალები მას «სტიქიის სიგიჟის» სახელით თათხავდნენ.

იმისათვის, რომ უაღრესად ბუნდოვანი მუხლის ლიკვიდატორული განმარტების ამ საფრთხეს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა, მე პლენუმის ამ სხდომაზე შევიტანე მთელი რიგი წერილობითი განცხადებანი და ხაზი გავუსვი ორატორთა სიტყვების რამდენიმე ადგილს. აი ჩემი ორი განცხადება:

1) «ლენინის მოთხოვნით ამხ. ტ.-ს [72] (პოლონელი სოციალ-დემოკრატის) სიტყვებიდან ოქმში შეაქვთ: «სავსებით ყალბია ის განმარტება, რომ აქ ადგილი აქვს რევოლუციის ტაქტიკის დამცირებას კონტრრევოლუციასთან შედარებით».

2) «ლენინის მოთხოვნით ოქმში შეაქვთ ამხ. მარტოვის წამოძახილი («მართალია!») ი.-ს [73] (ბოლშევიკის, რომელიც ამ მუხლს იცავდა) სიტყვებისადმი, რომ სადავო სიტყვები კი არ ამცირებენ, არამედ ამაღლებენ რევოლუციისა და მისი მეთოდების მნიშვნელობას კონტრრევოლუციურ მეთოდებთან შედარებით».

ორივე განცხადება ადასტურებს, რომ პოლონელი და ბოლშევიკი, მარტოვთან ერთად, კატეგორიულად უარყოფდნენ ამ მუხლის ლიკვიდატორული განმარტების სულ მცირეოდენ შესაძლებლობასაც კი. ამ ორ ამხანაგს, რასაკვირველია, ამგვარი განმარტების მოცემა სულაც არ ჰქონდათ განზრახული.

მაგრამ უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ გამოყენებულ უნდა იქნას კანონი და არა კანონის მოტივები, არა კანონმდებლის განზრახვები. ამ მუხლის მნიშვნელობა აგიტაციასა და პროპაგანდაში განსაზღვრულ იქნება არა მისი ამა თუ იმ ავტორის კეთილი განზრახვებით, არა მათი განცხადებებით პლენუმზე, არამედ ძალთა და მიმართულებათა ობიექტური თანაფარდობით სოციალ-დემოკრატიის რუსულ ნაწილში (არარუსი სოციალ-დემოკრატები თითქმის არ მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ბუნდოვან მუხლს).

ამიტომ მე განსაკუთრებული ინტერესით ველოდებოდი, თუ როგორ იქნებოდა ახლა ეს მუხლი განმარტებული პრესაში და ვამჯობინებდი არ დამეჩქარებინა ჩემი აზრის გამოთქმა, ვამჯობინებდი თავდაპირველად მომესმინა იმ სოციალ-დემოკრატების აზრი, რომლებიც პლენუმს არ დასწრებიან, ან გოლოსელთა აზრი.

პლენუმის შემდეგ გამოსულმა «გოლოსის» პირველმავე ნომერმა სავსებით საკმარისი მასალა მოგვცა ჩვენი იმ დავის შესაფასებლად, თუ როგორ იქნებოდა განმარტებული ეს მუხლი.

«გოლოსის» სარედაქციო სტატიაში პლენუმის შედეგების შესახებ ვკითხულობთ:

«ყოვლად წარმოუდგენელი და უაზრო იქნებოდა, რა თქმა უნდა, გვეფიქრა, რომ ცენტრალურ კომიტეტს ამ სიტყვებით» («პირველად» და ა. შ.) «უნდოდა გამოეხატა ჩვენი წინანდელი ტაქტიკის არაპირდაპირი დაგმობა, რამდენადაც ის შეხამებული იყო რევოლუციურ ვითარებასთან» (ხაზგასმა ავტორისაა; № 19 — 20, გვ. 18).

ძალიან კარგი! ავტორი ლიკვიდატორულ განმარტებას წარმოუდგენლად და უაზრობად აცხადებს. მაგრამ, ქვევით რომ ვკითხულობთ, იმავე აბზაცში ვხვდებით შემდეგ მტკიცებას:

«ამ სიტყვებით ოფიციალურად აღიარებულია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების შედარებითი ჩამორჩენილობა წარსულში მიუხედავად რევოლუციური ფორმებისა, რომლებითაც ის ვლინდებოდა, რაც, აქვე უნდა ითქვას, რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო; ამ სიტყვებით ოფიციალურად აღიარებულია ჩვენი წინანდელი ტაქტიკის მეტისმეტი ელემენტარულობა, რასაც გარდუვალად იწვევდა ჩამორჩენილი საზოგადოებრივი ურთიერთობა; ამ სიტყვებით, ბოლოს, ოფიციალურად აღიარებულია, რომ, რანაირიც უნდა იყოს პოლიტიკური სიტუაცია მომავალში, ყოველგვარი ცდა დავუბრუნდეთ კარჩაკეტილი არალეგალური წრეების დიქტატურას მოძრაობაში ამასთან დაკავშირებული მთელი პოლიტიკით, უკან გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი იქნებოდა».

როგორ მოგწონთ ეს?

არ იცი, რით დაიწყო ამ «თვალმარგალიტთა» საუნჯის გარჩევა.

დავიწყებ «ოფიციალური აღიარების» სამგზისი მითითებით. რამდენს დასცინოდა იგივე «გოლოსი» ამა თუ იმ რეზოლუციის მიერ წარსულის შეფასების, რევოლუციის შეფასების, ბურჟუაზიული პარტიების როლისა და სხვათა შეფასების ყოველგვარ ოფიციალურ აღიარებას! აი ინებეთ «ოფიციალურობის» წინააღმდეგ ყვირილის გულწრფელობის ნიმუში: როცა გოლოსელებს არ მოსწონთ პარტიის ნ ა თ ე ლ ი გადაწყვეტილება, ისინი დასცინიან თითქოსდა რთული მეცნიერული საკითხების «ოფიციალური» გადაწყვეტის პრეტენზიებს და სხვა და სხვა, — როგორც «Sozialistische Monatshefte» დასცინის ოპორტუნისტთა წინააღმდეგ მიმართულ დრეზდენის რეზოლუციას, ანდა როგორც ბელგიელი მინისტერიალისტები დასცინიან ამჟამად ამსტერდამის რეზოლუციას[74]. მაგრამ სამაგიეროდ, როგორც კი გოლოსელს მოეჩვენა, რომ არსებობს საძრომი ლიკვიდატორობისათვის, ის ს ა მ გ ზ ი ს ფიცულობს ხატსა და ღმერთს, რომ ეს «ოფიციალურად აღიარებულია».

ხოლო როცა გოლოსელი ხატსა და ღმერთს ფიცულობს, იცოდეთ, რომ ის... ჭეშმარიტებას თავს არიდებს. სტატიის ავტორის მხრივ მისი განმარტების «ოფიციალურ აღიარებაზე» ლაპარაკი მით უფრო უგუნურებაა, რომ ამ მუხლის განმარტების სადავო ხასიათი სპეციალურად იყო ცენტრალურ კომიტეტში გამართული კამათის საგანი, ამასთან ამ სიტყვების მთქმელი პოლონელისა და ბოლშევიკის განცხადებებიდან, რომლებიც ოქმში ოფიციალურად — დიახ, დიახ! აი, მართლაც რომ უკვე «ოფიციალურად»! — შეტანილია, ნათლად ჩანს, რომ ისინი «გოლოსის» განმარტებას არასოდეს მართებულად არ მიიჩნევენ. თავი შეირცხვინა მხოლოდ ჩვენმა ავტორმა, რომელიც ოფიციალურ აღიარებაზე გაჰყვირის.

სიტყვა: «პირველად» აღიარებს «წარსულის შედარებითს ჩამორჩენილობასო», — კიდევ მოსათმენი იქნებოდა, თუმცა არსაიდან არ ჩანს, რატომ უნდა შეეხებოდეს ეს სახელდობრ პოლიტიკურ ცხოვრებას და არა საზოგადოებრივი განვითარების სხვა მხარეებს; მაგრამ დამატება: «მიუხედავად რევოლუციური ფორმებისაო», — იმას ნიშნავს, რომ მეტად წინდაუხედავად გამოაჩინო ვეხელი ვირის ყური. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ასი ლიბერალიდან 90 მაინც, როცა ამ ადგილს წაიკითხავს, გოლოსელებს დაკოცნის, ასი მუშიდან კი 90 მაინც ოპორტუნისტებს ზურგს შეაქცევს. ხოლო «სხვათა შორის» დამატება «რევოლუციის დამარცხების მიზეზებზე» სავსებით ამჟღავნებს ლიკვიდატორული ხუთტომეულის მონაწილეებს: მათ უნდათ თავიანთი ლიბერალური შეხედულებანი რევოლუციაში პროლეტარიატის როლის შესახებ გააპარონ ბუნდოვანი რეზოლუციის საფარით. ამიტომ ლაპარაკობენ ისინი «ჩვენი წარსული ტაქტიკის» «ელემენტარულობისა» და—ეს დაიხსომეთ!—მეტისმეტი ელემენტარულობის შესახებაც კი. ტაქტიკის «მეტისმეტი» ელემენტარულობა, — ეს, თურმე, გამომდინარეობს სიტყვიდან ««პირველად» გამოიყენოს შეგნებულად, გეგმაშეწონილად და თანამიმდევრობით (მასობრივ პარტიაში) საერთაშორისო სო-

ციალ-დემოკრატიის მეთოდიო» *. აშკარა ბრძოლის ეპოქის ტაქტიკა, ბეჭდვითი სიტყვის, მასობრივი კავშირების, რევოლუციური პარტიების მონაწილეობით არჩევნების შედარებითი თავისუფლების, მოსახლეობის საყოველთაო მღელვარეების, მთავრობის პოლიტიკის სწრაფ მერყეობათა ეპოქის, მთავრობაზე ზოგიერთი დიდი გამარჯვების ეპოქის ტაქტიკა, — ეს ტაქტიკა მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ელემენტარული იყოო, ალბათ, 1909 — 1910 წლების არაელემენტარულ ტაქტიკასთან შედარებით! მუხანათობის როგორი მარაგი, მოვლენების რა მცირეოდენი სოციალ-დემოკრატიული გაგება უნდა ჰქონდეს კაცს იმისათვის, რომ ამგვარი განმარტებები გააკეთოს.

მაგრამ «კარჩაკეტილი არალეგალური წრეების დიქტატურის(!!)» დაგმობის გამოყვანა სიტყვიდან «პირველად», — ეს უკვე ყოვლად უბადლო რამ არის. 1905 — 1907 წლების «მეტისმეტი ელემენტარული» ტაქტიკის ეპოქაში მუშათა პარტიისადმი ხელმძღვანელობა გაცილებით უფრო ჰგავდა, თურმე ნუ იტყვით, «დიქტატურას», ვიდრე 1909 — 1910 წლებში, გაცილებით უფრო მეტად გამომდინარეობდა «არალეგალური» ორგანიზაციებიდან და სახელდობრ «წრეებიდან», რომლებიც უფრო «კარჩაკეტილნი» იყვნენ, ვიდრე ჩვენს ხანაში! ამ სასაცილო ღრმააზროვნებამ სიმართლის მსგავსი სახე რომ მიიღოს, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ოპორტუნისტები და კადეტმოყვარულნი მუშათა შორის თავს გრძნობდნენ «კარჩაკეტილ წრედ» რევოლუციის დროს და ფიქრობენ, რომ ახლა ლ ე გ ა ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა შ ი (ხუმრობა ნუ გგონიათ!) ისინი «კარჩაკეტილნი» არ არიან (თვითონ მილიუკოვი ჩვენს გვერდით არისო), ისინი «წრეს»

---

* ამავე აზრით განმარტავს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას ამხ. ან. — იც (იხ. მისი სტატია «წერილი კავკასიიდან»-ის გამო «დისკუსიონნი ლისტოკის» ამ ნომერში). ამხ. ანი თავისი სტატიით ადასტურებს «წერილი კავკასიიდან»-ის ავტორის, ამხ. კ. სტ-ს [75] ყველაზე მძიმე ბრალდებებს, თუმცა ამ წერილს «პასკვილს» უწოდებს. ამხ. ან. — ის მრავალმხრივ საინტერესო სტატიას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

ალარ წარმოადგენენ (ჩვენ ლეგალური რენეგატული ჟურნალები გვაქვსო), «არალეგალურნი» ალარ არიან და სხვ. და სხვ.

პროლეტარიატი, მასობრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად რომ ირაზმება, პ ი რ ვ ე ლ ა დ ხედავს ასეთ გ ე გ მ ა შ ე წ ო ნ ი ლ დ ა თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ ა რ მისწრაფებას ლიბერალური რენეგატობისადმი იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სწადიათ თავის თავს პროლეტარიატის ხელმძღვანელებად თვლიდნენ.

ყბადაღებული მუხლის, სადაც ნათქვამია «პ ი რ ვ ე ლ ა დ ო», განმარტების ამ გაკვეთილს ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიონ იმ ამხანაგმა პოლონელმა და იმ ამხანაგმა ბოლშევიკმა,* რომლებიც ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ მ ა თ ი მუხლის ლიკვიდატორული განმარტება სავსებით ყალბ განმარტებად მიაჩნიათ.

5. დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციების მნიშვნელობა და ლიკვიდატორების დამოკიდებულება მათდამი

უკანასკნელი შენიშვნები პლენუმის რეზოლუციის ნაკლოვანებათა შესახებ უნდა მიეკუთვნოს პირველი მუხლის შესავალ სიტყვებს, სადაც ნათქვამია: «1908 წლის პარტიული კონფერენციის რეზოლუციების ძირითად დებულებათა განსაკითარებლად, ცენტრალური კომიტეტი ადგენს»... ამგვარი ფორმულირება მენშევიკებისადმი დათმობის შედეგია, და ამ გარემოებაზე მით უფრო გვიხდება შეჩერება, რომ აქ კვლავ ჩვენს წინაშეა დათმობისადმი აღმაშფოთებლად არალოიალური დამოკიდებულების ან ტაქტიკის პარტიულ განსაზღვრათა მნიშვნელობის გაგების აღმაშფოთებელი უუნარობის ნიმუში.

---

* პლენუმზე ეს ამხანაგები 1-ლ პარაგრაფს განმარტავდნენ იმ აზრით, რომ იგი მიუთითებს კლასობრივი დიფერენციაციის ზრდაზე, მუშათა მასების წმინდა სოციალისტური შეგნების პროგრესზე, ბურჟუაზიული რეაქციის გაძლიერებაზე. ეს აზრები, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ასინი გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა რ ა რ ი ს (და ა რ ა ი ს ი ნ ი ა გამოხატული) იმ დებულებებში, რომლებსაც 1-ლი პარაგრაფი შეიცავს.

რეზოლუციის პროექტში, რომელიც კომისიის უმრავლესობამ მოიწონა და, მაშასადამე, პლენუმის მონაწილეთა ხმების უმრავლესობით უზრუნველყოფილი იყო, ეწერა: «1908 წლის დეკემბრის რეზოლუციების **დასადასტურებლად** და მათ განსავითარებლად»... მენშევიკებმა აქაც წამოაყენეს დათმობის ულტიმატური მოთხოვნა, უარი თქვეს ხმა მიეცათ მთელი რეზოლუციის სასარგებლოდ, თუ დარჩებოდა სიტყვა «დასადასტურებლად», რადგან 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებს ისინი «ფრაქციულობის» მწვერვალად თვლიან. ჩვენ დავთანხმდით მოთხოვნილ დათმობაზე და უარი არ გვითქვამს ხმა მიგვეცა რეზოლუციის სასარგებლოდ დადასტურების შესახებ ნახმარი სიტყვების ამოღების შემდეგაც. ამ დათმობას სრულიად არ ვინანებდი, მას რომ მიზნისთვის მიეღწია, ე. ი. შედეგად მოჰყოლოდა პარტიული გადაწყვეტილებისადმი მენშევიკების ის ლოიალური დამოკიდებულება, ურომლისოდაც ერთად მუშაობა შეუძლებელია. ჩვენს პარტიას **არ მოეპოვება** ტაქტიკის, ორგანიზაციისა და სათათბიროს ხაზით მუშაობის თავისი ძირითადი ამოცანების სხვანაირი განსაზღვრა III სათათბიროს ხანაში, გარდა იმ განსაზღვრისა, რომელიც მოცემულია 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებში. არ უარვყოფთ რა იმას, რომ ფრაქციული ბრძოლა მაშინ ძალიან ძლიერი იყო, ჩვენ დაჟინებით არ დავიცავთ მაშინდელი, ლიკვიდატორების წინააღმდეგ მიმართული, რეზოლუციების ამა თუ იმ მკვახე სიტყვას. მაგრამ ამ რეზოლუციების ძირითად დებულებებს ჩვენ უსათუოდ დაჟინებით ვიცავთ, რადგან პარტიაზე, პარტიულობაზე, პარტიულ ორგანიზაციაზე ლაპარაკი დიდი სიტყვების ამაო წამოსროლა იქნებოდა, თუ ჩვენ უარს ვიტყოდით ერთადერთი, პარტიის მიერ მოცემული და ერთი წლის მუშაობით დადასტურებული, პასუხი გაგვეცა იმ უმნიშვნელოვანეს, ძირითად საკითხებზე, რომლებზედაც პასუხის გაუცემლად ერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება არც პროპაგანდაში, არც აგიტაციაში, არც ორგანიზაციაში. ჩვენ სავსებით მზად ვართ ვაღიაროთ, რომ აუცილებელია ერთად მუშაობა ამ რეზოლუციების შე-

სასწორებლად, მათი გადასინჯვისათვის ყ ვ ე ლ ა ფრაქციის ამხანაგებისა და მათ შორის, რა თქმა უნდა, პარტიული მენშევიკების კრიტიკის შესაბამისად; ჩვენ ვიცით, რომ ამ რეზოლუციების ზოგიერთი დებულება, ალბათ, საკმაოდ დიდხანს დარჩება სადავოდ პარტიაში, და სხვანაირად, თუ არა ხმების უმრავლესობით, მათი გადაწყვეტა უახლოეს მომავალში არ მოხერხდება. მაგრამ ვ ი დ რ ე ეს გადასინჯვა არ დაწყებულა და არ დამთავრებულა, ვ ი დ რ ე პარტიას არ მოუცია ახალი პასუხი საკითხზე მესამე სათათბიროს ეპოქის შეფასებისა და მისგან გამომდინარე ამოცანების შესახებ, ჩვენ უ ს ა თ უ ო დ მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ, რომ ყველა პარტიული სოციალ-დემოკრატი, რა შეხედულებასაც უნდა ადგეს ის, თავისი მოქმედების დროს სწორედ ამ რეზოლუციებით ხელმძღვანელობდეს.

თითქოს, ეს პარტიულობის ანბანი უნდა იყოს, თითქოს, პარტიული გადაწყვეტილებებისადმი სხვანაირი დამოკიდებულება არც კი შეიძლებოდა. მაგრამ ლიკვიდატორობისაკენ შეტრიალებამ, რაც «გოლოსმა» პლენუმის შემდეგ მოახდინა, იგი აიძულა პარტიის უმრავლესობის დათმობა ამ საკითხშიც გამოეყენებინა არა ლოიალურ პარტიულ პოზიციაზე გადასასვლელად, არამედ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა თავისი უკმაყოფილება დათმობის ოდენობით! (მაგრამ გოლოსელებს, ეტყობა, დაავიწყდათ, რომ მან, ვინც პირველად ასტეხა დავა ერთხმად მიღებული კომპრომისული რეზოლუციის გამო, გამოთქვა მით უკმაყოფილება და მოითხოვა ახალი დათმობანი, ახალი შესწორებანი, მან ამით მეორე მხარეს უფლება მისცა მოითხოვოს შესწორებანი სხვა მიმართულებით. და ჩვენ ამ უფლებას, რასაკვირველია, გამოვიყენებთ.)

«გოლოსის» მე-19—20 ნომრის ჩემ მიერ უკვე ციტირებული სარედაქციო სტატია პლენუმის შედეგების შესახებ ერთბაშად აცხადებს, რომ რეზოლუციის შესავალი სიტყვები კ ო მ პ რ ო მ ი ს ი ა. ეს სიმართლეა, რომელიც სიცრუედ იქცევა, თუ არაფერს იტყვი იმის შესახებ, რომ კომპრომისს, რაც მენშევიკების ულტიმატუმმა იძულებით გამოიწვია, წარ-

მოადგენდა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის უარი იმაზე, რომ პირდაპირ დაედასტურებინა 1908 წლის დეკემბრის ყველა რეზოლუცია და არა მარტო მათი ძირითადი დებულებანი!

«ჩვენი თვალსაზრისით, — განაგრძობს «გოლოსი», — ეს ფრაზა ძალიან ცუდად უკავშირდება რეზოლუციის უმნიშვნელოვანესი მუხლების ნათელ შინაარსს; მოასწავებს რა განსაზღვრულ გარდატეხას პარტიულ განვითარებაში, მას, მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, თანამომდევნობითი კავშირი აქვს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელ წარსულთან, მაგრამ ყველაზე ნაკლებად» (!!) «ის დაკავშირებულია სახელდობრ «ლონდონის მემკვიდრეობასთან» [76]. მაგრამ ჩვენ გაუსწორებელი დოქტრინიორები ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ შეიძლება ერთი დარტყმით მივალწიოთ აზრთა აბსოლუტურ თანხმობას ჩვენს პარტიაში, თუ მოძრაობაში წინ მიმართულ დიდ ნაბიჯს მსხვერპლად მივიტანდით ადგილუფროსობის გულისათვის» (!!). «რეზოლუციის ამ შეცდომების გასწორება შეგვიძლია ისტორიკოსებს მივანდოთ».

ეს ისე გაისმის, თითქოს პლენუმის დამსწრე გოლოსელები მათი «ბოლშევიკებისადმი დამთმობლობის» გამო გაეჯოროთ მათსავე რუს ლეგალისტებს, როგორიც არიან პოტრესოვი და კომპანია, ანდა «გოლოსის» იმ რედაქტორებს, რომლებიც პლენუმზე არ ყოფილან, და თითქოს გოლოსელები ბოდიშს იხდიდნენ მათ წინაშე. ჩვენ დოქტრინიორები არა ვართ, — რეზოლუციის შეცდომები დაე ისტორიკოსებმა გაასწორონო!

გავკადნიერდებით და ამ ჩინებულ განცხადებაზე შევნიშნავთ, რომ პარტიული სოციალ-დემოკრატები რეზოლუციებს ისტორიკოსებისათვის კი არ ადგენენ, არამედ იმისათვის, რომ ნამდვილად იხელმძღვანელონ ამ რეზოლუციებით თავიანთი მუშაობის დროს პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის დარგში. ამ მუშაობის ამოცანების სხვა განსაზღვრა III სათათბიროს ეპოქისათვის პარტიას არ გააჩნია. ლიკვიდატორებისათვის პარტიული რეზოლუციები, რა თქმა უნდა, ნულია, რადგან მათთვის მთელი პარტია ნუ-

ლია, მათი აზრით, მთელ პარტიასაც (და არა მარტო მის რეზოლუციებს) მხოლოდ «ისტორიკოსები» შეიძლება სწავლობდნენ სარგებლობითა და ინტერესით. მაგრამ ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა ერთ ორგანიზაციაში არც ბოლშევიკებს, არც პარტიულ მენშევიკებს არ სურთ და არც იმუშავებენ. ლიკვიდატორებს ჩვენ მივმართავთ თხოვნით — წავიდნენ ბეზგოლოვცებთან [77] ან ენესებთან [78].

გოლოსელები რომ პარტიას ლოიალურად ეკიდებოდნენ, ისინი რომ ნამდვილად ანგარიშს უწევდნენ პარტიას და არა პოტრესოვსა და კომპანიას, ანგარიშს უწევდნენ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციას და არა ლეგალისტ-ლიტერატორთა წრეს, მაშინ ისინი 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებით თავიანთ უკმაყოფილებას სხვანაირად გამოთქვამდნენ. ისინი სწორედ ახლა, პლენუმის შემდეგ, თავს დაანებებდნენ უკადრის, მხოლოდ კადეტების დამახასიათებელ, აბუჩადამგდებ ხითხითს რაღაც «ფარულ» «გადაწყვეტილებათა» გამო. ისინი შეუდგებოდნენ ამ გადაწყვეტილებათა საქმიან განხილვას და მათ შესწორებას თავიანთი თვალსაზრისის შესაბამისად, 1907 — 1910 წლების გამოცდილებაზე მათი შეხედულების შესაბამისად. აი ეს იქნებოდა შუშაობა ნამდვილი პარტიული გაერთიანებისათვის, სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის ერთ ხაზზე დაახლოებისათვის. ამბობენ რა ამაზე უარს, გოლოსელები ასრულებენ ნამდვილად სწორედ ლიკვიდატორების პროგრამას. მართლაცდა, როგორია ლიკვიდატორების პროგრამა ამ საკითხში? მათი პროგრამა ის არის, რომ უგულებელყონ არალეგალური, დასაღუპავად და ა. შ. განწირული პარტიის გადაწყვეტილებანი, დაუპირისპირონ პარტიის გადაწყვეტილებებს უსახური «მუშაობა» მოხალისე მსროლელებისა, რომელნიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ და ლიბერალებთან, ნაროდნიკებთან და ბეზზაგლავიელებთან შერეულნი მოკალათებულან სხვადასხვა ლეგალურ უბადრუკ ჟურნალებში, ლეგალურ საზოგადოებებში და სხვ». არავითარი რეზოლუციები, არავითარი «მომენტის შეფასება», ბრძოლის ჩვენი უახლესი მიზ-

ნების და ბურჟუაზიული პარტიებისადმი ჩვენი დამოკიდებულების არავითარი განსაზღვრა საჭირო არ არის, — ყოველივე ამას ჩვენ (მილიუკოვის კვალდაკვალ!) ვუწოდებთ «კარჩაკეტილი არალეგალური წრეების დიქტატურას» (და ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენი უსახურობით, არაორგანიზებულობით, დაქსაქსულობით «დიქტატურას» ფაქტიურად ხელში ვუგდებთ ლიბერალურ წრეებს!).

დიახ, დიახ, უეჭველია, რომ ლიკვიდატორებს არ შეუძლიათ პარტიული რეზოლუციებისადმი დამოკიდებულების საკითხში გოლოსელებს მოთხოვონ სხვა რამ, თუ არა ამ რეზოლუციების აბუჩადამგდები გაქირდვა და უგულებელყოფა.

იმ შეხედულების სერიოზულად განხილვა, რომ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია 1909 — 1910 წელს პარტიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ «ყველაზე ნაკლებად» დაკავშირებულია ლონდონის მემკვიდრეობასთანო, არ შეიძლება, იმიტომ რომ ამ შეხედულების უაზრობა აშკარაა. პარტიას აბუჩად იგდებენ, როცა ამბობენ: ჩვენ მზად ვართ ანგარიში გავუწიოთ მის «მთელ წარსულს», მაგრამ არა იმ წარსულს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აწმყოსთან, და არა აწმყოსო! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ჩვენ მზად ვართ ანგარიში გავუწიოთ იმას, რაც ჩვენს ახლანდელ მოქმედებას არ განსაზღვრავს. ჩვენ მზად ვართ (1910 წელს) ანგარიში გავუწიოთ სოციალ-დემოკრატიის «მთელ წარსულს», გარდა იმ წარსულისა, რომელიც შეიცავს გადაწყვეტილებებს 1907 — 1908 — 1909 წლების ეპოქის კადეტების პარტიაზე, 1907 — 1908 — 1909 წლების ეპოქის შრომითი პარტიებზე, 1907 — 1908 — 1909 წლების ეპოქის ბრძოლის ამოცანებზე. ჩვენ მზად ვართ ანგარიში გავუწიოთ ყველაფერს, გარდა იმისა, რაც ანგარიშგასაწევია იმისათვის, რომ ახლა იყო პარტიელი საქმით, ეწეოდე პარტიულ მუშაობას, ატარებდე პარტიულ მუშაობას, ატარებდე პარტიულ ტაქტიკას, პარტიულად წარმართავდე სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეობას მესამე სათათბიროს ხაზით.

ბუნდის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ის თავის ორგანოში ადგილს უთმობს ასეთსავე ლიკვიდატორულ დაცინვას ლონდონის მემკვიდროებისადმი ამხ. იონოვის სტატიაში (გვ. 22). «ერთი მიბრძანეთ, — წერს იონოვი, — რა დამოკიდებულება აქვს ლონდონის ყრილობის რეზოლუციებს ახლანდელ მომენტთან და იმ საკითხებთან, რომლებიც ახლა რიგში დგანან? ვბედავ იმედი ვიქონიო, რომ ეს არც ამხ. ლენინმა და არც ერთმა მისმა თანამოაზრემ არ იცის».

აბა სად შემიძლია მე ვიცოდე ასეთი ბრძნული რამ! სად შემიძლია ვიცოდე, რომ ბურჟუაზიული პარტიების (შავრაზმელების, ოქტიაბრისტების, კადეტების, ნაროდნიკების) ძირითად ჯგუფებში, მათ კლასობრივ შემადგენლობაში, მათ პოლიტიკაში, პროლეტარიატისა და რევოლუციისადმი მათ დამოკიდებულებაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა 1907 წლის გაზაფხულიდან 1910 წლის გაზაფხულამდე? სად შემიძლია ვიცოდე, რომ ის მცირეოდენი კერძო ცვლილებები, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს და ღირს აღინიშნოს ამ დარგში, მითითებულია 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებში? სად შემიძლია მე ვიცოდე ყოველივე ეს?

იონოვისათვის ყოველივე ამას, ალბათ, დამოკიდებულება არა აქვს ახლანდელ მომენტთან და იმ საკითხებთან, რომლებიც რიგში დგანან. მისთვის ეს არის არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების ტაქტიკის ზედმეტი, რაღაცნაირი პარტიული განსაზღვრა. რისთვის უნდა გაისარჯო ზედმეტად? განა უფრო იოლი არ არის პროლეტარული ტაქტიკის პარტიული განსაზღვრის გამომუშავებისადმი ამ მისწრაფებას უწოდო «გაძლიერებული დაცვა» და სხვა? განა უფრო იოლი არ არის სოციალ-დემოკრატები აქციო მოხალისე მსროლელებად, ვ ე ლ უ რ ე ბ ა დ, რომლებიც «თავისუფლად», ყოველგვარი «გაძლიერებული დაცვის» გარეშე გადაწყვეტენ მორიგ საკითხებს — დღეს ლიბერალებთან ერთად ჟურნალში «ნაში პომოი», ხვალ ბუზგოლოვცებთან ერთად ლიტერატურის მუქთახორების ყრილობაზე, ზეგ პოსელებთან ერთად კოოპერატივში[79]. მხოლოდ... მხოლოდ, თავაზიანო

ჭია-მაიავ, რით იქნება ეს განსხვავებული იმისაგან, რის მიღწევასაც ცდილობენ ლეგალისტი-ლიკვიდატორები? სრულიად არაფრით!

პარტიული სოციალ-დემოკრატები, რომლებიც უკმაყოფილო არიან ლონდონის გადაწყვეტილებებით ან 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებით და რომელთაც უნდათ იმუშაონ პარტიაში, როგორც ეს პარტიულს შეჰფერის, გააკრიტიკებენ ამ რეზოლუციებს პარტიულ პრესაში, წამოაყენებენ შესწორებებს, შეეცდებიან ამხანაგების დარწმუნებას, უმრავლესობის მოპოვებას პარტიაში. ასეთ ადამიანებს ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ, მაგრამ საქმისადმი მათი დამოკიდებულება პარტიული იქნება, ისინი დ ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ა ს როდი შეუწყობენ ხელს, როგორც მას ხელს უწყობენ იონოვი, «გოლოსი» და კომპანია.

აი, შეხედეთ ბ-ნ პოტრესოვს.

ეს «სოციალ-დემოკრატი», რომელიც ცდილობს საზოგადოებას დაანახოს თავისი დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან, «ნაშა ზარიას» მე-2 ნომერში, 59-ე გვერდზე გაიძახის: «და რამდენია ისინი, ეს საკითხები, რომელთა გადაუწყვეტლად ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია; რუსულ მარქსიზმს არ შეუძლია იყოს იდეური მიმდინარეობა, რომელსაც ნამდვილად შეუწოვია ეპოქის რევოლუციური შეგნების მთელი ენერგია და ძალა!» (ხომ არ შეიძლება ნაკლები ფრაზები, პატივცემულო ბ-ნო დამოუკიდებელო!) «როგორ მიმდინარეობს რუსეთის ეკონომიური განვითარება, ძალთა რა გადაჯგუფებას ახდენს ის რეაქციის საფარქვეშ, რა ხდება სოფლად და ქალაქად, რა ცვლილებები შეაქვს ამ განვითარებას რუსეთის მუშათა კლასის სოციალურ შემადგენლობაში და სხვა და სხვა? სად არის ამ კითხვების პასუხი ან პასუხის დასაწყისი, სად არის რუსული მარქსიზმის ეკონომიური სკოლა? ან რა დაემართა აზროვნების პოლიტიკურ მუშაობას, რომლითაც ოდესღაც ცოცხლობდა მენშევიზმი? მის ორგანიზაციულ ძიებებს, წარსულის მის ანალიზს, აწმყოს მის შეფასებას?»

ეს დამოუკიდებელი რომ ნაცოდვილარ ფრაზებს ტყუილ-უბრალოდ კი არ ხარჯავდეს, არამედ ნამდვილად უფიქრდებოდეს იმას, რასაც ამბობს, იგი დაინახავდა მეტად უბრალო რამეს. თუ რევოლუციურ მარქსისტს მართლაც ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია ამ საკითხების გადაუწყვეტლად (ეს კი მართალია), მაშინ მათ უნდა წყვეტდეს — არა მეცნიერული სისრულის, მეცნიერული გამოკვლევების აზრით, არამედ იმის განსაზღვრის აზრით, რა ნაბიჯები და როგორ უნდა გადაიდგას, — მათ უნდა წყვეტდეს სოციალ-დემოკრატიული პარტია. რადგან «რევოლუციური მარქსიზმი» სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარეშე მხოლოდ სალონური ფრაზაა ლეგალური მოლაყბისა, რომელსაც სურს ხანდახან იკვეხნიდეს იმით, რომ «ჩვენც აგრეთვე» თითქმის სოციალ-დემოკრატები ვართო. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა და დაიწყო სახელდობრ 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციებში.

დამოუკიდებელნი საკმაოდ მოხერხებულად მოეწყვნენ: ლეგალურ პრესაში ისინი მკერდზე მჯიღს იცემენ და კითხულობენ, «სადა აქვთ რევოლუციურ მარქსისტებს პასუხის დასაწყისიო?» დამოუკიდებლებმა იციან, რომ ლეგალურ პრესაში მათთვის პასუხის გაცემა შეუძლებელია. არალეგალურ პრესაში კი ამ დამოუკიდებელთა მეგობრები (გოლოსელები) ზიზღით გაურბიან იმ საკითხების პასუხს, «რომელთა გადაუწყვეტლად ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია». ამით აღწევენ ყველაფერს, რაც კი უნდათ დამოუკიდებლებს (ე. ი. სოციალიზმის რენეგატებს) მთელ მსოფლიოში: ლამაზი ფრაზა ნათქვამია, სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ფაქტიური დამოუკიდებლობაც განხორციელებულია.

6. დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის შესახებ

ახლა გადავიდეთ იმის გარკვევაზე, რაც პლენუმის შემდეგ მოხდა. ამ საკითხზე ტროცკი და იონოვი შეთანხმებულ და მარტივ პასუხს იძლევიან. «არც პოლიტიკური ცხოვრების გა-

რეგან პირობებში, — იუწყება ვენის რეზოლუცია, — არც ჩვენი პარტიის შინაგან ურთიერთობაში პ ლ ე ნ უ მ ი ს შ ე მ დ ე გ ა რ მ ო მ ხ დ ა რ ა ა რ ა ვ ი თ ა რ ი ი ს ე თ ი რ ე ა ლ უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა, რომელიც გააძნელებდა მუშაობას პარტიის მშენებლობის დარგში»... ფრაქციული რეციდივი, ფრაქციული ურთიერთობის აღმოუფხვრელი მემკვიდრეობა, — ეს არის და ესო.

იონოვსაც იგივე განმარტება აქვს მოცემული «სახეებად».

«პლენუმი დამთავრდა. მისი მონაწილენი წავიდ-წამოვიდნენ... ძველი ფრაქციების ხელმძღვანელებმა თავისუფლება იგრძნეს, ყოველგვარ გარეშე გავლენასა და ზემოქმედებას თავი დააღწიეს. თანაც მოუსწრო მნიშვნელოვანმა მაშველმა ძალებმა. ზოგს — ამხ. პლეხანოვის სახით, რომელიც ბოლო დროს გაძლიერებით ქადაგებს პარტიის გამოცხადებას სამხედრო მდგომარეობაში. სხვებს — იმ თექვსმეტი «ძველი პარტიული მუშაკის» სახით, «რომელთაც «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქცია კარგად იცნობს» (იხ. № 19 — 20, «ღია წერილი»). «ასეთ პირობებში როგორ არ უნდა ჩაებან ბრძოლაში? და აი, კიდევაც შეუდგნენ ურთიერთ განადგურების ძველ «საქმეს»» («ოტკლიკი ბუნდა» № 4, გვ. 22).

ფრაქციონერებს «მაშველმა ძალებმა» მოუსწრეს და — კვლავ წაიჩხუბნენ, ეს არის და ეს. მართალია, ბოლშევიკებს «მაშველ ძალად» მოუსწრო პარტიულმა მენშევიკმა, პლეხანოვმა, «მოუსწრო» ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ომით, მაგრამ ეს იონოვისათვის სულერთია. იონოვს, ცხადია, არ მოსწონს პლეხანოვის პოლემიკა პოტრესოვთან, ამხ. ი.—სთან [80] (რომელიც წინადადებას იძლეოდა «ყველაფერი დავშალოთო») და სხვა. ამ პოლემიკის დაგმობა, რა თქმა უნდა, მისი უფლებაა. მაგრამ ეს როგორ იქნება, რომ ამ პოლემიკას ვუწოდოთ «პ ა რ ტ ი ი ს გამოცხადება სამხედრო მდგომარეობაში»? ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ ომი არის პ ა რ ტ ი ი ს გამოცხადება სამხედრო მდგომარეობაშიო — დავიხსომოთ ამხ. იონოვის ეს «ფილოსოფია».

საზღვარგარეთელი მენშევიკებისათვის მაშველი ძალა იყო რუსეთში მყოფი მენშევიკები. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ აიძულებს ამხ. იონოვს დაფიქრდეს.

გასაგებია, რანაირი პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობს ტროცკისა და იონოვის მიერ «მომენტის» ამგვარი «შეფასებიდან». განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მხოლოდ ფრაქციული ჩხუბია. ახალი ნეიტრალიზატორები დავაყენოთ — და საქმე გაიჩარხება. ყველაფერი აიხსნება წრეობანური დიპლომატიის თვალსაზრისით. ყველა პრაქტიკული რეცეპტი — მხოლოდ წრეობანური დიპლომატიაა. მოცემულია «ბრძოლაში ჩაბმულნი», მოცემულია ისინი, ვისაც სურს «შეარიგოს»: აქ ნულარ მოვიხსენიებთ «ფუნდამენტს», ამ ალაგას დავუმატოთ ესა და ეს პიროვნება «დაწესებულებაში», იქ «დავუთმოთ» ლეგალისტებს კონფერენციის მოწვევის ხერხებშიო... ეს არის საზღვარგარეთული წრეობანას ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ისტორია!

ჩვენი შეხედულება იმაზე, რაც პლენუმის შემდეგ მოხდა, სხვანაირია.

მიაღწია რა ერთხმივი რეზოლუციების მიღებას და უკუაგდო რა ყ ვ ე ლ ა «საკინკლაო» ბრალდება, პლენუმმა საბოლოოდ ჩიხში მოაქცია ლიკვიდატორები. კინკლაობის უკან ამოფარება აღარ შეიძლება. ჯიუტობასა და «მექანიკურ ჩახშობაზე» (ვარიანტი: გაძლიერებული დაცვა, სამხედრო მდგომარეობა, საალყო წესები და სხვ.) მითითება აღარ შეიძლება. პარტიიდან ჩამოშორება შეიძლება მხოლოდ ლიკვიდატორობის გამო (როგორც ვპერიოდელებს შეუძლიათ ჩამოშორება მხოლოდ ოტზოვიზმის გამო და ანტიმარქსისტული ფილოსოფიის გამო).

ჩიხში მოქცეულმა ლიკვიდატორებმა თავიანთი «სახე» გამოამჟღავნეს. მათმა რუსეთის ცენტრმა—სულერთია ფორმალურმა თუ არა ფორმალურმა, ნახევრად არალეგალურმა (მიხეილი და კომპანია) თუ სავსებით ლეგალურმა (პოტრესოვი და კომპანია) — პარტიაში დაბრუნების მოწოდებას

უარით უპასუხა. რუსეთის ლეგალისტ-ლიკვიდატორებმა საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი პარტიასთან, შემჭიდროვდნენ რა დამოუკიდებელი (სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი და ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული, რა თქმა უნდა) სოციალისტების ჯგუფად. მიხეილისა და კომპანიის პასუხი, ერთი მხრით, «ნაშა ზარიას» და «ვოზროჟდენიეს» გამოსვლა, მეორე მხრით, — მოასწავებს სწორედ «სოციალ-დემოკრატთა» (უფრო სწორად: ვითომ სოციალ-დემოკრატთა) ანტიპარტიული წრეების შემჭიდროებას დამოუკიდებელი სოციალისტების ჯგუფად. ამიტომ ტროცკისა და იონოვის «შემარიგებლური» ჭაპანწყვეტა ახლა სასაცილო და უბადრუკია. მხოლოდ მიმდინარე ამბების სრული გაუგებლობით შეიძლება აიხსნას ეს ჭაპანწყვეტა, რაც ახლა უვნებელია, რადგან მას მხარს არ უჭერს არავინ. გარდა საზღვარგარეთელი წრეობანობის დიპლომატებისა, გარდა სადღაც მივარდნილ ადგილას მყოფ ადამიანთა გაუგებლობისა და უცოდინარობისა.

შემარიგებლები à la * ტროცკისა და იონოვისა იმით შეცდნენ, რომ განსაკუთრებული პირობები, რომლებმაც პლენუმზე შემარიგებლურ დიპლომატიას გაფურჩქვნის საშუალება მისცეს, მათ მიიჩნიეს ახლანდელი პარტიული ცხოვრების საერთო პირობებად. ისინი იმით შეცდნენ, რომ დიპლომატია, რამაც პლენუმზე თავისი როლი შეასრულა იმ პირობების არსებობის მეოხებით, რომლებმაც ორივე მთავარ ფრაქციაში შერიგებისადმი (— პარტიული გაერთიანებისადმი) ღრმა მისწრაფება წარმოშვეს — ეს დიპლომატია მათ მიიჩნიეს თვითკმარ მიზნად, «გარკვეულ პირთა, ჯგუფთა და დაწესებულებათა» შორის თამაშის ხანგრძლივ იარაღად.

პლენუმზე დიპლომატიისათვის მართლა იყო ადგილი, რადგან პარტიულ ბოლშევიკთა და პარტიულ მენშევიკთა პარტიული გაერთიანება აუცილებელი იყო, დაუთმობლად,

* — მსგავსად. რედ.

უკომპრომისოდ კი ის შეუძლებელი იყო. დათმობათა ოდენობის განსაზღვრის დროს «პატიოსანი მაკლერები» გარდუვალად წარმოსდგნენ პირველ ადგილზე, — გარდუვალად, რადგან პარტიული მენშევიკებისა და პარტიული ბოლშევიკებისათვის დათმობათა ოდენობის საკითხი მეორეხარისხოვანი საკითხი იყო, ვიდრე ძალაში რჩებოდა მთელი გაერთიანების პრინციპული ბაზა. როცა პლენუმზე პირველ ადგილზე წარმოსდგნენ, როცა შესაძლებლობა მიიღეს ეთამაშნათ როლი როგორც «ნეიტრალიზატორებს», როგორც «მოსამართლეებს» კინკლაობის აღმოსაფხვრელად, ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ მიმართული «პრეტენზიების» დასაკმაყოფილებლად, «შემარიგებლებმა» à la ტროცკისა და იონოვისა წარმოიდგინეს, რომ, ვიდრე «გარკვეული პირები, ჯგუფები და დაწესებულებანი» არსებობენ, ისინი ყოველთვის შესძლებენ ამ როლის შესრულებას. სასაცილო შეცდომაა. მაკლერები საჭიროა მაშინ, როდესაც საჭიროა განისაზღვროს იმ დათმობათა ოდენობა, რომლებიც აუცილებელია თანხმობის მისაღწევად. დათმობათა ოდენობა საჭიროა განისაზღვროს მაშინ, როდესაც არსებობს წინასწარ გარკვეული პრინციპული ბაზა გაერთიანებისა. ის საკითხი, თუ ვინ შევა ამ გაერთიანებაში ყველა დათმობის შემდეგ, მაშინ ღიად რჩებოდა, რადგან პრინციპულად აუცილებელი იყო პირობითად დაეშვათ ის, რომ ყველა სოციალ-დემოკრატი მოისურვებს შევიდეს პარტიაში, ყველა მენშევიკი მოისურვებს ლოიალურად გაატაროს ანტილიკვიდატორული რეზოლუცია, ყველა ვპერიოდელი — ანტიოტზოვისტური რეზოლუცია.

ახლა კი მაკლერები საჭირო არ არიან, მათთვის ადგილი არ მოიპოვება, რადგან დათმობათა ოდენობის საკითხი არ არსებობს. ხოლო დათმობათა ოდენობის საკითხი არ არსებობს იმიტომ, რომ არავითარი დათმობის საკითხი არ დგას. ყველა დათმობა (და მეტისმეტი დათმობანიც კი) პლენუმზე მოხდა. ახლა საკითხი დგას ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ და მხოლოდ პრინციპული პოზიციის

შესახებ, და თანაც არა საზოგადოდ ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, არამედ ლიკვიდატორ-დამოუკიდებელთა გარკვეული ჯგუფის, მიხეილის და კომპანიის ჯგუფის, პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თუ ახლა ტროცკი და იონოვი განიზრახავენ «შეარიგონ» პარტია ამ პირებთან, ჯგუფებთან და დაწესებულებებთან, ჩვენთვის, ყველა პარტიული ბოლშევიკისა და ყველა პარტიული მენშევიკისათვის, ისინი იქნებიან მხოლოდ პარტიის მოღალატენი და მეტი არაფერი.

შემარიგებელნი-დიპლომატები «ძლიერნი» იყვნენ პლენუმზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც პარტიულ ბოლშევიკებსაც და პარტიულ მენშევიკებსაც მშვიდობა უნდოდათ, და მშვიდობის პირობების საკითხს ისინი აძლევდნენ დაქვემდებარებულ მნიშვნელობას პარტიის ანტილიკვიდატორული და ანტიოტზოვისტური ტაქტიკის საკითხის მიმართ. მე, მაგალითად, დათმობები გადაჭარბებულად მიმაჩნდა და დათმობათა ოდენობისათვის ვიბრძოდი (რაზედაც გადაკვრით ამბობს «ბოლოსი» მე-19 — 20 ნომერში და პირდაპირ ლაპარაკობს იონოვი). მაგრამ მე მაშინ მზად ვიყავი შევრიგებოდი და ახლაც მზად ვიქნები შევურიგდე გადაჭარბებულ დათმობებსაც კი, რაკი ამით პარტიის ხ ა ზ ი არ ირღვეოდა, რაკი დათმობები ამ ხაზის უარყოფას არ იწვევდა, რაკი დათმობები წარმოადგენდა ხიდს ადამიანთა მოსაზიდად ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან პარტიისაკენ. მაგრამ, მიხეილისა და კომპანიის, პოტრესოვისა და კომპანიის შემჭიდროებისა და პარტიის წინააღმდეგ და პლენუმის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ, მე არ დავთანხმდები არავითარ ლაპარაკს არავითარ დათმობაზე, რადგან პარტია ახლა ვალდებულია კავშირი გაწყვიტოს ამ დამოუკიდებლებიან, ვალდებულია გადაჭრით ებრძოლოს მათ, როგორც სავსებით და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ლიკვიდატორებს. და მე შემიძლია დარწმუნებით ვილაპარაკო არა მარტო ჩემი სახელით, არამედ ყ ვ ე ლ ა პარტიული ბოლშევიკის სახელით. პარტიულმა მენშევიკებმა საკმაოდ ნათლად გამოთქვეს,

პლეხანოვისა და სხვების პირით, იგივე აზრი, და როცა პარტიაში საქმეთა მდგომარეობა ასეთია, «შემარიგებლებმა»-დიპლომატებმა à la ტროცკისა და იონოვისა ან თავი უნდა დაანებონ თავიანთ დიპლომატიას, ანდა ისინი უნდა ჩამოშორდნენ პარტიას და დამოუკიდებლებთან წავიდნენ.

რათა დავრწმუნდეთ, რომ ლეგალისტები საბოლოოდ შემჭიდროვდნენ დამოუკიდებელი სოციალისტების ჯგუფად, საკმარისია ზოგადად გადავავლოთ თვალი პლენუმის შემდეგ მომხდარ ამბებს, საკმარისია შევაფასოთ ისინი არსებითად და არა მარტო «კონფლიქტების» უმნიშვნელო და წვრილმანი ისტორიის იმ თვალსაზრისით, რომელსაც იონოვი ტყუილ-უბრალოდ სჯერდება.

1) მიხეილი, რომანი და იური ცენტრალური კომიტეტის (პლენუმის) რეზოლუციებსაც და თვით მის არსებობასაც საზიანოდ აცხადებენ. ამ ფაქტის გამოქვეყნებიდან დაახლოებით 2 თვე გავიდა, და ფაქტი უარყოფილი არ არის. ცხადია, რომ ის უტყუარი ფაქტია *.

2) თექვსმეტი რუსი მენშევიკი, მათ შორის სულ ცოტა ორი მაინც ზემოდასახელებულ სამეულიდან და მთელი რიგი უაღრესად გამოჩენილი ლიტერატორი მენშევიკები (ჩერევანინი, კოლცოვი და სხვ.), გამოდიან «ბოლოსში», რედაქციის მოწონებით, სადაც ამართლებენ მენშევიკების გასვლას პარტიიდან, გამოდიან წმინდა ლიკვიდატორული მანიფესტით.

3) მენშევიკური ლეგალური ჟურნალი «ნაშა ზარია» ათავსებს ბ-ნ პოტრესოვის საპროგრამო სტატიას, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ «პარტია, როგორც დაწესებულებათა

* ეს-ეს არის გამოვიდა «ბოლოს სოციალ-დემოკრატას» 21-ე ნომერი. მე-16 გვერდზე მარტოვი და დანი ადასტურებენ ამ ფაქტის უტყუარობას, როცა ლაპარაკობენ «სამი ამხანაგის (??) უარზე — შესულიყვნენ ცენტრალურ კომიტეტში». თანაც, როგორც მიღებულია ხოლმე, ისინი «ტიშკო-ლენინის» მისამართით სამსართულიანი გინებით ფარავენ იმ ფაქტს, რომ მიხეილისა და კომპანიის ჯგუფი საბოლოოდ იქცა დამოუკიდებელთა ჯგუფად.

მთლიანი და ორგანიზებული იერარქია, არ არსებობს» (№ 2, გვ. 61), რომ არ შეიძლება იმის ლიკვიდირება, «რაც ნამდვილად აღარ არსებობს, როგორც ორგანიზებული მთელი» (იქვე). ამ ჟურნალის თანამშრომელთა შორის არიან ჩერევანინი, კოლცოვი, მარტინოვი, ავგუსტოვსკი, მასლოვი, მარტოვი, — ის ლ. მარტოვი, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია ეჭიროს ადგილი ისეთი არალეგალური პარტიის «დაწესებულებათა ორგანიზებულ იერარქიაში», რომელსაც ჰყავს ცენტრი, როგორც «ორგანიზებულ მთელს», და იმავე დროს კი შედიოდეს ლეგალურ ჯგუფში, რომელიც სტოლიპინის მოწყალე ნებართვით ამ არალეგალურ პარტიას არარსებულად აცხადებს.

4) პოპულარულ მენშევიკურ ჟურნალ «ვოზროჟდენიეში» (№ 5, 1910 წ. 30 მარტი), სადაც თანამშრომელთა ი გ ი ვ ე შემადგენლობაა, ხელმოუწერელი, ე. ი. სარედაქციო, სტატია ქება-დიდებას ასხამს ბ-ნ პოტრესოვის ზემოდასახელებულ სტატიას «ნაშა ზარიადან» და, იმავე ციტატის მოყვანის შემდეგ, რომელიც მე ზემოთ მოვიყვანე, დასძენს:

«სალიკვიდაციო აღარაფერია, — და, დავსძენთ ჩვენ» (ე. ი. «ვოზროჟდენიეს» რედაქცია) «ჩვენის მხრივ, — ოცნება ამ იერარქიის აღდგენაზე მისი ძველი, არალეგალური სახით მხოლოდ მავნე, რეაქციული უტოპიაა, რომელიც მოწმობს, რომ ოდესღაც ყველაზე რეალისტური პარტიის წარმომადგენლებს პოლიტიკური ალღო დაუკარგავთ» (გვ. 51).

ვინც ყველა ამ ფაქტს შემთხვევითობად თვლის, მას, ცხადია, არ უნდა სიმართლე დაინახოს. ვინც ფიქრობს ეს ფაქტები «ფრაქციულობის რეციდივით» ახსნას, იგი თავს იმშვიდებს ფრაზით. რა შუაშია აქ ფრაქციულობა და ფრაქციულობრძოლა, რომლისგანაც მიხეილისა და კომპანიის ჯგუფიც და პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფიც დიდი ხანია განზე დგანან? არა, იმისათვის, ვისაც არ უნდა განგებ დახუჭოს თვალი, აქ არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს. პლენუმმა მოსპო ყველა დაბრკოლება (ნამდვილი თუ არანამდვილი) პარტიული ლეგალისტების დასაბრუნებლად პარტიაში, მოსპო არალეგა-

ლური პარტიის აგების ყველა დაბრკოლება და თანაც გაითვალისწინა ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების ახალი პირობები და ახალი ფორმები. ოთხმა მენშევიკმა ცეკისტმა და «გოლოსის» ორმა რედაქტორმა აღიარეს, რომ ერთობლივი პარტიული მუშაობის ყ ვ ე ლ ა დაბრკოლება აღმოფხვრილია. რუს ლეგალისტთა ჯგუფმა თ ა ვ ი ს ი პ ა ს უ ხ ი მ ი ს ც ა პ ლ ე ნ უ მ ს. ეს პასუხი უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ა: არალეგალური პარტიის აღსადგენად და განსამტკიცებლად მუშაობა არ გვსურს, რადგან ეს — რეაქციული უტოპიაა.

ეს პასუხი უდიდესი პოლიტიკური ფაქტია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში. საბოლოოდ შემჭიდროვდა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი დ ა მ ო უ კ ი დ ებ ე ლ ი (სოციალიზმისაგან) ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს ჯგუფმა. რამდენად გაფორმებულია ეს ჯგუფი, შედგება ის ერთი ორგანიზაციისაგან თუ ერთმანეთთან მეტად **lose** (თავისუფლად, არამტკიცედ) დაკავშირებული მთელი რიგი ცალკეული წრეებისაგან,— ეს ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, და ამას მნიშვნელობაც არა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიისაგან დამოუკიდებელი ჯგუფების შექმნის ტენდენციებმა, — რომლებიც მენშევიკებს დიდი ხანია ჰქონდათ, — ახლა გამოიწვიეს ახალი პოლიტიკური ერთეულის წარმოშობა. და ამიერიდან რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატმა, რომელთაც არ უნდათ თავი მოიტყუონ, ანგარიში უნდა გაუწიონ, როგორც ფაქტს, დამოუკიდებელთა ამ ჯგუფის არსებობას.

ამ ფაქტის მნიშვნელობის გასარკვევად უწინარეს ყოვლისა მოგაგონებთ საფრანგეთის «დამოუკიდებელ სოციალისტებს», რომლებმაც ყველაზე მოწინავე, ყოველივე ძველისაგან ყველაზე უფრო გაწმენდილ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ამ პოლიტიკური მიმართულების ტენდენციები სულ ბოლომდე მიიყვანეს. მილიერანი, ვივიანი, ბრიანი სოციალისტურ პარტიას ეკუთვნოდნენ, მაგრამ არა ერთხელ მოქმედებდნენ მის გადაწყვეტილებათაგან დამოუკიდებლად, მათ საწინააღმდეგოდ, და ბურჟუაზიულ მთავრობაში მილიერანის შესვ-

ლას, რესპუბლიკის ხსნისა და სოციალიზმის ინტერესების დაცვის საბაბით, შედეგად მოჰყვა პარტიასთან მისი კავშირის გაწყვეტა. სოციალიზმის მოღალატენი ბურჟუაზიამ მინისტრთა თანამდებობებით დააჯილდოვა. ფრანგი რენეგატების სამეული თავის თავსა და თავის ჯგუფს კვლავ უწოდებს დამოუკიდებელ სოციალისტებს, განაგრძობს თავისი საქციელის გამართლებას მუშათა მოძრაობისა და სოციალური რეფორმის ინტერესებით.

ჩვენებური დამოუკიდებლების ასე ჩქარა დაჯილდოება ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია: ისინი იწყებენ განუზომლად უფრო ჩამორჩენილ პირობებში, ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის (რომელიც დიდი ხანია მხარს უჭერს მენშევიკების ტენდენციებს «დამოუკიდებლობისადმი») ხოტბითა და შემწეობით. მაგრამ ძირითადი ტენდენცია აქაც და იქაც ერთია: სოციალისტური პარტიისაგან დამოუკიდებლობას ასაბუთებენ მუშათა მოძრაობის ინტერესებით; «ლეგალობისათვის ბრძოლას» (დ ა ნ ი ს ფორმულირების ლოზუნგი, რომელსაც მთელი გულმოდგინებით ჩასჭიდეს ხელი რენეგატულ «ვ ო ზ რ ო ჟ დ ე ნ ი ე ში», № 5, გვ. 7) აცხადებენ მუშათა კლასის ლოზუნგად; ნამდვილად კი ჯგუფს ადგენენ ბურჟუაზიული ინტელიგენტები (პარლამენტარიები საფრანგეთში, ლიტერატორები — ჩვენში), რომლებიც ლიბერალებთან ერთად მოქმედებენ; პარტიისადმი დამორჩილებას უარყოფენ: პარტიას არასაკმაოდ «რეალისტურად» აცხადებენ მილიერანი და კომპანიაც, «ვოზროჟდენიე» და «გოლოსიც»; პარტიის შესახებ ამბობენ, რომ ის არის «კარჩაკეტილი არალეგალური წრეების დიქტატურა» («გოლოსი»), რომ ის იქცევა ვიწრო-რევოლუციურ გაერთიანებად, რომელიც ზიანს აყენებს ფართო პროგრესს (მილიერანი და კომპანია).

აიღეთ შემდეგ, ჩვენებურ დამოუკიდებელთა პოზიციის გასარკვევად, რუსეთის «სახალხო-სოციალისტური პარტიის» შექმნის ისტორია ჩვენში. ეს ისტორია დაეხმარება საქმის დედაარსის გაგებაში იმათ, ვინც მილიერანსა და კომპანიასთან

ჩვენებურ დამოუკიდებელთა ნათესაობას ვერ ხედავს მათი «მუშაობის» გარეგანი პირობების უდიდესი განსხვავების გამო. ჩვენი «ენესები» რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ლეგალისტურ და ზომიერ ფრთას წარმოადგენენ, ეს საყოველთაოდ ცნობილია, და მარქსისტთაგან ამაში, მგონი, არავინ დაეჭვებულა. სახალხო სოციალისტები გამოვიდნენ როგორც წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა რევოლუციური პარტიის პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ლიკვიდატორები ესერების ყრილობაზე 1905 წლის დამლევს; ისინი ესერებთან უაღრესად მჭიდრო ბლოკით გამოდიოდნენ თავისუფლების დღეთა გაზეთებში 1905 წლის შემოდგომაზე და 1906 წლის გაზაფხულზე. ისინი ლეგალურნი გახდნენ და დამოუკიდებელ პარტიად გამოიყვნენ 1906 წლის შემოდგომაზე, რამაც მათ ხელი არ შეუშალა II სათათბიროს არჩევნების დროს და II სათათბიროში დროგამოშვებით თითქმის შეერთებულიყვნენ ხოლმე ესერებთან.

1906 წლის შემოდგომაზე მე შემთხვევა მქონდა «პროლეტარში» დამეწერა სახალხო სოციალისტების შესახებ, და მათ «ესერული მენშევიკები» ვუწოდე *. გავიდა სამნახევარი წელი, და პოტრესოვმა და კომპანიამ შესძლო პარტიული მენშევიკებისათვის დაემტკიცებინა, რომ მე მართალი ვიყავი. ოღონდ უნდა ვაღიაროთ, რომ ბატონი პეშეხონოვები და კომპანია პოლიტიკურად უფრო პატიოსნად მოიქცნენ, ვიდრე ბ-ნი პოტრესოვი და მისი ჯგუფი, როცა, ესერების პარტიისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელი მთელი რიგი პოლიტიკური აქტების შემდეგ, მათ თავი გამოაცხადეს ესერებისაგან აშკარად დამოუკიდებელ, ცალკე პოლიტიკურ პარტიად. რა თქმა უნდა, ეს «პატიოსნება» გამოწვეულია, სხვათა შორის, ძალთა თანაფარდობითაც: პეშეხონოვი ესერების პარტიას უძლურ პარტიად თვლიდა და ფიქრობდა, რომ მასთან არაფორმალური შეერთებით თვითონ ა გ ე ბ ს; პოტრესოვი თვლის, რომ იგი ი გ ე ბ ს პოლიტიკური აზეფშჩინით [81], როცა კვლავ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 220—232. რ ე დ.

სოციალ-დემოკრატად ირიცხება მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელია.

ბ-ნი პოტრესოვი და კომპანია ჯერჯერობით თავისთვის ყველაზე ხელსაყრელად თვლიან სხვის სახელს ამოეფარონ, ქურდულად ისარგებლონ რსდმ პარტიის პრესტიჟით და შიგნიდან გახრწნან ის, ფაქტიურად იმოქმედონ მის წინააღმდეგ და არა მარტო მისგან დამოუკიდებლად. შესაძლებელია, რომ ჩვენებურ დამოუკიდებელთა ჯგუფი შეეცდება რაც შეიძლება მეტხანს მოირთოს სხვისი ფრთებით; შესაძლებელია, რომ პარტიისადმი რაიმე დარტყმის შემდეგ, არალეგალური ორგანიზაციის დიდი ჩავარდნის შემდეგ, ანდა განსაკუთრებით მაცთუნებელი კონიუნქტურის დროს, როგორიცაა, ვთქვათ, პარტიისგან დამოუკიდებლად სათათბიროში გასვლის შესაძლებლობა, დამოუკიდებლებმა თვითონ ჩამოიგლიჯონ ნიღაბი; — ჩვენ არ შეგვიძლია მათი პოლიტიკური შარლატანობის ყველა და ყოველგვარი ეპიზოდი წინასწარ განვჭვრიტოთ.

მაგრამ ერთი რამ ჩვენ მტკიცედ ვიცით, სახელდობრ ის, რომ მუშათა კლასის პარტიისათვის, რსდმ პარტიისათვის, დამოუკიდებელთა ფარული საქმიანობა საზიანოა, დამღუპველია და რომ ჩვენ რადაც უნდა დაჯდეს უნდა გამოვამჟღავნოთ ეს საქმიანობა, ააშკარაოზე გამოვიყვანოთ დამოუკიდებელნი და გამოვაცხადოთ პარტიასთან მათი ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ. პლენუმმა ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ამ გზაზე: თუმცა ერთი შეხედვით ეს შეიძლება უცნაურად მოჩანდეს, მაგრამ სწორედ მარტოვისა და მარტინოვის თანხმობამ (არაგულწრფელმა ან შეუგნებელმა), სწორედ მაქსიმალურმა, მეტისმეტმა დათმობებმაც კი მათ მიმართ, ხელი შეუწყეს კიდეც ლიკვიდატორობის მუწუკის, დამოუკიდებლობის მუწუკის გამოაშკარავებას ჩვენს პარტიაში. არც ერთ კეთილსინდისიერ სოციალ-დემოკრატს, არც ერთ პარტიულს, რომელ ფრაქციასაც უნდა თანაუგრძნობდეს ის, არ შეუძლია ახლა უარყოს, რომ მიხეილისა და კომპანიის ჯგუფი, პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფი დ ა მ ო უ კ ი-

დ ე ბ ლ ე ბ ი არიან, რომ სინამდვილეში ისინი პარტიას არ ცნობენ, პარტია არ უნდათ, პარტიის წინააღმდეგ მუშაობენ.

რამდენად სწრაფად ან რამდენად ნელა მიმდინარეობს დამოუკიდებელთა ჩამოცილების მომწიფებისა და მათ მიერ ცალკე პარტიის ჩამოყალიბების პროცესი, ეს დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, მრავალ მიზეზსა და გარემოებაზე, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელია. სახალხო სოციალისტებს ცალკე ჯგუფი რევოლუციამდე ჰყავდათ, და ჩამოშორება ამ ჯგუფისა, რომელიც დროებით და არასრულად ემხრობოდა სოციალისტ-რევოლუციონერებს, განსაკუთრებით ადვილი იყო. ჩვენს დამოუკიდებლებს ჯერ კიდევ აქვთ პირადი ტრადიციები, პარტიასთან კავშირურთიერთობა, რაც ჩამოცილების პროცესს აფერხებს, მაგრამ ეს ტრადიციები სულ უფრო სუსტდება, და, გარდა ამისა, რევოლუციას და კონტრრევოლუციას გამოჰყავს ახალი ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი რევოლუციური და პარტიული ტრადიციებისაგან თავისუფალი არიან. სამაგიეროდ, «ვეხური» სულისკვეთების გარემო მეტისმეტი სისწრაფით უბიძგებს არამტკიცე ინტელიგენციას დამოუკიდებლობისაკენ. რევოლუციონერთა «ძველი» თაობა ასპარეზს ცილდება; სტოლიპინი მთელი ძალლონით სდევნის ამ თაობის წარმომადგენლებს, რომლებმაც მეტწილად გაამჟღავნეს თავიანთი ყველა ფსევდონიმი და მთელი თავიანთი კონსპირაცია თავისუფლების დღეებში, რევოლუციის წლებში. საპყრობილე, გადასახლება, კატორღა, ემიგრაცია სულ უფრო ადიდებენ მწყობრიდან გამომავალთა რიგებს, ახალი თაობა კი ნელა იზრდება. ინტელიგენციაში, განსაკუთრებით იმ ინტელიგენციაში, რომელიც ამა თუ იმ ლეგალურ საქმიანობას «შეეწყო», ვითარდება არალეგალური პარტიისადმი სრული ურწმენობა, იმის სურვილის უქონლობა, რომ ძალღონე მოახმარონ ჩვენს დროში განსაკუთრებით ძნელსა და განსაკუთრებით უმადურ მუშაობას. «მეგობარი ჭირში იცნობა», და მუშათა კლასი, რომელიც როგორც ძველ, ისე ახალ კონტრრევოლუციურ ძალთა შემოტევის მძიმე დროს განიცდის, უსათუოდ იმის მოწამე გახდება, თუ

როგორ შორდება მას მისი მრავალი და მრავალი ინტელიგენტი «მეგობარი ერთი საათით», მეგობრები დღესასწაულის დროს, მეგობრები მხოლოდ რევოლუციის დროს, — ის მეგობრები, რომლებიც რევოლუციონერები იყვნენ რევოლუციის დროს, მაგრამ დაცემის ეპოქას ნებდებიან და მზად არიან კონტრრევოლუციის პირველი წარმატებისთანავე «ლეგალობისათვის ბრძოლა» გამოაცხადონ.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კონტრრევოლუციური ძალები ახერხებდნენ პირწმინდად აღეგავათ პროლეტარიატის რევოლუციური და სოციალისტური ორგანიზაციების ნაშთები, მაგალითად, 1848 წლის შემდეგ. ბურჟუაზიული ინტელიგენტი, რომელიც სოციალ-დემოკრატიას მიემხრო თავისი სიჭაბუკის დღეებში, მთელი თავისი მეშჩანური ფსიქოლოგიის გამო თანახმაა ხელი ჩაიქნიოს: ასე იყო — ასე იქნება; ძველი არალეგალური ორგანიზაციის დაცვა უიმედო საქმეა, ახლის შექმნა — კიდევ უფრო მეტად უიმედო საქმეა; ჩვენ საზოგადოდ «გავაზვიადეთ» პროლეტარიატის ძალები ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ჩვენ შეცდომით მივაწერეთ პროლეტარიატის როლს «უნივერსალური» მნიშვნელობაო, — რენეგატული «საზოგადოებრივი მოძრაობის» ყველა ეს უბადრუკი იდეა პირდაპირ და არაპირდაპირ უბიძგებს არალეგალური პარტიის უარყოფისაკენ. რაკი ერთხელ დაადგა დაღმართ გზას, დამოუკიდებელი ვერ ამჩნევს, თუ როგორ მიექანება ის სულ უფრო ქვევით, ვერ ამჩნევს, რომ ის სტოლიპინთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობს: სტოლიპინი ფიზიკურად, პოლიციურად, საბრჩობელათი და კატორღით ანგრევს არალეგალურ პარტიას, — ლიბერალები პირდაპირ აკეთებენ ამასვე ვეხური იდეების აშკარა პროპაგანდით, — დამოუკიდებელნი სოციალ-დემოკრატთა შორის არაპირდაპირ ხელს უწყობენ არალეგალური პარტიის დანგრევას, როცა გაჰყვირიან მის «უსიცოცხლობაზე», უარს ამბობენ დაეხმარონ მას, ამართლებენ (იხ. 16-ის წერილი «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში) პარტიიდან წასვლას. ასე ეშვებიან საფეხურიდან საფეხურზე.

ნუ დავხუჭავთ თვალებს იმაზე, რომ პარტიისათვის ბრძოლა მით უფრო მძიმე გახდება ჩვენთვის, რაც უფრო გაჭიანურდება კონტრრევოლუციური პერიოდი. პარტიელნი რომ საფრთხეს არ ამცირებენ, ისინი რომ მას თვალს უსწორებენ, ამას ცხადყოფს, მაგალითად, ამხ. კ.-ს სტატია ცენტრალური ორგანოს მე-13 ნომერში. მაგრამ პარტიის სისუსტის, ორგანიზაციების რღვევისა და მდგომარეობის სიძნელის მტკიცე და პირდაპირი აღიარება არც ერთი წუთით არ იწვევს ამხ. კ.-ს — ისე როგორც არ იწვევს არც ერთი პარტიელის — •რავითარ ყოყმანს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა პარტია, საჭიროა თუ არა მის აღსადგენად მუშაობა. რაც უფრო ძნელია ჩვენი მდგომარეობა, რაც უფრო მეტად იზრდება მტრების რიცხვი, — გუშინწინ მათ მიემატნენ ვეხელები, გუშინ — სახალხო სოციალისტები, დღეს — დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები, — მით უფრო მჭიდროდ დაირაზმება პარტიის დასაცავად ყველა სოციალ-დემოკრატი განურჩევლად ელფერისა. მრავალი სოციალ-დემოკრატი, რომლებიც შეეძლო გაეთიშა იმ საკითხს, თუ როგორ წავიყვანოთ საიერიშოდ რევოლუციურად განწყობილი და სოციალ-დემოკრატიის ერთგული მასები, — არ შეიძლება არ შეამჭიდროვოს იმ საკითხმა, აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ თუ არა 1895 — 1910 წლებში შექმნილი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

რაც შეეხება «გოლოსსა» და გოლოსელებს, მათ შესანიშნავი სიცხადით დაადასტურეს ის, რაც «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის რეზოლუციამ მათ შესახებ თქვა გასული წლის ივლისში. «პარტიის მენშევიკურ ბანაკში, — •მბობს ეს რეზოლუცია (იხ. «პროლეტარის» 46-ე ნომრის დამატება, გვ. 6) — როცა ფრაქციის ოფიციალური ორგანო, «გოლოს სოციალ-დემოკრატა», სავსებით ხელში აქვთ ჩაგდებული მენშევიკ-ლიკვიდატორებს, ფრაქციის უმცირესობა, რომელმაც ბოლომდე გამოსცადა ლიკვიდატორობის გზა, უკვე იმაღლებს პროტესტის ხმას ამ გზის წინააღმდეგ და კვლავ ეძებს

პარტიულ ნიადაგს თავისი მოღვაწეობისათვის»... * ლიკვიდატორობის გზის «ბოლომდე» უფრო დიდი მანძილი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, მაგრამ მოყვანილი სიტყვების ძირითადი აზრის სისწორე მას შემდეგ დადასტურებულია ფაქტებით. განსაკუთრებით დადასტურდა ტერმინი «ლიკვიდატორების ტყვეობაში» — «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მიმართ. ესენი — სწორედ რომ ლიკვიდატორთა ხელში მყოფი ტყვეები არიან, რომლებიც ვერ ბედავენ ვერც ლიკვიდატორობის აშკარად დაცვას და ვერც მის წინააღმდეგ აშკარად აჯანყებას. მათ პლენუმზედაც რეზოლუციები ერთხმად მიიღეს არა როგორც თავისუფალმა ადამიანებმა, არამედ როგორც ტყვეებმა, რომლებიც მათმა «პატრონებმა» მოკლე ხნით გაუშვეს და პლენუმის შემდეგ მეორე დღეს კვლავ მონობას დაუბრუნდნენ. რადგან ლიკვიდატორობის დაცვა არ შეეძლოთ, ისინი მთელი ძალღონით აწვებოდნენ ყველა შესაძლებელ (და ყველა გამოგონილ!) დაბრკოლებას, რომლებიც პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებული არ იყო, მაგრამ რომლებიც მათ ხელს უშლიდა ლიკვიდატორობა დაეგმოთ. და როცა ყველა ეს «დაბრკოლება» მოცილებულ იქნა, როცა მათი ყველა გარეშე, პირადი, ორგანიზაციული, ფულადი და სხვა პრეტენზია დაკმაყოფილებულ იქნა, — მათ ძალაუნებურად «ხმა შეაწიეს» ლიკვიდატორობის დაგმობას. საბრალონი! მათ არ იცოდნენ, რომ ამ დროს 16-ის მანიფესტი უკვე გზაში იყო პარიზის მიმართულებით, რომ მიხეილისა და კომპანიის ჯგუფი, პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფი უფრო მტკიცედ იცავდნენ ლიკვიდატორობას. და მათ 16-თან ერთად, მიხეილთან ერთად, პოტრესოვთან ერთად კვლავ მორჩილად იბრუნეს პირი ლიკვიდატორობისაკენ!

იონოვისა და ტროცკის მსგავს იმ მერყევ «შემარიგებელთა» უდიდესი დანაშაული, რომლებიც ამ ხალხს იცავენ ან ამართლებენ, ის არის, რომ ისინი მათ ღუპავენ, რადგან ლიკ-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 550. რ ე დ.

ვიდატორობისაგან მათ დამოკიდებულებას განამტკიცებენ. მაშინ როდესაც ყველა არაფრაქციული სოციალ-დემოკრატის გადაჭრით გამოსვლას მიხეილისა და კომპანიის წინააღმდეგ, პოტრესოვისა და კომპანიის წინააღმდეგ (ამ ჯგუფების დაცვას ხომ ვერც ტროცკი და ვერც იონოვი ვერ ბედავს!) შეეძლო პარტიისაკენ დაებრუნებინა ზოგი ვინმე ლიკვიდატორობის გოლოსელი ტყვეებიდან, — «შემარიგებელთა» ღმეჭა და მანჭვა-გრეხა, რაც ოდნავადაც ვერ არიგებს პარტიას ლიკვიდატორებთან, მხოლოდ «უაზრო იმედებს» უნერგავს გოლოსელებს.

თუმცაღა, ეს ღმეჭა და ეს მანჭვა-გრეხა, უეჭველია, მნიშვნელოვნად აიხსნება მდგომარეობის უბრალო გაუგებლობითაც. მხოლოდ გაუგებლობის გამო შეუძლია ამხ. იონოვს მარტოვის სტატიის მოთავსებისა თუ არმოთავსების საკითხით დაკმაყოფილდეს, შეუძლიათ ტროცკის ვენელ მომხრეებს საკითხი ცენტრალურ ორგანოში მომხდარ «კონფლიქტებად» მიიჩნიონ. მარტოვის სტატიაც («სწორი გზით»... ლიკვიდატორობისაკენ) და კონფლიქტებიც ცენტრალურ ორგანოში მხოლოდ კერძო ეპიზოდებია, რომელთა გაგება მთელთან დაუკავშირებლად შეუძლებელია. მაგალითად, მარტოვის სტატიამ ჩვენ, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში ლიკვიდატორობისა და გოლოსელობის ყველა ელფერი შევისწავლეთ, ნათლად დაგვანახა, რომ მ ა რ ტ ო ვ მ ა გ ა დ ა უ ხ ვ ი ა (ან მას გადაახვევინეს). ერთსა და იმავე მარტოვს ა რ შ ე ე ძ ლ ო ხელი მოეწერა ცენტრალური კომიტეტის «წერილზე» კონფერენციის შესახებ და დაეწერა სტატია: «სწორი გზით». მარტოვის სტატიის ამოგლეჯით მოვლენების ჯაჭვიდან, მასზე ადრინდელ ცენტრალური კომიტეტის «წერილიდან», მის მომდევნო «გოლოსის» მე-19 — 20 ნომრიდან, 16-ის მანიფესტიდან, დანის («ლეგალობისათვის ბრძოლა»), პოტრესოვისა და «ვოზროჟდენიეს» სტატიებიდან, ცენტრალურ ორგანოში მომხდარი «კონფლიქტების» ამოგლეჯით მოვლენათა იმავე ჯაჭვიდან, ტროცკი და იონოვი თავის თავს შესაძლებლობას

ართმევენ გაიგონ ის, რაც ხდება*. და პირიქით, ყოველივე სავსებით გასაგები ხდება, თუ ცენტრში მოაქციეთ ის, რაც საფუძვლად უდევს ყველაფერს, სახელდობრ: რუს დამოუკიდებელთა საბოლოო შემჭიდროება და მათ მიერ საბოლოოდ კავშირის გაწყვეტა არალეგალური პარტიის აღდგენისა და განმტკიცების «რეაქციულ უტოპიასთან».

7. პარტიული მენშევიზმისა და მისი შეფასების შესახებ

უკანასკნელ საკითხს, რომელიც უნდა განვიხილოთ ჩვენს პარტიაში «გამაერთიანებელი კრიზისის» გასარკვევად, წარმოადგენს ეგრეთწოდებული პარტიული მენშევიზმისა და მისი მნიშვნელობის შეფასების საკითხი.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია არაფრაქციული — ე. ი. იმის მოსურნე, რომ არაფრაქციულად ითვლებოდნენ, — იონოვისა და ტროცკის შეხედულებანი («პრავდის» № 12 და ვენის რეზოლუცია). ტროცკი გადაჭრით და ჯიუტად უგულებელყოფს პარტიულ მენშევიზმს, — რაზედაც უკვე მითითებული იყო ცენტრალური ორგანოს მე-13 ნომერში**, — იონოვი კი თავისი თანამოაზრის «სანუკვარ» აზრს ამყღავნებს, როცა აცხადებს, რომ «ამხ. პლეხანოვის» (სხვა პარტიული მენშევიკები იონოვს არ სურს დაინახოს) გამოსვლების მნიშვნელობა ამოიწურება ბოლშევიკების ფრაქციული ბრძოლის «განმტკიცებით», «პარტიაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების» ქადაგებითო.

ტროცკისა და იონოვის ამ პოზიციის მცდარობა მათთვის ნათელი უნდა გამხდარიყო მარტო უკვე იმიტომ, რომ მას

* აიღეთ კიდევ, მაგალითისათვის, არალეგალური პარტიის ლეგალურ ერთეულად მომუშავე პირთა «თანასწორუფლებიანობის თეორია». ნუთუ ცხადი არ არის, მიხეილისა და კომპანიის, პოტრესოვისა და კომპანიის გამოსვლების შემდეგ, რომ ამ თეორიის აზრი და მნიშვნელობა არის დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის ცნობა და მათთვის პარტიის დაქვემდებარება?

** იხ. ეს ტომი, გვ. 230 — 232. რედ.

ფაქტები აბათილებენ. ცენტრალური ორგანოს მე-13 ნომრიდან ჩანს, რომ პარტიის დამხმარე არანაკლებ შვიდ საზღვარგარეთულ ჯგუფში — პარიზში, ჟენევაში, ბერნში, ციურიხში, ლიეჟში, ნიცაში, სან-რემოში — პლეხანოველებმა ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პარტიულმა მენშევიკებმა გაილაშქრეს «გოლოსის» წინააღმდეგ და მოითხოვეს პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება, მოითხოვეს «გოლოსის» დახურვა, აღნიშნეს «გოლოსის» მე-19 — 20 ნომერში დაკავებული იდეური პოზიციის ლიკვიდატორული ხასიათი. იგივე პროცესი, თუმცა, შესაძლოა, ნაკლებ თვალსაჩინოდ, მიმდინარეობს რუსეთში მომუშავეთა შორისაც. ამ ფაქტების მიფუჩეჩება სასაცილოა. გოლოსელებთან პლეხანოვის ბრძოლის ლიტერატორულ «ფრაქციულ» ბრძოლად დასახვის ცდა, წინააღმდეგ ამ ფაქტებისა, ნიშნავს — ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ — დადგე დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის მხარეზე პარტიის წინააღმდეგ.

აშკარად ყალბ, აშკარად სუსტ პოზიციას, რომელიც აღნიშნულმა «შემარიგებლებმა» დაიკავეს, უნდა დაენახვებინა მათთვის მათი იმ ამოსავალი თვალსაზრისის მცდარობა, თითქოს პლენუმზე გაერთიანების პოლიტიკური მნიშვნელობა მდგომარეობდა «გარკვეულ პირებთან, ჯგუფებთან და დაწესებულებებთან» შეთანხმებაში. პარტიული მოვლენების გარეგან ფორმებს და მათ პირად თავისებურებებს თავი არ უნდა მოვატყუებინოთ, უნდა შევაფასოთ იმის იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც ხდება. გარეგანი მხარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეთანხმება მოხდა გარკვეულ გოლოსელებთან. მაგრამ შეთანხმების საფუძველი, პირობა ხომ პლეხანოვის პოზიციაზე გოლოსელთა გადასვლა იყო. ეს ნათელია პარტიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ მიღებული რეზოლუციის ანალიზიდან, რაც მოცემულია ზემოთ *. გარეგნულად, სწორედ გო-

* 4 ცეკისტი მენშევიკიდან, რომლებიც პლენუმზე იყვნენ, ორი ყოველ ღონეს ხმარობდა იმ მიზნით, რომ გოლოსელებისადმი მაქსიმალური დათმობებით ფაქტიურად გადაეყვანათ ისინი პლეხანოვის პოზიცი-

ლოსელები აღმოჩნდნენ მენშევიზმის წარმომადგენლები პარტიაში, — მაგალითად, ცენტრალური ორგანოს შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. სინამდვილეში ცენტრალური ორგანო პლენუმის შემდეგ თანდათან ხდებოდა პარტიულ ბოლშევიკთა და პლეხანოველთა «თანამშრომლობის» ორგანოდ გოლოსელთა მხრივ სრული წინააღმდეგობის გაწევის პირობებში. პარტიული გაერთიანების განვითარება წავიდა მიხვეულ-მოხვეული გზით: თავდაპირველად თითქოს რაღაც საერთო-შემარიგებლური დომხალის მსგავსი რამ, როცა ნათლად არ იყო განსაზღვრული გაერთიანების იდეური ბაზისი, მაგრამ შემდეგ პოლიტიკური ტენდენციების ლოგიკამ თავისი გაიტანა, დამოუკიდებელთა გამიჯვნა პარტიისაგან დაჩქარებული აღმოჩნდა იმით, რომ პლენუმზე დაშვებულ იქნა მაქსიმალური დათმობები გოლოსელებისადმი.

როცა მე პლენუმზე ვისმენდი და «გოლოსში» ვხედავდი (№ 19 — 20, გვ. 18), რა გააფთრებით უტევდნენ ლოზუნგს: «ძლიერი ფრაქციების შეთანხმება ლიკვიდატორებთან საბრძოლველად მარჯვნივ და მარცხნივ» (ეს ლოზუნგი «გოლოსს» ბრჭყალებში ჩაუსვამს, მაგრამ რატომღაც პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ მე ვიცავდი მას პლენუმამდე და პლენუმზე), ჩემთვის ვფიქრობდი: «**abwarten!**», «**wait and see**» (ვიცოცხლოთ და დავინახავთ!). მოითმინეთ, ბატონო გოლოსელებო, რადგან თქვენ გინდათ შეჯამება მოახდინოთ «პატრონის» დაუსწრებლად: საქმე ის კი არ არის, რომ პლენუმმა შეთანხმებაში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა ყველას და არა მარტო «ძლიერ», თავისი იდეურ-პოლიტიკური პოზიციით ძლიერ, ფრაქციებს. საქმე ის არის, დაუშვებენ თუ არა თქვენი «პატრონები», ე. ი. დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფები, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს.

აზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ორი მტკიცე პარტიელი იყვნენ, რომ ისინი გარანტირებული არიან გოლოსელებისაკენ დაბრუნებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მენშევიზმს წაასწრეს ისეთ მომენტში, როცა მას ჯერ კიდევ არ შეეძლო პარტიულობა **დ ა ე გ მ ო.**

გავიდა რამდენიმე თვე, — და მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ არ ხედავდნენ ახლა, რომ სინამდვილეში სწორედ «ძლიერი ფრაქციების შეთანხმება» შეადგენს პარტიულ გაერთიანებას, წინ სწევს მას «ყველა დაბრკოლების გადალახვით». ასე უნდა იყოს, მხოლოდ ასე შეიძლება იყოს კიდეც პარტიაში ძალთა რეალური თანაფარდობის გამო. უეჭველია, რომ უახლოეს მომავალში ან პარტიის ყველა ხელმძღვანელი დაწესებულება ფორმალურად გარდაიქმნება ისე, რომ ეს შეთანხმება გამოხატონ, ანდა პარტიის ცხოვრება და მისი გაერთიანების განვითარება დროებით მისი ხელმძღვანელი დაწესებულებებისაგან დამოუკიდებლად წარიმართება.

რა თქმა უნდა, პარტიული მენშევიკების «ძლიერ ფრაქციად» გამოცხადება ერთი შეხედვით უცნაურად მოჩანს, რადგან ახლანდელ მომენტში, ეტყობა, უფრო ძლიერნი არიან, — ყოველ შემთხვევაში საზღვარგარეთ, — გოლოსელები. მაგრამ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ძალის შესახებ ემსჯელობთ არა იმის მიხედვით, თუ რა აზრს გამოთქვამენ საზღვარგარეთული ჯგუფები, თუ როგორ ჯგუფდებიან მენშევიკების ლიტერატორები, არამედ იმის მიხედვით, თუ ვისი პოზიცია არის ობიექტურად სწორი და ვისი პოზიციაა პოლიტიკური მდგომარეობის ლოგიკით განწირული «დამოუკიდებლებისადმი» დასამორჩილებლად. რაბოჩედელოელები 1898 — 1900 წლებში საზღვარგარეთაც და რუსეთშიც ისკრელებზე ძლიერნი იყვნენ, მაგრამ «ძლიერ ფრაქციას» მაინც არ წარმოადგენდნენ.

ახლა, როცა გოლოსელებმა პლეხანოვის წინააღმდეგ მთელი ძალები დარაზმეს და მის წინააღმდეგ გამოიტანეს მთელი თავიანთი სიბინძურე თვით ბ-ნ პოტრესოვამდე და ისიც კი გაიხსენეს, თუ როგორ «აწყენინეს» მარტოვს 1901 — 1903 (sic!) წლებში, — ახლა გოლოსელთა ეს უძლურება განსაკუთრებით აშკარა ხდება. აქსელროდმა და კომპანიამ პოლიტიკურად უკვე სამუდამოდ დაიგვიანეს, როცა გამოსცეს აპრილში, საზღვარგარეთ, პლეხანოვის წინააღმდეგ მიმართული პირადი ლანძღვა-გინების კრებული, როცა რუსეთში

თებერვლის «ნაშა ზარიამ» და მარტის «ვოზროჟდენიემ» საკითხი სულ სხვა სიბრტყეზე გადაიტანეს, როცა პლეხანოვი ცენტრალური ორგანოს მე-13 ნომერში უკვე გადავიდა გოლოსელებთან თავის შეტაკებათა ისტორიიდან მათი თანამედროვე პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე. გოლოსელები ისევე უმწეოდ ფართხალებენ, როცა ძველი (1901 წლის დროინდელიც კი!) «წყენინება» აგონდებათ, როგორც ვპერიოდელები, რომლებიც კვლავ მოუხმობენ გულკეთილ ადამიანებს თავიანთ დასაცავად ბოლშევიკური ცენტრისაგან.

და შეხედეთ, როგორ სულ უფრო და უფრო ამჟღავნებენ თავის თავს ჩვენი «განაწყენებულნი», რომლებიც, «ლენინ — პლეხანოვის» შეთანხმების (მათი ტერმინოლოგიაა!) მარტო ფიქრად გავლების დროსაც კი, სავსებით ისევე ბრაზობენ 1910 წელს, როგორც ერთი წლის წინათ ამის გამო მაქსიმოვი ბრაზობდა. მაქსიმოვის მსგავსად გოლოსელები ცდილობენ საქმე ისე დასახონ, ვითომდა ლაპარაკია «ლენინისა და პლეხანოვის» თითქმის პირად შეთანხმებაზე, ამასთან პლეხანოვის მოქმედებას ხსნიან «საშინელი ახირებით» («აუცილებელი დამატება», გვ. 16), «სავლეს გადაქცევით პავლედ», «ფარფატით» და სხვა და სხვა. მარტოვი წელებზე ფეხს იდგამს იმისათვის, რომ გაიხსენოს პლეხანოვის «ხუთი წლის მოღვაწეობა» (ibid.*) მენშევიკის როლში და სახელი გაუტეხოს მას (წარსული რიცხვით) ამ ფარფატისათვის, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ იგი სწორედ ამით ყველაზე მეტად თვითონ ირცხვენს თავს.

იმავე «აუცილებელ დამატებაში» «გოლოსის» კოლექტიური რედაქცია გვარწმუნებს (გვ. 32), რომ პლეხანოვი «დიდი» იყო სწორედ აღნიშნული ხუთი წლის (1904 — 1908 წლები) განმავლობაში. აბა ნახეთ, რა გამოდის აქედან. მენშევიკები პლეხანოვს «დიდ» პიროვნებად აცხადებენ მისი მოღვაწეობისათვის არა იმ 20 წლის (1883 — 1903) განმავლობაში, როცა ის თავისი თავის ერთგული რჩებოდა, როცა ის არ

* — ibidem — იქვე. რედ.

იყო არც მენშევიკი და არც ბოლშევიკი, და იყო სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი, — არამედ სწორედ იმ ხუთი წლის განმავლობაში, როცა, როგორც მენშევიკები თვითონ-ვე აღიარებენ, ის «დაფარფატობდა», ე. ი. თანამიმდევრულ მენშევიკურ ხაზს არ ადგა. გამოდის, «სიდიადე» იმაში მდგომარეობდა, რომ მთლიანად არ ჩაფლულ«ყო მენშევიზმის ჭაობში.

მაგრამ მენშევიზმის სწორედ ხუთი წლის ისტორია, რაც აქსელროდმა და მარტოვმა თავისდა საუბედუროდ გაიხსენეს, იძლევა მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც გვეხმარებიან მენშევიკების გათიშვა ა ვ ხ ს ნ ა თ არა ისეთი უმნიშვნელო, პირადი მიზეზებით, მარტოვი რომ ჩასციებია.

პლეხანოვი ახდენს აქსელროდისა და მარტოვის კოოპტაციას 1903 წელს და «ისკრის» 52-ე ნომერში, სტატიაში «რა არ ვაკეთოთ», აცხადებს, რომ სურს ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ თ ა ნ მ ა ნ ე ვ რ ე ბ ი ა წ ა რ მ ო ო ს და ისინი მანევრებით გ ა მ ო ა ს წ ო რ ო ს. ამასთან იგი არ ერიდება მეტად უკიდურეს თავდასხმებს ბოლშევიკებზე. იგი ცდილობს 1904 წლის დამლევს ამოათრიოს ლიბერალიზმისაკენ აშკარად დაქანებული აქსელროდი («საერობო კამპანიის გეგმა»), მაგრამ ამას აკეთებს ისე, რომ კრინტსაც არა სძრავს ისეთ მარგალიტებზე, როგორიც იყო ერობელთა წინაშე დემონსტრაციების გამოცხადება «დემონსტრაციათა უმაღლეს ტიპად» (ბროშურაში — «წერილი ცენტრალურ კომიტეტს», რომელიც გამოიცა მ ხ ო ლ ო დ პარტიის წევრებისათვის). 1905 წლის გაზაფხულზე პლეხანოვი რწმუნდება «მანევრების» უიმედობაში, შორდება მენშევიკებს, აარსებს «დნევნიკს» და ქადაგებს ბოლშევიკებთან შეერთებას. «დნევნიკის» მე-3 ნომერი (1905 წლის ნოემბერი) სრულიადაც არ არის მენშევიკური.

მას შემდეგ, რაც თითქმის წელიწადნახევარი მოანდომა ოპორტუნისტებთან მანევრს პარტიის შიგნით (1903 წლის დამლეგიდან 1905 წლის გაზაფხულამდე), პლეხანოვი 1906 წლის დამდეგიდან და 1907 წლის განმავლობაში მიმართავს მ ა ნ ე ვ რ ე ბ ს კადეტებთან. ამასთან ის გაცილებით

უფრო დიდ ოპორტუნისტულ უკიდურესობამდე მიდის, ვიდრე დანარჩენი მენშევიკები. მაგრამ როდესაც პლეხანოვი, რომელმაც გამოაცხადა «მანევრირება» I სათათბიროს დროს, მისი გარეკვის შემდეგ («დნევნიკის» მე-6 ნომერში) მოითხოვს რევოლუციური პარტიების შეთანხმებას დამფუძნებელი კრებისათვის საბრძოლველად, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» (№ 2, 1906 წ. 29 აგვისტო, სტატიაში «ტაქტიკური მერყეობა») მაშინვე აღნიშნავს, რომ ეს სრულიად არ არის მენშევიკური პოზიცია *.

1907 წლის გაზაფხულზე, ლონდონის ყრილობაზე, პლეხანოვი — ჩერევანინის იმ ნაამბობის მიხედვით, რომელიც მე უკვე მოვიყვანე წინასიტყვაობაში კრებულისა «12 წლის მანძილზე», — ებრძვის მენშევიკების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ა ნ ა რ ქ ი ზ მ ს **. მას ესაჭიროება «მუშათა ყრილობა», როგორც მანევრი პარტიის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და არა პარტიის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ. 1907 წლის მეორე ნახევარში, როგორც მარტოვმა «აუცილებელ დამატებაში» გვაუწყა, პლეხანოვს «საკმაო მჭევრმეტყველების დახარჯვა დასჭირდა» იმისათვის, რომ დაეცვა მენშევიკების არალეგალური (ე. ი. პარტიული) ორგანიზაციის აუცილებელი საჭიროება აქსელროდის წინააღმდეგ (რომელსაც, ცხადია, ლეგალური, ფაქტიურად არაპარტიული, ორგანოები ერჩია). 1908 წელს პოტრესოვის სტატიის გამო მომხდარი კონფლიქტი წარმოადგენს ლიკვიდატორებთან მისი კავშირის გაწყვეტის საბაბს.

რას მეტყველებენ ეს ფაქტები? იმას, რომ მენშევიკების ახლანდელი გათიშვა შემთხვევითობა კი არა, გარდუვალობაა. «მანევრირება» არ ამართლებს იმას, ვინც მანევრების გულისათვის შეცდომებს სჩადიოდა, და მე იქიდან, რაც პლეხანოვის ამ შეცდომების წინააღმდეგ დამიწერია, არაფერი უკან არ მიმაქვს. მაგრამ «მანევრირება» იძლევა იმის ა ხ ს-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 199 — 204. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 106 — 130. რ ე დ.

ნ ა ს, თუ რატომ ე ა დ ვ ი ლ ე ბ ა მენშევიკების ერთ წყებას დამოუკიდებელთა მხარეზე გადასვლა, ხოლო მეორე წყებისათვის ეს ძ ნ ე ლ ი და შეუძლებელიც კი არის. სოციალ-დემოკრატი, რომელსაც მანევრირებით მუშათა კლასი კადეტების კვალდაკვალ მიჰყავს, არანაკლებ ზიანს აყენებს მას, ვიდრე ის, ვინც ამას სჩადის ოპორტუნიზმისადმი იმანენტური მისწრაფების გამო. მაგრამ პირველი მოახერხებს, შესძლებს, მოასწრებს შეჩერდეს იქ, სადაც მეორენი ორმოში ჩავარდებიან. რუსული ანდაზა ამბობს: აიძულე ზოგი ვინმე ღმერთს შეევედროს — და ის შუბლს გაიხეთქსო. პლეხანოვს შეეძლო ეთქვა: აიძულე პოტრესოვები და დანები მარჯვნივ იარონ მანევრისათვის — და ისინი მარჯვნივ წავლენ პრინციპისათვისო.

ის, რაც ზოგმა მენშევიკმა გადაწყვიტა, სავსებით ამართლებს მათ სახელწოდებას: «პარტიული მენშევიკები». მათ გადაწყვიტეს პარტიისათვის ბრძოლა — დამოუკიდებელ-ლეგალისტთა წინააღმდეგ. ბ-ნი პოტრესოვი და «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქცია ამაოდ ცდილობენ ამ მარტივი და ნათელი საკითხიდან თავი დაიძვრინონ «აუცილებელ დამატებაში».

ენგელსიც ებრძოდა S. D. F.-სო * (ინგლისელი სოციალ-დემოკრატები), — მიედ-მოედება პოტრესოვი (გვ. 24). სოფისტიკაა, დიდად პატივცემულო. ენგელსი პარტიას განამტკიცებდა [82], ხოლო თქვენ ხომ არ ამბობთ, როგორ განვამტკიცოთ პარტია, თქვენ არც კი ამბობთ პირდაპირ: საჭიროა ახლა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტია, საჭიროა რსდმპ თუ არა. სტოლიპინის წინაშე თქვენ ამბობთ: ა რ ა ო («ნაშა ზარია»), პარტიის წევრთა წინაშე კი, არალეგალურ პრესაში, თქვენ ამის თქმას ვერ ბ ე დ ა ვ თ, თქვენ გაძრომ-გამოძრომას მიმართავთ და მიედ-მოედებით.

---

* — Social-Demokratic Federation — სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია. რ ე დ.

«ლენინ — პლეხანოვი მუშათა მოძრაობის ახალი ფორმების წინააღმდეგ ომს გვირჩევენ» (გვ. 31). «ჩვენ ნამდვილი მუშათა მოძრაობის მდგომარეობიდან, პირობებიდან და მოთხოვნილებებიდან გ ა მ ო ვ დ ი ვ ა რ თ ო» (გვ. 32),—ირწმუნება რედაქცია. სოფისტიკაა, დიდად პატივცემულნო. თქვენ თვითონ გამოტყდით, რომ პლენუმმა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გააკეთა ამ ახალი ფორმების აღიარებისათვის, და ბოლშევიკებმაც თავიანთი ბრძოლით პ ლ ე ნ უ მ ა მ დ ე დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს ეს. ჩვენ შორის უთანხმოებაა არა იმის გამო, საჭიროა თუ არა «ახალი ფორმები», საჭიროა თუ არა ვეწეოდეთ ლეგალურ მუშაობას, საჭიროა თუ არა ვაარსებდეთ ლეგალურ საზოგადოებებს, — სრულიადაც არა ამის გამო. ჩვენ შორის უთანხმოებაა იმის გამო, ნება აქვთ თუ არა ამგვარად მომუშავე ლეგალისტებს, როგორიცაა მიხეილისა და კომპანიის ჯგუფი, პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფი, თავის თავს სოციალ-დემოკრატებად თვლიდნენ და ი მ ა ვ ე დ რ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ი ს ა გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ, თუ სოციალ-დემოკრატი პარტიელნი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ნ ი ა რ ი ა ნ სცნობდნენ პარტიას, ქადაგებდნენ მის აუცილებელ საჭიროებას, მუშაობდნენ მასში, მუშაობდნენ მისი ორგანიზაციის საქმისათვის, ყველგან და ყველა კავშირში აწყობდნენ არალეგალურ უჯრედებს პარტიასთან მართებული ურთიერთობისათვის და სხვა. თქვენც მშვენივრად გესმით, რომ ჩვენ შორის ა ხ ლ ა — პლენუმის შემდეგ — უთანხმოებაა მ ხ ო ლ ო დ ამის გამო.

გოლოსელები ცდილობენ დასახონ ჩვენი მისწრაფება პარტიულ მენშევიკებთან დაახლოებისადმი, დამოუკიდებელთა წინააღმდეგ პარტიისათვის საბრძოლველად მათთან შეთანხმებისადმი, როგორც «ლენინისა და პლეხანოვის» პირადი ბლოკი. ისინი საშინლად აგინებენ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» 47 — 48-ე ნომერში პოტრესოვის საწინააღმდეგოდ მოთავსებული სტატიის ავტორს იმ «მლიქვნელი კარისკაცის» ტონისათვის, რომელიც პლეხანოვთან «შეთანხმებით სპეკულაციას ეწევაო».

მე გადავშალე ეს სტატია და მე-7 გვერდზე წავიკითხე:

«რა თქმა უნდა, პლეხანოვის ყველა შეცდომაც რევოლუციის დროს სწორედ იქიდან წარმოსდგა, რომ მან თანამიმდევრობით ა რ გაატარა ეს ხაზი, რომელსაც თვითონ ატარებდა ძველ «ი ს კ რ ა შ ი»».

დაე მკითხველებმა განსაჯონ, რა უფრო ჰგავს «მლიქვნელობას» და «სპეკულაციას»: ეს პირდაპირი მითითება იმაზე, რასაც ბოლშევიკები პლეხანოვის შეცდომად თვლიან, თუ პლეხანოვის გამოცხადება «დიდ» პიროვნებად, სწორედ იმ პერიოდისათვის, როცა ის მენშევიკი იყო და როცა ის, მენშევიკების სიტყვით რომ ვთქვათ, «დაფარფატებდა».

«პლეხანოვი ჩვენთან იქნება», — წერს «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქცია, — როცა «კვლავ დადგება ს ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო» (ხაზგასმა «გოლოსს» ეკუთვნის) «პოლიტიკურ მოქმედებათა დროო» («აუცილებელი დამატება», გვ. 32).

ეს — პოლიტიკურად უვიცობაა, მაგრამ «სპეკულაციის» მხრივ საკმაოდ ნათელია. უვიცობაა, რადგან ძველი ბელადებისათვის ა ხ ლ ა სწორედ ა ს მ ა გ ა დ უფრო ს ა პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო პოლიტიკურ მოქმედებათა დროა, ვიდრე აშკარა ბრძოლის პერიოდში, როცა მასა თვითონ ბევრად უფრო ადვილად იპოვნის გზას. ნათელია «სპეკულაციის» აზრით, რადგან გამოთქმულია მზადყოფნა კვლავ ცნონ პლეხანოვი მენშევიკად, როცა ის ხელახლა დაიწყებს «მანევრირებას».

ჩვენ გვიკვირს, რომ გოლოსელებს არ ესმით ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ გამოსვლებს მათი მხრით, მაგალითად, აქსელროდის ფრაზასთან ერთად: «ჩვენ არ მოვისურვეთ თავი დაგვეცირებინა» (პლეხანოვის წინაშე) «მლიქვნელი ლაქიების როლამდე» (გვ. 19). თქვენ სწორედ ისე იქცევით, როგორც უკანასკნელ სიტყვებში მითითებული ყ ა ი დ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი იქცევიან. პლეხანოვისადმი თქვენი დამოკიდებულება სწორედ შეესაბამება ა მ ადამიანების «ფორმულას»: «ან კბილებს ჩაგამტვრევთ, ან ხელი გვიბოძეთ».

ხუთი წლის მანძილზე თქვენ «ხელს» თხოვდით, ახლა ორმაგი ფორმატის 32 გვერდზე «კბილებს» ამტვრევთ, 32-ე გვერდზე კი «გამოთქვამთ მზადყოფნას»: კვლავ თანახმა ხართ მენშევიკადაც სცნოთ და «ხელიც» სთხოვოთ.

რაც შეგვეხება ჩვენ, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ «ფარფატის» დროს პლეხანოვი არასოდეს ბოლშევიკი არ ყოფილა. ჩვენ მას ბოლშევიკად არ ვთვლით და არც არასოდეს ჩავთვლით. მაგრამ მას, როგორც ყოველ მენშევიკს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის წინააღმდეგ აჯანყდეს და მათთან ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს, ჩვენ პ ა რ ტ ი უ ლ მენშევიკად ვთვლით. ახლანდელ მძიმე ხანაში, როცა დღის წესრიგში დგას მარქსიზმისათვის ბრძოლა თეორიაში და პარტიისათვის ბრძოლა — მუშათა მოძრაობის პრაქტიკაში, ჩვენ ყველა ბოლშევიკის უთუო მოვალეობად ვთვლით ყოველი ღონე იხმაროს ასეთ სოციალ-დემოკრატებთან დასაახლოებლად.

8. დასკვნა. ბოლშევიკების პლატფორმის შესახებ

პლენუმის მიერ გათვალისწინებული პარტიული კონფერენცია ვერ დაკმაყოფილდება და არც უნდა დაკმაყოფილდეს იმ დღის წესრიგით, რომელიც პლენუმმა ივარაუდა იმ პირობით, თუ ყველა მენშევიკი პარტიულ პოზიციაზე გადმოვიდოდა. ეს არ გამართლდა — თავის მოტყუება კი ჩვენ არ შეგვფერის.

ამ კონფერენციისათვის დელეგატების არჩევის ლოზუნგი, მისი მოწვევისა და მისი მომზადების ლოზუნგი უნდა იყოს პ ა რ ტ ი ე ლ თ ა შ ე მ ჭ ი დ რ ო ე ბ ა დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ამოცანის შესაბამისად და გოლოსელთა ანტიპარტიული პოზიციის გათვალისწინებით, ჩვენ მთელი სიმტკიცით უნდა გარდავქმნათ პარტიის ყველა ხელმძღვანელი დაწესებულება იმისათვის, რომ ისინი ეწეოდნენ არა კინკლაობას, რასაც მათ უმზადებს და ამიერიდან მოუმზადებს ყოველი გოლოსელი, არამედ

ნამდვილ მუშაობას პარტიის მშენებლობის დარგში. გოლოსელებს არ სურთ აშენონ პარტია, მათ სურთ მალულად ეხმარებოდნენ დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფს.

ასეთი უნდა იყოს ბოლშევიკების პლატფორმა ამ კონფერენციისათვის. ვაშენოთ პარტია დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციების თანახმად და მათი სულისკვეთებით. განვაგრძოთ პლენუმის საქმე, გავატაროთ მის გადაწყვეტილებათა ზემოაღნიშნული შესწორებანი, რომლებსაც გვიკარნახებს მოვლენათა მთელი განვითარება პლენუმის შემდეგ. წარვმართოთ მთელი ძალღონე ყველა და ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობის სისტემატური, განუხრელი, ყოველმხრივი და შეუპოვარი გამოყენებისაკენ, რათა ვაგრძოვოთ პროლეტარიატის ძალები, რათა დავეხმაროთ მას დაირაზმოს და შემჭიდროვდეს, საბრძოლველად გამოიწვრთნას და თავისი ძალები გაშალოს, — და ასევე განუხრელად სისტემატურად აღვადგინოთ, — თანაც ვსწავლობდეთ ახალი პირობებისადმი მათ შეხამებას, — არალეგალური უჯრედები, არალეგალური წმინდა პარტიული და უპირატესად, პირველ რიგში წმინდა პროლეტარული ორგანიზაციები, რომლებსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლიათ წარმართონ მთელი მუშაობა ლეგალურ ორგანიზაციებში, გამსჭვალონ ის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით, ჩაატარონ შეურიგებელი ბრძოლა რენეგატებისა და დამოუკიდებელ-ლეგალისტების წინააღმდეგ, მოამზადონ ის დრო, როდესაც ჩვენი პარტია, ჩვენი რსდმპ, დაიცავს რა რევოლუციისა და 1905 წელს პროლეტარიატის დიად გამარჯვებათა ყველა ტრადიციას, განამტკიცებს და გააფართოებს რა პარტიულ პროლეტარულ არმიას, გაუძღვება მას ახალ ბრძოლაში, ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

«ZIHNA»-ს[83] საუბილეო ნომერს

როდესაც ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარმოგზავნილი ამხანაგი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე აკეთებდა ანგარიშს ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიაში მუშაობის მდგომარეობის შესახებ (ეს ანგარიში მოკლედ გადმოცემული იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს მე-12 ნომერში), ჩვენ დაგვრჩა შთაბეჭდილება ლატვიის სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებით «ნორმალური», უმტკივნეულო განვითარების შესახებ ამ მძიმე ხანაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით. ეს შთაბეჭდილება შექმნა იმან, რომ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც თავისი შემადგენლობით ყველაზე უფრო პროლეტარულია და რომელსაც უმთავრესად თვით მუშები ხელმძღვანელობენ, უკვე მოახდინა ობიექტური გარემოებებით გამოწვეული გადასვლა კონტრრევოლუციის გაჭიანურებული პერიოდის განსაკუთრებული ტაქტიკის გამომუშავებასა და ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტაზე. რევოლუციის დროს ლატვიის პროლეტარიატს და ლატვიის სოციალ-დემოკრატიას ერთ-ერთი პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ თვითმპყრობელობისა და ძველი წყობილების მთელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ 1905 წლის გაფიცვების ოფიციალური სტატისტიკა (ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ გამოცემული)[84] გვიჩვენებს, რომ პროლე-

ტარული საგაფიცვო ბრძოლის სიმტკიცით ლიფლანდიის გუ-ბერნია პირველ ადგილზე დგას. 1905 წელს ლიფლანდიის გუ-ბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვი შეადგენდა სულ 53 917-ს, გაფიცულთა რიცხვი კი უდრიდა 268 567-ს, ე. ი. თითქმის ხუთჯერ (4,98-ჯერ) მეტი იყო! ფაბრიკა-ქარხნების თვითეული მუშა ლიფლანდიის გუბერნიაში ამ წელს გაფიცუ-ლი იყო საშუალოდ 5-ჯერ. ლიფლანდიის გუბერნიას მოჰყ-ვება ბაქოს გუბერნია, სადაც ფაბრიკა-ქარხნის თვითეული მუშა გაფიცული იყო 4,56-ჯერ, თბილისის გუბერნია — 4,49-ჯერ, პეტროკოვსკის გუბერნია — 4,98-ჯერ და პეტერბურგის გუბერნია — 4,19-ჯერ. მოსკოვის გუბერნიაში 1905 წელს გა-ფიცული იყო 276 563 მუშა, ესე იგი ცოტათი მეტი, ვიდრე ლიფლანდიის გუბერნიაში, მაშინ როდესაც ფაბრიკა-ქარხნის მუშათა საერთო რაოდენობა მოსკოვის გუბერნიაში 5-ჯერ მეტია, ვიდრე ლიფლანდიის გუბერნიაში (285 769 წინააღმ-დეგ 53 917-ისა). აქედან ჩანს, რამდენად უფრო შეგნებუ-ლად, უფრო ერთსულოვნად და უფრო რევოლუციურად გამოდიოდა ლატვიის პროლეტარიატი. მაგრამ ისიც ცნობი-ლია, რომ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ შეტევაში მისი — როგორც ავანგარდის — ხელმძღვანელი როლი საგაფიცვო ბრძოლით როდი იფარგლებოდა: იგი მიდიოდა შეიარაღებული აჯანყების ავანგარდში, მან ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მოძრაობის აყვანას უმაღლეს საფეხურზე, ესე იგი აჯანყე-ბის საფეხურზე. მან ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა ვინმემ, ჩაბა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ დიდ რევო-ლუციურ ბრძოლაში ლატვიის სოფლის მეურნეობის პროლე-ტარიატი და ლატვიის გლეხობა.

ლატვიის მუშათა პარტია, რომელიც რევოლუციის დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი იყო, კონტრრევოლუციის მძიმე პერიოდშიც მოწინავე აღ-მოჩნდა. ზემოხსენებული ანგარიშიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ლატვიის სოციალ-დემოკრატიაში არ წარმოშობილა განსა-კუთრებული მიმდინარეობა არც რევოლუციური ფრაზით გა-

ტაცების გამო (ჩვენებური «ოტზოვისტების» მსგავსად) და არც ლეგალური შესაძლებლობებით გატაცების გამო (მსგავსად ჩვენებური ლიკვიდატორებისა, რომლებიც უარყოფენ არალეგალურ პარტიას, ხელს იღებენ რსდმპ აღდგენისა და განმტკიცების ამოცანებზე). ლატვიის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა შეძლეს მუშაობის ისე დაყენება, რომ გამოეყენებინათ ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობანი: ლეგალური კავშირები, სხვადასხვა მუშათა საზოგადოებანი, სათათბიროს ტრიბუნა და ა. შ. ამასთან, მათ სრულიადაც არ მოუხდენიათ არალეგალური, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის «ლიკვიდაცია», არამედ, პირიქით, ყველგან შეინარჩუნეს პარტიული არალეგალური მუშათა უჯრედები, რომლებიც დაიცავენ და განავითარებენ დიადი რევოლუციური ბრძოლის ტრადიციებს, დაჟინებით და განუხრელად მოამზადებენ რა მებრძოლთა სულ უფრო და უფრო ფართო და შეგნებულ მასებს მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობებისაგან.

უეჭველია, რომ იმ მიზეზთა შორის, რომლებითაც აიხსნება ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმატებანი, აუცილებლად პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ კაპიტალიზმის განვითარების უფრო მაღალი საფეხური როგორც ქალაქად, ისე სოფლად, კლასობრივ წინააღმდეგობათა დიდი სიცხადე და გარკვეულობა, ამ წინააღმდეგობათა გამწვავება ეროვნული ჩაგვრით, ლატვიის მოსახლეობის კონცენტრაცია და მისი კულტურული განვითარების უფრო მაღალი საფეხური. ყველა ამ მომენტის მხრივ მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებადაა განვითარებული ის პირობები, რომელშიაც უხდება წინსვლა და მოქმედება რუსეთის მუშათა კლასს. სწორედ ეს განუვითარებლობა წარმოშობს ახლა უფრო მწვავე კრიზისს რსდმ პარტიის რუსულ ნაწილში. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ჩვენს მოძრაობაში დიდ როლს ასრულებს, მოაქვს რა პლუსებთან ერთად მინუსებიც: თეორიისა და ტაქტიკის საკითხების დამუშავებასთან ერთად მას მოაქვს სოციალ-დემოკრატიული გზიდან თვითეული გადახვევის «დამუშავება»

განსაკუთრებულ «მიმართულებად», როგორიც არის, მაგალითად, «ოტზოვიზმი» და «ლიკვიდატორობა».

ნებას ვაძლევთ თავს იმედი გამოვთქვათ, რომ ლატვიის სოციალ-დემოკრატია, რომელსაც სრული საფუძველი აქვს თავისი წარმატებებით ამაყობდეს, იმდენად ქედმაღალი არ იქნება, რომ რსდმ პარტიის ამ მტკივნეულ საკითხებზე ხელი ჩაიქნიოს.

რაც უფრო შეგნებულია პროლეტარიატი, მით უფრო ნათლად აქვს მას წარმოდგენილი თავისი სოციალ-დემოკრატიული მიზნები, მით უფრო ენერგიულად იბრძვის ის ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული დამახინჯების წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში, მით უფრო მეტად ზრუნავს ის თავისი უფრო ნაკლებად განვითარებული ამხანაგი მუშების განთავისუფლებისათვის წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის გავლენისაგან.

ლიკვიდატორული მიმართულება რსდმ პარტიაში რუსეთის წვრილბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნაყოფია. მთელი ლიბერალური ბურჟუაზია რევოლუციის წინააღმდეგ გამოდის, მასზე ხელს იღებს, წყევლის 1905 წლის ტაქტიკას, რომელიც «სისხლიანი და უნაყოფოაო», ფეხქვეშ ეგება ძლიერთ ამა ქვეყნისა, მოუწოდებს ხალხს მიმართოს მხოლოდ მარტოოდენ ლ ე გ ა ლ უ რ ი ბრძოლის მეთოდებს. ჩვენს პარტიაში მყოფი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციაც კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის გავლენის ქვეშ ექცევა. გამოდის რევოლუციის ისტორია ხუთ ტომად («საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს», მასლოვის, მარტოვისა და პოტრესოვის რედაქციით), და ამ ისტორიაში ფაქტიურად ეწევიან რენეგატების იმ მოძღვრების პროპაგანდას, რომ პროლეტარიატმა «გადაჭარბებულად შეაფასა» თავისი ძალები, «არასაკმაოდ შეაფასა» ბურჟუაზიის ძალებიო და სხვა. ნამდვილად კი პროლეტარიატის მასებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ბურჟუაზიის გამცემლობა, გადაჭარბებულად შეაფასეს ბურჟუაზიის ძალები თავისუფლებისთვის ბრძოლაში, არასაკ-

მაოდ შეაფასეს თავისი საკუთარი ძალები, — ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა მილიონების შეტევის ძალები.

უშვებენ ლეგალურ ჟურნალებს («ნაშა ზარია» და «ვოზროჟდენიე»), რომლებშიაც ქადაგებენ, რომ არალეგალური პარტიის, ჩვენი ძველი, წლობით გამობრძმედილი რსდმ პარტიის აღდგენა და განმტკიცება «რეაქციული უტოპიაა». არალეგალურ მენშევიკურ ორგანოში — «გოლოს სოციალ-დემოკრატაში» — იცავენ ამგვარ ვაჟბატონებს და აცხადებენ ლოზუნგს: «ლეგალობისათვის ბრძოლა». მენშევიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ბელადი, პლეხანოვი, გამოდის ყველა ამ გამოცემის რედაქციიდან და თანამშრომელთა შემადგენლობიდან, ომს უცხადებს მათ და მოუწოდებს მენშევიკებს — პ ა რ ტ ი ე ლ ებ ს მხარი დაუჭირონ და განამტკიცონ პროლეტარიატის რევოლუციური, არალეგალური პარტია — რსდმ პარტია.

ამრიგად, ჩვენი პარტია შეუდგა გადამწყვეტ ბრძოლას ლეგალისტთა ყველა დამოუკიდებელი ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც (ე. ი. ლეგალისტები) უმართებულოდ უწოდებენ თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს. ნამდვილად კი ისინი ანგრევენ სოციალ-დემოკრატების საქმეს, ანგრევენ მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, ახურდავებენ მას უსახო ლეგალურ ჯგუფებად, რომლებსაც არავითარი პრინციპი არ გააჩნიათ და რომლებიც მუშათა კლასს ფაქტიურად ლიბერალური იდეოლოგიისა და ლიბერალური პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან დამოკიდებულს ხდიან.

ამ ათი წლის წინათ ჩვენმა პარტიამ წარმატებით ჩაატარა ბრძოლა ეგრეთწოდებული «ეკონომიზმის» წინააღმდეგ, რომელიც ძალიან ენათესავება ახლანდელ «ლიკვიდატორობას». ახლა ბრძოლა უფრო ძნელია, რამდენადაც კონტრრევოლუციის — არა მარტო ძველი, არამედ აგრეთვე ახალი (თანამედროვე), ლიბერალურ-ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის — მთელი ძალები მიმართულია იქითკენ, რომ მოსპონ პროლეტარიატში 1905 წლის ტრადიციები, მოსპონ მისი არალეგა-

ლური სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ მუშათა კლასი, რომელსაც უნარი შესწევდა ბელადი ყოფილიყო 1905 წლის რევოლუციაში, უეჭველია, გადალახავს ყველა ამ გადახვევას სოციალ-დემოკრატიული გზიდან.

1905 წლის რევოლუციამდე სოციალ-დემოკრატებმა 20 წელიწადი იმუშავეს სავსებით არალეგალურ წრეებში და ააშენეს პარტია, რომელსაც მილიონები მიჰყავს თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად. რევოლუციის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია — და, მაშასადამე, მოვალენი ვართ — არა მარტო განვაგრძოთ არალეგალური უჯრედების მუშაობა, არამედ ათკეცად გავაძლიეროთ ის, გარს შემოვარტყათ ამ უჯრედებს ლეგალური ორგანიზაციების მჭიდრო ქსელი, გამოვიყენოთ ჩვენი აგიტაციისათვის შავი სათათბიროს ტრიბუნა, დავნერგოთ მუშათა მასებში რევოლუციური ბრძოლის დროს მიღებული გაკვეთილები და შევქმნათ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ათეულ მილიონებს წაიყვანს თვითმპყრობელობაზე ახალი იერიშის მისატანად.

დაიბეჭდა 1910 წ. ივლისს
გაზეთ «Zihna»-ში, № 100
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი ლატვიურიდან

კოპენჰაგენის კონგრესის რუსეთის ს.-დ. დელეგაციის რეზოლუციის პროექტი კოოპერატივების შესახებ[85]

კონგრესი აღიარებს,

1) რომ პროლეტარული კოოპერატივები შესაძლებლობას აძლევენ მუშათა კლასს გაიუმჯობესოს მდგომარეობა საშუამავლო ექსპლოატაციის შემცირებით, მიმწოდებლებთან შრომის პირობებზე ზემოქმედებით, მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებით და ა. შ.;

2) რომ პროლეტარული კოოპერატივები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იღებენ მასობრივ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბრძოლაში, გაფიცვების, ლოკაუტების, დევნისა და სხვ. დროს დახმარების აღმოჩენით;

3) რომ პროლეტარული კოოპერატივები, როცა ისინი ახდენენ მუშათა კლასის მასების შეკავშირებას, ასწავლიან მას საქმის დამოუკიდებლად გაძღოლას და მოხმარების ორგანიზაციას, რითაც ამზადებენ მას ამ დარგში მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიური ცხოვრების ორგანიზატორის როლისათვის.

მეორე მხრით, კონგრესი აღიარებს,

1) რომ ის გაუმჯობესებანი, რომელთა მიღწევა შეუძლიათ კოოპერატივებს, შეზღუდულია მეტად ვიწრო საზღვრებით მანამდე, სანამ წარმოებისა და გაცვლის საშუალებანი რჩება იმ კლასის ხელში, რომლის ექსპროპრიაცია სოციალიზმის მთავარი მიზანია;

2) რომ კოოპერატივებს, როგორც წმინდა კომერციულ დაწესებულებებს და კონკურენციის პირობების ზემოქმედების გამო, ტენდენცია აქვთ გადაგვარდნენ ბურჟუაზიულ აქციონერულ საზოგადოებებად;

3) რომ კოოპერატივებს, რომლებიც კაპიტალის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის ორგანიზაციები არ არიან, შეუძლიათ წარმოშვან და კიდევაც წარმოშობენ ხოლმე ილუზიებს, თითქოს ისინი წარმოადგენენ სოციალური საკითხის გადაწყვეტის საშუალებას.

ამიტომ კონგრესი ყველა ქვეყნის მუშებს მოუწოდებს:

ა) შევიდნენ პროლეტარულ კოოპერაციულ საზოგადოებებში და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათს განვითარებას, წარმართონ მათი ორგანიზაცია ზუსტად დემოკრატიული სულისკვეთებით (მცირე შესასვლელი შესატანები, 1 პაი — 1 კაცი და ა. შ.);

ბ) დაუღალავი სოციალისტური პროპაგანდითა და აგიტაციით კავშირის შიგნით ხელი შეუწყონ კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის იდეების გავრცელებას მუშათა მასებში;

გ) კოოპერატივებში სოციალისტური შეგნების ზრდის შესაბამისად, დაამყარონ და განამტკიცონ ორგანული კავშირურთიერთობა კოოპერატივებსა და სოციალისტების პარტიას, აგრეთვე პროფესიულ კავშირებს შორის;

დ) ამასთან ერთად კონგრესი მიუთითებს, რომ საწარმოო კოოპერატივებს მუშათა კლასის ბრძოლისათვის მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამომხმარებლო კოოპერატივების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

დაწერილია 1910 წ. 16 — 17
(29 — 30) აგვისტოს
პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3
გამოცემებში, ტომი XIV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს რსდმპ წარმომადგენლობის შესახებ

1910 წ. 2 სექტემბერი. კოპენჰაგენი

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პლენარულ სხდომაზე 1910 წლის იანვარში დაადგინა თხოვოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მიიღოს ბიუროში პარტიის წარმომადგენლებად ორ: ამხანაგი: გ. პლეხანოვი და ვლ. ლენინი, რათა ხაზგასმით აღნიშნოს ერთიანობისადმი თავის მისწრაფებათა სერიოზულობა თავისთავად იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ბიუროში მხოლოდ ერთი ხმის პრეტენზია აქვს, მაგრამ მას, საფრანგეთის მაგალითისამებრ, სურს უფრო სრული წარმომადგენლობა ჰყავდეს.

ამ გადაწყვეტილებას — მიემატოს ახლანდელ წარმომადგენელს, ვლ. ლენინს, ამხ. გ. პლეხანოვი — ერთხმად დაუჭირა მხარი კონგრესის სოციალ-დემოკრატიულმა დელეგაციამ.

რსდმპ წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

ვ ლ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1911 წ.
წიგნში: «Huitième Congrès socialiste International», Gand («მერვე საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი», განდი)

ბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

«ვპერიოდელთა» ფრაქციის შესახებ

«ვპერიოდის» ჯგუფმა პარიზში გამოუშვა «კრებული სტატიებისა მორიგ საკითხებზე», სახელწოდებით «ვპერიოდ» («წინ»). ამხ. საკინის [86] ბროშურასთან («პარტიის აღორძინების საკითხისათვის») დაკავშირებით, რომელიც «გამოცემულია კერძო სახსრებით» და რომლის მიღება შეიძლება კრებულ «ვპერიოდის» რედაქციის მეშვეობით, «ვპერიოდის» ჯგუფის ხელმოწერით გამოსულ ცალკე ფურცელთან და ამ ჯგუფის პლატფორმასთან დაკავშირებით, პარტიას ახლა საკმაოზე მეტი მასალა მოეპოვება «ვპერიოდელების» შესახებ მსჯელობისათვის.

ვპერიოდელების პლატფორმა ხასიათდება შემდეგი სამი თავისებურებით. ჯერ-ერთი, ჩვენი პარტიის ყველა ჯგუფიდან და ფრაქციიდან პირველად ის აყენებს ფილოსოფიას და თანაც აყენებს ფსევდონიმის საფარით. «პროლეტარული კულტურა», «პროლეტარული ფილოსოფია» — აი რა არის პლატფორმაში. ამ ფსევდონიმით იმალება მ ა ხ ი ზ მ ი, ე. ი. ფილოსოფიური იდეალიზმის დაცვა სხვადასხვა სახით (ემპირიოკრიტიციზმი, ემპირიომონიზმი და სხვ.). მეორე, პოლიტიკის სფეროში ჯგუფმა ოტზოვიზმი გამოაცხადა «კანონიერ ელფერად» და გვაუწყა, რომ ზოგიერთი ოტზოვისტი, ამ ჯგუფის წევრები, არ ეთანხმება სახელმწიფო სათათბიროს მიმართ პარტიის ამოცანების განსაზღვრას. თვით ეს განსაზღვრა ვპერიოდელთა პლატფორმაში მოცემულია ისე ბუნდოვნად და აბნეულად, რომ არ შეიძლება ეს განსაზღვრა დავახასიათოთ სხვანაირად, თუ არა როგორც ოტზოვისტურ აზრთა წყები-

სადმი შეგუება. ბოლოს, მესამეც, პლატფორმა გადაჭრით გმობდა ფრაქციულობას და მოითხოვდა ფრაქციების გაერთიანებას, მათ შეერთებას პარტიაში.

ამრიგად, შედეგად ჩვენ გვაქვს — ბოლოდან თუ დავიწყებთ — ერთი მეტად კარგი სურვილი და ორი საფარი ძალიან ცუდი იდეურ-პოლიტიკური მიმართულებით, რომელიც გამოხატავს მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტას და პროლეტარიატის დამორჩილებას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პოლიტიკისადმი. კრებული «ვპერიოდ» თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რა ნაყოფი შეიძლება გამოიღოს ამნაირმა ნარევმა.

კრებულის მოწინავე სტატიის ავტორი, მაქსიმოვი, მტკიცედ ადგას პლატფორმის დიპლომატიას, როცა «პროლეტარულ კულტურაზე» ლაპარაკობს და სრულიად არ განმარტავს, თუ რა ესმის მას ამ სახელწოდებით. სტატიაში, რომელიც დაწერილია პოპულარული გადმოცემის პრეტენზიით, ეს დამალობიას თამაში განსაკუთრებით თვალში გეცემათ. ეს რაღა პოპულარობაა, თუ კი ა რ ც ე რ თ მკითხველს, გარდა იმ მკითხველებისა, რომლებიც მაქსიმოვს პ ი რ ა დ ა დ იცნობენ ან უკვე თვალყური უდევნებიათ მ თ ე ლ ი დავისათვის მახიზმის შესახებ და მახიზმთან დაკავშირებით, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა გაიგოს ამგვარი ფრაზის ჭეშმარიტი აზრი? ეს რაღა პოპულარობაა, როცა იგივე მაქსიმოვი კრებულის მე-4 გვერდზე ლაპარაკობს ინტელიგენციიდან გამოსულ იმ პირთა «საშიშროებაზე პროლეტარული სოციალიზმისათვის», რომლებიც «უკრიტიკოდ იღებენ და ქადაგებენ ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ფილოსოფიის არასწორ და პროლეტარიატისათვის მავნე იდეებს»...?

მრავალწერტილი მაქსიმოვს ეკუთვნის. მოკრძალებულ განზრახ დუმილს უნდა აღნიშნავდეს თუ არა ეს, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ ილაპარაკო, განსაკუთრებით «პოპულარულ» სტატიაში, «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს» მავნეობაზე პროლეტარიატისათვის და ზუსტად და ნათლად არ განსაზღვრო, სახელდობრ რ ო მ ე ლ ი ფილოსოფია იგულისხმება, ნიშნავს მიმართო უცუდესი

სახის ფრაქციულ დიპლომატიას. თუ თქვენ ბურჟუაზიული ფილოსოფიის საკითხს მნიშვნელოვან საკითხად თვლით, თუ თქვენ მას «პოპულარული» კრებულის მოწინავე სტატიაში აყენებთ, მაშინ გამოიჩინეთ გამბედაობა აშკარად ილაპარაკოთ, კი ნუ დამალავთ, დაიცავით თქვენი იდეები.

ამხ. საჟინი, ალბათ როგორც «პრაქტიკოსი», მეტად მოუ-რიდებლად ანგრევს მაქსიმოვის დიპლომატიას *. თავისი ბროშურის 31-ე გვერდზე ის მოითხოვს, რომ «პარტიის წევრებისათვის» «უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი» იყოს «მ ა თ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი და ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ა ზ რ ი ს ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა».

ეს — მთლად ოპორტუნისტული ლოზუნგია. ყველა ქვეყანაში ამგვარ ლოზუნგს სოციალისტური პარტიების შიგნით მხოლოდ ოპორტუნისტები აყენებდნენ და საქმით ის სხვას არაფერს მოასწავებდა თუ არა ბურჟუაზიული იდეოლოგიით მუშათა კლასის გარყვნის «თავისუფლებას». «აზრის თავისუფლებას» (წაიკითხე: ბეჭდვითი საქმის, სიტყვის, სინდისის თავისუფლებას) ჩვენ მოვითხოვთ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ა ნ (და არა პარტიისაგან) კავშირების თავისუფლების თანაბრად. პროლეტარიატის პარტია კი არის თავისუფალი კავშირი, რომელიც არსდება ბურჟუაზიის «აზრებთან» (წაიკითხე: იდეოლოგიასთან) ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ, ერთი გარკვეული, საზელდობრ: მარქსისტული მსოფლმხედველობის დასაცავად და განსახორციელებლად. ეს — ანბანია. და მაქსიმოვი, საჟინი და

* კრებულ «ვპერიოდში», მეორე «პრაქტიკოსს», პეტერბურგელ «ფეიქარ ი — ნს» [87] ავრეთვე არც თუ ძალიან დიპლომატიურად წამოსცდა: «აქვე უნდა ითქვას, — წერს ის, — რომ ბელტოვის წიგნს — «მონისტურ შეხედულებას» განსაკუთრებით შეუძლია გამოიწვიოს ასეთი არასწორი წარმოდგენა ისტორიულ მატერიალიზმზე» (კრებული, გვ. 57). ჰო, რასაკვირველია! ყველაზე სწორ «წარმოდგენას ისტორიულ მატერიალიზმზე», რა თქმა უნდა, იძლევიან რუს ღვთისმშენებელთა და მახისტთა წიგნები — რომელმა «ვპერიოდელმა» არ იცის ეს? და აბა სად შეუძლია წიგნს, რომლითაც რუსი მარქსისტების მთელი თაობა აღიზარდა, მეტოქეობა გაუწიოს იუშკევიჩების, ბოგდანოვების, ვალენტინოვებისა და ლუნაჩარსკების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს...

კომპანია მათი პოლიტიკური მდგომარეობის სიყალბემ აიძულა დაევიწყებინათ ეს ანბანი. მათმა პირადმა თვალთმაქცობამ კი არა, არამედ სწორედ პოზიციის პოლიტიკურმა სიყალბემ წარმოშვა მათში ბურჟუაზიული ლოზუნგების ქადაგება. სიყალბე იმაში მდგომარეობს, რომ «ვპერიოდელთა» ერთ წყებას მთელი არსებით სწადია პროლეტარიატს ექაჩებოდეს უკან, ბურჟუაზიული ფილოსოფიის იდეებისაკენ (მახიზმი); მეორე წყება კი ფილოსოფიის მიმართ გულგრილია და მოითხოვს მხოლოდ «სრულ თავისუფლებას»... მახიზმისათვის. ამიტომ ყველანი ერთად იძულებულნი არიან მიმართონ დიპლომატობას, აბნევ-დაბნევას, დამალობიას თამაშს, ჩაებღაუჭონ ბურჟუაზიულ ლოზუნგებს.

ხოლო რას ნიშნავს ნამდვილად «რევოლუციური აზრის სრული თავისუფლება»? არაფერს, გარდა თავისუფლებისა ოტზოვისტური და სხვა ნახევრადანარქისტული იდეებისათვის. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, აქ ნათქვამია იგივე, რაც ვპერიოდელთა «პლატფორმაში» გამოხატულია ფრაზით: ოტზოვიზმის აღიარება «კანონიერ ელფერად». გამოდის კვლავ წვრილმანი დიპლომატია იდეების მიმართ, კვლავ დამალობიას თამაში, კვლავ თვალთმაქცობა, რაც სავსებით აიხსნება იმავე ყალბი იდეურ-პოლიტიკური პოზიციით: ჩვენ მახისტები არა ვართ, მაგრამ მახიზმის «სრულ თავისუფლებას» (პარტიაში) ვემხრობითო; ჩვენ ოტზოვისტები არა ვართ, მაგრამ ოტზოვისტური ელფერის ანუ საერთოდ «რევოლუციური აზრის» «სრულ თავისუფლებას» ვემხრობითო! არეულ-დარეულობას ისიც აგვირგვინებს, რომ ორი ვპერიოდელი თავისი პირადი ხელმოწერით (საკინი და მუშა არ.[88]) გადაჭრით გამოთქვამს აზრს ლეგალურ შესაძლებლობათა და სათათბიროს ტრიბუნის გამოყენების დიდი მნიშვნელობისა და აუცილებლობის სასარგებლოდ. «სოციალ-დემოკრატია — წერს მუშა არ. — უნდა ებრძოდეს იმათ, ვინც აგიტაციას ეწევა» (ეს — ვინ ეწევა ასეთ აგიტაციას, ამხ. არ.? თქვენი ვპერიოდელები ხომ არა?) «ლეგალურ შესაძლებლობათა რაიმე» (აი, რა ბიჭები ვართ!)

«გამოყენების წინააღმდეგ, იმიტომ რომ ამნაირი მოქმედება არასოციალ-დემოკრატიულია» (კრებული, გვ. 48 — 49). და იგივე ა რ., ი მ ე ო რ ე ბ ს რ ა «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» მიმართულების ბოლშევიკთა ამ სიტყვებს, საშინლად აგინებს «პ რ ო ლ ე ტ ა რ ს» (გასული რიცხვით) იმისათვის, რომ ის თითქოს უცნაური საღებავებით ხატავდა ვპერიოდელებს! აი, რას ეწოდება: უკან იხევდე მთელი ხაზით, სთმობდე მთელ შენს პოზიციებს, ბეჭდვითი სიტყვით გმობდე (კვლავ და კვლავ ისე, რომ ამას პირდაპირ არ ამბობდე) იმ შენს მეგობრებს, იმ ვპერიოდელებს, რომლებსაც თავის დროზე გამოჰქონდათ რეზოლუცია, მაგალითად, ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა ყრილობის ბოიკოტის შესახებ, — და შენს უკანდახევას, შენს კაპიტულაციას ჰფარავდე დაფის ცემით. უბადრუკი ფრაქციული დიპლომატიაა!

გადახედეთ «ვპერიოდელთა» ნაწერებს ფრაქციებისა და ფრაქციულობის საკითხზე. «პლატფორმა» ფრაქციებს გმობდა და მათ დაშლას მოითხოვდა. საკინი ანადგურებს ფრაქციულ ცენტრებს, «საზღვარგარეთელ ბელადებს» და სხვა და სხვა. ფრაქციულობის გამო ვპერიოდელებმა მთელი ზღვა ცრემლი დაღვარეს, გაუთავებელი სიტყვები დახარჯეს.

ხოლო როგორია მათი საქმეები? «ვპერიოდის» ჯგუფის მთელი ისტორია იანვრის (1910) «გამაერთიანებელი» პლენუმის შემდეგ — ეს არის ფ რ ა ქ ც ი ი ს შ ე ქ მ ნ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი დ ა ნ. აი ამონაწერი ერთი წერილიდან (1910 წ. 15 ივლისის თარიღით), რომელიც რუსეთში მომუშავემ გამოუგზავნა ც. კ-ის საზღვარგარეთული ბიუროს წევრს:

«არის კომიტეტი (პეტერბურგში) და, გარდა ამისა, არსებობს «ვპერიოდელთა» ჯგუფი, რომელსაც აქვს ცალკე სალარო და ჰყავს მდივანი. ფული საზღვარგარეთიდან მიიღეს. მოსკოვში» — შემდეგ დასახელებულია ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ოტზოვისტის ძალიან ახლობელი პირი და აღნიშნულია ამგვარივე პოლიტიკის წარმოება.

არც ერთი ადამიანი, რომელიც რამდენადმე მაინც იცნობს პარტიულ საქმეებს, რამდენადმე მაინც ყურადღებით ეკიდება

მცირე ლიტერატურული ჯგუფის — «ვპერიოდის» პოზიციას, არ შეიძლებოდა არც ერთი წუთით დაეჭვებულიყო იმაში, რომ ეს ჯგუფი აწყობდა ფრაქციას საზღვარგარეთიდან. ყბადაღებული «NN-ის სკოლა» რომ ახალი ფრაქციის საზღვარგარეთული ცენტრი იყო, ეს პრესაში აღინიშნა 1909 წლის ივნისში *, და მას შემდეგ ამაში ყველაზე უდარდელი და საქმეს გაუცნობელი სოციალ-დემოკრატებიც კი დარწმუნდნენ. ყბადაღებული «პლატფორმა» საზღვარგარეთ შეიმუშავა 8 ინტელიგენტმა და 7 მუშა-მოწაფემ. ამ მუშათა როლი, რომლებმაც ნაუცბათევად მოაწერეს ხელი ლოზუნგებს: «პროლეტარული ფილოსოფია» და ოტზოვიზმის აღიარება «კანონიერ ელფერად», იმდენად ნათელია, რომ მასზე კვლავ ლაპარაკი აღარა ღირს. ჩვენს წინაშეა ფრაქციის შექმნის პირწმინდა ნიმუში იმ საზღვარგარეთელ ლიტერატორთა ჯგუფის მიერ, რომლებიც სწორედ რომ «ყაენებს» (ვოინოგის [89] გამოთქმაა კრებულ «ვპერიოდში») ჰგვანან, რადგან თავიანთ თვითნებობას ისინი თვითონ გრძნობენ, უ მ ა ლ ა ს ი ნ რა საზოგადოებას იმას, რაც მათთვის განსაკუთრებით ძვირფასია, ე. ი. მახიზმისა და ოტზოვიზმის ბურჟუაზიულ ფილოსოფიას. «ვპერიოდელები» გაჰყვირიან «საზღვარგარეთელი ბელადების» წინააღმდეგ, და თვითონ კი აწყობენ ორგანიზაციას, რომელიც ფაქტიურად ერთი მუჭა საზღვარგარეთელი ლიტერატორების უბრალო დ ა ნ ა მ ა ტ ს წარმოადგენს; — გაჰყვირიან ფრაქციის წინააღმდეგ და თვითონ ფ ა რ უ ლ ა დ აშენებენ ახალ, წვრილმან, მეტად უსიცოცხლო, სექტანტურ-ემპირიომონისტურ ფრაქციას. მთელი ამ თვალთმაქცობის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წყარო ის არის, რომ შეუძლებელია აშკარა, პირდაპირი გამოსვლა იმის დასაცავად, რაც ფრაქციის ნამდვილი წინამძღოლებისათვის ნამდვილად ძვირფასია.

დავკმაყოფილდებით განსაკუთრებით აღმაშფოთებელი თვალთმაქცობის ორი მაგალითით. კრებულის 53-ე გვერდზე

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 552 — 553. რ ე დ.

მ უ შ ა ა რ. აცხადებს, რომ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო «არაფერს არ აკეთებს» (ამ სიტყვებს მიაწერენ, რა თქმა უნდა, მუშა «ლენინელს», რომელიც თითქოს ამნაირ აგიტაციას უწევდა «ვპერიოდელს». ოჰ, რა გულუბრყვილო ეშმაკობას მიმართავს «მუშა არ.»!) — და რომ ვპერიოდელი (კვლავ «ლენინელთან» ერთად და, რა თქმა უნდა, მისი წაქეზებით) წინადადებას იძლეოდა «გამოეცხადებინათ მოსკოვის ორგანიზაცია რუსეთის ცენტრალური კომიტეტისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციად, რომელიც მის დირექტივებს არ ემორჩილება».

რუსეთის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, 1910 წლის იანვრიდან მოკიდებული, იბრძოდა ცენტრის ორგანიზაციის აღსადგენად, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ მას წინააღმდეგობას უწევდნენ ლიკვიდატორ-გოლოსელებიც (მიხეილის, რომანისა და იურის ცნობილი ამბავი) და ვპერიოდელებიც (რომლებიც ამ დროს საზღვარგარეთიდან აკოწიწებდნენ თ ა ვ ი ა ნ თ უბადრუკ ფრაქციას ცენტრალური კომიტეტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ). და ახლა ვპერიოდელები ნიანგის ცრემლებს ღვრიან ცენტრალური კომიტეტის ბიუროს «უმოქმედობის» გამო! ეს ვპერიოდელები, ნამდვილად სავსებით «დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ნ ი» პარტიისაგან, სავსებით ანტიპარტიული ფრაქციონერები, პოპულარულ კრებულში წერენ, «უცილებელია ადგილობრივი ორგანიზაციები გამოცხადებულ იქნან ცენტრალური კომიტეტისაგან «დამოუკიდებელ» ორგანიზაციებადო.

მეორე მაგალითი. იმავე კრებულში ანონიმური «პარტიის წევრი» თავხედურად ვარჯიშობს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ფულადი ანგარიშის კრიტიკაში. ანონიმური თავხედი, სხვათა შორის, მე-60 გვერდზე წერს: «ვინ არიან ეს «შემნახველნი» (ანგარიშში ლაპარაკია ფულის მიღებაზე შემნახველთაგან), რატომ «ინახავენ» ან «ინახავდნენ» ისინი ცენტრალური კომიტეტის ფულს, რა «სპეციალური მიზნებისათვის» არის გათვალისწინებული ეს ფული, — აქ ვერავინ და ვერაფერს ვერ გაიგებს».

სწორედ ასეა დაბეჭდილი. ვერავინ და ვერაფერს ვერ გაიგებსო.

ამას წერენ «ვპერიოდის» სწორედ იმ ჯგუფის წევრები, რომლის ორი წარმომადგენელი ესწრებოდა იანვრის პლენუმს, სადაც მიღებულ იქნა ბოლშევიკების განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი პირობით გადასცემენ ფულს შემნახველთ (ე. ი. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სამ უაღრესად გამოჩენილ წარმომადგენელს). რა ფულია ეს, საიდან არის მიღებული, ვინ არიან შემნახველნი და სხვა, — ყოველივე ეს ზედმიწევნით იცოდა პლენუმმა, ე. ი. ყველა ფრაქციამ, ე. ი. იცოდნენ ვპერიოდელებმაც, მათ შორის. ვპერიოდელები კი «პოპულარულ» კრებულში მუშათა მოსატყუებლად წერენ: «ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებსო».

ამას წერენ სწორედ იმ კრებულ «ვპერიოდში», რომლის პირველ ორ სტატიას ხელს აწერენ მაქსიმოვი და დომოვი[90]. ორივე ამ «ვპერიოდელმა» ჩინებულად იცის ბოლშევიკების მიერ ამ ფულის მიღებისა და შემნახველთათვის მისი გადაცემის მთელი ისტორია. და აი, რადგან მათთვის «უხერხულია» პირველად გამოვიდნენ და განაცხადონ, «ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებსო», ისინი ამ დავალებისთვის ირჩევენ ანონიმურ თავხედებს, რომლებიც თავიანთ თავს «პარტიის წევრებს» უწოდებენ თავიანთი ანტიპარტიული მოქმედების გამო. მაქსიმოვი და დომოვი ანონიმური თავხედების მეშვეობით მუშებს «პოპულარულ» კრებულში შეგნებულად ეუბნებიან ტყუილს, თითქოს «ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს» იმის შესახებ, თუ ვინ არიან ეს ფულის «შემნახველნი» და სხვა. და ეს ვაჟბატონები მკერდში მჯიღს იცემენ და თავგამოდებით გაჰყვირიან «ფრაქციების» წინააღმდეგ და «საზღვარგარეთელი ბელადების» წინააღმდეგ.

ისინი ანონიმურ «პარტიის წევრის» მეშვეობით «აკრიტიკებენ» ცენტრალური კომიტეტის ფულად ანგარიშს, თვითონ კი თავიანთი კრებულის პირველ გვერდზე იუწყე-

ბიან, რომ მათ ჯგუფს გაზეთის გამოცემაში დღემდე ხელს უშლიდა «მატერიალური სახსრების ნაკლებობა» და რომ «ახლა მოხერხდა ამ დაბრკოლების გადალახვა». მაშასადამე, ახლა «ვპერიოდის» ჯგუფმა მიიღო ფული. თქმა არ უნდა, ეს ვპერიოდელებისათვის სასიამოვნო ცნობაა. ოღონდ, რანაირი «შუბლი» უნდა ჰქონდეს კაცს, ოჰ, დიდად პატივცემულნო «ვპერიოდელნო», რომ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, «პოპულარულ» კრებულში ანონიმური თავხედის პირით შეგნებული ტყუილი ილაპარაკოს ცენტრალური კომიტეტის შესახებ, თითქოს «ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს», თუ ვინ არიან ეს «შემნახველნი» და რა ფული აქვთ მათ, და იმავე დროს სრულიად არაფერი არ უთხრას არც ცენტრალურ კომიტეტს, არც სხვა ფრაქციებს, თუ რა ფულია ეს, «ვპერიოდის» ჯგუფმა რომ მიიღო, და რომელი ლიტერატორების განკარგულებაშია ეს ფული? პარტია, ალბათ, მოვალეა ანგარიში ჩააბაროს ვპერიოდელებს, ვპერიოდელები კი მოვალენი არ არიან ანგარიში ჩააბარონ პარტიას?

კიდევ და კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ვპერიოდელთა ეს თვალთმაქცობა აიხსნება არა პეტრეს ან სიდორის პირადი თვისებებით, არამედ მთელი მათი პოზიციის პოლიტიკური სიყალბით, აიხსნება იმით, რომ ლიტერატორ-მახისტებსა და ოტზოვისტებს არ შეუძლიათ პირდაპირ და აშკარად ჩაებან ბრძოლაში მათთვის ძვირფასი არა სოციალ-დემოკრატიული უბადრუკი იდეების დასაცავად. ვინც ამ პოლიტიკურ პირობებს გაიგებს, ის დაბნეული, საგონებელში ჩავარდნილი, დანაღვლიანებული არ შეჩერდება მოვლენის მარტოოდენ გარეგნული მხარის წინაშე, პირადი კონფლიქტების, კინკლაობის, ლანძღვა-გინებისა და სხვათა ჯამის წინაშე. ვინც ამ პოლიტიკურ პირობებს გაიგებს, ის არ დაკმაყოფილდება შემარიგებლური ფრაზით (à la * ტროცკისა) იმის შესახებ, რომ საჭიროა «არა ბრძოლა

* — მსგავსად. რედ.

ოტზოვისტებთან, ა რ ა მ ე დ დაძლევა ოტზოვიზმისა», რადგან ეს ლიტონი და უშინაარსო ფრაზაა. კონტრრევოლუციური ეპოქის, რღვევის ეპოქის, ღვთისმშენებლობის ეპოქის, მახიზმის, ოტზოვიზმის, ლიკვიდატორობის ეპოქის ობიექტურმა პირობებმა ჩ ა ა ყ ე ნ ე ს ჩვენი პარტია იმ ლიტერატორთა წრეებთან ბრძოლის პირობებში, რომლებიც თავიანთ ფრაქციებს აწყობენ, და ამ ბრძოლას ფრაზით თავს ვერ დააღწევ. ამ ბრძოლაზე ხელის აღება კი იმას ნიშნავს, რომ ხელი აიღო მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ თანამედროვე ამოცანაზე.

«სოციალ-დემოკრატ» № 15 — 16,
1910 წ. 30 აგვისტო
(12 სექტემბერი)

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე

ამ სტატიაში მე განზრახვა მაქვს დავკმაყოფილდე სათაურში აღნიშნული საკითხის გარშემო კონგრესის მუშაობის მიმდინარეობის გადმოცემით და სოციალისტური აზროვნების იმ მიმართულებათა დახასიათებით, რომლებიც აქ ერთმანეთს ებრძოდნენ.

კონგრესამდე გამოქვეყნებული იყო რეზოლუციების სამი პროექტი კოოპერატივების შესახებ. ბელგიელთა პროექტი (№ 5 «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდული ბიულეტენისა», რომელიც არარეგულარულად გამოდის საერთაშორისო კონგრესების სამ ოფიციალურ ენაზე) იწყებს მუშა-სოციალისტების გაფრთხილებით იმათ მოძღვრებათა წინააღმდეგ, ვინც კოოპერატივებს თვლის რაღაც თვითკმარ რამედ, სოციალური საკითხის გადაწყვეტის ერთგვარ საშუალებად. ბელგიის პარტიის პროექტი, შემდეგ, აღიარებს, რომ მუშათა კლასი მეტისმეტად დაინტერესებულია გამოიყენოს კოოპერატივები, როგორც თავისი კლასობრივი ბრძოლის იარაღი, აღნიშნავს კოოპერატივების უშუალო სარგებლიანობას (ვაჭრულ ექსპლოატაციასთან ბრძოლა, მიმწოდებლებთან შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვ.) და სურვილს გამოთქვამს, რომ სოციალისტურ პარტიებსა და კოოპერატივებს შორის მყარდებოდეს «ორგანული, სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობანი».

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უმრავლესობის პროექტი შედგენილია ჟორესის შეხედულებათა შესაბამისად. კოოპერატივები ცამდეა აყვანილი და დასახულია — სავსებით ისე, როგორც ბურჟუაზიული რეფორმატორები სახავენ — «სოციალური გარდაქმნის» «აუცილებელ» ელემენტად. ნათქვამია ბუნდოვანი ფრაზები კოოპერატივების გადაქცევაზე ცალკე პირთა კავშირიდან ასოციაციათა საყოველთაო ფედერაციებად. პროლეტარული კოოპერატივები აღრეულია წვრილ მეპატრონეთა (მიწათმოქმედებაში) კოოპერატივებთან. ქადაგებენ კოოპერატივების ნეიტრალობას, აღწერენ, თუ რა საზიანო იქნება, რომ კოოპერატივებს დაეკისროს რაიმე ვალდებულებანი სოციალისტური პარტიის მიმართ.

ბოლოს, ფრანგ სოციალისტთა უმცირესობის პროექტი (გედისტური) გადაჭრით აცხადებს, რომ თავისთავად კოოპერატივები სრულიადაც არ წარმოადგენენ კლასობრივ ორგანიზაციებს (როგორიც არიან, მაგალითად, პროფესიული კავშირები), რომ მათი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ სამომხმარებლო როლით, რასაც ისინი ასრულებენ. მუშებს, შევლენ რა მასობრივად კოოპერატივებში, შეუძლიათ მათგან მიიღონ სარგებლობა თავიანთი ბრძოლისათვის კაპიტალის წინააღმდეგ, შეუძლიათ ასე თუ ისე მაგალითით გაერკვნენ, რანაირი იქნებოდა სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თანამედროვე წყობილების წინააღმდეგობათა მოსპობის შემდეგ მოეწყობოდა. ამიტომ პროექტი ხაზს უსვამს კოოპერატივების შეზღუდულ მნიშვნელობას და მოუწოდებს სოციალისტურ პარტიებს ხელი შეუწყონ პროლეტარულ კოოპერატივებს, აფრთხილებს კოოპერაციული ილუზიებისაგან, ურჩევს სოციალისტთა შემჭიდროებას კოოპერატივების შიგნით იმ მიზნით, რომ განემარტოს მასებს მათი ნამდვილი ამოცანა: პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და წარმოების და გაცვლის საშუალებათა საერთო საკუთრებად გადაქცევის ამოცანა.

სავსებით ცხადია, რომ აქ ისახება ორი ძირითადი ხაზი: ერთი — პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ხაზი, იმის

ღიარება, რომ ამ ბრძოლისათვის კოოპერატივებს ღირებულება აქვთ, როგორც ბრძოლის იარაღს, როგორც ამ ბრძოლის ერთ-ერთ დამხმარე საშუალებას, და იმ პირობების განსაზღვრა, რომლებშიც კოოპერატივები შეასრულებდნენ ნამდვილად მგვარ როლს და უბრალო სავაჭრო წამოწყებებად არ დარჩებოდნენ. მეორე — წვრილბურჟუაზიული ხაზი, რომელიც ბუნდოვანებს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში კოოპერატივების როლის საკითხს, აფართოებს კოოპერატივების მნიშვნელობას ამ ბრძოლის ფარგლებს გარეთ (ე. ი. ერთმანეთში ურევს პროლეტარულ და მეპატრონულ შეხედულებებს კოოპერატივებზე), კოოპერატივების მიზნებს განსაზღვრავს ისეთი ზოგადი ფრაზებით, რომლებიც მისაღებია ბურჟუაზიული რეფორმატორისთვისაც, პროგრესულ მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა ამ იდეოლოგისათვის.

სამწუხაროდ, აღნიშნული ორი ხაზი სწორედ რომ მხოლოდ ი ს ა ხ ე ბ ო დ ა სამ წინასწარ მომზადებულ პროექტში და ნათლად, მკაფიოდ, მკვეთრად არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს, როგორც ო რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, რომელთა ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი. ამიტომაც კონგრესის მუშაობა უსწორმასწოროდ, აბნეულად, თითქოს სტიქიურად მიმდინარეობდა. უთანხმოებებს ყოველ წუთს «აწყდებოდნენ», მაგრამ ისინი ამომწურავად არ გაურკვევიათ, და შედეგად გამოვიდა რეზოლუცია, რომელიც ასახავს აზრის დაბნეულობას, არ იძლევა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ იმას, რაც შეეძლო მოეცა და უნდა მოეცა სოციალისტური პარტიების კონგრესის რეზოლუციას.

კოოპერატივების საკითხის კომისიაში ერთბაშად დაისახა ორი მიმდინარეობა. ერთი — ჟორესის და ელმისა. ელმი ერთი ოთხ გერმანელ დელეგატთაგანი იყო კოოპერაციულ კომისიაში და გამოდიოდა როგორც გერმანელთა წარმომადგენელი, გამოდიოდა გარკვეულად ოპორტუნისტული სულისკვეთებით. მეორე — ბელგიელთა მიმართულება. შუამავლად, შემარიგებლად გამოვიდა ავსტრიელი კარპელესი, ავსტრიის კოოპერაციული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც

არ იცავდა გარკვევით პრინციპულ ხაზს, მაგრამ (უფრო სწორად რომ ვთქვათ: არა «მაგრამ», არამედ სწორედ ამიტომ) გაცილებით უფრო ხშირად ოპორტუნისტებისაკენ იხრებოდა. ბელგიელებსაც ჟორესსა და ელმთან დავას ბევრად უფრო მეტად აიძულებდა ინსტინქტი კოოპერაციული საქმის ნამდვილად პროლეტარული დაყენებისა, ვიდრე ამ საკითხზე პროლეტარულ და წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისთა მტრობისა და შეურიგებლობის მკაფიო გაგება. ამიტომ, მაგალითად, ანსელი (კოოპერაციული კომისიის თავმჯდომარე) კომისიაში მხურვალე და ჩინებულ სიტყვებს ამბობდა კოოპერატივების ნეიტრალობის წინააღმდეგ, მათი მნიშვნელობის გაზვიადების წინააღმდეგ, ამბობდა, რომ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს აუცილებელია ვიყოთ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი-კოოპერატორები და არა კ ო ო პ ე რ ა ტ ო რ ი-სოციალისტებიო, — რეზოლუციის შემუშავების დროს კი იმავე ანსელს შეეძლო პირდაპირ სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა კაცი ჟორესისა და ელმის ფორმულირებათა მიმართ თავისი დამთმობლობით, იმით, რომ არ სურდა ღრმად ჩაწვდომოდა აზრთა სხვადასხვაობის მიზეზებს.

მაგრამ დავუბრუნდები კომისიის სხდომებს. გასაგებია, რომ მუშაობის მიმდინარეობაზე გადამწყვეტი გავლენა ჰქონდათ იმ ერთა წარმომადგენლებს, სადაც კოოპერაციული მოძრაობა ძლიერ განვითარებულია. ამასთან მყისვე გამომჟღავნდა აზრთა სხვადასხვაობა ბელგიელებსა და გერმანელებს შორის, ამ უკანასკნელთათვის დიდად საზიანოდ. ბელგიელები ყოველ შემთხვევაში პროლეტარულ ხაზს ატარებდნენ, თუმცა არა სავსებით თანამიმდევრულად, არა სავსებით მკაფიოდ. ელმი გამოდიოდა როგორც წმინდა წყლის ოპორტუნისტი (განსაკუთრებით ქვეკომისიაში, რაზედაც ქვემოთ ვიტყვით). ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელი როლი ბელგიელებს ეკუთვნოდა. ავსტრიელები მათკენ იხრებოდნენ, და კომისიის მუშაობის დასასრულს წაკითხულ იქნა ა ვ ს ტ რ ი ე ლ-ბ ე ლ გ ი ე ლ თ ა რეზოლუცია, მაშინ როდესაც ელმმა, რომელმაც გერმანელთა რეზოლუცია შეიტანა, პირდაპირ განაცხადა, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია მისი შეთანხმება ჟორესისტულ

პროექტთანო. რადგან ფრანგებს ჟორესის წინააღმდეგ ძლიერი უმცირესობა ჰყავდათ (ჟორესის თვალსაზრისს ემხრობოდა 202 მანდატი, გედის თვალსაზრისს კი — 142), გერმანელებს კი, უთუოდ, არანაკლებ ძლიერი უმცირესობა გამოუვიდოდათ ელმის წინააღმდეგ (თუ ნათლად და მკვეთრად წამოიჭრებოდა ორი თვალსაზრისის საკითხი), ამიტომ ავსტრიელ-ბელგიელთა კავშირს გამარჯვების უეჭველი შანსები ჰქონდა. და საქმე ეხებოდა, რა თქმა უნდა, არა იმდენად «გამარჯვებას» სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რამდენადაც იმას, რომ დაეცვათ თანამიმდევრობითი პროლეტარული თვალსაზრისი კოოპერატივებზე. ამ თანამიმდევრობის მიღწევა არ მოხერხდა იმ მეტისმეტ დათმობათა გამო, რომლებიც ქვეკომისიამ ჟორესისა და ელმის მიმართ გააკეთა.

რაც შეგვეხება ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატებს, ჩვენ ვცდილობდით კომისიაში მხარი დაგვეჭირა ავსტრიელ-ბელგიელთა ხაზისათვის და ამ მიზნით ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე ავსტრიელ-ბელგიელთა შემარიგებლურ პროექტს გამოაცხადებდნენ, შევიტანეთ შემდეგი შინაარსის ჩვენი რეზოლუციის პროექტი:

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიული დელეგაციის პროექტი

კონგრესი თვლის:

1) რომ პროლეტარული სამომხმარებლო ამხანაგობანი აუმჯობესებენ მუშათა კლასის მდგომარეობას იმ აზრით, რომ ამცირებენ ყოველგვარ სავაჭრო შუამავალთა მხრივ ექსპლოატაციის ოდენობას, გავლენას ახდენენ მიმწოდებელთა საწარმოებში ჩაბმულ მუშათა შრომის პირობებზე და აუმჯობესებენ საკუთარ მოსამსახურეთა მდგომარეობას.

2) რომ ამ ამხანაგობებს შეუძლიათ დიდი მნიშვნელობა მიიღონ პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური მასობრივი ბრძოლისათვის, დაუჭერენ რა მხარს მუშებს გაფიცვების, ლოკაუტების, პოლიტიკური დევნისა და სხვათა დროს.

მეორე მხრივ, კონგრესი მიუთითებს იმაზე:

1) რომ გაუმჯობესება, რაც შესაძლოა მიღწეულ იქნას სამომხმარებლო ამხანაგობათა დახმარებით, იქნება მხოლოდ მეტად უმნიშვნელო მანამდე, ვიდრე წარმოების საშუალებანი იმ კლასის ხელში იმყოფება,

რომლის უექსპროპრიაციოდ სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია;

2) რომ სამომხმარებლო ამხანაგობანი არ წარმოადგენენ კაპიტალის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის ორგანიზაციებს და არსებობენ სხვა კლასების ამგვარივე ორგანიზაციების გვერდით, რომელთაც შეუძლიათ წარმოშვან ილუზია, რომ ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ საშუალებას, რითაც შეიძლება სოციალური საკითხი გადაწყდეს კლასობრივი ბრძოლისა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის გარეშე.

კონგრესი ყველა ქვეყნის მუშებს მოუწოდებს:

a) შეეიდნენ პროლეტარულ სამომხმარებლო ამხანაგობებში და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ განვითარებას, ამასთან დაიცვან ამ ორგანიზაციების დემოკრატიული ხასიათი;

b) დაუღალავი სოციალისტური პროპაგანდის გზით სამომხმარებლო ამხანაგობებში, ხელი შეუწყონ მუშათა შორის კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმის იდეების გავრცელებას;

c) ამასთან ერთად ეცადონ მიაღწიონ მუშათა მოძრაობის ყველა ფორმის რაც შეიძლება უფრო სრულ დაახლოებას.

კონგრესი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საწარმოო ამხანაგობებს მუშათა კლასის ბრძოლისათვის მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი სამომხმარებლო ამხანაგობათა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ».

რეზოლუციების ყველა პროექტი გადაეცა ქვეკომისიას (საერთაშორისო კონგრესების კომისიები იმდენად დიდია, — თვითეული ერი ყოველ კომისიაში 4 დელეგატს გზავნის, — რომ კომისიის სრული შემადგენლობით რეზოლუციების ტექსტის შემუშავებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება). ქვეკომისიაში 10 კაცი შევიდა: ორი ბელგიელი (ანსელი და ვანდერველდი), ერთი ფრანგი (ჟორესი), ერთი ავსტრიელი (კარპელესი), ერთი გერმანელი (ელმი), ერთი ჰოლანდიელი (მარქსისტი ვიბო), თითო-თითო: იტალიელი, დანიელი, ინგლისელი, რუსი სოციალ-დემოკრატი (ვოინოვი და მე — ჩვენმა სოციალ-დემოკრატიულმა დელეგაციამ ვერ მოასწრო შეკრებილიყო წარმომადგენლის ასარჩევად, — ამიტომ ჩვენ ორივე ვესწრებოდით, ხმა კი ერთმა მისცა).

ქვეკომისიაში უკვე წმინდა საქმიანი მუშაობა გაჩაღდა რეზოლუციის ტექსტის შესადგენად. კონგრესის მიერ მიღებული ტექსტი, სულ მცირეოდენი, სტილისტური შესწორე-

ბებით, არის სწორედ ის ტექსტი, რომელიც ქვეკომისიამ შეიმუშავა; — მკითხველები კონგრესის რეზოლუციის ტექსტს ნახავენ ამ ნომრის სხვა ადგილას. ქვეკომისიაში — კომისიისაგან განსხვავებით — ბრძოლა გაჩაღდა არა პარტიისადმი კოოპერატივების დამოკიდებულების საკითხზე, არამედ უფრო პრინციპულ საკითხზე კოოპერატივების მნიშვნელობისა და როლის შესახებ. ბელგიელები ემხრობოდნენ კოოპერატივების როლის პრინციპულად სრულიად სწორ განსაზღვრას, რომლის თანახმად კოოპერატივები არის ერთ-ერთი შესაძლებელი (გარკვეულ პირობებში) დამხმარე იარაღი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა კაპიტალისტთა კლასის «სრული ექსპროპრიაციისათვის» (**expropriation intégrale**). ელმი, რომელსაც მხარს უჭერდა ჟორესი, გადაჭრით ამხედრდა და გამოავლინა მთელი თავისი ოპორტუნიზმი სავსებით. იგი ამბობდა, რომ გაურკვეველია, საზოგადოდ მივა თუ არა საქმე ექსპროპრიაციამდე, რომ მას პირადად ეს ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ «უმრავლესობისათვის» (!) ეს საკითხი სადავოა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ექსპროპრიაცია არ არის, რომ უნდა ითქვას «**Ueberwindung des Kapitalismus**» — «კაპიტალიზმის დაძლევაო». გერმანული ოპორტუნიზმის ერთ-ერთმა ბელადმა დაივიწყა ბებელის განთქმული სიტყვები ჰანოვერში, წარმოთქმული ბერნშტეინთან დავის დასასრულს: «**es bleibt bei der Expropriation**» —«ჩვენ კვლავ ექსპროპრიაციის მომხრე ვართო»[91]. ამ დავასთან დაკავშირებით წამოიჭრა «სოციალიზაციის საკითხი». ჟორესი ულტიმატურად მოითხოვდა, რომ კოოპერატივების მნიშვნელობის განსაზღვრაში აღნიშნული ყოფილიყო: «ისინი ეხმარებიან მუშებს (როგორც აღნიშნულია კიდეც კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციის ტექსტში) მოამზადონ წარმოებისა და გაცვლის საშუალებათა დემოკრატიზაცია და სოციალიზაცია».

ეს არის ერთ-ერთი ბუნდოვანი, გაურკვეველი, წვრილი მეპატრონის იდეოლოგებისა და ბურჟუაზიული რეფორმიზმის თეორეტიკოსებისათვის სავსებით მისაღები ფრაზა, რომლის

ასეთი ოსტატი და ესოდენ მოტრფიალეა ჟორესი. რა არის «წარმოებისა და გაცვლის საშუალებათა დემოკრატიზაცია»? (კომისიაში შემდეგ, როცა იქ პროექტი დაბრუნდა ქვეკომისიიდან, ფრანგებმა სიტყვა საშუალებათა — **moyens** — შეცვალეს სიტყვით ძალთა — **forces**, მაგრამ ამით საქმე ოდნავადაც არ შეცვლილა). გლეხური წარმოება (ვამბობდი მე კომისიაში) «უფრო დემოკრატიულია», ვიდრე მსხვილი კაპიტალისტური წარმოება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ, სოციალისტებს, წვრილი წარმოების შექმნა გვინდა? რა არის «სოციალიზაცია»? სოციალიზაციად შეიძლება გაგებულ იქნას გადაქცევა მთელი საზოგადოების საკუთრებად, მაგრამ შეიძლება აგრეთვე გაგებულ იქნას როგორიც გნებავთ ნაწილობრივი ზომები, როგორიც გნებავთ რეფორმები კაპიტალიზმის ჩარჩოებში, დაწყებული გლეხთა ამხანაგობებით და დამთავრებული მუნიციპალური აბანოებითა და პისუარებით. ხოლო ჟორესი ქვეკომისიაში მიუთითებდა დანიის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებზე, რადგან ფიქრობდა, ცხადია, მსგავსად ბურჟუაზიული ეკონომისტებისა, თითქოს ესენი კაპიტალისტური წამოწყებები არ იყოს.

ამ ოპორტუნიზმის საწინააღმდეგოდ მოქმედებას რომ ვაწყობდით, ჩვენ (რუსეთისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატები) ვცდილობდით ელმისაგან მიგვემართა ვურმისთვის, «**Neue Zeit**»-ის * თანარედაქტორისათვის, რომელიც აგრეთვე შედიოდა კოოპერატივების კომისიაში, როგორც გერმანელების წარმომადგენელი. ვურმი არ იწონებდა ფრაზებს «დემოკრატიზაციისა და სოციალიზაციის» შესახებ, აყენებდა (კერძო წესით) მთელ რიგ შესწორებებს, გამოდიოდა შუამავლად ელმსა და მარქსისტებს შორის, მაგრამ ელმმა ისეთი «სიმტკიცე» გამოიჩინა, რომ ვურმი ვერაფერს გახდა. უკვე კონგრესის შემდეგ მე «**Leipziger Volkszeitung**»-ში (№ 201, 1910 წ. 31 აგვისტო, 3. **Beilage****) წავიკითხე, რომ გერმანიის დელეგა-

* — «ახალი დროება». რ ე დ.

** — «ლეიპციგის სახალხო გაზეთი» (...მე-3 დამატება). რ ე დ.

ციაში ჯერ კიდევ სამშაბათს აღიძრა კოოპერატივების საკითხი. «რ. ფიშერი ეკითხებოდა, — წერს ამ გაზეთის კორესპონდენტი, — არის თუ არა უთანხმოება კოოპერატივების საკითხზე გერმანიის დელეგატთა შორის». ე ლ მ ი უპასუხებდა: «არის. დღეს-ხვალ ამ უთანხმოებას ვერ მოვსპობთ. კონგრესების გადაწყვეტილებანი ყოველთვის კომპრომისული გადაწყვეტილებანია, და ამ საკითხშიც საქმე, ალბათ, კომპრომისითვე გათავდება». ვ ურ მ ი: «ჩემი შეხედულებანი კოოპერატივების საკითხზე სულ სხვანაირია (**durchaus andere**), ვიდრე ფონ ელმის შეხედულებანი; მაგრამ ჩვენ, ალბათ, მაინც შევთანხმდებით საერთო რეზოლუციაზე». ამის მერე დელეგაციამ შემდგომი განხილვა საჭიროდ არ ჩათვალა.

ამ ცნობას ადასტურებს ის მოვლენა, რომელიც სავსებით გამოისახა უკვე შტუტგარტის საერთაშორისო ყრილობაზე [92]. გერმანიის დელეგაცია დგება თანაბრად პარტიისა და პროფესიული კაშირების წარმომადგენელთაგან. პროფესიული კავშირებისაგან თითქმის ყოველთვის ოპორტუნისტები გადიან, რადგან ჩვეულებრივ ირჩევენ მდივნებს და კავშირის სხვა «ბიუროკრატიას». საზოგადოდ გერმანელებს უნარი არ შესწევთ გაატარონ მტკიცე პრინციპული ხაზი საერთაშორისო ყრილობაზე, და ინტერნაციონალში ჰეგემონია მათ ხანდახან ხელიდან უსხლტებათ. ელმის წინაშე ვურმის უძლურება მხოლოდ ზედმეტჯერ ნათელყოფდა იმ კრიზისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, რომელიც ოპორტუნისტებთან გარდუვალი გადამწყვეტი გამიჯვნის მომზადებით გამოიხატება.

კოოპერატივების მიერ პარტიისადმი ფულადი დახმარების საკითხში ელმმა და ჟორესმა ქვეკომისიაში აგრეთვე მიაღწიეს მეტისმეტ დათმობას ბელგიელთა მხრივ, რომლებიც დაეთანხმენ ფორმულირებას: «თვითეული ქვეყნის კოოპერატივებს ეძლევათ უფლება გადაწყვიტონ, უნდა დაეხმარონ თუ არა ისინი და რა ოდენობით დაეხმარონ უშუალოდ თავიანთი სახსრებიდან პოლიტიკურ და პროფესიულ მოძრაობას».

როდესაც ქვეკომისიის პროექტი კომისიაში დაბრუნდა საბოლოო დასამტკიცებლად, ჩვენ მთელი ყურადღება სწორედ

ამ ორ მუხლს მივაქციეთ. გედთან ერთად ჩვენ შევიტანეთ ორი (მთავარი) შესწორება: ჯერ-ერთი, სიტყვები: «(კოოპერატივები) ეხმარებიან მუშებს მოამზადონ წარმოებისა და გაცვლის დემოკრატიზაცია და სოციალიზაცია» შეცვლილიყო სიტყვებით: «(კოოპერატივები) რამდენადმე ხელს უწყობენ იმას, რომ მომზადდეს წარმოებისა და გაცვლის ფუნქციონირება კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაციის შემდეგ». სტილისტურად არა მთლად მარჯვედ გამოთქმული ამ შესწორების აზრი ის კი არ იყო, რომ კოოპერატივებს ახლა ა რ შეუძლიათ დაეხმარონ მუშებს, არამედ ის, რომ მომავალი წარმოებისა და გაცვლის ფუნქციონირება, რასაც კოოპერატივები უკვე ახლა ა მ ზ ა დ ე ბ ე ნ, შეიძლება დაიწყოს მ ხ ო ლ ო დ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის შ ე მ დ ე გ. მეორე შესწორება შეეხებოდა იმ მუხლს, რომელიც ლაპარაკობს პარტიისადმი კოოპერატივების დამოკიდებულებაზე. ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით ან დაგვემატებინა სიტყვები: «რაც (ე. ი. მუშათა ბრძოლისადმი დახმარება) ყოველ შემთხვევაში სასურველია სოციალიზმის თვალსაზრისით», ანდა მთელი ეს მუხლი შეგვეცვალა სხვა მუხლით, რომელიც აშკარად ურჩევდა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ს კოოპერატივებში იქადაგონ და დაიცვან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისადმი პირდაპირი დახმარების საჭიროება.

ორივე შესწორება, რომლებმაც მხოლოდ 15-მდე ხმა მოაგროვეს, კომისიამ უარყო. სოციალისტ-რევოლუციონერებმა — როგორც ყოველთვის საერთაშორისო ყრილობებზე — ხმა მისცეს ჟორესის სასარგებლოდ. რუსეთის საზოგადოების წინაშე ისინი უარს არ ამბობენ ოპორტუნიზმი უსაყვედურონ ბებელსაც კი, ხოლო ევროპის საზოგადოების წინაშე ისინი ჟორესსა და ელმს მიყვებიან! ვურმმა სცადა შეესწორებინა რეზოლუციის დასასრული სამი უკანასკნელი აბზაცის გადასმის საშუალებით. დაე ჯერ ითქვას, რომ სასურველია კოოპერატივების შეერთება ერთ ფედერაციად (ბოლოდან მეორე აბზაცი). დაე შემდეგ განცხადებულ იქნას, რომ კოო-

პერატივებზეა დამოკიდებული, გაუწიონ თუ არა პარტიას პირდაპირი დახმარება (ბოლოდან მესამე აბზაცი). და დაე ბოლო აბზაცი დაიწყოს´ სიტყვებით: «მაგრამ» (მ ა გ რ ა მ კონგრესი აცხადებს, რომ სასურველია სულ უფრო და უფრო ინტიმური ურთიერთობა პარტიასა, პროფესიულ კავშირებსა და კოოპერატივებს შორის). მაშინ ს ა ე რ თ ო კონტექსტიდან ნათელი იქნება, რომ კონგრესი უ რ ჩ ე ვ ს კოოპერატივებს დაეხმარონ პარტიასო. ელმმა ეს შესწორებაც უარყო! მაშინ ვურმმა ის უკან წაიღო. მაშინ ის ვიბომ თავისი სახელით წამოაყენა, ჩვენ ხმა მივეცით მის სასარგებლოდ, მაგრამ შესწორება უარყოფილ იქნა.

იმ საკითხზე, თუ როგორ მოვქცეულიყავით კონგრესის პლენუმზე, ჩვენ თათბირი გვქონდა გედთან. გედი ფიქრობდა, — და მისი აზრი გაიზიარეს გერმანელმა რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა, — რომ კერძო შესწორებათა გამო კონგრესის პლენუმზე ომის ატეხა საჭირო არ არის, რომ საერთოდ ხმა უნდა მივცეთ რეზოლუციის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ. რეზოლუციის ნაკლოვანებანი ის არის, რომ მასში ნ ა ხ მ ა რ ი ა ერთი რევიზიონისტული ფრაზა, რომელიც სოციალიზმის მიზნის განსაზღვრას კი არ ცვლის, არამედ ასეთი განსაზღვრის გ ვ ე რ დ ი თ გვხვდება, — და ერთ ადგილას ა რ ა ს ა კ მ ა ო ს ი ძ ლ ი ე რ ი თ არის გამოთქმული ის აზრი, რომ მუშათა კოოპერატივები უნდა ეხმარებოდნენ მუშათა კლასობრივ ბრძოლას. ასეთ ნაკლოვანებათა გამოსწორებას საჭიროა შეეცადოთ, მაგრამ მათ გამო პლენუმზე ბრძოლის ატეხად საფუძველი არ არსებობსო. ჩვენ დავეთანხმეთ გედის ამ აზრს, და კონგრესის პლენუმზე რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

კოოპერატივების საკითხზე კონგრესის მუშაობის შეჯამებისას უნდა ვთქვათ, — ისე რომ რეზოლუციის ნაკლოვანებანი არც ჩვენს თავს დავუმალოთ და არც მუშებს, — რომ ინტერნაციონალმა ძირითადად სწორად განსაზღვრა პროლეტარული კოოპერატივების ამოცანები. პარტიის ყოველი წევრი, ყოველი სოციალ-დემოკრატი მუშა, ყოველი შეგნებული მუშა-

კოოპერატორი უნდა ხელმძღვანელობდეს მიღებული რეზოლუციით და მთელ თავის საქმიანობას წარმართავდეს ამ რეზოლუციის შესაბამისად.

კოპენჰაგენის კონგრესი გამოხატავს მუშათა მოძრაობის განვითარების იმ სტადიას, როცა ეს მოძრაობა, ასე ვთქვათ, უმთავრესად გაფართოების გზით მიდიოდა და როცა მან დ ა ი წ ყ ო პროლეტარული კოოპერატივების მოქცევა კლასობრივი ბრძოლის კალაპოტში. რევიზიონისტებთან უთანხმოებანი დაისახა, მაგრამ დამოუკიდებელი პროგრამით რევიზიონისტების გამოსვლამდე ჯერ კიდევ შორს არის. რევიზიონიზმთან ბრძოლა გადადებულია, მაგრამ ეს ბრძოლა გარდუვალად მოხდება.

«სოციალ-დემოკრატ» № 17,
1910 წ. 25 სექტემბერი (8 ოქტომბერი)
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

იმის შესახებ, თუ როგორ აცნობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალს რსდმ პარტიის საქმეთა მდგომარეობას

კოპენჰაგენის საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით მთელ რიგ გამოცემებში დაიბეჭდა სტატიები ჩვენი პარტიის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მოკლედ შევჩერდებით სამ სტატიაზე, რომლებიც სამი სხვადასხვა პარტიული (უფრო სწორად: ა ნ ტ ი პარტიული) მიმდინარეობის წარმომადგენლებს დაუწერიათ.

თავისი თავხედობით პირველ ადგილზე აღნიშვნის ღირსი სტატია, რომელიც, სამწუხაროდ, გამოქვეყნდა ჩვენი გერმანელი ამხანაგების ცენტრალურ ორგანოში («Vorwärts» *, 28 აგვისტო). ეს სტატია ანონიმურია. მას აქვს მხოლოდ ქვესათაური: «ჩვენი რუსი კორესპონდენტისაგან».

ამ სტატიიდან მკითხველი ტყობილობს, რომ «ჯერ კიდევ არასოდეს რუსი ემიგრანტებისათვის, რომლებიც ჩვენს პარტიაში არაპროპორციულად დიდ როლს ასრულებენ, რუსეთის მუშათა მოძრაობის ინტერესები და საჭიროებანი ისე უცხო არ ყოფილა, როგორც ახლა», რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოს — «სოციალ-დემოკრატს» «წარმართავენ ვიწრო-ფრაქციული სულისკვეთებით» და რომ ბოლშევიკები განირჩევიან «ფორმალური და გარეგნული რადიკალიზმით», რომ ისინი მხოლოდ ევოლუციის შედეგად მივიდნენ, რო-

* — «წინ». რ ე დ.

გორც იქნა, პარლამენტარიზმის «აღიარებამდე» და ასე შემდეგ. ჩვენი პარტიის უმრავლესობით ჩვენი ავტორი მეტად უკმაყოფილოა. პარტიის მთელი მდგომარეობა ავტორს ძალიან მუქ ფერებში ესახება. მხოლოდ ერთი ნათელი წერტილი შენიშნა ჩვენმა ავტორმა რსდმ პარტიის ცხოვრებაში. ეს არის «ვენაში გამომავალი... მუშათა გაზეთი «პრავდა», რომელიც ფრაქციული პოლემიკიდან თავიდანვე სავსებით განზე დგას და თავის ამოცანად ისახავს პოლიტიკურ აგიტაციას» და სხვ.

ხომ არ იწყებთ მიხვედრას, მკითხველო, თუ ვის «არაფრაქციულ» კალამს ეკუთვნის ეს სტატია? თქვენ, რა თქმა უნდა, არ ცდებით. დიახ, ეს — «არაფრაქციული» ტროცკი არ მოერიდა გამოსულიყო თავისი ფრაქციის უბადრუკი გაზეთის აშკარა რეკლამით. ეს — იგი იძლევა საქმესთან არასაკმაოდ გაცნობილი გერმანელი მკითხველების წინაშე პარტიული უმრავლესობის პოზიციის იმავე შეფასებას, როგორსაც ლიკვიდატორებიც იძლევიან *.

გერმანელი რევიზიონისტების ორგანოში ჩვენი პარტიისაღმი ცილისწამების ამოცანა იკისრა მეორე ლიტერატორმა: რ. სტრელცოვმა. მისი სტატია გამოქვეყნდა «Sozialistische Monatshefte»-ში **, რომლის რედაქტორია ბ-ნი ბლოხი, რომელსაც ბებელმა მაგდებურგში მართებულად უწოდა ნაციონალ-ლიბერალი. რ. სტრელცოვი — ბ-ნი პროკოპოვიჩის კოლეგა გაზეთ «ტოვარიშჩიდან» [94] — უკვე აშკარად იცავს

* იმ გარემოებამ, რომ ეს სტატია გამოქვეყნდა ისეთ ორგანოში, როგორიცაა «Vorwärts», აიძულა ჩვენი დელეგატები კოპენჰაგენის კონგრესზე პროტესტით მიემართათ გერმანიის პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. ეს პროტესტი შეიტანეს ჩვენი ცენტრალური ორგანოს დელეგატებმა (გ. ვ. პლეხანოვმა და ა. ვარსკიმ) და პარტიის წარმომადგენელმა საერთაშორისო ბიუროში (ნ. ლენინმა) [93]. სოციალ-დემოკრატიულ დელეგაციაში ამ საკითხის განხილვის დროს გაგვიმჟღავნა კიდეც ტროცკიმ ის საიდუმლოება, რომ ეს ყბადაღებული სტატია მისი დაწერილია.

** — «სოციალისტური ყოველთვიური». რ ე დ.

ლიკვიდატორებს. «არაფერია იმ ბრალდებაზე უფრო აბსურდული, რომელსაც მათ წინააღმდეგ აყენებენ». ნამდვილი სოციალ-დემოკრატები — ეს სწორედ ლიკვიდატორები არიან. პარტიული უმრავლესობა კი, თურმე, «ზედმეტად თვლის ეგრეთწოდებულ ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებას, ე. ი. სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას პროფკავშირებში, კოოპერატივებში, ღია ყრილობებში და ასე შემდეგ». დიახ, სწორ წარმოდგენას კი მიიღებს გერმანელი მკითხველი, თუ იგი რუსეთის რევოლუციის ისტორიას შეისწავლის ჩერევანინის მიხედვით, ხოლო თანამედროვე მდგომარეობას და ჩვენს პარტიაში მიმდინარე ტაქტიკურ ბრძოლას — სტრელოვისა და ტროცკის მიხედვით!..

მესამე სტატია ეკუთვნის ულტიმატისტ (იგივე ღვთისმშენებელ) ვოინოვს, რომელიც გამოვიდა ბელგიელი ამხანაგების ორგანო **«Le Peuple»**-ში [95] *. და თუმცა ვოინოვმა დამახინჯებული წარმოდგენა მისცა ბელგიელ ამხანაგებს «ჩვენს პარტიაში ტაქტიკურ მიმდინარეობათა» შესახებ (მისი სტატიის სათაურია), მაგრამ ერთი მხრივ მისმა სტატიამ საგრძნობი სარგებლობა მოიტანა: მან ერთხელ კიდევ გადაგვიშალა ოტზოვისტურ-ულტიმატისტური ტაქტიკის დედაარსი. ხომ არიან «ვპერიოდის» ჯგუფში ისეთი დალოცვილი მწერლები, რომლებიც ოტზოვისტ-ულტიმატისტების მიზნებს აშკარად გადმოსცემენ და არ ჩქმალავენ, როგორც ეს ხდება ხოლმე ჩვეულებრივ «ვპერიოდელების» ლიტერატურულ გამოსვლებში. მოუსმინეთ თვითონ თქვენ. რომელი «ვპერიოდელი» გამოგიტყდებათ ახლა აშკარად, რომ ოტზოვისტ-ულტიმატისტები ამჟამად ოცნებობენ მებრძოლ რაზმებზე და სხვა? გულახდილი ვოინოვი კი პირდაპირ წერს, რომ მას და მის მეგობრებს უნდათ «განაგრძონ და განავითარონ ჩვენი საბრძოლო მომზადება», მაშინ როდესაც გამემარჯვენებული ლენინი ახლანდელი მომენტისათვის უარყოფს, «მაგალითად, საინსტრუქ-

* ამასთან ვოინოვმა წინდახედულად შეატყობინა მკითხველებს, რომ იგი არის «კოპენჰაგენის ინტერნაციონალური კონგრესის დელეგატი».

ტორო სკოლების აუცილებლობას». რომელი «ვპერიოდელი» ლაპარაკობს ახლა აშკარად სათათბიროს ფრაქციის მიმართ «ულტიმატუმის» აუცილებლობაზე? კეთილი ვოინოვი კი გულახდილად გვატყობინებს, რომ მის მეგობრებს «პარტიის აღორძინება» ესაჭიროებათ იმისათვის, რომ «ჩვენს დეპუტატებს ულტიმატუმი წაუყენონ»... რომელი «ვპერიოდელი» გეტყვით პრესაში, თუ რისთვის სჭირდებათ ოტზოვისტ-ულტიმატისტებს «პარტიული სკოლა» საზღვარგარეთ? ყბედმა ვოინოვმა კი არ დააყოვნა ეცნობებინა, რომ «სკოლა» საჭიროა პარტიის «ახალი ყრილობის» მოსამზადებლად და ახლანდელი «მემარჯვენე» ცენტრალური კომიტეტის ნაცვლად სხვა ცენტრალური კომიტეტის ასარჩევად *. არ შეაქებენ ხომ ვოინოვს ამ გულახდილობისათვის ვპერიოდელი «დიპლომატები»!

ტროცკიმ, ვოინოვმა და სტრელცოვმა ძმურად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი პარტიული ხაზის წინააღმდეგ ბრძოლაში...

«სოციალ-დემოკრატ» № 17,
1910 წ. 25 სექტემბერი
(8 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* აქ ვოინოვმა სასარგებლოდ ჩათვალა... ისიც დაეტრაბახებინა, თითქოს «ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი, ყრილობაზე არჩეული, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ახალი მიმართულებით უკმაყოფილო, გადადგა». სად, როდის, ამხანაგო ვოინოვ?

Объявление от редакции
Рабочей Газеты.

Теперешний журнал рабочих издается и с.д. партии в России не еще продолжается. Причины закрытия органа, которые полным было их интересами, друг и старший среди оставшихся в России с.-д.-ми, уже и среди среди этого кругов сознательных людей народного пролетариата в России, идет курс вновь и опять новый, — Рабочая газета, которая объединяет современное издание. Не есть народный интересы и интересы среди их, которые только принадлежат в возможности работать в нашем журнале, принадлежат в равной возможности.

Первый абзац первого рукописного экземпляра «Рабочей газеты» с подписью Ленина. — 1910 г. октября

Пирველი გვერდი ხელნაწერისა
«განცხადება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის შესახებ». —
1910 წ. ოქტომბერი
დაპატარავებულია

განცხადება «რაბოჩაია გაზეთას» გამოცემის შესახებ[96]

მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მძიმე კრიზისი რუსეთში ჯერ კიდევ გრძელდება. პარტიული ორგანიზაციების დაშლა, ამ ორგანიზაციებიდან ინტელიგენციის თითქმის საერთო გაქცევა, დაბნეულობა და მერყეობა იმათ შორის, ვინც სოციალ-დემოკრატიის ერთგული დარჩა, სასოწარკვეთილება და გულგრილობა მოწინავე პროლეტარიატის საკმაოდ ფართო ფენებში, იმის რწმენის უქონლობა, თუ სად არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა, — ასეთია ის ნიშნები, რომლებითაც თანამედროვე მდგომარეობა განირჩევა. სოციალ-დემოკრატთა შორის ცოტა როდია სულმოკლენი და მცირერწმენიანნი, რომლებიც მზად არიან დაკარგონ გამეფებულ არევ-დარევაში გარკვევის შესაძლებლობის იმედი, დაკარგონ პარტიის, რსდმ პარტიის და მისი რევოლუციური ამოცანებისა და ტრადიციების აღდგენის და განმტკიცების ამოცანის იმედი, მზად არიან ხელი ჩაიქნიონ და ჩაიკეტონ პირადი ცხოვრების ნაჭუჭში ან ვიწრო, წვრილ წრეებში, რომლებიც მარტოოდენ «კულტურულ» მუშაობას ეწევიან და სხვ.

კრიზისი გრძელდება, მაგრამ მისი დასასრული უკვე ნათლად ჩანს ახლა, გამოსავალი გზა საკმაოდ დასახული და მოსინჯულია პარტიის მიერ, დაბნეულობა და მერყეობა უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ გამოკვეთილ და პარტიის მიერ ფრიად გარკვეულად შეფასებულ მიმდინარეობებად, მიმართულებებად, ფრაქციებად, — ხოლო ანტიპარტიულ მიმდინარეობათა გამოკვეთილობა, მათი ნათელი შეფასება უკვე სანახევროდ ნიშნავს დაბნეულობიდან და მერყეობიდან თავის დაღწევას.

სასოწარკვეთილებამ და გულგატეხილობამ რომ არ შეგვიპყროს, საჭიროა მხოლოდ გავიგოთ კრიზისის წყაროების მთელი სიღრმე. ამ კრიზისს ვერ გადავახტებით, მას გვერდს ვერ ავუვლით, ის შეიძლება აღმოვფხვრათ მხოლოდ მედგარი ბრძოლით, რადგან ეს არ არის შემთხვევითი კრიზისი, არამედ იგი წარმოშობილია რუსეთის რ ო გ ო რ ც ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი, ისე პოლიტიკური განვითარების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ეტაპის მიერ. თვითმპყრობელობა ისევე მეფობს, როგორც წინათ. ძალადობანი კიდევ უფრო უხეშია. უუფლებობა კიდევ უფრო ძლიერია. ეკონომიური ჩაგვრა კიდევ უფრო თავხედურია. მაგრამ თვითმპყრობელობას უკვე აღარ შეუძლია მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ძველი საშუალებებით გაძლოს. ის ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა მიმართოს ახალ ცდას, შავრაზმელ მემამულე-მებატონეებთან, ოქტიაბრისტ კაპიტალისტებთან აშკარა კავშირის ცდას, სათათბიროში და სათათბიროს მეშვეობით კავშირის ცდას. ყველასთვის, ვისაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, აშკარაა, რომ ეს ცდა უიმედოა, აშკარაა ახალი რევოლუციური კრიზისის ზრდა. მაგრამ ეს რევოლუციური კრიზისი მზადდება ახალ ვითარებაში, როდესაც ის კლასები და პარტიები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციამდე არ არსებობდნენ, განუზომლად უფრო შეგნებული, შემჭიდროებული, ორგანიზებული არიან. რუსული ლიბერალიზმი კეთილი სურვილების გულკეთილი, მეოცნებე, უფერული და მოუქნელი ოპოზიციიდან იქცა იმ ინტელიგენტი ბურჟუების მტკიცე, პარლამენტურად გაწვრთნილ პარტიად, რომლებიც სოციალისტური პროლეტარიატის შეგნებული მტრები და ბბ. მებატონეთა წინააღმდეგ გლეხთა მასების რევოლუციური ძალადობის შეგნებული მტრები არიან. მუდარით გამოსთხოვდეს დათმობებს მონარქიას, ემუქრებოდეს მას რევოლუციით (რომელიც თვითონ ლიბერალისათვის საძულველი და საშინელია), მუდამ ღალატობდეს განმათავისუფლებელ ბრძოლას და გადადიოდეს მტრის მხარეზე — ასეთია ლიბერალური, კ.-დ., პარტიის გარდუვალი, კლასობრივი ბუნების გამო გარდუვალი, ხვედრი. რუსეთის გლეხობამ დაამტკიცა, რომ მას შესწევს მასობრივი რევოლუ-

ციური ბრძოლის უნარი, თუ ეს ბრძოლა დაწყებულია პროლეტარიატის მიერ, და ცხადყო თავისი თვისება — დაუსრულებლად მერყეობდეს ლიბერალიზმსა და სოციალ-დემოკრატიას შორის. რუსეთის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ერთადერთი ხელმძღვანელი თავისუფლებისათვის (ბურჟუაზიული თავისუფლებისთვისაც კი) ბრძოლაში. და ახლა თავისუფლებისათვის ბრძოლის განგრძობის დიდი ამოცანა შეიძლება გადაწყდეს და გადაწყდება მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით, პროლეტარიატისა, რომელიც მიუძღვის მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს. მოქმედებს რა ახალ ვითარებაში, უფრო შეგნებულ და უფრო შემჭიდროებულ მტრებს შორის, მუშათა კლასმა უნდა გარდაქმნას თავისი პარტიაც, რსდმპ. ხელმძღვანელ-ინტელიგენტის ადგილას ის აყენებს ხელმძღვანელებს მუშათა წრიდან. იზრდება ახალი ტიპი ს.-დ. მუშა პარტიელისა, რომელიც პარტიის მ თ ე ლ საქმეებს დამოუკიდებლად უძღვება და რომელსაც უნარი აქვს წინანდელთან შედარებით ათჯერ და ასჯერ მეტი პროლეტარული მასები დარაზმოს, გააერთიანოს და შეაკავშიროს.

სწორედ ამ ახალ მუშას მივმართავთ კიდეც ჩვენ პირველ რიგში ჩვენი «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა თ ი». ამ მუშამ გადააბიჯა იმ ასაკს, როცა მას შეიძლებოდა მოსწონებოდა, რომ მასთან ელაპარაკნათ, როგორც ბავშვთან, რომ ის ესაზრდოებინათ რძის ფაფით. მას ესაჭიროება იცოდეს ყველაფერი პარტიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ, მისი მშენებლობის, შინაპარტიული ბრძოლის შესახებ. მას არ აშინებს შიშველი სიმართლე პარტიის შესახებ, რომლის განმტკიცებისა, აღდგენისა და გარდაქმნისთვისაც ის მუშაობს. მას კი არ ეხმარება, არამედ ზიანს აყენებს ის ზოგად-რევოლუციური ფრაზები, ის მოტკბო-შემარიგებლური წამოძახილები, რომლებსაც იგი პოულობს «ვპერიოდის» კრებულებში ან ტროცკის გაზეთ «პრავდაში», თუმცა ვერც ერთსა და ვერც მეორეში ვერ

სასოწარკვეთილებამ და გულგატეხილობამ რომ არ შეგვიპყროს, საჭიროა მხოლოდ გავიგოთ კრიზისის წყაროების მთელი სიღრმე. ამ კრიზისს ვერ გადავახტებით, მას გვერდს ვერ აუვლით, ის შეიძლება აღმოვფხვრათ მხოლოდ მედგარი ბრძოლით, რადგან ეს არ არის შემთხვევითი კრიზისი, არამედ იგი წარმოშობილია რუსეთის რ ო გ ო რ ც ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი, ისე პოლიტიკური განვითარების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ეტაპის მიერ. თვითმპყრობელობა ისევე მეფობს, როგორც წინათ. ძალადობანი კიდევ უფრო უხეშია. უუფლებობა კიდევ უფრო ძლიერია. ეკონომიური ჩაგვრა კიდევ უფრო თავხედურია. მაგრამ თვითმპყრობელობას უკვე აღარ შეუძლია მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ძველი საშუალებებით გაძლოს. ის ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა მიმართოს ახალ ცდას, შავრაზმელ მემამულე-მებატონეებთან, ოქტიაბრისტ კაპიტალისტებთან აშკარა კავშირის ცდას, სათათბიროში და სათათბიროს მეშვეობით კავშირის ცდას. ყველასთვის, ვისაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, აშკარაა, რომ ეს ცდა უიმედოა, აშკარაა ახალი რევოლუციური კრიზისის ზრდა. მაგრამ ეს რევოლუციური კრიზისი მზადდება ახალ ვითარებაში, როდესაც ის კლასები და პარტიები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციამდე არ არსებობდნენ, განუზომლად უფრო შეგნებული, შემჭიდროებული, ორგანიზებული არიან. რუსული ლიბერალიზმი კეთილი სურვილების გულკეთილი, მეოცნებე, უფერული და მოუქნელი ოპოზიციიდან იქცა იმ ინტელიგენტი ბურჟუების მტკიცე, პარლამენტურად გაწვრთნილ პარტიად, რომლებიც სოციალისტური პროლეტარიატის შეგნებული მტრები და ბბ. მებატონეთა წინააღმდეგ გლეხთა მასების რევოლუციური ძალადობის შეგნებული მტრები არიან. მუდარით გამოსთხოვდეს დათმობებს მონარქიას, ემუქრებოდეს მას რევოლუციით (რომელიც თვითონ ლიბერალისათვის საძულველი და საშინელია), მუდამ ღალატობდეს განმათავისუფლებელ ბრძოლას და გადადიოდეს მტრის მხარეზე — ასეთია ლიბერალური, კ.-დ., პარტიის გარდუვალი, კლასობრივი ბუნების გამო გარდუვალი, ხვედრი. რუსეთის გლეხობამ დაამტკიცა, რომ მას შესწევს მასობრივი რევოლუ-

ციური ბრძოლის უნარი, თუ ეს ბრძოლა დაწყებულია პროლეტარიატის მიერ, და ცხადყო თავისი თვისება — დაუსრულებლად მერყეობდეს ლიბერალიზმსა და სოციალ-დემოკრატიას შორის. რუსეთის მუშათა კლასმა დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ერთადერთი ხელმძღვანელი თავისუფლებისათვის (ბურჟუაზიული თავისუფლებისთვისაც კი) ბრძოლაში. და ახლა თავისუფლებისათვის ბრძოლის განგრძობის დიდი ამოცანა შეიძლება გადაწყდეს და გადაწყდება მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლით, პროლეტარიატისა, რომელიც მიუძღვის მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს. მოქმედებს რა ახალ ვითარებაში, უფრო შეგნებულ და უფრო შემჭიდროებულ მტრებს შორის, მუშათა კლასმა უნდა გარდაქმნას თავისი პარტიაც, რსდმპ. ხელმძღვანელ-ინტელიგენტის ადგილას ის აყენებს ხელმძღვანელებს მუშათა წრიდან. იზრდება ახალი ტიპი ს.-დ. მუშა პარტიელისა, რომელიც პარტიის მ თ ე ლ საქმეებს დამოუკიდებლად უძღვება და რომელსაც უნარი აქვს წინანდელთან შედარებით ათჯერ და ასჯერ მეტი პროლეტარული მასები დარაზმოს, გააერთიანოს და შეაკავშიროს.

სწორედ ამ ახალ მუშას მივმართავთ კიდეც ჩვენ პირველ რიგში ჩვენი «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა თ ი». ამ მუშამ გადააბიჯა იმ ასაკს, როცა მას შეიძლებოდა მოსწონებოდა, რომ მასთან ელაპარაკნათ, როგორც ბავშვთან, რომ ის ესაზრდოებინათ რძის ფაფით. მას ესაჭიროება იცოდეს ყველაფერი პარტიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ, მისი მშენებლობის, შინაპარტიული ბრძოლის შესახებ. მას არ აშინებს შიშველი სიმართლე პარტიის შესახებ, რომლის განმტკიცებისა, აღდგენისა და გარდაქმნისთვისაც ის მუშაობს. მას კი არ ეხმარება, არამედ ზიანს აყენებს ის ზოგად-რევოლუციური ფრაზები, ის მოტკბო-შემარიგებლური წამოძახილები, რომლებსაც იგი პოულობს «ვპერიოდის» კრებულებში ან ტროცკის გაზეთ «პრავდაში», თუმცა ვერც ერთსა და ვერც მეორეში ვერ

პოულობს პარტიული ხაზისა და პარტიული მდგომარეობის ნათელ, ზუსტსა და პირდაპირ გადმოცემას.

ეს პარტიული მდგომარეობა მეტად ძნელია, მაგრამ მთავარი სიძნელე ის კი არ არის, რომ პარტია საშინლად დასუსტებული და ორგანიზაციები ხშირად სავსებით განადგურებულია, და არც ის, რომ ფრაქციების შინაპარტიული ბრძოლა გამწვავებულია, არამედ ის, რომ სოციალ-დემოკრატ მუშათა მოწინავე ფენამ არასაკმაოდ ნათლად შეიგნო ამ ბრძოლის არსი და მნიშვნელობა, არასაკმაოდ შემჭიდროვდა მისი წარმატებითი წარმოებისათვის, არასაკმაოდ დამოუკიდებლად და არასაკმაოდ ენერგიულად ჩაერია მასში იმ პ ა რ ტ ი უ ლ ი ბ ი რ თ ვ ი ს შესაქმნელად, მხარდასაჭერად და განსამტკიცებლად, რომელსაც რსდმპ დაბნეულობიდან, დაშლიდან და მერყეობიდან გამოყავს მტკიცე გზაზე.

ეს გზა სავსებით დასახულია 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, რომლებიც განვითარებულია ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის პლენუმის გადაწყვეტილებებში. ამ ბირთვს შეადგენს (ოტზოვიზმისა და ბურჟუაზიული ფილოსოფიის მოწინააღმდეგე) ორთოდოქსული ბოლშევიკებისა და (ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე) პარტიული მენშევიკების ის კავშირი, რომელიც ამჟამად ე წ ე ვ ა, საქმით, და არა მარტო ფორმალურ ურთიერთობათა გამო, ეწევა მთავარ მუშაობას რსდმ პარტიაში.

მუშებს ეუბნებიან, რომ ეს კავშირი მხოლოდ აძლიერებს და ამწვავებს ფრაქციულ ბრძოლას, ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან ბრძოლას, «ნაცვლად» იმისა, რომ ებრძოლოს ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმსო. ეს ლიტონი ფრაზაა, ეს მხოლოდ ჩიფჩიფია, რომელიც მუშას მოწიფულ ადამიანად კი არა, ბავშვად თვლის. არასასიამოვნოა ის სიმართლე, რომ მაშინ, როდესაც პარტია დასუსტებულია, როდესაც ორგანიზაციები დანგრეულია, როდესაც საზღვარგარეთის ბაზის არსებობა აუცილებელია, — ყოველგვარი მიმდინარეობა ადვილად შეადგენს პარტიისგან ფაქტიურად სავსებით დამოუკიდებელ და თვითმყოფ საზღვარგარეთულ ფრაქციას,

მაგრამ სასაცილოა (ან დანაშაულია) ეს სიმართლე დავუმალოთ ს.-დ. მუშას, რომელმაც უნდა გარდაქმნას თ ა ვ ი ს ი პარტია გ ა რ კ ვ ე უ ლ ი, ზუსტი, ნათელი პარტიული ხაზის საფუძველზე. ამჟამად ჩვენში გაბატონებულია ფრაქციული ბრძოლის ყველაზე არასასურველი ფ ო რ მ ე ბ ი, ეს უეჭველია; მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ამ ბრძოლის ფ ო რ მ ე ბ ი გარდავქმნათ, საჭიროა მოწინავე მუშებმა ზიზღით კი არ აიბზუონ ცხვირი, ფრაზით კი არ მოიშორონ თავიდან უსიამოვნო ბრძოლის უსიამოვნო ფორმათა გარდაქმნის უსიამოვნო (დილეტანტისათვის, პარტიაში სტუმრად მოსულისათვის) ამოცანა, არამედ შ ე ი გ ნ ო ნ ამ ბრძოლის დედაარსი და მნიშვნელობა და ისე დ ა ა ყ ე ნ ო ნ მუშაობა ადგილებზე, რომ სოციალისტური პროპაგანდის, პოლიტიკური აგიტაციის, პროფესიული მოძრაობის, კოოპერაციული მუშაობის და სხვათა და სხვათა თ ვ ი თ ე უ ლ საკითხში გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ო ნ ის მიჯნა, რომლის იქითაც იწყება გადახვევა ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი დ ა ნ ლიბერალური ლიკვიდატორობისაკენ ან ნახევრადანარქისტული ოტზოვიზმისაკენ, ულტიმატიზმისაკენ და სხვა, წ ა რ მ ა რ თ ო ნ პ ა რ ტ ი უ ლ ი ს ა ქ მ ე სწორი ხაზით, რომელსაც ეს მიჯნები განსაზღვრავენ. «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩვენ იმას ვსახავთ, რომ დაეხმაროს მუშებს ამ მიჯნების განსაზღვრაში რუსეთის თანამედროვე სინამდვილის თვითეულ უმნიშვნელოვანეს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ საკითხზე.

მუშებს ეუბნებიან: ცენტრალური კომიტეტის 1910 წ. იანვრის პლენუმის (სრული კრების) სწორედ გამაერთიანებელმა ცდამ ცხადყო უნაყოფობა და დაუბოლოებლობა შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლისა, რომელმაც «ჩაფუშა» გაერთიანებაო. ასე ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ან საქმეს არ იცნობენ, ან აზროვნების არავითარი უნარი არ შესწევთ, ანდა თავიანთ ნამდვილ მიზნებს მ ა ლ ა ვ ე ნ ამა თუ იმ წკრიალა, კეთილხმოვანი და არაფრისმთქმელი ფრაზებით. პლენუმმა «გული გაუტეხა» მხოლოდ იმათ, ვისაც ეშინოდა სიმართლისთვის თვალი გაესწორებინა და თავს ილუზიებით

ინუგეშებდა. თუმცა «შემარიგებლური დომხალი» პლენუმზე ხანდახან ძალიან დიდი იყო, მაგრამ შედეგად მივიღეთ სწორედ ის გაერთიანება, როგორიც კი შესაძლებელია, როგორიც კი საჭიროა. თუ ლიკვიდატორებმა და ოტზოვისტებმა ხ ე ლ ი მ ო ა წ ე რ ე ს რეზოლუციას ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან ბრძოლის შესახებ, ხოლო მეორე დღეს კიდევ უფრო «გულმოდგინედ» შეუდგნენ ძველ საქმიანობას, ამან მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ შეუძლებელია პარტიამ არაპარტიული ელემენტების იმედი იქონიოს, მხოლოდ უფრო ნათელყო, თუ როგორია ეს ელემენტები. პარტია ნებაყოფლობითი კავშირია, და გაერთიანება შესაძლებელი და სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როცა ერთიანდებიან ის ადამიანები, რომელთაც სურთ და შეუძლიათ გაატარონ თუნდაც რამდენადმე კეთილსინდისიერი საერთო პარტიული ხაზი, უფრო სწორად რომ ვთქვათ: რომლებიც დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ (თავისი იდეებით, თავისი ტენდენციებით) ს ა ე რ თ ო პარტიული ხაზის გატარებით. გაერთიანება შეუძლებელი და საზიანოა, როცა ის ცდილობს დააბნიოს და მიჩქმალოს ამ ხაზის შეგნება, როცა ის ცდილობს ფიქციური კავშირით ერთმანეთთან დააკავშიროს ისინი, ვინც პარტიას გადაჭრით ეჭაჩება ანტიპარტიული მიმართულებით. და გაერთიანება ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ძ ი რ ი თ ა დ ჯგუფებს შორის მიღწეულია პლენუმის მიერ და განმტკიცებულია, თუ პლენუმის მეოხებით არა, პლენუმის საშუალებით მაინც.

იმ მუშას, რომელსაც არ სურს, რომ მას ბავშვსავით ელაპარაკებოდნენ, არ შეუძლია არ ესმოდეს, რომ ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი ისეთივე არა შემთხვევითი, თავისი ფესვებით ღრმად ძირგადგმული მიმდინარეობანია, როგორც ბოლშევიზმი და მენშევიზმი. მხოლოდ ზღაპრების შემთხზველნი «მუშებისათვის» განმარტავენ ამ ფრაქციების განსხვავებას «ინტელიგენტური» დავით. ნამდვილად ეს ორი მიმართულება, რომლებმაც თავისი დაღი დაასვეს რუსეთის რევოლუციის მთელ ისტორიას, რუსეთში მასობრივი მუშათა მოძრაობის მთელ პირველ წლებს (და მრავალმხრივ ყველაზე

მნიშვნელოვან წლებს), წარმოშვა ბატონყმურიდან ბურჟუა-ზიულ ქვეყნად რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნის თვით პროცესმა, წარმოშვეს სხვადასხვა ბურჟუა-ზიული კლასის იმ გავლენებმა, რომლებიც პროლეტარიატზე მოქმედებდნენ, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ: წარმოშვა ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენის იმ ვითარებამ, რომელშიაც პროლეტარიატი მოქმედებდა. აქედან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია რუსეთში სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება ერთ-ერთი მიმართულების მოსპობის გზით იმ ორი მიმარ-თულებიდან, რომლებიც ჩამოყალიბდნენ რევოლუციის დროს მუშათა კლასის ყველაზე აშკარა, ყველაზე ფართო, მასობ-რივი, თავისუფალი, ისტორიულად მნიშვნელოვანი მოქმედე-ბის ეპოქაში. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, აგრეთვე, რომ არა კეთილსასურველ ფრაზებში ერთიანობის, ფრაქციების მოსპობისა და სხვათა შესახებ, არამედ მხოლოდ ორი ფრაქ-ციის შინაგან განვითარებაშია მოცემული მათი რეალური დაახლოების საფუძვლები. სწორედ ასეთ დაახლოებას განიც-დის კიდეც მუშათა კლასის პარტია მას შემდეგ, რაც ჩვენ, ბოლშევიკებმა, 1909 წლის გაზაფხულზე საბოლოოდ დავასა-მარეთ «ოტზოვიზმი»[97], ხოლო პარტიულმა მენშევიკებმა, პლეხანოვის მეთაურობით, არანაკლებ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობა ო რ ი ვ ე ფრაქციაში რომ ოტზოვიზ-მისა და ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დგას, ეს უეჭველია. ამიტომ, რაგინდ მძიმე, ხანდახან ძნელი და ყო-ველთვის უსიამოვნო იყოს შინაპარტიული ბრძოლა ამ ნიადაგ-ზე, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მოვლენის დ ე დ ა ა რ ს ი მისი ფ ო რ მ ი ს გულისათვის. ხეებს ხედავენ და ტყეს ვერა ისი-ნი, ვინც ამ ბრძოლის საფუძველში (პარტიის ახლანდელი მდგომარეობის დროს ფრაქციათა ბრძოლის გარდუვალ ფორ-მაში) ვერ ხედავს შეგნებულ სოციალ-დემოკრატ მუშათა ძირითადი პარტიული ბირთვის შ ე მ ჭ ი დ რ ო ე ბ ი ს პროცესს.

ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული ბირთვის ასეთი შემჭიდროების მიზნებს გაუწევს სამსახურს «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ც», რომელსაც ვაარსებთ ჩვენ, ბოლშევიკები, რომლებმაც მივიღეთ პარტიული მენშევიკების (პლეხანოვის მეთაურობით) თანხმობა ჩვენი გამოცემისადმი მხარდაჭერის შესახებ. ეს გამოცემა ძალაუნებურად უნდა გამოვიდეს, როგორც ფრაქციული გამოცემა, როგორც ბოლშევიკების ფრაქციული წამოწყება. ალბათ, აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც აქაც ხეებს იქით ტყეს ვერ შენიშნავენ და ასტეხენ ყვირილს «უ კ ა ნ» ფრაქციულობისაკენ დაბრუნების შესახებ. რაკი დაწვრილებით გადმოვეცით ჩვენი შეხედულება ნამდვილად მიმდინარე, ნამდვილად საყურადღებო და აუცილებელი პარტიული გაერთიანების არსსა და მნიშვნელობაზე, ჩვენ ამით უკვე ცხადვყავით, თუ რა ფასი აქვს მსგავს საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მხოლოდ გაერთიანების საკითხის დ ა ხ ლ ა რ თ ვ ი ს ა და ამა თუ იმ ფრაქციული მიზნის დ ა ფ ა რ ვ ი ს მომასწავებელი იქნებოდა. ჩვენ კი ყველაზე მეტად ის გვინდა, რომ «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» დაეხმაროს მუშებს — სრული სიცხადით და ბოლომდე გაიგონ მთელი პარტიული მდგომარეობა და ყველა პარტიული ამოცანა.

ვიწყებთ რა «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» გამოცემას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიც, ადგილობრივი ორგანიზაციებიც და შეგნებულ მუშათა ცალკეული ჯგუფებიც, რომლებიც ამჟამად პარტიისაგან მოწყვეტილი არიან. ჩვენ ცენტრალური კომიტეტის დახმარების იმედი გვაქვს, რადგან ვიცით, რომ მთელი რიგი თვეების განმავლობაში იგი ვერ ახერხებდა თავისი მუშაობის ს წ ო რ ა დ დაყენებას რუსეთში, ვერ ახერხებდა სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებსა და პარტიულ მენშევიკებს გარდა იგი ვ ე რ ს ა დ ვერ ხვდებოდა დახმარებას, ხშირად კი სხვა ფრაქციები მას პირდაპირ ხელს უშლიდნენ. ცენტრალური კომიტეტის არსებობის ეს მძიმე ხანა გაივლის, და იმისათვის, რომ მან უფრო ჩქარა განვ-

ლოს, ჩვენ უბრალოდ კი არ უნდა «ველოდოთ», ვიდრე ცენტრალური კომიტეტი აღდგებოდეს, ვიდრე ის განმტკიცდებოდეს და სხვა, არამედ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ უნდა შეუდგეთ, ცალკეული ჯგუფებისა და ცალკეული ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით, იმას, რომ მოვაგვაროთ — პირველად თუნდაც სულ მცირე მოცულობით — პარტიული ხაზისა და ნ ა მ დ ვ ი ლ ი პარტიული ერთიანობის განმტკიცების სწორედ ის საქმე, რომლისთვისაც ყველაზე მეტად მუშაობს ცენტრალური კომიტეტიც. ჩვენ ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მუშათა ცალკეული ჯგუფების დახმარების იმედი გვაქვს, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მათ აქტიურ მუშაობას გაზეთისათვის, მხოლოდ და მხოლოდ მათგან მხარდაჭერას, მათ გამოხმაურებას, მათ სტატიებს, მასალებს, ცნობებსა და შენიშვნებს შეუძლია ფეხზე დააყენოს და უზრუნველყოს «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» წარმართვა.

დაწერილია 1910 წ. ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1937 წ.
5 მაისს გაზეთ «პრავდაში», № 122

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რევოლუციის გაკვეთილები

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1905 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა პირველი მძლავრი ლახვარი ჩასცა მეფის თვითმპყრობელობას. იმ დიად დღეებში პროლეტარიატმა მშრომელთა მილიონები აამხედრა მათი მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1905 წლის რამდენიმე თვეში მან მოიპოვა ისეთი გაუმჯობესებანი, რომელთაც მუშები ათობით წლების განმავლობაში ამაოდ ელოდებოდნენ «უფროსებისაგან». პროლეტარიატმა მოუპოვა მთელ რუს ხალხს, თუმცა მოკლე ხნით, რუსეთში არნახული თავისუფლება პრესისა, კრებებისა, კავშირებისა. მან თავისი გზიდან აღგავა ყალბი ბულიგინის სათათბირო, გამოსტაცა მეფეს მანიფესტი კონსტიტუციის შესახებ და ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელი გახადა რუსეთის მართვა წარმომადგენლობითი დაწესებულებების გარეშე.

პროლეტარიატის დიდი გამარჯვებანი ნახევრადგამარჯვებანი აღმოჩნდა, იმიტომ რომ მეფის ხელისუფლება არ იქნა დამხობილი. დეკემბრის აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, და მეფის თვითმპყრობელობამ დაიწყო მუშათა კლასის მონაპოვართა ზედიზედ წართმევა იმისდაკვლად, როგორც სუსტდებოდა მუშათა კლასის შეტევა, სუსტდებოდა მასების ბრძოლა. 1906 წელს მუშათა გაფიცვები, გლეხთა და ჯარისკაცთა მღელვარებანი გაცილებით უფრო სუსტი იყო, ვიდრე 1905 წელს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო. მეფემ გარეკა პირველი სათათბირო, რომლის დროსაც კვლავ დაიწყო ხალხის ბრძოლის განვითარება, მაგრამ მან ვერ გაბედა

Рабочая газета. Пролетарии всѣхъ странъ, соединяйтесь!

РАБОЧАЯ ГАЗЕТА

JOURNAL OUVRIER

№ 1. 10 декабря (23 октября) 1910 г. Цѣна 10 коп.

Уроки революціи

[illegible]

[illegible]

[illegible]

ერთბაშად შეეცვალა საარჩევნო კანონი. 1907 წელს მუშათა ბრძოლა კიდევ უფრო შესუსტდა, და მეფემ, მეორე სათათბირო რომ გარეკა, მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება (1907 წლის 3 ივნისს); მან დაარღვია ყველა თავისი უარრეს-ად საზეიმო დაპირება არ გამოეცა კანონები სათათბიროს თანხმობის გარეშე და საარჩევნო კანონი შეცვალა ისე, რომ სათათბიროში უმრავლესობა დანამდვილებით ხვდებოდათ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, შავრაზმელთა პარტიას და მათს მსახურთ.

რევოლუციის გამარჯვებებმაც და დამარცხებებმაც უდიდესი ისტორიული გაკვეთილები მისცა რუს ხალხს. 1905 წლის ხუთი წლისთავის ზეიმით აღნიშვნასთან დაკავშირებით, შევეცდებით გავარკვიოთ ამ გაკვეთილების მთავარი შინაარსი.

პირველი და ძირითადი გაკვეთილი ის არის, რომ მხოლოდ მასების რევოლუციურ ბრძოლას შეუძლია მიაღწიოს რამდენადმე სერიოზულ გაუმჯობესებებს მუშათა ცხოვრებასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. განათლებულ ადამიანთა ვერავითარმა «თანაგრძნობამ» მუშებისადმი, მარტოხელა ტერორისტთა ვერავითარმა გმირულმა ბრძოლამ ვერ შესძლო ძირი გამოეთხარა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტთა ყოვლისშემძლეობისათვის. მხოლოდ თვით მუშათა ბრძოლას, მხოლოდ მილიონების შეერთებულ ბრძოლას შეეძლო გაეკეთებინა ეს, და როცა ასეთი ბრძოლა სუსტდებოდა, მაშინვე იწყებოდა იმის წართმევა, რაც მუშებმა მოიპოვეს. რუსეთის რევოლუციამ დაადასტურა ის, რაც ნათქვამია მუშათა საერთაშორისო სიმღერაში:

«მონობისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის
ვერც ღმერთი, მეფე, ვერც გმირი,
თავისუფლებას მოგვანიჭებს
ჩვენივე მკლავი ძლიერი!»

მეორე გაკვეთილი ის არის, რომ მეფის ხელისუფლების შერყევა, მისი შეზღუდვა საკმარისი არაა. ის მოსპობილ უნდა იქნას. ვიდრე მეფის ხელისუფლება

მოსპობილი არ არის, მეფის დათმობები ყოველთვის არამტკიცე იქნება. მეფე დათმობებს აკეთებდა, როცა რევოლუციის შეტევა ძლიერდებოდა, და ყველა დათმობა უკან მიჰქონდა, როცა შეტევა სუსტდებოდა. მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებას ბრძოლით, მეფის ხელისუფლების დამხობას, ძალაუფლების გადასვლას ხალხის ხელში შეუძლია იხსნას რუსეთი მოხელეთა ძალადობისა და თვითნებობისაგან, შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ სათათბიროსაგან, მემამულეთა და მათი მსახურების ყოვლისშემძლეობისაგან სოფლად. თუ გლეხთა და მუშათა უბედურება ახლა, რევოლუციის შემდეგ, კიდევ უფრო მძიმე გახდა, ვიდრე წინათ იყო, ეს იმის საზღაურია, რომ რევოლუცია სუსტი იყო, რომ მეფის ხელისუფლება დამხობილი არ იქნა. 1905 წელმა, შემდეგ კი პირველმა ორმა სათათბირომ და მათმა გარეკვამ ხალხს ძალიან ბევრი რამ ასწავლა, უწინარეს ყოვლისა ასწავლა საერთო ბრძოლა პოლიტიკური მოთხოვნებისათვის. ხალხი, პოლიტიკური ცხოვრებისათვის რომ იღვიძებდა, თავდაპირველად თვითმპყრობელობისაგან მოითხოვდა დათმობებს: რომ მეფეს მოეწვია სათათბირო, რომ მეფეს ძველი მინისტრები შეეცვალა ახალი მინისტრებით, რომ მეფეს «მიეცა» საყოველთაო საარჩევნო უფლება. მაგრამ თვითმპყრობელობა არ თანხმდებოდა და არც შეეძლო დათანხმებოდა ასეთ მოთხოვნებს. დათმობათა თხოვნას თვითმპყრობელობა ხიშტებით უპასუხებდა. და მაშინ ხალხმა თანდათან შეიგნო თვითმპყრობელური ძალაუფლების წინააღმდეგ ბ რ ძ ო ლ ი ს აუცილებლობა. ახლა სტოლიპინი და შავი, მებატონეთა სათათბირო, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტი ძალით ნერგავენ ამ შეგნებას გლეხთა გონებაში. ნერგავენ და დანერგავენ.

მეფის თვითმპყრობელობამაც მიიღო რევოლუციისაგან გაკვეთილი. მან დაინახა, რომ მეფისადმი გლეხთა რწმენაზე დაყრდნობა არ შეიძლება. იგი ცდილობს ახლა თავისი ძალაუფლება განამტკიცოს შავრაზმელ მემამულეებთან და ოქტიაბრისტ მეფაბრიკეებთან კავშირის მეშვეობით. მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად ახლა საჭიროა რევოლუ-

ციური მასობრივი ბრძოლის ბევრად უფრო ძლიერი შეტევა, ვიდრე 1905 წელს იყო.

შესაძლებელია თუ არა ასეთი ბევრად უფრო ძლიერი შეტევა? ამ კითხვის პასუხს მივყავართ რევოლუციის მ ე ს ა მ ე დ ა ყ ვ ე ლ ა ზ ე მ თ ა ვ ა რ გაკვეთილამდე. ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვნახეთ, თუ რ ო გ ო რ მოქმედებს რუსი ხალხის სხვადასხვა კლასი. 1905 წლამდე ბევრს ეგონა, რომ მთელი ხალხი ერთნაირად მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ და ერთნაირი თავისუფლება სურს; ყოველ შემთხვევაში, უდიდეს უმრავლესობას არავითარი ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ რუსი ხალხის სხვადასხვა კლასი თავისუფლებისათვის ბრძოლას სხვადასხვაგვარად ეკიდება და არაერთნაირი თავისუფლების მოპოვებას ცდილობს. რევოლუციამ ბურუსი გაფანტა. 1905 წლის დამლევს, შემდეგ კი აგრეთვე პირველი და მეორე სათათბიროს დროს რუსეთის საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასი აშკარად გამოვიდა. მათ საქმით გამოავლინეს თავიანთი თავი, გამოააშკარავეს, როგორია მათი ნამდვილი მისწრაფებანი, რისთვის შეუძლიათ მათ იბრძოლონ და რამდენად ძლიერად, შედგრად, ენერგიულად შეუძლიათ იბრძოლონ.

ფაბრიკა-ქარხნის მუშები, სამრეწველო პროლეტარიატი უაღრესად გადამწყვეტ და უაღრესად მედგარ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პროლეტარიატმა რევოლუცია დაიწყო ცხრა იანვრითა და მასობრივი გაფიცვებით. პროლეტარიატმა ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა, როცა 1905 წლის დეკემბერში აღსდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის, აღსდგა გლეხთა დასაცავად, რომელთაც ხვრეტდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ. გაფიცულ მუშათა რიცხვი 1905 წელს დაახლოებით ს ა მ ი მ ი ლ ი ო ნ ი იყო (რკინიგზელებსა, ფოსტის მოსამსახურეებსა და სხვებთან ერთად კი, ალბათ, ოთხ მილიონს აღწევდა), 1906 წელს — ერთი მილიონი, 1907 წელს — ³/₄ მილიონი. ამგვარი ძალის საგაფიცვო მოძრაობა მსოფლიოს ჯერ არ უნახავს. რუსეთის პროლეტარიატმა ცხადყო, რა დაუშრეტელი ძალები იფარება მუშათა მასებ-

მოსპობილი არ არის, მეფის დათმობები ყოველთვის არამტკიცე იქნება. მეფე დათმობებს აკეთებდა, როცა რევოლუციის შეტევა ძლიერდებოდა, და ყველა დათმობა უკან მიჰქონდა, როცა შეტევა სუსტდებოდა. მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვებას ბრძოლით, მეფის ხელისუფლების დამხობას, ძალაუფლების გადასვლას ხალხის ხელში შეუძლია იხსნას რუსეთი მოხელეთა ძალადობისა და თვითნებობისაგან, შავრაზმულ-ოქტიაბრისტულ სათათბიროსაგან, მემამულეთა და მათი მსახურების ყოვლისშემძლეობისაგან სოფლად. თუ გლეხთა და მუშათა უბედურება ახლა, რევოლუციის შემდეგ, კიდევ უფრო მძიმე გახდა, ვიდრე წინათ იყო, ეს იმის საზღაურია, რომ რევოლუცია სუსტი იყო, რომ მეფის ხელისუფლება დამხობილი არ იქნა. 1905 წელმა, შემდეგ კი პირველმა ორმა სათათბირომ და მათმა გარეკვამ ხალხს ძალიან ბევრი რამ ასწავლა, უწინარეს ყოვლისა ასწავლა საერთო ბრძოლა პოლიტიკური მოთხოვნებისათვის. ხალხი, პოლიტიკური ცხოვრებისათვის რომ იღვიძებდა, თავდაპირველად თვითმპყრობელობისაგან მოითხოვდა დათმობებს: რომ მეფეს მოეწვია სათათბირო, რომ მეფეს ძველი მინისტრები შეეცვალა ახალი მინისტრებით, რომ მეფეს «მიეცა» საყოველთაო საარჩევნო უფლება. მაგრამ თვითმპყრობელობა არ თანხმდებოდა და არც შეეძლო დათანხმებოდა ასეთ მოთხოვნებს. დათმობათა თხოვნას თვითმპყრობელობა ხიშტებით უპასუხებდა. და მაშინ ხალხმა თანდათან შეიგნო თვითმპყრობელური ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. ახლა სტოლიპინი და შავი, მებატონეთა სათათბირო, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტი ძალით ნერგავენ ამ შეგნებას გლეხთა გონებაში. ნერგავენ და დანერგავენ.

მეფის თვითმპყრობელობამაც მიიღო რევოლუციისაგან გაკვეთილი. მან დაინახა, რომ მეფისადმი გლეხთა რწმენაზე დაყრდნობა არ შეიძლება. იგი ცდილობს ახლა თავისი ძალაუფლება განამტკიცოს შავრაზმელ მემამულეებთან და ოქტიაბრისტ მეფაბრიკეებთან კავშირის მეშვეობით. მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად ახლა საჭიროა რევოლუ-

ციური მასობრივი ბრძოლის ბევრად უფრო ძლიერი შეტევა, ვიდრე 1905 წელს იყო.

შესაძლებელია თუ არა ასეთი ბევრად უფრო ძლიერი შეტევა? ამ კითხვის პასუხს მივყავართ რევოლუციის მ ე ს ა მ ე დ ა ყ ვ ე ლ ა ზ ე მ თ ა ვ ა რ გაკვეთილამდე. ეს გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვნახეთ, თუ რ ო გ ო რ მოქმედებს რუსი ხალხის სხვადასხვა კლასი. 1905 წლამდე ბევრს ეგონა, რომ მთელი ხალხი ერთნაირად მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ და ერთნაირი თავისუფლება სურს; ყოველ შემთხვევაში, უდიდეს უმრავლესობას არავითარი ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ რუსი ხალხის სხვადასხვა კლასი თავისუფლებისათვის ბრძოლას სხვადასხვაგვარად ეკიდება და არაერთნაირი თავისუფლების მოპოვებას ცდილობს. რევოლუციამ ბურუსი გაფანტა. 1905 წლის დამლევს, შემდეგ კი აგრეთვე პირველი და მეორე სათათბიროს დროს რუსეთის საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასი აშკარად გამოვიდა. მათ საქმით გამოავლინეს თავიანთი თავი, გამოააშკარავეს, როგორია მათი ნამდვილი მისწრაფებანი, რისთვის შეუძლიათ მათ იბრძოლონ და რამდენად ძლიერად, შედგრად, ენერგიულად შეუძლიათ იბრძოლონ.

ფაბრიკა-ქარხნის მუშები, სამრეწველო პროლეტარიატი უაღრესად გადამწყვეტ და უაღრესად მედგარ ბრძოლას ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პროლეტარიატმა რევოლუცია დაიწყო ცხრა იანვრითა და მასობრივი გაფიცვებით. პროლეტარიატმა ბრძოლა ბოლომდე მიიყვანა, როცა 1905 წლის დეკემბერში აღსდგა შეიარაღებული აჯანყებისათვის, აღსდგა გლეხთა დასაცავად, რომელთაც ხვრეტდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ. გაფიცულ მუშათა რიცხვი 1905 წელს დაახლოებით ს ა მ ი მ ი ლ ი ო ნ ი იყო (რკინიგზელებსა, ფოსტის მოსამსახურეებსა და სხვებთან ერთად კი, ალბათ, ოთხ მილიონს აღწევდა), 1906 წელს — ერთი მილიონი, 1907 წელს — ¾ მილიონი. ამგვარი ძალის საგაფიცვო მოძრაობა მსოფლიოს ჯერ არ უნახავს. რუსეთის პროლეტარიატმა ცხადყო, რა დაუშრეტელი ძალები იფარება მუშათა მასებ-

ში, როდესაც მწიფდება ნამდვილად რევოლუციური კრიზისი. მსოფლიოში უდიდესმა 1905 წლის საგაფიცვო ტალღამ ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ ამოსწურა პროლეტარიატის მთელი საბრძოლო ძალები. მაგალითად, მოსკოვის საფაბრიკო ოლქში იყო 567 ათასი ფაბრიკა-ქარხნის მუშა და 540 ათასი გაფიცული, პეტერბურგის ოლქში კი — 300 ათასი ფაბრიკა-ქარხნის მუშა და 1 მილიონი გაფიცული. მაშასადამე, მოსკოვის რაიონის მუშებს ჯერ კიდევ სრულიადაც არ განუვითარებიათ ბრძოლაში ისეთი სიმტკიცე, როგორიც პეტერბურგის მუშებმა განავითარეს. ლიფლანდიის გუბერნიაში (ქალაქი რიგა) კი 50 ათას მუშაზე მოდიოდა 250 ათასი გაფიცული, ესე იგი თვითეული მუშა, საშუალოდ, ხუთჯერ და მეტხელ გაიფიცა 1905 წელს. ახლა მთელ რუსეთში ფაბრიკის, სამთამადნო და რკინიგზის მუშების რიცხვი უსათუოდ არანაკლებ სამი მილიონია, და ეს რიცხვი ყოველ წელს მატულობს; მოძრაობის ისეთი ძალის დროს, როგორიც რიგაში იყო 1905 წელს, მათ შეეძლოთ გამოეყვანათ 15 მილიონი გაფიცულის არმია.

ასეთ შეტევას ვერავითარი მეფის ხელისუფლება ვერ გაუძლებდა. მაგრამ ყველას ესმის, რომ ამგვარი შეტევის ხელოვნურად, სოციალისტების ან მოწინავე მუშების სურვილით გამოწვევა არ შეიძლება. ასეთი შეტევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთელ ქვეყანას ედება კრიზისი, აღშფოთება, რევოლუცია. ასეთი შეტევის მოსამზადებლად საჭიროა ბრძოლაში ჩავაბათ მუშათა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, საჭიროა წლების მანძილზე ვეწეოდეთ მედგარ, ფართო, განუხრელ პროპაგანდისტულ, სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას, ვქმნიდეთ და განვამტკიცებდეთ პროლეტარიატის ყოველგვარი სახის კავშირებსა და ორგანიზაციებს.

ბრძოლის სიძლიერით რუსეთის მუშათა კლასი რუსი ხალხის ყველა დანარჩენ კლასზე წინ იდგა. თვით მუშათა ცხოვრების პირობები ხდის მათ ბრძოლისუნარიანს და უბიძგებს საბრძოლველად. კაპიტალი მუშებს თავს უყრის დიდ მასებად მსხვილ ქალაქებში, ამჭიდროებს მათ, ასწავლის ერთობლივად

მოქმედებას. მუშები ყოველ ნაბიჯზე პირდაპირ ეჯახებიან თავიანთ მთავარ მტერს — კაპიტალისტთა კლასს. ამ მტერს რომ ებრძვის, მუშა ხდება სოციალისტი, მიდის მთელი საზოგადოების სრული გარდაქმნის, ყოველგვარი სიღატაკისა და ყოველგვარი ჩაგვრის სრული მოსპობის აუცილებლობის შეგნებამდე. სოციალისტები რომ ხდებიან, მუშები თავდადებული სიმამაცით იბრძვიან ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მათ გზაზე ეღობება, და უწინარეს ყოვლისა მეფის ხელისუფლებისა და მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ.

გლეხებიც გამოვიდნენ მემამულეთა წინააღმდეგ და მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად რევოლუციაში, მაგრამ მათი ბრძოლა გაცილებით უფრო სუსტი იყო. გამოანგარიშებულია, რომ ფაბრიკის მუშებისგან რევოლუციურ ბრძოლაში, გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდა უმრავლესობა (3/4-მდე), გლეხებისგან კი, უეჭველია, მხოლოდ უმცირესობა: ალბათ, არა უმეტეს ერთი მეხუთედი ან ერთი მეოთხედი ნაწილი. გლეხები იბრძოდნენ უფრო ნაკლები სიმტკიცით, უფრო დაქსაქსულად, უფრო ნაკლებ შეგნებულად და არაიშვიათად მათ ჯერ კიდევ მეფე-მამის გულკეთილობის იმედი ჰქონდათ. 1905 — 1906 წლებში გლეხებმა, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ცოტათი დააფრთხეს მეფე და მემამულენი. ხოლო ისინი ცოტათი კი არ უნდა დავაფრთხოთ, ისინი უნდა მოვსპოთ, მათი მთავრობა — მეფის მთავრობა მიწის პირისაგან უნდა აღვგავოთ. ახლა სტოლიპინი და შავი, მემამულური, სათათბირო ცდილობენ მდიდარ გლეხთაგან შექმნან ახალი მემამულე-ხუტორელები, მეფისა და შავი რაზმის მოკავშირენი. მაგრამ რაც უფრო მეტად ეხმარებიან მეფე და სათათბირო მდიდარ გლეხებს გლეხთა მასის გაჩანაგებაში, მით უფრო შეგნებული ხდება ეს მასა, მით უფრო ნაკლებად შეინარჩუნებს ის მეფისადმი რწმენას, ყმა მონების რწმენას, ჩაგრულ და ბნელ ადამიანთა რწმენას. სოფლად ყოველწლიურად სულ უფრო მატულობს სოფლის მუშათა რიცხვი, — მათ არსად არ შეუძლიათ ჰპო-

ვონ ხსნა, თუ არა ქალაქის მუშებთან კავშირში საერთო ბრძოლისათვის. სოფლად ყოველწლიურად სულ უფრო მატულობს გაჩანაგებულ, სულმთლად გაღატაკებულ, დამშეულ გლეხთა რიცხვი, — მათგან მილიონები და მილიონები ჩაებმებიან, როდესაც ქალაქის პროლეტარიატი აღსდგება, უფრო მედგარ, უფრო დარაზმულ ბრძოლაში მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

რევოლუციაში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ლიბერალური ბურჟუაზია, ე. ი. ლიბერალური მემამულენი, მეფაბრიკენი, ვექილები, პროფესორები და სხვანი. ისინი შეადგენენ «სახალხო თავისუფლების» პარტიას (კ.-დ., კადეტები). ისინი ბევრს ჰპირდებოდნენ ხალხს და ბევრს ხმაურობდნენ თავისუფლების შესახებ თავიანთ გაზეთებში. მათ დეპუტატების უმრავლესობა ჰყავდათ პირველ და მეორე სათათბიროში. ისინი დაპირებას იძლეოდნენ «მშვიდობიანი გზით» მოეპოვებინათ თავისუფლება, ისინი გმობდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას. გლეხებს და მრავალ გლეხ დეპუტატს («ტრუდოვიკს») სჯეროდათ ეს დაპირება და ისინი მორჩილად და უსიტყვოდ მიყვებოდნენ ლიბერალებს, განზე უდგნენ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. ეს იყო გლეხთა (და მრავალ ქალაქელთა) უდიდესი შეცდომა რევოლუციის დროს. ლიბერალები ცალი ხელით, — და ისიც ძალიან, ძალიან იშვიათად, — ეხმარებოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას, მეორე ხელს კი ყოველთვის უწვდიდნენ მეფეს, პირდებოდნენ მას, რომ შეინარჩუნებდნენ და განამტკიცებდნენ მის ხელისუფლებას, შეარიგებდნენ გლეხებს მემამულეებთან, დაამშვიდებდნენ «მძვინვარე» მუშებს.

როცა რევოლუცია მივიდა მეფის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლამდე, 1905 წლის დეკემბრის აჯანყებამდე, მთლიანად ყველა ლიბერალმა უსინდისოდ უღალატა ხალხის თავისუფლებას, ზურგი შეაქცია ბრძოლას. მეფის თვითმპყრობელობამ ისარგებლა ხალხის თავისუფლებისადმი ლიბერალების ამ ღალატით, ისარგებლა გლეხთა სიბნელით, რომლებსაც ლიბერალების ბევრი რამ სჯეროდათ, და დაამარცხა აჯანყებული

მუშები. ხოლო როდესაც პროლეტარიატი დამარცხდა, ვერავითარმა სათათბირომ, კადეტების ვერავითარმა ტკბილმა სიტყვებმა, მათმა ვერავითარმა დაპირებამ ვერ შეაჩერა მეფე თავისუფლების ყველა ნაშთის მოსპობისაგან, თვითმპყრობელობისა და მებატონე-მემამულეთა ყოვლისშემძლეობის აღდგენისაგან.

ლიბერალები მოტყუებული აღმოჩნდნენ. გლეხებმა მძიმე, მაგრამ სასარგებლო გაკვეთილი მიიღეს. რუსეთში თავისუფლება არ იქნება მანამდე, ვიდრე ხალხის ფართო მასებს ლიბერალების სჯერათ, მეფის ხელისუფლებასთან «ზავის» შესაძლებლობა სჯერათ, ვიდრე ისინი მუშათა რევოლუციურ ბრძოლას განზე უდგანან. ვერავითარი ძალა დედამიწაზე ვერ შეაჩერებს თავისუფლების განხორციელებას რუსეთში, როცა საბრძოლველად აღსდგება ქალაქის პროლეტარიატის მასა, როცა ის გვერდზე გადააყენებს მერყევ და გამცემ ლიბერალებს და გაუძღვება სოფლის მუშებსა და გაჩანაგებულ გლეხობას.

ხოლო რუსეთის პროლეტარიატი რომ ასეთი ბრძოლისათვის აღსდგება, იგი რომ რევოლუციას კვლავ სათავეში ჩაუდგება, — ამის თავდებია რუსეთის მთელი ეკონომიური მდგომარეობა, რევოლუციური წლების მთელი გამოცდილება.

ხუთი წლის წინათ პროლეტარიატმა პირველი ლახვარი ჩასცა მეფის თვითმპყრობელობას. რუსი ხალხისათვის გაიელვეს თავისუფლების პირველმა სხივებმა. ახლა კვლავ აღდგენილია მეფის თვითმპყრობელობა, კვლავ მეფობენ და მართავენ მებატონეები, კვლავ ყველგან მიმართავენ ძალადობას მუშებისა და გლეხებისადმი, ყველგან ადგილი აქვს ხელისუფალთა აზიურ თვითნებობას, ხალხის საზიზღარ აბუჩად აგდებას. მაგრამ მძიმე გაკვეთილები ამაოდ არ ჩაივლის. რუსი ხალხი ის აღარ არის, რაც 1905 წლამდე იყო. პროლეტარიატმა ასწავლა მას ბრძოლა. პროლეტარიატი მიიყვანს მას გამარჯვებამდე.

«რაბოჩაია გაზეტა» № 1,
1910 წ. 30 ოქტომბერი (12 ნოემბერი)

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

ორი სამყარო

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგდებურგის ყრილობის შესახებ უკვე ბევრს წერდნენ ყველა გაზეთში, და ამ ყრილობის ყველა მთავარი მოვლენა, ბრძოლის ყველა პერიპეტია საკმაოდ ცნობილია. ორთოდოქსებთან რევიზიონისტების ბრძოლის გარეგანი მხარე, ყრილობის დრამატული ეპიზოდები მეტისმეტად იპყრობდნენ მკითხველთა ყურადღებას ამ ბრძოლის პრინციპული მნიშვნელობის, აზრთა სხვადასხვაობის იდეურ-პოლიტიკური ფესვების გარკვევის საზიანოდ. ამავე დროს კი მაგდებურგის კამათმა — უმთავრესად ბიუჯეტის სასარგებლოდ ბადენელთა ხმისმიცემის საკითხზე — მოგვცა უაღრესად საინტერესო მასალა, რომელიც ახასიათებს იდეათა ორ სამყაროს და ორ კლასობრივ ტენდენციას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შ ი გ ნ ი თ. ბიუჯეტის სასარგებლოდ ხმისმიცემა მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინებაა ორი სამყაროს ამ დაშორებისა, იმდენად ღრმა დაშორებისა, რომ ის უეჭველად თავს იჩენს ბევრად უფრო სერიოზულ, ბევრად უფრო ღრმა და მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით. და ახლა, როცა გერმანიაში ყველასთვის აშკარად ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა დიდი რევოლუციური ქარიშხალი, მაგდებურგის კამათს უნდა შევხედოთ როგორც არმიის მცირეოდენი ნაწილაკის (რადგან ბიუჯეტის სასარგებლოდ ხმისმიცემის საკითხი სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძირითადი საკითხების მხოლოდ მცირეოდენი ნაწილაკია) პატარა დათვალიერებას კამპანიის დაწყების წ ი ნ.

რა გვიჩვენა ამ დათვალიერებამ პროლეტარული არმიის სხვადასხვა ნაწილის მიერ თავისი ამოცანების გაგების მხრივ? რას გვეუბნება ეს დათვალიერება იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს არმიის ეს სხვადასხვა ნაწილი? — აი საკითხები, რომლებზედაც ჩვენ განზრახული გვაქვს შევჩერდეთ.

დავიწყოთ ერთი კერძო (პირველი შეხედვით) შეტაკებით. რევიზიონისტების ბელადი, ფრანკი, როგორც ყველა ბადენელი, გულმოდგინედ უსვამდა ხაზს, რომ მინისტრი ფონ ბოდმანი თავდაპირველად უარყოფდა სოციალ-დემოკრატიის «თანასწორუფლებიანობას» სხვა, ბურჟუაზიულ, პარტიებთან, შემდეგ კი ეს «შეურაცხყოფა» თითქოს უკან წაიღო. ბებელმა თავის რეფერატში ამის გამო თქვა:

...«თუ თანამედროვე სახელმწიფოს მინისტრი, არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილების წარმომადგენელი, — ხოლო თანამედროვე სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური დაწესებულების, მიზანია არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დაცვა და მისთვის მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატების მხრივ ყველა თავდასხმის წინააღმდეგ, დაცვა საჭიროების დროს ძალადობის მეშვეობითაც, — თუ ასეთი მინისტრი ამბობს, რომ იგი არ სცნობს სოციალ-დემოკრატიის თანასწორუფლებიანობას, ის თავისი თვალსაზრისით სავსებით მართალია». ფრანკი აწყვეტინებს ბებელს და გაიძახის: «გაუგონარი ამბავია!» ბებელი განაგრძობს და მას უპასუხებს: «მე ეს სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია». ფრანკი კვლავ გაიძახის: «გაუგონარი ამბავია!».

რატომ იყო ასე აღშფოთებული ფრანკი? იმიტომ, რომ იგი მთლიანად გამსჭვალულია ბურჟუაზიული «კანონიერების», ბურჟუაზიული «თანასწორუფლებიანობის» რწმენით, მას არ ესმის ამ კანონიერების ისტორიული ფ ა რ გ ლ ე ბ ი, არ ესმის, რომ მთელი ეს კანონიერება სავსებით უ ნ დ ა დაიმსხვრეს, გარდუვალად უნდა დაიმსხვრეს, რაკი საქმე ბურჟუაზიული საკუთრების შენარჩუნების ძირითად და მთავარ საკითხზე მიდგება. ფრანკი მთლად გამსჭვალულია

წვრილბურჟუაზიული კონსტიტუციური ილუზიებით; ამიტომ მას არ ესმის კონსტიტუციური წესწყობილების ისტორიული პ ი რ ო ბ ი თ ო ბ ა ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც გერმანიაა; მას სწამს ბურჟუაზიული (უფრო სწორად: ბურჟუაზიულ-ფეოდალური) კონსტიტუციის აბსოლუტური მნიშვნელობა, აბსოლუტური ძალა გერმანიაში და გულწრფელად შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ ი ლ ი ა იმით, რომ კონსტიტუციურ მინისტრს არ უნდა სცნოს მისი — ფრანკის, პარლამენტის წევრის, სრულიად კანონიერად მოქმედი ადამიანის «თანასწორუფლებიანობა». ამ კანონიერებით გაბრუებული ფრანკი იქამდე მიდის, რომ ავიწყდება ბურჟუაზიის შეურიგებლობა პროლეტარიატისადმი, და თავისდა შეუმჩნევლად გადადის იმათ პოზიციაზე, ვინც ამ ბურჟუაზიულ კანონიერებას მარადიულად თვლის, ვინც ფიქრობს, რომ სოციალიზმი შეიძლება ამ კანონიერების ჩარჩოებში მოთავსდეს.

ბებელს ამ კონსტიტუციური ილუზიებიდან, რაც ბურჟუაზიული დემოკრატიის დამახასიათებელია, საკითხი გადააქვს კლასობრივი ბრძოლის რეალურ ნიადაგზე. შეიძლება თუ არა «შეურაცხყოფილი» დარჩე იმით, რომ ბურჟუაზიული სამართლის ნიადაგზე ჩვენს თანასწორუფლებიანობას, მთელი ბურჟუაზიული წყობილების მტრების თანასწორუფლებიანობას არ აღიარებს ამ წყობილების დამცველი? მარტო უკვე იმის დაშვება, რომ ამან მე შეიძლება შეურაცხმყოს, ხომ მოწმობს ჩემი სოციალისტური რწმენის უმტკიცობას!

და ბებელიც ცდილობს შეაგნებინოს ფრანკს სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი თვალსაჩინო მაგალითების საშუალებით. ჩვენ ვერ «მოგვაყენა შეურაცხყოფა» — ეუბნებოდა ბებელი ფრანკს — განსაკუთრებულმა კანონმა სოციალისტების წინააღმდეგ; ჩვენ აღსავსე ვიყავით რისხვითა და სიძულვილით, «და ჩვენ მაშინ რომ შეგვძლებოდა, ბრძოლაში გადავეშვებოდით, როგორც ეს სულითა და გულით გვწადდა, ჩვენ სულმთლად დავამსხვრევდით ყველაფერს, რაც კი გზაზე გვეღობებოდა» (მ ო წ ო ნ ე ბ ი ს მ ქ უ ხ ა რ ე წ ა მ ო ძ ა-

ხ ი ლ ე ბ ი ო, — აღნიშნავს ამ ადგილას სტენოგრაფიული ანგარიში). «ჩვენ ვიქნებოდით ჩვენი საქმის მოღალატენი, თუ ამას არ გავაკეთებდით» (ს წ ო რ ი ა!). «მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო ეს გაგვეკეთებინა».

მე შეურაცხმყოფს ის, რომ კონსტიტუციური მინისტრი არ სცნობს სოციალისტთა თანასწორუფლებიანობასო, — ამბობს ფრანკი. თქვენ არ უნდა შეურაცხგყოთ თანასწორუფლებიანობის უარყოფამ იმ კაცის მიერ, — ეუბნება ბებელი, — რომელიც ძალიან დიდი ხანი არ არის რაც ყველა «პრინციპს» ფეხქვეშ თელავდა და გახრჩობდათ თქვენ, რომელსაც უნდა დაეხრჩვეთ თქვენ, როცა ბურჟუაზიულ წყობილებას იცავდა, და რომელიც მოვალე იქნება ხვალ გახრჩობდეთ თქვენ (ეს ბებელს არ უთქვამს, მაგრამ მან ნათლად მიუთითა ამაზე გადაკრული სიტყვით; თუ რატომ არის ბებელი ისე ფრთხილი, რომ გადაკრული სიტყვით კმაყოფილდება, ჩვენ თავის ადგილას ვიტყვით). ჩვენ ვიქნებოდით მოღალატენი, თუ არ დავახრჩობდით პროლეტარიატის ამ მტრებს, როცა ეს შესაძლებელი იქნებაო.

იდეების ორი სამყარო: ერთი მხრით, თვალსაზრისი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც შეიძლება განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებში მიმდინარეობდეს ბურჟუაზიული კანონიერების ნიადაგზე, მაგრამ რომელსაც გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ მივყავართ კვანძის გახსნამდე, პირდაპირ შეტაკებამდე, დილემამდე: ან «სულმთლად დავამსხვრიოთ» ბურჟუაზიული სახელმწიფო, ანდა გაგვანადგურონ და მოგვახრჩონ ჩვენ. მეორე მხრით, თვალსაზრისი რეფორმისტისა, წვრილი ბურჟუისა, რომელიც ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავს, კონსტიტუციური კანონიერების ზიზილ-პიპილებს იქით ვერ ხედავს გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლას, რომელიღაც პაწია სახელმწიფოს მივარდნილ ადგილას ივიწყებს თანამედროვეობის უდიდეს ისტორიულ საკითხებს.

რეფორმისტებს თავი მოაქვთ რეალურ პოლიტიკოსებად, დადებითი მუშაობის ადამიანებად, სახელმწიფო კაცებად. პროლეტარიატში ამ ბავშვური ილუზიების შენარჩუნება ხელ-

საყრელია ბურჟუაზიული საზოგადოების მესვეურთათვის, მაგრამ სოციალ-დემოკრატები მოვალენი არიან ულმობლად აქარწყლებდნენ მათ. სიტყვები თანასწორუფლებიანობის შესახებ — «ცარიელი ფრაზებია», ამბობდა ბებელი. «ვისაც შეუძლია ამ ფრაზების ანკესზე მთელი სოციალისტური ფრაქცია წამოაგოს, ის სახელმწიფო კაცია, — ამბობდა ბებელი პარტიული ყრილობის საერთო სიცილში, — მაგრამ ისინი, ვინც ამ ანკესზე ეგებიან, ისინი უკვე სრულიად არ არიან სახელმწიფო კაცები». ეს პირდაპირ გულში უნდა მოხვდეს სოციალიზმის ყოველგვარ ოპორტუნისტებს, რომლებიც ხელში უვარდებიან ნაციონალ-ლიბერალებს გერმანიაში, კადეტებს — რუსეთში. «უარმყოფელნი — ამბობდა ბებელი — ხშირად ბევრად უფრო მეტს აღწევდნენ, ვიდრე ეგრეთწოდებული დადებითი მუშაობის ადამიანები. მწვავე კრიტიკა, მწვავე ოპოზიცია ყოველთვის მადლიერ ნიადაგში ხვდება, თუ ეს კრიტიკა სამართლიანია, ჩვენი კრიტიკა კი, უეჭველია, სამართლიანია».

ოპორტუნისტული ფრაზები დადებითი მუშაობის შესახებ მრავალ შემთხვევაში ნიშნავს მუშაობას ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს, საზოგადოდ მუშაობას სხვებისთვის, ვისაც ხელში უჭირავს ძალაუფლება, ვინც განსაზღვრავს ამა თუ იმ საახელმწიფოს, საზოგადოების, კოლექტივის მოღვაწეობის მიმართულებას. და ბებელმა პირდაპირ გააკეთა ეს დასკვნა, როცა განაცხადა, «ჩვენს პარტიაში ცოტანი როდი არიან ისეთი ნაციონალ-ლიბერალები, რომლებიც ნაციონალ-ლიბერალურ პოლიტიკას ეწევიანო». მაგალითისთვის მან დაასახელა ბ ლ ო ხ ი, არც თუ უცნობი რედაქტორი ეგრეთწოდებული (ბებელის სიტყვებით რომ ვთქვათ — ე გ რ ე თ წ ო დ ე ბ უ ლ ი) «სოციალისტური ყოველთვიურისა» («**Sozialistische Monatshefte**»). «ნაციონალ-ლიბერალებს არა აქვთ ადგილი ჩვენს პარტიაშიო» — პირდაპირ განაცხადა ბებელმა ყრილობის საერთო მოწონებით.

შეხედეთ «სოციალისტური ყოველთვიურის» თანამშრომელთა სიას. იქ ყ ვ ე ლ ა ნ ი საერთაშორისო ოპორტუნიზმის

წარმომადგენელნი არიან. იქ ქებით ცამდე აჰყავთ ჩვენებური ლიკვიდატორების ქცევა. განა ეს იდეების ორი სამყარო არ არის, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადი ამ ორგანოს რედაქტორს ნაციონალ-ლიბერალად აცხადებს?

მთელი მსოფლიოს ოპორტუნისტები ლიბერალებთან ბლოკის პოლიტიკისაკენ იხრებიან, ხან პირდაპირ და აშკარად აცხადებენ და ახორციელებენ მას, ხან კიდევ ქადაგებენ ან ამართლებენ საარჩევნო შეთანხმებებს ლიბერალებთან, მათი ლოზუნგებისათვის მხარდაჭერას და სხვა. ბებელმა კიდევ და კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ამ პოლიტიკის მთელი სიყალბე, მთელი სიცრუე, და მისი სიტყვების შესახებ გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ისინი უნდა იცოდეს და უნდა ახსოვდეს ყოველ სოციალ-დემოკრატს.

«თუ მე, როგორც სოციალ-დემოკრატი, კავშირს ვკრავ ბურჟუაზიულ პარტიებთან, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მოგებული იქნებიან არა სოციალ-დემოკრატები, არამედ ბურჟუაზიული პარტიები, ჩვენ კი წაგებული აღმოვჩნდებით. ეს — პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი კ ა ნ ო ნ ი ა, რომ ყველგან, სადაც კი მემარჯვენეები და მემარცხენეები კავშირს კრავენ, მემარცხენეები კარგავენ, მემარჯვენეები იგებენ...

თუ მე პოლიტიკურ კავშირს ვკრავ ჩემდამი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ მტრულ პარტიასთან, მაშინ მე აუცილებლობის გამო მიხდება ჩემი ტაქტიკა, ე. ი. ჩემი ბრძოლის ხერხები შევუფარდო იმას, რომ ეს კავშირი არ გავწყვიტო. მე მაშინ უკვე ვერ შევძლებ გავაკრიტიკო ულმობლად, ვერ შევძლებ ვიბრძოლო პრინციპულად, რადგან მაშინ მე ვაწყენინებ ჩემს მოკავშირეებს; მე იძულებული ვიქნები ვდუმდე, ხელს ვაფარებდე ბევრ რამეს, ვამართლებდე იმას, რისი გამართლებაც არ შეიძლება, ვჩქმალავდე იმას, რისი მიჩქმალვაც არ შეიძლება».

ოპორტუნიზმი სწორედ იმიტომ წარმოადგენს ოპორტუნიზმს, რომ ის მოძრაობის ძ ი რ ი თ ა დ ინტერესებს მსხვერპლად სწირავს წუთიერ სარგებლობას ან ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც ყოვლად ბეც, ზერელე გაანგარიშებას ემყარება. ფრანკი მაგდებურგში პათოსით ლაპარაკობდა იმაზე, რომ ბადენელ მინისტრებს «უნდათ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, საერთო მუშაობაში ჩაგვაბანონ!»

ზევით კი არ უნდა იყურებოდეთ, არამედ ქვევით — ვეუბნებოდით ჩვენ რევოლუციის დროს ჩვენებურ ოპორტუნისტებს, რომელნიც არა ერთხელ გაუტაცნია სხვადასხვა კადეტურ პერსპექტივას. ბებელი, რომელსაც თვალწინ ჰყავდა ფრანკები, თავის საბოლოო სიტყვაში მაგდებურგში ამბობდა: «მასებისათვის გაუგებარია, რომ არიან სოციალ-დემოკრატები, თავიანთი ნდობის ვოტუმით მხარს რომ უჭერენ მთავრობას, რომელსაც მასები დიდი ხალისით სავსებით მოიშორებდნენ თავიდან. მე ხშირად მექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ბელადების ნაწილს აღარ ესმის მასების ტანჯვა და გაჭირვება (მ ქ უ ხ ა რ ე მ ო წ ო ნ ე ბ ა), რომ მათთვის უცხოა მასების მდგომარეობა». ხოლო «გერმანიაში ყველგან დაგროვდა მასებში გაბოროტების უდიდესი მარაგი».

«ჩვენ, — ამბობდა თავისი სიტყვის სხვა ადგილას ბებელი, — ისეთ ხანას განვიცდით, როცა დამპალი კომპრომისები განსაკუთრებით შეუწყნარებელია. კლასობრივი წინააღმდეგობანი კი არ ნელდება, არამედ მწვავდება. ჩვენ ვუახლოვდებით ძალიან, ძალიან სერიოზულ ხანას. რა იქნება მომავალი არჩევნების შემდეგ? დავიცადოთ და ვნახოთ. თუ საქმე იქამდე მივა, რომ 1912 წელს ევროპის ომი ატყდება, მაშინ თქვენ დაინახავთ, რის გადატანა მოგვიხდება, რომელ პოსტზე მოგვიხდება ჩვენ დგომა. ალბათ, არა იმ პოსტზე, რომელიც ახლა ბადენელებმა დაიკავეს».

მაშინ როდესაც ზოგიერთები თვითკმაყოფილად არიან დამშვიდებულნი საქმის იმ მდგომარეობით, რაც გერმანიაში ჩვეულებრივი გახდა, ბებელი თვითონ მთელ ყურადღებას მიაქცევს და პარტიას ურჩევს ყურადღება მიაქციოს გარდუვალად მოსალოდნელ ცვლილებას. «დღემდე ყველაფერი ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ, ეს არის შეტაკებანი ავანპოსტებზე, ეს არის წვრილმანი», — ამბობდა ბებელი საბოლოო სიტყვაში. მთავარი ბრძოლა წინ არის. და ამ მთავარი ბრძოლის თვალსაზრისით ოპორტუნისტების მთელი ტაქტიკა მერყეობისა და სიბეცის მწვერვალს წარმოადგენს.

მომავალ ბრძოლაზე რომ ლაპარაკობს, ბებელი გადაკრული სიტყვებით კმაყოფილდება. ის არც ერთხელ არ ლაპარაკობს პირდაპირ იმაზე, რომ გერმანიაში ახლოვდება რევოლუცია, თუმცა მისი აზრი, უეჭველია, ასეთია, — ყველა მითითება წინააღმდეგობათა გამწვავებაზე, რეფორმების სიძნელეზე პრუსიაში, მთავრობისა და მბრძანებელი კლასების გამოუვალ მდგომარეობაზე, მასებში გაბოროტების ზრდაზე, ევროპის ომის საფრთხეზე, ეკონომიური ჩაგვრის გაძლიერებაზე ცხოვრების სიძვირის გამო, ტრესტებად და კარტელებად კაპიტალისტთა გაერთიანების გამო და სხვა და სხვა, — ყოველივე ეს აშკარად იქითკენ არის მიმართული, რომ გაურკვიოს პარტიას და მასებს რევოლუციური ბრძოლის გარდუვალობა.

რატომ იჩენს ბებელი ასეთ სიფრთხილეს, რატომ კმაყოფილდება ის მარტოოდენ მისახვედრი მითითებებით? იმიტომ, რომ მზარდი რევოლუცია გერმანიაში ხვდება განსაკუთრებულ, თავისებურ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც არა ჰგავს სხვა წინარევოლუციურ ეპოქებს სხვა ქვეყნებში და რომელიც ამიტომ პროლეტარიატის ბელადებისაგან მოითხოვს ერთგვარი ა ხ ა ლ ი ამოცანის გადაწყვეტას. ამ თავისებური წინარევოლუციური სიტუაციის მთავარი განსაკუთრებული მხარე ის არის, რომ მომავალი რევოლუცია აუცილებლად უნდა იქნეს შეუდარებლად უფრო ღრმა, უფრო სერიოზული და უფრო ფართო მასები უნდა ჩაითრიოს უფრო ძნელ, მედგარ, ხანგრძლივ ბრძოლაში, ვიდრე ყველა წინანდელი რევოლუცია იყო. ამავე დროს კი ეს წინარევოლუციური სიტუაცია განსხვავდება კ ა ნ ო ნ ი ე რ ე ბ ი ს უდიდესი ბატონობით (შედარებით წინანდელთან), კანონიერებისა, რომელიც გზაზე გადაეღობა იმათ, ვინც ეს კანონიერება შემოიღო. აი რაშია მდგომარეობის თავისებურება, აი რაშია ამოცანის სიძნელე და სიახლე.

ისტორიის ირონიამ ის გააკეთა, რომ გერმანიის გაბატონებული კლასები, რომლებმაც შექმნეს XIX საუკუნის მთელ მე-2 ნახევარში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, განამტკიცეს

ყველაზე ჩქარი კაპიტალისტური პროგრესის პირობები და ყველაზე მტკიცე კონსტიტუციური კანონიერების პირობები, სავსებით აშკარად უახლოვდებიან ახლა ისეთ მდგომარეობას, როცა ს ა ჭ ი რ ო ხ დ ე ბ ა ამ კანონიერების, მ ა თ ი კანონიერების, დამსხვრევა, საჭირო ხდება — ბურჟუაზიის ბატონობის შენარჩუნების გულისათვის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში სანიმუშოდ გამოიყენა ბურჟუაზიული კანონიერება, როცა მან შექმნა საუკეთესო პროლეტარული ორგანიზაციები, ჩინებული ბეჭდვითი სიტყვა, უაღრესად მაღალ დონეზე (როგორიც კი შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს) აიყვანა სოციალისტური პროლეტარული ავანგარდის შეგნებულობა და დარაზმულობა.

ახლა ახლოვდება დრო, როცა გერმანიის ისტორიის ეს ნახევარსაუკუნოვანი ხანა უ ნ დ ა, ობიექტურ მიზეზთა გამო უნდა, შეიცვალოს სხვა ხანით. ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კანონიერების გამოყენების ეპოქა ი ც ვ ლ ე ბ ა უდიდესი რევოლუციური ბრძოლების ეპოქით, ამასთან ეს ბრძოლები ა რ ს ე ბ ი თ ა დ იქნება მ თ ე ლ ი ბურჟუაზიული კანონიერების, მ თ ე ლ ი ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა, ფ ო რ მ ი ს მ ხ რ ი ვ კ ი ისინი უნდა დაიწყოს (და იწყება) ბურჟუაზიის თავგზააბნეული ცდებით თავიდან მოიშოროს მის მიერვე შექმნილი და მისთვის დღეს უკვე აუტანელი კანონიერება! «პირველად თქვენ ისროლეთ, ბატონო ბურჟუებო!» — ამ სიტყვებით გამოხატა 1892 წელს ენგელსმა მდგომარეობის თავისებურება და რევოლუციური პროლეტარიატის ტაქტიკური ამოცანების თავისებურება [98].

სოციალისტური პროლეტარიატი არც ერთი წუთით არ დაივიწყებს, რომ მას მოელის და გარდუვალად მოელის რევოლუციური მასობრივი ბრძოლა, რომელიც სასიკვდილოდ განწირული ბურჟუაზიული საზოგადოების მთელ და ყოველგვარ კანონიერებას ამსხვრევს. და ამავე დროს იმ პარტიას, რომელმაც ბურჟუაზიის ნახევარსაუკუნოვანი კანონიერება

მშვენივრად გამოიყენა ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არავითარი საფუძველი არა აქვს უარი თქვას იმ მარჯვე მომენტებზე ბრძოლაში, იმ პლუსზე შეტაკებაში, რომ მ ტ ე რ ი გ ა ი ხ ლ ა რ თ ა თავის საკუთარ კანონიერებაში, რომ მტერი იძულებულია «პირველმა ისროლოს», იძულებულია თავისი საკუთარი კანონიერება ნაკუწებად აქციოს.

აი რაშია თანამედროვე გერმანიის წინარევოლუციური სიტუაციის თავისებურება. აი რატომ არის ესოდენ ფრთხილი მოხუცი ბებელი, რომელიც მთელ ყურადღებას მიმართავს მომავალი დიდი ბრძოლისაკენ და თავისი უზარმაზარი ტალანტის, თავისი გამოცდილების, თავისი ავტორიტეტის მთელი ძალით თავს ატყდება ბეც და მერყეე ოპორტუნისტებს, რომელთაც ეს ბრძოლა ვერ გაუგიათ, რომლებიც ამ ბრძოლისთვის ბელადებად არ გამოდგებიან, რომელთაც, ალბათ, მოუხდებათ რევოლუციის დროს ბ ე ლ ა დ ე ბ ი ს გ ა ნ იქცენ რ ი გ ი თ ი მ ე ბ რ ძ ო ლ ე ბ ა დ, ანდა ისეთ ადამიანებადაც კი, რომელთაც თავიდან იშორებენ.

მაგდებურგში ამ ბელადებს ედავებოდნენ, მათ კიცხავდნენ, მათ უყენებდნენ ოფიციალურ ულტიმატუმს, როგორც ყოველივე იმის წარმომადგენლებს, რაც კი დიდ რევოლუციურ არმიაში დაგროვდა არასაიმედო, სუსტი, ბურჟუაზიული კანონიერებით დაავადებული, ამ კანონიერების წინაშე, მონათმფლობელობის ე რ თ-ე რ თ ი ეპოქის, ე. ი. ბურჟუაზიული ბატონობის ერთ-ერთი ეპოქის მთელი შეზღუდულობის წინაშე მოკრძალებული მუხლმოდრეკით გამოთაყვანებული. ოპორტუნისტებს რომ კიცხავდა, მათ რომ გარიცხვით ემუქრებოდა, გერმანიის პროლეტარიატი ამით თავის მძლავრ ორგანიზაციაში კიცხავდა უძრაობის, დაურწმუნებლობის, მოდუნებულობის, მომაკვდავი ბურჟუაზიული საზოგადოების ფსიქოლოგიასთან კავშირის გაწყვეტის უუნარობის ყველა ელემენტს. ცუდი რევოლუციონერების გაკიცხვით თავის წრეში, მოწინავე კლასმა მოახდინა თავისი ძალების ერთ-ერთი უკანასკნელი დათვალიერება სოციალური რევოლუციის გზაზე დადგომის წინ.

* * *

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს ყველა რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატის ყურადღება მიპყრობილი იყო იქითკენ, თუ როგორ ემზადებიან საბრძოლველად გერმანელი მუშები, როგორ ირჩევენ საამისო მომენტს, გულდასმით ადევნებენ თვალყურს მტერს და თავის რიგებს წმენდენ ოპორტუნიზმის სისუსტეთაგან, — მთელი მსოფლიოს ოპორტუნისტები ღვარძლიანად ხარობდნენ ლიუქსემბურგისა და კაუტსკის უთანხმოებათა გამო ახლანდელი მომენტის შეფასების საკითხში, იმ საკითხში, ახლავე თუ ჯერ კიდევ არა ახლავე, ამ წუთში თუ შემდგომ წუთში იწყება და დაიწყება ერთ-ერთი ისეთი მობრუნების პუნქტი, როგორიც იყო 9 იანვარი რუსეთის რევოლუციაში. ოპორტუნისტები ღვარძლიანად ხარობდნენ, ცდილობდნენ ეს უთანხმოებანი, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვთ, გაეღვივებინათ «სოციალისტური ყოველთვიურის» ფურცლებზეც, «გოლოს სოციალ-დემოკრატაშიც» (მარტინოვი), «ჟიზნ-შიც», «ვოზროჟდენიეში», და სხვა ლიკვიდატორულ ორგანოებშიც, «Neue Zeit»-შიც (მარტოვი) *. ყველა ქვეყნის ოპორტუნისტთა ამ ხერხების უბადრუკობა აღბეჭდილია მაგდებურგში, სადაც უთანხმოებანი გერმანიის რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა შორის არავითარ შესამჩნევ როლს არ ასრულებდნენ. ოპორტუნისტებმა ნაადრევად დაიწყეს ნიშნის მოგება ღვარძლიანად. მაგდებურგის ყრილობამ მიიღო როზა ლიუქსემბურგის მიერ წამოყენებული რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომელშიც პირდაპირ მითითებულია მასობრივ გაფიცვაზე, როგორც ბრძოლის საშუალებაზე.

«სოციალ-დემოკრატ» № 18,
1910 წ. 16 (29) ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* «Neue Zeit»-ში («ახალი დროება». რ ე დ.) მარტოვს გამანადგურებელი პასუხი გასცა ამხ. კარსკიმ.

მურომცევის სიკვდილის გამო გამართული დემონსტრაციის შესახებ

(შენიშვნა)

«ეს სათათბირო» — წერს კადეტური «რეჩი» შავრაზმული სათათბიროს მეოთხე სესიის პირველი სხდომის გამო — «დღევანდელ დღეს საბოლოოდ და სამუდამოდ მოწყდა ხალხის გულისთქმასა და ნაციონალურ შეგნებას». ეს ნათქვამია, რასაკვირველია, იმის გამო, რომ შავრაზმელებმა და ოქტიაბრისტებმა უარი თქვეს პატივი ეცათ I სათათბიროს თავმჯდომარის, მურომცევის ხსოვნისათვის.

ძნელი იქნებოდა უფრო ნათლად, ვიდრე მოყვანილ ფრაზაშია, გამოგვეხატა იმ თვალსაზრისის მთელი სიყალბე, რომელზედაც დგანან ჩვენი ლიბერალები თავისუფლებისათვის ბრძოლის მიმართ საზოგადოდ და მურომცევის გარდაცვალების გამო გამართული დემონსტრაციის მიმართ, კერძოდ.

ეჭვი არ არის, რომ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, შავრაზმული სათათბიროს წინააღმდეგ დემონსტრაცია მურომცევის სიკვდილის გამო აუცილებელი იყო, რომ დემონსტრაცია შედგა, რომ მასში მონაწილეობას ღებულობდნენ მოსახლეობის სულ სხვადასხვა და უაღრესად ფართო ფენები, სულ სხვადასხვა პარტიები, სოციალ-დემოკრატიით დაწყებული და კადეტებით, «პროგრესისტებითა» და პოლონელი ოქტიაბრისტებით (პოლონური კოლო [99]) დამთავრებული. და სწორედ ასევე, ეჭვი არ არის, რომ კადეტების მიერ ამ დემონსტრაციის შეფასება მეასედ და მეათასედ ცხადყოფს, რამდენად უცხონი არიან ისინი დემოკრატიისათვის, რამდენად დამღუპველია დემოკრატიის

საქმისათვის რუსეთში ამ საქმის გაძღოლა ჩვენებური კადეტების მიერ ან ამ საქმეში თუნდაც მათი ხელმძღვანელი მონაწილეობა.

ყველა დემოკრატი და ყველა ლიბერალი მონაწილეობდა და ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო დემონსტრაციაში მურომცევის სიკვდილის გამო, რადგან შავი სათათბიროს რეჟიმის წყვდიადში ასეთმა დემონსტრაციამ შესაძლებელი გახადა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პ რ ო ტ ე ს ტ ი ს აშკარად და შედარებით ფართოდ გამოხატვა. მეფის თვითმპყრობელობა თავგანწირული იბრძოდა რუსეთში წარმომადგენლობითი დაწესებულებების შემოღების წინააღმდეგ. თვითმპყრობელობა აყალბებდა და ამახინჯებდა პირველი პარლამენტის მოწვევას რუსეთში, როცა პროლეტარიატმა და რევოლუციურმა გლეხობამ მასობრივი ბრძოლით გამოსტაცეს მას ასეთი მოწვევის აუცილებლობა. თვითმპყრობელობა დასცინოდა და აბუჩად იგდებდა დემოკრატიას, ხალხს, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ხალხის ხმა, დემოკრატიის ხმა გაისმოდა I სათათბიროში. თვითმპყრობელობა ახლა სდევნის I სათათბიროში დემოკრატიის მოთხოვნების ამ სუსტი გამოხატვის მოგონებასაც კი (ამ მოთხოვნების გამოხატვა გაცილებით უფრო სუსტი, უმწეო, ვიწრო, უფრო ნაკლებ ცხოველუნარიანი იყო I სათათბიროს დროს და მისი ტრიბუნიდან, ვიდრე იმ ტრიბუნებიდან 1905 წლის შემოდგომაზე, რომლებიც თავისთვის შექმნა აშკარა მასობრივი ბრძოლის ტალღამ).

აი რატომ შეეძლოთ დემოკრატიას და ლიბერალიზმს შეერთებულიყვნენ და უნდა შეერთებულიყვნენ თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროტესტის დემონსტრაციაზე ყოველგვარი საბაბის გამო, რომელიც კი მასებს რევოლუციას მოაგონებდა. მაგრამ საერთო დემონსტრაციაზე შეერთებულთ, მათ ა რ შ ე ე ძ ლ ო თ არ გამოეხატათ თ ა ვ ი ა ნ თ ი დამოკიდებულება დემოკრატიის ამოცანების შეფასებისადმიც საზოგადოდ და I სათათბიროს ისტორიისადმიც, კერძოდ. ასეთი შეფასების პირველმა დაწყებამ კი ცხადყო ჩვენებური

ბურჟუაზიული ლიბერალიზმის აუტანელი უბადრუკობა, პოლიტიკური უძლურება და პოლიტიკური ჭკუანაკლებობა.

აბა, ერთი დაუფიქრდით: შავი სათათბირო «დღეს», 1910 წლის 15 ოქტომბერს, «საბოლოოდ და სამუდამოდ მოწყდა» ხალხსო! მაშასადამე, ის დღემდე არ ყოფილა მისგან სამუდამოდ მოწყვეტილი. მაშასადამე, მურომცევის ხსოვნის აღნიშვნაში მონაწილეობა სპობდა, შეეძლო მოესპო «ხალხის გულისთქმისაგან» «მოწყვეტილობა», ესე იგი დემოკრატიისაგან ამა თუ იმ ჩვენებური კონტრრევოლუციონერის მოწყვეტილობა. გაიგეთ, ბატონებო, დემოკრატების მაღალ სახელწოდებას რომ იჩემებთ, რომ თქვენ თვითონ, უფრო მეტად ვიდრე სხვა ვინმე, ამდაბლებთ დემონსტრაციის მნიშვნელობას, აუგვანებთ მას, როცა საკითხს ამგვარად აყენებთ. «რაც უნდა ცუდად შეგვეფასებინა მორალურ-პოლიტიკურად III სათათბირო, — წერს «რეჩი», — უაზრობად გვეჩვენებოდა იმის ფიქრი, რომ ის შესძლებდა უარი ეთქვა ამ ელემენტარული მოვალეობის შესრულებაზე და პატივს არ სცემდა ტრიბუნიდან იმ ადამიანის სახელს, ვინაც ის (!!) ესოდენი ღირსებითა და ბრწყინვალებით გახსნა და აკურთხა». ძალიან სამსახური კი გაუწიეს: მურომცევმა გახსნა და აკურთხა «ის», III სათათბირო! უცაბედად კადეტებმა ამ სიტყვებით თქვეს ის მწარე სიმართლე, რომ რევოლუციური ბრძოლისადმი და 1905 წლის დამლევის აჯანყებისადმი რუსეთის ლიბერალიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის ღალატმა «დაიწყო და აკურთხა» საზოგადოდ კონტრრევოლუციისა და განსაკუთრებით III სათათბიროს ეპოქა. «ფიქრობდნენ, — წერს «რეჩი», — რომ ერთი მუჭა პოლიტიკური სკანდალისტები ვერ შეძლებენ ჩაახშონ ზრდილობისა და ტაქტის ხმა სათათბიროს უმრავლესობაში». აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე! საკითხი შეეხებოდა და შეეხება «ზრდილობასა და ტაქტს» და არა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტს. საკითხი ისე კი არ ისმის, რომ დემოკრატია «ე თ ი შ ე ბ ა» კონტრრევოლუციას, არამედ ისე, რომ ლიბერალიზმი უ ე რ თ დ ე ბ ა კონტრრევოლუციას, ლიბერალიზმი დგება კონტრრევოლუციის ნიადაგზე

და იწვევს მის წარმომადგენლებს, ოქტიაბრისტებს, მონაწილეობა მიიღონ მურომცევის ხსოვნის აღნიშვნაში არა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად, არამედ «ზრდილობისა და ტაქტის» წესის შესასრულებლად. მურომცევმა «გახსნა და აკურთხა» (ასეთი მურტალი სიტყვებიც ხომ არსებობს!) პირველი, მეფის მიერ მოწვეული, ვითომდა პარლამენტი; თქვენ, ბატონო ოქტიაბრისტებო, სხედხართ მესამე, მეფის მიერ მოწვეულ, ვითომდა პარლამენტში, — «უზრდელობა და უტაქტობა» ხომ არ იქნება უარის თქმა «ელემენტარული მოვალეობის» შესრულებაზეო. რა დიდებულად ასახავს ეს სავსებით პატარა მაგალითი, კადეტური ოფიციალური ორგანოს მარტოოდენ ეს მსჯელობა ჩვენებური ლიბერალიზმის მთელ იდეურ და პოლიტიკურ სიდამპლეს. მისი ხაზია თვითმპყრობელობის, შავრაზმელ მემამულეთა და მათი მოკავშირეების — ოქტიაბრისტების დ ა ყ ო ლ ი ე ბ ა და არა მასების დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი შეგნების განვითარება. ამიტომ მისი ხვედრი — ამგვარი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გარდუვალი და აუშორებელი ხვედრი ყოველგვარ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში — ის არის, რომ მუდამ რჩებოდეს მონარქიისა და ფეოდალების მონად, მუდამ იღებდეს მათი ჩექმით პანღურს.

კადეტ დეპუტატებს რომ ოდნავ მაინც გაეგებოდეთ დემოკრატიის ამოცანები, ისინი III სათათბიროშიც იზრუნებდნენ არა ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი ს მ ი ე რ «ელემენტარული მოვალეობის» შესასრულებლად, არამედ ხ ა ლ ხ ი ს წინაშე დემონსტრაციისათვის. საამისოდ საჭირო იყო არა განცხადების მიცემა თავმჯდომარისთვის (ასეთი განცხადების გამოქვეყნება, კანონის 120-ე პარაგრაფის თანახმად, დამოკიდებულია თავმჯდომარის მიხედულებაზე), არამედ უნდა მოხერხებულიყო ამა თუ იმ გზით საკითხის დაყენება განსახილველად.

კადეტ მწერლებს რომ ოდნავ მაინც გაეგებოდეთ დემოკრატიის ამოცანები, ისინი ოქტიაბრისტებს უტაქტობას კი არ უსაყვედურებდნენ, არამედ განმარტავდნენ, რომ სწორედ III სათათბიროს მოქმედება ხაზგასმით აღნიშნავს მურომცე-

ვის სიკვდილის გამო გამართული დემონსტრაციის მნიშვნელობას, სწორედ მას აჰყავს საკითხი „ზრდილობისა და ტაქტის» შესახებ ობივატელურ-მეშჩანური ლაყბობიდან თანამედროვე რეჟიმის და სხვადასხვა პარტიის როლის პოლიტიკური შეფასების სიმაღლეზე.

მაგრამ მურომცევის სიკვდილის გამო გამართულ დემონსტრაციას არ შეეძლო არ აღეძრა აგრეთვე მეორე საკითხი, სახელდობრ, I სათათბიროს ისტორიული მნიშვნელობის საკითხი. თქმა არ უნდა, რომ კადეტები, რომელთაც მასში უმრავლესობა ჰყავდათ და მაშინ გაბრუებული იყვნენ კადეტური სამინისტროს იმედით, თავისუფლებისაკენ «მშვიდობიანი» გადასვლის, დემოკრატიაში თავიანთი ჰეგემონიის განმტკიცების იმედით, ქება-დიდებას ასხამენ მურომცევს, როგორც «ნაციონალურ გმირს». ტრუდოვიკები, ბ-ნ ჟილკინის სახით, იქამდე დაეშვნენ, რომ ამ ლიბერალურ გუნდს შეუერთდნენ და პირდაპირ ადიდებდნენ მურომცევს, როგორც მემარცხენე პარტიების პოლიტიკურ «აღმზრდელს».

კადეტებისა და ტრუდოვიკების მიერ I სათათბიროს ამგვარ შეფასებას ის საგულისხმო მნიშვნელობა აქვს, რომ ცხადყოფს პოლიტიკური შეგნების მეტად დაბალ დონეს რუსულ «საზოგადოებაში». «საზოგადოებას», რომელიც აღტაცებულია კადეტების პოლიტიკური როლით I სათათბიროში, უფლება არა აქვს ემდუროდეს სტოლიპინსა და III სათათბიროს: მას სწორედ ისეთი მთავრობა ჰყავს, რომლის ღირსიც არის. რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ლიბერალიზმის ჰეგემონია გარდუვალად მოასწავებს ამ მოძრაობის სისუსტეს და იმას, რომ ველურ მემამულეთა ბატონობის მოშორება შეუძლებელია. მხოლოდ პროლეტარიატის მიერ ლიბერალიზმის განდევნას და პროლეტარულ ჰეგემონიას მოჰქონდა რევოლუციის გამარჯვებანი და შეუძლია კიდევ მოიტანოს ისინი.

I სათათბიროს ეპოქა ისეთი პერიოდი იყო, როცა დეკემბერში დამარცხებული პროლეტარიატი ძალ-ღონეს იკრებდა ახალი შეტევისათვის. რევოლუციურმა გაფიცვამ, რომელიც

დეკემბრის შემდეგ შესუსტდა, კვლავ მძლავრად წამოჰყო თავი; მუშებს გაყვნენ გლეხები (გლეხთა მღელვარებანი 1906 წლის გაზაფხულზე მოედო ევროპული რუსეთის მაზრების 46%); გაძლიერდა ჯარისკაცთა «ამბოხებანი». ლიბერალური ბურჟუაზიის წინაშე იდგა დილემა: დახმარებოდა მასების ახალ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ შეტევას, და მაშინ ცარიზმზე გამარჯვება შესაძლებელი იყო, — ან რევოლუციისათვის ზურგი შეექცია და ამით ცარიზმისათვის გამარჯვება გაეადვილებინა. მასობრივი ბრძოლის ახალი აღმავლობა, ბურჟუაზიის ახალი მერყეობა, ცარიზმის გაუბედაობა და ლოდინი — აი რა არის პირველი სათათბიროს ეპოქის დ ე დ ა ა რ ს ი, აი რა არის რუსეთის ისტორიის ამ ხანის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი.

კადეტებმა, როგორც ხელმძღვანელმა პარტიამ I სათათბიროში, და მურომცევმა, როგორც ამ პარტიის ერთ-ერთმა მეთაურმა, გამოიჩინეს პოლიტიკური მდგომარეობის სრული გაუგებლობა და ჩაიდინეს დემოკრატიისადმი ახალი ღალატი. მათ რევოლუციას ზურგი შეაქციეს, ისინი გმობდნენ მასობრივ ბრძოლას, უქმნიდნენ მას ყოველგვარ დაბრკოლებას და ცდილობდნენ გამოეყენებინათ ცარიზმის გაუბედაობა, აშინებდნენ მას რევოლუციით და მოითხოვდნენ გარიგებას (= კადეტურ სამინისტროს) რევოლუციის ს ა ხ ე ლ ი თ. გასაგებია, რომ ამგვარი ტაქტიკა დემოკრატიის მიმართ იყო ღ ა ლ ა ტ ი, ცარიზმის მიმართ კი — უსუსური ვითომდა «კონსტიტუციური» ბაქიაობა. გასაგებია, რომ ცარიზმი მხოლოდ დროს იგებდა თავისი ძალების თავმოსაყრელად, როცა ის კადეტებთან მოლაპარაკობიას «თ ა მ ა შ ო ბ დ ა» და სათათბიროს გარეკვას და სახელმწიფო გადატრიალებას ა მ ზ ა დ ე ბ დ ა. პროლეტარიატი და გლეხობის ნაწილი კვლავ აღსდგნენ საბრძოლველად 1906 წლის გაზაფხულზე, — მათი ბრალი ან მათი უბედურება ის იყო, რომ ისინი იბრძოდნენ არასაკმაო სიმტკიცით და არასაკმაო ძალებით. ლიბერალები 1906 წლის გაზაფხულზე ტკბებოდნენ კონსტიტუციობიას თამაშით და ტრეპოვთან მოლაპარაკებით, გმობდნენ იმათ, ხელს უშლიდ-

ნენ იმათ საქმეს, ვისაც მხოლოდ ერთადერთს შეეძლო შ ე ე-
მ უ ს რ ა ტრეპოვები.

ბურჟუაზიის ფარისეველთ უყვართ გამოთქმა: **de mortuis aut bene aut nihil** (მკვდრებზე ან სდუმან, ანდა კარგს ამბობენ). პროლეტარიატს ესაჭიროება ს ი მ ა რ თ ლ ე როგორც ცოცხალი, ისე მკვდარი პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ, რადგან ისინი, ვინც ნამდვილად ღირსია პოლიტიკური მოღვაწის სახელისა, არ კვდებიან პოლიტიკისათვის, როცა ისინი ფიზიკურად კვდებიან. ილაპარაკო მურომცევის შესახებ პირობითი სიცრუე, — იმას ნიშნავს, რომ ზიანს აყენებდე პროლეტარიატის საქმეს და დემოკრატიის საქმეს, რყვნიდე მასების შეგნებას. ილაპარაკო მწარე სიმართლე კადეტებისა და იმათ შესახებ, ვინც კადეტებს აჰყვა (და თავი მოატყუებინა), — ნიშნავს პატივს სცემდე იმას, რაც დ ი ა დ ი იყო რუსეთის პირველ, რევოლუციაში, ნიშნავს ეხმარებოდე მეორე რევოლუციის წარმატებას.

«სოციალ-დემოკრატ» № 18,
1910 წ. 16 (29) ნოემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

მოგბრუნების დასაწყისი ხომ არ არის?

ეს ნომერი უკვე შეკრული იყო, როცა ჩვენ პეტერბურგისა და მოსკოვის 12 ნოემბრის გაზეთები მივიღეთ. ლეგალური პრესის ცნობები თუმცა მეტად არასაკმაოა, მაგრამ მათგან მაინც უეჭველად გამომდინარეობს, რომ მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა სტუდენტთა შეკრებანი, მანიფესტაციები, პროცესიები ქუჩებში, — პროტესტს აცხადებდნენ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, წარმოთქვამდნენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს. პეტერბურგის 11 ნოემბრის დემონსტრაციამ, «რუსსკიე ვედომოსტის»[100] ცნობებითაც კი, რომელსაც სავსებით ოქტიაბრისტულად უჭირავს თავი, შეკრიბა ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ 10000 კ ა ც ი ნევის პროსპექტზე. იგივე გაზეთი იტყობინება, რომ პეტერბურგის უბანში «სახალხო სახლთან პროცესიას მრავალი მუშა შეუერთდა. ტუჩკოვის ხიდთან პროცესია შეჩერდა. პოლიციის რაზმმა პროცესია ვერაფრით ვერ შეაჩერა, და ხალხი სიმღერითა და ბაირაღებით გავიდა ვასილის კუნძულის დიდ პროსპექტზე. მხოლოდ უნივერსიტეტთან შესძლო პოლიციამ ხალხის გაფანტვა».

პოლიცია და ჯარი, რასაკვირველია, ჭეშმარიტ-რუსულად იქცეოდნენ.

ამ უეჭველად დემოკრატიული აღმავლობის შეფასებას ჩვენ მორიგი ნომრისთვის გადავდებთ, მაგრამ არ შეგვიძლია აქ რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ სხვადასხვა პარტიის დამოკიდებულებაზე დემონსტრაციისადმი. «რუსსკიე ვედომოსტი», რომელმაც 11 ნოემბერს მოათავსა ყ ა ლ ბ ი ცნობა — დემონსტრაცია გაუქმებულიაო, 12 ნოემბერს იტყობინება, თითქოს

სოციალ-დემოკრატებს არავითარი დადგენილება არ მიუღიათ, ხოლო მათი ცალკეული დეპუტატები თავის უარყოფითს დამოკიდებულებასაც კი გამოთქვამდნენ, და მხოლოდ მარტოკა ტრუდოვიკებმა მიღებულ რეზოლუციაში შეუძლებლად ჩათვალეს ხელი შეეშალათ დემონსტრაციისთვისო. ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატი დეპუტატებისათვის სახელგამტეხი ეს ცნობა ყალბია; ალბათ, «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი მ» ის ისევე ბოროტგანზრახულად მოჭორა, როგორც მისი გუშინდელი ცნობა დემონსტრაციის გაუქმების შესახებ. «გოლოს მოსკვი»[101] 12 ნოემბერს იტყობინება, რომ, «გარდა სოციალ-დემოკრატებისა, ყველა პარტიის დეპუტატები უარყოფითად ეკიდებიან სტუდენტობის გამოსვლას ქუჩებშიო».

ცხადია, რომ კადეტური და ოქტიაბრისტული ორგანოები მეტისმეტად «გაურბიან ჭეშმარიტებას», რადგან დამფრთხალი არიან მემარჯვენეთა იმ ყოვლად უაზრო და სასაცილო ყვირილით, რომ «ძალები, რომლებიც დემონსტრაციას ამზადებენ, თავრიდის სასახლის კარნახით მოქმედებენო».

ხოლო კადეტები რომ უღირსად იქცეოდნენ, — ეს ფაქტია. «რეჩმა» 11 ნოემბერს, დემონსტრაციის დღეს, მოათავსა კადეტ დეპუტატთა მოწოდება, რომელიც მოუხმობდა არ მოეწყოთ დემონსტრაციები. დასაბუთება ამ მოწოდებაშიც და «რეჩის» მოწინავეშიც მართლაც რომ საზიზღარია: «ნუ მოვიშხამავთ» გლოვის დღეებსო! «მანიფესტაციების მოწყობა, ტოლსტოის ხსოვნასთან მათი დაკავშირება» იმას ნიშნავს, რომ გამოვიჩინოთ «წმიდათაწმიდა ხსოვნისადმი გულწრფელი სიყვარულის უქონლობაო»!! და ასე შემდეგ, პირწმინდა ოქტიაბრისტული სულისკვეთებით (შეადარეთ «გოლოს მოსკვის» 11 ნოემბრის მოწინავე წერილი, რომელშიც თითქმის სიტყვასიტყვით იგივე ფრაზებია).

საბელნიეროდ, საზიზღარი ფანდი, რასაც კადეტებმა დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართეს, ჩაიფუშა. დემონსტრაცია მაინც შედგა. და თუ პოლიციური «როსსია» კვლავ ყველაფერს კადეტებს აბრალებს და იმასაც კი ახერხებს, რომ მათს

მოწოდებაში «გაღვივება» ამოიკითხოს, სამაგიეროდ სათათბიროში, როგორც «გოლოს მოსკვი» ამბობს, ოქტიაბრისტებმაც და უკიდურესმა მემარჯვენეებმაც (შულგინი) დააფასეს კადეტების დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ა, აღიარეს ისინი «დემონსტრაციის მოწინააღმდეგეებად».

ვისაც რუსეთის რევოლუციის მთელმა მსვლელობამ ვერ ასწავლა ის, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმე რუსეთში უ ი მ ე დ ო ა, სანამ მას კადეტები ხელმძღვანელობენ, სანამ მას უნარი არა აქვს დაიცვას თავი კადეტების მხრივ ღალატისაგან, დაე მან კვლავ და კვლავ ისწავლოს თანამედროვე პოლიტიკის ფაქტებით, 11 ნოემბრის დემონსტრაციის ისტორიით.

დემოკრატიული აღმავლობის პირველივე დასაწყისი — კადეტურ საზიზღრობათა დასაწყისია.

აღვნიშნავთ კიდევ «გოლოს მოსკვის» ცნობას, რომ მუშებმა სტუდენტებს თითქოს წინადადება მისცეს მოეწყოთ გრანდიოზული დემონსტრაცია 14 ნოემბერს. ცოტაოდენი სიმართლე აქ, ალბათ, არის, რადგან დღეს (15 (28) ნოემბერს) პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ სანკტ-პეტერბურგში დაუპატიმრებიათ პროფესიულ კავშირთა ბიუროს 13 წევრი მუშათა მანიფესტაციის მოწყობის ც დ ი ს თ ვ ი ს.

«სოციალ-დემოკრატ» № 18,
1910 წ. 16 (29) ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი

გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი. მისი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც მხატვრისა, მისი მსოფლიო სახელი, როგორც მოაზროვნისა და მქადაგებლისა, ერთიც და მეორეც ასახავს, თავისებურად, რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობას.

ლ. ნ. ტოლსტოი, როგორც დიდი მხატვარი, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს გამოვიდა. მთელ რიგ გენიალურ ნაწარმოებებში, რომლებიც მან მოგვცა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი უმთავრესად ხატავდა ძველ, რევოლუციამდელ რუსეთს, რომელიც 1861 წლის შემდეგაც ნახევრადბატონყმური დარჩა, სოფლის რუსეთს, მემამულისა და გლეხის რუსეთს. რუსეთის ისტორიული ცხოვრების ამ ხანის დახატვისას ლ. ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შესძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა მებატონეთა მიერ დაბეჩავებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, წარმოგვიდგა, ტოლსტოის გენიალური გაშუქების მეოხებით, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ტოლსტოი-მხატვარს სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა იცნობს რუსეთშიაც კი. იმისათვის, რომ მისი დიადი ნაწარმოებები ნამდვილად გახდეს ყ ვ ე ლ ა ს კუთვნილება, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების

წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებსა და ათობით მილიონებს წილად არგუნა სიბნელე, დაბეჩავება, კატორღული შრომა და სილტაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება.

და ტოლსტოიმ არათუ მოგვცა მხატვრული ნაწარმოებნი, რომელთაც მასები ყოველთვის დააფასებენ და წაიკითხავენ, როცა ისინი მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის უღელს დაამხობენ და ადამიანური ცხოვრების პირობებს შეიქმნიან, — მან შესძლო შესანიშნავი ძალით გადმოეცა თანამედროვე წესწყობილებით ჩაგრული ფართო მასების სულიერი განწყობილება, დაესურათებია მათი მდგომარეობა, გამოეხატა მათი პროტესტისა და გულისწყრომის სტიქიური გრძნობა. ტოლსტოიმ, რომელიც უმთავრესად 1861 — 1904 წლების ეპოქას ეკუთვნოდა, თავის ნაწარმოებებში გასაოცარი გამოკვეთილობით განასახიერა — როგორც მხატვარმაც და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე.

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ეს იყო გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუცია მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ძალიან მაღალი და რუსეთში შედარებით მაღალი განვითარების ეპოქაში. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან მისი უშუალო ამოცანა იყო მეფის თვითმპყრობელობის, მეფის მონარქიის დამხობა და მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევა, და არა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა. განსაკუთრებით გლეხობას შეგნებული არ ჰქონდა ეს უკანასკნელი ამოცანა, შეგნებული არ ჰქონდა მისი განსხვავება ბრძოლის უფრო ახლობელი და უშუალო ამოცანებისაგან. და ეს იყო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან ობიექტურმა პირობებმა პირველ რიგში წამოაყენეს გლეხობის ცხოვრების ძირითადი პირობების შეცვლის საკითხი, ძველი შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის მსხვრევის, კაპიტალიზმისათვის «მიწის გაწმენდის» საკითხი, ობიექტურმა პირობებმა ცოტად თუ ბევ-

რად დამოუკიდებელი ისტორიული მოქმედების ასპარეზზე გამოიყვანეს გლეხთა მასები.

ტოლსტოის ნაწარმოებებში გამოიხატა სწორედ გლეხთა მასობრივი მოძრაობის ძალაც და სისუსტეც, ძლიერებაც და შეზღუდულობაც. მისი მხურვალე, მგზნებარე, ხშირად ულმობლად მკვეთრი პროტესტი სახელმწიფოსა და პოლიციურ-კაზიონური ეკლესიის წინააღმდეგ გადმოსცემს იმ პრიმიტიული გლეხური დემოკრატიის სულიერ განწყობილებას, რომელშიაც ბატონყმობის, მოხელეთა თვითნებობისა და მათგან ძარცვა-გლეჯის, საეკლესიო იეზუიტიზმის, მოტყუებისა და გაიძვერობის საუკუნეებმა უდიდესი გაბოროტება და სიძულვილი დააგროვა. მის მიერ მიწის კერძო საკუთრების შეუდრეკელი უარყოფა გადმოსცემს გლეხთა მასის ფსიქოლოგიას ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც ძველი შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობა, მემამულურიცა და სახაზინო-«საბადელოც», საბოლოოდ იქცა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების აუტანელ დაბრკოლებად და როდესაც ეს ძველი მიწათმფლობელობა აუცილებლად უაღრესი სისასტიკით და ულმობლად უნდა დამსხვრეულიყო. მის მიერ კაპიტალიზმის განუწყვეტელი მხილება, აღსავსე უაღრესად ღრმა გრძნობითა და უაღრესად ცხარე აღშფოთებით, გადმოსცემს იმ პატრიარქალური გლეხის მთელ ძრწოლას, რომლისკენაც უკვე თანდათან მიიწევს ახალი, უხილავი, გაურკვეველი მტერი; ეს მტერი მოდის საიდანღაც ქალაქიდან თუ საიდანღაც საზღვარგარეთიდან, ანგრევს სოფლის ყოფაცხოვრების ყველა «ბურჯს», თან მოაქვს არნახული გაჩანაგება, სიღატაკე, შიმშილით სიკვდილი, გაველურება, პროსტიტუცია, სიფილისი — «თავდაპირველი დაგროვების ეპოქის» მთელი უბედურებანი, ასკეცად გამწვავებულნი იმით, რომ რუსეთის ნიადაგზე გადმოტანილ იქნა ძარცვა-გლეჯის საკუთარი ფორმები, რომლებიც ბატონმა კუპონმა[102] შეიმუშავა.

მაგრამ მხურვალე პროტესტანტმა, მგზნებარე მამხილებელმა, დიდმა კრიტიკოსმა თავის ნაწარმოებებში ამასთან ერთად გამოამჟღავნა რუსეთზე მოწოლილი კრიზისის მიზეზთა

და კრიზისიდან გამოსვლის საშუალებათა ისეთი გაუგებლობა, რომელიც ახასიათებს მხოლოდ პატრიარქალურ, გულუბრყვილო გლეხს და არა ევროპულად განათლებულ მწერალს. ბატონყმურ და პოლიციურ სახელმწიფოსთან, მონარქიასთან ბრძოლა მის მოღვაწეობაში იქცეოდა პოლიტიკის უარყოფად, მას მიყავდა ის მოძღვრებამდე «ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის» შესახებ, მან გამოიწვია მისი სრული ჩამოშორება მასების 1905 — 1907 წლების რევოლუციური ბრძოლისაგან. კაზიონურ ეკლესიასთან ბრძოლა შეთავსებული იყო ახალი, გაწმენდილი რელიგიის ქადაგებასთან, ე. ი. ახალ, გაწმენდილ, საშინელ საწამლავთან ჩაგრული მასებისათვის. მიწის კერძო საკუთრების უარყოფა იწვევდა არა მთელი ბრძოლის წარმართვას ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, მემამულური მიწათმფლობელობისა და მისი ძალაუფლების პოლიტიკური იარაღის, ე. ი. მონარქიის წინააღმდეგ, არამედ მეოცნებურ, ბუნდოვან, უღონო ამოხვნეშას. კაპიტალიზმისა და იმ უბედურებათა მხილება, რასაც ის მასებს აყენებს, შეთავსებული იყო სავსებით აპათიურ დამოკიდებულებასთან იმ მსოფლიო განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი ეწევა.

წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში — მარტო მისი პირადი აზროვნების წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვაა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიას რეფორმის შ ე მ დ გ ო მ დ რ ო ი ნ დ ე ლ, მაგრამ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე ლ ეპოქაში.

და ამიტომ ტოლსტოის მართებული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ კლასის თვალსაზრისით, რომელმაც თავისი პოლიტიკური როლითა და თავისი ბრძოლით ამ წინააღმდეგობათა პირველი აფეთქების დროს, რევოლუციის დროს, დაამტკიცა თავისი მოწოდება იყოს ბელადი ხალხის თავისუფლებისათვის და ექსპლოატაციისაგან მასების განთავისუფლები-

სათვის ბრძოლაში, — დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება დემოკრატიის საქმისადმი და თავისი უნარი ებრძოლოს ბურჟუაზიული (მათ შორის აგრეთვე გლეხური) დემოკრატიის შეზღუდულობასა და არათანამიმდევრულობას, — შესაძლებელია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის თვალსაზრისით.

შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის მთავრობის გაზეთებში. ისინი ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ირწმუნებიან, რომ პატივს სცემენ «დიდ მწერალს» და იმავე დროს იცავენ «უწმიდეს» სინოდს. წმინდა მამებმა კი სწორედ ახლახან მიმართეს განსაკუთრებით საზიზღარ სისაძაგლეს, როცა მომაკვდავს ხუცები მიუგზავნეს, რათა ხალხი მოეტყუებინათ და ეთქვათ, რომ ტოლსტოიმ «მოინანია». უწმიდესმა სინოდმა ტოლსტოი ეკლესიისაგან განდევნა. მით უკეთესი. ეს საგმირო საქმე ჩაეთვლება მას, როდესაც ხალხი ანგარიშს გაუსწორებს ანაფორიან მოხელეებს, ქრისტეს სახელით მოქმედ ჟანდარმებს, ბნელ ინკვიზიტორებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ებრაელთა დარბევებს და შავრაზმული მეფის ბრბოს სხვა საგმირო საქმეებს.

შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის ლიბერალური გაზეთები. ისინი ფონს გადიან იმ ფუჭი, კაზიონურ-ლიბერალური, გაცვეთილ-პროფესორული ფრაზებით «ცივილიზებული კაცობრიობის ხმის», «მსოფლიოს ერთსულოვანი გამოხმაურების» შესახებ, «სიმართლის, სიკეთის იდეებისა» და სხვათა შესახებ, რომლებისთვისაც ტოლსტოი ასე ამათრახებდა — და სამართლიანადაც ამათრახებდა — ბურჟუაზიულ მეცნიერებას. მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ პირდაპირ და ნათლად გამოთქვან თავიანთი შეფასება ტოლსტოის შეხედულებებისა სახელმწიფოზე, ეკლესიაზე, მიწის კერძო საკუთრებაზე, კაპიტალიზმზე, — არა იმიტომ, რომ ცენზურა ხელს უშლის; პირიქით, ცენზურა მათ ეხმარება თავი დააღწიონ უხერხულ მდგომარეობას! — არამედ იმიტომ, რომ ტოლსტოის კრიტიკაში თვითეული დებულება ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის სილის გაწვნაა; — იმიტომ, რომ ტოლსტოის მიერ ჩვენი

დროის ყველაზე მტკივნეული, ყველაზე წყეული საკითხების უკვე მარტოოდენ უშიშარი, აშკარა, ულმობლად მწვავე დ ა ყ ე ნ ე ბ ა ა ც ა მ ტ ვ ე რ ე ბ ს ჩვენებური ლიბერალური (და ლიბერალურ-ნაროდნიკული) პუბლიცისტიკის შაბლონურ ფრაზებს, გაცვეთილ ფანდებს, მიკიბულ-მოკიბულ, «ცივილიზებულ» სიცრუეს. ლიბერალები ეჭომაგებიან ტოლსტოის, ილაშქრებენ სინოდის წინააღმდეგ — და, ამასთან ერთად, ისინი იცავენ... ვეხელებს, რომელთაც «შეიძლება ედავო», მაგრამ რომლებსაც «საჭიროა» შეეთვისო ერთ პარტიაში, რომლებთანაც «საჭიროა» ერთად იმუშაო ლიტერატურასა და პოლიტიკაში. ვეხელებს კი ეამბორება ანტონ ვოლინსკი.

ლიბერალები პირველ რიგში იმას აყენებენ, რომ ტოლსტოი «უდიდესი სინდისია». განა ეს ცალიერი ფრაზა არ არის, რომელსაც ათასნაირად იმეორებენ «ნოვოე ვრემიაც» და ყველა მისი მსგავსნიც? განა ეს დემოკრატიისა და სოციალიზმის იმ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი საკითხების გვერდის ავლა არ არის, რომლებიც ტოლსტოიმ დ ა ა ყ ე ნ ა? განა ეს პირველ რიგში არ აყენებს იმას, რაც ტოლსტოის ცრურწმენას გამოხატავს და არა მის გონებას, რაც მასში მიეკუთვნება წარსულს და არა მომავალს, მიეკუთვნება მის მიერ პოლიტიკის უარყოფას და ზნეობრივი თვითსრულყოფის ქადაგებას და არა მის მძაფრ პროტესტს ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის წინააღმდეგ?

მოკვდა ტოლსტოი, და წარსულს ჩაბარდა რევოლუციამდელი რუსეთი, რომლის სისუსტე და უძლურება გამოიხატა გენიალური მხატვრის ფილოსოფიაში, დასურათებულია მის ნაწარმოებებში. მაგრამ მის მემკვიდრეობაში არის ის, რაც წარსულს არ ჩაბარებია, რაც მომავალს ეკუთვნის. ამ მემკვიდრეობას იღებს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს რუსეთის პროლეტარიატი. ის განუმარტავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, ეკლესიის, მიწის კერძო საკუთრების ტოლსტოისებურ კრიტიკას, — არა იმისათვის, რომ მასები კმაყოფილდებოდნენ თვითსრულყოფითა და ღვთისნიერ ცხოვრებაზე ამოოხვრით

არამედ იმისათვის, რომ ისინი აღსდგნენ და ახალი ლახვარი ჩასცენ მეფის მონარქიასა და მემამულურ მიწათმფლობელობას, რომლებიც 1905 წელს მხოლოდ ოდნავ შეირყა და რომლებიც მოსპობილ უნდა იქნას. ის განუმარტავს მასებს კაპიტალიზმის ტოლსტოისებურ კრიტიკას, — არა იმისათვის, რომ მასები დაკმაყოფილდნენ კაპიტალისა და ფულის მეუფების შეჩვენებით, არამედ იმისათვის, რომ მათ თავიანთი ცხოვრებისა და თავიანთი ბრძოლის ყოველ ნაბიჯზე ისწავლონ დაყრდნობა კაპიტალიზმის ტექნიკურ და სოციალურ მონაპოვრებზე, ისწავლონ შემჭიდროება იმ სოციალისტურ მებრძოლთა ერთიან მილიონიან არმიად, რომლებიც დაამხობენ კაპიტალიზმს და შექმნიან ახალ საზოგადოებას, სადაც არ იქნება ხალხის სიღატაკე, არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

«სოციალ-დემოკრატ» № 18,
1910 წ. 16 (29) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» ტექსტის მიხედვით

ამხანაგებს — ბოლონიის სკოლის მსმენელებს [103]

პატივცემულო ამხანაგებო!

თქვენს წინადადებას — ვიკისრო ბოლონიაში ლექციების წაკითხვა, არ შემიძლია დავეთანხმო, ჯერ-ერთი, პრინციპული მიზეზების გამო, ხოლო, მეორეც, იმიტომ, რომ შესაძლებლობა არა მაქვს ბოლონიას გავემგზავრო.

მე მიმაჩნია, რომ მიმართულებაცა და ხერხებიც იმ ჯგუფის საქმიანობისა, რომელმაც კაპრიზე და ბოლონიაში სკოლა მოაწყო, საზიანოა პარტიისათვის და არასოციალ-დემოკრატიული.

«პლატფორმა», რომელიც კაპრის სკოლის მომწყობებმა და მათი მოწაფეების ნაწილმა (მართალია, მცირე ნაწილმა) გამოუშვეს, შეიცავს მარქსიზმისაგან უკანდახევის დაცვას როგორც ფილოსოფიაში, ისე პოლიტიკაში, ჩვენი პარტიის ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრაში. გარდა ამისა, ბოლონიაში სკოლის მოწყობა ეწინააღმდეგება ამ «პლატფორმასაც» და პარტიულობის მოთხოვნებსაც, რადგან მომწყობნი გამთიშველად მოქმედებენ, არათუ არ ეხმარებიან (არც ფულით, რაც მათ აქვთ, არც პირადი შრომით) სასკოლო კომისიას, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დანიშნა 1910 წლის იანვარში, არამედ პირდაპირ ფუშავენ ამ კომისიის ყველა წამოწყებას.

ამიტომ გასაგებია, რომ მე არავითარი მონაწილეობის მიღება არ შემიძლია ამ ანტიპარტიული ჯგუფის წამოწყებებში, რომელიც კავშირს წყვეტს სოციალ-დემოკრატიზმთან.

მაგრამ, რასაკვირველია, მე უდიდესი კმაყოფილებით მზად ვარ ბოლონიის სკოლის მ ს მ ე ნ ე ლ ე ბ ს, დამოუკიდებლად მათი შეხედულებებისა და სიმპათიებისა, წავუკითხო მთელი რიგი ლექციები ტაქტიკის საკითხზეც, პარტიის მდგომარეობაზეც და აგრარულ საკითხზეც. ამისათვის ნებას მივცემ თავს მოვიწვიო ამხანაგი მსმენელები უკან დაბრუნებისას პარიზში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მთელი რიგი ლექციების მოწყობა. სამგზავრო ფულის შოვნა შეიძლება შემდეგნაირად: 1) კაპრის სკოლის მომწყობებმა ბოლშევიკებისაგან ისესხეს 500 ფრანკი. ახლა მათ ფული აქვთ და, ალბათ, დაუბრუნებენ ვალს პარტიას, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს. მე, ჩემი მხრით, მზად ვარ მივაღწიო იმას, რომ ეს ფული გაღებულ იქნას ბოლონიიდან პარიზს გასამგზავრებლად, და, ვფიქრობ, რომ ბოლშევიკი, რომელიც ჩვენ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში წარვგზავნეთ, ყოველნაირად ხელს შეუწყობს ამას. 2) თუ 500 ფრანკი ცოტაა (მე არ ვიცი, რამდენი მსმენელია ბოლონიაში და რამდენს შეუძლია წამოსვლა), კიდევ არის 1 500 ფრანკი, რაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაიღო სასკოლო კომისიისათვის, რომელთანაც ბოლონიის სკოლის მომწყობებმა ურთიერთობა გაწყვიტეს. ვფიქრობ, შეიძლებოდა მიგვეღწია, რომ ეს თანხა გაღებული ყოფილიყო ლექციების კურსის წასაკითხად პარიზში იმ მსმენელთათვის, რომლებიც ბოლონიიდან ჩამოსვლას მოისურვებდნენ.

პარიზი საკმაოდ დიდია, რათა იქ კაცი სავსებით კონსპირაციულად მოეწყოს (არის უბნები, სადაც რუსები სრულებით არ არიან), ხოლო ამას გარდა შეიძლება მოწყობა პარიზის ახლო-მახლო მიდამოებში.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებ ბოლონიის სკოლის მსმენელებს მათი ამხანაგური მიწვევისათვის და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი წინადადება პარიზს გამგზავრების შესახებ მიღებული იქნება.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1910 წ. 20 ნოემბერს
(3 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1911 წ. «ბუშათა მეორე უმაღლესი სოციალ-დემოკრატიული საპროპაგანდო-სააგიტატორო სკოლის ანგარიშში». «ვპერიოდის» ჯგუფის გამოცემა

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას ხელით დაწერილი პირის მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი
და თანამედროვე მუშათა მოძრაობა[104]

რუსი მუშები რუსეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში უკვე გამოეხმაურნენ ლ. ნ. ტოლსტოის სიკვდილს და ასე თუ ისე გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მწერლისადმი, ვინაც მოგვცა მთელი რიგი უაღრესად შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც მას მთელი მსოფლიოს დიდ მწერალთა რიცხვში აყენებენ, — მოაზროვნისადმი, ვინც უდიდესი ძალით, რწმენით, გულწრფელობით დ ა ა ყ ე ნ ა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითად თვისებებს. საერთოდ და მთლიანად ეს დამოკიდებულება გამოხატულია გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშით, რომელიც III სათათბიროს მუშა დეპუტატებმა გაგზავნეს[105].

ლ. ტოლსტოიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ბატონყმობის არსებობის ხანაში, მაგრამ უკვე ისეთ დროს, როცა ბატონყმობა აშკარად სულს ღაფავდა. ტოლსტოის უმთავრესი მოღვაწეობა დაემთხვა რუსეთის ისტორიის იმ პერიოდს, რომელიც ძევს მის ორ მობრუნების პუნქტს შორის, 1861 და 1905 წლებს შორის. ამ პერიოდის განმავლობაში ბატონყმობის ნარჩენებითა და პირდაპირი გადმონაშთებით იყო მთლად გაჟღენთილი ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო (განსაკუთრებით სოფლის) და მთელი პოლიტიკური ცხოვრება. და იმავე დროს სწორედ ეს პერიოდი იყო პერიოდი კაპიტალიზმის გაძლიერებული ზრდისა ქვევიდან და მისი დანერგვისა ზევიდან.

რით იჩენდა თავს ბატონყმობის გადმონაშთები? ყველაზე მეტად და ყველაზე მკაფიოდ იმით, რომ რუსეთში, უმთავრესად მიწათმოქმედ ქვეყანაში, მიწათმოქმედება ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა გაჩანაგებულ, გაღატაკებულ გლეხთა ხელში, რომლებიც მოძველებულ, პირველყოფილ მეურნეობას ეწეოდნენ ყმების ძველ ნადელებზე, რაც მემამულეთა საკარგებლოდ ჩამოაჭრეს 1861 წელს. ხოლო, მეორე მხრით, მიწათმოქმედება იმყოფებოდა მემამულეთა ხელში, რომლებიც ცენტრალურ რუსეთში მიწას გლეხთა შრომით, გლეხური კავით, გლეხის ცხენით ამუშავებდნენ «ჩამოჭრილი მიწების» საზღაურად, სათიბების საზღაურად, პირუტყვის წყალსალევის საზღაურად და ასე შემდეგ. არსებითად, ეს — მეურნეობის ძველი ბატონყმური სისტემაა. რუსეთის პოლიტიკური წყობილება ამ ხნის მანძილზე აგრეთვე მთლად გაჟღენთილი იყო ბატონყმობით. ეს ჩანს სახელმწიფოებრივი წყობითაც, ვიდრე პირველად დაიწყებოდა მისი შეცვლა 1905 წელს, მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა გაბატონებული გავლენითაც სახელმწიფო საქმეებზე და მოხელეთა ყოვლისშემძლეობითაც, რომლებიც აგრეთვე უმთავრესად — განსაკუთრებით უმაღლესი მოხელენი — გამოსული იყვნენ მიწათმფლობელ თავადაზნაურთა წრიდან.

ეს ძველი პატრიარქალური რუსეთი 1861 წლის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენით. გლეხები შიმშილობდნენ, წყდებოდნენ, ჩანაგდებოდნენ, როგორც არასოდეს წინათ, თავს ანებებდნენ მიწას და გარბოდნენ ქალაქებში. გაძლიერებით შენდებოდა რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები გაჩანაგებულ გლეხთა «იაფი შრომის» მეოხებით. რუსეთში ვითარდებოდა მსხვილი ფინანსური კაპიტალი, მსხვილი ვაჭრობა და მრეწველობა.

ძველი რუსეთის ყველა ძველი «ბურჯის» აი ეს ჩქარი, მძიმე, მკვეთრი მსხვრევა აისახა კიდეც ტოლსტოი-მხატვრის ნაწარმოებებში, ტოლსტოი-მოაზროვნის შეხედულებებში.

ტოლსტოი ჩინებულად იცნობდა რუსეთის სოფელს, მემამულისა და გლეხის ყოფაცხოვრებას. მან თავის მხატვრულ

ნაწარმოებებში მოგვცა ამ ყოფაცხოვრების ისეთი გამოსახულებანი, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთ მიეკუთვნებიან. რუსეთის სოფლის ყველა «ძველი ბურჯის» მკვეთრმა მსხვრევამ გაამახვილა მისი ყურადღება, გააღრმავა მისი ინტერესი იმის მიმართ, რაც მის გარშემო ხდებოდა, გამოიწვია გარდატეხა მთელ მის მსოფლმხედველობაში. წარმოშობითა და აღზრდით ტოლსტოი ეკუთვნოდა რუსეთის მემამულეთა უმაღლეს დიდკაცობას, — მან კავშირი გაწყვიტა ამ წრის ყველა ჩვეულ შეხედულებასთან და, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში, მგზნებარე კრიტიკით დაესხა თავს მთელ თანამედროვე სახელმწიფოებრივ, საეკლესიო, საზოგადოებრივ, ეკონომიურ წესებს, რომლებიც ემყარება მასების დამონებას, მათს სიღატაკეს, გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა გაჩანაგებას საზოგადოდ, ძალადობასა და პირმოთნეობას, რითაც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მთელი თანამედროვე ცხოვრება.

ტოლსტოის კრიტიკა ახალი არ არის. მას ისეთი არაფერი უთქვამს, რაც მასზე დიდი ხნით ადრე არ ეთქვათ როგორც ევროპის, ისე რუსულ ლიტერატურაში იმათ, ვინც მშრომელთა მხარეზე იდგა. მაგრამ ტოლსტოის კრიტიკის თავისებურება და ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ ეს კრიტიკა ისეთი სიძლიერით გამოხატავს აღნიშნული პერიოდის რუსეთის ხალხის უაღრესად ფართო მასების და სახელდობრ სოფლური, გლეხური რუსეთის შეხედულებათა მსხვრევას, რომელიც მხოლოდ გენიალური მხატვრების დამახასიათებელია. რადგან ტოლსტოის კრიტიკა თანამედროვე წესებისა განსხვავდება იმავე წესების კრიტიკისაგან თანამედროვე მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების მიერ სწორედ იმით, რომ ტოლსტოი დგას პატრიარქალური, გულუბრყვილო გლეხის თვალსაზრისზე, ტოლსტოის ამ გლეხის ფსიქოლოგია გადააქვს თავის კრიტიკაში, თავის მოძღვრებაში. ტოლსტოის კრიტიკა იმიტომ განსხვავდება ვრძნობის ესოდენი ძალით, ესოდენი მგზნებარებით, დამაჯერებლობით, სიახლით, გულწრფელობით, შეუპოვარი მისწრაფებით «ფესვამდე ჩაწვდეს», იპოვოს მასების

უბედურებათა ნამდვილი მიზეზი, რომ ეს კრიტიკა ნამდვილად ასახავს გარდატეხას იმ მილიონობით გლეხთა შეხედულებებში, რომლებიც ეს-ეს არის ბატონყმობიდან თავისუფლების გზაზე გამოვიდნენ და დაინახეს, რომ ეს თავისუფლება მოასწავებს გაჩანაგების, შიმშილით სიკვდილის, ქალაქელ გაიძვერათა შორის უსახლკარო ცხოვრების და სხვა ახალ საშინელებებს. ტოლსტოი მათს სულიერ განწყობილებას ასახავს ისეთი სისწორით, რომ თვითონ მას თავის მოძღვრებაში შეაქვს მათი გულუბრყვილობა, პოლიტიკისაგან მათი განდგომა, მათი მისტიციზმი, ამა ქვეყნისაგან განდგომის სურვილი, «ბოროტებისადმი წინააღუდგომლობა», უმწეო წყევლა-კრულვა კაპიტალიზმის და «ფულის ბატონობის» მისამართით. გლეხთა მილიონების პროტესტი და მათი სასოწარკვეთილება — აი რა შეერწყა ერთმანეთს ტოლსტოის მოძღვრებაში.

თანამედროვე მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების აზრით, მათ საპროტესტო ბევრი რამ აქვთ, მაგრამ სასოწარსაკვეთი არაფერი აქვთ. სასოწარკვეთა იმ კლასების დამახასიათებელია, რომლებიც ილუპებიან, დაქირავებულ მუშათა კლასი კი გარდუვალად იზრდება, ვითარდება და ღონიერდება ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მათ შორის რუსეთშიც. სასოწარკვეთა იმათი დამახასიათებელია, ვისაც არ ესმის ბოროტების მიზეზები, ვერ ხედავს გამოსავალს, უნარი არ შესწევს იბრძოლოს. თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი ასეთი კლასების რიცხვს არ ეკუთვნის.

«ნაშ პუტ» № 7,
1910 წ. 28 ნოემბერი
ხელმოწერა: ვ. ი — ინი

იბეჭდება გაზეთ «ნაშ პუტის» ტექსტის მიხედვით

ღია წერილი ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელისადმი

ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე ჩვენ, როგორც ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენლებმა, ჩვენი ფრაქცია დავშალეთ და მისი კუთვნილი ფულის თანხა და სხვა ქონება გადავეცით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სამ ცნობილ მოღვაწეს. ეს გადაცემა, ისე როგორც ფრაქციის დაშლა, პ ი რ ო ბ ი თ ი ნაბიჯები იყო. თუ რა პირობით გადავდგით ეს ნაბიჯები, ცნობილია ჩვენი განცხადებიდან იმავე პლენუმზე, განცხადებიდან, რომელიც პლენუმმა მიიღო და გამოქვეყნდა პლენუმის შემდეგ გამოსულ ცენტრალური ორგანოს პირველსავე ნომერში (№ 11).

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პირობები იმაში მდგომარეობდა, რომ სხვა ფრაქციებს (და პირველ რიგში გ ო ლ ო ს ე ლ ე ბ ი ს ფრაქციას, ე. ი. მენშევიკებს, რომლებიც სცემენ და მხარს უჭერენ «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა ს») ლ ო ი ა ლ უ რ ა დ, ე. ი. პატიოსნად და ბოლომდე შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, სახელდობრ (1) ბრძოლა ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან, რომლებიც პლენუმის ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღიარებული არიან პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინებად, და (2) თავიანთი ფრაქციების დაშლა.

ამჟამად, ე რ თ ი წ ლ ი ს გამოცდილების, ერთი წლის მოლოდინის შემდეგ, ჩვენ სავსებით და საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ ა რ ც ე რ თ ი და ა რ ც მ ე ო რ ე პირობა

არც გოლოსელებმა და არც ვპერიოდელებმა ა რ შ ე ა ს-
რ უ ლ ე ს.

ასეთი დარწმუნების შედეგს, ჩვენი მხრით, წარმოადგენ-
და, ჯერ-ერთი, «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» გამოშვება, წარ-
მოადგენს, მეორეც, განცხადება ფულისა და ქონების დაბრუ-
ნების შესახებ, განცხადება, რომელიც ჩვენ ცენტრალურ კო-
მიტეტში შევიტანეთ ამ დღეებში, 1910 წლის 5 დეკემბერს.

ამ განცხადების შემდეგ საქმე ფორმალურად და არსები-
თად შემდეგნაირად არის. ჩვენ მთელი ქონება და მთელი
ჩვენი ძალები პ ი რ ო ბ ი თ ა დ გადავეცით პარტიისა და მისი
სრული ერთიანობის აღსადგენად წარმოებული ანტილიკვი-
დატორული და ანტიოტზოვისტური მუშაობისათვის მხარდა-
საჭერად. გოლოსელებისა და ვპერიოდელების მხრივ მათ
მიერ მიღებული პირობების დარღვევა ჩვენს ხელშეკრულე-
ბას არღვევს. ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების მიერ
დარღვეულ ამ ხელშეკრულებას რომ ვაუქმებთ, ჩვენ კ ვ ლ ა-
ვ ი ნ დ ე ბ უ რ ა დ ვიმუშავებთ პარტიისა და მისი სრული ერ-
თიანობის აღსადგენად, ანტილიკვიდატორული და ანტიოტ-
ზოვისტური ხაზის გასატარებლად, მაგრამ ამ მუშაობას ჩვენ
უნდა ვეწეოდეთ ა რ ა ი მ მოკავშირეებთან ერთად, რომლებ-
საც პლენუმზე ნება დართეს (მათი დაპირებებისადმი ნდობის
გამო) მიეღოთ მონაწილეობა პარტიულ ცენტრებში. რადგა-
ნაც, საერთო აღიარებით და ნაციონალური ორგანიზაციების
დელეგატთა არაერთგზისი განცხადებებით, პლენუმზე და
სხვა პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე და ასე შემდეგ,
სწორედ ჩვენს, ბოლშევიკურ, ფრაქციას ყოველთვის განი-
ხილავდნენ როგორც ისეთ ფრაქციას, რომელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე
მ ე ტ ა დ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი ა პარტიის საქმეთა მდგო-
მარეობისათვის, — ამიტომ ჩვენს მოვალეობად ვთვლით აშ-
კარად გადმოვცეთ ჩვენი შეხედულებანი პარტიის საქმეთა
მდგომარეობაზე და ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების მნიშ-
ვნელობაზე.

1910 წლის იანვრის პლენუმს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში. მან საბოლოოდ განსაზღვრა პარტიის ტაქტიკური ხაზი კონტრრევოლუციის ეპოქისათვის, როცა 1908 წლის დეკემბრის რეზოლუციების განსავითარებლად დაადგინა, რომ ლიკვიდატორობაც და ოტზოვიზმიც არის პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოვლინებანი. შემდეგ, პლენუმმა ჩვენს პარტიაში ფრაქციების მოსპობის საკითხი, — ე. ი. მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნამდვილი ერთიანობის შექმნის აუცილებლობის საკითხი, — დაუკავშირა პარტიის იდეურ-პოლიტიკური ამოცანების განსაზღვრას ახლანდელ ისტორიულ პერიოდში.

ამ ორ საქმეს, რაც პლენუმმა 1910 წლის იანვარში გააკეთა, ჩვენი რწმენით, ისტორიული მნიშვნელობა აქვს, და მათი შედეგები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, გაცილებით უფრო სასიცოცხლოა, გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ზერელე მეთვალყურეს ჰგონია.

მაგრამ ეს შედეგები საშინლად გააფუჭა მათ ახლო-მახლო დახლართულმა ფრაზამ. არაფერია სოციალ-დემოკრატიის ბუნებისათვის ესოდენ მტრული და ესოდენ საზიანო, როგორც ფრაზა. «შემარიგებლური» ფრაზა კი არანაკლებ საზიანოა და არანაკლებ უბნეს თავგზას ადამიანებს, ვიდრე ოტზოვისტური და ლიკვიდატორული ფრაზა. ეს «შემარიგებლური» ფრაზა ჩქმალავს საქმის დედაარსს, რეალური ტენდენციებისა და პარტიაში ძალთა რეალური თანაფარდობის გათვალისწინების ადგილზე აყენებს ამოოხვრას და კეთილ სურვილებს, გაერთიანობიას თამაშის ცდებით იმათთან, ვისაც ამჟამად არ ენდა და ამჟამად არ შეუძლია გაერთიანდეს, ზიანს აყენებს იმათ დაახლოებას, ვისი დაახლოებაც შეიძლება და უნდა მოხდეს.

იანვრის პლენუმის შემდეგ გასული ერთი წლის განმავლობაში ამ ფრაზამ ამოსწურა თავისი თავი და დაგვანახა თავისი ნაყოფი. თუ პარტია ისწავლის ახლა, «შემარიგებლური» ფრაზის გმირთა მწარე გამოცდილებით ისწავლის

იმას, როგორ არ უნდა მოვკიდოთ ხელი ფრაქციების «შერიგებისა» და მოსპობის საქმეს, მაშინ პლენუმის შემდეგ განვლილი წელი ამაოდ დაკარგული არ იქნება.

ფრაზა იმაში მდგომარეობდა, რომ საკმარისია თავი მოვუყაროთ «დაპირებებს» ფრაქციების მოსპობის შესახებ, საკმარისია შევაკოწიწოთ ცენტრალური დაწესებულებანი სულ სხვადასხვა ყალიბის ელემენტებისაგან, საკმარისია «გავაწონასწოროთ» მოპირდაპირე ელემენტები — და ფრაქციების მოსპობისაკენ გადადგმული იქნება სერიოზული ნაბიჯიო.

ერთი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა და არ შეიძლებოდა არ ეჩვენებინა, რომ ფრაზის მომხრეთა მეთოდმა სრული მარცხი განიცადა. «დაპირებებზე» არაფრის აშენება არ შეიძლება, სხვადასხვაგვარი და შეუერთებადი ელემენტების შეერთებაზე რისიმე დაფუძნება სასაცილოა. ყველაფერი, რაც კი პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებში ფრაზაზე იყო აგებული, ყველაფერი ეს მეორე დღესვე საპნის ბუშტი აღმოჩნდა. გადაწყვეტილებანიც, რეზოლუციებიც და ხელოვნურად შეკოწიწებული დაწესებულებანიც საქმით აღმოჩნდნენ უსიცოცხლონი, მკვდარი დაწესებულებანი. ის კი, რაც პლენუმის საქმეებში რეალური იყო, ის განვითარდა, განმტკიცდა, თავი იჩინა მუშაობაში, ჰპოვა თავისი არსებობის ახალი ფორმები რეზოლუციებს გარეთ, მათგან დამოუკიდებლად.

ძნელი წარმოსადგენია რაიმე უფრო თვალსაჩინო და უფრო ჭკუისსასწავლი გაკვეთილი, ვიდრე იმ მოვლენების ეს გაკვეთილი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ერთი წლის განმავლობაში პლენუმის შემდეგ, გაკვეთილი, რაც მიიღეს ფრაზით, ცარიელი კეთილი სურვილებით, დაწესებულებებში ადგილების განაწილების თამაშით და სხვა ამისთანებით გატაცებულმა ადამიანებმა.

ხოლო რა იყო რეალური პლენუმის საქმეებში? რეალური იყო კავშირის აღნიშვნა პარტიული მუშაობის იდეურ-პოლიტიკურ შინაარსსა და ფრაქციების მოსპობას შორის. რეალური იყო იმ ფრაქციათა ან მიმდინარეობათა დაახ-

ლ ო ე ბ ა, რომლებიც ერთმანეთს უახლოვდებოდნენ არა იაფფასიანი შემარიგებლური ფრაზით, არა დაპირებებითა და აღთქმებით, არა ცენტრებში ადგილების განაწილების თამაშით, არამედ **მუშაობით,** უახლოვდებოდნენ მომენტის იდეურ-პოლიტიკური ამოცანების **გაგებაში, საქმით** უახლოვდებოდნენ ერთმანეთს ამ ამოცანების დაყენებაში, მათს გადაწყვეტაში.

სანამ ფრაქციების მოსპობაზე მაღალფარდოვან და იაფფასიან ფრაზებს წარმოთქვამდნენ ადამიანები, რომლეთაც არ გაეგებოდათ არც უთანხმოებათა ობიექტური წყარო და არც ფ ა ქ ტ ი ‘ უ რ ი ვითარება, რაც გარკვეული ლიტერატორული ჯგუფებისათვის (როგორიცაა ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფი ან მახისტი და ოტზოვისტი ლიტერატორების ჯგუფი) ს ა ქ მ ი თ უზრუნველყოფდა პარტიისაგან დამოუკიდებლობას, მანამდე ფრაზები ლიტონ, უსუსურ ფრაზებად რჩებოდა. მას შემდეგ კი, რაც ორ ძირითად და მთავარ ფრაქციაში, რომლებმაც თავისი კვალი დააჩნიეს მუშათა მოძრაობის მ თ ე ლ ისტორიას რევოლუციის დროს და მეტიც — რუსეთის რევოლუციის მ თ ე ლ ისტორიას, — ობიექტური პირობების შეცვლის გამო დაიწყო უფრო და უფრო დაახლოება მ უ შ ა ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ, დაახლოება ამ ობიექტური პირობების გ ა გ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ, — ვერავითარი მეცადინეობა ინტრიგანებისა, რომელთაც სურთ ჩაფუშონ ეს დაახლოება ან გამოიწვიონ მის მიმართ უნდობლობა, ვერ შესძლებს შეაჩეროს დაწყებული პროცესი.

პარტიაში საქმეთა ფაქტიური მდგომარეობა, რაც პლენუმის შემდეგ შეიქმნა, განვლილი წლის მანძილზე სრული სიცხადით გაირკვა. ფაქტია ის, რომ გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა ხ ე ლ ი მ ო ა წ ე რ ე ს რეზოლუციებს ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმთან ბრძოლის შესახებ, ნამდვილად კი ისინი მ თ ე ლ თავიანთ პროპაგანდასა და აგიტაციას, მ თ ე ლ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან **სწო-**

რედ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის მხარდაჭერისა და მათი დაცვის აზრით.

იმათ, ვისაც თვალნი ხედვად აქვს, ეს ფაქტი უჩვენებს, თუ რამდენად უმწეოა პოლიტიკა, რომელიც ქაღალდზე მიღებული რეზოლუციებით კმაყოფილდება, რამდენად საზიანოა ფრაზა, რომელიც საქმეს შორდება.

შემდეგ. ფაქტია ის, რომ არც გოლოსელებს და არც ვპერიოდელებს ერთიწუთითაც არ შეუწყვეტიათ თავიანთი ფრაქციული დამოუკიდებლობა. ორივე ფრაქცია წინანდებურად არსებობს როგორც პარტიისაგან ფაქტიურად სავსებით დამოუკიდებელი ფრაქციები, რომელთაც აქვთ თავისი სალაროები, ჰყავთ თავისი ორგანოები და თავისი აგენტურა. ოტზოვისტებისათვის მათი ფრაქციული ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს ეგრეთწოდებული საზღვარგარეთული «სკოლა» (ნამდვილად კი ეს არის დაწესებულება, რომლის მიზანია აგენტურის სისტემატური შერჩევა და ორგანიზაციული მუშაობის გეგმაზომიერი წარმოება პარტიის გვერდის ავლით და პარტიის წინააღმდეგ). «სკოლას» ემატება ცალკე გამომცემლობა და ტრანსპორტი. გოლოსელთა ფრაქციული ორგანიზაცია უფრო lose-ა (უფრო «თავისუფალია», ნაკლებ გაფორმებულია), ამასთან მთავარ როლს ასრულებენ პარტიისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფი, 16-ის ჯგუფი, მიხეილის, რომანისა და იურის ჯგუფი მათი კომპანიითურთ. გოლოსელები ფრიად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ ჯგუფებში, როცა ისინი პარტიის წინააღმდეგ ეწევიან მთელ საპროპაგანდო-სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას და ამავე დროს უარს არ ამბობენ მონაწილეობა მიიღონ პარტიულ ცენტრებში იმისათვის, რომ სისტემატურად გამოუთხარონ ძირი მათს მნიშვნელობას და შიგნიდან გახრწნან ისინი.

არც ერთ პარტიულ სოციალ-დემოკრატს არ შეუძლია არ ხედავდეს, თუ რას იწვევს საქმის ასეთი მდგომარეობა.

ლიტერატურის დარგში — ერთი წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ცენტრალურ ორგანოს ნამდვილად წარ-

მართავენ ბოლშევიკები პ ლ ე ს პლეხანოველები რედაქციაში მოკალათებულ გოლოსელთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ცხოვრებამ გვერდი აუქცია შემარიგებლური ფრაზით შექმნილ ჩარჩოებს: დაპირებით «შემარიგებლები», თანამდებობით «შემარიგებლები», ლიკვიდატორული ცენტრების დავალებით «შემარიგებლები» მ უ შ ა ო ბ ი ს სულ ერთიანად დ ა ა მ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ე ლ ნ ი აღმოჩნდნენ. პლეხანოვი და მისი თანამოაზრენი კი, რომელთაც პლენუმზე არავითარი დაპირება არ მოუციათ და არავითარი თანამდებობა არ მიუღიათ, ს ა ქ მ ი თ აღმოჩნდნენ პარტიული ხაზის გ ა მ ტ ა რ ე ბ ე ლ ნ ი.

აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას ფორმასა და არსს შორის, ფრაზასა და საქმეს შორის, ვითომდა პარტიული კოლეგიის (ცენტრალური ორგანოს რედაქციის) აშკარად თვალთმაქცურ არსებობასა და ცენტრალურ ორგანოში ამ კოლეგიის გვერდის ავლით ფაქტიურ მუშაობას შორის უდიდესი რღვევა შეაქვს პარტიულ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ შეწყდეს ეს რღვევა, შეწყდეს ფორმალურად პარტიულ დაწესებულებათა ეს დაქვეითება ისეთ როლამდე, რომელიც პარტიის ინტრების დამსახურებულ დაცინვასა და ზეიმს იწვევს, საჭიროა ბოლო მოეღოს თვალთმაქცობას და აშკარად ითქვას ის, რაც არის, აშკარად იქნას აღიარებული, რომ პარტიულ მუშაობას ეწევა ო რ ი ფრაქცია.

საზღვარგარეთ გაერთიანების მხრივ ერთი წლის მანძილზე აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა. ჯგუფები კვლავ გათიშულნი არიან ყველგან, სადაც კი ისინი წინათაც გათიშულნი იყვნენ. მენშევიკ-ლიკვიდატორების ჯგუფები აშკარად იქცნენ «გ ო ლ ო ს ი ს» მხარდამჭერ ჯგუფებად. დაახლოება დაისახა და ს ა ქ მ ი თ დაიწყო მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკებსა და პლეხანოველებს შორის. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო, როგორც საზღვარგარეთ სოციალ-დემოკრატების მუშაობის გამაერთიანებელი ორგანო, სასაცილო რამ გახდა, რომელსაც კანონიერად იგდებენ აბუჩად ვპერიოდელებიც და გოლოსელებიც, კმაყოფილებით შესცქერიან რა იმას, თუ როგორ ასრულებს პარტიული ცენტ-

რი პროვოკატორულ საქმეთა და ისეთი გაჭიანურებული მიწერ-მოწერის კოლეგიის როლს, რაც არავის არ ესაჭიროება.

ყველაზე მნიშვნელოვან დარგში, სახელდობრ, რუსეთში ადგილებზე ორგანიზაციული მუშაობის დარგში, ერთი წლის მანძილზე აბსოლუტურად არაფერი გაკეთებულა პარტიის სასარგებლოდ. ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც უნდა მიეწვია მიხეილები, რომანები და იურები პლენუმისთვის მიცემულ «დაპირებათა» საფუძველზე, გულმოდგინედ ეწეოდა ამ კეთილშობილსა და რევოლუციონერისათვის შესაფერის მუშაობას იმათ მოსაწვევად პარტიაში, ვინც მას დასცინის და კვლავ ზიანს აყენებს, მაგრამ მან ერთი წლის მანძილზე მაინც ვერ მოასწრო ვინმე «მიეწვია». ამასობაში კი ანტიპარტიულმა ფრაქციებმა გაძლიერეს თავიანთი ორგანიზაციები პარტიის წინააღმდეგ: გაძლიერდა ვპერიოდელთა აგენტურა და განვითარდა მათი ფრაქცია, გაძლიერდა ბ-ნ პოტრესოვის ჯგუფი და სხვა ლიკვიდატორული წამოწყებანი, რომლებიც განაგრძობდნენ ქადაგებას პარტიის წინააღმდეგ მთელ რიგ კლუბებში, კოოპერატივებში და სხვაგან, განაგრძობდნენ ინტრიგებს პარტიის წინააღმდეგ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან. როლი ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ლიკვიდატორებს «იწვევდა» ან გოლოსელთა და ვპერიოდელთა «საკინკლაო» საქმეების გამო ფუჭ მიწერ-მოწერას ეწეოდა, პირდაპირ დამამცირებელი როლია, და ჩვენ ნება არ უნდა მივცეთ პარტიის მტრებს ამ როლში ჩააყენონ ცენტრალური კომიტეტი.

მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც არავითარი უნარი არა აქვთ იფიქრონ, ან სურთ წვრილმან ინტრიგას ეწეოდნენ, შეუძლიათ ჯერ კიდევ არ ხედავდნენ, რომ თუ პარტიული ცენტრების ასეთი მდგომარეობა კვლავ გაგრძელდა, ეს გარდუვალად უმზადებს გამარჯვებას ლიკვიდატორებს და ოტზოვისტებს, რომლებიც კმაყოფილებით შესცქერიან, თუ როგორ გაიხლართა და ახლაც იხლართება ცენტრა-

ლური კომიტეტი შემარიგებლურ ფრაზაში, შერიგობაის თ ა-
მ ა შ ში იმათთან, ვისაც არ უნდა შეურიგდეს პარტიას.

შემარიგებლური ფრაზა ლიკვიდატორებმა და ოტზოვის-
ტებმა მშვენივრად გაიგეს და მშვენივრად გამოიყენეს პარ-
ტიის წინააღმდეგ. ამ ფრაზის გმირი, ტროცკი, საკუთარ ბუ-
ნებრივად იქცა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების
გმირად და ნაფიც ვექილად, რომელთაც ის ა რ ა ფ ე რ შ ი
არ ეთანხმება თეორიულად და ყ ვ ე ლ ა ფ ე რ შ ი ეთანხმება
პრაქტიკულად.

ლიკვიდატორებმაც და ვპერიოდელებმაც, ამ ვექილის
მოწყალე დახმარებით, ჩინებულად შეითვისეს ტაქტიკა: რამ-
დენიც გნებავთ ღმერთი და ხატი იფიცონ, რომ ისინი პარ-
ტიელები არიან. ამას იმეორებს «გ ო ლ ო ს ი» და «ვ პ ე-
რ ი ო დ ი ს» ჯგუფის პლატფორმა, რომლებიც ს ა ქ მ ი თ
კვლავ განაგრძობენ პარტიის გახრწნას და მთელი მუშაობის
ანტიპარტიული სულისკვეთებით წარმართვას. ფორმალური
და სიტყვიერი «შემარიგებლობა» გახდა «გ ო ლ ო ს ე ლ ი»
ლიკვიდატორებისა და ვპერიოდელების იარაღი.

გასაგებია, რომ ჩვენ, როგორც ბოლშევიკური მიმდინა-
რეობის წარმომადგენლებს, არ შეგვიძლია ვასრულებდეთ
გაბრიყვებულთა ამ როლს. მას შემდეგ, რაც მთელი წელიწა-
დი ველოდებით, მას შემდეგ, რაც ყოველივე შესაძლებელი
გავაკეთეთ ვპერიოდელთა, გოლოსელთა და ტროცკის ანტი-
პარტიულობის განმარტებისათვის ცენტრალური ორგანოს
ფურცლებიდან, ჩვენ ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა ვ ი კ ი ს რ ო თ
პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ა პარტიის წინაშე იმ დაწესებუ-
ლებებისათვის, რომლებიც გართული არიან ლიკვიდატორების
«მოწვევით» და ფუჭი მიწერ-მოწერით ვპერიოდელთა «საქ-
მეების გამო». ჩვენ გვინდა არა კინკლაობა, არამედ მუშაობა.

ჩვენ გვინდა ვიმუშაოთ იმათთან ერთად, ვისაც სურს
იმუშაოს და ვინც საქმით დაამტკიცა თავისი უნარი — იმუ-
შაოს პარტიული სულისკვეთებით, ე. ი. პირველ რიგში პარ-
ტიელ მენშევიკებთან და ნამდვილად არაფრაქციულ სოციალ-
დემოკრატებთან ერთად. ჩვენ არ გვინდა პასუხი ვაგოთ იმათ-

თან კინკლაობისათვის, ვისაც არ სურს პარტიასთან ერთად იმუშაოს, არამედ სურს ბ-ნ პოტრესოვთან და ოტზოვისტებთან მუშაობდეს.

საქმის ვითარება რუსეთში ისეთია, რომ პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციებს დაჟინებით მოეთხოვებათ გაძლიერებული და შეთანხმებული მუშაობა. კონტრრევოლუციის ოქროს დღეების სამწლიანი პერიოდი (1908 — 1910 წწ.), ეტყობა, დასასრულს უახლოვდება და დაწყებული აღმავლობის პერიოდით იცვლება. მიმდინარე წლის ზაფხულის გაფიცვებიც და ტოლსტოის სიკვდილის გამო გამართული დემონსტრაციებიც ნათლად მოწმობენ ამას. პარტიის ორგანიზაციული მუშაობა რუსეთში უაღრესად შესუსტებულია, და ამ სისუსტით ყოვლად ურცხვად სარგებლობენ ვპერიოდელები და გოლოსელები, რომლებიც ავითარებენ თავიანთ ანტიპარტიულ მუშაობას რუსეთისა და საზღვარგარეთის ფრაქციული ცენტრების დახმარებით.

ასეთ პირობებში ამ ფრაქციულ ცენტრებთან შერიგებიას თამაშის შემდგომი გაჭიანურება, მათი დამოუკიდებლობისათვის ფარისევლურად თვალის არიდება, მათი წარმომადგენლების «მოწვევა» ერთობლივი ბრძოლისათვის მათივე პოლიტიკის წინააღმდეგ, პარტიის წინაშე მათთვის ხელის დაფარება მათი წევრების მიღებით ცენტრებში, — ეს იმას ნიშნავს, რომ განუმზადო საკუთარ თავს გაუთავებელი კინკლაობა. ეს ნიშნავს შ ე ა ფ ე რ ხ ო საზღვარგარეთული ცენტრების მუშაობა, რაც ისედაც იმდენად შეფერხებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში რუსეთში ცენტრალური კომიტეტის ა რ ც ე რ თ ი კრება არ ყოფილა, არც ერთი არათუ კონფერენციის, არამედ პარტიის ადგილობრივი მუშაკების კერძო თათბირის მოწყობაც კი არ მოხერხდა (მაშინ როდესაც ოტზოვისტების «სკოლამ» და ლიკვიდატორების ლეგალურმა ორგანოებმა არა ერთხელ მოასწრეს მოეწყოთ პარტიის წინააღმდეგ აგენტების, ჟურნალის კორესპონდენტების ყოველგვარი თათბირები, კრებები და სხვ.).

ჩვენ მოვალენი ვართ მოვიხსნათ პასუხისმგებლობა გოლოსელებთან შერიგებიას თამაშში გახლართული ცენტრების მუშაობის ამ ს რ უ ლ ი შეჩერებისათვის და დაუყოვნებლივ დავიწყოთ დამოუკიდებელი და უაღრესად ენერგიული მუშაობა ორთოდოქსი ბოლშევიკების, პარტიული მენშევიკებისა და არაფრაქციული სოციალ-დემოკრატების დასარაზმავად იმისათვის, რომ მოვაწყოთ თათბირები, კონფერენციები, საოლქო ბიუროები, პარტიული ლიტერატურით აღჭურვილი კავშირურთიერთობის ჯგუფები და ასე შემდეგ. სწორედ ასეთი მუშაობისაკენ, რომელსაც მხოლოდ ერთადერთს შეუძლია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამოიყვანოს პარტია ჩიხიდან და გაათავისუფლოს ცენტრები გოლოსელების მიმართ «ლაქუცისაგან», მოვუწოდეთ ჩვენ ყველა პარტიელ-სოციალ-დემოკრატს.

ჯერ კიდევ ბოლშევიკური ფრაქციის სახელით, პლენუმამდე, 1909 წლის გაზაფხულზე, ჩვენ გამოვაცხადეთ პარტიულ მენშევიკებთან დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი ს პოლიტიკა, და მას შემდეგ ამ პოლიტიკამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ იმ ფუჭი ცდისა, რომ დანდობოდნენ გოლოსელთა «დაპირებებს» და განეხილათ ისინი როგორც პარტიელნი. ყველაფერი, რაც მას შემდეგ გაკეთდა არა ვპერიოდული ქადაგების და ლიკვიდატორობის გოლოსური დაცვის, არამედ პ ა რ ტ ი ი ს ხ ა ზ ი ს ნამდვილი განმტკიცებისათვის, ო რ ი ვ ე მთავარი ფრაქციის ძირითადი ბირთვის ნამდვილი დაახლოებისათვის, — ყველაფერი ეს გაკეთდა ჩვენს მიერ გოლოსელებთან შერიგების ამ ფუჭი ცდებისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ. და, ვიხსნით რა პასუხისმგებლობას ამ ცდების განგრძობისათვის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მივაღწევთ კიდევ უფრო მეტ დაახლოებას მ უ შ ა ო ბ ა შ ი «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» მეშვეობითაც, ლეგალური ლიტერატურის მეშვეობითაც და «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» მომხრეთა და პლეხანოვის მომხრეთა ჯგუფების საზღვარგარეთული მოღვაწეობის მეშვეობითაც.

პლენუმის შემდეგ, რომელმაც სრული სიცხადით დააყენა ფრაქციებისა და მათი მოსპობის საკითხი, პირველად დააყე-

ნა ეს საკითხი თვით ამ ფრაქციების იდეურ-პოლიტიკურ ხაზთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ, ე. ი. პირველად დააყენა მ უ შ ა ო ბ ა შ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი ს გათვალისწინების რეალურ ნიადაგზე და არა ცალიერი აღთქმების, ფორმალურ დაპირებათა და მისთანა ფრაზის ნიადაგზე, — პლენუმისა და ერთი წლის განმავლობაში მისი შედეგების შემოწმების შემდეგ უკვე ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გაგრძელდეს დამალობიას ძველი თვალთმაქცური თამაში.

უნდა ვიმოქმედოთ აშკარად. უნდა ვიქონიოთ გამბედაობა ვთქვათ ის, რაც არის. თუ ცენტრალური კომიტეტი მოისურვებს პირდაპირ და აშკარად უთხრას პარტიას ის, რაც არის, ეს უბრალო განცხადება მის ხელში იქნება უდიდესი ძალის იარაღი, ასმაგად უფრო საფუძვლიანი, ვიდრე ყოველგვარი რეზოლუციები, სურვილები, დაგმობა, გარიცხვა და სხვ.

იმის თქმა, რაც არის, ნიშნავს აღიარო, რომ ყ ვ ე ლ ა ფრაქციის მოსპობის ცდა, სამწუხაროდ, ჩაშალეს გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა, მ ა გ რ ა მ ძირითადი ბირთვის დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა, ორი მთავარი ფრაქციის ნამდვილად პარტიული ელემენტების დაახლოება, მათი დაახლოება პარტიულ ელემენტებთან ნაციონალებიდან და არაფრაქციული სოციალ-დემოკრატებიდან — წინ წავიდა. თუ ტროცკი და ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების დამცველი მისი მსგავსი ვექილები ამ დაახლოებას «პოლიტიკურად უშინაარსო» დაახლოებად აცხადებენ, ამგვარი სიტყვები მოწმობენ მხოლოდ ტროცკის მთელ უპრინციპობას, მოწმობენ იმას, რომ მისი პოლიტიკა რ ე ა ლ უ რ ა დ სავსებით ეწინააღმდეგება ფრაქციების ნ ა მ დ ვ ი ლ ი (და არა მარტო დაპირებებით განსაზღვრული) მოსპობის პოლიტიკას. ამ მოსპობის დ ა პ ი რ ე ბ ა პლენუმის შედეგების ერთი წლის განმავლობაში შემოწმების შემდეგ მხოლოდ თაღლითობას ნიშნავს. მაგრამ ფრაქციების მოსპობა თუ ფრაზაა, სამაგიეროდ, ძირითად მიმდინარეობათა დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ორ მთავარ ფრაქციაში — ფ ა ქ ტ ი ა. არავითარი «ბლოკი», არავითარი მაღალფარდოვანი ვალდებულება, უთანხმოებათა გაქრობის არავითარი დაპირება

ამ ფაქტიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ მისგან გამომდინარეობს იმის რ ე ა ლ უ რ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა, რომ ვაშენოთ პარტია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ, მენშევიკების ნ ა წ ი ლ ი ს ა და ბოლშევიკების ნ ა წ ი ლ ი ს თანამშრომლობაზე დაყრდნობით.

თუ ცენტრალური კომიტეტი მოისურვებს სრული თანამიმდევრობით დაადგეს ასეთი აღიარებისა და ასეთი მუშაობის გზას, თუ ის მოისურვებს გადააქციოს ყველა ცენტრალური დაწესებულება ასეთი დაახლოების ორგანოდ, სავსებით გაათავისუფლოს ისინი არასაკადრისი და საზიანო «ლაქუცისაგან» გოლოსელთა მიმართ ან გოლოსელთა «მოწვევისაგან», შესაძლებლობა მისცეს მათ იმუშაონ უკინკლაოდ, — ჩვენ მთელი არსებითა და მთელი ძალებით მხარს დავუჭერთ ამ პოლიტიკას, რომელიც ჩვენ ს ა ქ მ ი თ გავატარეთ 1909 წლის გაზაფხულიდან, ე. ი. თითქმის უკვე მთელი ორი წლის განმავლობაში.

თუ ცენტრალური კომიტეტი არ მოისურვებს გამოიტანოს ეს გარდუვალი დასკვნა პლენუმის გაკვეთილებიდან და მისი შედეგებიდან, მაშინ დაე მან პარტიული მუშაობის... და ერთიანობის აღსადგენად მუშაობის გაძღოლა მიანდოს გოლოსელთა, ვპერიოდელთა და ტროცკის კავშირს. ეს უფრო სწორი და უფრო პატიოსანი იქნება, ჩვენ კი ამ კავშირს, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი ანტიპარტიულობა, ვშორდებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ ოდნავი ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი ნაბიჯის გამო ზოგიერთები (და მათ შორის, უეჭველია, იქნებიან ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების ნაცადი ვექილები) ასტეხენ ყვირილს «გათიშვის» შესახებ. თუმცა ამგვარი ყვირილი ყოვლად უაზრო და ყოვლად ფარისევლური იქნება, მაგრამ იმისათვის, რომ საქმეს გაუცნობელი ადამიანები წინასწარ გავაფრთხილოთ, აუცილებლად საჭიროა შევჩერდეთ ამ მოსალოდნელ საწინააღმდეგო მოსაზრებებზე.

ფორმალური მხრით ჩვენი ნაბიჯი — განცხადება ფულის დაბრუნების შესახებ, ზუსტად განსაზღვრული პირობებით

ჩვენ მიერ დადებული შეთანხმების შეწყვეტის შესახებ, — უთუოდ კანონიერია. ცენტრალურ კომიტეტთან ჩვენი ხელშეკრულების პირობები აშკარად გამოცხადებულია, დაბეჭდილია ცენტრალურ ორგანოში, ე რ თ ხ მ ა დ მიღებულია ცენტრალური კომიტეტის მიერ პლენუმზე. მიიღო რა ე ს პ ი რ ო ბ ე ბ ი მთელი პარტიის სახელით, დაბეჭდა რა ისინი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, ამით ცენტრალურმა კომიტეტმა სრული გარკვეულობით აღიარა, რომ მხოლოდ ამ პირობების ნამდვილად შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი შეუძლია მას მოგვთხოვოს ჩვენ გარკვეული მოქმედება. ვერავინ ვერ შეძლებს უარყოს, რომ გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა ეს პირობები, წინააღმდეგ მათ მიერ ხელმოწერილი რეზოლუციისა, არ შეასრულეს. ამიტომ უდავოა ჩვენი ფორმალური უფლება — დავარღვიოთ ხელშეკრულება. ხელშეკრულებას რომ ვარღვევთ, ჩვენ გამოვდივართ დამოუკიდებელი ბრძოლისათვის პარტიულობის სასარგებლოდ, დამოუკიდებელი მუშაობისათვის პარტიის ასაგებად უ ი მ ა თ ო დ, ვინც ერთი წლის გამოცდილებით დაამტკიცა, რომ არ სურს იმუშაოს ამისათვის, მაგრამ ი მ მენშევიკებთან და არაფრაქციონერებთან ე რ თ ა დ, რომლებმაც ამის საწინააღმდეგო რამ დაამტკიცეს. თუ ხელშეკრულება, რომლის პირდაპირი და ზუსტი პირობა იყო გოლოსელებისა და ვპერიოდელების გადმოსვლა პარტიულობის პოზიციაზე, მ ა თ მ ი ე რ დარღვეული აღმოჩნდა, ჩვენი სრული უფლება და ჩ ვ ე ნ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა გავაუქმოთ ხელშეკრულება იმ ადამიანებთან, რომლებმაც პარტია აბუჩად აიგდეს, და ვეძიოთ იმ ადამიანებთან დაახლოების ყველა შესაძლებელი ფორმა, რომლებიც პარტიას მხარს უჭერენ.

მაგრამ საქმის ფორმალურ მხარეზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საქმის ფაქტიური მდგომარეობა. ა მ მხრივ, განსაკუთრებით ნათლად ჩანს გოლოსელთა და ვპერიოდელთა თვალთმაქცობა, რომლებიც პლენუმზეც და პლენუმის შემდეგაც კვლავ გამოდიან პრესაში განცხადებებით თავიანთი პარტიულობის შესახებ. ასეთი განცხადებების თვალთმაქცობა,

ასეთი ადამიანების მხრივ გათიშვაზე ყვირილის აღმაშფოთებელი სიყალბე იმდენად ნათელია, რომ ამაზე ბევრი სიტყვის დახარჯვა არა ღირს. სწორედ გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა შექმნეს მყისვე პლენუმის შემდეგ ფაქტიური გათიშვა, — უფრო სწორად რომ ვთქვათ: წინანდებურად კვლავ ქმნიდნენ, წინააღმდეგ თავიანთი დაპირებისა პლენუმზე, ფაქტიურ გათიშვას, — სწორედ ისინი მთელი წლის განმავლობაში განაგრძობდნენ ამ გათიშვას, აძლიერებდნენ მას, მხარს უჭერდნენ პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფის, «მახისტური» სკოლის მომწყობ ლიტერატორთა ჯგუფის დამოუკიდებლობას პარტიისაგან და სხვა და სხვა. ასეთ გამთიშველთა შემდგომ დატოვება პარტიულ ცენტრებში იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ ღუპავდე პარტიის საქმეს. წინანდელი მდგომარეობის დატოვება, როცა ეს გამთიშველნი პარტიულ ცენტრებში თავიანთ ყოფნას იყენებდნენ ყოველგვარი მუშაობის შეფერხებისათვის, პარტიის გახრწნისათვის შიგნიდან ბ-ნ პოტრესოვის ან «მახისტური» სკოლის ბელადების საამებლად, — იმას ნიშნავს, რომ უდიდესი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენო პარტიული გაერთიანების საქმეს.

დიდი ხანია უკვე ნათქვამია: ყველა, ვინც ღაღადებს: «უფალო, უფალოო», როდი მოიპოვებს სასუფეველს ცათა. და ჩვენც, პლენუმის გამოცდილების შემდეგ, უნდა გავიმეოროთ: ყველა, ვინც გაიძახის იაფფასიან ფრაზებს პარტიულობის შესახებ, ნამდვილი პარტიელი როდია. გოლოსელებმა და ვპერიოდელებმა პარტია გათიშეს პლენუმის შემდეგ. ეს ფაქტია. ტროცკი იყო მათი ვექილი ამ საქმეში. ესეც ფაქტია.

გათიშვის შესაჩერებლად, მისი გავრცელებისათვის ხელის შესაშლელად არარსებობს სხვა საშუალება, გარდა იმისა, რომ განვამტკიცოთ, გავაძლიეროთ, ფორმალურად დავადასტუროთ იმათი დაახლოება, ვინც საქმით ეწეოდა პარტიულ მუშაობას პლენუმის შემდეგ, ე. ი. პარტიელ მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაახლოება.

ვაუწყებთ რა ჩვენს შეხედულებას პარტიის საქმეებზე ყველა პარტიულ მენშევიკს, არაფრაქციულ პარტიელ სოციალ-დემოკრატსა და ბოლშევიკს, აგრეთვე ყველა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, ჩვენ მოვუწოდებთ ბოლშევიკების ჯგუფებს რუსეთში დაუყოვნებლივ დაიწყონ დარაზმვა «რაბოჩაია გაზეტას» გარშემო და შეუდგნენ იმ თათბირებისა და კონფერენციების მომზადებას, რომლებიც აუცილებელია პარტიის აღდგენისათვის და რომლებიც, საქმის ახლანდელი ვითარების გამო, უსათუოდ უნდა დაიწყოს სრულიად უბრალო, არაოფიციალური და არაფორმალური ცდებით. ამ ცდების ხასიათზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი პრესაში უადგილოა.

ჩვენ მოვუწოდებთ ბოლშევიკების საზღვარგარეთულ ჯგუფებსაც გარდაიქმნან იმგვარად, რომ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ ვპერიოდელებთან, რომლებმაც სავსებით ცხადყვეს თავიანთი ანტიპარტიულობა, და, ოტზოვიზმის ამ დამცველთა მხრივ დაუბრკოლებლად, დაიწყონ სისტემატური მუშაობა პარტიის განსამტკიცებლად, სხვა ფრაქციების პარტიელებთან დასაახლოებლად, საერთო კლუბების, ლექციების, რეფერატებისა და სხვათა მოსაწყობად, გადადგან მოსამზადებელი ნაბიჯები ყველა იმათი ნამდვილი გაერთიანებისაკენ საზღვარგარეთ, ვინც არ მიყვება «ვპერიოდსა» და «გოლოსს». თუ იქ, სადაც გოლოსელები არიან, აუცილებელია ორი პარალელური ჯგუფის არსებობა, ბოლშევიკებს არ შეჰფერით კვლავ მოითმინონ თავიანთ ჯგუფებში ანტიპარტიულ ვპერიოდელთა ყოფნა. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ თავშესაფარი ჰპოვონ გოლოსელებთან.

«რაბოჩაია გაზეტას» რედაქცია

დაწერილია 1910 წ. ნოემბრის
მეორე ნახევარში (დეკემბრის
პირველ ნახევარში)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1932 წ.
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში», № 21

№ 1.

ЗВѢЗДА

еженедѣльная газета.

Адресъ конторы и редакціи С.-Петербургъ, Б. Московская д. 10, кв. 8.

Цѣна отдѣльнаго № 5 к. Цѣна на условіяхъ 6 к.

Вопросъ экономическій объ одинокихъ работникахъ.
Чумная заболѣваемость въ Астраханской губ.
Сѣверо Восточная. Увольненіе студентовъ.
Гибель пассажировъ на Черномъ.
Отмѣна Кавказскаго и Туркестанъ.

За ОДИНЪ рубль

Современный Міръ

Наша задача.

Въ редакціи ЗНАНІЕ С.-Петербургъ, Невскій, 62.

Тридцать второй сборникъ.

Тридцать третій сборникъ.

10 нет. „ДѢЯ" 6 нед.

Новый журналъ для дѣтей МОЛОДЕЖЬ.

Не нашли...

газѣтъ «ზვეზდის» 1-ლი ნომრის პირველი გვერდი. — 1910 წ.

ფაქსიმილეა

უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში [106]

I

ევროპისა და ამერიკის თანამედროვე მუშათა მოძრაობაში არსებული ძირითადი ტაქტიკური უთანხმოებანი წარმოადგენენ ბრძოლას ორ დიდ მიმართულებასთან, რომელნიც შორდებიან მარქსიზმს, უკანასკნელი კი ფაქტიურად გაბატონებულ თეორიად გადაიქცა ამ მოძრაობაში. ეს ორი მიმართულებაა — რევიზიონიზმი (ოპორტუნიზმი, რეფორმიზმი) და ანარქიზმი (ანარქო-სინდიკალიზმი, ანარქო-სოციალიზმი). ორივე ეს გადახვევა მუშათა მოძრაობაში გაბატონებული მარქსისტული თეორიისაგან და მარქსისტული ტაქტიკისაგან გვხვდება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ელფერით ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მასობრივი მუშათა მოძრაობის ნახევარ საუკუნისაზე მეტი ისტორიის მანძილზე.

უკვე მარტო ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს გადახვევანი არ შეიძლება აიხსნას არც შემთხვევითობით, არც ცალკეულ პირთა თუ ჯგუფთა შეცდომებით, არც თვით ნაციონალური თავისებურებებისა თუ ტრადიციების გავლენით და სხვა. უნდა არსებობდეს ძირითადი მიზეზები, რომელთა საათავე ყველა კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიურ წყობასა და განვითარების ხასიათშია და რომლებიც გამუდმებით იწვევენ ამ გადახვევებს. ამ მიზეზების მეცნიერული გამოკვლევის საინტერესო ცდას წარმოადგენს ჰოლანდიელი მარქსისტის ანტონ პანეკუკის შარშან გამოქვეყნებული პატარა

წიგნი: «ტაქტიკური უთანხმოებანი მუშათა მოძრაობაში» (Anton Pannekoek. «Die taktischen Differenzen in der Arbeiterbewegung». Hamburg, Erdmann Dubber, 1909). ქვემოთ ჩვენ გავაცნობთ მკითხველს პანეკუკის დასკვნებს, რომლებიც არ შეიძლება სავსებით სწორ დასკვნებად არ ვაღიაროთ.

ერთ-ერთ მიზეზს, ყველაზე ღრმა მიზეზებიდან, რომლებიც პერიოდულად წარმოშობენ უთანხმოებას ტაქტიკის შესახებ, წარმოადგენს თვით ფაქტი მუშათა მოძრაობის ზრდისა. თუ ამ მოძრაობას რომელიმე ფანტასტიკური იდეალის საზომით კი არ გავზომავთ, არამედ განვიხილავთ როგორც ჩვეულებრივ ადამიანთა პრაქტიკულ მოძრაობას, ნათელი გახდება, რომ მოძრაობაში ახალ-ახალ «მოლაშქრეთა» მიზიდვას, მშრომელი მასის ახალი ფენების ჩაბმას აუცილებლად თან უნდა ახლდეს მერყეობა თეორიისა და ტაქტიკის დარგში, ძველი შეცდომების განმეორება, დროებითი დაბრუნება დრომოჭმული შეხედულებებისა და დრომოჭმული წესებისადმი და სხვა. ყოველი ქვეყნის მუშათა მოძრაობა მოლაშქრეთა «გასაწვრთნელად» პერიოდულად ხარჯავს ენერგიის, ყურადღებისა და დროის მეტსა თუ ნაკლებ მარაგს.

შემდეგ. კაპიტალიზმის განვითარების სიჩქარე ერთნაირი როდია სხვადასხვა ქვეყანაში და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მუშათა კლასი და მისი იდეოლოგები ყველაზე უფრო ადვილად, ყველაზე უფრო სწრაფად, უფრო სრულად და მტკიცედ ითვისებენ მარქსიზმს მსხვილი მრეწველობის უდიდესი განვითარების პირობებში. თავის განვითარებაში ჩამორჩენილი ან დაგვიანებული ეკონომიური ურთიერთობანი მუდამ წარმოშობენ მუშათა მოძრაობის ისეთ მომხრეებს, რომელნიც ითვისებენ მარქსიზმის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, ახალი მსოფლმხედველობის მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს ან ცალკეულ ლოზუნგებსა და მოთხოვნებს, და რომელთაც არ ძალუძთ გადაჭრით გაწყვიტონ კავშირი საზოგადოდ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისა და კერძოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ყველა ტრადიციასთან.

შემდეგ, უთანხმოების მუდმივ წყაროს წარმოადგენს წინააღმდეგობებში და წინააღმდეგობათა გზით მიმდინარე საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკური ხასიათი. კაპიტალიზმი პროგრესულია, რადგან სპობს წარმოების ძველ წესებს და ავითარებს საწარმოო ძალებს, და ამავე დროს, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ის აფერხებს საწარმოო ძალების ზრდას. იგი ავითარებს, აკავშირებს, რაზმავს მუშებს, — და ის ახშობს, ჩაგრავს, გადაგვარების, გაღატაკების გზაზე აყენებს მათ და სხვა. კაპიტალიზმი თვითონვე წარმოშობს თავის მესაფლავეს, თვითონვე ქმნის ახალი წყობილების ელემენტებს, და ამავე დროს, «უნახტომოდ», ეს ცალკეული ელემენტები არაფერს არ სცვლიან საქმის საერთო მდგომარეობაში, არ ეხებიან კაპიტალის ბატონობას. მარქსიზმს, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიას, უნარი აქვს ჩაწვდეს კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის ცოცხალი ცხოვრების, ცოცხალი ისტორიის ამ წინააღმდეგობებს. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ მასები ცხოვრებიდან სწავლობენ და არა წიგნიდან, — ამიტომ ცალკეული პირნი თუ ჯგუფები მუდამ აზვიადებენ, ცალმხრივ თეორიად, ტაქტიკის ცალმხრივ სისტემად აღიარებენ კაპიტალისტური განვითარების ხან ერთსა და ხან მეორე ნიშანს, ამ განვითარების ხან ერთსა და ხან მეორე «გაკვეთილს».

ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, ლიბერალებსა და დემოკრატებს, არ ესმით მარქსიზმი, არ ესმით თანამედროვე მუშათა მოძრაობა და მუდამ ხტებიან ერთი უმწეო უკიდურესობიდან მეორეზე. ისინი მთელ საქმეს ხან იმით ხსნიან, ვითომ ბოროტი ადამიანები კლასს კლასზე «უსევენ», — ხან კი თავს ინუგეშებენ იმით, თითქოს მუშათა პარტია «რეფორმების მშვიდობიანი პარტია» იყოს. ამ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისა და მისი გავლენის პირდაპირ ნაყოფად უნდა ჩაითვალოს როგორც ანარქო-სინდიკალიზმი, ისე რეფორმიზმი, რომელნიც მუშათა მოძრაობის ე რ თ მხარეს ებღაუჭებიან, ცალმხრიობას თეორიად აღიარებენ, ერომანეთის გამომრიცხავად აცხადებენ ამ მოძრაობის ისეთ ტენდენციებს ან ისეთ ნიშ-

ნებს, რომლებიც მუშათა კლასის საქმიანობის ამა თუ იმ პერიოდის, ამა თუ იმ პირობების სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენენ. ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ისტორია კი შ ე ი ც ა ვ ს ამ სხვადასხვა ტენდენციას, ისევე როგორც ცხოვრება და განვითარება ბუნებაში შეიცავს ნელ ევოლუციასაც და ჩქარ ნახტომებსაც, თანდათანობითობის წყვეტილობას.

რევიზიონისტებს ფრაზებად მიაჩნიათ ყოველი მსჯელობა «ნახტომებზე» და მთელი ძველი საზოგადოებისადმი მუშათა მოძრაობის პრინციპულ დაპირისპირებულობაზე. ისინი რეფორმებს სოციალიზმის ნაწილობრივ განხორციელებად თვლიან. ანარქო-სინდიკალისტი უარყოფს «წვრილმან მუშაობას», განსაკუთრებით — პარლამენტის ტრიბუნის გამოყენებას. სინამდვილეში ეს უკანასკნელი ტაქტიკა წარმოადგენს «დიდი დღეების» მოლოდინს და ამავე დროს უნარის უქონლობას იმ ძალების შესაკრებად, რომელნიც დიდ ამბებს ქმნიან. ერთნიც და მეორენიც აბრკოლებენ ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე საარსებო საქმეს: მუშების შეკავშირებას დიდ, ძლიერ, კარგად მოქმედ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ პირობებში კარგი მოქმედების უნარმქონე ორგანიზაციებად, რომელნიც გამსჭვალულნი არიან კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით, ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი მიზნები და იწვრთნებიან ნამდვილად მარქსისტული მსოფლმხედველობის მიხედვით.

აქ ჩვენ ნებას მივცემთ თავს ცოტა გადავუხვიოთ და ფრჩხილებში აღვნიშნავთ, შესაძლებელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ პანეკუკი თავის ანალიზს ასურათებს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის, ისტორიის მაგალითებით და ს რ უ ლ ე ბ ი თ ა რ ა აქვს მხედველობაში რუსეთი. თუ ხანდახან ისე ჩანს, რომ იგი გადაკვრით ეხება რუსეთს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ძირითადი ტენდენციები, რომლებიც წარმოშობენ განსაზღვრულ გადახვევებს მარქსისტული ტაქტიკისაგან, ჩვენშიც იჩენენ თავს, მიუხედავად რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული უდიდესი კულტუ-

რული, საყოფაცხოვრებო და ისტორიულ-ეკონომიური განსხვავებებისა.

დასასრულ, მეტისმეტად მნიშვნელოვან მიზეზს, რომელიც წარმოშობს უთანხმოებას მუშათა მოძრაობის მონაწილეთა შორის, წარმოადგენს საზოგადოდ მმართველი კლასების, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიის ტაქტიკაში მომხდარი ცვლილებანი. ბურჟუაზიის ტაქტიკა რომ ყოველთვის ერთფეროვანი ან თუნდ ყოველთვის ერთგვაროვანი იყოს, — მუშათა კლასი მალე ისწავლიდა მასზე პასუხის გაცემას ასევე ერთფეროვანი ან ერთგვაროვანი ტაქტიკით. სინამდვილეში ბურჟუაზია ყველა ქვეყანაში გარდუვალად იმუშავებს მართვა-გამგეობის ორ სისტემას, ბრძოლის ორ მეთოდს თავისი ინტერესებისა და თავისი ბატონობის დასაცავად, მასთან ეს ორი მეთოდი ხან ერთიმეორეს სცვლის, ხანაც მრავალნაირად გადაეხლართება ხოლმე ერთმანეთს. ეს არის, ჯერ-ერთი, ძალადობის მეთოდი, მუშათა მოძრაობის მიმართ ყოველგვარ დათმობაზე უარისთქმის მეთოდი, ყველა ძველი და დრომოჭმული დაწესებულების მხარდაჭერის მეთოდი, რეფორმების შეურიგებელი უარყოფის მეთოდი. ასეთია დედაარსი კონსერვატიული პოლიტიკისა, რომელიც დასავლეთ ევროპაში თანდათან უფრო და უფრო კარგავს მიწათმფლობელი კლასების პოლიტიკის ხასიათს, სულ უფრო და უფრო ხდება საერთო-ბურჟუაზიული პოლიტიკის ერთ-ერთ სახესხვაობად. მეორე მეთოდია «ლიბერალიზმის» მეთოდი, მეთოდი ნაბიჯების გადადგმისა პოლიტიკურ უფლებათა განვითარების მიმართულებით, რეფორმების, დათმობათა მიმართულებით და სხვ.

ბურჟუაზია ერთი მეთოდიდან მეორეზე გადადის არა ცალკეულ პირთა ბოროტი განზრახვით და არა შემთხვევით, არამედ მისი საკუთარი მდგომარეობის ძირითადი წინააღმდეგობრიობის გამო. ნორმალური კაპიტალისტური საზოგადოება წარმატებით ვერ განვითარდება განმტკიცებული წარმომადგენლობითი წყობილების გარეშე, მოსახლეობის განსაზღვრული პოლიტიკური უფლებების გარეშე, მოსახლეობისა, რომელსაც შეუძლებელია არ ახასიათებდეს «კულტურული» მხრივ

შედარებით დიდი მომთხოვნელობა. კულტურულობის ერთგვარი მინიმუმის მხრივ ამ მომთხოვნელობას წარმოშობენ პირობები თვით წარმოების კაპიტალისტური წესისა მისი მაღალი ტექნიკით, სირთულით, მოქნილობით, მოძრაობით, მსოფლიო კონკურენციის განვითარების სისწრაფით და სხვა. ამის გამო მერყეობა ბურჟუაზიის ტაქტიკაში, ძალმომრეობის სისტემიდან ვითომდა დათმობათა სისტემაზე გადასვლა ახასიათებს ევროპის ყველა ქვეყნის ისტორიას უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში, მასთან სხვადასხვა ქვეყანა უმთავრესად ავითარებს ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას გარკვეული პერიოდების განმავლობაში. მაგალითად, ინგლისი XIX საუკუნის 60-იან, 70-იან წლებში «ლიბერალური» ბურჟუაზიული პოლიტიკის კლასიკური ქვეყანა იყო, 70-იანი და 80-იანი წლების გერმანია ძალადობის მეთოდს ადგა და სხვ.

როდესაც გერმანიაში ეს მეთოდი ბატონობდა, ბურჟუაზიული მართვა-გამგეობის ამ ერთ-ერთი სისტემის ცალმხრივ გამოხმაურებას წარმოადგენდა ანარქო-სინდიკალიზმის, ანუ, იმდროინდულად, ანარქიზმის ზრდა მუშათა მოძრაობაში («ახალგაზრდები» 90-იანი წლების დამდეგს [107], იოჰან მოსტი 80-იან წლების დამდეგს [108]). როდესაც 1890 წელს მოხდა შემობრუნება «დათმობებისაკენ», ეს შემობრუნება, როგორც ყოველთვის, კიდევ უფრო საშიში აღმოჩნდა მუშათა მოძრაობისათვის, რადგან წარმოშვა ბურჟუაზიული «რეფორმატორობის» ასეთივე ცალმხრივი გამოხმაურება: ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობაში. «ბურჟუაზიის ლიბერალური პოლიტიკის პოზიტიური, რეალური მიზანია — ამბობს პანეკუკი — შეცდომაში შეიყვანოს მუშები, გათიშვა შეიტანოს მათს წრეში, გადააქციოს მათი პოლიტიკა უძლური, ყოველთვის უძლური და ეფემერული, ვითომდა რეფორმატორობის უძლურ დანამატად».

ბურჟუაზია ხშირად დროებით აღწევს თავის მიზანს «ლიბერალური» პოლიტიკის საშუალებით, რომელიც, პანეკუკის სამართლიანი თქმით, «უფრო ეშმაკური» პოლიტიკას წარმოადგენს. მუშების ნაწილი, მათი წარმომადგენლების ნაწილი

ხანდახან თავს ატყუებინებს მოჩვენებითი დათმობებით. რევიზიონისტები აცხადებენ «დრომოჭმულად» კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებას ან ისეთი პოლიტიკის წარმოებას იწყებენ, რომელიც საქმით კლასობრივი ბრძოლის უარყოფას ახორციელებს. ბურჟუაზიული ტაქტიკის ზიგზაგები იწვევენ რევიზიონიზმის გაძლიერებას მუშათა მოძრაობაში და მის შიგნით არსებული უთანხმოებანი ხშირად პირდაპირ გათიშვამდე მიჰყავთ.

აღნიშნული ხასიათის ყველა მიზეზი იწვევს უთანხმოებებს ტაქტიკის შესახებ მუშათა მოძრაობის შიგნით, პროლეტარულ წრეებში. მაგრამ პროლეტარიატსა და მის მოსაზღვრე წვრილი ბურჟუაზიის, მათ რიცხვში გლეხობის, ფენებს შორის ჩინური კედელი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. გასაგებია, რომ ცალკეულ პირთა, ჯგუფებისა და ფენების გადასვლებს წვრილი ბურჟუაზიიდან პროლეტარიატისაკენ არ შეუძლიათ, თავისი მხრივ, მერყეობა არ წარმოშვან ამ უკანასკნელის ტაქტიკაში.

სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება ხელს უწყობს პრაქტიკის კონკრეტულ საკითხებზე მარქსისტული ტაქტიკის დედაარსის გარკვევას, ხელს უწყობს უფრო ახალგაზრდა ქვეყნებს უფრო ნათლად გაარჩიონ მარქსიზმისგან გადახვევის ნამდვილი კლასობრივი მნიშვნელობა და უფრო წარმატებით ებრძოლონ ამ გადახვევას.

«ზვეზდა» № 1,
1910 წ. 16 დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «ზვეზდის»
ტექსტის მიხედვით

ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა

ტოლსტოი უდიდესი ძალით და გულწრფელობით ამათრახებდა გაბატონებულ კლასებს, სრული სიცხადით ააშკარავებდა ყველა იმ დაწესებულების შინაგან სიყალბეს, რომელთა შემწეობითაც არსებობს თანამედროვე საზოგადოება: ეკლესია, სასამართლო, მილიტარიზმი, «კანონიერი» ქორწინება, ბურჟუაზიული მეცნიერება. მაგრამ მისი მოძღვრება სრულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცხოვრებასთან, თანამედროვე წყობილების მესაფლავის — პროლეტარიატის მუშაობასა და ბრძოლასთან. მაშ ვისი თვალსაზრისი აისახა ლევ ტოლსტოის ქადაგებაში? მისი პირით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძულს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონები, მაგრამ რომელიც ჯერკიდევ არ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიმავალ, შეურიგებელ ბრძოლამდე მათ წინააღმდეგ.

რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიამ და შედეგმა ცხადყო, რომ სწორედ ასეთი იყო ის მასა, რომელიც აღმოჩნდა შეგნებულ, სოციალისტურ პროლეტარიატსა და ძველი რეჟიმის გადაჭრით დამცველთა შორის. ამ მასამ, — უმთავრესად გლეხობამ, — რევოლუციის დროს ცხადყო, რაოდენ დიდია მასში ძველისადმი სიძულვილი, რაოდენ ცხოვლად განიცდის ის თანამედროვე რეჟიმის მთელ სიმძიმეს, რაოდენ დიდია მასში სტიქიური მისწრაფება განთავისუფლდეს ამ სიმძიმისაგან და მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება.

და იმავე დროს ამ მასამ რევოლუციაში ცხადყო, რომ თავის სიძულვილში ის არასაკმაოდ შეგნებულია, თავის ბრძოლაში არათანამიმდევრულია, უკეთესი ცხოვრების თავის ძიებაში შემოზღუდულია ვიწრო ფარგლებით.

დიდი ზღვა — ხალხი, რომელიც უდიდეს სიღრმეებამდე აზვირთდა, მთელი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში.

ლევ ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებთა შესწავლით რუსეთის მუშათა კლასი უკეთესად გაიცნობს თავის მტრებს, ხოლო ტოლსტოის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს გარკვევით მთელმა რუსმა ხალხმა უნდა გაიგოს, რაში მდგომარეობდა მისი საკუთარი სისუსტე, რამაც მას საშუალება არ მისცა ბოლომდე მიეყვანა თავისი განთავისუფლების საქმე. ეს საჭიროა გავიგოთ იმისათვის, რომ წინ ვიაროთ.

აი სწორედ ამ წინსვლას უშლიან ხელს ყველა ისინი, ვინც ტოლსტოის «საერთო სინდისად», «ცხოვრების მასწავლებლად» აცხადებს. ეს არის სიცრუე, რასაც შეგნებულად ავრცელებენ ლიბერალები, რომელთაც სურთ გამოიყენონ ტოლსტოის მოძღვრების ანტირევოლუციური მხარე. ამ სიცრუეს ტოლსტოის როგორც «ცხოვრების მასწავლებლის შესახებ», ლიბერალების კვალდაკვალ ზოგიერთი ყოფილი სოციალ-დემოკრატიც იმეორებს.

რუსი ხალხი მხოლოდ მაშინ მიაღწევს განთავისუფლებას, როცა შეიგნებს, რომ ტოლსტოისაგან კი არ უნდა სწავლობდეს ის უკეთესი ცხოვრების მოპოვებას, არამედ იმ კლასისაგან, რომლის მნიშვნელობაც ტოლსტოის არ ესმოდა და რომელსაც ერთადერთს შეუძლია დაანგრიოს ტოლსტოისათვის საძულველი ძველი სამყარო, — უნდა სწავლობდეს პროლეტარიატისაგან.

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

დემონსტრაციების დასაწყისი

რევოლუციის სამი წლის, 1905 — 1907 წლების, შემდეგ რუსეთმა განიცადა კონტრრევოლუციის სამი წელი, 1908 — 1910 წლები, შავი სათათბიროს სამი წელი, ძალადობისა და უუფლებობის მძვინვარების, მუშების წინააღმდეგ კაპიტალისტთა შეტევის, მუშების მიერ მიღწეულ მონაპოვართა წართმევის სამი წელი. მეფის თვითმპყრობელობამ, რომელიც 1905 წელს მხოლოდ შეირყა, მაგრამ მოსპობილი ვერ იქნა, ძალღონე მოიკრიბა, შეუერთდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს III სათათბიროში და კვლავ შემოიღო რუსეთში ძველი წესწყობილება. კიდევ უფრო გაძლიერდა კაპიტალისტთა მიერ მუშების ჩაგვრა, კიდევ უფრო თავხედური გახდა უკანონობა და მოხელეთა თვითნებობა ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად, კიდევ უფრო გამძვინვარებით უსწორდებიან თავისუფლებისათვის მებრძოლთ, კიდევ უფრო გახშირდა სიკვდილით დასჯა. მეფის მთავრობა, მემამულეები და კაპიტალისტები ცოფმორეულნი შ უ რ ს ი ძ ი ე ბ დ ნ ე ნ რევოლუციურ კლასებზე, და პირველ რიგში პროლეტარიატზე, რევოლუციაში მონაწილეობისათვის, — თითქოს ჩქარობდნენ, რათა მასობრივი ბრძოლის დროებითი შეწყვეტა გამოეყენებინათ თავიანთი მტრების მოსასპობად.

მაგრამ არიან ისეთი მტრები, რომლებიც შეიძლება რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხო, შეიძლება დროებით დათრგუნო, თუმცა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მოსპო. რევოლუციის სრული გამარჯვება სავსებით შესაძლებელია, და ასეთი გამარჯვება სავსებით მოსპობდა მეფის მონარქიას, პირისაგან მიწისა აღგვიდა მებატონე-მემამულეებს, მთელ მათს მიწებს გამოუყიდველად გადასცემდა გლეხებს, მოხელურ მართვა-გამგეო-

ბას შეცვლიდა დემოკრატიული თვითმმართველობითა და პოლიტიკური თავისუფლებით. ასეთი გარდაქმნები არათუ შესაძლებელია, ისინი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა თვითეულ ქვეყანაში XX საუკუნეში, ისინი უკვე მოხდა ევროპის ყ ვ ე ლ ა სახელმწიფოში ცოტად თუ ბევრად სრულად, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლის ფასად.

მაგრამ რეაქციის ა რ ა ვ ი თ ა რ, უაღრესად სრულ გამარჯვებასაც კი, კონტრრევოლუციის ა რ ა ვ ი თ ა რ ზეიმს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა მოსპოს მეფის თვითმპყრობელობის მტრები, მემამულური და კაპიტალისტური ჩაგვრის მტრები, იმიტომ რომ ეს მტრები არიან მილიონობით მუშები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად თავს იყრიან ქალაქებსა და დიდ ფაბრიკებში, ქარხნებში და რკინიგზებზე. ეს მტერია გაპარტახების გზაზე მდგომი გლეხობა, რომელიც კიდევ უფრო ბევრად გაჭირვებულია ახლა, როცა ერობის უფროსები და მდიდარი გლეხები გაერთიანდნენ იმისათვის, რომ ძარცვონ თ ა ნ ა ხ მ ა დ კ ა ნ ო ნ ი ს ა, გლეხებს წააგლიჯონ მიწები მემამულური სათათბიროს თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ, ყველა მემამულურ და სამხედრო ხელისუფალთა მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ. ისეთი მტრების მოსპობა, როგორიცაა მუშათა კლასი, როგორიცაა ღარიბი გლეხობა, შეუძლებელია.

და ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ კონტრრევოლუციის ყოვლად უსაზღვრო თარეშის სამი წლის შემდეგ ხ ა ლ ხ ი ს მ ა ს ე ბ ი, ყველაზე მეტად დაჩაგრულნი, დათრგუნვილნი, დაბეჩავებულნი, ყოველგვარი დევნით დაშინებულნი, კვლავ წელში იმართებიან, კვლავ იღვიძებენ და ბრძოლას იწყებენ. სიკვდილით დასჯამ, დევნამ, მხეცურმა ანგარიშგასწორებამ სამი წლის განმავლობაში ათი ათასობით მოსპო თვითმპყრობელობის «მტრების» ერთი წყება, ასი ათასობით გამოამწყვდია ციხეებში და გაგზავნა გადასახლებაში მეორე წყება, მრავალ ათასობით კიდევ დააშინა მესამე წყება. მაგრამ მილიონები და ათობით მილიონები ახლა ის აღარ არიან, რასაც ისინი რევოლუციამდე წარმოადგენდნენ. ამ მილიონებს რუსეთის ისტორიაში ჯერ კიდევ

არასოდეს არ მიუღიათ ასეთი საგულისხმო, თვალსაჩინო გაკვეთილები, არ განუცდიათ ასეთი აშკარა კლასთა ბრძოლა. ამ მილიონებსა და ათობით მილიონებში ახალი ღრმა, ყრუ მღელვარება რომ დაიწყო, — ეს ჩანს წლევანდელი ზაფხულის გაფიცვებიდან და ამას წინათ გამართული დემონსტრაციებიდან.

მუშათა გაფიცვები რუსეთში რევოლუციის მომზადების დროსაც და თვით რევოლუციის დროსაც ბრძოლის ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო, რასაც მიმართავდა ხოლმე პროლეტარიატი, ეს მოწინავე კლასი, რომელიც მხოლოდ ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასია თანამედროვე საზოგადოებაში. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები, რომლებიც ხან ერთმანეთს სცვლიდნენ, ხან კი ერთ განუყრელ მთელად ეხლართებოდნენ ერთმანეთს, რაზმავდნენ მუშათა მასებს კაპიტალისტთა კლასისა და თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ, ამ გაფიცვებს მღელვარება შეჰქონდათ მთელ საზოგადოებაში, ისინი საბრძოლველად რაზმავდნენ გლეხობას.

როცა 1895 წელს განუწყვეტელი მასობრივი გაფიცვები დაიწყო, ეს იყო სახალხო რევოლუციის მომზადების ხანის დასაწყისი. როცა 1905 წლის იანვარში გაფიცულთა რიცხვმა ერთ თვეში 400 ათასს გადააჭარბა, ეს უკვე თვით რევოლუციის დასაწყისი იყო. რევოლუციის მთელი სამი წლის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი, რაც თანდათან კლებულობდა (თითქმის 3 მილიონი 1905 წელს, 1 მილიონი 1906 წელს, ¾ მილიონი 1907 წელს), ისე დიდი იყო, როგორც მანამდე არასოდეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

როცა 1908 წელს გაფიცულთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა ერთბაშად (176 ათასი) და 1909 წელს კიდევ უფრო მკვეთრად დაეცა (64 ათასი), ეს მოასწავებდა პირველი რევოლუციის ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რევოლუციის პირველი ხანის დასასრულს.

და აი, მიმდინარე წლის ზაფხულიდან კვლავ იწყება აღმავლობა. ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი იზრდება და ძალიან ძლიერ იზრდება. შავრაზმული რეაქციის სრული ბატონობის ხანა გათავდა. იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან იხევდა — თუმცა დროის დიდი შუალედებით — 1905 — 1909 წლებში, ძალღონეს იკრებს და შეტევაზე გადასვლას იწყებს. მრეწველობის ზოგიერთი დარგის გამოცოცხლება მყისვე იწვევს პროლეტარული ბრძოლის გამოცოცხლებას.

პროლეტარიატმა დაიწყო. მოსახლეობის სხვა, ბურჟუაზიული, დემოკრატიული კლასები და ფენები განაგრძობენ. სიკვდილი I სათათბიროს ზომიერ-ლიბერალური თავმჯდომარის მურომცევისა, რომლისთვისაც დემოკრატია . უცხო იყო, იწვევს მანიფესტაციების პირველ გაუბედავ დასაწყისს. ლევ ტოლსტოის სიკვდილი იწვევს — დიდი ხნის შემდეგ პირველად — ქუჩის დემონსტრაციებს, რომლებშიც უმთავრესად სტუდენტობა, მაგრამ ნაწილობრივ მუშებიც მონაწილეობენ. ტოლსტოის დაკრძალვის დღეს მთელი რიგი ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ მუშაობის შეწყვეტა მოწმობს დემონსტრაციული გაფიცვების დასაწყისს, თუმცა ძალიან ზომიერ დასაწყისს.

სულ უკანასკნელ ხანებში მეფის ჯალათების მხეცობამ, — ჯალათებისა, რომლებიც ვოლოგდასა და ზერენტუაში აწამებდნენ ჩვენს კატორღელ ამხანაგებს, დევნილთ რევოლუციის დროს მათი გმირული ბრძოლისათვის, — კიდევ უფრო გააძლიერა მღელვარება სტუდენტებში. მთელ რუსეთში ყველგან ტარდება კრებები და მიტინგები, პოლიცია ძალით იჭრება უნივერსიტეტებში, სცემს მოსწავლეებს, აპატიმრებს მათ, დევნის ვაზეთებს სულ მცირე მართალი სიტყვისათვის მღელვარეთა შესახებ და ყოველივე ამით მხოლოდ აძლიერებს მღელვარებას.

პროლეტარიატმა დაიწყო. დემოკრატიული ახალგაზრდობა განაგრძობს. რუსი ხალხი იღვიძებს ახალი ბრძოლისათვის, ეგებება ახალ რევოლუციას.

ბრძოლის პირველმავე დასაწყისმა კვლავ დაგვანახა, რომ ცოცხალი არიან ის ძალები, რომლებმაც შეარყიეს მეფის ძალაუფლება 1905 წელს და რომლებიც დაამსხვრევენ მას ამ მომავალ რევოლუციაში. ბრძოლის პირველმავე დასაწყისმა კვლავ დაგვანახა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობის მნიშვნელობა. არავითარ დევნას, არავითარ ძალადობას არ შეუძლია შეაჩეროს მოძრაობა, რაკი აღსდგნენ მ ა ს ე ბ ი, რაკი ამოძრავდნენ მილიონები. დევნა მხოლოდ აღვივებს ბრძოლას, ახალ-ახალ მებრძოლთა რიგებს აბამს მასში. ტერორისტთა ვერავითარი თავდასხმა ვერ დაეხმარება ჩაგრულ მასებს, და ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მასებს, როცა ისინი აღსდგებიან.

ახლა ისინი უკვე ფეხზე დგებიან. ეს აღმავლობა, შესაძლოა, სწრაფად წარიმართოს, — შესაძლოა, წარიმართოს ნელა და ხანგამოშვებით, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში რევოლუციისაკენ მიდის. რუსეთის პროლეტარიატი ყველაზე წინ მიდიოდა 1905 წელს. ამ სახელოვან წარსულს რომ იხსენებს, მან ახლა უნდა დაძაბოს მთელი ძალები, რათა აღადგინოს, განამტკიცოს, განავითაროს თავისი ორგანიზაცია, თავისი პარტია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ჩვენი პარტია ახლა მძიმე დღეებს განიცდის, მაგრამ ის უძლეველია, ისე როგორც უძლეველია პროლეტარიატი.

მაშ, შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგებო! ყველგან მოჰკიდეთ ხელი ორგანიზაციების შენებას, მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიული უჯრედების შექმნასა და განმტკიცებას, ეკონომიური და პოლიტიკური აგიტაციის განვითარებას. რუსეთის პირველ რევოლუციაში პროლეტარიატმა ხალხის მასებს ასწავლა თავისუფლებისათვის ბრძოლა, მეორე რევოლუციაში მან ისინი გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს!

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

რა ხდება სოფლად?

გაზეთებში დავაა მიწათმოქმედების ყოფილი მინისტრის ერმოლოვის ახალი წიგნის გამო — «თანამედროვე სახანძრო ეპიდემია რუსეთში». ლიბერალურმა პრესამ აღნიშნა, რომ სოფლად ხანძრები რევოლუციის შემდეგ კი არ შესუსტდა, არამედ გაძლიერდა. რეაქციულმა გაზეთებმა ხელი ჩასჭიდეს ერმოლოვის ყვირილ-გოდებას «ცეცხლის წამკიდებელთა დაუსჯელობის», «სოფლად ტერორისა» და სხვათა შესახებ. სოფლად გაჩენილი ხანძრების რიცხვი მეტისმეტად გადიდდა: მაგალითად, ტამბოვის გუბერნიაში 1904 — 1907 წლებში — ო რ ჯ ე რ, ორლოვისაში — 2½-ჯერ, ვორონეჟისაში — 3-ჯერ. «რამდენადმე შეძლებულ გლეხებს», — წერს მთავრობის ლაქია «ნოვოე ვრემია», — სურთ ხუტორებად გამოიყონ, ცდილობენ ახალი კულტურა შემოიღონ, მაგრამ, თითქოს მტრის ქვეყანაში იყვნენო, ისინი მოქცეული არიან სოფლის გაველურებული თვითნება ბრბოს პარტიზანულ ალყაში. მათ ცეცხლს უკიდებენ და დევნიან, დევნიან და ცეცხლს უკიდებენ, «თუნდაც ყველაფერი მიატოვე და უგზოუკვლოდ გაიქეცო»».

მეფის მთავრობის მომხრენი იძულებული არიან უსიამოვნო რამ აღიარონ! ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისათვის, ეს ახალი ცნობები ინტერესს მოკლებული არ არის, როგორც მთავრობის სიცრუისა და ლიბერალური პოლიტიკის საცოდავი უმწეობის ზედმეტი დადასტურება.

1905 წლის რევოლუციამ სავსებით ცხადყო, რომ ძველი წესწყობილება რუსეთის სოფელში ისტორიის მიერ

სამუდამოდ განწირულია. ქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს განამტკიცოს ეს წესწყობილება. როგორ უნდა გარდაიქმნას ის? გლეხთა მასებმა ამას უპასუხეს თავიანთი 1905 წლის აჯანყებებით, უპასუხეს თავიანთი დეპუტატების მეშვეობით I და II სათათბიროში. მემამულეთა მიწები უნდა ჩამოერთვას მემამულეებს უსასყიდლოდ. როცა 30 000 მემამულეს (ნიკოლოზ რომანოვის მეთაურობით) აქვს 70 მილიონი დესეტინა მიწა, ხოლო 10 მილიონი გლეხის კომლს — თითქმის ამდენივე რაოდენობა, ამას სხვა არაფერი შეიძლება მოჰყვეს, თუ არა კაბალა, გამოუვალი სიღატაკე, გაპარტახება და უძრაობა მთელ სახალხო მეურნეობაში. და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია გლეხებს მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლისაკენ. მთელი რუსეთის მუშები 1905 წლის თავიანთი მასობრივი გაფიცვებით აერთიანებდნენ და წარმართავდნენ გლეხთა ბრძოლას. ლიბერალების გეგმა, რომ გლეხები «შეერიგებინათ» მემამულეებთან «სამართლიანი შეფასების კვალობაზე გამოყიდვით», ფუჭი, საცოდავი, გამცემლური ფანდი იყო.

როგორ აპირებს სოფლის ძველი წესწყობილების გარდაქმნას სტოლიპინის მთავრობა? მას უნდა დააჩქაროს გლეხთა სრული გაჩანაგება, შეინარჩუნოს მემამულეთა მიწები, დაეხმაროს მდიდარ გლეხთა სრულიად უმნიშვნელო ხროვას «გამოიყონ ხუტორებად», წაგლიჯოს რაც შეიძლება მეტი სათემო მიწა. მთავრობა მიხვდა, რომ გლეხთა მთელი მასა მისი წინააღმდეგია, და იგი ცდილობს გამონახოს თავისი მოკავშირეები მდიდარ გლეხთა შორის.

მთავრობის «რეფორმის» განსახორციელებლად საჭიროა «20 წლის სიწყნარეო», თქვა ერთხელ თვითონ სტოლიპინმა. იგი «სიწყნარეს» უწოდებს გლეხთა მორჩილებას, ისეთ ვითარებას, როცა არ წარმოებს ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ. ხოლო ისე, თუ ერობის უფროსებმა და სხვა ხელისუფლებმა ძალადობას არ მიმართეს, თუ ყოველ ნაბიჯზე ძალადობა არ გამოიყენეს, თუ არ გამოიყენეს ძალადობა ათობით მილიონების მიმართ, თუ არ

ჩაახშეს მათი დამოუკიდებლობის სულ მცირეოდენი გამოვლინებაც კი, ისე სტოლიპინის «რეფორმის» გატარება შეუძლებელია. სტოლიპინმა არათუ 20 წლისთვის, არამედ სამი წლისთვისაც კი ვერ შექმნა «სიწყნარე» და არც შეუძლია შექმნას: აი ის უსიამოვნო ჭეშმარიტება, რომელიც მოაგონა მეფის მსახურთ ყოფილი მინისტრის წიგნმა სოფლის ხანძრების შესახებ.

გლეხებს საშინელი გაჭირვების, სიღატაკისა და შიმშილით სიკვდილის იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც მათ მთავრობა აყენებს, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ სხვა გამოსავალი, თუ არა მასობრივი ბრძოლა პროლეტარიატთან ერთად მეფის ძალაუფლების დასამხობად. პროლეტარიატის ძალთა მომზადება ასეთი ბრძოლისათვის, პროლეტარული ორგანიზაციების შექმნა, განვითარება და განმტკიცება, — აი რა არის რსდმ პარტიის მორიგი ამოცანა.

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას»
ტექსტის მიხედვით

ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი

(ნეკროლოგი)

ჩვენ ვცხოვრობთ წყეულ პირობებში, როცა შეიძლება მოხდეს ასეთი რამ: უგზო-უკვლოდ იკარგება დიდი პარტიული მუშაკი, პარტიის სიამაყე, ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად შესწირა მუშათა საქმეს. მისმა უახლოესმა ადამიანებმაც, როგორიცაა ცოლი და დედა, უახლოესმა ამხანაგებმაც წლების განმავლობაში არ იციან, რა მოუვიდა მას: სადმე კატორღაში იტანჯება, რომელიმე ციხეში დაიღუპა, თუ გმირულად მოკვდა მტერთან შეტაკების დროს. ასე მოუვიდა ივანე ვასილის-ძეს, რომელიც რენენკამპფმა დახვრიტა. მისი სიკვდილის ამბავი ჩვენ მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინათ გავიგეთ.

ივანე ვასილის-ძის სახელი ახლობელი და ძვირფასია არა ერთი სოციალ-დემოკრატისათვის. ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უყვარდა ის და პატივს სცემდა ივანე ვასილის-ძეს მისი ენერგიისათვის, იმისათვის, რომ მას არ სჩვეოდა ფრაზები, მისი ღრმა და მტკიცე რევოლუციურობისა და საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისათვის. პეტერბურგელი მუშა, იგი 1895 წელს, სხვა შეგნებული ამხანაგების ჯგუფთან ერთად, ენერგიულ მუშაობას ეწევა ნევის ზასტავის იქით მდებარე სემიანიკოვის, ალექსანდროვსკის, მინის ქარხნების მუ-

შათა შორის, აარსებს წრეებს, აწყობს ბიბლიოთეკებს და თვითონაც მუდამ გატაცებით სწავლობს.

მთელი მისი აზრი იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე გააფართოოს მუშაობა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს სემიანიკოველი მუშებისადმი მიმართული იმ პირველი საგიტაციო ფურცლის შედგენაში, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოვიდა 1894 წლის შემოდგომაზე, და პირადად ავრცელებს მას. როცა სანკტ-პეტერბურგში «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი» იქმნება, ივანე ვასილის-ძე მისი ერთ-ერთი უაღრესად აქტიური წევრი ხდება და დაპატიმრებამდე მუშაობს მასში. საზღვარგარეთ ისეთი პოლიტიკური გაზეთის შექმნის იდეა, რომელიც სამსახურს გაუწევდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეს, მასთან ერთად განიხილეს პეტერბურგის მუშაობის დროინდელმა მისმა ძველმა ამხანაგებმა — «ისკრის» დამაარსებლებმა — და ამ იდეას მან უაღრესად მხურვალედ დაუჭირა მხარი. ვიდრე ივანე ვასილის-ძე თავისუფალი იყო, «ისკრას» წმინდა მუშური კორესპონდენციების ნაკლებობა არ განუცდია. გადასინჯეთ «ისკრის» პირველი 20 ნომერი, ყველა ეს კორესპონდენცია შუიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ორეხოვო-ზუევოდან და რუსეთის ცენტრის სხვა ადგილებიდან, — თითქმის ყველა ისინი გადიოდა ივანე ვასილის-ძის ხელში, რომელიც ცდილობდა უაღრესად მჭიდრო კავშირი დაემყარებინა «ისკრასა» და მუშებს შორის. ივანე ვასილის-ძე «ისკრის» მეტად გულმოდგინე კორესპონდენტი და მისი მხურვალე მომხრე იყო. ცენტრალური რაიონიდან ბაბუშკინი გადადის სამხრეთში, ეკატერინოსლავში, სადაც მას აპატიმრებენ და ალექსანდროვსკის საპყრობილეში ათავსებენ. ალექსანდროვსკიდან იგი გაიქცა სხვა ამხანაგთან ერთად, რისთვისაც გადახერხა ფანჯრის გისოსი. თუმცა არც ერთი უცხოური ენა არ იცოდა, მან მაინც მოახერხა ლონდონში ჩასვლა, სადაც მაშინ «ისკრის» რედაქცია იყო. ბევრი რამ ითქვა იქ, მრავალი საკითხი იქნა განხი-

ლული ერთად. მაგრამ ივანე ვასილის-ძეს საშუალება არ მიეცა დასწრებოდა პარტიის მეორე ყრილობას... საპყრობილემ და გადასახლებამ დიდი ხნით გამოიყვანა ის მწყობრიდან. აზვირთებულმა რევოლუციურმა ტალღამ ახალი მუშაკები, ახალი პარტიული მოღვაწეები წამოაყენა, ბაბუშკინი კი ამ დროს შორეულ ჩრდილოეთში, ვერხოლენსკში ცხოვრობდა, პარტიულ ცხოვრებას მოწყვეტილი. იგი დროს უქმად არ კარგავდა, სწავლობდა, საბრძოლველად ემზადებოდა, ამეცადინებდა მუშებს, გადასახლებაში მყოფ ამხანაგებს, ცდილობდა ისინი შეგნებული სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები გაეხადნა. 1905 წელს ამნისტიამ მოუსწრო, და ბაბუშკინი რუსეთისაკენ გაემართა. მაგრამ ამ დროს ციმბირშიც ბრძოლა იყო გაჩაღებული, და იქ საჭირო იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი. იგი ირკუტსკის კომიტეტში შევიდა და მუშაობაში გადაეშვა. მას უხდებოდა კრებებზე გამოსვლა, სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გაწევა და აჯანყების მოწყობა. მაშინ, როდესაც ბაბუშკინს ხუთ სხვა ამხანაგთან ერთად — მათ სახელებს ჩვენამდე არ მოუღწევია — ჩიტაში მიჰქონდა დიდძალი იარაღი ცალკე ვაგონით, მატარებელს დაესხა რენენკამპფის სადამსჯელო ექსპედიცია, და ექვსივე, სრულიად გაუსამართლებლად, მყისვე დახვრიტეს სახელდახელოდ გაჭრილი საერთო საფლავის პირას. მოკვდნენ ისინი როგორც გმირები. მათი სიკვდილის ამბავი მოიტანეს დამსწრე ჯარისკაცებმა და რკინიგზელებმა, რომლებიც იმავე მატარებელში იმყოფებოდნენ. ბაბუშკინი მეფის ოპრიჩნიკის მხეცური ძალადობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ, როცა კვდებოდა, მან იცოდა, რომ საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა, არ მოკვდება, რომ ამ საქმეს გააკეთებენ სხვა ადამიანთა ათი, ასი ათასები, მილიონები, რომ ამ საქმისათვის თავს გასწირავენ სხვა ამხანაგი-მუშები, რომ ისინი იბრძოლებენ მანამდე, ვიდრე არ გაიმარჯვებენ...

* * *

არიან ადამიანები, რომლებმაც შეთხზეს და ავრცელებენ ზღაპარს იმის შესახებ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია «ინტელიგენტური» პარტიაა, რომ მუშები მისგან მოწყვეტილი არიან, რომ მუშები რუსეთში არიან სოციალ-დემოკრატები უსოციალ-დემოკრატიოდ, რომ ასე იყო განსაკუთრებით რევოლუციამდე და მნიშვნელოვანწილად — რევოლუციის დროს. ლიბერალები ამ სიცრუეს ავრცელებენ მასების იმ რევოლუციური ბრძოლისადმი სიძულვილის გამო, რომელსაც 1905 წელს რსდმპ ხელმძღვანელობდა, სოციალისტებიდან კი ამ ცრუ თეორიას ზოგი ვინმე სესხულობს უგნურობით ან მოუფიქრებლობით. ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინის ბიოგრაფია, ამ მ უ შ ა-ი ს კ რ ე ლ ი ს ათი წლის სოციალ-დემოკრატიული მუშაობა თვალსაჩინოდ აბათილებს ლიბერალურ სიცრუეს. ი. ვ. ბაბუშკინი ერთი იმ მოწინავე მუშათაგანია, რომლებმაც რევოლუციამდე 10 წ ლ ი თ ადრე დაიწყეს მ უ შ ა თ ა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა. პროლეტარულ მასებში ა ს ე თ ი მოწინავეების დაუცხრომელი, გმირულ-ბეჯითი მუშაობა რომ არა, რსდმ პარტია არათუ ათ წელს, ათ თვესაც ვერ იარსებებდა. მხოლოდ ა ს ე თ ი მოწინავეების მოღვაწეობის მეოხებით, მხოლოდ მათი მხარდაჭერის მეოხებით, რსდმ პარტია 1905 წლისთვის გაიზარდა ისეთ პარტიად, რომელიც გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ შ ე ე ს ი ს ხ ლ ხ ო რ ც ა პროლეტარიატს ოქტომბრისა და დეკემბრის დიად დღეებში, რომელმაც შეინარჩუნა ეს კავშირი არა მარტო II, არამედ აგრეთვე III, შავრაზმული, სათათბიროს მ უ შ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს სახით.

ლიბერალებს (კადეტებს) უნდათ სახალხო გმირად აქციონ I სათათბიროს თავმჯდომარე ს. ა. მურომცევი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოკვდა. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, შემთხვევა არ უნდა გავუშვათ, რათა გამოვთქვათ ზიზღი და სიძულვილი მეფის მთავრობის მიმართ, რომელიც სდევნიდა ისეთ ზომიერ და უწყინარ მოხელეებსაც კი, როგორიც მუ-

რომცევი იყო. მურომცევი მხოლოდ ლიბერალი მოხელე იყო. იგი დემოკრატიც კი არ ყოფილა. მას ეშინოდა მასების რევოლუციური ბრძოლისა. იგი რუსეთისათვის თავისუფლებას მოელოდა არა ასეთი ბრძოლისაგან, არამედ მეფის თვითმპყრობელობის კეთილი ნებისაგან, რუსი ხალხის ამ უბოროტეს და ულმობელ მტერთან შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ. სასაცილოა ასეთ ადამიანებში ვხედავდეთ რუსეთის რევოლუციის სახალხო გმირებს.

ასეთი სახალხო გმირები კი მოიპოვებიან. ესენი არიან ბაბუშკინის მსგავსი ადამიანები. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც რევოლუციის წინ არა ერთი და ორი, არამედ მთელი 10 წელი სავსებით მოახმარეს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ერთეულების უსარგებლო ტერორისტულ წამოწყებებს კი არ შესწირეს თავი, არამედ შეუპოვრად, განუხრელად მოქმედებდნენ პროლეტარულ მასებში, ხელს უწყობდნენ მ ა თ ი შეგნების, მ ა თ ი ორგანიზაციის, მ ა თ ი რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებას. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ შეიარაღებულ მასობრივ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როცა კრიზისი დაიწყო, როცა რევოლუციამ იფეთქა, როცა მილიონები და მილიონები ამოძრავდნენ. ყოველივე ის, რაც მეფის თვითმპყრობელობას ბრძოლით წავართვით, წართმეულ იქნა მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმ მასების ბრძოლით, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაბუშკინი.

ასეთი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, რუსი ხალხი სამუდამოდ დარჩებოდა მონების ხალხად, ყმების ხალხად. ასეთი ადამიანების მეოხებით რუსი ხალხი მოიპოვებს სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

უკვე განვლო 1905 წლის დეკემბრის აჯანყების მეხუთე წლისთავმა. ზეიმით აღვნიშნოთ ეს წლისთავი იმ მოწინავე მუშების მოგონებით, რომლებიც დაეცნენ მტერთან ბრძოლა-

ში. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ამხანაგ მუშებს, ჰკრიბონ და გვიგზავნონ მოგონებანი მაშინდელი ბრძოლის შესახებ და დამატებითი ცნობები ბაბუშკინზე, აგრეთვე სხვა სოციალ-დემოკრატ მუშებზე, რომლებიც 1905 წლის აჯანყების დროს დაიღუპნენ. ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვცეთ ბროშურა, რომელიც მოგვითხრობს ასეთი მუშების ცხოვრებაზე. ამგვარი ბროშურა საუკეთესო პასუხი იქნება ყოველგვარ მცირედმორწმუნეთა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამამცირებელთა მიმართ. ამგვარი ბროშურა საუკეთესო საკითხავი იქნება ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც მით შეისწავლიან, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და მოქმედებდეს ყოველი შეგნებული მუშა.

«რაბოჩაია გაზეტა» № 2,
1910 წ. 18 (31) დეკემბერი

იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტას» ტექსტის მიხედვით

ცენტრალურ კომიტეტს

ჩვენი განცხადების[109] შესახებ არსებობს (და ლიკვიდატორ-გოლოსელთა მიერ განზრახ ვრცელდება) ყალბი ხმები, რომლებსაც ჩვენს მოვალეობად ვთვლით დავუპირისპიროთ საქმის დედაარსისა და ჩვენი შეხედულებების მოკლე გადმოცემა.

ფორმალურად საქმე ისეა, რომ 1910 წ. იანვრის პლენუმზე დაიდო ფრაქციის ხელშეკრულება პარტიასთან. ხელშეკრულებით, ჩვენმა ფრაქციამ ვალდებულება იკისრა დაშლილიყო, თუ დაიშლებოდნენ დანარჩენი ფრაქციები. პირობა დაცული არ არის. ჩვენ აღვადგენთ ჩვენს თავისუფლებას ვებრძოლოთ ლიბერალებსა და ანარქისტებს, რომელთაც აქეზებს «შემარიგებელთა» ბელადი, ტროცკი. ფულის საკითხი ჩვენთვის მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ ფრაქციის ფული მივცეთ ბლოკს ლიკვიდატორებისა + ანარქისტები + ტროცკი, სრულიადაც არ ვამბობთ უარს ჩვენს უფლებაზე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინაშე ვამხილოთ ეს ბლოკი, მისი ფინანსური «საფუძვლები» (ვპერიოდელთა ყბადაღებული «ფონდები», რომელთაც გამომჟღავნებისაგან იცავენ ტროცკი და გოლოსელები) და ასე შემდეგ*.

---

* ფრაქციის წარმომადგენლობის უფლება მიცემული აქვს plenum-ის (პლენუმის. რედ.) ჩვენს ექვსეულს. ექვსი ხმიდან ჩვენ გვაქვს ოთხი: სამი პარიზში და ერთი — მეშკოვსკის (წერილობითი) მინდობი-

არსებითად, ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას პარტიის დაშლისადმი იმ ხელშეწყობისათვის, რაც მოახდინა «შემარიგებლურმა» (ე. ი. გოლოსელ-ლიბერალთა და ვპერიოდელ-ანარქისტთა გათამამების) პოლიტიკამ. ჩვენ ოფიციალურად და აშკარად გავაფრთხილეთ პარტია ცენტრალური ორგანოს ჯერ კიდევ მე-12 ნომრის გამოსვლამდე, როდესაც ფურცელში — «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ» განვაცხადეთ პარტიის საწინააღმდეგო შეთქმულების შესახებ *.

თუ ზოგ ვინმეს ეს სიტყვები გაზვიადებად მოეჩვენა, მოვლენებმა სავსებით და ზედმიწევნით დაადასტურეს ჩვენი აზრი. პარტიის გარეთ მყოფი ლიკვიდატორ-ლიბერალები განმტკიცდნენ, შექმნეს ფრაქცია, რომელიც სავსებით მტრულად ეკიდება («ნაშა ზარია», «ვოზროჟდენიე», «დელო ჟიზნი») სოციალ-დემოკრატიას და მზად არის ჩაფუშოს პარტიის საქმე IV სათათბიროს არჩევნების დროს. გოლოსელები ეხმარებოდნენ ბბ. პოტრესოვებსა და კომპანიას პარტიის დაშლაში, აფუჭებდნენ დააბრკოლებდნენ რა მუშაობას ცენტრალურ დაწესებულებათა შიგნიდან მოქმედებით. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო — ერთადერთი მუდმივი პრაქტიკული ორგანო — ლიკვიდატორებს ჩაუვარდა ხელში ნაწილობრივ ბუნდისა და ლატვიელთა უმწეობის, ნაწილობრივ კი იმ პირდაპირი დახმარების გამო, რაც გოლოსელებს ამ ნაციონალური ორგანიზაციების ლიკვიდატორულმა ელემენტებმა აღმოუჩინეს. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს არათუ არაფერი არ გაუკეთებია პარტიელთა გასაერთიანებლად საზღვარგარეთ, არათუ არაფრით არ დახმარებია გოლოსელთა და ვპერიოდელთა წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ხელს

ლობით. მეშკოვსკიმ უარის თქმა თუ დააპირა, ჩვენ შეეკითხებით ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის დანარჩენ, ლონდონში არჩეულ, წევრებსა და კანდიდატებს, შეეკითხებით აგრეთვე იმ ბოლშევიკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გავლენიანი მუშაობით.

* იხ. ეს ტომი, გვ. 188 — 199. რედ.

ა ფ ა რ ე ბ დ ა ანარქისტთა ანტიპარტიულ «ფონდებს» და ლიბერალთა ნაბიჯებს.

ვპერიოდელები, ტროცკისა და «გოლოსის» «შემარიგებ-ლური» მხარდაჭერის მეოხებით, განმტკიცდნენ ტრანსპორ-ტის, ა გ ე ნ ტ ურ ი ს მქონე ფრაქციად და ბევრად უფრო გაძლიერდნენ 1910 წ. იანვრის პლენუმის შემდეგ.

ის, რაც სავსებით ნათლად დაისახა უკვე პლენუმზე (მაგა-ლითად, ანარქისტული სკოლის დაცვა ტროცკის მიერ + გოლოსელები), ბოლომდე განვითარდა. ლიბერალებისა და ანარქისტების ბლოკი შემარიგებელთა დახმარებით ურცხვად ანგრევს პარტიის ნაშთებს გარედან და ეხმარება მის დაშლას შიგნიდან. ფორმალისტიკის თამაში გოლოსელთა და ტროც-კისტთა «მოწვევით» ცენტრებში სავსებით აუძლურებს ისე-დაც დასუსტებულ პარტიელებს.

ვიხსნით რა ამ თამაშისათვის პასუხისმგებლობას, ჩვენ მ ი ს გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ გავატარებთ პლეხანოვე-ლებთან დაახლოების და ბლოკის წინააღმდეგ უ ლ მ ო ბ ე-ლ ი ბრძოლის ჩვენს პ ა რ ტ ი უ ლ ხაზს. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ მხარს დავუჭერთ ცენტრალუ-რი კომიტეტის ყ ვ ე ლ ა ნაბიჯს, თუ კი ის მოახერხებს შეიკ-რიბოს რუსეთში, აღადგინოს ცენტრალური აპარატი რუსეთ-ში, შექმნას პარტიული ორგანიზაციული ბაზა (ნაცვლად ცენტ-რალური კომიტეტის ლიკვიდატორული საზღვარგარეთული ბიუროსი) საზღვარგარეთ და დ ა ი წ ყ ო ს მ უ შ ა ო ბ ა ლი-ბერალებისა და ანარქისტების წინააღმდეგ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა გ ა თ ი შ ვ ი ს შესახებ, რომ-ლითაც გვაშინებენ «შემარიგებლები». გათიშვა **de facto*** ამჟამად უკვე სრულია, რადგან პოტრესოველები და ვპერიო-ღელები ს ა ვ ს ე ბ ი თ გამოითიშნენ და მათ ვ ე რ ა ვ ი ნ დააბრუნებს პარტიული ხ ა ზ ი ს ა კ ე ნ. თუ ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით დაგმობს მათ როგორც ლიბერალებს და ანარქისტებს, გათიშვა **de jure** ** არ მოხდება, რადგან

* — ფაქტიურად, ნამდვილად. რ ე დ.

** — იურიდიულად. რ ე დ.

მათ თ ა ვ ი ა ნ თ ი ხაზის დაცვა არ შეუძლიათ. თუ ცენტრები თავს დაანებებენ პოტრესოვის მსახურ ლიბერალების (გოლოსელების) და ვპერიოდელების «მოწვევობიას» თამაშს, გათიშვა de jure არ მოხდება, და მუშები საბოლოოდ მიატოვებენ ვპერიოდელებსაც და პოტრესოველებსაც. ს ხ ვ ა-გ ვ ა რ ი პოლიტიკა გაამხნევებს პოტრესოველებსა და ვპერიოდელებს და გააჭიანურებს გათიშვას. რაც შეგვეხება ჩვენ, ამ «სხვაგვარ» პოლიტიკაზე ჩვენ, როგორც უ ფ ლ ე ბ ა მ ო-ს ი ლ ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ი ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ა, რომლის ხელმძღვანელი მნიშვნელობაც აღიარა 1910 წ. იანვრის პლენუმმა, სავსებით უარს ვამბობთ.

ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომლებმაც პლენუმზე ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ცენტრალურ კომიტეტთან და რომლებსაც რწმუნება აქვთ (მეშკოვსკის მინდობილობით) დაარღვიონ ის.

დაწერილია 1910 წ. დეკემბერში
პირველად დაიბეჭდა 1933 წ.
ლენინის კრებულში, XXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

«ბანმარტების» ბმირები [110]

ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის ჟურნალ «ნაშა ზარიას» ჩვენ მიერ ეს-ეს არის ახლახან მიღებული მეათე წიგნი იძლევა ლევ ტოლსტოის შეფასებაში უდარდელობის, უფრო სწორად კი — უპრინციპობის ისეთ განსაცვიფრებელ ნიმუშებს, რომლებზედაც, თუნდაც მოკლედ, დაუყოვნებლივ უნდა შევჩერდეთ.

აი, პოტრესოვის ლაშქრის ახალი მოლაშქრის, ვ. ბაზაროვის სტატია. რედაქცია არ ეთანხმება ამ სტატიის «ცალკეულ დებულებებს», თუმცა, რა თქმა უნდა, არ მიუთითებს, როგორია ეს დებულებები. ეს ხომ ბევრად უფრო ხელსაყრელია არევდარევის დასაფარავად! ჩვენდათავად კი პირდაპირ გვიძნელდება აღვნიშნოთ ამ სტატიის ისეთი დებულება, რომელმაც არ აღაშფოთოს მარქსიზმის ოდნავ მაინც პატივისმცემელი ადამიანი. «ჩვენმა ინტელიგენციამ, — წერს ვ. ბაზაროვი, — დამბლადაცემულმა და მოდუნებულმა, რაღაც უსახურ გონებრივ და ზნეობრივ არარაობად ქცეულმა, სულიერი გახრწნის უკანასკნელ მიჯნამდე მისულმა, ერთსულოვნად აღიარა ტოლსტოი — მ თ ე ლ ი ტოლსტოი — თავის სინდისად». ეს — ტყუილია. ეს — ფრაზაა. ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოდ, და «ნაშა ზარიას» ინტელიგენცია კერძოდ, ძალიან წაგავს «მოდუნებულს», მაგრამ მას ტოლსტოის შეფასებაში არავითარი «ერთსულოვნება» არ გამოუჩენია და არც შეეძლო გამოეჩინა, არასოდეს მ თ ე ლ ი ტოლსტოი მართებულად არ დაუფასებია და არც შეეძლო დაეფასებინა. და სწორედ ერთსულოვნების უქონლობა აქ

დაფარულია უაღრესად ფარისევლური, პირდაპირ «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» შესაფერისი, ფრაზით «სინდისის» შესახებ. ბაზაროვი კი არ ებრძვის «არარაობას», არამედ ხელს უწყობს მას.

ბაზაროვს «სურს მოგვაგონოს ტოლსტოის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი უსამართლობა (!!), რაშიც ბრალი უდევთ საზოგადოდ რუსეთის ინტელიგენტებს, განსაკუთრებით კი ჩვენ, სხვადასხვა ჯურის რადიკალებს». აქ მართალი მხოლოდ ის არის, რომ ბაზაროვი, პოტრესოვი და კომპანია სწორედ რომ «სხვადასხვა ჯურის რადიკალებია», რომელნიც იმდენად არიან დამოკიდებულნი საყოველთაო «არარაობისაგან», რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობის ძირითადი არათანამიმდევრობისა და სუსტი მხარეების ყოვლად შეუწყნარებელი მიფუჩეჩების დროს მოკრძალებით მისჩანჩალებენ უკან «ყველას» და გაყვირიან ტოლსტოის მიმართ ჩადენილ «უსამართლობაზე». მათ არ უნდათ თავი გაიბრუონ «იმ, ჩვენს შორის განსაკუთრებით გავრცელებული, ბანგით, რომელსაც ტოლსტოი «კამათის გაბოროტებას» უწოდებს», — ეს სწორედ ისეთი სიტყვებია, ისეთი ჰანგებია, რასაც მოითხოვენ ობივატელები. რომელნიც უსაზღვრო ზიზღით თავს არიდებენ კამათს რაიმე მთლიანად და თანამიმდევრობით დასაცავი პრინციპის გულისთვის.

«ტოლსტოის მთავარი ძალა სწორედ ის არის, რომ მან, განვლო რა თანამედროვე განათლებული ადამიანებისათვის ტიპიური დაშლის ყველა საფეხური, შესძლო მოენახა სინთეზი...». ტყუილია. ტოლსტოიმ ვერც თავისი მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებში და ვერც თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებაში სწორედ სინთეზი ვერ მონახა, უფრო სწორად: არ შეეძლო მოენახა. «ტოლსტოიმ პირველად (!) გაამბიექტურა, ე. ი. შექმნა არა მარტო თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც, ის წ მ ი ნ დ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი (ხაზგასმა ყველგან თვითონ ბაზაროვისაა) რელიგია, რომელზედაც მხოლოდ სუბიექტურად (!) შეეძლოთ

ეოცნებათ კონტს, ფეიერბახს და თანამედროვე კულტურის სხვა წარმომადგენლებს», და სხვა და სხვ.

ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ობივატელობაზე უარესია. ეს არის ხელოვნური ყვავილებით «არარაობის» მორთვა-მოკაზმვა, რასაც მხოლოდ შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ფეიერბახი, რაკი ვერ შესძლო «მოენახა სინთეზი» თავის მსოფლმხედველობაში, რომელიც მრავალმხრივ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის «უკანასკნელ სიტყვას» წარმოადგენდა, გაიხლართა იმ «სუბიექტურ ოცნებებში», რომელთა უარყოფითი მნიშვნელობა უკვე დიდი ხნით ადრე შეაფასეს «თანამედროვე კულტურის» ნამდვილად მოწინავე «წარმომადგენლებმა». ახლა იმის გამოცხადება, თითქოს ტოლსტოიმ «პირველად გააობიექტურა» ეს «სუბიექტური ოცნებები», ნიშნავს უკუმავალთა ბანაკში გაქცევას, ნიშნავს ობივატელობის წინაშე მლიქვნელობას, ნიშნავს ვეხელობის აყოლას.

«თავისთავად იგულისხმება, ტოლსტოის მიერ დაფუძნებულმა მოძრაობამ (!?) ღრმა ცვლილებანი უნდა განიცადოს, თუ მას მართლა უწერია შეასრულოს დიდი მსოფლიო-ისტორიული როლი: პატრიარქალურ-გლეხური ყოფის იდეალიზაცია, ნატურალური მეურნეობისადმი ლტოლვა და ტოლსტოელობის სხვა მრავალი უტოპიური ნიშანი, რომლებსაც ამჟამად პირველ ადგილზე აყენებენ (!) და რომელნიც ყველაზე უფრო არსებითად ეჩვენებათ, ნამდვილად წარმოადგენენ სწორედ სუბიექტურ ელემენტებს, რომელნიც აუცილებელი კავშირით არ არიან დაკავშირებულნი ტოლსტოის «რელიგიის» საფუძველთან».

ამრიგად, ტოლსტოიმ ფეიერბახის «სუბიექტური ოცნებები» «გააობიექტურა», ხოლო ის, რაც ტოლსტოიმ გამოხატა როგორც თავის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე წინააღმდეგობებით აღსავსე თავის მოძღვრებაში, — ბაზაროვის მიერ აღნიშნული გასული საუკუნის რუსეთის ეკონომიური თავისებურებანი, — ეს «სწორედ სუბიექტური ელემენტები» ყოფილა მის მოძღვრებაში. სწორედ ამას ჰქვია, ნახტომი შეეშალაო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას: იმ «ინტელიგენციისათვის, რომელიც დამბლადაცემული და მოდუნე-

ბულია» (და ასე შემდეგ, როგორც ციტირებულია ზემოთ), არა არის რა იმაზე უფრო სასიამოვნო, სასურველი, საყვარელი, იმაზე უფრო წამაქეზებელი მისი მოდუნებულობისა, როგორც ტოლსტოის მიერ «გაობიექტურებულ» ფეიერბახის «სუბიექტურ ოცნებათა» ეს განდიდება და ყურადღების ეს ჩამოშორება იმ კონკრეტული ისტორიულ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხებისაგან, რომელნიც «ამჟამად პირველ ადგილზეა წამოყენებული»!

გასაგებია, რომ ბაზაროვს განსაკუთრებით არ მოსწონს ის «მწვავე კრიტიკა», რომელიც გამოიწვია ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის მოძღვრებამ «რადიკალური ინტელიგენციის მხრით». ბაზაროვისათვის «აშკარაა, რომ აქ პასიურობასა და კვიეტიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება». განმარტავს რა თავის აზრს, ბაზაროვი იმოწმებს ცნობილ ზღაპარს «ივანე სულელის» შესახებ და წინადადებას აძლევს მკითხველს «წარმოიდგინოს, რომ სულელების წინააღმდეგ ჯარისკაცებს გზავნის არა ხოჭოების მეფე, არამედ მათივე საკუთარი დაჭკვიანებული მბრძანებელი ივანე, რომ ამ ჯარისკაცების საშუალებით, რომელნიც შეგროვილნი არიან ისევ სულელთაგან და, მაშასადამე, მთელი თავიანთი სულიერი აგებულებით მათ უახლოვდებიან, ივანეს სურს აიძულოს თავისი ქვეშევრდომები, რომ მათ შეასრულონ რაიმე უმართლო მოთხოვნა. თავისთავად ცხადია, თითქმის უიარაღო და სამხედრო წყობის უცოდინარ სულელებს ოცნებაც არ შეუძლიათ იმაზე, რომ ფიზიკურად გაიმარჯვებენ ივანეს ჯარებზე. კიდეც რომ გაუწიონ უაღრესად ენერგიული «წინააღმდეგობა ძალადობით», სულელებს შეუძლიათ ივანე დაამარცხონ არა ფიზიკური, არამედ მხოლოდ მორალური ზემოქმედებით, ე. ი. მხოლოდ ივანეს ლაშქრის ჯარისკაცთა ეგრეთწოდებული «დემორალიზაციის» გზით»... «სულელების წინააღმდეგობა ძალადობით იმავე შედეგს აღწევს (ოღონდ უარესს და უფრო დიდი მსხვერპლით), რასაც წინააღმდეგობა ძალადობის გამოუყენებლად»... «ძალადობით ბოროტებისადმი წინააღუდგომლობა ანუ, საზოგადოდ, სა-

შუალებისა და მიზნის (!!) ჰარმონია, სულაც არ წარმოადგენს იმ იდეას, რომელიც მხოლოდ გარესაზოგადოებრივ მორალურ მქადაგებლებს ახასიათებს. ეს იდეა ყოველი მთლიანი მსოფლმხედველობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია».

ასე მსჯელობს პოტრესოვის ლაშქრის ახალი მოლაშქრე. აქ მისი მსჯელობის განხილვა ჩვენ არ შეგვიძლია, — და, ვფიქრობთ, საკმარისიცაა ამჯერად პირდაპირ მოვიყვანოთ ამ მსჯელობიდან უმთავრესი და დავუმატოთ სამი სიტყვა: ეს — პირწმინდა ვეხელობაა.

ბოლო აკორდი კანტატისა იმ თემაზე, რომ ყურები შუბლს ზევით არ იზრდება: «ჩვენი უძლურება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ძალა, როგორც უპირატესობა ტოლსტოის «კვიეტიზმისა» და «შეზღუდული განსჯის» მიმართ (ხოლო მსჯელობის არათანამიმდევრობის მიმართ?). ამას არ უნდა ვამბობდეთ არა მარტო იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, არამედ აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს ხელს გვიშლის ვისწავლოთ რამე ჩვენი დროის უდიდესი ადამიანისაგან».

დიახ. დიახ. ოღონდ არ უნდა გაწყრეთ, ბატონებო, და არ უნდა გვიპასუხოთ სასაცილო ბაქიობითა და ლანძღვით (როგორც ბ-ნი პოტრესოვი «ნაშა ზარიას» მე-8 — 9 ნომრებში), როცა თქვენ იზგოევები გლოცავენ, გაქებენ და გეამბორებიან. ამ ამბორს პოტრესოვის ლაშქრის ვერც ძველი და ვერც ახალი მოლაშქრენი ვეღარ მოიწმენდენ.

ამ ლაშქრის გენერალურმა შტაბმა ბაზაროვის სტატიას დაურთო «დიპლომატიური» შენიშვნა. მაგრამ მას დიდად არა სჯობს ბ-ნ ნევედომსკის სრულიად უშენიშვნებოდ მოთავსებული მოწინავე წერილი. «რაკი შეითვისა, — წერს თანამედროვე ინტელიგენციის ეს ენამჭევრი, — და დასრულებულად განასახიერა რუსეთში მონობის დაცემის დიადი ეპოქის მთავარი ასპირაციები და მისწრაფებანი, ლევ ტოლსტოი შეიქნა ზოგადკაცობრიული იდეოლოგიური საწყი-

სის — ს ი ნ დ ი ს ი ს ს ა წ ყ ი ს ი ს — ყველაზე უფრო წმინდა და დასრულებული განსახიერება».

ბუჰ, ბუჰ, ბუჰ... რაკი შეითვისა და დასრულებულად განასახიერა ლიბერალურ-ბურჟუაზიული პუბლიცისტიკის დამახასიათებელი დეკლამაციის მთავარი მანერები, მ. ნევედომსკი შეიქნა ზოგადკაცობრიული იდეოლოგიური საწყისის — ამაოსიტყვაობის საწყისის — ყველაზე უფრო წმინდა და დასრულებული განსახიერება.

კიდევ ერთი, უკანასკნელი თქმულება:

«ტოლსტოის ყველა ეს ევროპელი თაყვანისმცემელი, ყველა ეს სხვადასხვა სახელწოდების ანატოლ ფრანსები, და დეპუტატთა პალატები, რომლებმაც ამას წინათ დიდი უმრავლესობით ხმა მისცეს სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ, ახლა კი ფეხზე ადგომით პატივს სცემენ დიდებულ მ თ ლ ი ა ნ ადამიანს, მთელი ეს შუალედობის, ნახევრულობის, განმარტების სამეფო — რა დიად, რა ძლიერ, წმინდა მთლიანი ლითონიდან გამოკვეთილ სახედ დგას მათ წინაშე ეს ტოლსტოი, ეს ცოცხალი განსახიერება ერთიანი პრინციპისა».

უჰ! ლამაზად ლაპარაკობს — და ამავე დროს ყოველივე ეს ხომ სულ ტყუილია. არა მთლიანი, არა წმინდა და **არა** ლითონიდან არის გამოკვეთილი ტოლსტოის ფიგურა. და «ყველა ამ» ბურჟუაზიულმა თაყვანისმცემლებმა ს წ ო რ ე დ **არა** «მთლიანობისათვის», სწორედ მთლიანობისაგან გადახვევისათვის «სცა პატივი ფეხზე ადგომით» მის ხსოვნას.

მხოლოდ ერთი კარგი სიტყვა წამოროშა უცაბედად ბ-ნმა ნევედომსკიმ. ეს სიტყვა — განმარტება — ისევე კარგად ახასიათებს «ნაშა ზარიას» ვაჟბატონებს, როგორც ახასიათებს მ ა თ ინტელიგენციის ზემოთ მოყვანილი დახასიათება, რომელიც ვ. ბაზაროვს ეკუთვნის. ჩვენს წინაშე მთლად და ერთიანად — «განმარტების» გმირები არიან. პოტრესოვი განმარტავს, რომ არ ეთანხმება მახისტებს, თუმცა მათ იცავს. რედაქცია განმარტავს, რომ არ ეთანხმება ბაზაროვის «ცალკეულ დებულებებს», თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ აქ **საქმე ცალკეული** დებულებები როდია. პოტრესოვი განმარტავს, რომ მას ცილი

დასწამა იზგოევმა. მარტოვი განმარტავს, რომ ის არც თუ სავსებით ეთანხმება პოტრესოვს და ლევიცკის, თუმცა იგი სწორედ მათ უწევს ერთგულ პოლიტიკურ სამსახურს. ისინი ყველანი ერთად განმარტავენ, რომ არ ეთანხმებიან ჩერევანინს, თუმცა უფრო იწონებენ მის მ ე ო რ ე ლიკვიდატორულ წიგნაკს, რომელიც აძლიერებს მისი პირველი ნაშობის «სულისკვეთებას». ჩერევანინი განმარტავს, რომ არ ეთანხმება მასლოვს. მასლოვი განმარტავს, რომ არ ეთანხმება კაუტსკის.

ყველა ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან მხოლოდ იმაში, რომ ისინი არ ეთანხმებიან პლეხანოვს, და რომ პლეხანოვი ცილისმწამებლურად აბრალებს მათ ლიკვიდატორობას, თვითონ მას კი თითქოს არ ძალუძს ახსნას თავისი ახლანდელი დაახლოება თავის გუშინდელ მოწინააღმდეგეებთან.

არაფერია იმაზე უფრო მარტივი, ვიდრე ახსნა ამ დაახლოებისა, რომელიც გაუგებარია განმარტებათა მოყვარულთათვის. როდესაც ჩვენ ლოკომოტივი გვქონდა, ჩვენში დიდი უთანხმოება იყო იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ამ ლოკომოტივის ძალას, სათბობის მარაგსა და სხვა, ვთქვათ, 25 ან 50 ვერსი სიჩქარე საათში. დავა ამაზე, ისე როგორც ყოველ ღრმად ამაღელვებელ საკითხზე, წარმოებდა გაცხარებით და ხშირად გაბოროტებითაც. ეს დავა — პირდაპირ ყოველ საკითხში, რომლის გამოც კი ის აღძრულა, — ყველას თვალწინაა, ყველასთვის დასანახავია, აშკარად დაბოლოვებულია, არაა მიჩქმალული არავითარი «განმარტებებით». და არავის ჩვენთაგანს აზრად არ მოსდის უკან წაიღოს რამე ან იწუწუნოს «დავის გაბოროტების» გამო. მაგრამ როდესაც ლოკომოტივი დაზიანდა, როდესაც ის ჭაობში ძევს, როდესაც მას გარს ახვევია «განმმარტებელი» ინტელიგენტები, რომლებიც მუხთლად ხითხითებენ იმის გამო, რომ «სალიკვიდაციოც აღარაფერია», რადგან ლოკომოტივი აღარ არისო, — მაშინ ჩვენ, გუშინდელ «გაბოროტებულ მოდავეთ», გვაახლოებს ერთი საერთო საქმე. ჩვენ არაფერს არ უარვყოფთ, არაფერს არ ვიციწყებთ,

არავითარ დაპირებას არ ვიძლევით უთანხმოებათა გაქრობის შესახებ, ჩვენ მხოლოდ საერთო საქმეს ვაკეთებთ ერთად. ჩვენ მთელ ყურადღებას და მთელ ძალღონეს მივმართავთ იქითკენ, რომ ლოკომოტივი წამოვაყენოთ, განვაახლოთ, გავამაგროთ, გავაძლიეროთ, რელსებზე დავაყენოთ, — მოძრაობის სიჩქარეზე და ამა თუ იმ ისრის მობრუნებაზე მოვასწრებთ დავას თავის დროზე. ჩვენს მძიმე დროში დღევანდელი დღის ამოცანაა შევქმნათ ისეთი რამ, რაც წინააღმდეგობას გაუწევს «განმარტებათა» მოტრფიალე ადამიანებს და «მოდუნებულ ინტელიგენტებს», რომელნიც პირდაპირ და არაპირდაპირ ხელს უწყობენ გამეფებულ «არარაობას». დღევანდელი დღის ამოცანაა ვთხაროთ, თუნდაც უძნელეს პირობებში, მადანი, ამოვიღოთ რკინა, ჩამოვასხათ მარქსისტული მსოფლმხედველობისა და ამ მსოფლმხედველობის შესაბამის ზედნაშენთა ფოლადი.

«მისლ» № 1, 1910 წ. დეკემბერი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ჟურნალ «მისლის» ტექსტის მიხედვით

ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში [111]

სათაურში აღნიშნულ თემას ეხება ტროცკისა და მარტოვის სტატიები «Neue Zeit»-ის * 50-ე და 51-ე ნომრებში. მარტოვი გადმოსცემს მენშევიზმის შეხედულებებს. ტროცკი კუდში მისჩანჩალებს მენშევიკებს და განსაკუთრებულ წკრიალა ფრაზას ეფარება. მარტოვისათვის «რუსეთის გამოცდილება» იმით ამოიწურება, რომ «ბლანკისტურმა და ანარქისტულმა უკულტურობამ გაიმარჯვა მარქსისტულ კულტურულობაზე» (წაიკითხე: ბოლშევიზმმა — გაიმარჯვა მენშევიზმზე). «რუსეთის სოციალ-დემოკრატია მეტად გულმოდგინედ ლაპარაკობდა რუსულად», განსხვავებით ტაქტიკის «საერთო-ევროპულის» წესებისაგანო. ტროცკის «ისტორიის ფილოსოფია» — ასეთივეა. ბრძოლის მიზეზია «მარქსისტული ინტელიგენციის შეგუება პროლეტარიატის კლასობრივ მოძრაობასთან». პირველ რიგში წამოწეულია «სექტანტური სულისკვეთება, ინტელიგენტური ინდივიდუალიზმი, იდეოლოგიური ფეტიშიზმი». «პოლიტიკურად მოუმწიფებელ პროლეტარიატზე გავლენისათვის ბრძოლა» — აი რაშია საქმის დედაარსი.

* — «ახალი დროება». რედ.

I

თეორია, რომელიც მენშევიზმის წინააღმდეგ ბოლშევიზმის ბრძოლაში ხედავს მოუმწიფებელ პროლეტარიატზე გავლენისათვის ბრძოლას, ახალი როდია. ამ თეორიას ჩვენ ვხვდებით 1905 წლიდან (თუ 1903 წლიდან არა) ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბეჭდვითი სიტყვის უამრავ წიგნებსა, ბროშურებსა და სტატიებში. მარტოვი და ტროცკი გერმანელ ამხანაგებს სთავაზობენ მარქსისტულად შეფერადებულ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ებ ს.

რა თქმა უნდა, რუსეთის პროლეტარიატი პოლიტიკურად ბევრად უფრო ნაკლებადაა მომწიფებული, ვიდრე დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი. მაგრამ რუსეთის საზოგადოების ყველა კლასიდან სწორედ პროლეტარიატმა გამოამჟღავნა 1905 — 1907 წლებში ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ი პოლიტიკური სიმწიფე. რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიას, რომელიც ჩვენში ისევე საზიზღრად, ლაჩრულად, ბრიყვულად და გამცემლურად იქცეოდა, როგორც გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზია 1848 წელს, ს წ ო რ ე დ ი მ ი ტ ო მ სძულს რუსეთის პროლეტარიატი, რომ ის 1905 წელს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ს ა კ მ ა ო დ მ ო მ წ ი ფ ე ბ უ ლ ი აღმოჩნდა, რათა ამ ბურჟუაზიისათვის ხელიდან გამოეგლიჯა მოძრაობის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა და დაუნდობლად ემხილებინა ლიბერალთა გამცემლობა.

«ილუზიაა» იმის ფიქრი, — აცხადებს ტროცკი, — თითქოს მენშევიზმმა და ბოლშევიზმმა «ღრმად გაიდგეს ფესვები პროლეტარიატის სიღრმეშიო». ეს იმ წკრიალა, მაგრამ ცარიელი ფრაზების ნიმუშია, რომელთა ოსტატიც გახლავთ ჩვენი ტროცკი. მენშევიკებისა და ბოლშევიკების უთანხმოების ფ ე ს ვ ე ბ ი არის არა «პროლეტარიატის სიღრმეში», არამედ რუსეთის რევოლუციის ე კ ო ნ ო მ ი უ რ შ ი ნ ა ა რ ს შ ი. ამ შინაარსის უგულებელყოფით მარტოვმა და ტროცკიმ თავის თავს შესაძლებლობა წაართვეს გაიგონ რუსეთში მიმდინარე შინაპარტიული ბრძოლის ისტორიული

აზრი. დედაარსი ის კი არ არის, «ღრმად» შეიჭრნენ თუ არა უთანხმოებათა თეორიული ფორმულირებანი პროლეტარიატის ამა თუ იმ ფენაში, არამედ ის, რომ 1905 წლის რევოლუციის ეკონომიურმა პირობებმა პროლეტარიატი ჩააყენა ლიბერალური ბურჟუაზიისადმი მტრულ დამოკიდებულებაში — არა მარტო მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საკითხის გამო, არამედ აგრეთვე აგრარული საკითხის გამოც, რევოლუციის ყველა პოლიტიკური საკითხის გამო და სხვა. ილაპარაკო რუსეთის რევოლუციაში მიმართულებათა ბრძოლაზე, ჩამოარიგო «სექტანტობის», «უკულტურობისა» და სხვა იარლიყები და არც ერთი სიტყვა არა თქვა პროლეტარიატის, ლიბერალური ბურჟუაზიისა და დემოკრატიული გლეხობის ძირითად ეკონომიურ ინტერესებზე — იმას ნიშნავს, რომ დაეშვა ვულგარული ჟურნალისტების დონემდე.

აი მაგალითი. «მთელ დასავლეთ ევროპაში, წერს მარტოვი, გლეხთა მასებს თვლიან გამოსადეგად (პროლეტარიატთან) კავშირისათვის მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ ეცნობიან ისინი მიწათმოქმედებაში მომხდარი კაპიტალისტური გადატრიალების მძიმე შედეგებს; რუსეთში კი წარმოიდგინეს სურათი რიცხობრივად სუსტი პროლეტარიატის გაერთიანებისა 100 მილიონ გლეხთან, რომელთაც ჯერ არ განუცდიათ ან თითქმის არ განუცდიათ კაპიტალიზმის «აღმზრდელობითი» მოქმედება და ამიტომ ჯერ კიდევ არ ყოფილან კაპიტალისტური ბურჟუაზიის სკოლაში».

ეს კი არ წამოცდენია მარტოვს. ეს მენშევიზმის ყველა შეხედულების ცენტრალური მუხლია. ამ იდეებით მთლიანად გაჟღენთილია რუსეთის რევოლუციის ოპორტუნისტული ისტორია, რომელიც რუსეთში პოტრესოვის, მარტოვისა და მასლოვის რედაქციით გამოდის («საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს»). მენშევიკმა მასლოვმა ეს იდეები კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატა, როცა ამ «შრომის» შემაჯამებელ სტატიაში თქვა: «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა სამეურ-

ნეო განვითარების მთელი მსვლელობის საწინააღმდეგო იქნებოდაო». სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ბოლშევიზმისა და მენშევიზმის უთანხმოებათა ფესვი.

მარტოვმა კაპიტალიზმის სკოლა კაპიტალისტური ბურჟუაზიის სკოლით შეცვალა (ფრჩხილებში ვთქვათ: სხვა ბურჟუაზია, გარდა კაპიტალისტურისა, ქვეყნად არ არსებობს). რაში მდგომარეობს კაპიტალიზმის სკოლა? იმაში, რომ კაპიტალიზმს გლეხები ძალით გამოჰყავს სოფლის იდიოტიზმიდან, აფხიზლებს და საბრძოლველად ბიძგს აძლევს მათ. რაში მდგომარეობს «კაპიტალისტური ბურჟუაზიის» სკოლა? იმაში, რომ «გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზია ყოვლად უსინდისოდ ღალატობს გლეხებს, თავის ყველაზე ბუნებრივ მოკავშირეებს, ურომლისოდაც ის უძლურია თავადაზნაურობის წინააღმდეგ» (კ. მარქსი 1848 წ. 29 ივლისის «რეინის ახალ გაზეთში») [112]. იმაში, რომ რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია 1905—1907 წლებში სისტემატურად და განუხრელად ღალატობდა გლეხებს, არსებითად გადადიოდა მემამულეთა და ცარიზმის მხარეზე, მებრძოლ გლეხთა წინააღმდეგ, პირდაპირ დაბრკოლებებს უქმნიდა გლეხთა ბრძოლის განვითარებას.

კაპიტალიზმის მიერ გლეხთა «აღზრდაზე» «მარქსისტული» სიტყვების საფარით მარტოვი იცავს გლეხთა (რომლებიც რევოლუციურად ებრძოდნენ თავადაზნაურობას) «აღზრდას» ლიბერალების მიერ (რომლებიც გლეხებს ღალატობდნენ და მათ თავადაზნაურთა ხელში აგდებდნენ).

აი, სწორედ ეს არის მარქსიზმის შეცვლა ლიბერალიზმით. აი, სწორედ ეს არის მარქსისტული ფრაზებით შეფერადებული ლიბერალიზმი. ბებელის სიტყვები მაგდებურგში, რომ სოციალ-დემოკრატთა შორის ნაციონალ-ლიბე-

რალები არიანო, მართებულია არა მარტო გერმანიის მიმართ გამოსაყენებლად.

აუცილებელია ისიც შევნიშნოთ, რომ რუსული ლიბერალიზმის იდეური ბელადების უმეტესობა გერმანული ლიტერატურით აღიზარდა და მათ სპეციალურად გადმოაქვთ რუსეთში ბ რ ე ნ ტ ა ნ უ ლ ი და ზ ო მ ბ ა რ ტ უ ლ ი «მარქსიზმი», რომელიც «კაპიტალიზმის სკოლას» აღიარებს, მაგრამ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სკოლას უარყოფს. ყველა კონტრრევოლუციონერი ლიბერალი რუსეთში, სტრუვე, ბულგაკოვი, ფრანკი, იზგოევი და კომპანია, თავს იწონებს ასეთივე «მარქსისტული» ფრაზებით.

მარტოვი ფეოდალიზმის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებების ეპოქის რუსეთს ადარებს «დასავლეთ ევროპას», რომელმაც დიდი ხანია ფეოდალიზმს ბოლო მოუღო. ეს ისტორიული პერსპექტივის ფენომენალური დამახინჯებაა. არიან თუ არა «მთელ დასავლეთ ევროპაში» სოციალისტები, რომელთა პროგრამაში იყოს მოთხოვნა: «მხარი დავუჭიროთ გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს თვით მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მ ი წ ე ბ ი ს კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ა მ დ ე»[113]? არ არიან. «მთელ დასავლეთ ევროპაში» სოციალისტები სრულიადაც არ უჭერენ მხარს წვრილ მეპატრონეებს მათს ბრძოლაში მიწათმფლობელობისათვის მსხვილ მეპატრონეთა წინააღმდეგ. რაშია განსხვავება? იმაში, რომ «მთელ დასავლეთ ევროპაში» დიდი ხანია ჩამოყალიბდა და საბოლოოდ გამოიკვეთა ბურჟუაზიული წყობილება, კერძოდ, ბურჟუაზიული აგრარული ურთიერთობა, რუსეთში კი სწორედ ახლა მიმდინარეობს რევოლუცია ი მ ი ს ა თ ვ ი ს, თ უ რ ო გ ო რ ჩამოყალიბდეს ეს ბურჟუაზიული წყობილება. მარტოვი იმეორებს ლიბერალთა გაცვეთილ ხერხს, რომლებიც ამა თუ იმ საკითხის გამო წამოჭრილი რევოლუციური კონფლიქტების პერიოდს ყოველთვის უპირისპირებენ ისეთ პერიოდებს, როცა რევოლუციური კონფლიქტები არ არის, რადგან თვით საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია.

ზენშევიზმის ტრაგიკომედია სწორედ ის არის, რომ იგი იძულებული იყო რევოლუციის დროს მიეღო ლიბერალიზმთან შეურიგებელი თეზისები. თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ «გლეხობის» ბრძოლას მიწების კონფისკაციისათვის, მაშასადამე, ჩვენ გამარჯვებას ვთვლით შესაძლებლად, მუშათა კლასისა და მთელი ხალხისათვის ეკონომიურად და პოლიტიკურად სასარგებლოდ. ხოლო «გლეხობის» გამარჯვება, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის ბრძოლაში — არის სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა. (გავიხსენოთ მარქსის სიტყვები 1848 წელს რევოლუციაში დიქტატურის აუცილებლობის შესახებ და მერინგის სამართლიანი დაცინვა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მარქსს ბრალად სდებდნენ იმას, თითქოს მას უნდოდა დიქტატურის შემოღებით განეხორციელებია დემოკრატია [114]).

ძირფესვიანად მცდარია ის შეხედულება, თითქოს ამ კლასების დიქტატურა «ეწინააღმდეგება სამეურნეო განვითარების მთელ მსვლელობას». სწორედ პირიქით. მხოლოდ ასეთი დიქტატურა აღგვიდა პირწმინდად ფეოდალიზმის ყველა ნაშთს, უზრუნველყოფდა საწარმოო ძალთა ყველაზე სწრაფ განვითარებას. პირიქით, ლიბერალების პოლიტიკა საქმეს ხელში უგდებს რუს იუნკრებს, რომლებიც ასკეცად ანელებენ რუსეთის «სამეურნეო განვითარების მსვლელობას».

1905 — 1907 წლებში წინააღმდეგობა ლიბერალურ ბურჟუაზიასა და გლეხობას შორის სავსებით გამომჟღავნდა. 1905 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე, აგრეთვე 1906 წლის გაზაფხულზე გლეხთა აჯანყებებმა მოიცვა ცენტრალური რუსეთის მაზრების $^1/_3$-დან $^1/_2$-მდე ნაწილი. გლეხებმა დაანგრიეს 2 000-მდე მემამულის კარმიდამო (სამწუხაროდ, ეს იმის $^1/_{15}$ ნაწილს არ აღემატება, რაც საჭირო იყო დაენგრიათ). მხოლოდ პროლეტარიატი ეხმარებოდა თავდადებულად ამ რევოლუციურ ბრძოლას, ყოველ-

მხრივ წარმართავდა, ხელმძღვანელობდა მას, აერთიანებდა მას თავისი მასობრივი გაფიცვებით. ლიბერალური ბურჟუაზია არასოდეს, არც ერთხელ არ დახმარებია რევოლუციურ ბრძოლას, ის ამჯობინებდა გლეხთა «დამშვიდებას» და მათ «შერიგებას» მემამულეებსა და მეფესთან. შემდეგ ორივე პირველ სათათბიროში (1906 და 1907 წწ.) იგივე განმეორდა საპარლამენტო ასპარეზზე. ლიბერალები მუდამ აფერხებდნენ გლეხთა ბრძოლას, ღალატობდნენ მათ, და მხოლოდ მუშათა დეპუტატები წარმართავდნენ და მხარს უჭერდნენ გლეხებს ლიბერალთა წინააღმდეგ. გლეხებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ლიბერალთა ბრძოლით აღსავსეა I და II სათათბიროს მთელი ისტორია. ბრძოლა ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის განუყრელად დაკავშირებულია ამ ისტორიასთან, როგორც ბრძოლა იმის გამო, დაგვეჭირა თუ არა მხარი ლიბერალებისათვის, დაგვეხო თუ არა ლიბერალების ჰეგემონია გლეხობის მიმართ. ამიტომ ჩვენი გათიშვების ახსნა ინტელიგენციის გავლენით, პროლეტარიატის მოუმწიფებლობითა და სხვა მისთანებით — ლიბერალური ზღაპრების ბავშვური გულუბრყვილო განმეორებაა.

ამავე მიზეზით ძირფესვიანად ყალბია ტროცკის მსჯელობა, თითქოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში გათიშვებს იწვევს «პარლამენტარიზმის შეზღუდული (ვიწრო) პირობებისადმი სოციალურ-რევოლუციური კლასის შეგუების პროცესი» და სხვა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში კი — ინტელიგენციის შეგუება პროლეტარიატისადმი. «რამდენადაც შეზღუდული (ვიწრო) იყო — წერს ტროცკი — სოციალისტური საბოლოო მიზნის თვალსაზრისით შეგუების ამ პროცესის რეალური პოლიტიკური შინაარსი, იმდენადვე თავშეუკავებელი იყო მისი ფორმები, დიდი იყო ის იდეოლოგიური ჩრდილი, რომელსაც ეს პროცესი ჰფენდა».

ეს ჭეშმარიტად «თავშეუკავებელი» ლაყბობა მხოლოდ ლიბერალიზმის «იდეოლოგიური ჩრდილია». როგორც მარ-

ტოვი, ისე ტროცკიც ერთ გროვაში ურევენ სხვადასხვანაირ ისტორიულ პერიოდებს, როდესაც რუსეთს, რომელიც თავის ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენს, უპირისპირებენ ევროპას, რომელმაც ეს რევოლუციები დიდი ხანია დაამთავრა. ევროპაში სოციალ-დემოკრატიული მუშაობის რეალური პოლიტიკური შინაარსია პროლეტარიატის მომზადება ძალაუფლებისათვის საბრძოლველად ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც უკვე სრული ბატონ-პატრონია სახელმწიფოში. რუსეთში ჯერ კიდევ მხოლოდ საქმე ეხება ისეთი თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ან იუნკრული მონარქიის (დემოკრატიაზე ცარიზმის გამარჯვების შემთხვევაში), ანდა გლეხთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის (ცარიზმზე დემოკრატიის გამარჯვების შემთხვევაში) მსგავსი იქნება. დემოკრატიის გამარჯვება კი თანამედროვე რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გლეხთა მასები გაჰყვებიან რევოლუციურ პროლეტარიატს და არა — გამცემლურ ლიბერალიზმს. ეს საკითხი ისტორიულად ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ბურჟუაზიული რევოლუციები რუსეთში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, და ამ ფარგლებში, ე. ი. რუსეთში ბურჟუაზიული წესწყობილების ფორმისათვის ბრძოლის ფარგლებში, რუს სოციალ-დემოკრატთა მუშაობის «რეალური პოლიტიკური შინაარსი» უფრო ნაკლებ «შეზღუდულია», ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის არავითარი ბრძოლა არ წარმოებს, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციები დიდი ხანია დამთავრებულია.

ადვილი გასაგებია, რატომ აიძულებს ლიბერალებს ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები ჩააგონონ მუშებს, რომ მათი როლი რევოლუციაში «შეზღუდულია», რომ მიმართულებათა ბრძოლას იწვევს ინტელიგენცია და არა ღრმა ეკონომიური წინააღმდეგობანი, რომ მუშათა პარტია უნდა იყოს «არა ჰეგემონი განმათავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ კლასობრივი პარტია». სწორედ ასეთი ფორ-

მუდა წამოაყენეს სულ ბოლო დროს ლიკვიდატორ-გოლოსელებმა (ლევიცკი «ნაშა ზარიაში») და მოიწონეს ლიბერალებმა. სიტყვა «კლასობრივი პარტია» მათ ესმით ბრენტანოვურ-ზომბარტული მნიშვნელობით: იზრუნეთ მხოლოდ თქვენი კლასისათვის და თავი დაანებეთ «ბლანკისტურ ოცნებას» ხალხის ყველა რევოლუციური ელემენტებისადმი ხელმძღვანელობაზე ცარიზმისა და გამცემლური ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო.

II

მარტოვის მსჯელობა რუსეთის რევოლუციის შესახებ და ტროცკისა — რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იძლევა მათი ძირითადი შეხედულებების მცდარობის კონკრეტულ დადასტურებას.

დავიწყოთ ბოიკოტით. მარტოვი ბოიკოტს უწოდებს «პოლიტიკურ თავშეკავებას», «ანარქისტებისა და სინდიკალისტების» ხერხს, ამასთან ლაპარაკობს მ ხ ო ლ ო დ 1906 წლის შესახებ. ტროცკი ამბობს, რომ «ბოიკოტისტური ტენდენცია გასდევს ბოლშევიზმის მთელ ისტორიას — პროფესიული კავშირების, სახელმწიფო სათათბიროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ბოიკოტირება და სხვა», რომ ეს არის «მასებში დახრჩობის სექტანტური შიშის ნაყოფი, შეურიგებელი თავშეკავების რადიკალიზმი» და ასე შემდეგ. პროფესიული კავშირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბოიკოტის შესახებ ტროცკი ა შ კ ა რ ა ტ ყ უ ი ლ ს ამბობს. ასეთივე ტყუილია ის, რომ ბოიკოტიზმი ბოლშევიზმის მთელ ისტორიას გასდევსო; ბოლშევიზმი სავსებით ჩამოყალიბდა, როგორც მიმართულება, 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე, ვ ი დ რ ე ბოიკოტის საკითხი პირველად წამოიჭრებოდა. ბოლშევიზმმა 1 9 0 6 წ ლ ი ს ა გ ვ ი ს ტ ო ში ფრაქციის ოფიციალურ ორგანოში განაცხადა იმის შესახებ, რომ ისტორიულმა პირო-

ბებმა, რომლებიც ბოიკოტის აუცილებლობას იწვევდნენ, განვლო *.

ტროცკი ამახინჯებს ბოლშევიზმს, რადგან ტროცკის არასოდეს არ შეეძლო შეეთვისებინა რამდენადმე გარკვეული შეხედულებანი პროლეტარიატის როლზე რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

მაგრამ კიდევ უფრო გაცილებით უარესია ამ რევოლუციის ისტორიის დამახინჯება. თუ ბოიკოტზე ვილაპარაკებთ, უნდა დავიწყოთ თავიდან და არა ბოლოდან. პირველი (და ერთადერთი) გამარჯვება რევოლუციაში გამოგლეჯილ იქნა მასობრივი მოძრაობით, რომელიც ბ ო ი კ ო ტ ი ს ლ ო ზ უ ნ გ ი თ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ა. ამის დავიწყება ხელსაყრელია მხოლოდ ლიბერალებისათვის.

1905 წლის 6/19 აგვისტოს კანონი ჰქმნიდა ბულიგინის სათათბიროს როგორც სათათბირო დაწესებულებას. ლიბერალებმა, ყველაზე მემარცხენე ლიბერალებმაც კი, გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ მასში. სოციალ-დემოკრატიამ უდიდესი უმრავლესობით (მენშევიკების წინააღმდეგ) გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა ამ სათათბიროსათვის და მოეწოდებინა მასები ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირი შეტევისაკენ, მასობრივი გაფიცვისა და აჯანყებისაკენ. მაშასადამე, ბოიკოტის საკითხი მარტო სოციალ-დემოკრატიის შიგნით დასმული საკითხი როდი იყო. ის პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ბრძოლის საკითხი იყო. მთელი იმდროინდელი ლიბერალური პრესა გვიჩვენებს, რომ ლიბერალებს ეშინოდათ რევოლუციის განვითარებისა და მთელ ძალღონეს მიმართავდნენ ცარიზმთან «შეთანხმებისაკენ».

როგორი იყო ობიექტური პირობები უშუალო მასობრივი ბრძოლისათვის? ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა გაფიცვებისა (ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვებად და-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 152 — 162. რ ე დ.

ყოფით) და გლეხთა მოძრაობის სტატისტიკა. მოგვყავს მთავარი მონაცემები, რომლებიც მთელი შემდგომი მსჯელობის დასასურათებლად გამოგვადგება.

გაფიცულთა რიცხვი (ათასობით) წლის თვითეულ მეოთხედში*.

		1905				1906				1907			
		I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ		810	481	294	1 277	269	479	296	63	146	325	77	193
მათ შორის	ეკონომიურ გაფიცვებში	411	190	143	275	73	222	125	37	52	52	66	30
	პოლიტიკურ გაფიცვებში	399	291	151	1 002	196	257	171	26	94	271	11	163
იმ მაზრების პროცენტი, სადაც გლეხთა მოძრაობა იყო			14, 2%		36, 9%		49, 2%		21, 1%				

ეს ციფრები გვიჩვენებს, რა უზარმაზარი ენერგიის განვითარება შეუძლია პროლეტარიატს რევოლუციაში. მთელი 10-წლედის მანძილზე რევოლუციის წინ გაფიცულთა რიცხვი რუსეთში იყო მხოლოდ 431 ათასი, ე. ი. წელიწადში საშუალოდ 43 ათასი, 1905 წელს კი გაფიცულთა მთელი რიცხვი შეადგენდა 2 863 ათასს, მაშინ როდესაც ფაბრიკის ყველა მუშა 1 661 ათასი იყო! ამგვარი საგაფიცვო მოძრაობა მსოფლიოს ჯერ არ უნახავს. 1905 წლის მე-3 მეოთხედში, როცა ბოიკოტის საკითხი პირველად წამოიჭრა, ჩვენ ვხედავთ სწორედ გარდამავალ მომენტს საგაფიცვო

* ხაზით შემოვლებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდები: 1905 I — 9 იანვარი; 1905 IV — რევოლუციის აპოგეუმი, ოქტომბერი და დეკემბერი; 1906 II — პირველი სათათბირო; 1907 II — მეორე სათათბირო. მონაცემები აღებულია იმ გაფიცვების ოფიციალური სტატისტიკიდან [115], რომელთაც მე დაწვრილებით განვიხილავ რუსეთის რევოლუციის ისტორიის ნარკვევში, რასაც დასაბეჭდად ვამზადებ. (იხ. ეს ტომი, გვ. 493 — 528. რ ე დ.).

(მასთან ერთად აგრეთვე გლეხთა) მოძრაობის ახალი, ბევრად უფრო ძლიერი ტალღისაკენ. დავხმარებოდით ამ რევოლუციური ტალღის განვითარებას, წარგვემართა ის ცარიზმის დასამხობად, თუ საშუალება მიგვეცა ცარიზმისათვის მასების ყურადღება მიეპყრო სათათბირობანას თამაშით, — ასეთი იყო ბოიკოტის საკითხის რ ე ა ლ უ რ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი. ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად უგვანო და ლიბერალურად-რეგვენუ ლია იმისათვის ჭაპანწყვეტა, რომ ბოიკოტი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში დაუკავშირდეს «პოლიტიკურ თავშეკავებას», «სექტანტობას» და სხვა! ლიბერალთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიღებული ბოიკოტის ლოზუნგით მიმდინარეობდა მოძრაობა, რომელმაც პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი 1905 წლის მე-3 მეოთხედის 151 ათასიდან გაადიდა 1 მ ი ლ ი ო ნ ა მ დ ე 1905 წლის მე-4 მეოთხედში.

მარტოვი 1905 წლის გაფიცვების წარმატების «მთავარ მიზეზად» აცხადებს «მზარდ ოპოზიციურ მიმდინარეობას ფ ა რ თ ო ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ წ რ ე ე ბ შ ი». . «ბურჟუაზიის ამ ფართო ფენების გავლენა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ისინი, ერთი მხრით, პირდაპირ აქეზებდნენ მუშებს პოლიტიკური გაფიცვებისათვის», ხოლო, მეორე მხრით, მეფაბრიკეებს აგულიანებდნენ «გ ა დ ა ე ხ ა დ ა თ მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ფ ი ც ვ ი ს დ რ ო ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი» (ხაზგასმა მარტოვისაა).

ბურჟუაზიის «გავლენის» ამ დაშაქრულ ხოტბას ჩვენ დავუპირისპირებთ მშრალ სტატისტიკას. 1905 წელს გაფიცვები, ყველაზე ხშირად, 1907 წელთან შედარებით, მუშათა სასარგებლოდ მთავრდებოდა. და აი ამ წლის მონაცემები: 1 438 610 გაფიცული აყენებდა ეკონომიურ მოთხოვნებს; 369 304 მუშამ ბრძოლა მოიგო, 671 590 მუშამ ის კომპრომისით დაამთავრა, 397 716 მუშამ — წ ა ა გ ო. ასეთი იყო ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი (და არა ლიბერალური ზღაპრების მიხედვით) ბურჟუაზიის «გავლენა». მარტოვი სავსებით ლიბერალურად ამახინჯებს ბურჟუაზიისადმი პროლე-

ტარიატის ნამდვილ დამოკიდებულებას. მუშებმა იმიტომ კი არ გაიმარჯვეს («ეკონომიკაშიც» და პოლიტიკაშიც), რომ ბურჟუაზია ხანდახან იხდიდა გაფიცვებისათვის ან ოპოზიციურად გამოდიოდა, არამედ ბურჟუაზია იმიტომ გამოთქვამდა უკმაყოფლებას და იხდიდა, რომ მუშები იმარჯვებდნენ. კლასობრივი შეტევის ძალა, მილიონიანი გაფიცვების, გლეხთა მღელვარებების, სამხედრო აჯანყებების ძალა არის მიზეზი, «მთავარი მიზეზი», დიდად პატივცემულო მარტოვ; ბურჟუაზიის «თანაგრძნობა» შედეგია.

«17 ოქტომბერი, — წერს მარტოვი, — რომელმაც საათბიროს არჩევნების პერსპექტივები გადაშალა და კრებების მოწვევის, მუშათა კავშირების დაარსების, სოციალ-დემოკრატიული გაზეთების გამოცემის შესაძლებლობა შექმნა, გვიჩვენებდა მიმართულებას, რომლითაც უნდა წარმართულიყო მუშაობა». მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ««მოქანცვის სტრატეგიის» შესაძლებლობის იდეა არავის აზრად არ მოუვიდა. მთელ მოძრაობას ხელოვნურად უბიძგებდნენ სერიოზული და გადამწყვეტი შეტაკებისაკენ», ე. ი. დეკემბრის გაფიცვისა და დეკემბრის «სისხლიანი დამარცხებისაკენ».

კაუტსკი რ. ლიუქსემბურგს ედავებოდა იმაზე, დადგა თუ არა გერმანიაში 1910 წლის გაზაფხულზე «მოქანცვის სტრატეგიის» «დამხობის სტრატეგიაში» გადასვლის მომენტიო, ამასთან კაუტსკიმ ნათლად და პირდაპირ თქვა, რომ პოლიტიკური კრიზისის შემდგომი განვითარების დროს ეს გადასვლა გარდუვალია. მარტოვი კი კაუტსკის კალთებს ჩაფრენია და უკანა რიცხვით ქადაგებს «მოქანცვის სტრატეგიას» რევოლუციის უდიდესი გამწვავების მომენტში. არა, პატივცემულო მარტოვ, თქვენ მხოლოდ იმეორებთ ლიბერალურ სიტყვებს. მშვიდობიანი კონსტიტუციის «პერსპექტივები» კი არ «გადაშალა» 17-მა ოქტომბერმა, — ეს ლიბერალური ზღაპარია, — არამედ მან დაიწყო სამოქალაქო ომი. ეს ომი მზადდებოდა არა პარტიების ან

ჯგუფების სუბიექტური ნებით, არამედ მოვლენათა მთელი განვითარებით 1905 წლის იანვრიდან. ოქტომბრის მანიფესტი მოასწავებდა არა ბრძოლის შეწყვეტას, არამედ მებრძოლთა ძალების გაწონასწორებას: ცარიზმს უკვე აღარ შეეძლო მართვა, რევოლუციას ჯერ კიდევ არ შეეძლო მისი დამხობა. ამ მდგომარეობიდან ობიექტური გარდუვალობით გამომდინარეობდა გადამწყვეტი ბრძოლა. სამოქალაქო ომი ოქტომბერშიც და ნოემბერშიც იყო ფაქტი (მშვიდობიანი «პერსპექტივები» კი ლიბერალური სიცრუე); ეს ომი გამოიხატა არა მარტო დარბევებით, არამედ შეიარაღებული ძალით ბრძოლითაც არმიის ურჩი ნაწილების წინააღმდეგ, გლეხთა წინააღმდეგ რუსეთის მესამედ ნაწილში, განაპირა მხარეების წინააღმდეგ. ის ადამიანები, რომელნიც ასეთ პირობებში დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას და მასობრივ გაფიცვას «ხელოვნურად» თვლიან, მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება მიეკუთვნონ სოციალ-დემოკრატიას. ასეთი ადამიანებისათვის ბუნებრივი პარტიაა ლიბერალური პარტია.

მარქსი 1848 და 1871 წლებში ამბობდა, რომ რევოლუციის დროს არის მომენტები, როცა მტრისთვის პოზიციის უბრძოლველად დათმობა უფრო მეტად იწვევს მასების დემორალიზაციას, ვიდრე ბრძოლაში დამარცხება[116]. 1905 წლის დეკემბერი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში მარტო ასეთი მომენტი როდი იყო. დეკემბერი იყო იმ მასობრივი შეტაკებებისა და ბრძოლების ბუნებრივი და აუცილებელი დამთავრება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იზრდებოდა 12 თვის განმავლობაში. ამას მშრალი სტატისტიკაც კი მოწმობს. წმინდა პოლიტიკური გაფიცვების (ე. ი. ისეთი გაფიცვების, როცა არავითარ ეკონომიურ მოთხოვნას არ აყენებდნენ) მონაწილეთა რიცხვი იყო: 1905 წ. იანვარში — 123 ათასი, ოქტომბერში — 328 ათასი, დეკემბერში — 372 ათასი. და სურთ ჩვენ დაგვარწმუნონ, რომ ეს ზრდა «ხელოვნური» იყო! ჩვენ გვთავაზობენ ზღაპარს, თითქოს მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ამგვა-

რი ზრდა ჯარში აჯანყებებთან ერთად შესაძლებელია შეიარაღებულ აჯანყებაში გარდუვალი გადასვლის გარეშე! არა, ეს რევოლუციის ისტორია კი არა, რევოლუციის მიმართ ლიბერალური ცილისწამებაა.

III

«სწორედ ამ დროს» — წერს მარტოვი ოქტომბრის გაფიცვის შესახებ — «მუშათა მასების საყოველთაო აღტყინების დროს... იბადება პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ეკონომიურ ბრძოლასთან შეერთების მისწრაფება. მაგრამ, წინააღმდეგ ამხ. როზა ლიუქსემბურგის აზრისა, ამით თავი იჩინა მოძრაობის არა ძლიერმა, არამედ სუსტმა მხარემ». რევოლუციური გზით 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების ცდა წარუმატებლად დამთავრდა და მუშათა «დეზორგანიზაცია» გამოიწვია. «იმავე მიმართულებით მოქმედებდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა 1905 წლის ნოემბერში». ასე წერს ისტორიას მარტოვი.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ზემომოყვანილ სტატისტიკას, რათა დავინახოთ ამ ისტორიის სიყალბე. რევოლუციის ყველა სამი წლის მანძილზე პოლიტიკური კრიზისის ყოველი გამწვავების დროს ჩვენ ვხედავთ არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური საგაფიცვო ბრძოლის აღმავლობას. მათ შეერთებაში მდგომარეობდა მოძრაობის არა სისუსტე, არამედ ძალა. საწინააღმდეგო შეხედულება ლიბერალური ბურჟუების შეხედულებაა, რომლებსაც სწორედ ის უნდოდათ, რომ მუშებს პოლიტიკაში მონაწილეობა მიეღოთ ისე, რომ უაღრესად ფართო მასები არ ჩაბმულიყვნენ რევოლუციაში და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში. სწორედ 17 ოქტომბრის შემდეგ ლიბერალური საერობო მოძრაობა საბოლოოდ გაითიშა: მიწათმფლობელებმა და მეფაბრიკეებმა შეადგინეს აშკარა კონტრრევოლუციური პარტია «ოქტიაბრისტებისა», რომლებიც რეპრესიების

მთელი ძალით თავს დაატყდნენ გაფიცულთ (ხოლო «მემარცხენე» ლიბერალები, კადეტები, მუშებს პრესაში ბრალად სდებდნენ «სიგიჟეს»). მარტოვი, ოქტიაბრისტებისა და კადეტების კვალდაკვალ, მუშათა «სისუსტეს» იმაში ხედავს, რომ ისინი სწორედ ამ დროს ცდილობდნენ ეკონომიური ბრძოლა კიდევ უფრო შეტევითი გაეხადათ. ჩვენ მუშათა (ხოლო კიდევ უფრო — გლეხთა) სისუსტეს იმაში ვხედავთ, რომ ისინი არასაკმაოდ მტკიცედ, არასაკმაოდ ფართოდ, არასაკმაოდ სწრაფად გადავიდნენ შეტევითს ეკონომიურსა და შეიარაღებულ პოლიტიკურ ბრძოლაზე, რომელიც გარდუვალად გამომდინარეობდა მოვლენათა განვითარების მთელი მსვლელობიდან და სრულიადაც არა ცალკეული ჯგუფების ან პარტიების სუბიექტური სურვილებიდან. ჩვენს შეხედულებასა და მარტოვის შეხედულებას შორის უფსკრულია, და ეს უფსკრული «ინტელიგენტთა» შეხედულებებს შორის, წინააღმდეგ ტროცკისა, მხოლოდ იმ უფსკრულს ასახავს, რაც ნამდვილად იყო 1905 წლის დამლევს კლასებს შორის, სახელდობრ, რევოლუციურ მებრძოლ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, რომელიც მოღალატურად იქცეოდა.

ისიც უნდა დავსძინოთ, რომ საგაფიცვო ბრძოლაში მუშათა დამარცხებები ახასიათებს არა მარტო 1905 წლის დამლევს, რომელიც მარტოვმა ცალკე ამოგლიჯა, არამედ კიდევ უფრო მეტად — 1906 და 1907 წლებს. სტატისტიკა გვეუბნება, რომ 10 წლის, 1895 — 1904 წლების, განმავლობაში მეფაბრიკეებმა მოიგეს გაფიცვების 51,6% (გაფიცულთა რიცხვის მიხედვით); 1905 წელს — 29,4%; 1906 წელს — 33,5%; 1907 წელს — 57,6%; 1908 წელს — 68,8%. ნიშნავს თუ არა ეს, რომ 1906 — 1907 წლების ეკონომიური გაფიცვები «სიგიჟე», «უდროო» იყო, «მოძრაობის სუსტი მხარე» იყო? არა. ეს ნიშნავს, რომ, რამდენადაც მასების რევოლუციური ბრძოლის იერიში 1905 წელს არასაკმაოდ ძლიერი იყო, იმდენად დამარცხება (პოლიტიკაშიც და «ეკონომიკაშიც») გარდუვალი იყო, მაგრამ ამასთან პრო-

ლეტარიატს რომ არ შესძლებოდა სულ ცოტა ორჯერ მაინც დაეწყო მტრის წინააღმდეგ ახალი იერიში (მეოთხედი მილიონი მარტოოდენ პოლიტიკური გაფიცვების მონაწილენი 1906 წლის მეორე მეოთხედში და აგრეთვე 1907 წელს), მაშინ დამარცხება კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა; სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა არა 1907 წლის ივნისში, არამედ ერთი წლით, ანდა ერთ წელიწადზე მეტი ხნით ადრეც კი; 1905 წლის ეკონომიურ მონაპოვრებს მუშებს კიდევ უფრო ჩქარა წაართმევდნენ.

მასების რევოლუციური ბრძოლის აი ეს მნიშვნელობა მარტოვს აბსოლუტურად არ გაეგება. ლიბერალებისდაკვალად, იგი 1906 წლის დამდეგის ბოიკოტის შესახებ ამბობს, რომ «სოციალ-დემოკრატია დროებით დარჩა ბრძოლის პოლიტიკურ ხაზს გარეთ». წმინდა თეორიულად, 1906 წლის ბოიკოტის საკითხის ამგვარი დაყენება მეტად რთული პრობლემის წარმოუდგენელი გამარტივება და გაუხამსებაა. როგორი იყო რეალური «საბრძოლო ხაზი» 1906 წლის მე-2 მეოთხედში — საპარლამენტო თუ პარლამენტგარეშე? შეხედეთ სტატისტიკას: «ეკონომიური» გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი 73 ათასიდან ადის 222 ათასამდე, პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა — 196 ათასიდან 257 ათასამდე; იმ მაზრების პროცენტი, რომელთაც გლეხთა მოძრაობა მოედო, — 36,9%-დან 49,2%-მდე. ცნობილია, რომ 1906 წლის მე-2 მეოთხედში, 1-ლ მეოთხედთან შედარებით, სამხედრო აჯანყებებიც აგრეთვე მეტისმეტად გაძლიერდა და გახშირდა. შემდეგ, ცნობილია, რომ I საათათბირო მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური (XX საუკუნის დამდეგს) და ამავე დროს ყველაზე უძლური პარლამენტი იყო; მისი არც ერთი გადაწყვეტილება არ განხორციელებულა.

ასეთია ობიექტური ფაქტები. ლიბერალები და მარტოვი ამ ფაქტებს ისე აფასებენ, რომ სათათბირო იყო რეალური «საბრძოლო ხაზი», ხოლო აჯანყებები, პოლიტიკური

გაფიცვები, გლეხთა და ჯარისკაცთა მღელვარებანი — «რევოლუციონერ რომანტიკოსთა» ფუჭი საქმე. ღრმააზროვანი ტროცკი კი ფიქრობს, რომ ამ ნიადაგზე წარმოშობილი ფრაქციათა უთანხმოებანი იყო «ინტელიგენტური» «ბრძოლა მოუმწიფებელ პროლეტარიატზე გავლენისათვის». ჩვენ ვფიქრობთ, ობიექტური მონაცემები მოწმობენ 1906 წლის გაზაფხულზე მ ა ს ე ბ ი ს ნამდვილად რევოლუციური ბრძოლის ისეთ სერიოზულ აღმავლობას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ი ყ ო მთავარ ბრძოლად სწორედ ამგვარი ბრძოლა ეღიარებინა და მისი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის ყოველი ღონე ეხმარა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ეპოქის თავისებური პოლიტიკური სიტუაცია, — როცა მეფის მთავრობამ თითქოსდა სათათბიროს მოწვევის პირობით ევროპისაგან ორმილიარდიანი სესხი მიიღო, როცა მეფის მთავრობა ნაჩქარევად უშვებდა კანონებს სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ, — სავსებით ამართლებდა პროლეტარიატის ცდას მეფის ხელიდან გამოეგლიჯა რუსეთის პირველი პარლამენტის მოწვევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატია კი არა, ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი «დარჩნენ მაშინ ბ რ ძ ო ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ურ ხ ა ზ ს გ ა რ ე თ». ის კონსტიტუციური ილუზიები, რომელთა მასებში გავრცელებაზეც იყო აგებული ლიბერალების მთელი კარიერა რევოლუციაში, ყველაზე თვალსაჩინოდ გააქარწყლა პირველი სათათბიროს ისტორიამ.

ორივე პირველ სათათბიროში ლიბერალებს (კადეტებს) უმრავლესობა ჰყავდათ და ხმაურით და რიხით ეჭირათ პოლიტიკური ავანსცენა. მაგრამ ლიბერალების სწორედ ამ «გამარჯვებებმა» ცხადყო კიდეც, რომ ლიბერალები ყოველთვის «ბრძოლის პოლიტიკურ ხაზს გარეთ» რჩებოდნენ, რომ ისინი პოლიტიკური კომედიანტები იყვნენ, რომლებიც საშინლად რყვნიდნენ მასების დემოკრატიულ შეგნებას. და თუ მარტოვი და მისი მეგობრები, ლიბერალებისდაკვალად, მიუთითებენ რევოლუციის მძიმე დამარცხებებზე როგორც იმის გაკვეთილზე, «რ ა ც ა რ უ ნ დ ა ვ ა კ ე თ ო თ», ჩვენ

მათ ვუპასუხებთ: ერთადერთი რეალური გამარჯვება, რაც რევოლუციამ მოიპოვა, იყო გამარჯვება პროლეტარიატისა, რომელმაც უკუაგდო ლიბერალური რჩევა-დარიგება წასულიყო ბულიგინის სათათბიროში და აჯანყებისაკენ გაიყოლია გლეხთა მასები. ეს — ერთი. ხოლო მეორე, თავისი გმირული ბრძოლით სამი წლის (1905 — 1907) განმავლობაში რუსეთის პროლეტარიატმა თავის თავს და რუს ხალხს მოუპოვა ის, რის მოპოვებასაც სხვა ხალხებმა ათეული წლები მოანდომეს. მან მოიპოვა მუშათა მასების **განთავისუფლება** გამცემლური და საზიზღარ-უძლური **ლიბერალიზმის გავლენისაგან.** მან **თავისთვის** მოიპოვა **ჰეგემონის** როლი თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში, როგორც სოციალიზმისათვის ბრძოლის პირობა. მან რუსეთის ყველა ჩაგრულ და ექსპლოატირებულ კლასს მოუპოვა **უნარი** აწარმოონ რევოლუციური მასობრივი ბრძოლა, ურომლისოდაც ქვეყნად არსად არ მიუღწევიათ სერიოზული რამისთვის კაცობრიობის პროგრესში.

ამ მონაპოვართ ვერ წაართმევს რუსეთის პროლეტარიატს ვერავითარი რეაქცია, ლიბერალების ვერავითარი სიძულვილი, ლანძღვა-გინება და ღვარძლიანობა, სოციალისტური ოპორტუნისტების ვერავითარი მერყეობა, სიბეცე და მცირედმორწმუნეობა.

IV

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფრაქციების განვითარება რევოლუციის შემდეგ კვლავ აიხსნება არა «პროლეტარიატისადმი ინტელიგენციის შეგუებით», არამედ კლასთა შორის ურთიერთობის ცვლილებებით. 1905 — 1907 წლების რევოლუციამ გაამწვავა, აშკარა გახადა, დღის წესრიგში წამოაყენა გლეხობისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ანტაგონიზმი რუსეთის ბურჟუაზიული წესწყობილების ფორმის საკითხში. პოლიტიკურად მომწიფებულ პროლეტარიატს არ შეეძლო უაღრესად ენერგიული მონაწილეობა არ მიეღო ამ

ბრძოლაში, და ახალი საზოგადოების სხვადასხვა კლასისადმი მისი დამოკიდებულების ანარეკლი იყო ბოლშევიზმისა და მენშევიზმის ბრძოლა.

1908 — 1910 წლების სამწლედი ხასიათდება კონტრრევოლუციის გამარჯვებით, თვითმპყრობელობის აღდგენით და III სათათბიროთი, შავრაზმელთა და ოქტიაბრისტთა სათათბიროთი. ბურჟუაზიულ კლასებს შორის ახალი წესწყობილების ფორმისათვის ბრძოლა დავიწყებას მიეცა. პროლეტარიატისათვის დღის წესრიგში დადგა ელემენტარული ამოცანა — დაიცვას თავისი, პროლეტარული პარტია, რომელიც მტრულად არის განწყობილი როგორც რეაქციის, ისე კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის მიმართ. ეს ადვილი ამოცანა არ არის, იმიტომ რომ სწორედ პროლეტარიატს დაატყდა თავს ეკონომიურ და პოლიტიკურ დევნათა მთელი სიმძიმე, ლიბერალების მთელი სიძულვილი იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიამ მათ ხელიდან გამოსტაცა მასებისადმი ხელმძღვანელობა რევოლუციაში.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიზისი მეტად მძიმეა. ორგანიზაციები განადგურებულია. უამრავი ძველი ხელმძღვანელი (განსაკუთრებით ინტელიგენციიდან) დაპატიმრებულია. ახალი ტიპი სოციალ-დემოკრატი მუშისა, რომელიც პარტიულ საქმეებს თავის ხელში იღებს, უკვე წარმოიშვა, მაგრამ მას უჩვეულო სიძნელეების გადალახვა უხდება. ასეთ პირობებში სოციალ-დემოკრატიული პარტია მრავალ «თანამგზავრს» კარგავს. ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალისტებს მიემხრნენ წვრილ-ბურჟუაზიული თანამგზავრნი. ახლა ისინი შორდებიან მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიას. ამ პროცესმა თავი იჩინა ორივე ფრაქციაში: ბოლშევიკებში «ოტზოვისტური» მიმდინარეობის სახით, რომელიც 1908 წლის გაზაფხულზე გაჩნდა, ერთბაშად დამარცხდა მოსკოვის კონფერენციაზე და, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ფრაქციის ოფიციალური ცენტრის მიერ უარყოფილმა, საზღვარგარეთ შეადგინა განსაკუთრებული — «ვპერიოდული» — ფრაქ-

ცია. რღვევის პერიოდის თავისებურება იმით გამოიხატა, რომ ამ ფრაქციაში ერთად მოიყარეს თავი იმ «მახისტებმაც», რომლებმაც თავიანთ პლატფორმაში შეიტანეს მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა («პროლეტარული ფილოსოფიის» დაცვის აბრით), «ულტიმატისტებმაც», ამ მორცხვმა ოტზოვისტებმა, «თავისუფლების დღეთა» სხვადასხვა ტიპის «სოციალ-დემოკრატებმა», რომლებიც «წარმტაცმა» ლოზუნგებმა გაიტაცა, რომლებმაც ეს ლოზუნგები დაიზეპირეს, მაგრამ მარქსიზმის საფუძვლები ვერ გაიგეს.

მენშევიკებში წვრილბურჟუაზიულ «თანამგზავრთა» ჩამოშორების იგივე პროცესი გამოიხატა ლიკვიდატორული მიმდინარეობით, რომელიც ახლა სავსებით გაფორმდა ბ-ნ პოტრესოვის ჟურნალ «ნაშა ზარიაში», «ვოზროჟდენიესა» და «ეიზნში», «16-ისა» და «სამეულის» (მიხეილის, რომანის, იურის) პოზიციაში, ამასთან საზღვარგარეთულმა «გოლოს სოციალ-დემოკრატამ» დაიკავა რუს ლიკვიდატორთა ნამდვილი მსახურისა და პარტიული საზოგადოების წინაშე მათი დიპლომატიური მფარველის ადგილი.

ტროცკი, რომელმაც ვერ გაიგო კონტრრევოლუციის ეპოქაში მიმდინარე ამ რღვევის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან არასოციალ-დემოკრატიული ელემენტების ამ ჩამოშორების ისტორიულ-ეკონომიური მნიშვნელობა, გერმანელ მკითხველებს ელაპარაკება ორივე ფრაქციის «რღვევაზე», «პარტიის რღვევაზე», «პარტიის გახრწნაზე».

ეს ტყუილია. და ეს ტყუილი გამოხატავს, ჯერ-ერთი, ტროცკის სრულ თეორიულ გაუგებლობას. რატომ აღიარა პლენუმმა ლიკვიდატორობაც და ოტზოვიზმიც «პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინებად», — ეს ტროცკიმ აბსოლუტურად ვერ გაიგო. მართლაცდა, ჩაუფიქრდით: პარტიის რღვევა, პარტიის გახრწნა, თუ მისი განმტკიცება და გაწმენდა გამოიხატება პარტიის მიერ

დაგმობილ იმ მიმდინარეობათა გამოყოფით, რომლებიც გამოხატავენ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ გავლენას პროლეტარიატზე?

მეორეც, ეს ტყუილი პრაქტიკულად ტროცკის ფრაქციის ს ა რ ე კ ლ ა მ ო «პოლიტიკას» გამოხატავს. ტროცკის წამოწყება რომ ფრაქციის შექმნის ცდაა, ახლა ამას ხედავს ყველა და თვითეული, როცა ტროცკიმ «პრავდიდან» განდევნა ც. კ-ის წარმომადგენელი. უკეთებს რა თავის ფრაქციას რეკლამას, ტროცკი არ ერიდება მოუთხროს გერმანელებს, რომ «პარტია» ი რ ღ ვ ე ვ ა, ო რ ი ვ ე ფრაქცია ირღვევა, ის კი, ტროცკი, მარტოდმარტო გამოდის ყველაფრის მხსნელად. ნამდვილად ახლა ჩვენ ყველანი ვხედავთ, — და ტროცკისტების უახლესი რეზოლუცია (ვენის კლუბის სახელით, 1910 წ. 26 ნოემბრისა) ამას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, — რომ ტროცკი მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ლიკვიდატორთა და «ვპერიოდელთა» ნ დ ო ბ ი თ სარგებლობს.

თუ ამასთან რა ურცხვობამდე მიდის ტროცკი, რომელიც პარტიას ამცირებს და თავის თავს განადიდებს გერმანელთა წინაშე, გვიჩვენებს, ვთქვათ, ასეთი მაგალითი. ტროცკი წერს, რომ «მუშათა მასები» რუსეთში «სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მათი წრის გ ა რ ე თ (ხაზგასმა ტროცკისაა) მდგომად» თვლიან, და ლაპარაკობს «სოციალ-დემოკრატებზე უსოციალდემოკრატიოდ».

აბა როგორ არ უნდა კოცნიდნენ ბ-ნი პოტრესოვი და მისი მეგობრები ტროცკის ამგვარი სიტყვებისათვის?

ხოლო ამ სიტყვებს აბათილებს არა მარტო რევოლუციის მ თ ე ლ ი ისტორია, არამედ III სათათბიროს არჩევნებიც კი მუშათა კურიის ხაზით.

ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობისათვის, წერს ტროცკი, «მენშევიკებისა და ბოლშევიკების ფრაქციები, მათი წინანდელი იდეური და ორგანიზაციული წყობის მიხედვით, სრულიად უუნარონი აღმოჩნდნენ»; მუშაობდნენ «სოციალ-დემოკრატების ცალკეული ჯგუფები, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ფრაქციების ჩარჩოებს გარეთ, მათი ორ-

განიზაციული ზემოქმედების გარეშე». «უმნიშვნელოვანესი ლეგალური ორგანიზაციაც კი, რომელშიც მენშევიკებს უპირატესობა აქვთ, მუშაობს მენშევიკური ფრაქციის მხრივ სრულიად კონტროლის გაუწევლად». ასე წერს ტროცკი. ხოლო აი როგორია ფაქტები. III სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის არსებობის დასაწყისიდანვე ბოლშევიკური ფრაქცია თავის სანდო პირთა მეშვეობით, რომელთაც პარტიის ც. კ-ის რწმუნებანი ჰქონდათ, ყოველთვის ეწეოდა მუშაობას სათათბიროში სოციალ-დემოკრატების მუშაობისათვის ხელის შესაწყობად, დასახმარებლად, რჩევა-დარიგების მისაცემად და კონტროლის გასაწევად. ამასვე აკეთებს პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რომელიც ფრაქციების წარმომადგენელთაგან შედგება (ისინი დაიშალნენ, როგორც ფრაქციები, 1910 წ. იანვარში).

როდესაც ტროცკი დაწვრილებით მოუთხრობს გერმანელ ამხანაგებს «ოტზოვიზმის» სისულელეზე და ამ მიმდინარეობას სახავს როგორც მთელი ბოლშევიზმისათვის დამახასიათებელი ბოიკოტიზმის «კრისტალიზაციას», შემდეგ კი ორიოდე სიტყვით მოიხსენიებს, რომ ბოლშევიზმი «არ დანებდა» ოტზოვიზმს, არამედ «გადაჭრით ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავდაუჭერლად გაილაშქრა მის წინააღმდეგო», — გერმანელ მკითხველს, რა თქმა უნდა, ვერ წარმოუდგენია, რამდენი გაქნილი მუხანათობაა ამნაირ გადმოცემაში. ტროცკის იეზუიტური «რეზერვაცია» ის არის, რომ გამოტოვებულია მცირე, სულ მცირე «წვრილმანი». მას «დაავიწყდა» ეამბნა, რომ ჯერ კიდევ 1909 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკურმა ფრაქციამ თავის წარმომადგენელთა ოფიციალურ კრებაზე ჩამოიშორა, გარიცხა ოტზოვისტები. მაგრამ სწორედ ეს «წვრილმანი» ეუხერხულება კიდეც ტროცკის, რომელსაც სურს ილაპარაკოს ბოლშევიკური ფრაქციის (შემდეგ კი აგრეთვე პარტიის) «რ ღ ვ ე ვ ა ზ ე» და არა არასოციალდემოკრატიული ელემენტების ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა ზ ე!

მარტოვს ჩვენ ახლა ლიკვიდატორობის ერთ-ერთ ბელადად ვთვლით, მით უფრო საშიშ ბელადად, რაც «უფრო ოსტატურად» იცავს ის ლიკვიდატორებს კვაზი-მარქსისტული სიტყვებით. მაგრამ მარტოვი აშკარად გადმოსცემს შეხედულებებს, რომლებმაც თავისი კვალი დაჩნიეს მთელ მიმართულებებს 1903 — 1910 წლების მასობრივ მუშათა მოძრაობაში. ტროცკი კი მხოლოდ თავის პირად მერყეობას გამოხატავს და მეტს არაფერს. იგი 1903 წელს მენშევიკი იყო; ჩამოშორდა მენშევიზმს 1904 წელს, დაუბრუნდა მენშევიკებს 1905 წელს და თავი მოჰქონდა მხოლოდ ულტრა-რევოლუციური ფრაზით; 1906 წელს კვლავ ჩამოშორდა; 1906 წლის დამლევს იცავდა საარჩევნო შეთანხმებას კადეტებთან (ე. ი. ფაქტიურად კვლავ მენშევიკებთან იყო), ხოლო 1907 წლის გაზაფხულზე ლონდონის ყრილობაზე ამბობდა, რომ მისი განსხვავება როზა ლიუქსემბურგისაგან «ინდივიდუალურ ელფერთა განსხვავება უფროა, ვიდრე პოლიტიკურ მიმართულებათა» განსხვავება. ტროცკი პლაგიატს ეწევა დღეს ერთი, ხვალ — მეორე ფრაქციის იდეური ბაგაჟიდან, და ამიტომ თავის თავს აცხადებს ორივე ფრაქციაზე მ ა ღ ლ ა მდგომად. ტროცკი თეორიულად ა რ ა ფ ე რ შ ი არ ეთანხმება ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ კ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ შ ი ეთანხმება გოლოსელებსა და ვპერიოდელებს.

ამიტომ, თუ გერმანელ ამხანაგებს ტროცკი ეუბნება, რომ იგი წარმოადგენს «საერთო-პარტიულ ტენდენციას», მე უნდა განვაცხადო, რომ ტროცკი წარმოადგენს მხოლოდ თ ა ვ ი ს ფრაქციას და სარგებლობს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ოტზოვისტებისა და ლიკვიდატორების ერთგვარი ნდობით. აი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ჩემი განცხადების სისწორეს. 1910 წლის იანვარში ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ტროცკის გაზეთ «პრავდასთან», დანიშნა რა რედაქციაში ც. კ-ის წარმომადგენელი. 1910 წლის სექტემბერში პარტიის ცენტრალურ ორგანოში დაიბეჭდა მასალა ც. კ-ის

წარმომადგენლის განხეთქილებაზე ტროცკისთან ამ უკანასკნელის ანტიპარტიული პოლიტიკის გამო. კოპენჰაგენში პლეხანოვმა, როგორც პარტიული მენშევიკების წარმომადგენელმა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის დელეგატმა, აგრეთვე ამ სტრიქონების დამწერმა, როგორც ბოლშევიკების წარმომადგენელმა, და პოლონელმა ამხანაგმა, სამივემ ერთად, მტკიცე პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, თუ როგორ ასურათებს ტროცკი გერმანულ პრესაში ჩვენს პარტიულ საქმეებს.

დაე, ახლა მკითხველებმა განსაჯონ, «საერთო-პარტიულ», თუ «საერთო-ანტიპარტიულ» ტენდენციას წარმოადგენს ტროცკი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში.

დაწერილია 1910 წ. დამლევს
დაიბეჭდა 1911 წ. 29 აპრილს
(12 მაისს) იბეჭდება «დისკუსსიონნი ლისტოკის»
«დისკუსსიონნი ლისტოკში», № 3 ტექსტის მიხედვით
ხელმოწერა: ნ. ლენინი

რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ[117]

დაწერილია 1910 წ. დამლევს

დაიბეჭდა 1910 წ. დეკემბერსა
და 1911 წ. იანვარს ჟურნალში
«მისლ», №№ 1 და 2
ხელმოწერა. ვ. ი ლ ი ნ ი

•ბეჭდება
ჟურნალის ტექსტის მიხედვით

I

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობილი გამოცემები — «ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა გაფიცვების სტატისტიკა», რომლებიც შეეხება 1895 — 1904 წლების ათწლედს და 1905 — 1908 წლებს, უკვე არა ერთხელ აღუნიშნავს ჩვენს ლიტერატურას. ამ გამოცემებში შეკრებილი მასალა ისე მდიდარი და ისე ძვირფასია, რომ მის სრულ შესწავლას და ყოველმხრივ დამუშავებას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება. დამუშავება, რაც დასახელებულ გამოცემაშია შესრულებული, საქმის მხოლოდ პირველი, მეტად და მეტად არა საკმაო, დასაწყისია. ამ სტატიაში ჩვენ განზრახული გვაქვს მკითხველებს გავაცნოთ უფრო დეტალური დამუშავების ერთი ცდის წინასწარი შედეგები, სრული გამოცემა კი სხვა დროისთვის გადავდოთ.

უწინარეს ყოვლისა სავსებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ 1905 — 1907 წლების გაფიცვები რუსეთში წარმოადგენენ მსოფლიოში არნახულ მოვლენას. აი მონაცემები გაფიცულთა რიცხვის შესახებ (ათასობით) წლებისა და ქვეყნების მიხედვით:

			ამერიკის შეერთებული შტატები	გერმანია	საფრანგეთი
1895—1904 წწ.					
	საშუალო	43			
1905 წ.	»	2 863	660	527	438
1906 წ.	»	1 108			
1907 წ.	»	740			
1908 წ.	»	176			
1909 წ.	»	64			

			მაქსიმუმი 1894—1908 წწ.
			მთელი თხუთმეტი წლისათვის

1905 — 1907 წლების სამწლიანი პერიოდი უჩვეულოა. ამ სამი წლის მანძილზე რუსეთში გაფიცულთა რიცხვის მინიმუმი აღემატება მაქსიმუმს, როგორიც კი ოდესმე ყო-

ფილა მიღწეული მსოფლიოს ყველაზე უფრო კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ რუსი მუშები უფრო განვითარებულნი ან უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე დასავლეთში. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობამ დღემდე არ იცოდა, თუ რა ენერგიის განვითარების უნარი შესწევს ამ სფეროში სამრეწველო პროლეტარიატს. მოვლენების ისტორიული მსვლელობის თავისებურება იმით გამოიხატა, რომ ამ უნარის დაახლოებითი მასშტაბები პირველად გამოვლინდა ერთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ რევოლუციას განიცდის.

იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლებოდა ასე დიდი ყოფილიყო გაფიცულთა რიცხვი რუსეთში, სადაც დასავლეთ ევროპასთან შედარებით ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რაოდენობა მცირეა, მხედველობაში უნდა მივიღოთ განმეორებითი გაფიცვები. აი მონაცემები განმეორებითი გაფიცვების რაოდენობაზე წლების მიხედვით მუშათა რიცხვისადმი გაფიცულთა რიცხვის შეფარდებასთან დაკავშირებით:

წლები	გაფიცულთა რიცხვის პროცენტული შეფარდება მუშათა საერთო რიცხვთან	გაფიცვების განმეორებითი შემთხვევების რიცხვის პროცენტული შეფარდება გაფიცვების საერთო რიცხვთან
1895—1904	1,46%—5,10%	36,2%
1905	163,8	85,5
1906	65,8	74,5
1907	41,9	51,8
1908	9,7	25,4

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ 1905 — 1907 წლების სამწლიანი პერიოდი, რომელიც გაფიცულთა საერთო რიცხვით უჩვეულოა, გამოირჩევა აგრეთვე განმეორებითი გაფიცვებით სიხშირით და მუშათა საერთო რიცხვისადმი გაფიცულთა რიცხვის მაღალი პროცენტული შეფარდებით.

სტატისტიკა გვაძლევს აგრეთვე იმ საწარმოთა ნამდვილ რიცხვს, სადაც გაფიცვები მოხდა, და გაფიცვების მონაწილე მუშათა ნამდვილ რიცხვს; აი ეს მონაცემები წლების მიხედვით:

	გაფიცვების მონაწილეთა პროცენტი იმ საწარმოებში, სადაც გაფიცვები მოხდა, მუშათა საერთო რიცხვის მიმართ
10 წლის (1895—1904) მანძილზე საერთოდ	27,0%
1905 წელს	60,0
1906 »	37,9
1907 »	32,1
1908 »	11,9

ეს ცხრილიც, წინა ცხრილის მსგავსად, გვიჩვენებს, რომ გაფიცულთა რიცხვის შემცირება 1906 წლიდან 1907 წლამდე საერთოდ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ს უ ს ტ ი ა, ვიდრე შემცირება 1905 წლიდან 1906 წლამდე. შემდგომ გადმოცემაში ჩვენ დავინახავთ, რომ ზოგიერთ წარმოებასა და ზოგიერთ რაიონში 1906 წლიდან 1907 წლამდე ადგილი ჰქონდა საგაფიცვო მოძრაობის არა დაქვეითებას, არამედ გაძლიერებას. ჯერჯერობით კი აღვნიშნავთ, რომ გუბერნიათა მიხედვით მონაცემები იმ მუშათა რიცხვის შესახებ, რომლებიც ნამდვილად მონაწილეობდნენ გაფიცვებში, გვიჩვენებენ შემდეგ საინტერესო მოვლენას. 1905 წლიდან 1906 წლამდე გაფიცვების მონაწილე მუშათა პროცენტი შემცირდა იმ გუბერნიების უდიდეს უმრავლესობაში, სადაც განვითარებული მრეწველობაა; მაგრამ არის მთელი რიგი გუბერნიები, სადაც ეს პროცენტი გ ა დ ი დ დ ა 1905 წლიდან 1906 წლამდე. ეს არის ყველაზე ნაკლებად სამრეწველო, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო მივარდნილი, გუბერნიები. ამათ მიეკუთვნება, მაგალითად, შორეული ჩრდილოეთის გუბერნიები: არხანგელსკისა (ფაბრიკა-ქარხნების 11 ათასი მუშა: 1905 წელს — გაფიცვების მონაწილე მუშათა 0,4 პროცენტი; 1906 წელს — 78,6 პროც.), ვოლოგდისა (ფაბრიკა-ქარხნების 6 ათასი მუშა; 26,8 პროც. — 40,2 პროც. იმავე წლებისათვის), ოლონეცისა (ფაბრიკა-ქარხნების 1 ათასი მუშა; 0 — 2,6 პროც.); შემდეგ — შავიზღვისპირა გუბერნია (ფაბრიკა-ქარხნების 1 ათასი მუშა; 42,4 პროც. — 93,5 პროც.); ვოლგისპირეთის გუბერნიებიდან — სიმბირსკისა (ფაბრიკა-ქარხნების 14 ათასი მუშა; 10,0 პროც. — 33,9 პროც.); ცენტრალური სამიწათმოქმედო გუბერნიებიდან — კურსკისა (ფაბრიკა-ქარხნების 18 ათასი მუშა; 14,4 პროც. — 16,9 პროც.); აღმოსავლეთ განაპირა მხარიდან — ორენბურგისა (ფაბრიკა-ქარხნების 3 ათასი მუშა; 3,4 პროც. — 29,4 პროც.).

ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაფიცვების მონაწილეთა პროცენტის გადიდებას ამ გუბერნიებში 1905 წლიდან 1906 წლამდე: ტალღამ ვერ მოასწრო მიეღწია ამ გუბერნიე-

ბამდე 1905 წელს, მათ მოძრაობაში ჩაბმა დაიწყეს უფრო მოწინავე მუშების მხოლოდ ერთი წლის, მსოფლიოში არნახული, ბრძოლის შემდეგ. ამ მოვლენას, რომელიც ამბების ისტორიული განვითარების გასაგებად ძალიან დიდმნიშვნელოვანია, ჩვენ არა ერთხელ შევხვდებით შემდგომ გადმოცემაში.

პირიქით, 1906 წლიდან 1907 წლამდე გაფიცვების მონაწილეთა პროცენტი მატულობს ზოგიერთ ძალიან სამრეწველო გუბერნიაში, მაგალითად, პეტერბურგის (68,0 პროც. 1906 წელს; 85,7 პროც. 1907 წელს — თითქმის იმდენივე, რამდენიც 1905 წელს, — 85,9 პროც.), ვლადიმირის (37,1 პროც. — 49,6 პროც.), ბაქოს (32,9 პროც. — 85,5 პროც.), კიევის (10,9 პროც. — 11,4 პროც.) და მთელ რიგ სხვა გუბერნიებში. ამრიგად, თუ გაფიცულთა პროცენტის გადიდებით მთელ რიგ გუბერნიებში 1905 წლიდან 1906 წლამდე ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასის არიერგარდს, რომელმაც ბრძოლის უდიდესი განვითარების მომენტისთვის დაიგვიანა, სამაგიეროდ, ამ პროცენტის გადიდება მთელ რიგ სხვა გუბერნიებში 1906 წლიდან 1907 წლამდე გვიჩვენებს ავანგარდის მისწრაფებას კვლავ გააჩაღოს ბრძოლა, შეაჩეროს დაწყებული უკანდახევა.

ამ სწორი დასკვნის უფრო დასაზუსტებლად მოვიყვანოთ მუშათა რიცხვისა და გაფიცვების ნამდვილ მონაწილეთა რიცხვის აბსოლუტური ციფრები პირველი და მეორე წყება გუბერნიების მიხედვით.

ასეთი გუბერნიების რიცხვი	ამ გუბერნიების ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვი	გუბერნიები, სადაც გაფიცვების მონაწილე მუშათა % გადიდდა 1905 წლიდან 1906 წლამდე: იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ნამდვილად მონაწილეობდნენ გაფიცვებში 1905 წ.	1906 წ.
10	61 800	6 564	21 484

საშუალოდ თითო გუბერნიაზე მოდის ფაბრიკა-ქარხნების 6 ათასი მუშა. იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ნამდვილად

მონაწილეობდნენ გაფიცვებში, გადიდებულია სულ 15 ათასით.

გუბერნიები, სადაც გაფიცვების მონაწილე მუშათა % გადიდდა 1906 წლიდან 1907 წლამდე

ასეთი გუბერნიების რიცხვი	ამ გუბერნიების ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვი	იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ნამდვილად მონაწილეობდნენ გაფიცვებში	
		1906 წ.	1907 წ.
19	572 132	186 926	285 673

საშუალოდ თითო გუბერნიაზე მოდის ფაბრიკა-ქარხნების 30 ათასი მუშა. იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც ნამდვილად მონაწილეობდნენ გაფიცვებში, გადიდებულია თითქმის 100 ათასით, ხოლო თუ გამოვაკლებთ ბაქოს გუბერნიის ნავთობის მრეწველობის მუშებს, რომლებიც 1906 წელს არ ჩაუთვლიათ (ალბათ, არა უმეტეს 20 — 30 ათასისა), მაშინ გადიდებულია დაახლოებით 70 ათასით.

ამ მონაცემებში ნათლად ჩანს არიერგარდის როლი 1906 წელს და ავანგარდისა — 1907 წელს.

უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამ მასშტაბებზე, უნდა ავიღოთ მონაცემები რუსეთის რაიონების მიხედვით და გაფიცულთა რიცხვი დავუპირისპიროთ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვს. აი ამ მონაცემების ნაკრები:

საფაბრიკო-საქარხნო ოლქები	ფაბრიკა-ქარხნების მუშების რიცხვი 1908 წ. (ათასობით)	გაფიცულთა რიცხვი (ათასობით) წელს				
		1895—1904 მთლიანად	1905	1906	1907	1908
I. პეტერბურგის	298	137	1033	307	325	44
II მოსკოვის	567	123	540	170	154	28
III. ვარშავის	252	69	887	525	104	35
IV—VI: კიევის, ვოლგისპირეთისა და ხარკოვის	543	102	403	106	157 *	69 *
სულ	1 660	431	2 863	1 108	740	176

* ეს ციფრები წინა წლების მონაცემებთან სრულიად შესადარისი არ არის, რადგან 1907 წელს პირველად არიან შეტანილი ნავთობის სარეწების მუშები. გადიდებულია, ალბათ, არა უმეტეს 20—30 ათასით.

სხვადასხვა რაიონის მუშები უთანაბროდ მონაწილეობდნენ მოძრაობაში. საერთოდ, 1 660 ათასმა მუშამ გამოიყვანა 2 863 ათასი გაფიცული, ე. ი. 164 გაფიცული ყოველ ას მუშაზე ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშათა ნახევარზე ცოტა მეტი 1905 წელს გაფიცული იყო საშუალოდ ორ-ორჯერ. მაგრამ ეს საშუალო ციფრები ჩქმალავს არსებით განსხვავებას, ერთი მხრით, პეტერბურგისა და ვარშავის ოლქებსა და, მეორე მხრით, ყველა დანარჩენ ოლქს შორის. პეტერბურგისა და ვარშავის ოლქებში ერთად არის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მთელი რიცხვის 1/3 (550 ათასი 1 660 ათასიდან), მათ კი გამოიყვანეს გაფიცულთა მთელი რიცხვის 2/3 (1 920 ათასი 2 863 ათასიდან). ამ ოლქებში 1905 წელს თვითეული მუშა საშუალოდ გაფიცული იყო თითქმის 4-ჯერ. დანარჩენ ოლქებში 1 110 ათას მუშაზე მოდის 943 ათასი გაფიცული, ე. ი. პროპორციულად ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ორ ზემოდასახელებულ ოლქში. უკვე აქედან ჩანს, თუ რამდენად არასწორია ლიბერალების მტკიცება, რასაც იმეორებენ ჩვენი ლიკვიდატორები, თითქოს მუშებს გადაჭარბებით შეეფასებინოთ თავიანთი ძალები. პირიქით, ფაქტები ადასტურებენ, რომ მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს თავიანთი ძალები, რადგან მთლიანად ვერ გამოიყენეს ისინი. საგაფიცვო ბრძოლის (ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ბრძოლის მარტო ამ ერთი ფორმის შესახებ) ენერგია და სიმტკიცე მთელ რუსეთში რომ ისეთივე ყოფილიყო, როგორიც პეტერბურგისა და ვარშავის ოლქებში იყო, გაფიცულთა საერთო რიცხვი ორჯერ მეტი იქნებოდა. სხვა სიტყვებით ეს დასკვნა შეიძლება ასე გამოითქვას: მუშებს შეეძლოთ შეეფასებიათ მხოლოდ ნახევარი თავიანთი ძალებისა მოძრაობის ამ სფეროში, რადგან მეორე ნახევარი მათ ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ. გეოგრაფიულად რომ ვთქვათ, დასავლეთმა და ჩრდილო-დასავლეთმა უკვე გამოიღვიძეს, მაგრამ ცენტრს, აღმოსავლეთსა და სამხრეთს სანახევროდ ეძინათ. კაპიტალიზმის განვითარება ყოველდღე აკეთებს ცოტ-ცოტა რასმე დაგვიანებულთა გამოსაღვიძებლად.

რაიონობრივი მონაცემებიდან გამომდინარე შემდგომი მნიშვნელოვანი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ 1905 წლიდან 1906 წლამდე მოძრაობის დაქვეითებას ადგილი ჰქონდა ყველგან, თუმცაღა უთანაბროდ; 1906 წლიდან 1907 წლამდე კი, როდესაც ადგილი ჰქონდა უდიდეს დაქვეითებას ვარშავის ოლქში და ძალიან ცოტა შემცირებას მოსკოვის, კიევისა და ვოლგისპირეთის ოლქებში, ჩვენ ვხედავთ გ ა დ ი დ ე ბ ა ს პეტერბურგისა და ხარკოვის ოლქებში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის შეგნებულობისა და მომზადების ახლანდელი დონის პირობებში მოძრაობის იმ ფორმამ, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, 1905 წლის განმავლობაში ამოწურა თავისთავი; ის უნდა გადაქცეულიყო, რამდენადაც სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ობიექტური წინააღმდეგობანი არ გამქრალიყვნენ, მოძრაობის უმაღლეს ფორმად. მაგრამ ერთი წლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასვენების ანუ ძალთა მოკრების პერიოდის შემდეგ, 1906 წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის ნაწილში დაისახა და დაიწყო ახალი აღმავლობა. თუ ლიბერალები, და მათთან ერთად ლიკვიდატორებიც, ამ პერიოდის შეფასებისას ზიზღით ლაპარაკობენ «რომანტიკოსთა მოლოდინზე», მარქსისტმა უნდა თქვას, რომ ამ ნაწილობრივი აღმავლობისათვის მხარდაჭერაზე უარისთქმით ლიბერალები ძირს უთხრიდნენ დემოკრატიულ მონაპოვართა დაცვის უკანასკნელ შესაძლებლობას.

გაფიცულთა ტერიტორიული განაწილების საკითხის გამო უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა მოდის ე ქ ვ ს გუბერნიაზე, სადაც ძლიერაა განვითარებული მრეწველობა, ხუთ მათგანში კი დიდი ქალაქებიც არის. აი ეს ექვსი გუბერნია: პეტერბურგის, მოსკოვის, ლიფლანდიის, ვლადიმირის, ვარშავის და პეტროკოვისა. ამ გუბერნიებში 1905 წელს იყო ფაბრიკა-ქარხნების 827 ათასი მუშა მთელი რიცხვიდან — 1 661 ათასიდან, ე. ი. საერთო რიცხვის თითქმის ნახევარი. გაფიცული კი ამ გუბერნიებში ათი წლის — 1895 — 1904 წლების — განმავლობაში იყო სულ 246 ათასი 431 ათასიდან, ე. ი. გაფიცულთა მთელი რიცხვის დაახლოე-

ბით 60 პროცენტი; 1905 წელს იყო 2 072 ათასი 2 863 ათასიდან, ე. ი. დაახლოებით 70 პროცენტი; 1906 წელს — 852 ათასი 1 108 ათასიდან, ე. ი. დაახლოებით 75 პროცენტი; 1907 წელს — 517 ათასი 740 ათასიდან, ე. ი. დაახლოებით 70 პროცენტი; 1908 წელს — 85 ათასი 176 ათასიდან, ე. ი. ნახევარზე ნაკლები *.

ამრიგად, ამ ექვსი გუბერნიის როლი სამი წლის — 1905 — 1907 წლების — მანძილზე უფრო დ ი დ ი იყო, ვიდრე წინა და მომდევნო პერიოდში. მაშასადამე, ცხადია, რომ დიდმა საქალაქო და მათ შორის სატახტო ცენტრებმა ამ სამი წლის მანძილზე ბევრად უფრო მეტი ენერგია განავითარეს, ვიდრე ყველა დანარჩენმა პუნქტმა. სოფლებსა და შედარებით წვრილ საქალაქო და სამრეწველო ცენტრებში გაფანტულმა მუშებმა, რომლებიც მუშათა საერთო რიცხვის ნახევარს შეადგენდნენ, 1895 — 1904 წლებში წამოაყენეს გაფიცულთა მთელი რიცხვის 40 პროცენტი, 1905 — 1907 წლებში კი — სულ 25 — 30 პროცენტი. ზემოგამოყვანილ დასკვნას შეგვიძლია დავსძინოთ და ვთქვათ, რომ დიდმა ქალაქებმა გამოიღვიძეს, წვრილ ქალაქებსა და სოფლებს კი ჯერ კიდევ ეძინათ.

საზოგადოდ სოფლის შესახებ, ე. ი. ფაბრიკა-ქარხნების იმ მუშების შესახებ, რომელნიც სოფლებში ცხოვრობენ, გარდა ამისა არსებობს სტატისტიკის მონაცემები გ ა ფ ი ც ვ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ზ ე (და არა გაფიცულთა რიცხვზე) ქალაქებში და ქალაქებს გარეთ. აი ეს მონაცემები:

	გაფიცვების რიცხვი		
	ქალაქებში	ქალაქებს გარეთ	ს უ ლ
10 წლის (1895—1904) განმავლობაში მთლიანად	1 326	439	1 765
1905 წელს	11 891	2 104	13 995
1906 »	5 328	786	6 114
1907 »	3 258	315	3 573
1908 »	767	125	892

* 1908 წელს იმ გუბერნიების სათავეში, სადაც გაფიცულთა მნიშვნელოვანი რიცხვი იყო, დგას ბაქოს გუბერნია 47 ათასი გაფიცულით. მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის უკანასკნელი მოჰიკანები!

ოფიციალური სტატისტიკის შემდგენელნი, როცა ეს მონაცემები მოჰყავთ, მიუთითებენ, რომ ბ-ნ პოგოჟევის ცნობილი გამოკვლევით რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიცხვის 40 პროცენტი ქალაქებშია, 60 პროცენტი — ქალაქებს გარეთ [118]. მაშასადამე, თუ ჩვეულებრივ დროს (1895 — 1904) გაფიცვების რიცხვი ქალაქებში სამჯერ სჭარბობს მათ რიცხვს სოფლებში, სამაგიეროდ, გაფიცვების რიცხვის პროცენტული შეფარდება საწარმოთა რიცხვთან 4 ½-ჯ ე რ მეტია ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. 1905 წელს ეს შეფარდება იყო დაახლოებით 8 : 1; 1906 წელს — 9 : 1; 1907 წელს — 15 : 1; 1908 წელს * — 6 : 1. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რ ო ლ ი საგაფიცვო მოძრაობაში, სოფლად მცხოვრებ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა როლთან შედარებით, ბევრად უფრო ძლიერი იყო 1905 წელს, ვიდრე წინა წლებში, ამასთან 1906 და 1907 წლებში ეს როლი სულ უფრო და უფრო მატულობდა, ე. ი. სოფლელ მუშათა პროპორციული მონაწილეობა მოძრაობაში სულ უფრო და უფრო კლებულობდა. სოფლებში მცხოვრებმა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა, რომლებიც ყველაზე ნაკლებად მოამზადა საბრძოლველად 1895 — 1904 წლების ათწლიანმა პერიოდმა, ყველაზე ნაკლები სიმტკიცე გამოიჩინეს და ყველაზე ჩქარა იწყეს უკანდახევა 1905 წლის შემდეგ. ავანგარდი, ე. ი. ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, 1906 წელს განსაკუთრებულ, ხოლო 1907 წელს კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ ღონისძიებებს მიმართავდა, ვ ი დ რ ე 1 9 0 6 წ ე ლ ს, იმისათვის, რომ შეეჩერებინა ეს უკანდახევა.

შემდეგ, განვიხილოთ გაფიცულთა განაწილება წარმოებათა მიხედვით. ამისათვის ჩვენ გამოვყოფთ წარმოებათა ოთხ მთავარ ჯგუფს: **ა)** მელითონეები; **ბ)** ფეიქარი მუშები; **გ)** სტამბის მუშები, ხისდამმუშავებელნი, მეტყავენი და ქი-

* 1908 წელს გაფიცვების რიცხვში შეტანილია 228, ხოლო 1907 წელს — 230 გაფიცვა ნავთობის სარეწებზე, რომლებიც პირველად დაუმორჩილეს ინსპექციას 1906 წელს.

მიური წარმოების მუშები; დ) მინერალურ ნივთიერებათა დამუშავების დარგისა და კვების პროდუქტების წარმოების მუშები. აი მონაცემები წლების მიხედვით:

წარმოების ჯგუფები	ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მთელი რაოდენობა 1904 წ.	გაფიცულთა რიცხვი (ათასობით) წელს				
		1895–1904 წწ. მთლიანად	1905	1906	1907	1908
ა	252	117	811	213	193	41
ბ	708	237	1 296	640	302	56
გ	277	38	471	170	179	24
დ	454	39	285	85	66	55
სულ	1 691	431	2 863	1 108	740	176

მელითონეები ყველაზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი ათწლიანი პერიოდით 1905 წლის წინ. ამ ათი წლის განმავლობაში მათგან გაიფიცა თითქმის ნახევარი (117 ათასი 252 ათასიდან). საუკეთესოდ მომზადებულნი, ისინი ყველაზე წინ დგანან 1905 წელსაც. მელითონეთა შორის გაფიცულთა რიცხვი სამჯერ და მეტად აღემატება მუშათა რიცხვს (811 ათასი წინააღმდეგ 252 ათასისა). კიდევ უფრო ნათლად გვესახება ამ ავანგარდის როლი 1905 წლის თვიური მონაცემების განხილვისას (ამ მონაცემების დაწვრილებით განხილვა მოკლე სტატიაში შეუძლებელია, და ჩვენ ამას სხვა დროისთვის გადავდებთ). 1905 წლის ყველა თვიდან გაფიცულ მელითონეთა მაქსიმუმი მოდის არა ოქტომბერზე, როგორც ეს წარმოების ყველა დანარჩენ ჯგუფშია, არამედ იანვარზე. ავანგარდმა მაქსიმალური ენერგიით დაიწყო მოძრაობა და «აამოძრავა» დანარჩენი მასა. 1905 წლის მარტო იანვარში მელითონეთაგან გაიფიცა 155 ათასი კაცი, ე. ი. მელითონეთა მთელი რაოდენობის (252 ათასი) ორი მესამედი; ერთი თვის მანძილზე გაფიცულთა რიცხვი საგრძნობლად მეტია, ვიდრე ათი წლის განმავლობაში მანამდე (155 ათასი წინააღმდეგ 117 ათასისა). მაგრამ ამ, თითქმის ზეადამიანურმა, ენერგიამ ამოსწურა ავანგარდის ძალები 1905 წლის დამ-

ლევისათვის: მელითონეები პირველ ადგილზე დგანან მოძრაობის დაქვეითების ოდენობით 1906 წელს. გაფიცულთა რიცხვის შემცირება მათ შორის მაქსიმალურია: 811-დან 213 ათასამდე, ე. ი. შემცირებულია თითქმის ერთიოთხად. 1907 წლისათვის ავანგარდი კვლავ ძალღონეს იკრებს: გაფიცულთა რიცხვი საერთოდ მცირდება მეტად უმნიშვნელოდ (213-დან 193 ათასამდე), ხოლო ლითონის დამუშავების წარმოებათა ჯგუფიდან სამ უმთავრეს წარმოებაში, სახელდობრ მანქანათმშენებელ, გემთმშენებელ და თუჯსასხმელ დარგებში, გაფიცულთა რიცხვი 1906 წლის 104 ათასიდან მ ა ტ უ ლ ო ბ ს 125 ათასამდე 1907 წელს.

ფეიქრები შეადგენენ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მთავარ მასას, საერთო რიცხვის ნახევარზე ცოტა ნაკლებს (708 ათასს 1 691 ათასიდან). 1905 წლამდე განვლილი 10 წლის მანძილზე მომზადების მხრივ ისინი მეორე ადგილზე დგანან: გაფიცული იყო საერთო რიცხვის $^1/_3$ (237 ათასი 708 ათასიდან). მოძრაობის ძალის მხრივ 1905 წელს — აგრეთვე მეორე ადგილზე არიან: დაახლოებით 180 გაფიცული 100 მუშაზე. ისინი ბრძოლაში ებმებიან უფრო გვიან, ვიდრე მელითონეები: იანვარში გაფიცული იყო ცოტათი მეტი ფეიქარი, ვიდრე მელითონე (164 ათასი 155 ათასის წინააღმდეგ), ოქტომბერში — ორჯერ და უფრო მეტი (256 ათასი 117 ათასის წინააღმდეგ). მოძრაობაში უფრო გვიან ჩაბმული, ეს მთავარი მასა ყველაზე უფრო მტკიცედ არის 1906 წელს: დაქვეითება ამ წელს საყოველთაო მოვლენაა, მაგრამ ფეიქართა შორის ის ყ ვ ე ლ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ა, ფეიქრებში გაფიცულთა რიცხვი შემცირებულია ნახევრად (640 ათასი 1 296 ათასის წინააღმდეგ), მელითონეებში — თითქმის მეოთხედად (213 და 811 ათასი), დანარჩენებში — $2^1/_2$ — $3^1/_2$-ჯერ. მხოლოდ 1907 წლისათვის მთავარი მასის ძალებიც აგრეთვე ამოწურული აღმოჩნდა: 1906 წლიდან 1907 წლამდე სწორედ ამ ჯგუფში დაქვეითება ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი ა, ნახევარი და უფრო მეტი (302 ათასი 640 ათასის წინააღმდეგ).

დანარჩენ წარმოებათა მონაცემების დაწვრილებით განხილვაზე არ შევჩერდებით, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ ყველაზე ბოლოს დგას **დ** თანრიგი, რომელიც ყველაზე სუსტად მომზადებული იყო და ყველაზე სუსტად მონაწილეობდა მოძრაობაში. მელითონეებს თუ მივიჩნევთ ნორმად, შეიძლება ითქვას, რომ **დ** თანრიგს «ვალად დაედო» ერთ მილიონზე მეტი გაფიცული მარტო 1905 წელს.

მელითონეთა და ფეიქართა თანაფარდობა დამახასიათებელია, როგორც მოწინავე ფენის თანაფარდობა ფართო მასისადმი. იმის გამო, რომ 1895 — 1904 წლებში ა[illegible] არსებობდნენ თავისუფალი ორგანიზაციები, არ იყო თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა, პარლამენტის ტრიბუნა და სხვა, 1905 წელს მასებს არ შეეძლოთ დარაზმულიყვნენ სხვანაირად, თუ არა სტიქიურად, თვით ბრძოლის მსვლელობაში. ამ დარაზმვის მექანიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ ზედიზედ ზვირთდებოდა გაფიცულთა ტალღა, ამასთან ფართო მასის «ასამოძრავებლად» ავანგარდს უხდებოდა ისეთი დიდი ენერგიის დახარჯვა მოძრაობის დასაწყისში, რომ ამ მოძრაობის უმაღლეს წერტილზე ასვლის დროისათვის ის შედარებით დასუსტებული რჩებოდა. 1905 წლის იანვარში იყო 444 ათასი გაფიცული, მათგან მელითონე — 155 ათასი, ე. ი. 34 პროცენტი, ოქტომბერში კი გაფიცულთა მთელი რაოდენობა იყო 519 ათასი, მათგან მელითონე — 117 ათასი, ე. ი. 22 პროცენტი. გასაგებია, რომ მოძრაობის ასეთი უთანაბრობა ნიშნავს ძალთა ერთგვარ გაფლანგვას მათი დაქსაქსვის, მათი არასაკმაო კონცენტრაციის გამო. ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ ეფექტი შეიძლებოდა გადიდებული ყოფილიყო ძალთა უკეთესი კონცენტრაციით, ხოლო, მეორე, იმას, რომ იმ ეპოქის ობიექტური პირობების გამო, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, თვითეული ტალღის დასაწყისში გარდუვალი და წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო ხშირად, ასე ვთქვათ, ხელის ცეცებით მოქმედება, დაზვერვა, სასინჯი მოძრაობა და სხვა. ამიტომ, როცა ლიბერალები, მათთან ერთად კი მარტოვის მსგავსი ლიკვიდატორები, «პროლეტარიატის

მიერ თავის ძალთა გადაჭარბებით შეფასების» თავიანთი თეორიის თვალსაზრისით ბრალად გვდებენ იმას, რომ ჩვენ თითქოს «კუდში მივჩანჩალებდით სტიქიურ კლასობრივ ბრძოლას», ამ ვაჟბატონებს თვითონ გამოაქვთ განაჩენი თავიანთი თავის მიმართ და ძალაუნებურად უდიდეს კომპლიმენტს გვეუბნებიან ჩვენ.

გაფიცვების წლიური მონაცემების მიმოხილვა რომ დავამთავროთ, შევჩერდეთ კიდევ იმ ციფრებზე, რომლებიც ახასიათებენ გაფიცვების მასშტაბსა და ხანგრძლივობას და გაფიცვებით გამოწვეული ზარალის ოდენობას.

გაფიცვების მონაწილეთა საშუალო რიცხვი იყო:

10 წლის (1895—1904) განმავლობაში	244 მუშა
1905 წელს	205 »
1906 »	181 »
1907 »	207 »
1908 »	197 »

გაფიცვების მასშტაბის შემცირება (მონაწილეთა რიცხვის მიხედვით) 1905 წელს აიხსნება იმით, რომ ბრძოლაში ჩაება უამრავი წვრილი საწარმო, რომლებმაც შეამცირეს მონაწილეთა საშუალო რიცხვი. შემდგომი შემცირება 1906 წელს, როგორც ჩანს, ასახავს ბრძოლის ენერგიის დაკლებას. 1907 წელი აქაც ერთგვარ ნაბიჯს დგამს წინ.

თუ ავიღებთ წმინდა პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა საშუალო რიცხვს, მივიღებთ შემდეგ ციფრებს წლების მიხედვით: 1905 — 180; 1906 — 174; 1907 — 203; 1908 — 197. ეს ციფრები კიდევ უფრო მკაფიოდ მოწმობენ ბრძოლის ენერგიის შემცირებას 1906 წელს და ახალ ზრდას 1907 წელს, ანუ (ხოლო, შესაძლოა, ამასთან ერთად) ყველაზე დიდი საწარმოების უმთავრეს მონაწილეობას 1907 წლის მოძრაობაში.

გაფიცვის დღეთა რიცხვი 1 გაფიცულ მუშაზე შეადგენდა:

10 წლის (1895—1904) განმავლობაში	4,8 დღეს
1905 წელს	8,7 »
1906 »	4,9 »
1907 »	3,2 »
1908 »	4,9 »

ბრძოლის სიმტკიცე, რაც ამ ციფრებით ხასიათდება, ყველაზე დიდი იყო 1905 წელს, — შემდეგ ის სწრაფად სუსტდებოდა 1907 წლამდე და მოიმატა მხოლოდ 1908 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლის სიმტკიცით დასავლეთ ევროპის გაფიცვები შეუდარებლად უფრო მაღლა დგას. გაფიცვის დღეთა რიცხვი 1 გაფიცულ მუშაზე ხუთი წლის — 1894 — 1898 წლების — განმავლობაში შეადგენდა იტალიისათვის — 10,3 დღეს, ავსტრიისათვის — 12,1, საფრანგეთისათვის — 14,3 და ინგლისისათვის — 34,2 დღეს.

წმინდა პოლიტიკურ გაფიცვებს თუ გამოვყოფთ, მივიღებთ ასეთ ციფრებს: 1905 — 7,0 დღე 1 გაფიცულზე; 1906 — 1,5; 1907 — 1,0 დღე. ეკონომიური მიზეზებით გამოწვეული გაფიცვები ყოველთვის განირჩევა ბრძოლის მეტი ხანგრძლივობით.

თუ მხედველობაში მივიღებთ საგაფიცვო ბრძოლის სხვადასხვაგვარ სიმტკიცეს სხვადასხვა წელს, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გაფიცულთა რიცხვის მონაცემები ჯერ კიდევ არასაკმაოდ განსაზღვრავენ მოძრაობის შეადარებითს მასშტაბებს სხვადასხვა წლისთვის. ზედმიწევნით განმსაზღვრელად გამოდგება იმ სამუშაო დღეთა რიცხვი, რომლებიც გაფიცვამ მოიცვა. ეს რიცხვი წლების მიხედვით შეადგენდა:

		მათ შორის წმინდა პოლიტიკურ გაფიცვებში
10 წლის (1895—1904) განმავლობაში მთლიანად	2 079 408	—
1905 წელს	23 609 387	7 569 708
1906 »	5 512 749	763 605
1907 »	2 433 123	521 647
1908 »	864 666	89 021

ამრიგად, ზუსტად განსაზღვრული მასშტაბები მოძრაობისა მარტო 1905 წელს 11-ჯერ და მეტად აღემატება მანამდე განვლილი მთელი 10 წლის მოძრაობის მასშტაბებს მთლიანად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოძრაობის მასშტაბები 1905 წელს 115-ჯერ აღემატება წინა ათი წლის მოძრაობის საშუალო წლიურ მასშტაბებს.

ეს თანაფარდობა გვიჩვენებს, რამდენად ბეცი არიან ის ადამიანები, რომელთაც ძალიან ხშირად ვხვდებით ოფიციალურ სწავლულთა (და არა მარტო მათ) შორის და რომელნიც ეგრეთწოდებულ «მშვიდობიან», «ორგანულ», «ევოლუციურ» ეპოქებში შემჩნეულ სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ტემპს ღებულობენ ყველა შემთხვევის ნორმად, თანამედროვე კაცობრიობის განვითარების შესაძლებელი სისწრაფის მაჩვენებლად. ნამდვილად კი «განვითარების» ტემპი ეგრეთწოდებულ «ორგანულ» ეპოქებში მაქსიმალური შეჩერების, განვითარების მაქსიმალური შეფერხების მაჩვენებელია.

ოფიციალური სტატისტიკის შემდგენელი გაფიცვით მოცულ სამუშაო დღეთა რიცხვის მონაცემების მიხედვით არკვევს მრეწველობისათვის მიყენებულ ზარალს. ეს ზარალი (პროდუქტის ნაკლებგამომუშავება) 10 წლის — 1895 — 1904 წლების — განმავლობაში საერთოდ შეადგენს 10,4 მილიონ მანეთს, 1905 წელს — 127,3 მილიონს, 1906 წელს — 31,2 მილიონს, 1907 წელს — 15,0 მილიონს და 1908 წელს — 5,8 მილიონ მანეთს. მაშასადამე, სამი წლის, 1905 — 1907 წლების, მანძილზე პროდუქტის ნაკლებგამომუშავება შეადგენს 173,5 მილიონ მანეთს.

მუშების ზარალი გაფიცვის დღეებში ხელფასის მიუღებლობის გამო (განსაზღვრული სხვადასხვა წარმოებაში შემოღებული საშუალო დღიური ქირის სიდიდით) იმ წლებში, რომლებსაც ვიხილავთ, შეადგენს ათას მანეთობით:

წარმოების ჯგუფები (იხ. ხელოთ, გვ. 18 *)	ფაბრიკა-ქარხნების მუშათა რიცხვი 1908 წ. ათასობით	გაფიცვით გამოწვეული მუშათა ზარალის ოდენობა ათას მანეთობით				
		1895 – 1904 წწ. მთლიანად	1905	1906	1907	1908
ა	252	650	7 654	891	450	132
ბ	708	715	6 794	1 968	659	228
გ	277	137	1 997	610	576	69
დ	454	95	1 096	351	130	22
სულ	1 691	1 597	17 541	3 820	1 815	451

სამი წლის, 1905 — 1907 წლების, მანძილზე მუშათა ზარალი შეადგენდა 23,2 მილიონ მანეთს, ე. ი. 14-ჯერ და უფრო მეტს, ვიდრე ერთად აღებული მთელი ათი წლის განმავლობაში მანამდე **. ოფიციალური სტატისტიკის შემდგენელი

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 504. რედ.

** აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ამ ზარალის ნაწილი ყველაზე ძლიერი მოძრაობის ხანაში მუშებმა მეწარმეებს გადააკისრეს. სტატისტიკას უნდა გამოერკვია, 1905 წლით დაწყებული, გაფიცვების განსაკუთრებული მიზეზი (მიზეზთა ჯგუფი 3 ბ, ოფიციალური ნომენკლატურით): გაფიცვის დროის ანაზღაურების მოთხოვნა. ამ მოთხოვნის წამოყენების შემთხვევათა რიცხვი იყო 1905 წელს — 632, 1906 წელს — 256, 1907 წელს — 48 და 1908 წელს — 9 (1905 წლამდე ამ მოთხოვნას სრულიად არ აყენებდნენ). ამ მოთხოვნისათვის მუშათა ბრძოლის შედეგები ცნობილია მხოლოდ 1906 და 1907 წლებისათვის და ისიც ორი-სამი შემთხვევა, როდესაც აღნიშნული მიზეზი მთავარი იყო: 1906 წელს 10 966 მუშიდან, რომლებიც გაფიცული იყვნენ უმთავრესად ამ მიზეზით, 2 171 მუშამ გაფიცვა მოიგო, 2 626-მა წააგო, 6 169 მუშამ კი კომპრომისით დაამთავრა. 1907 წელს 93 მუშიდან, რომლებიც გაფიცული იყვნენ უმთავრესად ამ მიზეზით, გაფიცვა არც ერთს არ მოუგია, 52-მა წააგო, 41 მუშამ კი კომპრომისით დაამთავრა. ყოველივე იქიდან, რაც ჩვენ 1905 წლის გაფიცვების შესახებ ვიცით, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1905 წელს ამ მიზეზით გამოწვეული გაფიცვები უფრო წარმატებითი იყო, ვიდრე 1906 წელს.

ანგარიშობს, რომ ეს ზარალი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ჩაბმულ ერთ მუშაზე (და არა ერთ გაფიცულზე) შეადგენდა საშუალოდ დაახლოებით 10 კაპიკს წელიწადში პირველი ათი წლის მანძილზე, დაახლოებით 10 მანეთს — 1905 წელს, დაახლოებით 2 მანეთს — 1906 წელს, დაახლოებით 1 მანეთს — 1907 წელს. მაგრამ ეს გაანგარიშება განზე სტოვებს, იმ მხრივ, რომლითაც ჩვენ ვიხილავთ, უდიდეს განსხვავებას სხვადასხვა წარმოების მუშათა შორის. აი უფრო დაწვრილებითი გაანგარიშება, რაც შესრულებულია ახლახან მოყვანილი ცხრილის ციფრების საფუძველზე:

წარმოების ჯგუფები	გაფიცვებით გამოწვეული ზარალის საშუალო ოდენობა (მანეთობით) საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ჩაბმულ 1 მუშაზე				
	10 წლის, 1895—1904 წლების, განმავლობაში მთლიანად	1905	1906	1907	1908
ა	2,6	29,9	3,5	1,8	0,5
ბ	1,0	9.7	2,8	0,9	0.3
გ	0.5	7,2	2.2	2,1	0.2
დ	0,2	2,4	0,7	0,3	0.05
სულ	0,9	10,4	2,3	1,1	0,3

აქედან ჩანს, რომ ერთ მელითონეზე (ჯგუფი ა) გაფიცვებით გამოწვეული ზარალის ოდენობა 1905 წელს შეადგენდა თითქმის 30 მანეთს, საშუალოზე სამჯერ მეტს, ათჯერ და უფრო მეტს, ვიდრე მინერალურ ნივთიერებათა და კვების პროდუქტების დამუშავების დარგში (ჯგუფი დ) მომუშავე მუშის ზარალის საშუალო ოდენობა. ჩვენ მიერ ზემოთ გამოყვანილი დასკვნა, რომ მელითონეებმა მოძრაობის იმ ფორმაში, რომელსაც ვიხილავთ, თავისი ძალები ამოსწურეს 1905 წლის დამლევისათვის, კიდევ უფრო მკაფიოდ დასტურდება ამ ცხრილით: ა ჯგუფში ზარალის ოდენობა 1905 წლიდან 1906 წლამდე შემცირდა 8-ჯერ და მეტად, დანარჩენ ჯგუფებში კი — 3 — 4-ჯერ.

ამით ვამთავრებთ გაფიცვების სტატისტიკის წლიური მონაცემების განხილვას და შემდგომ სტატიაში გადავალთ თვიური მონაცემების შესწავლაზე.

II

საგაფიცვო მოძრაობის ტალღისებური ხასიათის შესასწავლად წლიური პერიოდი მეტად დიდია. სტატისტიკის თვალსაზრისით ჩვენ ახლა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სამი წლის — 1905 — 1907 წლების — პერიოდში თვითეული თვე თითო წელიწადს უდრიდა. მუშათა მოძრაობამ ამ სამი წლის მანძილზე 30 წლის გზა განვლო. 1905 წელს გაფიცულთა რიცხვი არც ერთ თვეში არ ჩამოსულა 10 წლის — 1895 — 1904 წლების — პერიოდში გაფიცულთა წ ლ ი უ რ მინიმუმზე ქვევით, 1906 და 1907 წლებში კი ასეთი თვეები მხოლოდ ორ-ორი იყო.

სამწუხაროდ, თვიური მონაცემების, ისე როგორც ცალკეული გუბერნიების მონაცემების, დამუშავება ოფიციალურ სტატისტიკაში მეტად არადამაკმაყოფილებელია. მრავალი შენაჯამის გაკეთება ხელახლა გვიხდება. ამ მიზეზის, აგრეთვე ადგილის სიმცირის მოსაზრების გამო, ჩვენ ჯერჯერობით დავჯერდებით მონაცემებს წ ლ ი ს მ ე ო თ ხ ე დ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების დაყოფის გამო შევნიშნავთ, რომ ოფიციალური სტატისტიკა 1905 და 1906 — 1907 წლებისათვის არც თუ სავსებით შესადარის მონაცემებს იძლევა. შერეული გაფიცვები — ოფიციალური ნომენკლატურის მიხედვით თანრიგები: მე-12 ეკონომიური მოთხოვნებითურთ და მე-12 ბ. ეკონომიური მოთხოვნებითურთ — 1905 წელს ითვლებოდა პოლიტიკურ, შემდეგ კი — ეკონომიურ გაფიცვებად. ჩვენ 1905 წლისთვისაც მათ მივაკუთვნებთ ეკონომიურ გაფიცვებს.

გაფიცულთა რიცხვი ათასობით [119]:

წლები წლის მეოთხედები	1905				1906				1907			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	810	481	294	1 277	269	479	296	63	146	323	77	193
მათ შორის												
ეკონომიური	604	239	165	430	73	222	125	37	52	52	66	30
პოლიტიკური	205	242	129	847	196	257	171	26	94	271	11	163

შემოხაზულია ის პერიოდები, რომლებიც გვიჩვენებენ ტალღის უდიდეს აზვირთებას. უკვე ცხრილის ერთი თვალის გადავლებით აშკარა ხდება, რომ ეს პერიოდები ემთხვევა კარდინალური მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებითაც ხასიათდება მთელი სამწლედი. 1905 წ. I — ცხრა იანვარი და მისი შედეგები; 1905 წ. IV — ოქტომბრისა და დეკემბრის ამბები; 1906 წ. II — პირველი სათათბირო; 1907 წ. II — მეორე სათათბირო; 1907 წლის უკანასკნელ პერიოდში აზვირთება ყველაზე ნაკლებია, რაც აიხსნება ნოემბრის პოლიტიკური გაფიცვით (134 ათასი გაფიცული) მეორე სათათბიროს მუშა დეპუტატების გასამართლების გამო. ამრიგად, ეს პერიოდი, რომელიც სამწლედს ამთავრებს და რუსეთის ისტორიის სხვანაირი ხანისაკენ გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს, სწორედ ისეთი გამონაკლისია, რაც ადასტურებს წესს: თუ საგაფიცვო ტალღის აზვირთება აქ არ მოასწავებს საერთო სოციალურ-პოლიტიკურ აღმავლობას, გულმოდგინე განხილვის დროს ირკვევა, რომ საგაფიცვო ტ ა ლ ღ ა არ ყოფილა, არამედ მოხდა ცალკეული გაფიცვა-დემონსტრაცია.

დამახასიათებელი იმ სამწლედისათვის, რომელსაც ვიხილავთ, არის ის, რომ საგაფიცვო ტალღის აზვირთება აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის მთელი სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციის კრიტიკულ პუნქტებს, მობრუნების პუნქტებს. გაფიცვების სტატისტიკა ნათლად გვიჩვენებს ამ ევოლუციის მთავარ მამოძრაველელ ძალას. რა თქმა უნდა, ეს იმას არ

ნიშნავს, რომ მოძრაობის ფორმა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ერთადერთი ან უმაღლესი ფორმა ყოფილიყოს, — ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, — ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოძრაობის ამ ფორმიდან შეიძლებოდა გამოყვანილი ყოფილიყო უშუალო დასკვნები სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციის კერძო საკითხების მიმართ. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაშეა ისეთი კლასის მოძრაობის სტატისტიკური სურათი (რა თქმა უნდა, სრულიადაც არა სრული სურათი), რომელიც მოვლენების საერთო მიმართულების მთავარი მამოძრავებელი იყო. სხვა კლასების მოძრაობა თავს იყრის ამ ცენტრის გარშემო, მას მიჰყვება, მის მიერ წარიმართება ან განისაზღვრება (დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით), მისგან არის დამოკიდებული.

ამ დასკვნის სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავიხსენოთ რუსეთის პოლიტიკური ისტორიის მთავარი მომენტები იმ სამწლედის მანძილზე, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. ავიღოთ 1905 წლის პირველი მეოთხედი. რას გვიჩვენებს ამ მეოთხედის წინახანები? ცნობილ საერობო-საბანკეტო კამპანიას. მართებული იყო თუ არა, რომ მუშათა გამოსვლები ამ კამპანიაში შეფასებულიყო როგორც «დემონსტრაციის უმაღლესი ტიპი»? მართებული იყო თუ არა სიტყვები, ლიბერალებში «პანიკას» ნუ გამოვიწვევთო? მოაქციეთ ეს კითხვები გაფიცვების სტატისტიკის ჩარჩოში (1903 წელი: 87 ათასი, 1904 წელი: 25 ათასი, 1905 წ. იანვარი: 444 ათასი, მათ შორის 123 ათასი პოლიტიკური), და პასუხი ნათელი იქნება. ზემოაღნიშნული დავა საერობო კამპანიაში ტაქტიკის შესახებ ასახავს მხოლოდ ობიექტურ პირობებში ფესვგადგმულ ანტაგონიზმს ლიბერალურ და მუშათა მოძრაობას შორის.

რას ვხედავთ ჩვენ იანვრის * აზვირთების შემდეგ? ცნო-

* წლის მეოთხედების მონაცემებით გამოდის, რომ მოხდა ერთი აზვირთება, ნამდვილად კი მოხდა ორი აზვირთება: იანვარში — 444 ათასი გაფიცული და მაისში — 220 ათასი. შუალედში მინიმუმი მოდის მარტზე — 73 ათასი.

გაფიცულ მუშათა რიცხვის დიაგრამა
წლის მეოთხედების მიხედვით. — 1910 წ.

ჩახაზული ნაწილი — პოლიტიკური გაფიცვების მონაწილენი,
ჩაუხაზავი ნაწილი — ეკონომიური გაფიცვების მონაწილენი.
(ვ. ი. ლენინის შავად ნაწერი რვეულიდან
„რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკა“.
ლენინის კრებული XXV)

ბილ თებერვლის ბრძანებულებებს, რომლებითაც იწყება სახელმწიფო წყობილების ერთგვარი გარდაქმნა.

აიღეთ 1905 წლის მე-3 მეოთხედი. პოლიტიკურ ისტორიაში პირველ ადგილზეა 6 აგვისტოს კანონი (ეგრეთწოდებული ბულიგინის სათათბირო). უწერია თუ არა ამ კანონს განხორციელება? ლიბერალები ფიქრობენ, რომ უწერია, და გამოაქვთ დადგენილება თავისი მოქმედების ხაზი წარმართონ ასეთი აზრის შესაბამისად. მარქსისტთა ბანაკში საწინააღმდეგო შეხედულებაა, რომელსაც არ იზიარებენ ისინი, ვინც, ობიექტურად, ლიბერალიზმის შეხედულებებს ატარებს. დავას წყვეტს 1905 წლის უკანასკნელი მეოთხედის ამბები.

იმ ციფრების მიხედვით, რომლებიც წლის მთელ მეოთხედებს შეეხება, გეგონებათ, რომ 1905 წლის დასასრულს მოხდა ერთი აზვირთება. ნამდვილად კი მოხდა ორი აზვირთება, რომლებიც ერთმანეთს დაშორებული იყო მოძრაობის მცირეოდენი შესუსტებით. ოქტომბერში იყო 519 ათასი გაფიცული, მათ შორის 328 ათასი წმინდა პოლიტიკური გაფიცული, ნოემბერში — 325 ათასი (მათ შორის 147 ათასი პოლიტიკური) და დეკემბერში — 433 ათასი (მათ შორის 372 ათასი პოლიტიკური). ისტორიულ ლიტერატურაში გამოითქვა ლიბერალებისა და ჩვენი ლიკვიდატორების (ჩერევანინისა და კომპანიის) შეხედულება, რომლის მიხედვითაც დეკემბრის აზვირთებაში არის «ხელოვნურობის» ელემენტი. სტატისტიკა აბათილებს ამ შეხედულებას და სწორედ ამ თვეში გვიჩვენებს წმინდა პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვის მ ა ქ ს ი მ უ მ ს — 372 ათასს. ის ტენდენციები, რომლებმაც ლიბერალები აიძულა განსაზღვრულ შეფასებამდე მისულიყვნენ, გასაგებია, მაგრამ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით უაზრობაა რაიმე ოდენობით «ხელოვნურად» ჩაითვალოს ისეთი მასშტაბის მოძრაობა, როდესაც ერთ თვეში წმინდა პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვმა შეადგინა მთელი ათი წლის მანძილზე გაფიცულთა საერთო რიცხვის თითქმის $^{9}/_{10}$.

დასასრულ, ავიღოთ ორი უკანასკნელი აზვირთება 1906 წლის გაზაფხულზე და 1907 წლის გაზაფხულზე *. მათი საერთო განსხვავება 1905 წლის იანვრისა და მაისის აზვირთებისაგან (რომელთა შორის პირველი აგრეთვე უფრო ძლიერი იყო მეორეზე) ის არის, რომ ისინი მიემართებიან უკანდახევის ხაზით, მაშინ როდესაც პირველი ორი მიემართებოდა შეტევის ხაზით. ეს განსხვავება ახასიათებს საზოგადოდ განსახილველი სამწლედის უკანასკნელ ორ წელს სამწლედის პირველ წელთან შედარებით. მაშასადამე, 1906 და 1907 წლების აღნიშნულ პერიოდებში ციფრების გადიდების ზუსტი შეფასება ის იქნება, რომ ეს გადიდება მოასწავებს უკანდახევის შეჩერებას და უკანდამხევთა ცდას — კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. ასეთია ამ აზვირთებათა ობიექტური მნიშვნელობა, რაც ახლა ჩვენთვის ნათელია მთელი «ქარიშხლისა და შეტევის სამწლედის» საბოლოო შედეგების თვალსაზრისით. პირველი და მეორე სათათბირო სხვა არა იყო რა, თუ არა პოლიტიკური მოლაპარაკება და პოლიტიკური დემონსტრაციები ზედა ფენებში, იმის გამო, რომ შეჩერდა უკანდახევა ქვედა ფენებში.

აქედან ნათელია მთელი სიბეცე ლიბერალებისა, რომლებიც ამ მოლაპარაკებაში ხედავენ რაღაც ისეთ თვითკმარ, თვითმყოფ რამეს, რაც დამოკიდებული არ არის იმაზე, დიდხანს გასტანს თუ არა და რას გამოიწვევს უკანდახევის ესა თუ ის შეჩერება. აქედან ნათელია, რომ ობიექტურად ლიბე-

* უნდა შევნიშნოთ, რომ 1895 — 1904 წლების განმავლობაში რუსეთში მომხდარი გაფიცვების ათი წლის ისტორიამ ეკონომიური გაფიცვების ჩვეულებრივი აზვირთება გამოავლინა წლის მე-2 მეოთხედში. მთელი ათი წლის მანძილზე გაფიცულთა საშუალო რიცხვი წელიწადში 43 ათასი იყო, ხოლო წლის მეოთხედების მიხედვით: I — 10 ათასი; II — 15 ათასი; III — 12 ათასი და IV — 6 ათასი. მარტო ციფრების შედარებით სავსებით ცხადია, რომ 1906 წლის გაზაფხულისა და 1907 წლის გაზაფხულის აზვირთება როდი აიხსნება რუსეთში ზაფხულზე მომხდარი გაფიცვების აზვირთების ამ «საერთო» მიზეზებით. საკმარისია თვალი გადაავლოთ პოლიტიკურ გაფიცულთა რიცხვებს.

რალებზე არიან დამოკიდებულნი ის ლიკვიდატორები, რომლებიც, მარტოვის მსგავსად, ზიზღით ლაპარაკობენ ახლა «რომანტიკოსთა მოლოდინზე» უკანდახევის დროს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქმე ეხებოდა «რომანტიკოსთა მოლოდინს» კი არა, არამედ უკანდახევის დროდადრო შეწყვეტას და შეჩერებას, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ეს შეჩერებანი რომ არ ყოფილიყო, 1907 წლის 3 ივნისის ამბავი, ისტორიულად სავსებით გარდუვალი, რამდენადაც უკანდახევა უკანდახევად რჩებოდა, შესაძლოა, მთელი ერთი წლით ადრე, ან ერთ წელზე მეტი ხნით ადრეც კი მომხდარიყო.

მას შემდეგ, რაც საგაფიცვო მოძრაობის ისტორია განვიხილეთ პოლიტიკური ისტორიის მთავარ მომენტებთან დაკავშირებით, გადავიდეთ ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების თანაფარდობის შესწავლაზე. ოფიციალური სტატისტიკა ამ საკითხზე უაღრესად საინტერესო მონაცემებს იძლევა. ავიღოთ თავდაპირველად საერთო ჯამი განსახილველი სამწლედის ცალკე წლების მიხედვით:

	გაფიცულთა რიცხვი ათასობით		
	1905	1906	1907
ეკონომიური	1 439	458	200
პოლიტიკური	1 424	650	540
სულ	2 863	1 108	740

პირველი დასკვნა აქედან ის არის, რომ ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ისინი ერთად იწყებენ აზვირთებას და დაქვეითებას. მოძრაობის ძალა შეტევის ეპოქაში (1905 წ.) ხასიათდება იმით, რომ პოლიტიკური გაფიცვები თითქოს ეყრდნობა იმ არანაკლებ ძლიერი ეკონომიური გაფიცვების ფართო ბაზისს, რომლებიც, ცალკე აღებულნიც კი, შორს იტოვებენ უკან 1895 — 1904 წლების მთელი 10-წლედის ციფრებს.

მოძრაობის დაქვეითების დროს ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი უფრო სწრაფად კლებულობს, ვიდრე

პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი. მოძრაობის სისუსტე 1906 და განსაკუთრებით 1907 წელს, უეჭველია, ხასიათდება ეკონომიური ბრძოლის ფართო და მტკიცე ბაზის უქონლობით. მეორე მხრით, პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის უფრო ნელი შემცირება საზოგადოდ და ამ რიცხვის განსაკუთრებით ცოტაოდენი შემცირება 1906 წლიდან 1907 წლამდე, როგორც ჩანს, მიუთითებს ჩვენთვის უკვე ცნობილ მოვლენაზე: მოწინავე ფენები უდიდესი ენერგიით ცდილობენ შეაჩერონ უკანდახევა და გადააქციონ იგი შეტევად.

ეს დასკვნა სავსებით დასტურდება მონაცემებით ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის თანაფარდობის შესახებ წარმოების სხვადასხვა ჯგუფში. სტატია ციფრებით რომ არ ავაჭრელოთ, დავკმაყოფილდებით მელითონეთა და ფეიქართა დაპირისპირებით 1905 წლის მეოთხედების მიხედვით, ამასთან ამჯერად ავიღოთ ოფიციალური სტატისტიკის ნაკრები *, რომელიც ამ წლის შერეულ გაფიცვებს მიაკუთვნებს პოლიტიკურ გაფიცვებს, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ.

	1905 წელი, მეოთხედები	გაფიცულთა რიცხვი ათასობით I	II	III	IV
ა ჯგუფი (მელითონეები)	ეკონომიური	120	42	37	31
	პოლიტიკური	159	76	63	283
	სულ	279	118	100	314
ბ ჯგუფი (ფეიქრები)	ეკონომიური	196	109	72	182
	პოლიტიკური	111	154	53	418
	სულ	307	263	125	600

მოწინავე ფენასა და ფართო მასას შორის განსხვავება ნათლად ჩანს. მოწინავეებში წმინდა ეკონომიური გაფიცვების მონაწილენი თავიდანვე უმცირესობას შეადგენენ, ისე

* ამ ნაკრების მიხედვით, ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი 1905 წელს იყო 1 021 ათასი, პოლიტიკურისა — 1 842 ათასი, ე. ი. ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა წილი საერთო ჯამში ნაკლებია, ვიდრე 1906 წელს. ჩვენ უკვე განვმარტეთ, რომ ეს სწორი არ არის.

როგორც მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ პირველი მეოთხედი ამ ჯგუფშიც ხასიათდება წმინდა ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა ძალიან დიდი რიცხვით (120 ათასი): ცხადია, რომ მელითონეთა შორისაც ცოტა როდია ისეთი ფენები, რომელთა «ამოძრავება» საჭირო იყო და რომლებიც მოძრაობას იწყებდნენ წმინდა ეკონომიური მოთხოვნების წამოყენებით. ფეიქრებში მოძრაობის დასაწყისში (წლის I მეოთხედი) ჩვენ ვხედავთ წმინდა ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა უდიდეს სიჭარბეს, რომლებიც უმცირესობა აღმოჩნდნენ წლის II მეოთხედში, მაგრამ ისე, რომ კვლავ უმრავლესობა მიეღოთ III მეოთხედში. წლის უკანასკნელ მეოთხედში, მოძრაობის უმაღლეს წერტილზე ასვლის დროს, მელითონეებში წმინდა ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი უდრის გაფიცულთა საერთო რიცხვის 10 პროცენტს და მელითონეთა მთელი რაოდენობის 12 პროცენტს; — ფეიქრებში წმინდა ეკონომიური გაფიცვების მონაწილენი იმავე პერიოდში შეადგენენ გაფიცულთა საერთო რიცხვის 30 პროცენტს და ფეიქართა მთელი რაოდენობის 25 პროცენტს.

ახლა სავსებით ნათელია, თუ სახელდობრ როგორია ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის ურთიერთდამოკიდებულება: თუ მათ შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს, ისე ნამდვილად ფართო, ნამდვილად მასობრივი მოძრაობა შეუძლებელია; ამ კავშირის კონკრეტულ ფორმას კი წარმოადგენს, ერთი მხრით, ის, რომ მოძრაობის დასაწყისს და მოძრაობაში ახალი ფენების ჩაბმის დროს წმინდა ეკონომიური გაფიცვა ასრულებს უმთავრეს როლს, მეორე მხრით კი, პოლიტიკური გაფიცვა აღვიძებს და ამოძრავებს ჩამორჩენილებს, აზოგადებს და აფართოებს მოძრაობას, უმაღლეს საფეხურზე აპყავს იგი.

მეტად საინტერესო იქნებოდა დაწვრილებით გაგვერკვია, სახელდობრ როგორ ებმებოდნენ მოძრაობაში მთელი სამწლედის მანძილზე მისი ახალი მონაწილენი. საამისო მონაცემები ძირითად მასალაში მოიპოვება, რადგან ცნო-

ბებს ბარათებით ღებულობდნენ თვითეული გაფიცვის შესახებ ცალ-ცალკე. მაგრამ ამ ცნობების დამუშავება ოფიციალურ სტატისტიკაში მეტად არადამაკმაყოფილებელია, და ბარათებში მოქცეული დიდძალი უმდიდრესი მასალა დაიკარგა დაუმუშავებლობის გამო. ერთგვარ დაახლოებით წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი გაფიცვების შემთხვევათა რიცხვის შესახებ პროცენტობით სხვადასხვა სიდიდის საწარმოთა რიცხვის მიმართ:

საწარმოთა ჯგუფები	გაფიცვების შემთხვევათა რიცხვი %%-ბით საწარმოთა რიცხვის მიმართ				
	10 წლის (1895—1904) მანძილზე მთლიანად	1905 წ.	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.
20 მუშამდე	2,7	47,0	18,5	6,0	1,0
21 — 50 »	7,5	89.4	38,8	19,0	4.1
51 — 100 »	9,4	108.9	56,1	37,7	8,0
101 — 500 »	21,5	160.2	79,2	57,5	16,9
501 — 1 000 »	49,9	163,8	95,1	61,5	13,0
1 000 მუშაზე მეტი	89,7	231,9	108,8	83,7	23,0

ის მოწინავე ფენა, რომელსაც ჩვენ აქამდე ვხედავდით სხვადასხვა რაიონისა და წარმოების სხვადასხვა ჯგუფის მონაცემებით, ახლა გვევლინება საწარმოთა სხვადასხვა ჯგუფის მონაცემებით. ყველა წლისათვის საერთო მოვლენას წარმოადგენს ის, რომ იმ საწარმოთა პროცენტი, სადაც გაფიცვები მოხდა, მატულობს საწარმოთა სიმძლავრის გადიდების შესაბამისად. ამასთან 1905 წლისათვის დამახასიათებელია, ჯერ-ერთი, ის, რომ განმეორებითი გაფიცვები მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდია საწარმო, ხოლო, მეორეც, ის, რომ 1895 — 1904 წლების ათწლედის შედარებისას 1905 წელთან, პროცენტის გადიდება მით უფრო ჩქარია, რაც უფრო წვრილია საწარმო. ეს ნათლად მოწმობს ახალი ფენების ჩათრევის განსაკუთრებულ სისწრაფეს, ისეთი ფენების ჩაბმას, რომლებსაც გაფიცვებში ჯერ კიდევ არასოდეს მონაწილეობა არ მიუღიათ. მაქსიმალური აღმავლობის ეპოქაში მოძრაობაში სწრაფად ჩაბმულნი, ეს ახალი ფენები ყველაზე ნაკლებ მტკიცენი გამოდგ-

ნენ: იმ საწარმოთა პროცენტის შემცირება, სადაც გაფიცვები მოხდა, 1906 წლიდან 1907 წლამდე ყველაზე ძლიერია წვრილ საწარმოებში, ყველაზე სუსტია მსხვილ საწარმოებში. ავანგარდი ყველაზე მეტხანს, ყველაზე მტკიცედ მუშაობს უკანდახევის შესაჩერებლად.

მაგრამ დავუბრუნდეთ მონაცემებს ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის თანაფარდობის შესახებ. მთელი სამი წლის მონაცემები წლის მეოთხედების მიხედვით, რაც მოყვანილია ზემოთ (გვ. 19) *, უწინარეს ყოვლისა გვიჩვენებენ, რომ ყველა დიდი აზვირთება დაკავშირებულია არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის ზრდასთან. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1907 წლის გაზაფხულის აღმავლობა, როცა ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა მაქსიმუმი მოდის წლის არა II, არამედ III მეოთხედზე.

მოძრაობის დასაწყისში (1905 წ. I მეოთხედი) ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი დიდად სჭარბობს პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვს (604 და 206 ათასი). მოძრაობის უმაღლესი წერტილი (1905 წ. IV მეოთხედი) იძლევა ეკონომიური გაფიცვების ახალ ტალღას, უფრო სუსტს, ვიდრე იანვრის ტალღა იყო, ამასთან დიდად სჭარბობს პოლიტიკური გაფიცვა. მესამე აზვირთება, 1906 წლის გაზაფხულზე, კვლავ გვიჩვენებს როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის ძალიან დიდ ზრდას. უკვე მარტო ეს მონაცემები საკმარისია იმ აზრის გასაბათილებლად, თითქოს ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვის შეერთება «მოძრაობის სუსტი მხარე» ყოფილიყოს. ასეთ აზრს არა ერთხელ გამოთქვამდნენ ლიბერალები; მას იმეორებდა ლიკვიდატორი ჩერევანინი 1905 წლის ნოემბრის მიმართ; მას წინათ ეს აზრი გაიმეორა იმავე ეპოქის მიმართ აგრეთვე მარტოვმაც. ამგვარი შეხედულების დასადასტურებლად

* იხ. ეს ტომი, გვ. 513. რ ე დ.

განსაკუთრებით ხშირად იმოწმებენ 8-საათიანი სამუშაო დღისთვის ბრძოლის წარუმატებლობას.

ამ წარუმატებლობის ფაქტი უდავოა; უდავოა ისიც, რომ ყოველგვარი წარუმატებლობა მოძრაობის სისუსტის ნიშანია, მაგრამ ლიბერალური თვალსაზრისი თავს იჩენს იმით, რომ «მოძრაობის სუსტ მხარედ» აღიარებენ სწორედ ეკონომიური ბრძოლის შეერთებას პოლიტიკურ ბრძოლასთან; მარქსისტული თვალსაზრისი სისუსტეს იმაში ხედავს, რომ ეს შეერთება არასაკმაო იყო, ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი არასაკმაოდ საგრძნობი იყო. სტატისტიკა თვალსაჩინოდ ადასტურებს მარქსისტული შეხედულების სისწორეს და ააშკარავებს სამწლედის «ზოგად კანონს»: მოძრაობის გაძლიერებას ეკონომიური ბრძოლის გაძლიერების დროს. და ეს «ზოგადი კანონი» ლოგიკურად უკავშირდება ყოველგვარი კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად ნიშნებს: ამ საზოგადოებაში ყოველთვის იარსებებენ იმდენად ჩამორჩენილი ფენები, რომელთა გამოღვიძება შეუძლია მხოლოდ მოძრაობის უაღრესად საგანგებო გამწვავებას, ხოლო ისე, თუ ეკონომიური მოთხოვნები არ იქნა, ჩამორჩენილ ფენებს არ შეუძლიათ ჩაებან ბრძოლაში.

როდესაც 1905 წლის უკანასკნელი მეოთხედის აზვირთებას ვადარებთ წინა და მომდევნო აზვირთებებს, ე. ი. 1905 წლის პირველ მეოთხედს და 1906 წლის მეორე მეოთხედს, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ოქტომბერ-დეკემბრის აზვირთება როგორც წინა, ისე მომდევნო აზვირთებაზე უფრო სუსტია ეკონომიური ბაზის სიფართოვით, ე. ი. ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის პროცენტით გაფიცულთა საერთო რიცხვში. უეჭველია, რომ 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა იწვევდა ბურჟუაზიის წრიდან გამოსული მრავალი ისეთი ელემენტის ჩამოშორებას, რომლებიც შეიძლებოდა თანაგრძნობით მოკიდებოდნენ მუშათა სხვა მისწრაფებებს. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ეს მოთხოვნა იზიდავდა არა ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ მრავალ ისეთ ელემენტს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ

ჩაბმულნი მოძრაობაში და რომლებმაც, მას შემდეგ, რაც წამოაყენეს ეკონომიური გაფიცვების 430 ათასი მონაწილე 1905 წლის უკანასკნელ მეოთხედში, შეამცირეს ეს რიცხვი 73 ათასამდე 1906 წლის I მეოთხედში და კვლავ გაადიდეს 222 ათასამდე 1906 წლის II მეოთხედში. მაშასადამე, სისუსტე იყო არა ის, რომ არ არსებობდა თანაგრძნობა ბურჟუაზიის მხრივ, არამედ ის, რომ ადგილი ჰქონდა არასაკმაო მხარდაჭერას ან არასაკმაოდ თავისდროულ მხარდაჭერას არა ბურჟუაზიის წრიდან გამოსული ელემენტების მხრივ.

ლიბერალისთვის დამახასიათებელია ეშინოდეს, რომ ასეთი სახის მოძრაობა ყოველთვის უკუაგდებს ხოლმე ბურჟუაზიის განსაზღვრულ ელემენტებს. მარქსისტისთვის დამახასიათებელია აღნიშნავდეს, რომ ამ სახის მოძრაობა ყოველთვის იზიდავს ფართო ელემენტებს არა ბურჟუაზიიდან. **Suum cuique** — თვითეულს თავისი უნდა მიეზღოს.

მუშათა და მეწარმეთა ბრძოლის პერიპეტიების საკითხის გასარკვევად მეტად საგულისხმოა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები გაფიცვების შედეგების შესახებ. ამ სტატისტიკის საერთო ჯამი ასეთია:

გაფიცვების შედეგები	იმ გაფიცვების მონაწილეთა რიცხვის პროცენტი, რომლებისთვისაც ნაჩვენებია შედეგები				
	10 წლის (1895—1904) განმავლობაში	1905 წ.	1906 წ.	1907 წ.	1908 წ.
მუშათა სასარგებლოდ	27,1	23,7	35,4	16.2	14,1
ურთიერთ დათმობა (კომპრომისი)	19,5	46,9	31,1	26,1	17,0
მეპატრონეთა სასარგებლოდ (მუშათა წინააღმდეგ)	51,6	29,4	33,5	57,6	68,9

ზოგადი დასკვნა აქედან უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მოძრაობის მაქსიმალური ძალა მუშათა მაქსიმალურ წარმატებასაც მოასწავებს. ყველაზე უფრო ხელსაყრელია მათთვის 1905 წელი, როდესაც საგაფიცვო ბრძოლის ძალა ყველაზე დიდი იყო. ეს წელი გამოირჩევა აგრეთვე უჩვეულოდ ხშირი კომპრომისებით: მხარეები ჯერ კიდევ ვერ შეგუებიან ახალ, უჩვეულო პირობებს, მეწარმენი დაიბნენ გაფიცვების სიხშირის გავლენით, და საქმე უფრო ხშირად,

ვიდრე ოდესმე, კომპრომისით თავდებოდა. 1906 წელს ბრძოლა უფრო მტკიცე ხასიათს იღებს: კომპრომისის შემთხვევები შეუდარებლად უფრო იშვიათია; მაგრამ მუშები საერთოდ ჯერ კიდევ მაინც იმარჯვებენ: გაფიცვის მომგებ გაფიცულთა პროცენტი მეტია, ვიდრე წამგებთა პროცენტი. 1907 წლიდან მოკიდებული მუშათა დამარცხებანი განუწყვეტლივ მატულობს, თანაც კომპრომისის შემთხვევები მცირდება.

აბსოლუტურ ციფრებს თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ სულ 10 წლის, 1895 — 1904 წლების, განმავლობაში მთლიანად გაფიცვები მოიგო 117 ათასმა მუშამ, ხოლო მარტო 1905 წელს — სამჯერ და უფრო მეტმა: 369 ათასმა, 1906 წელს — ერთნახევარჯერ მეტმა: 163 ათასმა.

მაგრამ ერთი წელი ძალიან დიდი პერიოდია სამი წლის — 1905 — 1907 წლების — მანძილზე საგაფიცვო ბრძოლის ტალღისებური მოძრაობის შესასწავლად. ჩვენ არ მოგვყავს თვიური მონაცემები, რომლებიც ძალიან დიდ ადგილს დაიჭერდნენ, მაგრამ მოვიყვანოთ მონაცემები წლის მეოთხედების მიხედვით 1905 და 1906 წლებისათვის. 1907 წელი შეიძლება გამოვტოვოთ, რადგან გაფიცვების შედეგების მიხედვით ჩვენ ამ წელს ვხედავთ არა შესვენებებს, დაქვეითებებსა და აზვირთებებს, არამედ მუშათა სულერთიანად უკანდახევას და კაპიტალისტთა შეტევას, რაც სავსებით გამოხატულია უკვე მოყვანილ მონაცემებში წლების მიხედვით.

წლები	1905				1906			
წლის მეოთხედები	I	II	III	IV	I	II	III	IV
გაფიცვების შედეგები								
მუშათა სასარგებლოდ	158	71	45	95	34	86	37	6
კომპრომისი	267	109	61	235	28	58	46	8
მეპატრონეთა სასარგებლოდ	179	59	59	100	11	78	42	23
სულ*	604	239	165	430	73	222	125	37

* ოფიციალურ სტატისტიკაში ამ საკითხზე თვიური ჯამები არ არის; მათი დაჯამება მოგვიხდა წარმოებათა მიხედვით შეკრებილი მონაცემებიდან.

ამ მონაცემებიდან გამომდინარეობენ მეტად საინტერესო დასკვნები, რომლებიც დაწვრილებით განხილვას მოითხოვენ. საზოგადოდ, ჩვენ დავინახეთ, რომ ბრძოლა მით უფრო წარმატებითია მუშებისათვის, რაც უფრო ძლიერია მათი შეტევა. დასტურდება თუ არა ეს მოყვანილი მონაცემებით? 1905 წლის I მეოთხედი მუშებისათვის უფრო ნაკლებ სასარგებლოა, ვიდრე II მეოთხედი, თუმცა მოძრაობა ამ პერიოდში შესუსტდა. მაგრამ ეს დასკვნა მცდარია, რადგან სამი თვის მონაცემები აერთიანებენ იანვრის აზვირთებას (ეკონომიური გაფიცვების 321 ათასი მონაწილე) და დაქვეითებას თებერვალსა (228 ათასი) და მარტში (56 ათასი). აზვირთების თვეს, იანვარს, თუ გამოვყოფთ, დავინახავთ, რომ ამ თვეში მუშებმა გაიმარჯვეს: 87 ათასმა გაფიცულმა გაფიცვა მოიგო, 81 ათასმა წააგო, 152 ათასმა კომპრომისით დაამთავრა. დაქვეითების ორივე თვე ამ პერიოდში (თებერვალი და მარტი) მუშათა დამარცხებას იძლევა.

მეორე პერიოდი (1905 წ. II მეოთხედი) აზვირთების პერიოდია, რომელიც უმაღლეს წერტილს აღწევს მაისში. ბრძოლის აზვირთება მოასწავებს მუშათა გამარჯვებას: 71 ათასმა გაფიცულმა გაფიცვა მოიგო, 59 ათასმა წააგო. 109 ათასმა კომპრომისით დაამთავრა.

მესამე პერიოდი (1905 წ. III მეოთხედი) დაქვეითების პერიოდია: გაფიცულთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე II მეოთხედში. შეტევის შენელება მოასწავებს მეპატრონეთა გამარჯვებას: 59 ათასმა მუშამ გაფიცვა წააგო, მხოლოდ 45 ათასმა მოიგო. იმ მუშათა პროცენტი, რომლებმაც გაფიცვა წააგეს, უდრის 35,6%-ს, ე. ი. უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი ა, ვ ი დ რ ე 1 9 0 6 წ ე ლ ს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1905 წელს მუშებისადმი «თანაგრძნობის» ის «საერთო ატმოსფერო», რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ ლიბერალები, როგორც მუშების გამარჯვებათა მთავარ მიზეზზე, — (ამას წინათ «მთავარ მიზეზზე» — ბურჟუაზიის მხრივ თანაგრძნობაზე — ლაპარაკობდა მარტოვიც) — ოდნავადაც ხელს არ უშლიდა მუშათა დამარცხებას მაშინ, რ ო ც •

მათი შეტევა სუსტდებოდა. თქვენ ძლიერნი ხართ მაშინ, როცა საზოგადოებაში თანაგრძნობას გიწევენო, — ეუბნებიან მუშებს ლიბერალები. თქვენ საზოგადოებაში თანაგრძნობას გიწევენ მაშინ, როცა ძლიერნი ხართ, — ეუბნებიან მუშებს მარქსისტები.

1905 წლის უკანასკნელი მეოთხედი გამონაკლისად ჩანს: მუშათა დამარცხება უდიდესი აზვირთების დროს. მაგრამ ეს გამონაკლისი მოჩვენებითია, რადგან შეერთებულია ერთად აზვირთების თვე — ოქტომბერი, როცა მუშებმა გაიმარჯვეს ეკონომიურ დარგშიც (+57, — 22: იმ მუშათა ათასები, რომლებმაც მოიგეს და წააგეს გაფიცვები), და თვეები — ნოემბერი (+25, — 47) და დეკემბერი (+12, — 31), როცა ეკონომიური ბრძოლა დაქვეითებას განიცდიდა და როცა მუშები დამარცხდნენ. ამასთან ნოემბერი, გარდატეხის თვე, უდიდესი ცვალებადობის, მოპირდაპირე ძალთა ყველაზე მეტი გაწონასწორებულობის თვე, როდესაც ყველაზე ნაკლებად იყო ცნობილი საერთო შედეგები და საერთო მიმართულება საზოგადოდ რუსეთის ისტორიისა, კერძოდ კი მუშებისადმი მეპატრონეთა დამოკიდებულების ისტორიისა, — ეს თვე 1905 წლის ყველა თვესთან შედარებით იძლევა კომპრომისის შემთხვევათა ყველაზე დიდ პროცენტს: ამ თვეში ეკონომიური გაფიცვების 179 ათასი მონაწილიდან 106 ათასმა, ე. ი. გაფიცულთა 59,2 პროცენტმა, ბრძოლა დაამთავრა კომპრომისით *.

1906 წლის პირველი მეოთხედი კვლავ მოჩვენებითს გამონაკლისს იძლევა: ეკონომიური ბრძოლის უდიდესი დაქვეითება და მუშათა უდიდესი წარმატება (+ 34, — 11). აქაც შეერთებულია ერთად მუშათა დამარცხებების თვე, იანვარი (+4, — 6), და მუშათა გამარჯვებების თვეები, თებერვალი (+14, — 2) და მარტი (+16, — 2,5). ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი მთელი ამ პერიოდის განმავლო-

* ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა საერთო რიცხვი შეადგენდა ოქტომბერში 190 ათასს, ნოემბერში — 179 ათასს, დეკემბერში — 61 ათასს.

ბაში კლებულობს (იანვარი — 26,6 ათასი, თებერვალი — 23,3 ათასი, მარტი — 23,2 ათასი), მაგრამ საერთო მოძრაობის აღმავლობა უკვე ნათლად ისახება (გაფიცულთა მთელი რიცხვია იანვარში — 190 ათასი, თებერვალში — 27 ათასი, მარტში — 52 ათასი).

1906 წლის მეორე მეოთხედი — მოძრაობის დიდი აღმავლობა და მუშათა წარმატება (+86, — 78); ეს წარმატება განსაკუთრებით დიდია მაისსა და ივნისში, — ივნისში ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი აღწევს 1906 წლის მაქსიმუმს, 90 ათასს, — მაშინ როდესაც აპრილი იძლევა გამონაკლისს: მუშათა დამარცხებას, მიუხედავად მოძრაობის ზრდისა მარტთან შედარებით.

1906 წლის III მეოთხედით დაწყებული ჩვენ ვხედავთ, საერთოდ, ეკონომიური ბრძოლის განუწყვეტელ დაქვეითებას თითქმის წლის დასასრულამდე და, ამის შესაბამისად, მუშათა დამარცხებებს (უმნიშვნელო გამონაკლისია 1906 წლის აგვისტოში, როცა მუშებმა უკანასკნელად გაიმარჯვეს ეკონომიურ ბრძოლაში: +11,3, — 10,3).

1905 და 1906 წლების ეკონომიური ბრძოლის პერიპეტიები მოკლედ რომ შევაჯამოთ, შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ხერხი. 1905 წელს მკაფიოდ გამოირჩევა საზოგადოდ საგაფიცვო და კერძოდ ეკონომიური ბრძოლის სამი მთავარი აღმავლობა: იანვარი, მაისი და ოქტომბერი. ერთად აღებული ამ სამი თვის განმავლობაში ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი შეადგენს 667 ათასს მთელი წლის მანძილზე გაფიცულთა საერთო რიცხვიდან — 1 439 ათასიდან, ე. ი. შეადგენს არა მეოთხედს, არამედ უახლოვდება ნახევარს. და სამივე ეს თვე იყო მუშების გამარჯვებათა თვეები ეკონომიურ დარგში, ე. ი. თვეები, როცა იმ მუშათა რიცხვმა, რომლებმაც გაფიცვები მოიგეს, გადააჭარბა იმ მუშათა რიცხვს, რომლებმაც გაფიცვები წააგეს.

1906 წელს მკაფიოდ გამოიყოფა, საერთოდ და მთლიანად, წლის პირველი და მეორე ნახევარი: პირველ ნახევარში — უკანდახევის შეჩერება და დიდი აღმავლობა; მეორე ნა-

ხევარში — დიდი დაქვეითება. წლის პირველ ნახევარზე მოდის ეკონომიური გაფიცვების 295 ათასი მონაწილე, მეორე ნახევარზე — 162 ათასი. პირველმა ნახევარმა მუშებს არგუნა ეკონომიურ ბრძოლაში გამარჯვება, მეორე ნახევარმა — დამარცხება.

ეს ზოგადი შედეგები სავსებით ადასტურებენ იმ დახკვნას, რომ ეკონომიურ ბრძოლაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა არა «თანაგრძნობის ატმოსფერო», არა ბურჟუაზიის სიმპათიები, არამედ შეტევის ძალა.

თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება[120]

დაწერილია 1910 წ. დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1932 წ.
ლენინის კრებულში, XIX
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

Капиталистический строй современного хозяйства.

Статья первая.

Сохранившая старинную волну, экономическая структура в государстве создала громадные устои в течение двух-трех последних десятилетий. Целый ряд вопросов и кружок самых коренных вопросов, касающихся экономического строя современных государств и его развития, издревле являлись прежде на основании общих соображений и чрезвычайных данных, не могут быть разрабатываемы сколько-нибудь серьезно в настоящее время без учета

პირველი გვერდი ხელნაწერი სტატიისა
«თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება». — 1910 წ.

დაპატარავებულია

სტატია პირველი

სოციალურმა სტატისტიკამ საერთოდ, ეკონომიურმა სტატისტიკამ კერძოდ, უდიდეს წარმატებებს მიაღწია უკანასკნელი ორი-სამი ათწლედის განმავლობაში. მთელი რიგი საკითხები და თანაც ყველა ძირითადი საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე სახელმწიფოთა ეკონომიურ წყობილებას და მის განვითარებას და რომლებიც წინათ წყდებოდა ზოგად მოსაზრებათა და სავარაუდო მონაცემთა საფუძველზე, ამჟამად არ შეიძლება რამდენადმე სერიოზულად იქნეს დამუშავებული ისე, თუ არ გავითვალისწინეთ მასობრივი მონაცემები, შეკრებილნი განსაზღვრული ქვეყნის მთელი ტერიტორიის შესახებ ერთი გარკვეული პროგრამის მიხედვით და შეჯამებულნი სპეციალისტ-სტატისტიკოსთა მიერ. მეტადრე, მიწათმოქმედების ეკონომიკის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ დავას იწვევენ, მოითხოვენ პასუხის გაცემას ზუსტი და მასობრივი მონაცემების საფუძველზე, მით უფრო, რომ ევროპის სახელმწიფოებში და ამერიკაში სულ უფრო მეტად შემოდის ჩვეულებად პერიოდული აღწერების ჩატარება, რომელნიც ქვეყნის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოიცავენ.

გერმანიაში, მაგალითად, ასეთი აღწერა ჩატარდა 1882, 1895 და უკანასკნელი — 1907 წელს. ამ აღწერების მნიშვნელობა ბევრჯერ აღუნიშნავთ ჩვენს ლიტერატურაში, და არა გვგონია მოიძებნებოდეს თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიკისადმი მიძღვნილი წიგნი ან სტატია, რომელშიც მითითებული არ იყოს გერმანიის სასოფლო-სამეურნეო სტა-

ტისტიკის მონაცემებზე. უკანასკნელი აღწერის გამო უკვე დიდი ხმაურობაა ატეხილი როგორც გერმანულ, ისე ჩვენს ლიტერატურაში. ბ-ნმა ვალენტინოვამ, მახსოვს, მთელი განგაში ასტეხა შარშან «კიევსკაია მისლში» [121] იმის გამო, რომ ამ აღწერამ თითქოს გააბათილა მარქსიზმის მოძღვრება და კაუტსკის შეხედულებანი და ცხადყო წვრილი წარმოების გამძლეობა და მსხვილ წარმოებაზე მისი გამარჯვება. ამ ცოტა ხნის წინათ «ეკონომისტ როსსიიში» [122] ბ-ნი პროფესორი ვობლი სტატიაში: «ტენდენციები გერმანიის აგრარულ ევოლუციაში» (№ 36, 1910 წ. 11 სექტემბერი) 1907 წლის აღწერის მონაცემთა საფუძველზე უარყოფდა «მარქსის მიერ ინდუსტრიის განვითარების შესახებ შემუშავებული სქემის» [123] გამოსადეგობას სოფლის მეურნეობის მიმართ და ამტკიცებდა, რომ «წვრილი საწარმონი არათუ არ იღუპებიან მსხვილ საწარმოებთან ბრძოლაში სოფლის მეურნეობის დარგში; პირიქით, ყოველი ახალი აღწერა ადასტურებს მათ წარმატებასო».

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროული იქნებოდა დაწვრილებით გაგვერჩია 1907 წლის აღწერის მონაცემები. მართალია, ამ აღწერის მასალების გამოცემა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა: გამოვიდა სამი ტომი, რომლებიც შეიცავენ აღწერის ყ ვ ე ლ ა მონაცემს *, მეოთხე ტომი კი, მიძღვნილი «მთელი აღწერის შედეგების გადმოცემისადმი», ჯერ არ გამოქვეყნებულა და არ ვიცით, მალე გამოვა თუ არა. მაგრამ ამ დასკვნითი ტომის გამოსვლამდე აღწერის შ ე დ ე გ ე ბ ი ს შესწავლის გადადებისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან მ თ ე ლ ი მასალა, აგრეთვე მისი შენაჯამი, უკვე გამოქვეყნებულია, და ლიტერატურა ფართოდ იყენებს მას.

* Statistik des Deutschen Reichs, Band 212, Teil 1 a, 1 b და 2 a. Berufs- und Betriebszählung vom 12. Juni 1907. Landwirtschaftliche Betriebsstatistik. Berlin. 1909 და 1910 (გერმანიის სახელმწიფო სტატისტიკა, ტომი 212, ნაწილი 1 a, 1 в და 2 a. პროფესიებისა და საწარმოების აღწერა 1907 წლის 12 ივნისს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა სტატისტიკა. ბერლინი. 1909 და 1910. რ ე დ.).

შევნიშნავთ მხოლოდ, რომ საკითხის ისე დაყენება, როგორც მას ჩვეულებრივ აყენებენ, როცა კმაყოფილდებიან თითქმის მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა წელს არსებულ სხვადასხვა ოდენობის (ფართობის მიხედვით) მეურნეობათა რიცხვს და მათი მიწების რაოდენობას, ნიშნავს სრულიად არასწორად შეუდგე საქმეს. ნამდვილ უთანხმოებას მარქსისტებსა და მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა შორის აგრარულ საკითხში ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს. თუ მიზნად დავისახავთ უთანხმოების წყაროების სავსებით გამორკვევას, მაშინ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკითხს, თუ როგორია თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილების ძირითადი ნიშნები. სწორედ ამ საკითხისთვის განსაკუთრებით ძვირფასია გერმანიის 1907 წლის 12 ივნისის აღწერის მონაცემები. ზოგიერთ საკითხში ის უფრო ნაკლებად დეტალურია, ვიდრე წინანდელი, 1882 და 1895 წლების აღწერები, მაგრამ სამაგიეროდ ის პირველად იძლევა გაუგონრად მდიდარ მონაცემებს დაქირავებული შრომის შესახებ სოფლის მეურნეობაში. დაქირავებული შრომის გამოყენება კი ყოველგვარი კაპიტალისტური მიწათმოქმედების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია.

ამიტომ ჩვენ შევეცდებით უწინარეს ყოვლისა წარმოვადგინოთ თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილების ზოგადი სურათი, რისთვისაც დავეყრდნობით უმთავრესად გერმანიის 1907 წლის აღწერის მონაცემებს და შევავსებთ მათ სხვა ქვეყნების საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო აღწერათა, სახელდობრ: დანიის, შვეიცარიის, ამერიკის აღწერათა და უნგრეთის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით. ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომელიც ყველაზე მეტად გხვდებათ თვალში აღწერის შედეგების პირველი გაცნობისას და რომელზედაც ყველაზე მეტს ლაპარაკობენ, სახელდობრ: გერმანიაში მსხვილ (სასოფლო-სამეურნეო ფართობის ოდენობის მიხედვით) მეურნეობათა რიცხვისა და მათი მიწის რაოდენობის შემცირებას, — ჩვენ მას მხოლოდ

ჩვენი შრომის დასასრულს განვიხილავთ. რადგან ეს არის ერთი იმ რთულ ფაქტთაგანი, რომელნიც მთელი რიგი სხვა ფაქტების ფუნქციას წარმოადგენენ, და მისი მნიშვნელობის გაგება ყოვლად შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ არ გავარკვიეთ რამდენიმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხი.

I

თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიური წყობილების ზოგადი სურათი

გერმანიის სასოფლო-სამეურნეო აღწერები, ისე როგორც ევროპის ყველა ამგვარი აღწერა (რუსეთის აღწერებისაგან განსხვავებით), ემყარება თვითეული ცალკე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესახებ შეკრებილ ცნობებს. ამასთან შეკრებილი ცნობების რაოდენობა ჩვეულებრივ ყოველი აღწერის შემდეგ მატულობს. მაგალითად, გერმანიაში 1907 წელს გამოტოვებულია მეტად მნიშვნელოვანი ცნობები იმ პირუტყვის რაოდენობის შესახებ, რომელსაც მინდვრის სამუშაოებისათვის იყენებენ (ამ ცნობებს აგროვებდნენ 1882 და 1895 წლებში), მაგრამ სამაგიეროდ პირველად არის შეკრებილი ცნობები სხვადასხვა პურეულის სახნავ-სათესის შესახებ, ოჯახის წევრი და დაქირავებული მუშების რიცხვის შესახებ. თვითეული მეურნეობის შესახებ ამნაირად მიღებული ცნობები *საკმარისია* ამ მეურნეობის პოლიტიკურ-ეკონომიური დახასიათებისათვის. მთელი საკითხი, ამოცანის მთელი სიძნელე ის არის, თუ *როგორ* *დავაჯამოთ* ეს მონაცემები იმგვარად, რომ მივიღოთ მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფების ანუ ტიპების ზუსტი პოლიტიკურ-ეკონომიური დახასიათება მთლიანად. თუ დაჯამება დამაკმაყოფილებელი არ არის, თუ დაჯგუფება არასწორი ან არასაკმაოა, შეიძლება მივიღოთ — და თანამედროვე აღწერათა დამუშავებისას ყოველთვის გამოდის — ისეთი შედეგი, რომ არაჩვეულებრივად დეტალური, ჩინებული მონაცემები, რაც

მოიპოვება თვითეული ცალკე საწარმოს შესახებ, ქრება, იკარგება, მთლიანად ქარწყლდება, როცა ლაპარაკია მთელი ქვეყნის მილიონობით მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური წყობილება ხასიათდება ურთიერთობით, რომელიც არსებობს მეპატრონეებსა და მუშებს შორის, სხვადასხვა ტიპის მეურნეობათა შორის, და თუ ამ ტიპების ნიშნები აღებულია არასწორად, შერჩეულია არასრულად, — საუკეთესო აღწერამაც კი შეიძლება არ მოგვცეს სინამდვილის პოლიტიკურ-ეკონომიური სურათი.

აქედან გასაგებია, თუ რა უდიდესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აღწერათა მონაცემების დაჯამების ანუ დაჯგუფების ხერხების საკითხს. შემდგომ გადმოცემაში ჩვენ განვიხილავთ ზემოჩამოთვლილ საუკეთესო აღწერებში გამოყენებულ ყველა ხერხს, რომლებიც საკმაოდ მრავალფეროვანია. ჯერჯერობით კი შევნიშნავთ, რომ გერმანიის აღწერა, ისე როგორც სხვა აღწერათა დიდი უმეტესობა, იძლევა სრულ შენაჯამს, როცა მეურნეობებს აჯგუფებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით, სახელდობრ — თვითეული მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ფართობის ოდენობის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით აღწერა ყველა მეურნეობას ჰყოფს 18 ჯგუფად, დაწყებული ისეთი მეურნეობებით, რომელთაც აქვთ ჰექტარის * ერთ მეათედ ნაწილზე ნაკლები, და დამთავრებული ისეთი მეურნეობებით, რომელთაც აქვთ 1 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ფართობი. ამნაირი დეტალიზაცია რომ პოლიტიკურ-ეკონომიური მოსაზრებებით გაუმართლებელი სტატისტიკური ფუფუნებაა, ამას გრძნობენ თვით გერმანული სტატისტიკის ავტორები, რომლებიც იძლევიან ყველა მონაცემის შენაჯამს ექვს — ხოლო ერთი ქვეჯგუფის გამოყოფით შვიდ — დიდ ჯგუფად სასოფლო-სამეურნეო ფართობის ოდენობის მიხედვით. ეს ჯგუფები შემდეგია: მეურნეობანი, რომელთაც აქვთ 1/2 ჰექტარამდე, 1/2-დან 2-მდე,

* ჰექტარი უდრის 0,915 დესეტინას. ჩვეულებრივ იხმარება შემოკლება **ha** = ჰექტარი.

2-დან 5-მდე, 5-დან 20-მდე, 20-დან 100-მდე და 100 ჰექტარზე მეტი, ამასთან ამ უკანასკნელთაგან ცალკეა გამოყოფილი იმ მეურნეობათა ქვეჯგუფი, რომელთაც 200 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ფართობი აქვთ.

კითხვა ისმის: [როგორია ამგვარი დაჯგუფების პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა? მიწა, უეჭველია, წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში; ამიტომ მიწის რაოდენობის მიხედვით ყველაზე სწორად შეიძლება ვიმსჯელოთ მეურნეობის ოდენობაზე, და, მაშასადამე, მის ტიპზეც] ე. ი., მაგალითად, იმაზე, წვრილ, საშუალო, მსხვილ, კაპიტალისტურ მეურნეობაზეა ლაპარაკი თუ ისეთ მეურნეობაზე, რომელიც დაქირავებულ შრომას არ იყენებს. ჩვეულებრივ მეურნეობანი 2 ჰექტარამდე ფართობით მიეკუთვნებიან წვრილ (ზოგჯერ ეგრეთწოდებულ პარცელურ ანუ ჩია) მეურნეობებს, 2-დან 20 (ზოგჯერ 2-დან 100) ჰექტარამდე — გლეხურ მეურნეობებს, 100 ჰექტარზე ზევით — მსხვილ, ე ს ე ი გ ი კაპიტალისტურ მეურნეობებს.

და აი, 1907 წლის აღწერით პირველად შეკრებილი ცნობები დაქირავებული შრომის შესახებ უწინარეს ყოვლისა საშუალებას გვაძლევენ პირველად შევამოწმოთ მასობრივი მონაცემებით ეს «ჩვეულებრივი» ვარაუდი. სტატისტიკურ რუთინაში პირველად შეაქვთ რაციონალობის თუნდაც ერთგვარი — სრულიადაც არა საკმაო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, — ელემენტი, ე. ი. ისეთი მონაცემების აღრიცხვის ელემენტი, რომელთაც უაღრესად პირდაპირი, უაღრესად უშუალო პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ.

მართლაცდა, ყველანი ლაპარაკობენ წვრილი წარმოების შესახებ. ხოლო რა არის წვრილი წარმოება? ამ კითხვის ყველაზე ჩვეულებრივი პასუხი ის არის, რომ წვრილი წარმოება ისეთი წარმოებაა, რომელიც დაქირავებულ შრომას არ იყენებს. ასე უყურებენ ამას არა მარტო მარქსისტები. მაგალითად, ედ. დავიდი, რომლის წიგნს — «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» — შეიძლება ეწოდოს აგრარული საკითხის ბურჟუაზიული თეორიების ერთ-ერთი უახლესი შენაჯამი,

რუსული თარგმანის 29 გვერდზე წერს: «ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ჩვენ ვლაპარაკობთ წვრილ წარმოებაზე, ვგულისხმობთ ისეთ სამეურნეო კატეგორიას, რომელიც მოქმედებს სხვისი მუდმივი დახმარებისა და დამხმარე სარეწის გამოუყენებლად».

1907 წლის აღწერა, უწინარეს ყოვლისა, სავსებით ადასტურებს, რომ ამგვარ მეურნეობათა რიცხვი ძალიან მცირეა, რომ თანამედროვე მიწათმოქმედებაში მეპატრონეები, რომლებიც მუშებს არ ქირაობენ, ან სხვებთან ქირაზე სამუშაოდ არ მიდიან, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. გერმანიის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მთელი რიცხვიდან — 5 736 082 საწარმოდან, რომლებიც რეგისტრირებულია 1907 წლის აღწერით, მხოლოდ 1 872 616, ე. ი. ერთ მესამედზე ნაკლები, ეკუთვნის ისეთ მეპატრონეებს, რომელთა მთავარი მოსაქმეობა სოფლის მეურნეობის დამოუკიდებლად გაძღოლაა და რომელთაც არა აქვთ დამხმარე სარეწები. რამდენი მათგანი ქირაობს მუშებს? ამის შესახებ ცნობები არ არის, ე. ი. ეს ცნობები მეტად ვრცლად იყო თავდაპირველ ბარათებში და დაიკარგა შეჯამების დროს! შემდგენლებმა არ მოისურვეს ეანგარიშნათ (თუმცა მათ უამრავი მეტად დეტალური და სრულიად გამოუსადეგარი გამოანგარიშება შეასრულეს), მეურნეობათა რა რიცხვი ქირაობს თვითეულ ჯგუფში მუდმივად ან დროებით მოქირავნე მუშებს.

იმისათვის, რომ დაახლოებით განვსაზღვროთ ისეთ მეურნეობათა რიცხვი, სადაც დაქირავებული მუშები არ არიან, გამოვყოფთ იმ ჯგუფებს, რომლებშიც მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თ ა რიცხვი დაქირავებულ მუშათა რიცხვზე ნაკლებია. ეს იქნება ის ჯგუფები, სადაც თითო მეურნეობაზე 10 ჰექტარამდე მიწა მოდის. ამ ჯგუფებში შედის 1 283 631 მეპატრონე, რომლებიც თავის მთავარ მოსაქმეობად მიწათმოქმედებას თვლიან და დამხმარე სარეწი არა აქვთ. მეპატრონეთა ამ რიცხვს ჰყავს სულ 1 400 162 დაქირავებული მუშა (თუ დავუშვებთ, რომ დაქირავებული მუშები ჰყავთ მ ხ ო ლ ო დ ისეთ მეპატრონეებს, რომლებსაც მიწათმოქმედება თავის მთავარ მოსაქ-

მეობად მიაჩნიათ და დამხმარე სარეწები არა აქვთ). მხოლოდ იმ მეურნეობათა ჯგუფებში, რომლებსაც 2-დან 5 ჰექტარამდე მიწა აქვთ, დამხმარე სარეწის არმქონე დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა რიცხვი ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა დაქირავებულ მუშათა რიცხვს, სახელდობრ: 495 439 მეურნეობა და 411 311 დაქირავებული მუშა.

რა თქმა უნდა, დაქირავებული მუშები ჰყავთ ისეთ მიწათმოქმედთაც, რომელთაც მოეპოვებათ დამხმარე სარეწები; რა თქმა უნდა, არიან «წვრილი» მეპატრონენი, რომლებიც არა თითო, არამედ რამდენიმე მოქირავნე მუშას ქირაობენ. მაგრამ მაინც არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ ისეთი მეპატრონეები, რომლებიც მუშებს არ ქირაობენ და სამუშაოდ არ ქირავდებიან, უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ.

დაქირავებულ მუშათა რიცხვის მონაცემების მიხედვით გერმანიის მიწათმოქმედებაში ერთბაშად გამოირჩევა მეურნეობათა ს ა მ ი ძირითადი ჯგუფი:

I. პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მეურნეობანი. ამას უნდა მიეკუთვნონ ის ჯგუფები, რომლებშიც მიწათმოქმედების დამოუკიდებლად გაძღოლას თავის მთავარ მოსაქმეობად თვლის მეპატრონეთა უმცირესობა, — რომლებშიც უმრავლესობა წარმოადგენს დაქირავებულ მუშებს და სხვა. მაგალითად, ½ ჰექტარამდე მიწის მქონე მეურნეობა არის 2 084 060. მათგან დამოუკიდებელი მიწათმოქმედია მხოლოდ 97 153, ხოლო 1 287 312 კაცი თავისი მ თ ა ვ ა რ ი მოსაქმეობით დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა ა (სახალხო მეურნეობის ყველა დარგში). ½-დან 2 ჰექტარამდე მიწის მქონე მეურნეობა არის 1 294 449. მათგან მხოლოდ 377 762 კაცი არის დამოუკიდებელი მიწათმოქმედი, 535 480 — დაქირავებული მუშა, 277 735 — წვრილი მრეწველი, ხელოსანი და ვაჭარი, 103 472 — მოსამსახურე და «სხვადასხვა და გაურკვეველი» მოსაქმეობის წარმომადგენელი. ცხადია, რომ ორივე ამ ჯგუფს შეადგენენ თავისი უდიდესი უმეტესობით პროლეტარული მეურნეობანი.

II. **გ ლ ე ხ უ რ ი** მეურნეობანი. ამას მიეკუთვნება ისეთი ჯგუფები, რომლებშიც მთავარ მასას შეადგენენ დამოუკიდებელი მიწათმოქმედნი, ამასთან ოჯახის წევრი მუშების რიცხვი აღემატება დაქირავებულ მუშათა რიცხვს. ეს იქნება ისეთი ჯგუფები, რომელთაც აქვთ 2-დან 20 ჰექტარამდე მიწა.

III. **კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი** მეურნეობანი. ამას მივაკუთვნებთ ისეთ ჯგუფებს, სადაც დაქირავებულ მუშათა რიცხვი აღემატება ოჯახის წევრ მუშათა რიცხვს.

აი ზოგადი ცნობები ამ სამი ჯგუფის შესახებ:

მეურნეობათა ჯგუფები	სულ მეურნეობა	მათგან		მეურნეობანი, განაწილებულნი მუშათა რიცხვის მიხედვით			
		დამოუკიდებელი მიწათმოქმედნი	დაქირავებული მუშები	სულ მეურნეობა	მათ ჰყავთ მუშა		
					სულ	ოჯახის წევრი	დაქირავებული
I. 2 ha-მდე	3 378 509	474 915	1 822 792	2 669 282	4 358 052	3 851 905	501 147
II. 2-დან 20 ha-მდე	2 071 816	1 705 448	117 338	2 057 577	7 509 735	5 898 858	1 610 882
III. 20 და მეტი ha	285 757	277 060	737	285 331	3 306 762	870 850	2 435 912
სულ	5 736 082	2 437 425	1 940 867	5 012 140	15 169 549	10 621 608	4 547 941

ეს ცხრილი გვაძლევს გერმანიის თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიური წყობილების სურათს. პირამიდის ძირში არის პროლეტარულ «მეურნეობათა» უდიდესი მასა, საერთო რიცხვის თითქმის $^3/_5$; ზევით არის კაპიტალისტურ მეურნეობათა უმნიშვნელო უმცირესობა ($^1/_{20}$). წინდაწინვე აღვნიშნავთ, რომ ამ უმნიშვნელო უმცირესობის ხელშია მთელი მიწისა და მთელი სახნავ-სათესის ნახევარზე მეტი. მის ხელშია სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა მთელი რიცხვის მეხუთედი და დაქირავებულ მუშათა მთელი რიცხვის ნახევარზე მეტი.

II

რას წარმოადგენს სინამდვილეში თანამედროვე სამიწათმოქმედო «მეურნეობათა» უმრავლესობა. (პროლეტარული «მეურნეობანი»)

იმ «მეპატრონეთაგან», რომელთაც 2 ჰექტარამდე მიწა აქვთ, უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა თავისი მთავარი მოსაქმეობით დაქირავებული მუშები არიან. მიწათმოქმედება მათთვის დამხმარე სარეწია. ამ ჯგუფის 3 378 509 საწარმოდან 2 920 119 დამხმარე სარეწს (Nebenbetriebe) წარმოადგენს. დამოუკიდებელი მიწათმოქმედნი, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც, გ ა რ დ ა ა მ ი ს ა, აქვთ დამხმარე სარეწი არასამიწათმოქმედო მოსაქმეობის სახით, სრულიად პატარა უმცირესობაა, სულ 14%; 475 ათასი 3,4 მილიონიდან.

*...აღინიშნოს, რომ დაქირავებულ მუშათა რიცხვი *... იმ ჯგუფში ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა რიცხვს.

ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სტატისტიკა აქ პროლეტართა მასაში ურევს მცირეოდენ კაპიტალისტურ მიწათმოქმედთ, რომლებიც მსხვილ მეურნეობას ეწევიან მიწის მცირე ნაკვეთზე. ასეთ ტიპს ჩვენ კიდევ არა ერთხელ შევხვდებით შემდგომ გადმოცემაში.

კითხვა ისმის: რა მნიშვნელობა აქვთ მიწათმოქმედების საერთო წყობილებაში პროლეტარულ «მეპატრონეთა» ამ მასებს? ჯერ-ერთი, მათი სახით განხორციელებულია საზოგადოებრივი მეურნეობის ბატონყმური სისტემის კავშირი კაპიტალისტურ სისტემასთან, მათი ისტორიული სიახლოვე და მათი ნათესაობა, ბატონყმობის პირდაპირი გადმონაშთი კაპიტალიზმში. როცა ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, გერმანიაში და განსაკუთრებით პრუსიაში, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რიცხვში ხვდება მიწის ისეთი ნაჭრები (ეგრეთწოდებული **Deputatland**), რომლებსაც მემამულე აძლევს მოჯამაგირეს ხელფასის ანგარიშში, განა ეს ბატონყმობის პირ-

* ამ ადგილას ხელნაწერის გვერდის კუთხე მოხეულია. რ ე დ.

დაპირი გადმონაშთი არ არის? როგორც ეკონომიური სისტემა, ბატონყმობა სწორედ იმით განსხვავდება კაპიტალიზმისაგან, რომ პირველი მშრომელს გამოუყოფს მიწას, მეორე კი მშრომელს გამოჰყოფს მიწისაგან, პირველი ნატურით აძლევს მშრომელს საარსებო საშუალებებს (ან აიძულებს თვითონ მას აწარმოოს ისინი თავის «ნადელზე»), მეორე კი მუშას აძლევს ფულად ქირას, რომლითაც ის ყიდულობს საარსებო საშუალებებს. რა თქმა უნდა, ბატონყმობის ეს გადმონაშთი გერმანიაში სრულიად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვხედავთ რუსეთში მისი მემამულური მეურნეობის განთქმული «შრომამიგებითი» სისტემით, მაგრამ ეს მაინც ბატონყმობის გადმონაშთია. 1907 წლის აღწერამ გერმანიაში აღრიცხა 579 500 ისეთი «სასოფლო-სამეურნეო საწარმო», რომლებიც ეკუთვნის სოფლის მუშებსა და დღიურ მომუშავეებს, ამასთან ამ რიცხვიდან 540 751 «საწარმო» მოდის იმ «მეპატრონეთა» ჯგუფზე, რომელთაც 2 ჰექტარამდე მიწა აქვთ.

მეორეც, სოფლის იმ «მეპატრონეთა» მასა, რომელთაც მიწის იმდენად უმნიშვნელო ნაჭრები აქვთ, რომ მით არსებობა შეუძლებელია და მხოლოდ «დამხმარე სარეწს» წარმოადგენს, კაპიტალიზმის საერთო წყობილებაში შეადგენს უმუშევართა სარეზერვო არმიის ნაწილს. ეს არის, მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამგვარი არმიის ფარული ფორმა[124]. სწორი არ იქნებოდა უმუშევართა სარეზერვო არმია წარმოგვედგინა იმგვარად, თითქოს მას შეადგენდნენ მხოლოდ ისეთი მუშები, რომელთაც სამუშაო არა აქვთ. ამ არმიას მიეკუთვნებიან აგრეთვე «გლეხები» ანუ «წვრილი მეპატრონეები», რომელთაც არ შეუძლიათ იარსებონ იმით, რასაც მათ აძლევს მათი უმნიშვნელო მეურნეობა, და რომლებმაც თავისი საარსებო საშუალებანი უნდა მოიპოვონ უმთავრესად დაქირავებული შრომით. ბოსტანი ან კარტოფილით ნათესი მიწის ნაჭერი ღატაკთა ამ არმიისათვის წარმოადგენს მათი ხელფასის შევსების საშუალებას ან

საარსებო საშუალებას ისეთ დროს, როდესაც სამუშაო არ არის. კაპიტალიზმს ეს «ჩია», «პარცელური» ვითომდა მეპატრონენი ესაჭიროება იმისათვის, რომ ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ჰყავდეს თავის განკარგულებაში დიდძალი იაფი მუშახელი. 1907 წლის აღწერით 2 მილიონი «მეპატრონიდან», რომელთაც 1/2 ჰექტარამდე მიწა აქვთ, 624 ათასს აქვს მხოლოდ საბოსტნე მიწა, 361 ათასს აქვს მხოლოდ კარტოფილის ნათესი. ამ 2 მილიონის მთელი სახნავ-სათესი უდრის 247 ათას ჰექტარს, რომლიდანაც ნახევარზე მეტი, სახელდობრ 166 ათასი ჰექტარი, კ ა რ ტ ო ფ ი ლ ს უ ჭ ი რ ა ვ ს. იმ 1 250 ათასი «მეპატრონის» მთელი სახნავ-სათესი, რომელთაც აქვთ 1/2-დან 2 ჰექტარამდე, შეადგენს 976 ათას ჰექტარს, აქედან მ ე ს ა მ ე დ ზ ე მ ე ტ ი — 334 ათასი **ha** — კარტოფილს უჭირავს. ხალხის კვების გაუარესება (პურის შეცვლა კარტოფილით), მუშა-ძალის გაიაფება მეწარმეთათვის, — აი რას მოასწავებს გერმანიის სამი მილიონი სოფლელი «მეპატრონის» «მეურნეობა» ხუთი მილიონიდან.

ამ პროლეტარულ მეურნეობათა დახასიათების დასამთავრებლად დავსძენთ, რომ თითქმის მესამედ მათგანს (1 მილიონს 3,4 მილიონიდან) არა ჰყავს არავითარი პირუტყვი, ორ მესამედს (2,5 მილიონს 3,4 მილიონიდან) არა ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი, 9/10-ზე მეტს (3,3 მილიონს 3,4 მილიონიდან) არა ჰყავს ცხენი. ამ პროლეტარულ მეურნეობათა წილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო ჯამში სრულიად უმნიშვნელოა: მეურნეობათა მთელი რიცხვის 3/5-ს ჰყავს მთელი პირუტყვის 1/10-ზე ნაკლები (2,7 მილიონი სული, 29,4 მილიონი სულიდან, თუ მთელ პირუტყვს გადავიყვანთ მსხვილფეხა პირუტყვზე) და აქვს მთელი სახნავ-სათესის დაახლოებით 1/20 (1,2 მილიონი 24,4 მილიონი ჰექტარიდან).

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენი არევდარევა და სიყალბე შეაქვს საკითხში ისეთ სტატისტიკას, რომელიც 2 ჰექტარამდე მიწის მქონე მეურნეობათა ამ ჯგუფში ურ ე ვ ს მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ პროლეტარებს, რომელთაც არა ჰყავთ

ცხენი, მსხვილფეხა პირუტყვი, და მხოლოდ ბოსტანი ან კარტოფილის მცირე ნათესი მოეპოვებათ, და ათასობით მსხვილ მეპატრონეებს, კაპიტალისტებს, რომლებიც 1 — 2 დესეტინა მიწაზე უძღვებიან მსხვილ მეცხოველეობას ან მებოსტნეობას და სხვა წამოწყებას. ამ ჯგუფში ასეთი მეპატრონეები რომ არიან, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 3,4 მილიონიდან (2 ha-მდე მიწა) 1 5 4 2 8 მეპატრონეს ჰყავს თვითეულს 6 და მეტი მუშა (ოჯახის წევრები და დაქირავებულნი ერთად), ხოლო ყველა ამ 15 ათასს ჰყავს 123 941 მუშა, ე. ი. საშუალოდ 8 მუშა თითო მეურნეობაზე. მუშათა ასეთი რიცხვი, თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ თავისებურებებს, უეჭველად მიუთითებს მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაზე. იმ «მეპატრონეთა» პროლეტარულ მასაში, რომელთაც 2 ha-მდე მიწა აქვთ, მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობანი რომ არიან, ეს მე უკვე აღვნიშნე წინანდელი, 1895 წლის აღწერის მონაცემების საფუძველზე (იხ. ჩემი წიგნი: «აგრარული საკითხი», სპბ, 1908, გვ. 239) *. ამ მსხვილ მეურნეობათა გამოყოფა სავსებით შესაძლებელი იყო როგორც პირუტყვის რაოდენობის, ისე მუშათა რიცხვის მონაცემების მიხედვით, მაგრამ გერმანელი სტატისტიკოსები ამჯობინებენ ასობით გვერდები ½ ჰექტარამდე მიწის მფლობელთა ჯგუფის ხუთი ქვედანაყოფის შესახებ აავსონ მონაცემებით კიდევ უფრო წვრილ ჯგუფებზე მიწის რაოდენობის მიხედვით!

სოციალურ-ეკონომიური სტატისტიკა — სოციალური შეშეცნების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი — ამგვარად იქცევა სიმახინჯედ, სტატისტიკად სტატისტიკისათვის, თამაშად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა უმრავლესობა ანუ მასა რომ ჩია, პარცელურ, პროლეტარულ მეურნეობათა თანრიგს მიეკუთვნება, — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც საერთოა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობისათვის თუ არა, მრავალი ქვეყნისთვის მაინც, მაგრამ არა ყველა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 5, გვ. 119 — 277. რედ.

კაპიტალისტური ქვეყნისათვის. ამერიკაში, მაგალითად, 1900 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ფერმის საშუალო ოდენობა შეადგენს 146,6 აკრს (60 ჰექტარს), ე. ი. $7^1/_2$-ჯერ მეტს, ვიდრე გერმანიაში. უწვრილეს მეურნეობათა რიცხვი კი, თუ მათ მივაკუთვნებთ 20 აკრამდე (8 ha-მდე) მიწის მქონე მეურნეობებს, შეადგენს $^1/_{10}$-ზე ცოტა მეტს (11,8%). 50 აკრამდე (ე. ი. 20 ha-მდე) მიწის მქონე ყველა მეურნეობის რიცხვიც კი საერთო რიცხვის მხოლოდ მესამედს შეადგენს. ამ მონაცემების შესადარებლად გერმანიის მონაცემებთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 3 აკრამდე (= 1,2 ჰექტარს) მიწის მქონე მეურნეობანი ამერიკაში მხოლოდ მაშინ აღირიცხება, როცა მათი საერთო შემოსავალი შეადგენს 500 დოლარს, ე. ი. 3 აკრამდე მიწის მქონე მეურნეობათა უდიდესი მასის რეგისტრაცია სრულებით არ ხდება. ამიტომ გერმანიის მონაცემებიდანაც უნდა გამოვრიცხოთ უწვრილესი მეურნეობანი. თავი დავანებოთ ყველა მეურნეობას 2 ha-მდეც კი: დარჩენილი 2 357 572 მეურნეობიდან 2 — 5 ha-ს მეპატრონე იქნება 1 006 277 მეურნეობა, ე. ი. მეურნეობათა საერთო რიცხვის 40 პროცენტზე მეტი უწვრილესი მეურნეობანია. ამერიკაში საქმე სულ სხვანაირად არის.

ცხადია, როცა არ არსებობს ბატონყმობის ტრადიციები (ან როცა ბატონყმობის ყველა კვალი უფრო გაბედულად არის მოსპობილი), როცა მიწის რენტა ტვირთად არ აწევს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას (ან ის შესუსტებულია), კაპიტალიზმს მიწათმოქმედებაში შეუძლია არსებობდეს და ვითარდებოდეს კიდეც განსაკუთრებული სიჩქარით მოჯამაგირეთა და ნადელის მქონე დღიურ მომუშავეთა მილიონიანი კადრის შეუქმნელად.

III

გლეხური მეურნეობანი კაპიტალიზმის დროს

ჩვენ გლეხურ მეურნეობებს მივაკუთვნეთ ისეთი ჯგუფები, რომლებშიც, ერთი მხრით, მიწათმოქმედთა უმრავლესობას შეადგენენ, დამოუკიდებელი მეპატრონეები, ხოლო, მეო-

რე მხრით — ოჯახის წევრ მუშათა რიცხვი დაქირავებულ მუშათა რიცხვზე მეტია. დაქირავებულ მუშათა აბსოლუტური რიცხვი ასეთ მეპატრონეებთან ძალიან დიდი აღმოჩნდა — 1,6 მილიონი, დაქირავებულ მუშათა მთელი რიცხვის მესამედზე მეტი. ცხადია, «გლეხურ» მეურნეობათა მთელი მასიდან (2,1 მილიონი) ცოტა როდია კაპიტალისტური საწარმონი. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რამდენია დაახლოებით მათი რიცხვი და როგორია მათი მნიშვნელობა, ახლა კი უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ოჯახის წევრ და დაქირავებულ მუშათა შრომის თანაფარდობაზე. ვნახოთ, რამდენად დიდია მუშათა საშუალო რიცხვი ერთ მეურნეობაზე:

	მეურნეობათა ჯგუფები	მუშათა საშუალო რიცხვი ერთ მეურნეობაზე: სულ	ოჯახის წევრნი	დაქირავებულნი
პროლეტარული მეურნეობანი	0,5 ha-მდე	1,3	1,2	0,1
	0,5 — 2 »	1,9	1,7	0,2
გლეხური მეურნეობანი	2 — 5 »	2,9	2.5	0,4
	5 — 10 »	3,8	3,1	0,7
	10 — 20 »	5,1	3,4	1,7
კაპიტალისტური მეურნეობანი	20 — 100 »	7,9	3 2	4,7
	100 და მეტი »	52,5	1,6	50,9
	ს ა ე რ თ ო დ	3,0	2,1	0,9

აქედან ჩვენ ვხედავთ, რამდენად მცირეა საერთოდ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასთან შედარებით, საწარმოთა ოდენობა მუშათა რიცხვის მიხედვით. 50-ზე მეტი დაქირავებული მუშა თითო მეურნეობაზე ჰყავთ მხოლოდ 100 ha-ზე მეტი მიწის მფლობელებს: მათი რიცხვია 23 566, ე. ი. მეურნეობათა მთელი რიცხვის ½ პროცენტზე ნაკლები. მათი დაქირავებული მუშების რიცხვია 1 463 974, ე. ი. ცოტათი ნაკლები, ვიდრე 2 მილიონ გლეხურ მეურნეობას ჰყავს.

გლეხურ მეურნეობათაგან ერთბაშად გამოიყოფა 10 — 20 ha-ს მფლობელი ჯგუფი: აქ საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდის 1,7 დაქირავებული მუშა. თუ გამოვყოფთ მხოლოდ მუდმივ დაქირავებულ მუშებს, დავინახავთ, რომ მათი რიცხვი

ამ ჯგუფის 412 741 მეურნეობაზე (411 940 მეურნეობა, განაწილებული მუშათა რიცხვის მიხედვით) შეადგენს 412 702-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთ საწარმოს ვერ გააქვს თავი ისე, თუ მ უ დ მ ი ვ ა დ არ გამოიყენა დაქირავებული შრომა. აი რატომ გამოვყოფთ ჩვენ ამ ჯგუფს როგორც «გროსბაუერებს», როგორც მსხვილ-გლეხურ მეურნეობებს ანუ გლეხურ ბურჟუაზიას. ჩვეულებრივ ამათ მიაკუთვნებდნენ 20 და მეტი ჰექტარის მფლობელთ, მაგრამ 1907 წლის აღწერამ ცხადყო, რომ დაქირავებული შრომის გამოყენება მიწათმოქმედებაში უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ საზღვარი, საიდანაც იწყება დაქირავებული შრომის მუდმივი გამოყენება, მნიშვნელოვნად უნდა იქნას გადაწეული ქვევით.

შემდეგ, ოჯახის წევრ და დაქირავებულ მუშათა შრომის თანაფარდობის განხილვისას ჩვენ ვხედავთ, რომ პროლეტარულ და გლეხურ მეურნეობებში ოჯახის წევრ მუშათა საშუალო რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს დაქირავებულ მუშათა რიცხვის ზრდის პარალელურად, კაპიტალისტურ მეურნეობებში კი ოჯახის წევრ მუშათა რიცხვი კ ლ ე ბ ა ს იწყებს დაქირავებულ მუშათა რიცხვის გადიდების დროს. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, რაც ადასტურებს იმ ჩვენი დასკვნის სისწორეს, რომ 20 ჰექტარზე მეტი მიწის მქონე მეურნეობანი მიეკუთვნებიან კაპიტალისტურ მეურნეობებს, რომლებშიც არა მარტო დაქირავებულ მუშათა რიცხვი აღემატება ოჯახის წევრ მუშათა რიცხვს, არამედ ოჯახის წევრ მუშათა საშუალო რიცხვიც 1 მეურნეობაზე უ ფ რ ო ნ აკ ლ ე ბ ი ა, ვიდრე გლეხთა შორის.

რუსულ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია, ჯერ კიდევ მარქსისტებისა და ნაროდნიკების დავის დასაწყისს, დადგენილ იქნა, საერობო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, რომ გლეხურ მეურნეობაში ოჯახური კოოპერაცია წარმოადგენს ბაზას კაპიტალისტური კოოპერაციის შესაქმნელად, ე. ი. წელმაგარი გლეხური მეურნეობანი, რომლებიც გამოირჩევიან ოჯახის წევრ მუშათა განსაკუთრებით დიდი რიცხვით,

იქცევიან კაპიტალისტურ მეურნეობებად, სულ უფრო და უფრო მეტი ოდენობით იყენებენ რა დაქირავებულ შრომას. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანული სტატისტიკა ადასტურებს ამ ფაქტს გერმანიის მთელი მიწათმოქმედებისათვის.

ავიღოთ გერმანიის გლეხური მეურნეობანი. ერთად აღებულნი, ისინი პროლეტარულ მეურნეობათაგან განსხვავდებიან ისე, როგორც ოჯახურ კოოპერაციაზე (2,5 — 3,4 ოჯახის წევრი მუშა მეურნეობაზე) დაფუძნებული საწარმოები განსხვავდებიან მარტოხელათა საწარმოებისაგან. პროლეტარულ მეურნეობებს უნდა ეწოდოს მარტოხელათა მეურნეობანი, რადგან საშუალოდ ერთ მეურნეობაზე ორი მუშაც კი არ მოდის. გლეხურ მეურნეობათა შორის კი კონკურენციაა იმისთვის, თუ ვინ უფრო მეტ დაქირავებულ მუშას მიიზიდავს: რაც უფრო დიდია გლეხური მეურნეობის ოდენობა, მით უფრო მეტია ოჯახის წევრ მუშათა რიცხვი და მ ი თ უ ფ რ ო ჩ ქ ა რ ა მატულობს დაქირავებულ მუშათა რიცხვი. მსხვილი გლეხური მეურნეობანი ერთნახევარზე ნაკლებად სჭარბობენ წვრილ გლეხურ მეურნეობებს (2 — 5 ha) ოჯახის წევრ მუშათა რიცხვით, მაგრამ ოთხჯერ და მეტად სჭარბობენ მათ დაქირავებულ მუშათა რიცხვით.

ჩვენ აქ ვხედავთ საზოგადოდ წვრილ მეპატრონეთა, კერძოდ კი წვრილ გლეხთა კლასსა და დაქირავებულ მუშათა კლასს შორის არსებული იმ ძირითადი განსხვავების ზუსტ, სტატისტიკურ, დადასტურებას, რომელსაც მარქსისტები ყოველთვის აღნიშნავენ და რომელიც ბურჟუაზიულ ეკონომისტებსა და რევიზიონისტებს ვერასგზით ვერ შეუთვისებიათ. სასაქონლო მეურნეობის მთელი ვითარება იმას იწვევს, რომ წვრილ გლეხებს არ შეუძლიათ იარსებონ ისე, თუ არ იბრძოლეს თავისი საწარმოს განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, ეს ბრძოლა კი ნიშნავს ბრძოლას სხვისი მუშა-ძალის გამოყენების გასადიდებლად და ასეთი გამოყენების გასაიაფებლად. აი რატომ არის, რომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში წვრილ გლეხთა მთელი მასა, რომელთაგან სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა ახერხებს «კაცი გახდეს», ე. ი.

ნამდვილი კაპიტალისტი გახდეს, კაპიტალისტური ფსიქოლოგიით იმსჭვალება და პოლიტიკაში მსხვილ მემამულეებს მიყვება. ბურჟუაზიული ეკონომისტები (მათ კვალდაკვალ კი რევიზიონისტებიც) ხელს უწყობენ ამ ფსიქოლოგიას; მარქსისტები განუმარტავენ წვრილ გლეხებს, რომ მათთვის არ არის სხვა ხსნა, გარდა დაქირავებულ მუშებთან შეერთებისა.

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე 1907 წლის აღწერის მონაცემები მუდმივი და დროებითი მუშების რიცხვის თანაფარდობის შესახებ. საერთოდ და მთლიანად უკანასკნელთა რიცხვი შეადგენს საერთო რიცხვის ზუსტად მესამედს: 5 053 726-ს 15 169 549-დან. დაქირავებული მუშებიდან დროებითი მუშაა 45%, ოჯახის წევრი მუშებიდან — 29%. მაგრამ სხვადასხვა ტიპის მეურნეობებში ეს თანაფარდობა არსებითად იცვლება. აი მონაცემები ჩვენ მიერ მიღებული ჯგუფების მიხედვით:

მეურნეობათა ჯგუფები		დროებითი მუშების პროცენტი მუშათა საერთო რიცხვის მიქაოთ		
		ოჯახის წევრნი	დაქირავებულნი	სულ
I	0,5 ha-მდე	55	79	58
	0,5 — 2 »	39	78	45
II	2 — 5 »	22	68	29
	5 — 10 »	11	54	24
	10 — 20 »	14	42	23
III	20 — 100 »	14	32	25
	100 და მეტი »	11	33	32
	საშუალოდ	29	45	33

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ პროლეტარულ მეურნეობებში, რომელთაც ½ ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვთ (სულ ასეთი მეურნეობა 2,1 მილიონია!), დროებითი მუშები როგორც ოჯახის წევრ, ისე დაქირავებულ მუშათა შორის შეადგენენ ნახევარზე მეტს. ეს არის უმთავრესად დამხმარე მეურნეობანი, რასაც მათი მფლობელნი მხოლოდ დროებით ეწევიან. იმ პროლეტარულ მეურნეობებშიც, რომელთაც 0,5 — 2 ჰექტარი მიწა აქვთ, დროებითი მუშების პროცენტი ძალიან მა-

ღალია. მეურნეობის ოდენობის გადიდების შესაბამისად, ეს პროცენტი კლებულობს — ოღონდ ერთი გამონაკლისით. სახელდობრ, უმსხვილეს კაპიტალისტურ მეურნეობათა დაქირავებულ მუშებს შორის ეს პროცენტი ცოტათი მატულობს, ხოლო რადგან ოჯახის წევრ მუშათა რიცხვი ამ ჯგუფში სრულიად უმნიშვნელოა, ამიტომ დროებითი მუშების პროცენტი ყველა მუშათა შორის მნიშვნელოვნად მატულობს — 25-დან 32 პროცენტამდე.

განსხვავება გლეხურ და კაპიტალისტურ მეურნეობათა შორის დროებითი მუშების საერთო რიცხვის მიხედვით არცთუ ძალიან დიდია. განსხვავება ოჯახის წევრ და დაქირავებულ მუშებს შორის ყველა მეურნეობაში ძალიან მნიშვნელოვანია, და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ოჯახის წევრ დროებითს მუშებს შორის, როგორც ახლა დავინახავთ, განსაკუთრებით მაღალია ქალთა და ბავშვთა პროცენტი, მაშინ ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდება. მაშასადამე, დაქირავებული მუშები ყველაზე უფრო მოძრავი ელემენტია...

IV

ქალთა და ბავშვთა შრომა მიწათმოქმედებაში

...ეწევიან სოფლის მეურნეობას. გლეხურ მეურნეობაში, საზოგადოდ რომ ითქვას, აგრეთვე ქალთა შრომა სჭარბობს, და მხოლოდ მსხვილ-გლეხურ და კაპიტალისტურ საწარმოებში შეადგენენ მამაკაცები უმრავლესობას.

დაქირავებულ მუშათა შორის ქალები საზოგადოდ ნაკლებ წილს შეადგენენ, ვიდრე ოჯახის წევრ მუშათა შორის. ცხადია, კაპიტალისტური მიწათმოქმედნი ყველა ჯგუფში მიეკუთვნებიან იმ მეპატრონეთა რიცხვს, რომლებიც თავის თავს უზრუნველყოფენ საუკეთესო მუშა-ძალით. თუ ვივარაუდებთ, რომ მამაკაცთა მიმართ ქალთა სიჭარბე არის მეპატრონის გაჭირვებული მდგომარეობისა და მეურნეობის არადამაკმა-

ყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი საზომი, მეურნეობისა, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს ნაუკეთესო მუშახელი (ასეთი ვარაუდი კი აუცილებლად გამომდინარეობს ყველა მონაცემიდან ქალ...

V

შრომის განიავება წვრილ წარმოებაში

VI

თანამედროვე მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი

VII

შრომის დაბალი ნაყოფიერება წვრილ წარმოებაში და მეტისმეტი მუშაობა

სოფლის მეურნეობაში მანქანების გამოყენების მონაცემთა მნიშვნელობას ეკონომიურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ საკმაოდ არ აფასებენ. ჯერ-ერთი, ძალიან ხშირად (ყოველთვის, თუ ლაპარაკია ბურჟუაზიული ეკონომისტის შესახებ) უგულებელყოფენ მანქანების გამოყენების კაპიტალისტურ ხასიათს, არ იკვლევენ შესაბამის საკითხს, უნარი არა აქვთ ან არც კი სურთ დ ა ა ყ ე ნ ო ნ ის. მეორეც, მანქანების გამოყენებას განიხილავენ იზოლირებულად და არა როგორც მეურნეობის სხვადასხვა ტიპის, კულტურის სხვადასხვა წესის, მეურნეობის სხვადასხვა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი პირობების მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ს.

თუ ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, როგორც საერთო წესს, მანქანების შეუდარებლად უფრო მეტ გამოყენებას მსხვილ წარმოებაში წვრილ წარმოებასთან შედარებით და მანქანების უდიდეს კონცენტრაციას კაპიტალისტურ მეურნეობებში, ხოლო ზოგჯერ გაუმჯობესებული იარაღების თითქმის მონოპოლიზაციასაც კი კაპიტალისტურ მეურნეობათა მიერ, ეს მიუთითებს მ ი წ ი ს მ ო ვ ლ ა-პ ა ტ რ ო ნ ო ბ ი ს გ ა ნ-

სხვავებაზე სხვადასხვა ტიპის მეურნეობებში. გერმანიის აღწერით რეგისტრირებულ მანქანებში აღნიშნულია ისეთები, როგორიცაა ორთქლის გუთნები, მწკრივად სათესები, კარტოფილის სარგავი მანქანები. მათი გამოყენება უმთავრესად კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში იმას ნიშნავს, რომ აქ მიწის მოვლა-პატრონობა უკეთესია, დამუშავების ტექნიკა უფრო მაღალია, შრომის ნაყოფიერება მეტია. სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესახებ ცნობილი მონოგრაფიის ავტორმა, ბენზინგმა [125], სხვადასხვა მანქანის გამოყენების ცდების შესახებ სპეციალისტთა მონაცემების საფუძველზე გამოიანგარიშა, რომ მემინდვრეობის სისტემის შეუცვლელადაც კი მანქანების გამოყენება, ცალკე აღებული, ათეულჯერ ადიდებს მეურნეობის წმინდა შემოსავლიანობას. ეს გამოანგარიშებანი არავის არ გაუბათილებია და თავის საფუძველში ისინი არც შეიძლება გაბათილებულ იქნან.

წვრილი მწარმოებელი, რომელსაც გაუმჯობესებული იარაღების გამოყენების შესაძლებლობა არა აქვს, იძულებულია ჩამორჩეს მიწის მოვლა-პატრონობაში, ხოლო მსხვილ მეპატრონეს ძველი იარაღების შენარჩუნებისას მიწაში მეტი შრომის დაბანდების გზით, «მუყაითობის» გადიდებისა და სამუშაო დღის გახანგრძლივების გზით შეიძლება «დაეწიონ» მხოლოდ ერთეულები და ათეულები ასეულებიდან და ათასეულებიდან. მაშასადამე, მანქანების გამოყენების სტატისტიკა მიუთითებს წვრილ წარმოებაში მეტისმეტი შრომის სწორედ იმ ფაქტზე, რომელსაც ყოველთვის ხაზს უსვამენ მარქსისტები. ვერავითარი სტატისტიკა ვერ შესძლებს პირდაპირ აღრიცხოს ეს ფაქტი, მაგრამ თუ სტატისტიკის მონაცემებს განვიხილავთ მათი ეკონომიური მნიშვნელობის მიხედვით, ნათელი გახდება, მეურნეობის რა ტიპები უნდა ყალიბდებოდეს, არ შეიძლება არ ყალიბდებოდეს, თანამედროვე საზოგადოებაში მანქანების გამოყენებისას და მათი გამოყენების შეუძლებლობის დროს.

ნათქვამის ილუსტრაციას გვაძლევს უნგრეთის სტატისტიკა. გერმანიის 1907 წლის (აგრეთვე 1882 და 1895 წლების) აღწერის მსგავსად, მანქანების გამოყენების დანიის 1907 წლის სტატისტიკის მსგავსად, საფრანგეთის 1909 წლის ანკეტის მსგავსად, უნგრეთის 1895 წლის აღწერა, რომელმაც პირველად შეკრიბა ზუსტი მონაცემები მთელ უნგრეთში, ცხადყოფს კაპიტალისტური მიწათმოქმედების უპირატესობას, მანქანების მქონე მეურნეობათა პროცენტის გადიდებას მეურნეობის ოდენობის გადიდების კვალობაზე. ამ მხრივ, აქ ახალი არაფერია, არამედ არის მხოლოდ გერმანიის მონაცემების დადასტურება. მაგრამ უნგრეთის სტატისტიკის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ცნობები შეკრებილია არა მარტო მცირეოდენი გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების შესახებ, არამედ მ თ ე ლ ი, ან თითქმის მთელი, მკვდარი ინვენტარის შესახებ, უმარტივესი და უსაჭიროესი იარაღების, გუთნების, ფარცხების, ფორნებისა და სხვათა რიცხვის შესახებ.

ასეთი განსაკუთრებით დაწვრილებითი მონაცემების მეოხებით შესაძლებელი ხდება ზუსტად იქნას დადგენილი ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და ტექნიკის «იშვიათობათა» (როგორიცაა ორთქლის გუთნები) გამოყენების შესახებ მიღებული ცნობების საჩვენებელი, ასე ვთქვათ, მეურნეობის მთელი წყობილების დამახასიათებელი, მნიშვნელობა. ავიღოთ უნგრეთის სტატისტიკის * მონაცემები გუთნების გამოყენების შესახებ გარდა ორთქლის გუთნებისა

* იხ. «Landwirtschaftliche Statistik der Länder der ungarischen Krone». Budapest («უნგრეთის სამეფოს მიწების სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა». ბუდაპეშტი. რ ე დ.), 1900. ტომი მე-4 და მე-5. უნგრეთის სტატისტიკა ყველა მეურნეობას ჰყოფს 4 მთავარ ჯგუფად: 1) ჩია მეურნეობანი (5 იოხამდე; იოხი = 0,57 ჰექტარს); 2) წვრილი მეურნეობანი (5 — 100 იოხი); 3) საშუალო (100 — 1 000 იოხი) და 4) მსხვილი (1 000 იოხზე მეტი) მეურნეობანი. ცხადია, რომ მეორე ჯგუფი შეიცავს სულ სხვადასხვაგვარ მეურნეობებს, და ამიტომ მე მომყავს მისი ოთხი ქვედანაყოფი.

(რომლებიც 1895 წელს მთელ უნგრეთში იყო სულ 179, მათგან 120 გუთანი — 3 977 უმსხვილეს მეურნეობაში).

აი მონაცემები გუთნების მ თ ე ლ ი რიცხვისა და ყველა ამგვარ იარაღთა შორის უმარტივესი, ყველაზე უფრო პრიმიტიული, ყველაზე ნაკლებად მტკიცე იარაღების შესახებ (უმარტივესთ მიეკუთვნება ერთსახნისიანი, ხის რვილიანი გუთნები; სხვები: იგივე რკინის რვილით, შემდეგ — 2 და 3-სახნისიანები, კულტივატორები, მიწის შემომყრელები, გუთნები ღრმად ხვნისთვის).

მეურნეობათა ჯგუფები	მეურნეობათა რიცხვი (სულ)	გუთნების რიცხვი (სულ)	მათ შორის უმარტივესი
ჩია (5 იოხამდე)	1 459 893	227 241	196 852
5 — 10 იოხი	569 534	325 885	290 958
10 — 20 »	467 038	398 365	329 416
20 — 50 »	235 784	283 285	215 380
50 — 100 »	38 862	72 970	49 312
სულ წვრილი მეურნეობანი	1 311 218	1 090 505	885 066
საშუალო (100—1 000 იოხი)	20 797	125 157	55 347
მსხვილი (1 000 იოხზე მეტი)	3 977	149 750	51 565
ს უ ლ	2 745 885	1 592 653	1 188 830

ჩია მეურნეობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენ ვხედავთ, რომ წვრილ გლეხურ (5 — 10 იოხი, ე. ი. 2,8 — 5,7 **ha**) მეურნეობებში 233 ათასს 569 ათასიდან სრულიად არ გააჩნია გუთნები, საშუალო გლეხურ მეურნეობებში — 69 ათასს 467 ათასიდან. მხოლოდ უმაღლესი ჯგუფები, ე. ი. მსხვილი გლეხური და კაპიტალისტური მეურნეობანი არიან უზრუნველყოფილი გუთნებით, ამასთან უფრო გაუმჯობესებული იარაღები ს ჭ ა რ ბ ო ბ ს მხოლოდ იმ მეურნეობებში, რომელთაც 100 იოხზე მეტი მიწა აქვთ (ასეთი მეურნეობაა მხოლოდ 25 ათასი=მთელი რიცხვის 0,9%!). გლეხურ მეურნეობებში სჭარბობს (და რაც უფრო წვრილია მეურნეობა, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს სიჭარბე) უმარტივესი, ყვე-

ლაზე ნაკლებად მტკიცე იარაღები, რომელთა ნამუშევარი ყველაზე უარესია.

თუ განზე გადავდებთ ჩია მეურნეობებს, რომლებიც ყველა მეურნეობის უმრავლესობას (52%) შეადგენენ, მაგრამ ფართობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი (7%) უჭირავთ, მივიღებთ ასეთ დასკვნას:

მილიონზე მეტი წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობა (5 — 20 იოხი) არასაკმაოდ არის უზრუნველყოფილი ნიადაგის დასამუშავებელი უმარტივესი იარაღებითაც კი.

მეოთხედი მილიონი მსხვილი გლეხური მეურნეობა (20 — 100 იოხი) გვარიანად არის უზრუნველყოფილი უმარტივესი იარაღებით. და მხოლოდ 25 ათასი კაპიტალისტური მეურნეობა (რომელთაც აქვთ, მართალია, მიწის მთელი ფართობის 55%) სავსებით უზრუნველყოფილია გაუმჯობესებული იარაღებით.

მეორე მხრით, უნგრეთის სტატისტიკა ანგარიშობს, რამდენი იოხი სახნავ-სათესი მოდის ერთ სამიწათმოქმედო იარაღზე და ასეთ ციფრებს ღებულობს (მოვიყვანთ მონაცემებს მხოლოდ გუთნების, ფარცხებისა და ფორნების შესახებ და შევნიშნავთ, რომ მეურნეობათა შორის მათი განაწილების სურათი სავსებით ისეთივეა, როგორიც გუთნების მიმართ ვნახეთ).

	მოდის სახნავ-სათესი იოხი		
მეურნეობანი	1 გუთანზე	1 ფარცხზე	1 ფორანზე
ჩია	7	8	7
წვრილი	12	13	15
საშუალო	27	45	40
მსხვილი	28	61	53

ეს ნიშნავს, რომ ყველა სამიწათმოქმედო იარაღით სრულიად არადამაკმაყოფილებლად უზრუნველყოფილ პროლეტარულ და გლეხურ მეურნეობებს ეს იარაღები, ამ მეურნეობათა სახნავი მიწის მთელ რაოდენობასთან შედარებით, ძალიან ბევრი აქვთ. ღატაკური

უზრუნველყოფა იარაღებით და მათი შენახვის აუტანელი სიძვირე — ასეთია წვრილი წარმოების ხვედრი კაპიტალიზმის დროს. სავსებით ასევე, ყოველი დიდი ქალაქის ბინების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დაბალი კლასები, მუშები, წვრილი ვაჭრები, წვრილი მოსამსახურენი და სხვები, ყველაზე უარესად ცხოვრობენ, ყველაზე ვიწრო და ცუდი ბინები აქვთ და ყ ვ ე ლ ა ზ ე ძ ვ ი რ ს იხდიან 1 კუბურ ფუტში. სივრცის ერთეულზე გაანგარიშებით საფაბრიკო ყაზარმის ან ღარიბთა ქოხმახების ბინები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მშვენიერი ბინები სადმე ნევის პროსპექტზე.

აქედან გერმანიის მიმართაც და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მიმართაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა. თუ თითო-ოროლა გაუმჯობესებული იარაღისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის გამოყენების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მათი გამოყენება იზრდება მეურნეობის სიდიდის ზრდასთან ერთად, ეს იმას ნიშნავს, რომ წვრილი წარმოება მიწათმოქმედებაში ცუდად არის უზრუნველყოფილი ყ ვ ე ლ ა აუცილებელი იარაღით. ეს ნიშნავს, რომ წვრილ წარმოებაში შეერთებულია ცუდი და მოძველებული, მხოლოდ ნამცეცა მეურნეობისათვის გამოსადეგი უთვალავი იარაღების შესანახად საჭირო შ რ ო მ ის გ ა ნ ი ა ვ ე ბ ა და მ ძ ი მ ე გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ა, რომელიც გლეხს აიძულებს წელში წყდებოდეს იმისათვის, რომ როგორმე გაიტანოს თავი თავისი მიწის ნაჭერზე ამ მოძველებული, ბარბაროსული იარაღებით.

აი რაზე ლაპარაკობენ ესოდენ მარტივი და ყველასათვის ესოდენ ნაცნობი მონაცემები სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შესახებ, თუ ჩავუკვირდებით ამ მონაცემების საზოგადოებრივ-ეკონომიურ მნიშვნელობას.

კაპიტალიზმი ამაღლებს მიწათმოქმედების ტექნიკას და წინ სწევს მიწათმოქმედებას, მაგრამ მას არ შეუძლია გააკეთოს ეს სხვანაირად, თუ არა წვრილ მწარმოებელთა მასის გაჩანაგებით, დაბეჩავებითა და გასრესით.

იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავასურათოთ ამ პროცესის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ტემპი, დასასრულ

ერთმანეთს შევადაროთ გერმანიის სამი — 1882, 1895 და 1907 წლების — აღწერის მონაცემები. ასეთი შედარებისათვის საჭირო იქნება ავიღოთ მონაცემები იმ ხუთი სასოფლო-სამეურნეო მანქანის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი ს შესახებ, რომელთა რეგისტრაციაც ხდებოდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (ეს მანქანებია: ორთქლის გუთნები, სათესები, სათიბი და სამკალი მანქანები, ორთქლისა და სხვა სალეწები). ვღებულობთ ასეთ სურათს:

	მეურნეობათა ჯგუფები	ას მეურნეობაზე მოდის უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შემთხვევათა რიცხვი		
		1882	1895	1907
I	2 ha-მდე	0,5	1,6	3,8
II	2 — 5 »	3.9	11,9	31,2
	5 — 10 »	13,5	32,9	71,1
	10 — 20 »	31,2	60,8	122,1
III	20 — 100 »	59,2	92,0	179,1
	100 და მეტი »	187,1	208,9	271.9
	საშუალოდ	8,7	16,6	33,9

პროგრესი თითქოს მნიშვნელოვანია: მეოთხედი საუკუნის მანძილზე უმთავრესი მანქანების გამოყენების შემთხვევათა რიცხვი, საერთოდ, თითქმის ოთხჯერ გადიდდა. მაგრამ, გულდასმით თუ ჩავუკვირდებით, უნდა ვთქვათ: საჭირო შეიქნა მთელი მეოთხედი საუკუნე იმისათვის, რომ ხუთი უმთავრესი მანქანიდან თუნდაც ერთი მანქანის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარიყო იმ მეურნეობათა პატარა უმცირესობისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დაქირავებული შრომა მუდმივად არ გამოიყენონ. რადგან ჩვეულებრივი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ გამოყენებას, როდესაც გამოყენების შემთხვევათა რიცხვი აღემატება მეურნეობათა რიცხვს, ამას კი ჩვენ ვხედავთ მხოლოდ კაპიტალისტურ და მსხვილ-გლეხურ მეურნეობათა მიმართ. ერთად აღებულნი, ისინი შეადგენენ მეურნეობათა მთელი რიცხვის 12 პროცენტს.

წვრილ და საშუალო გლეხთა მასა, კაპიტალისტური პროგრესის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ისეთ მდგომარეობაში დარჩა, რომ მხოლოდ პირველთა ერთ მესამედს და მეორეთა ორ მესამედს შეუძლია წლის განმავლობაში გამოიყენოს რომელიმე მანქანა ამ ხუთი მანქანიდან.

(1-ლი სტატიის დასასრული)

შენიშვნები

1 რ ს დ მ პ ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს (დ ე კ ე მ ბ რ ი ს) კ ონ-ფ ე რ ე ნ ც ი ა (რსდმპ მეხუთე კონფერენცია) შედგა პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის 3 — 9 იანვარს). მას ესწრებოდა 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით: 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. რსდმპ ც. კ-ის წარმომადგენელი იყო ლენინი. ლენინი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», აგრეთვე სიტყვებით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე. კონფერენციაზე ბოლშევიკები ბრძოლას ეწეოდნენ ოპორტუნიზმის ორი სახეობის წინააღმდეგ პარტიაში: ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ. ლენინის წინადადებით კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორობა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა პარტიის ლიკვიდაციის ცდების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეფასება იხ. ლენინის სტატიებში «გზაზე» და «ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 418 — 431; 554 — 564). — **1.**

2 «გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში, შემდეგ პარიზში — 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე. — **1.**

3 «დ ნ ე ვ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც სცემდა გ. ვ. პლეხანოვი; გამოდიოდა ჟენევაში დიდი დროგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი. — **1.**

4 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური გაზეთი, რომელიც დააარსეს ბოლშევიკებმა პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ. გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლე-

ტარს» ეწოდებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების ორგანო, ერთხანს კი აგრეთვე — მოსკოვის საოლქო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანოც. ფაქტიურად «პროლეტარი» ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო იყო. გამოვიდა გაზეთის 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში (ვიბორგში). 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში, 1909 წლის 8 (21) იანვრიდან 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) — პარიზში. გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» თვალსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. — 2.

5 «პ რ ა ვ დ ა» (ვენისა) — მენშევიკური გაზეთი; ტროცკის ფრაქციული ორგანო; გამოდიოდა 1908 — 1912 წლებში ვენაში (ავსტრია). ამ გაზეთს, რომელიც «უფრაქციობის» ნიღაბს იფარებდა, ყველა ძირითად საკითხში ეჭირა ლიკვიდატორული პოზიცია, აგრეთვე ის მხარს უჭერდა ოტზოვისტებსა და ულტიმატისტებს. 1912 წელს ტროცკი და მისი «პრავდა» იყვნენ ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკის ორგანიზატორები. — 3.

6 ს. — სილიბისტრო ჯიბლაძე — ქართველი მენშევიკ-ლიკვიდატორი. — 3.

7 გ. ვ. პლეხანოვი შედიოდა მენშევიკური ორგანოს — «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის შემადგენლობაში. «გოლოსის» ევოლუციამ ლიკვიდატორობის მიმართულებით გამოიწვია პლეხანოვის უთანხმოება რედაქციასთან. 1908 წლის დეკემბერში პლეხანოვმა ფაქტიურად შეწყვიტა თავისი მონაწილეობა «გოლოსში» და განაცხადა თავისი გასვლის შესახებ ჯერ ხუთტომეულის რედაქციიდან — «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში», რომელსაც სცემდნენ ლიკვიდატორები, შემდეგ კი — «გოლოსის» რედაქციიდანაც. ფორმალურად პლეხანოვი ლიკვიდატორული «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციიდან გავიდა 1909 წლის 13 (26) მაისს. — 4.

8 რ ს დ მპ მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ო ლ ქ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ს ი ი ს ღ ი ა წ ე რ ი ლ ი (დათარიღებულია 1909 წლის 17 (30) აგვისტოთი) დაწერილ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ გამოაშკარავდა კაპრის სკოლის ანტიპარტიულობა და ფრაქციული ხასიათი. აღმასრულებელი კომისია «წერილში» მოაგონებდა მსმენელთა ვალდებულებას მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ მოსკოვის

საოლქო კომიტეტთან და მოითხოვდა სრულ ანგარიშს სკოლის საქმიანობის შესახებ. «წერილი» დაიბეჭდა «პროლეტარის» 1909 წლის 5 (18) სექტემბრის 47 — 48-ე ნომერში ლენინის შენიშვნასთან ერთად: «რედაქციისაგან».

კაპრის სკოლა — ფრაქციული ცენტრი ოტზოვისტების, ულტიმატისტების და ღვთისმშენებლებისა, რომლებიც გაერთიანდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; სკოლა შექმნეს 1909 წელს ა. ბოგდანოვმა (მაქსიმოვმა), ალექსინსკიმ და ლუნაჩარსკიმ მ. გორკის მონაწილეობით კუნძულ კაპრიზე (იტალია). პარტიულობის ბაირაღით შენიღბულმა ბოგდანოველებმა მიაღწიეს იმას, რომ ზოგიერთ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას სკოლაში გაეგზავნა 13 მსმენელი. სკოლა არსებობდა დაახლოებით 4 თვეს (აგვისტო — დეკემბერი). ნოემბერში მსმენელთა შორის მოხდა განხეთქილება: მათი ნაწილი, მუშა ნ. ე. ვილონოვის მეთაურობით, გადაჭრით გაემიჯნა ბოგდანოველებს. მსმენელმა-ლენინელებმა გაზეთ «პროლეტარის» რედაქციაში გაგზავნეს პროტესტი ლექტორების ანტიპარტიული საქციელის წინააღმდეგ, რისთვისაც ეს მსმენელები სკოლიდან გარიცხეს. 1909 წლის ნოემბრის დამლევს (დეკემბრის დამდეგს) ვ. ი. ლენინის მიწვევით ისინი ჩავიდნენ პარიზში და მოისმინეს ლექციების ციკლი, მათ შორის ლენინის ლექციები: «თანამედროვე შომენტი და ჩვენი ამოცანები», «სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა». კაპრიზე დარჩენილმა მსმენელთა ნაწილმა ლექტორებთან ერთად 1909 წლის დეკემბერში შექმნა ანტიპარტიული ჯგუფი «ვპერიოდ».

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაგმო კაპრის სკოლა როგორც «ბოლშევიკებისგან ჩამოშორებული ფრაქციის ახალი ცენტრი». — **11.**

9 1909 წლის 21 სექტემბრისთვის (4 ოქტომბრისთვის) პეტერბურგში დანიშნული იყო III სახელმწიფო სათათბიროს დამატებითი არჩევნები ნაცვლად სათათბიროს შემადგენლობიდან გარიცხულ პეტერბურგის დეპუტატ კადეტ ა. მ. კოლუბაკინისა. — **13.**

10 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **15.**

11 «ვ ე ხ ი» — კადეტური კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე; კრებულში მოთავსებული იყო ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლების სტატიები. სტატიებში

რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; ლაფში სვრიდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უხდიდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ მან «თავისი ხიშტებითა და ციხეებით» იხსნა ბურჟუაზია «ხალხის რისხვისაგან». კრებული ინტელიგენციას მოუწოდებდა თვითმპყრობელობისადმი სამსახურისაკენ. ლენინი «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა ს», იმ «რეაქციული სიბინძურის მთელ ნიაღვარს, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს» (იხ. ეს ტომი, გვ. 145 — 156). — **17.**

12 გამოთქმა «მისი უდიდებულესობის ოპოზიცია» ეკუთვნის კადეტური პარტიის ლიდერს პ. მილიუკოვს. ლონდონის ლორდ-მერთან გამართულ საუზმის დროს წარმოთქმულ სიტყვაში, 1909 წლის 19 ივნისს (2 ივლისს), მილიუკოვმა განაცხადა: «ვიდრე რუსეთში არსებობს საკანონმდებლო პალატა, რომელიც კონტროლს უწევს ბიუჯეტს, რუსეთის ოპოზიცია დარჩება მისი უდიდებულესობის ოპოზიციად და არა ოპოზიციად მისი უდიდებულესობისადმიო» [«რეჩ» № 167, 1909 წლის 21 ივნისი (4 ივლისი)]. — **17.**

13 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» გ ა ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს თ ა თ ბ ი რ ი შედგა პარიზში 1909 წლის 8 — 17 (21 — 30) ივნისს. თათბირში მონაწილეობა მიიღეს (რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მიერ 1907 წელს არჩეული) ბოლშევიკური ცენტრის 9 წევრმა ლენინის მეთაურობით, პეტერბურგის, მოსკოვის საოლქო და ურალის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. თათბირი მოწვეულ იქნა ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების ანტიპარტიული პოზიციის განსახილველად; ჩატარდა ლენინის ხელმძღვანელობით. ლენინი გამოვიდა სიტყვებით დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე. თათბირზე ოტზოვიზმსა და ულტიმატიზმს იცავდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი), ვ. შანცერი (მარატი). თვალთმაქცური პოზიცია ეჭირათ კამენევს, ზინოვიევს, რიკოვს, ტომსკის. თათბირმა დაგმო ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი როგორც «ლიკვიდატორობა მარცხნიდან». მან აგრეთვე დაგმო ღვთისმშენებლობა და დაადგინა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ მის წინააღმდეგ, ემხილებინათ მისი ანტიმარქსისტული ხასიათი. ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის სულისჩამდგმელი, ბოგდანოვი, გარიცხულ იქნა ბოლშევიკების რიგებიდან. — **20.**

14 განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ გერმანიაში შემოიღეს 1878 წელს. ამ კანონით აკრძალეს ყველა სოციალ-დემოკრატიული და მასობრივი მუშათა ორგანიზაცია, დახურეს მუშათა პრესა, აკრძალეს სოციალისტური ლიტერატურა. მასობრივი მუშათა მოძრაობის შეტევის შედეგად კანონი გაუქმებულ იქნა 1890 წელს. — **22.**

15 1907 წლის ივლისის კონფერენცია — რსდმპ მესამე («საერთო-რუსეთის მეორე») კონფერენცია; შედგა 1907 წლის 21 — 23 ივლისს (3 — 5 აგვისტოს) ფინეთში (კოტკა). კონფერენციას ესწრებოდა 26 დელეგატი: 9 ბოლშევიკი, 5 მენშევიკი, 5 პოლონელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი, 5 ბუნდელი. კონფერენცია მოწვეულ იქნა სამი ივნისის გადატრიალებასა და III სახელმწიფო სათათბიროს მოწვევასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. სათათბიროს ბოიკოტის წინააღმდეგ კონფერენციაზე გამოდიოდა ლენინი. ბოიკოტის მომხრეთაგან მომხსენებელი იყო ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი). ხმების უმრავლესობით კონფერენციამ მიიღო ლენინის რეზოლუცია. — **32.**

16 ვ ს ე ვ. (ვსევოლოდი) — ოტზოვისტ ვ. პ. დენისოვის ფსევდონიმი. — **35.**

17 ს ტ ა ნ. (სტანისლავი) — ოტზოვისტი ა. ვ. სოკოლოვი (ვოლსკი), კაპრისა და ბოლონიის ანტიპარტიული სკოლების ერთ-ერთი ორგანიზატორი. — **35.**

18 «რ ა ბ ო ჩ ე ე ზ ნ ა მ ი ა» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1908 წლის მარტიდან დეკემბრამდე; გამოვიდა 7 ნომერი. მე-5 ნომრით დაწყებული, გაზეთის ფურცლებზე დაიწყო დისკუსია სათათბიროსადმი და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისადმი დამოკიდებულების საკითხზე. ამ ნომერში დაიბეჭდა ოტზოვისტის სტატია — «მუშის წერილი. (პარტიული მუშაობის გეგმას შესახებ მიმდინარე მომენტის შეფასებასთან დაკავშირებით)». სტატიის რედაქტორი იყო მოსკოველი ოტზოვისტების ლიდერი სტ. ვოლსკი (ა. ვ. სოკოლოვი), მაშინ მოსკოვის ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს წევრი. სტატიამ ცენტრალური რუსეთის პარტიული ორგანიზაციების მკვეთრი პროტესტები გამოიწვია და მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გაზეთ «პროლეტარის» ფურცლებზე. სტატიის კრიტიკა მოგვცა ვ. ი. ლენინმა ნაშრომში «ორი წერილის გამო» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 345 — 367). — **38.**

19 ფაბრიკა-ქარხნების ექიმებისა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის წარმომადგენელთა სრულიად-რუსეთის პირველი ყრილობა შედგა მოსკოვში 1909 წლის 1 — 6 (14 — 19) აპრილს. ყრილობის დელეგატთა შორის იყო 52 მუშა, არჩეული უმთავრესად დიდი სამრეწველო ცენტრების პროფესიული კავშირების მიერ. მუშა დელეგატების გამოსვლებს, რომელთა შორისაც ბოლშევიკები სჭარბობდნენ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ამ გამოსვლებს მთელი რუსეთი გამოეხმაურა. ყრილობაზე განსაკუთრებით გაცხოველებული კამათი გამოიწვია ორმა საკითხმა: სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაციის შესახებ (მიღებულ იქნა ბოლშევიკების წარდგენილი რეზოლუცია) და მუშების მიერ საფაბრიკო ინსპექციის არჩევის შესახებ.

ყრილობას თავისი მუშაობა არ დაუმთავრებია: ის პოლიციამ დახურა. — **39.**

20 ლენინი გულისხმობს XVIII საუკუნის დამლევის — XIX საუკუნის დამდეგის ფრანგ დიპლომატს შ. ტალეირანს. — **40.**

21 მარატი — ვ. ლ. შანცერი, გაზეთ «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის წევრი, ულტიმატისტი, შემდეგ ხანებში — «ვპერიოდის» ანტიპარტიული ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე. — **42.**

22 «ეარ» — ა. ვ. სოკოლოვი (ვოლსკი). — **46.**

23 «ვპერიოდ» — ბოლშევიკური მასობრივი მუშათა გაზეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლენინი; მას არალეგალურად უშვებდა ვიბორგში გაზეთ «პროლეტარის» რედაქცია 1906 წლის 10 (23) სექტემბრიდან 1908 წლის 19 იანვრამდე (1 თებერვლამდე); გამოვიდა 20 ნომერი. მე-2 ნომრით დაწყებული, გაზეთი გამოდიოდა როგორც რსდრპ ადგილობრივი კომიტეტების ორგანო: № 2 — მოსკოვის, პეტერბურგის და მოსკოვის საოკრუგო კომიტეტებისა; №№ 3 — 7 — როგორც მოსკოვის, პეტერბურგის, მოსკოვის საოკრუგო, პერმისა და კურსკის კომიტეტების ორგანო; №№ 8 — 19, გარდა ამისა, აგრეთვე როგორც ყაზანის კომიტეტის ორგანო; გაზეთ «ვპერიოდის» უკანასკნელ, მე-20 ნომერში, პერმისა და ყაზანის კომიტეტების ნაცვლად დასახელებული იყო ურალის საოლქო კომიტეტი. — **57.**

24 ლენინის ნაშრომი — «ოტზოვისტურ-ულტიმატისტური შტრეიკბრეხერები» ნაპოვნი არ არის. — **75.**

25 სტატია «პეტერბურგის არჩევნები» მიძღვნილია 1909 წლის სექტემბერს ჩატარებული III სახელმწიფო სათათბიროს დამატებითი არჩევნების შედეგებისადმი; დაიბეჭდა ხელმოუწერლად გაზეთ «პროლეტარში», № 49, 1909 წლის 3 (16) ოქტომბერს.

ლენინის მიერ დაწერილი შენიშვნა მიმართულია ნ. იორდანსკის ოპორტუნისტული სტატიის — «გამოუვალი მდგომარეობის» წინააღმდეგ, რომელიც გამოქვეყნდა «ნოვი დენში», № 6. — 84.

26 «ნოვი დენ» — ყოველკვირეული ლეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლის 20 ივლისიდან (2 აგვისტოდან) 13 (26) დეკემბრამდე; გამოვიდა 15 ნომერი. გაზეთი დახურა პოლიციამ. «ნოვი დენში» ლენინმა დაბეჭდა ორი სტატია: «კიდევ პარტიულობისა და უპარტიობის შესახებ» და ««ვეხის» შესახებ» (იხ. ეს ტომი, გვ. 65 — 68 და 145 — 156). — 84.

27 ლაპარაკია ფ. ენგელსის «შესავალზე» კ. მარქსის ნაშრომისადმი «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში». როცა გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა «შესავალი» გამოაქვეყნეს 1895 წელს, მათ ის დაამახინჯეს, შემდეგში კი განმარტეს როგორც უარისთქმა შეიარაღებულ აჯანყებასა და საბარიკადო ბრძოლაზე.

«შესავლის» სრული ტექსტი ენგელსის ხელნაწერის მიხედვით პირველად მხოლოდ სსრ კავშირში გამოქვეყნდა (იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 5 — 26; ლენინის მიერ ციტირებული ადგილი იხ. გვ. 23 — 24). — 84.

28 «პროექტი რეზოლუციისა პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შესახებ» ლენინმა შეიტანა ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის სხდომაზე 1909 წლის 21 ოქტომბერს (3 ნოემბერს). ამ სხდომაზე ლენინმა წინადადება შეიტანა სარედაქციო წერილად მოეთავსებინათ სტატია «ჩვენი პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების მეთოდების შესახებ» (აღნიშნული სტატია ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის). სტატიაში ლენინი მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას ლიკვიდატორობის წინააღმდეგ და იცავდა ბოლშევიკური ორგანიზაციის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობას. რედაქციის უმრავლესობამ, ტროცკის ფარული აგენტებისა (ზინოვიევი, კამენევი, ვარსკი) და მენშევიკ მარტოვის სახით, არ მიიღო ლენინის სტატია როგორც სარედაქციო წერილი და წინადადება შეიტანა დისკუსიის წესით დაებეჭდათ ის ავტორის ხელმოწერით. მაშინ ლენინმა რედაქციის განსახილველად დააყენა პარტიისა და მისი ერთიანობის გან-

მტკიცების საერთო საკითხი და შეიტანა რეზოლუციის პროექტი ამ საკითხზე. პროექტი, ისე როგორც ლენინის სტატია, რედაქციის შემადგენლობა-ლიკვიდატორულმა უმრავლესობამ უარყო (იხ. ლენინის კრებული, XXV, გვ. 48 — 49). — **85.**

29 რსდმპ ცენტრალური ორგანო — «სოციალ-დემოკრატ» — არალეგალური გაზეთი; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი რუსეთში გამოვიდა, შემდგომ კი გამოცემა საზღვარგარეთ გადაიტანეს, ჯერ პარიზში, შემდეგ — ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, თანახმად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისა, შედგენილ იქნა ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთაგან. გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი ეწეოდა ბრძოლას თანამიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეფუშა ლენინური ხაზის გატარება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას საბოტაჟს უწევდნენ და იმავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას «გოლოს სოციალ-დემოკრატში». ლიკვიდატორების წინააღმდეგ ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ გამოიწვია მარტოვისა და დანის გასვლა 1911 წლის ივნისში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. — **85.**

30 საერთაშორისო სოციალისტური ბიურო (სსბ) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა 1900 წლის პარიზის კონგრესის გადაწყვეტილებით. ლენინი, რომელიც შედიოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შემადგენლობაში როგორც რსდმპ ოფიციალური წარმომადგენელი, გამოვიდა მის მეთერთმეტე სესიაზე 1909 წლის 7 ნოემბერს (ახალი სტილით). საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომების შესახებ იხ. ლენინის სტატია «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია», წინამდებარე ტომი, გვ. 167 — 173. — **86.**

31 ბობრიკოველები — მომხრენი პოლიციურ-ჟანდარმული რეჟიმისა, რომელსაც ატარებდა ფინეთში 1898 — 1904 წლებში მეფის გენერალ-გუბერნატორი ნ. ი. ბობრიკოვი. — **88.**

82 «წ ე რ ი ლ ი კ ა პ რ ი ს ს კ ო ლ ი ს მ ს მ ე ნ ე ლ ე ბ ს» ლენინმა დაწერა 1909 წლის ოქტომბერში სკოლის იმ მუშა-მსმენელთა ორი წერილის პასუხად, რომლებიც ბოგდანოვის ჯგუფს გაემიჯნენ. მსმენელ-ლენინელთა წერილები და ლენინის სტატია «სამარცხვინო ჩავარდნა» (იხ. ეს ტომი, გვ. 95—97) ერთად გამოქვეყნდა როგორც გაზეთ «პროლეტარის» 1909 წლის 28 ნოემბრის (11 დეკემბრის) 50-ე ნომრის ცალკე ამონაბეჭდი. — **91.**

83 «მ ა რ ქ ს ი ზ მ ი» ბ რ ე ნ ტ ა ნ ე ლ ი, ზ ო მ ბ ა რ ტ ე ლ ი და ს ტ რ უ ვ ი ს ტ ე ლ ი — ბურჟუაზიულ-რეფორმისტული «მოძღვრება», «რომელიც აღიარებს «კაპიტალიზმის სკოლას», მაგრამ უარყოფს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სკოლას» (ლ ე ნ ი ნ ი). მარქსიზმის ბურჟუაზიული დამახინჯების ამ ნაირსახეობის წარმომადგენლები იყვნენ:

ლუი ბრენტანო — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეგრეთწოდებული «სახელმწიფო სოციალიზმის» მომხრე; ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს შესაძლებელია სოციალური თანასწორობის განხორციელება კაპიტალიზმის ჩარჩოებში რეფორმების საშუალებით და კაპიტალისტთა და მუშათა ინტერესების შერიგების გზით;

ვერნერ ზომბარტი — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მარქსიზმის ფალსიფიკატორი; ამართლებდა კაპიტალიზმს და მას სახავდა როგორც ჰარმონიულად გეგმაშეწონილ სისტემას.

ბრენტანო, ზომბარტი და მათი მიმდევრები მარქსისტულ ფრაზეოლოგიას ეფარებოდნენ, ნამდვილად კი იცავდნენ კაპიტალიზმს და ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ ბურჟუაზიის ინტერესებისადმი. ბრენტანოსა და ზომბარტის «თეორიებს» ფართოდ იყენებდნენ და იყენებენ მარქსიზმის მტრები.

პ. ბ. სტრუვე — რუსი ბურჟუაზიული ლიბერალი, ოთხმოცდაათიან წლებში — ლეგალური მარქსისტი, შემდეგ ხანებში — კადეტური პარტიის ერთ-ერთი ბელადი, ხოლო დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ — თეთრი ემიგრანტი, საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტერი. — **101.**

84 ლენინს მოჰყავს სიტყვები მენშევიკ-ლიკვიდატორ დანისა, რომელმაც რსდმპ მეხუთე («1908 წლის საერთო-რუსეთის») კონფერენციაზე «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების» საკითხის განხილვის დროს განაცხადა, ბოლშევიკები «წინადადებას იძლევიან იქით მიაწვნენ, სადაც ისინი ერთხელ დაამარცხესო». — **103.**

35 ციტატი მოყვანილია რუსი ნაროდნიკის პ. ნ. ტკაჩევის ბროშურიდან «რევოლუციური პროპაგანდის ამოცანები რუსეთში», აპრილი, 1874, გვ. 16. — **105.**

36 1909 წლის 9 ნოემბრის კანონი — სტოლიპინის საადგილმამულო კანონი გლეხთა გამოყოფის შესახებ თემებიდან ხუტორებად. სტოლიპინის საადგილმამულო რეფორმის დახასიათება და შეფასება იხ. ლენინის ნაშრომში «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა 1905 — 1907 წლების რუსეთის პირველ რევოლუციაში» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 265 — 540). — **105.**

37 გ — ი (გეორგი) — მენშევიკ-ლიკვიდატორი ვ. ო. ლევიცკი (ვ. ო. ცედერბაუმი). — **113.**

38 «Vorwärts» («წინ») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვათა რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას ეწოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. — **114.**

39 «პ.» — მენშევიკი-პლეხანოველი ფ. ი. ცედერბაუმი (პ. ნ. დნევნიკი). — **114.**

40 სტატიისათვის «„გოლოს სოციალ-დემოკრატა" და ჩერევანინი» ლენინმა გამოიყენა თავისი აღნიშვნები ჩერევანინის წიგნზე «თანამედროვე მდგომარეობა და შესაძლო მომავალი», განსაკუთრებით კი — «უმნიშვნელოვანესი აღნიშვნების ნაკრები», რომელიც მას გაკეთებული ჰქონდა ყდაზე ამ წიგნის ბოლოს (იხ. ლენინის კრებული, XXVI, გვ. 366 — 412). — **118.**

41 ეს დოკუმენტი წარმოადგენს იმ სტატიის დასაწყისს, რომელიც ლენინმა დაწერა 1909 წლის ნოემბრის დამლევს (დეკემბრის დამდეგს) პარიზში. სტატიის დასასრული არ შენახულა. სტატია გათვალისწინებული იყო «პროლეტარის» 50-ე ნომრისთვის, მაგრამ მასში არ დაბეჭდილა. მის მაგივრად ლენინმა დაწერა სტატია «თანამედროვე იდეური დაბნეულობის ზოგიერთი წყაროს შესახებ», რომლის პირველი ნახევარი

დაბეჭდა გაზეთ «პროლეტარში», № 50, 1909 წლის 28 ნოემბერს (11 დეკემბერს). (იხ. ეს ტომი, გვ. 98 — 107). — **124.**

42 «ძველი ისკრელისა და ძველი ბოლშევიკის» წერილი, საიდანაც ამონაწერები მოყავს ლენინს, «ტრ.»-ს ხელმოწერით დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარში», № 50, 1909 წლის 28 ნოემბერს (11 დეკემბერს). («წერილები პეტერბურგიდან. წერილი III»). — **126.**

43 ლაპარაკია ა. ს. მარტინოვის თავდასხმების შესახებ ლიკვიდატორების ორგანო «ბოლოს სოციალ-დემოკრატაში» ვ. ი. ლენინის (ვ. ილინის) წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». — **138.**

44 ლენინი გულისხმობს III სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე 1909 წლის 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) პიროვნების ხელუხლებლობის კანონპროექტის განხილვის დროს მომხდარ ინციდენტს. ეს კანონპროექტი, როგორც სათათბიროს მემარცხენე დეპუტატებმა განაცხადეს, წარმოადგენდა «რუსეთში წინათ და ამჟამად არსებული ყოველგვარი სახის თვითნებობის დაკანონებას». მარკოვ მეორის ყოვლად შავრაზმულმა სიტყვამ 20 ნოემბერს (3 დეკემბერს) კანონპროექტის დასაცავად, აღშფოთება გამოიწვია კადეტების მხრივაც კი, რომლებმაც პროტესტის ნიშნად დატოვეს სათათბიროს სხდომის დარბაზი. კანონპროექტის განხილვამ 20 ნოემბრის (3 დეკემბრის) სხდომაზე განსაკუთრებით გამოააშკარავა III სათათბიროს შავრაზმული ხასიათი. — **142.**

45 ამ სტატიის გამოქვეყნებამდე ლენინმა 1909 წლის 16 (29) ოქტომბერს ლიეჟში წაიკითხა საჯარო რეფერატი «კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგია». ამავე თემაზე 1909 წლის 13 (26) ნოემბერს ლენინი პარიზში გამოიდა რეფერატით: «კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის იდეოლოგია («ვეხის» წარმატება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა)». პარიზში წაკითხული რეფერატის გეგმა გადმოცემულია აფიშაში, რომელიც დაცულია მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის არქივში. ის იყოფა შემდეგ განყოფილებებად: «I. რომელ ფილოსოფიას ეომება «ვეხი» და კადეტ კარაულოვის სიტყვები სათათბიროში. II. «ვეხის» მიერ განადგურებული ბელინსკი და ჩერნიშევსკი. III. რატომ სძულთ ლიბერალებს რუსეთის «ინტელიგენტური» რევოლუცია და მისი ფრანგული «საკმაოდ ხანგრძლივი» ნიმუში? IV. «ვეხი» და «მემარცხენენი» რუსეთში. კადეტები და ოქტიაბრისტები. რუსეთის ბურჟუაზიის «წმიდა საქმე». V. რა მოიგო რუსეთის დემო-

კრატიულმა რევოლუციამ თავისი ლიბერალურ-ბურჟუაზიული «მოკავშირეების» დაკარგვით? VI. «ვეხი» და მილიუკოვის სიტყვები წინასაარჩევნო კრებებზე პეტერბურგში. როგორ აკრიტიკებდა მილიუკოვი ამ კრებებზე არალეგალურ რევოლუციურ გაზეთს». — **145**.

46 «მოსკოვსკიე ვედომოსტი» — ყოველდღიური გაზეთი; გამოსვლა დაიწყო 1756 წელს; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეთა და სასულიერო პირთა ყველაზე რეაქციული მონარქიული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო; დახურულ იქნა მალე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — **147**.

47 «ოთხფორმულიანი საარჩევნო სისტემა» — შემოკლებული სახელია დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა, რომელიც შეიცავს ოთხ მოთხოვნას: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება. — **152**.

48 «ნოვოე ვრემია» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური გაზეთი იყო, 1876 წლიდან კი გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი იბრძოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო იყო. ლენინი «ნოვოე ვრემიას» მოსყიდული გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. — **153**.

49 სიტყვებს: «გამდიდრდით, ბატონებო, და თქვენც ამომრჩევლები გახდებით», მიაწერენ გიზოს, საფრანგეთის მთავრობის მეთაურს ივლისის მონარქიის წლებში (1830 — 1848). — **153**.

50 ლაპარაკია რსდმპ მეხუთე (ლონდონის) ყრილობის რეზოლუციაზე «არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ» (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 103 — 104). — **157**.

51 «მოსკოვსკი ეჟენედელნიკ» — ჟურნალი, ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციური «ძშვიდობიანი განახლების პარტიის» ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლიდან 1910 წლამდე. — **162**.

52 «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯ გ უ ფ ი — ოტზოვისტების, ულტიმატისტების, ღვთისმშენებლების და ემპირიომონისტების (მახისა და ავენარიუსის რეაქციულ-იდეალისტურ შეხედულებათა მომხრეების) ანტიპარტიული ჯგუფი; შეიქმნა 1909 წლის დეკემბერში ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის ინიციატივით; ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო იმავე სახელწოდებით. 1912 წელს «ვპერიოდელები» მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ერთად გაერთიანდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ანტიპარტიულ ბლოკად (აგვისტოს ბლოკი), რომელიც ტროცკიმ მოაწყო.

ჯგუფი, რომელიც მუშათა შორის მხარდაჭერით არ სარგებლობდა, ფაქტიურად ჯერ კიდევ 1913 წელს დაიშალა. მისი საბოლოო და ფორმალური დაშლა მოხდა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — **174.**

53 რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ ლ ე ნ უ მ ი, «გამაერთიანებელი პლენუმის» სახელწოდებით ცნობილი, შედგა 1910 წლის 2 — 23 იანვარს (15 იანვარს — 5 თებერვალს) პარიზში. პლენუმი, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი წინააღმდეგი იყო, მოწვეულ იქნა ტროცკის ფარული მოკავშირეების — ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის ხელშეწყობით. ბოლშევიკებს გარდა პლენუმს ესწრებოდნენ ყველა ფრაქციისა და ფრაქციული დაჯგუფების წარმომადგენლები, ავრეთვე ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ლენინური გეგმის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვდა მენშევიკ-პარტიელებთან (პლეხანოველებთან) დაახლოებას ლიკვიდატორების წინააღმდეგ საბრძოლველად, შემარიგებლები, ფარული ტროცკისტები, მოითხოვდნენ ყველა ფრაქციის დაშლას და ბოლშევიკების გაერთიანებას ლიკვიდატორებსა და ტროცკისტებთან. პლენუმზე შემარიგებლურმა ელემენტებმა გადაძლიეს. ლენინი უმცირესობაში აღმოჩნდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლენინმა დაჟინებით მოითხოვა, პლენუმმა მიიღო დადგენილება ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის დაგმობის შესახებ. წინააღმდეგ ლენინის მოთხოვნისა, პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი ბოლშევიკური ორგანოს — «პროლეტარის» დახურვისა და ბოლშევიკური ცენტრის დაშლის შესახებ. ლენინმა მიაღწია იმას, რომ პლენუმის დადგენილებაში შეტანილ იქნა პირობა: ბოლშევიკური ცენტრის ლიკვიდაციის ერთდროულად მოესპოთ «გოლოსელთა» და «ვპერიოდელთა» ფრაქციული ცენტრებიც. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ფულადი დახმარება გაეწია ტროცკის «პრავდისათვის», რომელიც ვენაში გამოდიოდა და რომელიც ტროცკის აგენტებს, ზინოვიევს და კამენევს, უნდოდათ ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ გადაექციათ. ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლო-

ბაში, მიუხედავად ლენინის პროტესტისა, მენშევიკ-ლიკვიდატორებიც ირჩიეს.

პლენუმზე ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ლენინის ბრძოლის შესახებ იხ. მისი «პუბლიცისტის შენიშვნები» (ეს ტომი, გვ. 239 — 323). — **177.**

54 სტატია «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ» ლენინმა დაწერა როგორც სარედაქციო სტატია გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» მე-12 ნომრისათვის. მარტის მეორე ნახევარში სტატია ცალკე ამონაბეჭდად გამოვიდა და უკვე შემდეგ დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატში». — **188.**

55 «დისკუსსიონნი ლისტოკ»—რსდმპ ცენტრალური ორგანოს—«სოციალ-დემოკრატის» დამატება იყო; გამოდიოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1910) პლენუმის დადგენილებით 1910 წლის 6 (19) მარტიდან 1911 წლის 29 აპრილამდე (12 მაისამდე) პარიზში; გამოვიდა 3 ნომერი. «დისკუსსიონნი ლისტოკის» 1910 წლის 25 მაისის (7 ივნისის) მე-2 ნომერში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის «წერილი კავკასიიდან» (იხ. თხზულებანი, ტომი 2, გვ. 200 — 208). — **188.**

56 გრიგოლი — გ. ე. ზინოვიევი. — **191.**

57 ინოკენტი — ი. ფ. დუბროვინსკი. — **191.**

58 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წერილი «ყველა ამხანაგისადმი საზღვარგარეთ» ცალკე ფურცლად გამოიცა 1910 წლის 3 (16) მარტს.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო (ცკსბ) შექმნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1908 წლის აგვისტოში როგორც საერთო-პარტიული წარმომადგენლობა საზღვარგარეთ, დაქვემდებარებული და ანგარიშვალდებული ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსადმი. ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ მალე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს შემადგენლობაში შეიქმნა ლიკვიდატორული უმრავლესობა და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო ანტიპარტიულ ძალთა შემომკრები ცენტრი გახდა. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს ლიკვიდატორულმა ტაქტიკამ ბოლშევიკ-ლენინელები აიძულა 1911 წლის მაისში მისი შემადგენლობიდან გამოეწვიათ თავისი წარმომადგენელი. ცოტა მოგვიანებით გა-

მოწვეულ იქნენ პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებიც. 1912 წლის იანვარში მოხდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს თვითლიკვიდაცია. — **195.**

59 «პროსტრატესებურად სახელგანთქმულ დოკუმენტს» — «ღია წერილს», რომელიც ლიკვიდატორულ შეხედულებებს ქადაგებდა, — ხელი მოაწერეს მენშევიკებმა: ავგუსტოვსკიმ — ს. ო. ცედერბაუმ-ეკოვმა; ანტონმა — მ. ს. მაკაძიუბიმ; ვადიმმა — ვ. კ. იკოვმა; ვ. პეტროვამ — ლ. ნ. რადჩენკომ; გიორგიმ — ბ. ს. ცეიტლინ-ბატურსკიმ; გეორგმა — ვ. ო. ცედერბაუმ-ლევიცკიმ; ევგ. გა—აზმა — ვ. ა. გუტოვსკი-მაევსკიმ; კრამოლნიკოვმა — გ. ი. პრიგორნიმ; დ. კოლცოვმა — ბ. ა. გინზბურგმა; ნატ. მიხაილოვამ — რ. ს. გალბერშტადტმა; რომანმა — კ. მ. ერმოლაევმა; რომულმა — მ. ლ. ხეისინმა; სოლომონოვმა — ს. ი. პორტუგეისმა; ჩერევანინმა — ფ. ა. ლიპკინმა; იურიმ — პ. ა. ბრონშტეინმა; ი. პ. — იმ — ი. ა. პილეცკიმ. — **196.**

60 მიხეილი — მენშევიკი-ლიკვიდატორი ი. ა. ისუევი. — **196.**

61 «რუსეთში მოქმედი ერთ-ერთი წევრი ცენტრალური კომიტეტისა» — ვ. პ. ნოვინი. — **196.**

62 იხ. ფ. ენგელსის შესავალი მისი ბროშურის — «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» ინგლისური გამოცემისათვის (ფ. ენგელსი. «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», 1940, გვ. 24). — **203.**

63 ნ. გ. ჩერნიშევსკი. «პროლოგი», ნაწ. I (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. **რჩეული** თხზულებანი, ტ. V, 1932, გვ. 488). — **204.**

64 იხ. რეზოლუცია «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», მიღებული რსდმპ მეხუთე («1908 წლის საერთო-რუსეთის») კონფერენციის მიერ («საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების **რეზოლუციებსა** და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 125 — 127). — **212.**

65 ახალგაზრდა თურქები — თურქეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური ორგანიზაცია; დაარსდა 1894 წელს; ცდილობდა სულთნის აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვას და ფეოდალური იმპერიის გადაქცევას ბურჟუაზიულ კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწი-

ფოდ; 1908 წელს სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ გადატრიალებას, რამაც თურქეთი კონსტიტუციურ მონარქიად აქცია, და მთავრობის პარტია გახდა; თავი დაშლილად გამოაცხადა პირველ მსოფლიო ომში თურქეთის სამხედრო განადგურების შემდეგ (1918 წ. შემოდგომა). — **218**.

66 რსდმ პარტიის დამხმარე პარიზის მეორე ჯგუფი შეიქმნა 1908 წლის ნოემბერში. იგი გამოეყო პარიზის ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც; აერთიანებდა მხოლოდ ბოლშევიკებს, მათ შორის ბოლშევიკური ცენტრის წევრებს, ლენინის მეთაურობით. რსდმ პარტიის დამხმარე პარიზის მეორე (ბოლშევიკური) ჯგუფის რეზოლუცია მიღებულ იქნა 1910 წლის 17 (30) მარტის კრებაზე და დაიბეჭდა ცალკე ფურცლად. — **228**.

67 «ნაშა ზარია» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში. «ნაშა ზარიას» გარშემო შეიქმნა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში. — **234**.

68 «აუცილებელი დამატება გ. ვ. პლეხანოვის «დნევნიკებისადმი»» — მენშევიკურ-ლიკვიდატორული ფურცელი, რომელიც გამოუშვა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციამ 1910 წლის აპრილში და მიმართული იყო გ. ვ. პლეხანოვის წინააღმდეგ. — **234**.

69 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 267 და 288. — **255**.

70 «ვოზროჟდენიე» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1908 წლის დეკემბრიდან 1910 წლის ივლისამდე; მის მაგივრად უშვებდნენ ჟურნალებს «ჟიზნს» (1910) და «დელო ჟიზნის» (1911). — **268**.

71 მეორე ვპერიოდელი — ვ. ლ. შანცერი (მარატი). — **279**.

72 ტ. — ლ. ტიშკო. — **282**.

73 ი.—ი. ფ. დუბროვინსკი. — **282**.

74 «Sozialistische Monatshefte» («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი

ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე.

ჟურნალი აკრიტიკებდა რევიზიონიზმის წინააღმდეგ მიმართულ რეზოლუციას «პარტიის ტაქტიკის შესახებ», რომელიც მიღებულ იქნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე დრეზდენში (1903 წლის სექტემბერი). უფრო გვიან ეს რეზოლუცია თითქმის მთლიანად განმეორებულ იქნა ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე (1904 წლის აგვისტო) რეზოლუციაში «სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესების» საკითხის გამო. — **284**.

75 ავტორი «წერილისა კავკასიიდან», კ. სტ. — ი. ბ. სტალინი. თბილისელ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ მიმართული მისი «წერილი კავკასიიდან» ჯერ კიდევ 1909 წლის დეკემბერში დაიწერა «სოციალ-დემოკრატისათვის». რედაქციის მენშევიკურმა ნაწილმა უარი თქვა წერილის მოთავსებაზე პარტიის ცენტრალურ ორგანოში; იგი დაიბეჭდა მხოლოდ 1910 წლის 25 მაისს (7 ივნისს) «დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-2 ნომერში, სადაც მოთავსებული იყო აგრეთვე კავკასიელი მენშევიკების ლიდერის — ანის (ნ. ჟორდანიას) პასუხი ამ წერილზე (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 200 — 208). — **286**.

76 იგულისხმება რსდმპ მეხუთე (ლონდონის) ყრილობის რეზოლუცია «არაპროლეტარული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ» (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 103 — 104). — **290**.

77 «ბეზგოლოვცებს» ლენინი ირონიულად უწოდებს «ბეზზაგლავიელებს».

«ბეზზაგლავიელები» — ნახევრადკადეტური ჯგუფი (ს. პროკოპოვიჩი, ე. კუსკოვა, ვ. ბოგუჩარსკი და სხვ.), რომელიც პეტერბურგში უშვებდა ყოველკვირეულ ჟურნალს — «ბეზ ზაგლავია» (1906 წელი). «ბეზზაგლავიელები», რომლებმაც თავი გამოაცხადეს «კრიტიკული სოციალიზმის» მიმდევრებად — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის რევიზიონისტული ფრთის (ბერნშტეინი და სხვები) მომხრეებად, ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი «ბეზზაგლავიელებს» უწოდებდა «მომენშევიკო კადეტებს» ანუ «მოკადეტო მენშევიკებს». — **291**.

78 ენესები («სახალხო სოციალისტები») — წვრილბურჟუაზიული პარტია; შეიქმნა 1906 წელს, მას შემდეგ, რაც გამოეყო ესერების მემარჯვენე ფრთას; აყენებდა ზომიერ-დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის ჩარჩოებს არ სცილდებოდა. ენესები უარყოფდნენ ესერების პროგრამულ დებულებას მიწის სოციალიზაციის შესახებ და სცნობდნენ მემამულეთა მიწის გასხვისებას გამოყიდვის საფუძველზე. ვ. ი. ლენინი ენესებს უწოდებდა «მეშჩანურ ოპოროტუნისტებს», «სოციალ-კადეტებს», «ესერულ მენშევიკებს». ენესების ლიდერები იყვნენ: ა. ვ. პეშეხონოვი, ვ. ა. მიაკოტინი, ნ. ფ. ანენსკი და სხვები. — **291**.

79 «ნაშა პომოიუ» ლენინი ირონიულად უწოდებს ლიკვიდატორულ ჟურნალ «ნაშა ზარიას».

ლიტერატურის მუქთახორეობის ყრილობა — მწერალთა სრულიად რუსეთის II ყრილობა, რომელიც შედგა პეტერბურგში 1910 წლის 21 — 28 აპრილს (4 — 11 მაისს) «ნაშა ზარიას» და მენშევიკური «სოვრემიონნი მირის» წარმომადგენელთა მონაწილეობით. პოლიციის პირველი მოთხოვნისთანავე, ყრილობამ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად უარი თქვა პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ რეზოლუციის განხილვაზე.

ლაპარაკობს რა პოსელებზე, ლენინი გულისხმობს ლიკვიდატორთა თანამშრომლობას ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ჟურნალში «სოიუზ პოტრებიტელეი», რომელსაც ხელმძღვანელობდა კოოპერატორი ვ. ა. პოსე. — **293**.

80 ი. — მენშევიკი-ლიკვიდატორი ბ. ი. გორევ-გოლდმანი. — **296**.

81 აზეფშჩინა — პოლიტიკური გამცემლობა, პროვოკატორ აზეფის — ესერების პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — სახელის მიხედვით. — **305**.

82 ლაპარაკია ფ. ენგელსის სტატიაზე «4 მაისი ლონდონში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწილი II, 1936, გვ. 54 — 60); იხ. აგრეთვე ენგელსის 1886 წლის 29 ნოემბრისა და 1889 წლის 11 მაისის წერილები ზორგესადმი (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 396 — 399; კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 608 და ტ. XXVIII, 1940, გვ. 110.). — **319**.

83 «Zihna» («ბრძოლა») — გაზეთი, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1904 წლის მარტში; გამოდიოდა

დიდი დროგამოშვებით რიგაში, ბრიუსელსა და პეტროგრადში; 1919 წლიდან — ლატვიის კომუნისტური პარტიის ორგანო. — **324.**

84 იგულისხმება ვ. ე. ვარზარის ნაშრომები: «ფაბრიკებსა და ქარხნებში 1905 წელს მომხდარი მუშათა გაფიცვების სტატისტიკა» და «ფაბრიკებსა და ქარხნებში 1906 — 1908 წლების სამწლედში მომხდარი მუშათა გაფიცვების სტატისტიკა», ს.-პეტერბურგი, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გამოცემა, 1908 და 1910. — **324.**

85 კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს სხდომები ჰქონდა 1910 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე (ახალი სტილით). კონგრესზე რსდმ პარტიის წარმომადგენლები იყვნენ: ლენინი, პლეხანოვი, მარტოვი და სხვები. წინასწარ განსახილველად და ცალკეულ საკითხებზე რეზოლუციების შესამუშავებლად კონგრესმა გამოჰყო რამდენიმე კომისია. ლენინი მუშაობდა კოოპერაციულ კომისიაში. კოოპერატივების შესახებ მისი რეზოლუციის პროექტი საფუძვლად დაედო იმ რეზოლუციის პროექტს, რომელიც კონგრესის კოოპერაციულ კომისიაში რსდმ პარტიის დელეგაციამ შეიტანა. კონგრესზე კოოპერაციული კომისიის მუშაობის შესახებ, აგრეთვე კოოპერატივების შესახებ რსდმ პარტიის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის ტექსტი იხ. ლენინის სტატიაში «კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე» (ეს ტომი, გვ. 343 — 354); იხ. აგრეთვე ლენინის კრებული, XXV, გვ. 245 — 267. — **330.**

86 საკინი — ვპერიოდელი ი. ა. სანკური. — **333.**

87 «ფეიქარი ი — ნი» — ი. ვ. სისოევი, სოციალ-დემოკრატი; ოტზოვისტი-ულტიმატისტი. — **335.**

88 «მუშაარ» — ვპერიოდელი ფ. ი. კალინინი. — **336.**

89 ვოინოვი — ა. ვ. ლუნაჩარსკის ფსევდონიმი. — **338.**

90 დომოვი — მ. ნ. პოკროვსკი. — **340.**

91 ლენინს მოყავს ა. ბებელის სიტყვები მოხსენებიდან «პარტიის ძირითად შეხედულებებსა და ტაქტიკაზე თავდასხმების» შესახებ, რომელიც წაკითხულ იქნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობაზე ჰანოვერში (1899 წლის 9 — 14 ოქტომბერს ახალი სტილით). — **340.**

92 შტუტგარტის საერთაშორისო ყრილობა — VII საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი; მიმდინარეობდა 1907 წლის 18 — 24 აგვისტოს (ახალი სტილით). ლენინი კონგრესში მონაწილეობდა როგორც რსდმპ დელეგატი (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 13, გვ. 81 — 105). — 351.

93 პროტესტი გაზეთ «Vorwärts»-ში ტროცკის იმ სტატიის გამოქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც შეიცავდა ცილისწამებას რსდმ პარტიის მიმართ, შედგენილ იქნა იმ დღეებში, როცა კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა. — 356.

94 «ტოვარიშჩ» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 — 1907 წლებში ს. ნ. პროკოპოვიჩისა და ე. დ. კუსკოვას უახლოესი მონაწილეობით. ფორმალურად გაზეთი არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის ორგანოს, ფაქტიურად კი მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში მონაწილეობდნენ მენშევიკებიც. — 356.

95 «Le Peuple» («ხალხი») — ყოველდღიური გაზეთი, ბელგიის მუშათა (რეფორმისტული) პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდის 1884 წლიდან ბრიუსელში. — 357.

96 «რაბოჩაია გაზეტა» — ბოლშევიკების პოპულარული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. გაზეთში მონაწილეობდნენ აგრეთვე მენშევიკ-პარტიელები. «რაბოჩაია გაზეტას» დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. ლენინმა გაზეთში ათზე მეტი სტატია დაბეჭდა. რსდმპ პრაღის კონფერენციამ (1912 წლის იანვარი) აღნიშნა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» მტკიცედ და თანამიმდევრულად იცავდა პარტიასა და პარტიულობას და იგი რსდმპ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადა. — 361.

97 ლაპარაკია რეზოლუციაზე, რომელიც დაწერა ლენინმა და მიიღო «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა (1909 წლის ივნისი) «ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 542 — 546). — 367.

98 ლენინს მოყავს ციტატი ფ. ენგელსის სტატიიდან «სოციალიზმი გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 244 — 245). — 388.

99 «პოლონური კოლო» — სახელმწიფო სათათბიროების იმ პოლონელ დეპუტატთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანდნენ პოლონეთის ავტონომიის მოთხოვნის ნიადაგზე. I და II სათათბიროში ამ გაერთიანებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ნაროდოეცებს — პოლონელ შავრაზმელებს. სათათბიროს ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში პოლონური კოლო მხარს უჭერდა ოქტიაბრისტებს და მემარჯვენეებს. — 391.

100 «რუსკიე ვედომოსტი» — ყოველდღიური გაზეთი; 1863 წლიდან მოსკოვში უშვებდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს; 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დახურულ იქნა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — 398.

101 «გოლოს მოსკვი» — ყოველდღიური გაზეთი, მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეების კონტრრევოლუციური პარტიის — ოქტიაბრისტების ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის დეკემბრიდან 1915 წლის ივნისამდე. — 399.

102 «ბატონი კუპონი» — კაპიტალისა და კაპიტალისტების მხატვრული სახელწოდება 80 — 90-იანი წლების ლიტერატურაში. პირველად იხმარა გლებ უსპენსკიმ ნარკვევებში «მძიმე ცოდვები» («რუსსკაია მისლ», 1888, წიგნი XII). — 403.

103 ბოლონიის (იტალია) სკოლა — «ვპერიოდის» ჯგუფის მეორე ანტიპარტიული სკოლა (1910 წ. დასასრული — 1911 წ. დასაწყისი); წარმოადგენდა ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების ფრაქციული ცენტრის — კაპრის სკოლის გაგრძელებას. — 408.

104 სტატია «ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა» დაიბეჭდა გაზეთში «ნაშ პუტ».

«ნაშ პუტ» — ნახევრადლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; დაარსდა პროფკავშირთა ცენტრალური ბიუროს მონაწილეობით როგორც «ვესტნიკ ტრუდას» (1909) გაგრძელება; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის 30 მაისიდან (12 ივნისიდან) 1911 წლის 9 (22) იანვრამდე; რედაქტორობდა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი; გამოვიდა 8 ნომერი. გაზეთის გამოშვება შეწყდა თანამშრომელთა ძირითადი ბირთვის ჩავარდნის შემდეგ, რომლებიც გასცეს პროვოკატორებმა მალინოვსკიმ და ტანინმა. — 411.

105 ლაპარაკია დეპეშაზე, რომელიც III სათათბიროს სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა გაუგზავნეს ლ. ნ. ტოლსტოის ახლო მეგობარსა და მიმდევარს ვ. გ. ჩერტკოვს ასტაპოვოში: «სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, გამოხატავს რა რუსეთისა და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის გრძნობებს, დიდად სწუხს გენიალური მხატვრის, ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ შეურიგებელი და დაუმარცხებელი მებრძოლის, თვითნებობისა და დამონების მტრის, დევნილთა მეგობრის დაკარგვას, რომელმაც გაბედულად აღიმაღლა ხმა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ». — **411.**

106 სტატია «უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში» დაიბეჭდა გაზეთ «ზვეზდის» 1-ლ ნომერში, განყოფილებაში «წერილები საზღვარგარეთიდან».

«ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი, «პრავდის» წინამორბედი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე) (თავდაპირველად ყოველკვირეულად, 1912 წლის იანვრიდან — კვირაში ორჯერ და მარტიდან — კვირაში სამჯერ). 1912 წლის 26 თებერვალს (10 მარტს), «ზვეზდის» ერთდროულად, გამოვიდა «ნევსკაია ზვეზდის» № 1, რომელიც «ზვეზდის» დახურვის შემდეგ მის გაგრძელებას წარმოადგენდა. «ნევსკაია ზვეზდის» უკანასკნელი, 27-ე, ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს. გაზეთ «ზვეზდაში» თანამშრომლობდნენ: ვ. მ. მოლოტოვი (სკრიაბინი), მ. ს. ოლმინსკი, ნ. პ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი, აგრეთვე ა. მ. გორკი. თავდაპირველად, 1911 წლის შემოდგომამდე, «ზვეზდაში» მონაწილეობას ღებულობდნენ მენშევიკ-პარტიელები (პლეხანოველები). გაზეთის იდეურ ხელმძღვანელობას (საზღვარგარეთიდან) ახორციელებდა ვ. ი. ლენინი. ლენინმა «ზვეზდაში» და «ნევსკაია ზვეზდაში» გამოაქვეყნა დაახლოებით 50 სტატია.

1912 წლის გაზაფხულზე «ზვეზდას» რედაქტორობდა ამხანაგი სტალინი. «თავისუფლად» ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში ი. ბ. სტალინმა გაზეთის 30, 31, 32 და 33 ნომრებში დაბეჭდა 8 სტატია. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ლეგალური «ზვეზდა» შეიქნა მებრძოლ ბოლშევიკურ გაზეთად, რომელიც იცავდა არალეგალური პარტიის პროგრამას. «ზვეზდამ» ფართოდ დააყენა მუშათა კორესპონდენციების განყოფილება, მუდმივი და მტკიცე კავშირი დაამყარა მუშებთან. გაზეთის ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათასს აღწევდა. გაზეთი განუწყვეტლივ განიცდიდა რეპრესიებს მთავრობის მხრივ: «ზვეზდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» 96 ნომრიდან 39 კონფისკებულ იქნა, 10 ნომერი კი დააჯარიმეს.

«ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის — «პრავდის» გამოცემა და იგი დახურეს «პრავდის» გამოსვლის დღეს. «განსხვავება «ზვეზდასა» და «პრავდას» შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ «პრავდის» აუდიტორიას, «ზვეზდისაგან» განსხვავებით, შეადგენდნენ არა მოწინავე მუშები, არამედ მუშათა კლასის ფართო მასები» (ს ტ ა ლ ი ნ ი). — **433.**

107 «ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი» გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში — წვრილბურჟუაზიული ნახევრადანარქისტული ჯგუფი; შეიქმნა 1890 წელს. ჯგუფის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ «სწავლადაუმთავრებელი სტუდენტები», ახალგაზრდა ლიტერატორები (აქედან წარმოდგა ჯგუფის სახელწოდებაც). ჯგუფი გამოვიდა პლატფორმით, რომელიც უარყოფდა სოციალ-დემოკრატების ყოველგვარ მონაწილეობას პარლამენტში. ფ. ენგელსი «ახალგაზრდებს» უწოდებდა «რევოლუციური ფრაზის» გმირებს, რომლებიც ცდილობდნენ «კინკლაობითა და ინტრიგებით გამოეწვიათ პარტიის დეზორგანიზაცია». 1891 წლის ოქტომბერში, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერფურტის ყრილობაზე «ახალგაზრდები» პარტიიდან გარიცხეს. — **438.**

108 მ ო ს ტ ი, ი ო ჰ ა ნ — გერმანელი სოციალ-დემოკრატი; დეზორგანიზატორული მოქმედებისათვის გარიცხულ იქნა პარტიიდან ბადენის კონგრესზე 1880 წელს; 80-იან წლებში მიემხრო ანარქიზმს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 483 — 485 და ტ. XXVII, 1935, გვ. 62 — 66). — **438.**

100 ლაპარაკია ბოლშევიკების 1910 წლის 22 ნოემბრის (5 დეკემბრის) განცხადებაზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროსადმი, რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დაუყოვნებლივ მოწვევას ბოლშევიკური ფრაქციის ფულადი ქონების დაბრუნების საკითხის გადასაწყვეტად. განცხადებას ხელს აწერდნენ ლენინი და ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის სხვა მონაწილენი. — **456.**

110 სტატია ««განმარტების» გმირები» დაიბეჭდა ჟურნალში «მისლ».

«მ ი ს ლ» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი დააარსა ლენინმა ლიკვიდატორული ჟურნალებისადმი დასაპირისპირებლად და მათთან საბრძოლველად. ჟურნალის რედაქტირებას ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთიდან. «მისლის» პირველ ოთხ გამოსულ წიგნაკში ვ. ი. ლენინმა მოათავსა 6 სტატია, მათ შორის დიდი

ნაშრომი «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ». ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ: ვ. ვ. ვოროვსკი, ვ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრეთვე მენშევიკ-პარტიელები (გ. ვ. პლეხანოვი და სხვები). ჟურნალი გამოდიოდა 1911 წლის აპრილამდე; გამოვიდა 5 ნომერი. უკანასკნელი, მე-5, ნომერი კონფისკებულ იქნა. — **460.**

111 სტატია «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» მიმართულია ტროცკისა და მარტოვის ციალისმწამებლური სტატიების წინააღმდეგ, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალ «Die Neue Zeit»-ში — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოში. ლენინი აპირებდა ტროცკისა და მარტოვისთვის პასუხი გაეცა იმავე ჟურნალში, მაგრამ «Die Neue Zeit»-ის ხელმძღვანელებმა — კაუცკიმ და ვურმმა — ლენინის სტატია არ დაბეჭდეს. იგი დაიბეჭდა მხოლოდ 1911 წლის 29 აპრილს (12 მაისს) «დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-3 ნომერში. — **468.**

112 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 340. — **471.**

113 ლენინი გულისხმობს რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის მიერ მიღებულ «ტაქტიკურ რეზოლუციას აგრარულ საკითხზე» (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 75). — **472.**

114 ლაპარაკია კ. მარქსის სტატიაზე «ბერლინის კონტრრევოლუცია», რომელიც დაიბეჭდა 1848 წლის 13 სექტემბერს «რეინის ახალ გაზეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 441 — 442). ეს სტატია შევიდა III ტომში ფ. მერინგის მიერ გამოცემული კრებულისა: «Aus dem literarischen Nachlass von Karl Marx, Friedrich Engels und Ferdinand Lassall», Stuttgart («კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ფერდინანდ ლასალის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან», შტუტგარტი), 1902, გვ. 192 — 196. «მერინგის დაცინვაზე» რომ მიუთითებს, ლენინი გულისხმობს ფ. მერინგის «შესავალს ამ (III) ტომისადმი», გვ. 53 — 54. — **473.**

115 იგულისხმება ვ. ე. ვარზარის წიგნი «ფაბრიკებსა და ქარხნებში 1906 — 1908 წლების სამწლედში მომხდარი მუშათა გაფიცვების სტატისტიკა», ს.-პეტერბურგი, 1910. — **478.**

116 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VI, 1930, გვ. 82; იხ. აგრეთვე კ. მარქსის 1871 წლის 17 აპრილის წერილი ლუდვიგ კუგელმანისადმი (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 264). — **481.**

117 სტატიაში «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» ლენინმა გამოიყენა ვ. ე. ვარზარის მიერ შეკრებილი ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები. სტატისტიკური მასალების დამუშავებას ლენინი შეუდგა უშუალოდ 1910 წლის სექტემბრის დამლევს (იხ. მისი შავად ნაწერი რვეული «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკა», ლენინის კრებული, XXV, გვ. 129 — 155). ლენინს განზრახული ჰქონდა შეკრებილი მასალის საფუძველზე დაეწერა რუსეთის რევოლუციის ისტორიის ნარკვევი. მისი ვარაუდით ნარკვევს უნდა ყოფილიყო 300 გვერდამდე წიგნი ან ბროშურა, რომელიც მას უნდოდა შემდეგ ეთარგმნა გერმანულ ენაზე. სტატია «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ», ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა «საქმის დაწყებას», «უფრო დეტალური დამუშავების ერთი ცდის წინასწარ შედეგებს». შედეგების სრული გადმოცემა ლენინმა «სხვა დროისათვის» გადადო. ნაშრომის დაწერა განზრახული მოცულობით ლენინმა ვერ მოახერხა. — **493.**

118 ა. ვ. პოგოჟევი. «რუსეთის მუშათა რაოდენობისა და შემადგენლობ ს აღრიცხვა. შრომის სტატისტიკის მასალები», ს.-პეტერბურგი, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1906. — **503.**

119 ეს ცხრილი მოყავს ლენინს სტატიაშიც «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» (ეს ტომი, გვ. 478), მაგრამ იქ ლენინი შერეულ გაფიცვებს აკუთვნებს პოლიტიკურ გაფიცვებს, როგორც ეს არის მთავრობის 1905 წლის სტატისტიკაში. ხოლო სტატიაში «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» ლენინი ასწორებს ოფიციალური სტატისტიკის ამ უზუსტობას და შერეულ გაფიცვებს აკუთვნებს ეკონომიურ გაფიცვებს. ამით აიხსნება ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა ციფრების სხვაობა 1905 წლის კვარტალების მიხედვით ორივე ცხრილში, თუმცა მათი საერთო ჯამი თანაბარია. — **512.**

120 სტატია «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება» პირველი ნაწილია დიდი შრომისა გერმანიის კაპიტალისტური მიწათმოქმედების შესახებ. ლენინს განზრახული ჰქონდა ეს შრომა დაეწერა როგორც მეორე ნაკვეთი თავისი ცნობილი ნაწარმოებისა: «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში».

ვ. ი. ლენინის თხზულებებში სტატია «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება» პირველად იბეჭდება. ის გამოქვეყნდა 1932 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში», № 9, და ლენინის კრებულში, XIX, ხელნაწერის აღმოჩენილი ნაწილის მიხედვით. დღემდე არ არის ნაპოვნი ხელნაწერის შემდეგი ნაწილები: დასასრული III თავისა — «გლეხური მეურნეობანი კაპიტალიზმის დროს», დასაწყისი და დასასრული IV თავისა — «ქალთა და ბავშვთა შრომა მიწათმოქმედებაში», V და VI თავები — «შრომის განაივება წვრილ წარმოებაში» და «თანამედროვე მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი».

სტატიის დასასრული ხელმოწერით «ვ. ი ლ ი ნ ი», აგრეთვე I თავის («თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიური წყობილების ზოგადი სურათი») დასასრული და II თავის («რას წარმოადგენს სინამდვილეში თანამედროვე სამიწათმოქმედო «მეურნეობათა» უმრავლესობა. (პროლეტარული «მეურნეობანი»)») დასაწყისი, რომლებიც 1932 წელს სტატიის გამოქვეყნების დროს ნაპოვნი არ იყო, ახლა ნაპოვნია, ამიტომ I, II და VII თავები აქ პირველად იბეჭდება მთლიანად. — 529.

121 «კ ი ე ვ ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა კიევში 1906-დან 1918 წლამდე. გაზეთში უახლოეს მონაწილეობას ღებულობდნენ მენშევიკები.

ლენინი გულისხმობს ლიკვიდატორ ნ. ვალენტინოვის სტატიას «გერმანიის უკანასკნელი აღწერის გამო», რომელიც დაიბეჭდა «კიევსკაია მისლის» 308-ე ნომერში. — 534.

122 «ე კ ო ნ ო მ ი ს ტ რ ო ს ს ი ი» — ყოველკვირეული ბურჟუაზიული ჟურნალი, აშუქებდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ეკონომიურ და ფინანსურ საკითხებს; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 — 1912 წლებში. — 534.

123 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 542 — 780. — **534**.

124 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 704 — 712. — **543**.

125 **Franz Bensing. «Der Einfluss der Landwirtschaftlichen Maschinen auf Volks-und Privatwirtschaft», Breslau,** 1897 (ფრანც ბენზინგი. «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა სახალხო და კერძომფლობელურ მეურნეობაზე», ბრესლავლი, 1897). — **558**.

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1909* წლის სექტემბერი — *1910* წლის დეკემბერი)

1909

სექტემბრის პირველი ნახევარი.	ლენინი ოჯახთან — ნ. კ. კრუპსკაიასა, დედამისსა და მ. ი. ულიანოვასთან ერთად ისვენებს **Bonbon**-ში (საფრანგეთი, სენისა და ლუარის დეპარტამენტი). ლენინი წერს სტატიას «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ».
სექტემბერი, 5 (18).	ლენინის სტატიები: «მხილებული ლიკვიდატორები», «პეტერბურგის არჩევნებისათვის» და რედაქციის შენიშვნა «მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ღია წერილის გამო» იბეჭდება გაზეთ «პროლეტარში», № 47 — 48.
სექტემბერი, 11 (24)-მდე.	ლენინი **Bonbon**-იდან ბრუნდება პარიზში.
სექტემბერი, 11 (24).	ლენინის სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» 47—48-ე ნომრის დამატებაში.
სექტემბერი, 14 (27).	ლენინის სტატია «კიდევ პარტიულობისა და უპარტიობის შესახებ» ქვეყნდება გაზეთში «ნოვი დენ», № 9.
სექტემბერი, 19 (ოქტომბერი, 2).	ლენინი პარიზში გამოდის რეფერატით III სახელმწიფო სათათბიროს დამატებითი (სექტემბრის) არჩევნების შესახებ პეტერბურგში.
სექტემბერი — ოქტომბერი.	ლენინს მიწერ-მოწერა აქვს ვ. ა. კარპინსკისთან პარტიული ბიბლიოთეკის გადატანის შესახებ ჟენევიდან პარიზში.

ოქტომბერი, 8 (16). ლენინის სტატია «საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარში», № 49.

ოქტომბერი, 15 (28). ლენინი ლიეჟში სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების წევრებისათვის კითხულობს რეფერატს «საქმის ვითარება პარტიაში».

ოქტომბერი, 16 (29). ლენინი ლიეჟში კითხულობს საჯარო რეფერატს თემაზე «კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგია».

ოქტომბერი, 21 (ნოემბერი, 3). ლენინს ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის სხდომაზე შეაქვს «პროექტი რეზოლუციისა პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შესახებ». რედაქციის ლიკვიდატორულ-შემარიგებლურმა უმრავლესობამ პროექტი უარყო.

ოქტომბერი, 22 (ნოემბერი, 4). ლენინს შეაქვს განცხადება ცენტრალური ორგანოს რედაქციიდან გასვლის შესახებ და მოითხოვს, რათა ეს განცხადება პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შესახებ შეტანილი რეზოლუციის პროექტთან ერთად გამოქვეყნდეს გაზეთ «სოციალ-დემოკრატში».

ოქტომბერი, 23 (ნოემბერი, 5). ლენინი პარიზიდან მიემგზავრება ბრიუსელს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესიაზე.

ოქტომბერი, 24 (ნოემბერი, 6). ლენინი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას ატყობინებს, რომ უკან მიაქვს თავისი განცხადება რედაქციიდან გასვლის შესახებ.

ლენინი მონაწილეობას ღებულობს სოციალისტ ჟურნალისტთა ბრიუსელის ინტერნაციონალურ კონფერენციაში.

ოქტომბერი, 25 (ნოემბერი, 7). ლენინი გამოდის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ბრიუსელის მე-11 სესიის სხდომაზე ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გათიშვის საკითხზე.

ოქტომბერი, 26 (ნოემბერი, 8).	ლენინი მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან არსებული საპარლამენტთაშორისო კომისიის სხდომაში.
26 ოქტომბერზე გვიან (8 ნოემბერზე გვიან).	ლენინი ბრიუსელიდან ბრუნდება პარიზში.
ოქტომბერი, 31 (ნოემბერი, 13).	ლენინის სტატია «მეფე ფინელი ხალხის წინაალმდეგ» მოწინავე წერილად ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 9.
ოქტომბერი.	ლენინი წერილში კაპრის სკოლის მსმენელთა ჯგუფისადმი იწონებს დაწყებულ გათიშვას ბოლშევიკ-ლენინელებსა და ბოგდანოვის მომხრეებს შორის.
ნოემბერი, 1 (14).	ლენინი ი. ფ. დუბროვინსკისთან და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად წერს განცხადებას ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს სახელზე და მოითხოვს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას უახლოეს ხანში.
ნოემბერი, 3 (16).	ლენინი ესაუბრება ნ. ე. ვილონოვს, რომელიც პარიზს ჩავიდა კაპრის სკოლის გათიშვის შემდეგ; ამ საუბართან დაკავშირებით წერს ბარათს ა. მ. გორკისადმი.
ნოემბერი, 13 (26).	ლენინი პარიზში კითხულობს საჯარო რეფერატს თემაზე «კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის იდეოლოგია («ვეხის» წარმატება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა)».
ნოემბერი, 21 (დეკემბერი, 4).	ლენინი რსდმ პარტიის დამხმარე პარიზის მე-2 ჯგუფის მორიგ კრებაზე გამოდის მოხსენებით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მე-11 სესიის შესახებ; მას ირჩევენ ჯგუფის კომიტეტის წევრად.
ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 11).	ლენინის სტატიები: «თანამედროვე იდეური დაბნეულობის ზოგიერთი წყაროს შესახებ», «ლიკვიდატორების ფანდები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები», ««გოლოს სოციალ-დემოკრატა» და ჩერგვა-

ნინი», «ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გბრიცხვის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარში», № 50.

ლენინის სტატია «სამარცხვინო ჩავარდნა» ქვეყნდება ცალკე ამონაბეჭდად გაზეთ «პროლეტარის» 50-ე ნომრიდან.

ნოემბრის დამლევი (დეკემბრის დამდეგი). ლენინი კაპრის სკოლიდან გამორიცხულ 5 მსმენელს პარიზში უკითხავს ლექციებს თემებზე: «თანამედროვე მომენტი და ჩვენი ამოცანები», «სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა».

ნოემბრის დამლევი (დეკემბრის დამდეგი). ლენინი წერს სტატიას «იდეური რღვევისა და დაბნეულობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში».

შემოდგომა. ლენინი სათათბიროს ფრაქციისათვის წერს «განმარტებითს ბარათს 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის მთავარი საფუძვლების პროექტისათვის».

დეკემბერი, 3 (16). ლენინი წერს საპასუხო წერილს ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს რუსეთის კაპიტალისტური აგრარული განვითარების «პრუსიული» თუ «ამერიკული» გზების საკითხზე.

დეკემბერი, 13 (26). ლენინის სტატია «„ვეხის» შესახებ» ქვეყნდება გაზეთში «ნოვი დენ», № 15.

დეკემბრის შუა რიცხვები (დამლევი) — 1910 წლის იანვრის დამდეგი. ლენინი პარიზში ჩასულ კაპრის სკოლის მსმენელთა მეორე ჯგუფს უკითხავს ლექციებს «თანამედროვე მომენტის შესახებ» და «სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა».

დეკემბერი, 24 (1910 წლის 6 იანვარი). ლენინის სტატიები: «რუსული ლიბერალიზმის უკანასკნელი სიტყვა» და «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 10.

დეკემბრის დამლევი (1910 წლის იანვრის პირველი ნახევარი).	ლენინი წერს შენიშვნას ««ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ».
1909 წელი.	ლენინი მუშაობს სორბონის ბიბლიოთეკაში (პარიზი) ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების საკითხთა ლიტერატურაზე.

1910

იანვარი, 2 — 23 (იანვარი, 15 — თებერვალი, 5).	ლენინი მონაწილეობას ღებულობს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში პარიზში; შეაქვს პროექტი რეზოლუციისა «პარტიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ», რომლითაც დაგმობილია ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი. პლენუმი ლენინს ირჩევს ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქციაში და რსდმპ წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.
იანვრის დამლევი (თებერვლის დამდეგი).	ლენინი ცენტრალური ორგანოს რედაქციის სხდომაზე ილაშქრებს გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» ი. ო. მარტოვის ლიკვიდატორული სტატიის — «სწორი გზით» — გამოქვეყნების წინააღმდეგ.
თებერვალი, 13 (26).	ლენინის სტატია «ერთიანობისაკენ», რომელშიც მოცემულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შეფასება, ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 11.
მარტი, 6 (19).	«დისკუსსიონნი ლისტოკის» 1-ლ ნომერში იბეჭდება პირველი ნაწილი ლენინის ნაშრომისა «პუბლიცისტის შენიშვნები. I. ოტზოვიზმის მომხრეთა და დამცველთა «პლატფორმის» შესახებ».
მარტი, 7 (20).	ლენინი რსდმ პარტიის დამხმარე მე-2, ბოლშევიკური, ჯგუფის კრებაზე პარიზში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ გაკეთებული მოხსენების განხილვის დროს, გამოდის მენშევიკ-პარტიელებთან (პლეხანოველებთან) გაერთიანების მომხრედ.

მარტი, 14 (27). ლენინი ნ. ე. ვილონოვს დავოსში (შვეიცარია) სწერს ბარათს ბოლშევიკების გაერთიანების შესახებ მენშევიკ-პარტიელებთან (პლეხანოველებთან) ლიკვიდატორების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მარტი, 16 (29). ლენინი გ. ვ. პლეხანოვისადმი მიმართულ წერილში წინადადებას იძლევა შეხვდეს მას მოსალაპარაკებლად პარტიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ.

მარტი. 23 (აპრილი, 5). ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს უგზავნის განცხადებას ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მომხდარი კონფლიქტების გამო. ლენინის სტატიები: «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ (პასუხად «გოლოს სოციალ-დემოკრატას»)» და «რისთვის უნდა ვიბრძოლოთ?» იბეჭდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 12.

მარტი, 27-ზე ადრე (აპრილი, 9-ზე ადრე). ლენინს რსდმ პარტიის დამხმარე პარიზის მე-2, ბოლშევიკური, ჯგუფის დახურულ სხდომაზე შეაქვს რეზოლუცია პარტიიდან იმ 3 წევრის — მენშევიკ-ლიკვიდატორების გარიცხვის შესახებ, რომლებმაც უარი თქვეს შესულიყვნენ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის კოლეგიაში. ლენინის რეზოლუცია მიღებულ იქნა.

მარტი, 28 (აპრილი, 10). ლენინი, ცენტრალური ორგანოს რედაქციის სახელით, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მთავარ გამგეობას სწერს წერილს ლიკვიდატორებთან ბრძოლის შესახებ.

მარტი, 29 (აპრილი, 11). ლენინი ა. მ. გორკის სწერს წერილს პარტიული გაერთიანების შესახებ და იძლევა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მუშაობის შეფასებას.

დაახლოებით 19 აპრილი (დაახლოებით 2 მაისი). ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე წერს განცხადებას ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ამ უკანასკნელის ლიკვიდატორული ნაწილის მოქმედებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ და დაჟინებით იცავს რედაქციის შემადგენლობის შეცვლის აუცილებლობას.

აპრილი, 26 (მაისი, 9).	ლენინის სტატიები: «გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ», «არმიისათვის შიშობენ», «პარტიული გაერთიანება საზღვარგარეთ», «ერთ-ერთი დაბრკოლება» პარტიული ერთიანობისათვის» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 13.
მაისი, 25 (ივნისი, 7).	«დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-2 ნომერში იბეჭდება მეორე ნაწილი ლენინის ნაშრომისა «პუბლიცისტის შენიშვნები. II. «გამაერთიანებელი კრიზისი» ჩვენს პარტიაში».
ივლისი, 9 ან 10—აგვისტო, 10 (ივლისი, 22 ან 23 — აგვისტო, 23).	ვ. ი. ლენინი ნ. კ. კრუპსკაიასა და დედამისთან ერთად ისვენებს ზღვისპირა ქალაქ პორნიკში (საფრანგეთი), ბისკაის უბის ნაპირზე.
19 და 23 ივლისს (1 და 8 აგვისტოს) შუა.	ლენინი მიემგზავრება კუნძულ კაპრიზე, გორკისთან.
ივლისი.	ლენინის სტატია ««Zihna»-ს საიუბილეო ნომერს» იბეჭდება ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს — გაზეთ «Zihna»-ს («ბრძოლის») მე-100 ნომერში.
აგვისტო, 13-ზე (26-ზე) ადრე.	ლენინი პარიზში ხვდება და ესაუბრება გ. ვ. პლეხანოვს.
აგვისტო, 13 (26).	ლენინი ჩადის კოპენჰაგენში II ინტერნაციონალის VIII კონგრესზე და მონაწილეობას ღებულობს კონგრესის ბიუროს სხდომაში.
აგვისტო, 15 — 21 (აგვისტო, 28 — სექტემბერი, 3).	ლენინი მონაწილეობას ღებულობს II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესის მუშაობაში.
15 და 21 აგვისტოს (28 აგვისტოსა და 3 სექტემბერს) შუა.	ლენინი იწვევს II ინტერნაციონალში შემავალ მეშარცხენეთა თათბირს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რევოლუციური ელემენტების შესაკავშირებლად და დასარაზმავად.

ლენინი ეთათბირება გ. ვ. პლეხანოვს, ნ. გ. პოლეტაევს, ი. პ. პოკროვსკის «რაბოჩაია გაზეტას» და «ზვეზდის» დაარსების საკითხზე.

ლენინი, პლეხანოვთან ერთად, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის სახელზე წერს წერილს, სადაც პროტესტს აცხადებს «Vorwärts»-ში ტროცკის ცილისმწამებლური სტატიის გამოქვეყნების წინააღმდეგ.

აგვისტო, 16 (29). ლენინი მონაწილეობას ღებულობს კოპენჰაგენის კონგრესის ნაციონალური სექციების წარმომადგენელთა თათბირში, რომლის დღის წესრიგში დგას საკითხები: 1) მანდატების შემოწმება, 2) კომისიების დანიშვნა.

აგვისტო, 16 — 19 (აგვისტო, 29 — სექტემბერი, 1). ლენინი მონაწილეობას ღებულობს კონგრესის კოოპერაციული კომისიის მუშაობაში; ადგენს რეზოლუციის პროექტს კოოპერატივების შესახებ, გამოდის შესწორებებით კონგრესის კოოპერაციული კომისიის რეზოლუციისადმი.

აგვისტო, 20 (სექტემბერი, 2). ლენინი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს აცნობებს, რომ, თანახმად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებისა, რსდმ პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, გარდა ვ. ი. ლენინისა, არის გ. ვ. პლეხანოვიც.

აგვისტო, 30 (სექტემბერი, 12). ლენინის სტატია ««ვპერიოდელთა» ფრაქციის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 15 — 16.

აგვისტოს მეორე ნახევარი (სექტემბრის პირველი ნახევარი). ლენინი წერს სტატიას «ოტზოვისტურ-ულტიმატისტური შტრეიკბრეხერები» (სტატია ნაპოვნი არ არის).

სექტემბერი, 2 (15). ლენინი მუშაობს კოპენჰაგენის ბიბლიოთეკაში სოფლის მეურნეობის დარგის ლიტერატურაზე.

სექტემბერი, 8—12 (16 — 25). ლენინი ცხოვრობს სტოკჰოლმში, სადაც ჩადის იმ მიზნით, რომ ინახულოს დედა — მ. ა. ულიანოვა, და თავისი და — მ. ი. ულიანოვა; სოციალ-დემოკრატიული

ჯგუფების კრებებზე გამოდის მოხსენებებით «კოპენ-ჰაგენის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ» და «პარტიაში არსებული საქმის ვითარების შესახებ».

სექტემბერი, 13 ან 14 (26 ან 27). ლენინი კოპენჰაგენში კითხულობს რეფერატს საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შესახებ.

სექტემბერი, 15 (28). ლენინი ბრუნდება პარიზში.

სექტემბერი, 21 (ოქტომბერი, 4). ლენინი წერილში ბოლშევიკების წარმომადგენლისადმი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში, ნ. ა. სემაშკოსადმი, მოითხოვს რაც შეიძლება ჩქარა იქნას მოწვეული ბოლშევიკების კრება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის საკითხის გადასაწყვეტად.

სექტემბერი, 24 (ოქტომბერი, 7). ლენინი ი. ი. მარხლევსკის სწერს წერილს ამ უკანასკნელის განზრახული სტატიის გამო **«Neue Zeit»**-ში ი. ო. მარტოვის წინააღმდეგ და მთელ რიგ მითითებებს აძლევს სტატიისათვის.

სექტემბერი, 25 (ოქტომბერი, 8). ლენინის სტატიები: «კოოპერატივების საკითხი კოპენ-ჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე» და «იმის შესახებ, თუ როგორ აცნობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალს რსდმ პარტიის საქმეთა მდგომარეობას» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 17.

სექტემბერი — ოქტომბერი. ლენინი მუშაობს სტატიაზე «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში», რი-ბლის გამოქვეყნებას ფიქრობს **«Neue Zeit»**-ში. სტატია იბეჭდება «დისკუსსიონნი ლისტოკის» მე-3 ნომერში 1911 წლის 29 აპრილს (12 მაისს).

ლენინი იწყებს მუშაობას 1905 — 1908 წლებში რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკაზე.

სექტემბერი — ნოემბერი. ლენინს მოლაპარაკება აქვს ვ. ვ. ვოროვსკისთან და ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვთან მოსკოვში ლეგალური ბოლშევიკური ჟურნალის «მისლის» გამოცემის ორგანიზაციის შესახებ.

ოქტომბერი, 15-ზე (28-ზე) ადრე.	ლენინი პარიზში ბოლშევიკების კრებაზე გამოდის საკითხზე «რაბოჩაია გაზეტას» დაარსების შესახებ პლეხანოველებთან ერთად.
ოქტომბერი. 30-ზე ადრე (ნოემბერი, 12-ზე ადრე).	ლენინი წერს სტატიას «განცხადება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის შესახებ».
ოქტომბერი, 30 (ნოემბერი, 12).	ლენინის სტატია «რევოლუციის გაკვეთილები» მოწინავე წერილად იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტაში», № 1.
ნოემბერი, 1 (14).	ლენინი ა. მ. გორკის კაპრიზე უგზავნის «რაბოჩაია გაზეტას» 1-ლ ნომერს და ატყობინებს, რომ მიმდინარეობს მზადება ლეგალურ ჟურნალ «მისლის» გამოსაცემად პლეხანოვთან ერთად.
ნოემბერი, 16 (29).	ლენინის სტატიები: «ორი სამყარო», «მურომცევის სიკვდილის გამო გამართული დემონსტრაციის შესახებ», «მობრუნების დასაწყისი ხომ არ არის?», «ლ. ნ. ტოლსტოი» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 18.
ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3).	ლენინი წერილში «ამხანაგებს — ბოლონიის სკოლის მსმენელებს» უარს ამბობს ლექციების წაკითხვაზე ბოლონიაში და მოწაფეებს სამეცადინოდ იწვევს პარიზში.
ნოემბერი, 22 (დეკემბერი, 5).	ლენინს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროში შეაქვს განცხადება ბოლშევიკებისათვის «შემნახველთა» ხელში გადაცემული ფულის დაბრუნების შესახებ; ლენინი მოითხოვს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დაუყოვნებლივ მოწვევას ამ საკითხის გადასაწყვეტად.
ნოემბერი, 22-ის შემდეგ (დეკემბერი, 5-ის შემდეგ).	ლენინი «რაბოჩაია გაზეტას» სახელით წერს «ღია წერილს ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელისადმი», სადაც იძლევა შინაპარტიული მდგომარეობის დახასიათებას.
ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 11).	ლენინის სტატია «ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა» ქვეყნდება გაზეთში «ნაშ პუტ», № 7.

დეკემბერი, 16 (29).	ლენინის სტატია «უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში» იბეჭდება გაზეთ «ზვეზდაში», № 1.
დეკემბერი, 18 (31).	ლენინის სტატიები: «ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა», «დემონსტრაციების დასაწყისი», «რა ხდება სოფლად?», «ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი (ნეკროლოგი)» იბეჭდება «რაბოჩაია გაზეტაში», № 2.
დეკემბერი.	ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე წერს განცხადებას ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ფრაქციების დაშლის თაობაზე დადებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.
	მოსკოვში გამოდის ჟურნალ «მისლის» 1-ლი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სტატიები: ««განმარტების» გმირები» და «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» (თავი I).
წლის დამლევი.	ლენინი წერს სტატიას «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1909 წ.

მხილებული ლიკვიდატორები . . . . . 1—10

მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ღია წერილის გამო . . . . . 11—12

პეტერბურგის არჩევნებისათვის (შენიშვნა) . . . . . 13—19

ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ . . . . . 20—64

I 21
II 26
III 32
IV 40
V 48
VI 56
VII 62

ძიდევ პარტიულობისა და უპარტიობის შესახებ . . 65—68

საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან . . . . . 69—83

შენიშვნა სტატიისადმი «პეტერბურგის არჩევნები» . 84

პროექტი რეზოლუციისა პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების შესახებ 85

სიტყვა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ჰოლანდიის ს.-დ. მუშათა პარტიის გათიშვის საკითხის შესახებ. სსბ «ბიულეტენის» ანგარიშის მიხედვით 86

მეფე ფინელი ხალხის წინააღმდეგ . . . . . 87—90

წერილი კაპრის სკოლის მსმენელებს . . . . . 91—94

სამარცხვინო ჩავარდნა . . . . . 95—97

თანამედროვე იდეური დაბნეულობის ზოგიერთი წყაროს შესახებ . . . . . 98—107

ლიკვიდატორების ფანდები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები . . . . . 108—117

«ბოლოს სოციალ-დემოკრატა» და ჩერევანინი . . . 118—121

ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი ბორკის გარიცხვის შესახებ . . . . . 122—123

იდეური რღვევისა და დაბნეულობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში . . . . . 124—125

განმარტებითი ბარათი 8-საათიანი სამუშაო დღის კანონის მთავარი საფუძვლების პროექტისათვის . . 127—136

წერილი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს . . . . . 137—144

«ვეხის» შესახებ . . . . . 145—156

I 146

II 149

რუსული ლიბერალიზმის უკანასკნელი სიტყვა . . . 157—165

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია . . . . . 167—173

1910

«ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ. კონსპექტი . . . . . 174—175

ერთიანობისაკენ . . . . . 176—187

ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ (პასუხად «გოლოს სოციალ-დემოკრატას») . . . . . 188—199

რისთვის ვიბრძოლოთ? . . . . . 200—207

გალაშქრება ფინეთის წინააღმდეგ . . . . . 208—213

არმიისათვის შიშობენ . . . . . 214—224

პარტიული გაერთიანება საზღვარგარეთ . . . . . 225—229

ერთ-ერთი დაბრკოლება პარტიული ერთიანობისათვის . . . . . 230—232

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს . . . . . 233—237

პუბლიცისტის შენიშვნები . . . . . 239—323

I. ოტზოვიზმის მომხრეთა და დამცველთა «პლატფორმის» შესახებ 241
II. «გამაერთიანებელი კრიზისი» ჩვენს პარტიაში . . 255
1. ორი შეხედულება გაერთიანებაზე 257
2. «ორ ფრონტზე ბრძოლა» და გადახვევების დაძლევა 265
3. გაერთიანების პირობები და წრეობანური დიპლომატია 270
4. პარტიაში საქმეთა მდგომარეობის თაობაზე მიღებული რეზოლუციის 1-ლი პარაგრაფის შესახებ 280
5. დეკემბრის (1908 წ.) რეზოლუციების მნიშვნელობა და ლიკვიდატორების დამოკიდებულება მათდამი 287
6. დამოუკიდებელ-ლეგალისტთა ჯგუფის შესახებ . 295
7. პარტიული მენშევიზმისა და მისი შეფასების შესახებ 312
8. დასკვნა. ბოლშევიკების პლატფორმის შესახებ . 322

«ZIHNA»-Ს ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ . . . . . 324—329

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ Ს.-Დ. ᲓᲔᲚᲔᲒᲐ-ᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲙᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . . . . 330—331

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲡᲓᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 332

«ᲕᲔᲠᲘᲝᲓᲔᲚᲗᲐ» ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ . . . . . 333—342

ᲙᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ . . . . . 343—354

ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲪᲜᲝᲑᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲡᲝ-ᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲡ ᲠᲡᲓᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ . . . . . 355—358

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ «ᲠᲐᲑᲝᲩᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲡ» ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔ-ᲡᲐᲮᲔᲑ . . . . . 361—369

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ . . . . . 370—379

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ . . . . . 380—390

ᲛᲣᲠᲝᲛᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢ-ᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ (ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ) . . . . . 391—397

ᲛᲝᲒᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ? . . . . . 398—400

Ლ. Ნ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ . . . . . 401—407

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ — ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ . . . 408—410

Ლ. Ნ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ . . . . . 411—414

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢ ᲞᲐᲠᲢᲘᲔ-ᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ . . . . . 415—430

უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში . . 433—439

I 433

ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა . . . . . 440—441

დემონსტრაციების დასაწყისი . . . . . 442—446

რა ხდება სოფლად? . . . . . 447—449

ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი (ნეკროლოგი) . . . . . 450—455

ცენტრალურ კომიტეტს . . . . . 456—459

«ბანმარტების» გმირები . . . . . 460—467

ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში . . . . . 468—492

I 469
II 476
III 482
IV 486

რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ . . . . . 493—528

I 495
II 512

თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება . . . . . 529—557

სტატია პირველი 533

I. თანამედროვე მიწათმოქმედების ეკონომიური წყობილების ზოგადი სურათი 536

II. რას წარმოადგენს სინამდვილეში თანამედროვე სამიწათმოქმედო «მეურნეობათა» უმრავლესობა. (პროლეტარული «მეურნეობანი») 542

III. გლეხური მეურნეობანი კაპიტალიზმის დროს . 546
IV. ქალთა და ბავშვთა შრომა მიწათმოქმედებაში . 551
V. შრომის განიავება წვრილ წარმოებაში . . . 552
VI. თანამედროვე მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი 552
VII. შრომის დაბალი ნაყოფიერება წვრილ წარმოებაში და მეტისმეტი მუშაობა 552

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . . 561—589

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს თ ა რ ი ღ ე ბ ი . . . . . 591—603

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1910 წ. . . . . X—1

პირველი გვერდი ხელნაწერისა «განცხადება «რაბოჩაია გაზეტას» გამოცემის შესახებ». — 1910 წ. ოქტომბერი 359

«რაბოჩაია გაზეტას» 1-ლი ნომრის პირველი გვერდი. — 1910 წ. 371

გაზეთ «ზვეზდის» 1-ლი ნომრის პირველი გვერდი. — 1910 წ. . 431

გაფიცულ მუშათა რიცხვის დიაგრამა წლის მეოთხედების მიხედვით. — 1910 წ. . . . . 514—515

პირველი გვერდი ხელნაწერი სტატიისა «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება». — 1910 წ. . . 531

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II-1951.
უე 00291. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 38³/₄.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1717.